ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

ოთარ
ჩხეიძე

ჯოჯოლაკი

რომანი

თბილისი
2006

„ბორიაყი“ 20-იანი წლების ქართლის ცხოვრებაა, უფრო სწორად: ოციანი წლების ის დროა ერი რო უკვე დამარცხებულია, ბრძოლისათვის უკვე ძალა აღარ შესწევს, მაგრამ მტერი მაინც არ ეშვება, ყოველ ღონეს მიმართავს, საბოლოოდ რო დაიმორჩილოს, საბოლოოდ დასცეს, აღარასოდეს რო აღარ გაუჩნდეს სურვილი თავისუფლებისა. ამდენად: რომანის ცენტრში 24 წლის ვითარებანია მოქცეული.

რედაქტორი
როსტომ ჩხეიძე

მხატვარი
კარლო ფაჩულია

ოპერატორი
თამარ ჩიხლაძე

დამკაბადონებელი
ლევან ჩხეიძე

© ოთარ ჩხეიძე, 2006

რომელი ჰქადაგებ არა პარვასა, იპარავ? რომელი იტყვ არა მრუშებასა, იმრუშებ? რომელსა გძაგან კერპნი, საკურთხეველთა სძარცუავ?

პავლე

I

ძველი ნათქვამია, მოგზაურობა ფათერაკიაო, არც არად ივარგებს მოგზაურობა უფათერაკოდო;

მოგზაურობა შთაბეჭდილებაა, ძველივე ნათქვამია, ფათერაკები რაღად უნდა მოგზაურობასა, ყველა და ყველაფერი შთაბეჭდილებით რო აღავსებს ადამიანსა ჟამსა მოგზაურობისასაო;

ფიქრთ გასართველია მოგზაურობაო, ძველია ესეცა, არგებს სულსა, მერე ხორცსაო, ანთუ ჯერ ხორცსა, მერე სულსაო, სულერთია, ფიქრთ გასართველიაო;

მოგზაურობა საქმეაო, ძველივე გახლავს, მოგზაურობა მიზანიაო, ძველია, ძველი, ძველადვე განბჭობილი, ძველთაგანვე შეუთანხმებელი; კაცია და გუნებაო, ვისაც თუ როგორ რო ჰგონებია, უთქვამს ისეცა და ისედაც უმოძრავია ამ ცოდომადლით გამოჭექილ წუთისოფელშიო; მხოლოდ ესაა, თავის გზაზე რო უვლია წუთისოფელსა, მხოლოდ თავისსა, თავის გზაზედა, ერთი გზისანი თუ ერთჭკუისანი არ აჰყოლიან არასოდესა, დავა-ჭიდილიც ამისაგან წარმოშობილა, სისხლის წვიმებიც ამას მოჰყოლია;

ხან სულ უბრალო ამბავს მოჰყოლია მრისხანე მოვლენანი, გასაოცარი მოგზაურობაც დაწყებულა შემთხვევის წყალობითა; ასე ყოფილა, აბრუნებულა ასე ბედი დავით გურამიშვილისაცა, „დავითიანი“ შეგძენია ამის წყალობითა, – ვინ უწყის მართლაც ამის წყალობითა;

და ასე, ასე, ერთისიტყვითა:

მოგზაურობა ბევრგვარი ყოფილა, ბევრგვარნი ყოფილნა მოგზაურნიცა, მოგზაურობას ბევრი რამ მოჰყოლია, – დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიც მოჰყოლია ჟინსა მოგზაურობისა, კოსმოსში გაჭრაც მოჰყოლია ამავე ჟინსა, – მოგზაურობა ყოფილა ყველაფერი, ყველაფერი მოგზაურობა ყოფილა;

ნიკუშას ამბავიც მოგზაურობაა, აი, ეს ამბავი, ახლა რო მოგითხრობთ, ძველიცაა, თუმცა ისე ძველიც არაო, დიდ აღმოჩენებთან რო მოიხსენიებოდეს, ვთქვათ კოლუმბთანა თუ ვასკო დაგამასთანა, არა, ისე ძველიც არა, თანაც იმდენიც არ გაეგებოდა, მოგზაურობა რო დაჰყოლოდა ბედადა, არა, არ გაეგებოდა თუ არ იცოდა, – კოლუმბმა იცოდა, ვასკო დაგამამაც იცოდა, ჯემს კუკმაცა, ამან არ იცოდა, არც ის უწყოდა, თუ რა ყაიდის მოგზაური გამოვიდოდა, მწუხარე სახის რაინდი თუ ისე უბრალოდ, სანტიმენტალური მოგზაური, – არა, არ უწყოდა, არ გაეგებოდა, თუ ვის რას გადაჰკიდებდა ახირებაი მისი, თუ სურვილი, სულერთია, ვის რას გადაჰკიდებდა, ეს არ გაეგებოდა, არ უწყოდა, არ უწყოდა, ბევრი რამ არ უწყოდა, ბევრი რამ არ იცოდა; მუსიკა იცოდა, იცოდა და უყვარდა, კმაროდა ტვირთადა ერთი კაცისა, მუსიკა იცოდა, და ხალხური სიმღერების შეკრება განეზრახა შიდა ქართლშია, ეს იყო მხოლო-

და, განეზრახა და აღძრულიყო, ხოლო თუ რა გამოვიდოდა აქედანა, სწორედაც რო მოგზაურობა გამოვიდოდა, ან როგორი რა მოგზაურობა გამოვიდოდა, არც ეფიქრა, არც უფიქრია, არც წაჰკამათებია არავისა, ამაზე არ წაჰკამათებია, თორემ ისე, იცოცხლეთ, საკამათოც ბლომად გამოუჩნდა, სადავიდარაბოცა, თავბედიც იწყევლა, გაჩენისა თუ ნათლობის დღეცა, ისიც გაახსენდა, გვიანღა არის თითზე კბენანიო. თუმცა არა, „თითზე კბენანი" არ მოაგონდებოდა, მხოლოდ „გვიანღა არის, გვიანღა არის"... წამოენთებოდა მგრძნობიარე სულსა, არია აღეძვროდა ოპერიდანა, ანდაზის მაგივრობას ეს გაუწევდა. ან ასეც იქნებოდა, თითზე იკბენდა და მერეღა იმღერებდა, გვიანღა არისო. რაც იქნებოდა, იქნებოდა, აჰა, მოგიყვები, მოგიყვები ფათერაკიან მოგზაურობასა, თუმცა განზრახვა უხიფათო უნდა ყოფილიყო, ხოლო მოგზაური – ალალი ახალგაზრდა კაცი, წრფელი, სათნო, გულითადი, ზრდილი, მეგობრისათვის ჰო და ჰო, უცხოსთვისაც „თავი ჭირსა არ დამრიდად..."

ჰო ხიფათისა არაფერი ემჩნეოდა განზრახვასა და არც არაფერი წაჰკიდებია თბილისიდან გორამდისა, არაფერი, სულ არაფერი, – მიჩაქჩაქებდა მატარებელი, ოხრავდა, ხრჩოლავდა, ბოლავდა, თუ იდგა, ველარ დაიძვროდა, თუ დაიძვროდა, ველარ მიაღწევდა თუ ვინ იცის როდიღა მიაღწევდა სადგურიდან სადგურამდისა, მერე რაო, არც არავის უკვირდა, არც ამას უკვირდა. ყოველ სადგურზე ემატებოდა მგზავრი, ბევრი ემატებოდა, ცოტა აკლდებოდა; ვიღაც ქალს ადგილი დაუთმო – ზრდილმა ყმაწვილმა. რაღა თქმა უნდა. თუმცა უზრდელობა წესადა

ქცეულიყო. ის რო ჩავიდა, სხვა დაეპატრონა ამის ადგილსა, მერე სხვაი, კიდევ სხვაი და სხვაი, ეს აღარავის გახსენებია, მადლობაც არავის უთქვამს ამისთვისა. მერე რაო, არ ეუცნაურებოდა არავისა, ამას თუ მაინც ეუცნაურებოდა, რა ვუყოთ მერე, ფათერაკად მაინც არ ითქმოდა. გვერდი თუ გაჰკრეს, კალათებიც თუ გამოსდეს, ეგეც არაფერი, კოსტუმი მაინც მთელი ჩაჰყვა გორამდისა. ვიღაცამ თუ გასცინა, იქვე ვაგონში „ალილოზე" სიტყვა რო ჩამოუგდო, თუ გასცინა, მოგცლია შენცაო, ნეტავი რაღა დროს „ალილოაო", ეგეც არაფერი, – აჰყვებოდა ლიახვსა, მეჯუდას აჰყვებოდა, ბერშოულასაცა, ფრონეებსა, მტკვარგაღმა გავიდოდა საციციანოში, ტანას შეურბენდა, იმდენ „ალილოს" ჩაინერდა, გააოცებდა მუსიკალურ სამყაროსა, ლეხურა თუ ქსანი თუ არაგვი შემოკალთავებულივით ეგულებოდა, თეძამიცა, მთლად მთელი ქართლიცა, თბილისსქვეითი ქართლიცა ცხადია, ჰოდა ჩაინერდა კიდევ მრავალსა, ჰოდა გააოცებდა მომეტებულადა, ჰოდა რა აინუნში ჩააგდებდა ვიღაცის ქირქილსა, ჰოდა ხიფათადაც არ ითქმის არაფერი, რამეთუ თუ იყო, რაც იყო, ეს იყო გორამდისა, გორის სადგურამდისა.

სხვანაირად არც იქნებოდა, განზრახვა გახლდათ კეთილშობილური, ყმაწვილკაცი კეთილშობილი, სათნო, ნაზი... ჰო ამას უფრო ქალზე იტყვიან, ოღონდ მუსიკოსზეც იტყვიან ხოლმე, დახვეწა იცის მუსიკამა, არაოდენ დახვეწა სულისა, სხეულის დახვეწაცა სცოდნიაო; ჰოდა არც არას გადაჰყრია, არც არას ელოდა, არა, რაღა თქმა უნდა, არა, ფათერაკისას მოგახსენებ, თორემ სიმღერას ბევრს ელოდა, მელოდიას ბევრსა, ჯერ მიუგნებსა, აღმოუჩენსა. ელო-

და და მიეშურებოდა, ისე რიგად მიეშურებოდა, არც დახსომებია სადგური გორისა, არც ის დახსომებია თუ ვისა ჰკითხა, ეტლი სად იქნებაო, არც ისა, ეტ-ლამდის ვინ მიაცილა, თუ ვინ ჩაუჯდა სადგურიდან გორის ციხემდისა, ასე გასინჯეთ, ციხეც როდი დახ-სომებია ან არც შეუხედავს ან ასე გადაუცურებია თვალი, ბაზარზედაცა, ხალხზედაცა, ერთი სიტყვი-თა, ყველასა და ყველაფერზედა, არც რა უხილავს, არც რა დახსომებია, ისე მიეშურებოდა, ისეთი რამ ამოეჭრა გულშია.

რაც ამოეჭრა, ჰო ითქვა უკვე, აჩქარებითაც ასე ამგვარად აჩქარებულიყო, თუმცა გამოჰყოლოდა სინანულიცა, სინანული გიორგი ყანჩაველისა, სა-ხელგანთქმული კომპოზიტორისა, მასწავლებლისა, თავისი მასწავლებლისა, რაღა თქმა უნდა – რამდე-ნიმე წლის წინათ თუ გაემგზავრებოდი, გორშიც ბევ-რნი გიწინამძღვრებდნენო, დიდებულადაც გიწინამ-ძღვრებდნენო: ანასტასია ერისთავ-ხოშტარიაო, სოფრომ მგალობლიშვილიო, ნიკო ლომოურიო, სხვაც ბევრი და მრავალნი, რომელთაგან ზოგი გარ-დაცვლილა, ზოგი მიწისძვრას აუყრია, ზოგიც თბი-ლისსა თუ ვინ უწყის, სად რას შეჰკედლებიაო, – ეს სინანული გამოჰყოლოდა; ჰო მაშ რაო, აქვე ერჩივნა მასპინძელიცა, წინამძღოლიცა, თანამგზავრიცა, მაგრამ ეგეც არაფერიო, მიჩაქჩაქებდნენ ცხენები, არ მიჰქროდნენ, მიჩაქჩაქებდნენ, მაინც მიატანდნენ მასპინძლამდისა, გორის იქითა, კარგა დაშორებითა, მერე რაო, მაინც მიატანდნენ, დღესვეო, ფიქრი არაა, დღესვეო, დააიმედებდა მეეტლეცა, აქეთ ამას დააიმედებდა, იქით დაუწრუპუნებდა მიჩაქჩაქე ცხე-ნებსა, ისე, უგერგილად დაუწრუპუნებდა, წესისა-

მებრა, თორემ განა თუ წააქეზებდა, – არ წააქეზებდა, არცთუ ისინი შეიპარტყუნებდნენ ყურებსა. ამას მაინცა, მოთმინება რო არა ჰყოფნიდა, ითმენდა მაინცა, ითმენდა და წამოსცდებოდა კრძალვითა, გაუბედავადა, მხოლოდ კითხვად თუ წამოსცდებოდა, როგორც რო ზრდილსა, რაღა თქმა უნდა: ვერ აჩქარდებიან ცოტა მეტადაო, – ასე კითხვად წამოსცდებოდა, და კითხვითავე მიუგებდა მეეტლეცა: თუ გაგიგია რასა ფასობდა ჩანახი ქერი ამ კვირია ბაზარზედაო, მიუგებდა და დაუწრუპუნებდა, აქეთაცაო, იქითაცაო. ცხენები ყურს მაინც არ შეიბერტყავდნენ. ამისი რა გითხრა, რო არ გაეგო, ჩანახი ქერი თუ რა ღირდა ბაზარზედაო. არც გაეგო და ვერც გაიგებდა, მხოლოდ სიმღერის ფასი იცოდა, ღირსება იცოდა, სიდიადე იცოდა მელოდიისა, ბაზრისა, არა, არაფერი არ იცოდა, არაფერი არ გაეგებოდა, ვერც მიუგებდა და უნდა ეჩაქჩაქა, ეჩაქჩაქა, რახან ვერაფერს მიუგებდა: აბა მაშ რაო, შეეკითხა კიდევ თუ წამოსცდებოდა, შეეკითხებოდა მეეტლეცა აგრეთვე, ბევრად უარესსაც შეეკითხებოდა, ვერც ვერას მიუგებდა მგზავრი ეგე თავაზიანი, არცთუ ცხენები აუჩქარებდნენ, არა, არა, არ დაიჯერო, თუმცა უწრუპუნებდა მეეტლეი ისევა, აქეზებდა თუ მღეროდა ასე, ვერ გაიგებდი და ვერც ამან გაიგო, თუმცა მოეჩვენა თითქოსა მღერისო, თითქოს წრუპწრუპშიც მელოდიააო;

ჰოდა ცხენები მიჩაქჩაქებდნენ, მიჯაყჯაყებდა ეტლი და მტვერი მისდევდა, მტვერი აგვისტოსი, ბუღიანი აგვისტოსი. ჯერ გორიდანვე აეკიდა მტვერი, იმ ერთადერთი მოკირწყლული ქუჩიდანვე წამოეკიდა, სამეფო ქუჩა რო ეწოდებოდა. შემდგომ – მეფის-

ნაცვლისა. მთავარმართებლისაო შემდგომა. თუ პირიქითაო. იყოს პირიქითა. ერობის სახელიც გამოიარა. იმატა და იმატა მერე და მერე, – მტვერმა ცხადია – მოუკირწყლავ ქუჩებში იმატა უფრო, ქალაქშივე რაღა თქმა უნდა, ხოლო იქ უკვე, სოფლის გზებზედა, – არც გაირჩეოდა თუ რა მიდიოდა თუ რა მიჩაქჩაქებდა გარდა მტვრისაო, – მტვერი მიგორავდა, მტვერი ვეებაი, აბმული კუდითა, ბორიაყი მიგორავდა, მკვრივი, თვალგაუვალი, მკვრივი გულშია, მოგუდული, ამოჭედილი, მერე აგრაგნილი, ამოხვეული, ნასკვგამოცლილი. მერე გაწენილი, მერე და მერე, გაწენილი და აბურბურებული, აბჭყვიალებული მზის გულზე ცხადია, ვარვარა მზისა. კაი გასაძლისი გახლდა, ფათერაკად ითქმოდა, აბა რაო, რა დაერქმეოდა, – სახიფათო მაინც იქნებოდა, სუნთქვა რო ჭირდა, თვალის გახელაც ვერა ხერხდებოდა, მტვერს ამოევსო წამწამები, ყელკისერიცა, ჯიბეუბეცა, ანთუ რას ჩამოვთვლი, მტვრადა ქცეულიყო, მტვრის გორგალადა – მოგზაური იგი; შეხანხალებაც ვერასა შველოდა, არ დაცვივოდა მტვერი ხანხალითა, შეკრულიყო, შეკუმშულიყო, გუნდაა თითქოსაო, გუნდაი თოვლისა, სადღაც მთიდან დაგორებული, რო აღივსება, გადიდდება, გაიბერება, გაფუვდება, მუჭისოდენა გორასავით რო წამოიმართება დაბლა, ტაფობზედა. ამასაც იგივეს თუ უქადდა მტვერი, ბორიაყი უქადდა იგივესა, ალბათ გორას თუ დაემგვანებოდა, მთას თუ არაო, ვიდრე მიაღწევდა ხევთისამდისა; ასე იქნებოდა, ეტლი თუ არ აჩქარდებოდა, თუ იჩაქჩაქებდნენ ცხენები ასე ნირუშლელადა თუ უწრუპუნებდა მეეტლეც ასე უგერგილოდა თუ ძარღვების ამშლელადა, ასეც იქნებოდა და ასედაც

გახლდა, რამეთუ ვერ ეთქვა მოგზაურსა მასა: ააჩქა-
რეო, რო ეთქვა პირიც ამოევსებოდა, მთლად პირის
უბე ამოეტენებოდა, მტვერითა ცხადია, თანაც მე-
ეტლე ფასსაცა ჰკითხავდა ქერისასა, ხოლო ამან ჰო
არ იცოდა, რა იყო ქერი, ვის რადა სჭირდებოდა, ან-
თუ რა ღირდა, ან რა უნდა ღირებულიყო, ან ამას რა-
ში გამოადგებოდა, რო გამომხრჩვალიყო მტვერში
ლამისა.

ის მაინც იკითხა, რა სოფელიაო, რო მიატანეს
ხელთუბანსა, მაშინ იკითხა. ამის პასუხად მაინც
აღარ ელოდა ქერსა, არა, არ ელოდა, თორემ ამასაც
არ იკითხავდა რაღა თქმა უნდა, უნდოდა ხევთისი
ყოფილიყო, ხევთისი, ხევთისი, მეტი არაფერი, უნ-
დოდა დახრჩობას გადარჩენოდა, მეტი არაფერი, მე-
ტი არაფერი, მაგრამ მეეტლეს მხოლოდ ქერი ეკერა
პირზე, ქერი ეკერა და ქერი მიაფრქვია მტვერთან
ერთადა: თუ იცი რა ღირდა ჩანახი ქერი ამ კვირიაო.
ლამის გაცხარდა მგზავრი იგი თავაზიანი, რო არ
ელოდა თვითონაცა, ისე ლამისა, ოღონდ პირი მაინც
ველარ გააღო, ჯერ იმ შეკითხვამაც ამოუვსო კბილე-
ბი, ტალახიც ველარ გაეფურთხებინა, რაღა თევზი
წყალშიო, რაღა კაცი მტვერშიო. ამასობაში გაიარეს
ხელთუბანიცა, რის გახსენებამ იქვე, თბილისში აა-
ძაგძაგა გიორგი ყანჩაველი, ააძაგძაგა და რო ვერ
დაცხრა, ვერ მოიბრუნა ენაცა კარგახანსა, თითქოს
ჩაუშეშდა, ენა ჩაუშეშდა და თითქოს ძაგძაგიც აღარ
მოეშვებაო; აძაგძაგებდა ბედისწერაი თედო რაზი-
კაშვილისა, ბედისწერაი იგი უწყალოი, გამოცხადე-
ბული სწორედ ამ სოფლადა, საზღაურად დიდი
ღვაწლისა, უებრო ღვაწლისა, უბადლო ღვაწლისა,
მაშინ თუ რაც შეიძლებოდა უბირ ხალხში თუ უბირ

სოფელში. თედო ყველას აჯობებდაო, – რო უძებნიდა დამხმარეებსა, მაშინ გაიხსენა გიორგიმა თედოი, – ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნიმუშები ამან გამოჩხრიკა, ხალხურ სიმღერებსაც ეს მოგაჩხრეკინებდა, ხალხურ მელოდიებსაც ეს მოგაჩხრეკინებდა ყველაზე უკეთო. აგერა აი, – თითი დაუდო რუკაზედა გორთან ახლოსა, – აი შეჰხე, ხელთუბანია, აქა ცხოვრობდაო, – თითი დაუდო და აუვარდა ის ძაგძაგიცა, მერე კარგახანს რო ვერ დაუცხრა.

ბიოგრაფოსებიც ვერ გაიხსენებენ ისე ადვილადა ი წყეულ სოფელსა, ბიოგრაფოსები თედო რაზიკაშვილისა, არც ყველაფერს გაიხსენებენ, უბრალოდ ჩასწერენ, გარდაიცვალაო. ცხოვრობდა და გარდაიცვალაო, ხელთუბანში გარდაიცვალაო. ვაგლახ!.. გარდაცვალებაცა თქმულა და გარდაცვალებაცა, უთანასწორო ბრძოლაცა თქმულა, ოღონდ ეს ეს გახლდა: ათნი რო დაესხნენ ერთსა, ათმა რო დასცა ერთი, ათმა რო დასცა და რო დასერა ათი ხანჯლითა, დასერა, დაღარა ყაშაყაშადა და ჩააყარა ნასერებში მარილი ათ-ათ მუჭადა. ძნელი სათქმელია. არც გაიხსენებენ ბიოგრაფოსები, არ გაიხსენებენ და უთქმელობაც დანაშაულია, – მერე რად არაო, რად არ გაიხსენებენო: შემზარავია და იმიტომაო, ველურობაა და იმიტომაო, – ვაგლახ რო არის!.. არის და რო არის, კაცთა სიშმაგეა, კაცთა ხელისაა, მხილება უნდა კაცთა სიშმაგესა, სივერაგესა კაცთა, მხილება უნდა, თორემ და ვაი, სიშმაგენი გაუმხელელნი საბუდარია ახალახალ ბოროტებათაო; ასე ყოფილა, ასე, ასე... და თუ იკითხავ, რას ერჩოდნენო, რა გითხრა აბა!.. მეც ამას ვიკითხავ და ვიკითხოთ ერთადა: თუ რას ერჩოდნენ ფუტკარივით ადამიან-

სა, სნორედაც რო ფუტკარივითა, მასწავლებელსა სოფლისასა, მკვლევარსა ხალხური საგანძურისა, მკვლევარსა და შემგროვებელსა, მწერალსა, მეურნესა საუკეთესოსა, სანიმუშოსა, ქომაგსა სოფლისა, ქომაგსა სუსტთა, დაჩაგრულთა ქომაგსა?.. ერთად ვიკითხოთ და პასუხიც ერთად ამოგვიჩნდება, აქ ამოგვიჩნდება, სნორედ რო აქა: ქომაგსაო დაჩაგრულთაო, – აქაა ყველაფერი, აქ იყრის თავსა სიავე კაცთა; ქომაგი იყო და გამოექომაგა თავის მეზობლებსა, ფალელაშვილები რო ავიწროებდნენ, – თავხედნი, კადნიერნი, ქურდნი, მტაცებელნი, ძალაც რო მოსდევდათ და ბარაქა მაინც არა, დოვლათი დოვლათად რო ვერ დაედოთ; გამოექომაგა და მიუზღეს კიდეცა, ვაზი აუჩეხეს, ბაღი აუჩეხეს, დაუნელეს ფუტკარი, ღამითა, ჩუმადა, ქურდულადა, დღისით რო მაინც ვერ შეჰბედავდნენ, თუმც რო ერთი გახლდა რაზიკაშვილი, თუმც რო ბევრნი გახლდნენ ფალელაშვილები, ჯერ ვერ შეჰბედავდნენ და მერე შეჰბედავდნენ, რო გაიგეს თაფლის გემოო, – დალეწდნენ სკებსა, გაგლეჯდნენ ფიჭებსა, ჩაკვერცხილ ფიჭებსა, ჩაბარტყულ ფიჭებსა, გაგლეჯდნენ და თქვლეშდნენ, ტუჩზე აესხმოდათ კვერცხი და მატლი, მოილოკავდნენ მატლიან ტუჩებსა, ტკბილი რო იყო, მოილოკავდნენ, დაეხვეოდა ფუტკარიცა გაავებული, სანსლავდნენ ფუტკარსაცა, მიისრესავდნენ ლოყებზედა, ტუჩებზედაცა, და არც გადააგდებდნენ, გადაუძახებდნენ იმასაც პირშია, ისრიმსაც პირში გადაუძახებდნენ, ვენახს რო ასჩეხდნენ, კუხე ვაშლსაცა, კუხე მსხალსაცა, კუხე ატამსაცა, ამოსძახოდათ მუცელი ასე, ჩანთქავდნენ და ვერ გაავსებდნენ; არ დაუთმობდა თედოი ცხადია, კომბლი-

ანს კომბლით გაეკიდებოდა, ხანჯლიანს ხანჯლით გადაუდგებოდა გოგოთურების კუთხიდან მოსული, დაქცეულს ისევ გაახარებდა, დაჩაგრულს ისევ დაიფარავდა, ვიდრე არ დაესხნენ ათნი ერთადა, ვიდრე არ დასერეს, ვიდრე არ აწამეს; და იცი, პასუხიც რო არ უგიათ? თვითონვე უჩივლეს, შემონახულა ეს საჩივარიცა: „ეწეოდა მტრულ პროპაგანდასა. აგროვებდა ახალგაზრდებსა კასრაძესთან გასაგზავნადა...“ შემონახულა, საშიში გახლდათ და მოვიშორეთო, მოწმებიც ეშოვნათ, დაემტკიცებინათ სასამართლოშიცა. ბიოგრაფოსები არ გაიხსენებენ, გვერდს აუვლიან ყოველივესა, გარდაიცვალაო, – თავდება კაცი და თავდება ყველაფერი იმასთან ერთადა, რაც რო იყო და რაც რო მეორდება, თუნდაც ის ავი საქციელი: შურისძიება ვაზის აჩეხვითა, ხილის აჩეხვითა, დღესაც მოსდგამთ ხელთუბანშიო; ბიოგრაფოსები არ გაიხსენებენ და მითუმეტეს მაშინ უფრო გასძნელებოდა გიორგი ყანჩაველსა, ჯერ მიწაც რო არ გაციებულიყო, – აი აქაა, გორთან ახლოსაო.

დარქმევია რო ხელთუბანიო – გიორგიმა – ხელთაგან არც არაფერი არ გაგიკვირდებაო. ოღონდ ახლა რო მთლად ქვეყანა გახელებულაო. და მიაჩერდა და მიაჩერდა...

ასე ახლოსაო ესეიგი – ამას ეგონა, დიდიხანია მივემგზავრები, ფათერაკებიც გადავიტანეო, ანთუ ვერაო, ვერც გადავიტანო, ისეთი მტვერი შემოჰხვეოდა; ბორიაყი გადაჰხვეოდა, ისე, იმგვარადა, დახრჩობას რო აღარა უკლდა, ჰოდა იყვირა, გააჩერეო, თითქოს და მართლაც აი იხრჩობაო, ისე იყვირა, ოღონდ ეტყობა გონებაში ქერიც გასჭედოდა და ისე გასჭედოდა, შეშინდა კიდევაცა, ემანდ არა მკითხოს

ქერის ფასი ამ კვირისაო. აღარ რო უკითხავს, ისე გაა-ჩერა მეეტლემა რაღა თქმა უნდა, წრუპუნიც შეს-წყვიტა, დადგნენ ცხენებიცა; ცხენები დადგნენ, მტვერი მაინც დიდხანს ეხვიათ, სქელი, გრაგნილი, გაუვალი მტვერი, მტვერი და ქარი, კუდიანი ქარი ეხ-ვიათ და ეხვეოდა კიდევ და კიდევა, თითქოს გაცლაც რო არ ენება, ოლონდ და მაინც ენება თუ არ ენებაო, იფშხვნებოდა მაინცა, იმსხვრეოდა, იწეწებოდა, მი-ლივლივებდა ზევითზევითა, ზევით ენება, დედამიწა აღარ ეჭაშნიკებოდა ავარდნილსა დედამიწიდანა, – მაინც მიწას დაეფინებოდა, დედამიწასა, დაწკნებო-და და დაეფინებოდა; დაწკნებოდაო რაღა თქმა უნ-და, ოლონდ მანამდე, ჯერ ისევ მტვერში, ტირიფი შე-ნიშნა თუ მოელანდა მოგზაურსა, შენიშნა რუცა, რუი მოწანწკარე, დამტვერილ ბალახებში, – თუმცა დამტვერილი სულ სხვა რამეა, აქ ასე სჯობიან, მტვრით დამძიმებულ ბალახებშიო, სჯობიან და იყოს, რუ ჰო შენიშნა თუ მოელანდა, – არც დაიჯერა, ვერც დაითმინა, მაინც წავიდა, წაინია მაინცა, მიუ-ახლოვდა, მიეპარა, მიეპარა და რო მიეპარა და რო წაიხარა და რო გასტყორცნა თითებიცა, ატაკა წყალსა, ნამდვილად წყალსა, ნამდვილად წყალში გა-ალაღლაღა ხელი მაჯამდისა, და ისხურა მერე, ისხუ-რა ხარბადა, მოჩქარებითა, თვალებზეც ისხურა, ყუ-რებშიც ისხურა, ცოცხალი თუ გადავრჩენილვარ, ნუმც დავბრმავდები, ნუმც დავყრუვდებიო; ჰოდა ისხურა, ისხურა და ისხურა, გამოიჩიჩქნა ყურებიცა, აახილა თვალებიცა და იხილა იგი, რაც არ უნდა ეხი-ლა, ანთუ ვინც არ უნდა ეხილა თუ ენება, რო არ ას-ცდენოდა გზასა თავისასა, მისწრაფებასა თავისასა, მიზანსა თავისასა, მაგრამ ვინ უწყის განგება თუ ვის

რას უქადის, როცა სიკეთეს უმოძღვრებს გული, კეთილი გული, როცა სიკეთეს უკარნახებს ყველაი, გარშემო, და არც რო არ ძალუძს, აუქციოს გვერდი სიკეთესა, ქმნა სიკეთისა ადვილი რო ჰგონია, – ჰო ვინ უწყისო!.. თუმცა იხილაო, არა?.. ჰოდა იხილა: რუში კაცი ეგდო... კაცი ეგდო რუში... ეგდო რუში კაცი, მართალი კაცი, ანთუ უფრო – მართლა კაცი, ეს უფრო სწორეა, კაცი, – არა თუ მოჩვენება, არა თუ ფუტურო, ხეი ფუტუროი, არა თუ ფიტული, კინოგადაღებისათვის რო მიაგდებენ ხოლმე, არამედ კაცი, ბეჭებით რუში, თავი იქით რო გადაეგდო, რუს იქითა, მადლობა ღმერთსა, ფეხები აქეთ რო აეშვირა, ისე, იმგვარადა, მგზავრი რო ლამის ჭვინტებზე აეგო, იმის ჭვინტებზედა, – რო გამოიფხიკა ყურები, რო გამოიწმინდა თვალები; ეგდო და ეყარა მტვერი, სქლად ეყარა და კიდევ ეყრებოდა, დაიმარხებოდა ალბათ ეგრედაცა, ოღონდ ესაა, წყალი გააცლიდა, წყალი ლოკავდა, გუბედ მოსდგომოდა და ლოკავდა წყალი; მკვდარი გახლდა თუ ცოცხალი ბრძანდებოდა, არ ეტყობოდა, ანთუ ვინ იცის, ეტყობოდა მაინცა, ეს მაინც ვერა, ვერ შეატყობდა რაღა თქმა უნდა, ეს შეიცხადებდა, შეჰკივლებდა მაინცა თუ არ გაუსკდებოდა გული მოულოდნელობისაგანა, თავზარი თუ არ დაეცემოდა, მაგრამ გადარჩა, ყველაფერს გადარჩა, შეკივლებასაცა, გულის გახეთქვასაცა, თავზარის დაცემასაცა, თავშეკავებასაც რო ითვალისწინებდა წესნი ზრდილობისანი და იმიტომაცა, მარტოც რო არ გახლდა, ხოლო ის რო გულგრილად გადაჰყურებდა, მეეტლეი ცხადია, იმიტომა, აინუნში არ ჩააგდებდა, არც მიჰხედავდა დაკვირვებითა, იმიტომა, თითქოს თუ მართლა ფუტურო ეგდო, ანთუ

კუნძიო, კუნძი თუ ეგდო, კაცის მინამგვანი, ამას ცოცხალი კაცი რო ეგონა; ამან დააეჭვა, გულგრილობამა მეეტლისამა, შეყოყმანდა თითქოს კიდეცა, ოლონდ ამასთან კიდევაც წააქეზა, წააქეზა გულგრილობამა, და თავი გამოიდო, სწორედ ამიტომ გამოიდო თავი;

თავი გამოიდო და იხსნა კაცი, არა თუ კუნძი, არა თუ ფიტული, გადაარჩინა კაცი სიკვდილსა და ფათერაკებში ამოჰყო თავი, უნებლიედა, რაღა თქმა უნდა, გაუგებრადა, გაურკვევლადა, გამოიხლართა უცნაურობაში, გამოიხლართა და ვერას მიჰხვდა, მოგზაურობასა სცოდნია ასეო, ანთუ ყოფილან ასეთგვარი მოგზაურნიცაო. დაარსებულა სიაი ვრცელი მოგზაურებისა, გრძელი სიაი, ესეც თუ უნდა მიჰკერებოდა იმა სიასა, ბედისწერა თუ ამას უქადდა, ვერც წაუვიდოდა ბედისწერასა... და ბევრი უშალა მეეტლემა, დაეხსენიო, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდებაო, სიკეთეს მაინც ნუ ელოდები, უშალა, შეაგონა ასე, ამგვარადა, მაგრამ ვერ იქნა, ვერ შეაგონა, ისე დაფაცურდა, ისე აღეგზნო თუ გონება ისე აერია, მოიცა ღონეი უჩვეულოი, ამა ახალმა მოგზაურმა რაღა თქმა უნდა, მარტომ მიათრია ი კაცი ეტლთანა, მარტომ აათრია, დაასვენა თუ შედო ეტლშია, შედო და შევარდა თვითონაცა ცხადია, შევარდა და ბრძანა უჩვეულო სიმტკიცითა, – აბა გარეკე, არწივის ფრთები გამოისხიო.

ჰოდა გარეკა მეეტლემაცა, ანთუ ნელნელა მოზიდა აღვირი, დაუწრუპუნა და მტვერი წამოშალა, ააბორიაყა, წავიდა, გაგორდა ბორიაყითა. ასე იარეს და ივლიდნენ ასე, მგზავრის აჩქარება არ გადაედებოდათ არცა ცხენებსა, არცა პატრონსა, გამოცდი-

ლიყვნენ, გამოჯეკილიყვნენ შარა გზებზედა, გამოცდილიყვნენ და ღრმადა სჯეროდათ, მგზავრის სწრაფვამ თუ აგიყოლია, სადმე უთუოდ გადაიჩეხებიო; მეეტლე თავს ვერ გაიმეტებდა, ვერცა ცხენები გაიმეტებდნენ თავსა ადვილადა, ვიდოდნენ ასე გამოზომითა, დალევდნენ გზასა როცა იქნებოდა; თუმცა არცა რო დაილეოდა გზაი ამათი, უნდა ევლოთ, ევლოთ და ევლოთ გაუთავებლადა, იგივე გზანი გადაეკეცათ უამრავჯერა, უთვალავჯერა, ევლოთ სურვილზე სხვათა და სხვათა, და ჯავრი რითი ამოეყარათ თუ არა მართლა ასე ჩაქჩაქითა, მტვერი რო მისდევდა, ბორიაყი გარს ეხვეოდა, ეგრიხებოდა, ეკლაკნებოდა, იყალყებოდა ზევით-ზევითა, იწეწებოდა, იფუტკნებოდა ზევითა და კიდევ ზევითა, ბრჭყვიალებდა მხურვალე მზეზე უფროდაუფრო ზევით-ზევითა; ეტლი ირწეოდა, ღრჭიალებდა ეტლი, ღრიჭინებდა ეტლი, ლამის წელში გადაწყდებაო, ეტლი ირწეოდა, ირწეოდა ი ვიღაც კაციცა, რაღაც ფათერაკი რო გამოევლო, ანთუ ვინ უწყის ვერც გამოევლო, – იყო და არ იყო: გულისპირი დასისხლიანებოდა, ჩამოჰხეოდა სახელოი ცალი, შემოფხრეწოდა ორივ კალთა ახალუხისა, სახე ისე გასწორებოდა, ვერ გაარჩევდი, სად ება ცხვირი, სად თვალნი ესხა; წვერულვაში მიმოსჩეჩოდა, ამოფუებოდა ტუჩები დახლეჩილი, დასიებული თუ დაპობილი, – ამა სოფლისა აღარ არისო, იტყოდა მგზავრი, იგივე მგზავრი რაღა თქმა უნდა, იტყოდა და შეშინდებოდა, ოღონდ სურვილიც წამოუვლიდა, გადაერჩინა, მხსნელი ყოფილიყო, ეს სურვილი გაამხნევებდა, წააქეზებდა, მიანიჭებდა იმედოვნებასა, ჯერ რო თვითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა, უცნობთან მიდიო-

და, ეს ვიღა იყო, ვისთან მიჰყავდა: რაც უნდა იყოს, წამოეშლებოდა წარმოსახვანი, წარმოიდგენდა ფათერაკებსა, ვითომ ამ ვაჟკაცს რო გამოევლო, რო იქ ელოდნენ, ციხედარბაზში, ბანოვანნი ელოდნენ გულისფანცქალითა, აივანზე რო გამოიშლებოდნენ, რო ეგონებოდათ, მკვდარს მოასვენებენო, ეგონებოდათ და შესძრავდათ ზარი, ზარსაც შემოჰკრავდნენ სამგლოვიაროსა; ასე, ამგვარებს წარმოიდგენდა, ფანტაზია რო მომართოდა ასე, ხოლო იმას ვერ მიჰხვდებოდა, რო არც ბრძოლა რო არ გამოევლო, არც რო სატრფოს არსად გაეგზავნა, ახირებულიყო სადღაც სიმთვრალეში, ახირებულიყო და მიეტყიპათ, ასე კაა ლაზათიანადა, ასე უბრალოდა და ჩვეულებისამებრა; ვერ მიჰხვდებოდა და უნდა მიმხვდარიყო, რაღაც სუნი რო აეკიდა, მისდევდა ეტლსა, მისდევდა და ბრუნავდა მტვერში, ბორიაყთან ერთადა ბრუნავდა, სუნი ღვინისა, სუნი, არყისა, საჭმელ-სასმელის ალუფხული სუნი, – ყნოსვა კარგი ჰქონდა, უნდა მიმხვდარიყო, მაგრამ მტვერშიც რო ალუფხულიყო, ვერ გამოარჩევდა ერთმანეთისგანა; ან ყურადღებასაც არ მიაქცევდა, რახან მხოლოდ ზრუნვას მოეცვა, გადაერჩინა ვაჟკაცი იგი ბრძოლაში დაჭრილი, უთანასწორო ბრძოლაში დაჭრილი, მძიმედ დაჭრილი რაღა თქმა უნდა, ზრუნვა ექიმს მოაგონებდა და იღბლად სწორედაც გზა იქით ედო, ხეთერელისკენა, დიახაც ექიმ ხეთერელისკენა, უბეშიც ედო ბარათი გიორგი ყანჩაველისა, ექიმ ხეთერელს რო შაევედრებოდა, – მიიღიე ვითარცა მე მიგიღივარ, აღმოუჩინე შემწეობა ყოველი, ვითომც რო მე ვარ, ვითომც მე რო შემწევიხარო, – სწერდა გიორგი; უბე-ჩანთაში ელაგა სხვანიცა, წე-

რილნი სხვანი, ისევ გიორგი ყანჩაველისა, ერისთა-
ვებისადმი, ამილახვრებისადმი, მაჩაბლებისადმი,
ჩხეიძეებისადმი, ზედგინიძეთადმი, ამირეჯიბთად-
მი, ფალავანდიშვილებისადმი, ბაგრატიონ-დავი-
თაშვილებისადმი, ციციშვილებისადმი, მამაცაშვი-
ლებისადმი, სხვათადმი კიდევა, სხვათა და სხვა-
თადმი, აბა თქვენ იცით, ვით დამეხმარებით, ანთუ
ამ ყმაწვილს ვითარ რო არგებთ, განახორციელოს
მიზანი კეთილი, კეთილშობილური, მამულიშვილუ-
რიო; ჰო ეწყომეთქი ის ბარათები, თანდათანობით
გამოადგებოდა, გამოაჩენდა თანდათანობითა, პირ-
ველად იგი მოემარჯვებინა, იგი ბარათი ხეთერელი-
სადმი და წერა თუ იყო, ბედისწერა იყო, ალბათ დაჭ-
რილს რო უნდა გადაჰყროდა, უნდა აეყვანა, უნდა
მიეგვარა ექიმისათვის; ასე განარიგა ალბათ გამრი-
გემა, შეჰყარა ორი უცხო კაცი, უცხოი ცხადია ერ-
თმანეთისთვისა, ერთი დაჭრილი, მეორე მზრუნვე-
ლი, მხურვალე მზრუნველი, თითქოს საკუთარ ძმას
გადაჰყროდეს, ანთუ ძმადნაფიცსა, ანთუ რაინდსა
იმავე ორდენისა, – მგზავრის ბედიც ასეთი ყოფილა,
ვილაცა ვილაცას რო გადაჰკიდებს, ფათერაკებიც
ამით იწყებაო. მაგრამ ნიკუშას, ანუ ამასა, ამ ახალ-
ბედა მოგზაურსა რაღა თქმა უნდა, – ეს არ აფიქ-
რებდა, არ მოეჩვენებოდა ავი არაფერი, პირიქით
ნუგეში გაამხნევებდა, რო მიეშურებოდა ხეთერელ-
თანა, ხეთერელი რო ექიმი გახლდა;

მიეშურებოდა... აჩქარდნენ ცხენები შუა სო-
ფელში, თავმომწონედ გაიჯირითეს, ვითომდა რაო,
ასე გამოვვლეთ მთელი ეს გზაი გორიდან აქამდე,
ასე მოვქრივართ და მოგვიხარიანო – რიხიანად ჩა-
იფრუტუნეს, შეგრიალდნენ ალაყაფის კარებში.+

II

ალაყაფის კარად ითქმოდა ანუ ალაყაფის კარი უნდა ყოფილიყო, ცალი კალთა ცალ ანჯამაზელა ეკიდა და გზაზე გადაყირავებულიყო, გავლას უშლიდა, – ურემი ურემს ვერ აუქცევდა, მაინც არავინ ასწორებდა, პატრონიდედის საგინებლად საბაბი რო არ გამოლეოდათ; მეორე კალთისა ნახევარი აქვე ჩაეფშხვნათ და ზედ გადადიოდნენ, ნახევარიც ვიღაცას წაელო, სათონესთვის წაეფარებინა. გალავანიც გადაენგრიათ, ქვები მოღავებულიყო გზაზეცა, ეზოშიცა. ასწლოვანი კაკლები მიმოეჩეხათ, ზოგისთვის ეგრევე მიეცათ ცეცხლი, იდგნენ გარუჯულნი, გაშავებულნი, დანახშირებულნი, აუზის ამურისათვის თავი მოეძროთ, მოელეწათ მკლავებიცა, ფრთებიცა. ეზოში ეყარა ნალეწები, – რა აღარ ეყარა; ყვავილნარი ალუფხულიყო, გადაჯეგილიყო ვარდისა თუ იასამნის ბუჩქები, ტუიის ხეივნისა ნაადგილარიც ვეღარ მოიძებნებოდა. შელანძღულიყო კარმიდამო ხეთერელებისა, თვით სასახლეც შელანძღულიყო, გამოიყურებოდა როგორღაც ნაცემივითა, ნათეთქვივითა, დარბეულიყო, ფეხქვეშამოდებულიყო.

ამას არაფერი გაჰკვირვებია ან არც შეუმჩნევია არაფერი, ან რა უნდა გაჰკვირვებოდა, როცა არ იცოდა, თუ როგორი იყო აქაობაი. თუნდაც სცოდნოდა, არას დაგიდევდათ, – რამ გააპარტახაო, ამდენ ნაწილად ვერ დაიშლებოდა ამისი ყურადღება, ვერ გასწვდებოდა რამდენიმესა თუ ყველაფერსა, ამჯერად მხოლოდ ექიმი უნდოდა, მეტი არაფერი ახსოვდა, არც მოაგონდებოდა, მერე ექიმს რო გა-

დაეყრებოდა, ისიც ამოუტივტივდებოდა გონებაში, თუ რად უნდოდა ექიმი; ჰო მერეღა ამოუტივტივდებოდა, ის ფათერაკგამოვლილი კაცი, თუმცა გვერდით უჯდა თუ მიჰსვენებოდა, მაინც გადასცილდებოდა ხსოვნიდანა, მიჰფარებოდა თვალთაგანა. ექიმი უნდოდა, მაგრამ არა სჩანდა ექიმი, სულიერი არა ჭაჭანებდა, რა ეღონა, არ იცოდა, ისევ მეეტლე წამოეშველა, – გასამხნევებლად არაფერი უთქვამს, – ისევე უჟმურად შემოატრიალა ცხენები, გარს შემოუარა შელანძღულ სასახლესა და ვიწრო, ძველ სამოახლო შესასვლელთან შეაჩერა. შეაჩერა და ყვირილიც მოისმა. ეს უბრალო ყვირილი არ იყო; არც შეიძლება ყვირილი უბრალო რო იყოს, რაღაცა აყვირებთ, ან ტკივილიაო, ან უხმობენო, ან იმუქრებიანო, – ეს არა ჰგავდა არცა ტკივილისასა, არცა ხმობისასა, მუქარასა ჰგავდა, მუქარა მოინევდა, სადაცაა ჩამოიჭრებოდა, ეცემოდა და აიტაცებდა ეტლსა ცხენიან კაციანადა. თითქოს შეირხა ის ფათერაკგამოვლილი თუ სამარის კარს მისულიო, თვალი მაინც არ გაუხელია, თითქოს უფრო მოხუჭა, მოხუჭა ძალდაძალა მოიბუზა, მიიკუნჭა კუთხეში. აქამდის თუ ვაუკაცურად მისვენებულიყო, გადაშოტილიყო დაჭრილი რაინდივითა, ახლა რაღაც საცოდავ უსასო არსებას დამგვანებოდა. ნიკუშას ამდენი არ შეუმჩნევია, არც მუქარისათვის მიუქცევია ყურადღებაი, ექიმი უნდოდა, ჯერ ექიმს უნდა შეეხვედროდა, სხვა დანარჩენი უცხო რამ იყო, გარეგანი, შორეული, მიუსაფარი.

ექიმი უნდოდა და ექიმი ჩამოეგება, თუმცა ექიმად არ მიუღია, – უბრალო, ლურჯი ხალათ-შარვალი ემოსა, ნაბდის ქუდი ეხურა, სახეც გარუჯოდა, ნამ-

დვილი გლეხი გახლდათ, არაფერი შეემჩნეოდა განსხვავებული ერთი თვალის დაკვრითა, მხოლოდ ერთი თვალის დაკვრითა, თუ ცოტასაც დააკვირდებოდი, კეთილშობილებისა და განსწავლულობის იერი ამოეფინებოდა სახეზე, თვალს თუ გაგისწორებდა, გონიერებასაც ამოიკითხავდი, მაგრამ არ შეეძლო გასწორება თვალისა, ჭუტავდა თვალებსა, წურავდა, ეგრე გამოიცქირებოდა ვიწრო ზოლადა ახლომხედველთა თუ ბეცთა ჩვეულებისამებრა. ჰო ექიმად არ მიუღია მგზავრსა, მაგრამ ძლივს ვიღაც შეეგება და თუ რამე ეთქმოდა, უნდა ეთქვა იმისთვისა, ჰოდა კიდევაც უთხრა:

ექიმი მინდოდაო...

– გახლავართ... – მიუგო მიმგებელმა.

– ელიზბარ ხეთერელი!

– გახლავართ...

– მე ბატონ გიორგისგანა ვარ, გიორგი ყანჩაველისაგანა...

და აქ ფანჯრებმა დაიზრიალა, იქ, შიგნით კიდევ ვიღაცა ჰყვიროდა თუ რაღაცა გუგუნებდა, ვიღაცაც ამშვიდებდა თუ იცინოდა გულიანადა.

– გადმობრძანდით! – მხურვალედ დაატანა ექიმმა, ხელიც გაიწოდა, თითქოს და რაო, აჩქარდიო.

– მერე ესა?! – შეწუხდა მგზავრი, ვითომ და რაო, ჯერ ესაა ჩემი საზრუნავიო.

– თქვენ გადმობრძანდითმეთქი... – მოუჭრა ექიმმა, ახლა მე ვიცი, ახლა ჩემი საზრუნავიაო.

და გადმობრძანდა მოგზაურიცა, გადმობრძანდა დამშვიდებული, დაწყნარებული, ვალმოხდილი, ვითომ ფათერაკგამოვლილიცა, ან შესაძლოა, მართლაც ფათერაკგამოვლილიცა, ჰოდა, მართლაცა, –

ამისთვის უთუოდ ფათერაკი გახლდათ, არც მოელოდა მეტსა, ამითიც ბევრს იტრაბახებდა, დაუბრუნდებოდა თუ არა თბილისსა, მაგრამ რა ეწერა, ჯერ რა იცოდა, – ჯერ მხოლოდ კიბეზე შედგა ფეხი თავის ბარგი-ბარხანიანადა, ეტლისთვის აღარ მიუდევნებია თვალი, აივანზე ავიდა. იქ სხვები გამოჩნდნენ, იმათ მოსტაცეს თვალიცა და ყურადღებაცა, – ორნი გამოჩნდნენ, ქალი და კაცი – მრისხანე არწივისებურიო, რო იტყვიან, ისე მოღუშული და მოზიდული, ქალი კეთილად მოცინარი, წინ წამომდგარი მისაგებებლადა, ჰოდა, იმათ მოსტაცეს თვალი, ცოტა არ იყოს, აამღვრიეს თუ ააფორიაქეს იმავე ნუთსა, რამეთუ არ უწყოდა: თუ გაიბადრებოდა ამა კეთილად მოღიმარისათვისა, იმ რისხვისათვის რაღა მიეზღო, ჰო, არ უწყოდა და მოიშველია ისევ სახელი გიორგი ყანჩაველისა.

– მობრძანდით!.. მობრძანდით!.. მხურვალედ დაატანა ქალმა, – უკვე გვეუწყა და მოხარულნი ვართო.

– ოღონდ ეგ საიდანღა?! – იკითხა მოღუშულმა კაცმა და, რო იკითხა, თითქოს ელვამაც გაუკანრა სახეო.

ვერას მიუხვდა მოგზაური, მარტოდენ თავის ბარგი-ბარხანას დააცეცა თვალი, ეგრედაც შერჩა ასუსული ჩანთებიანადა.

– ჰა, ჰა, ჰა... – ჩაიცინა ქალმა, – ლეკო თათაშელზე გეკითხებათ!.. – ჩაიცინა და ასე აუხსნა, თუმცა ვერცთუ ვერაფერი გააგებინა, ანთუ საჭიროც აღარცთუ იყო, რამეთუ ისიც იქვე დასძინა, მობრძანდით, მობრძანდითო, სხვა რამ მართლაც რო აღარ ესაჭიროებოდა მოგზაურსა.

ჰო მობრძანდითო, სთხოვა სტუმართმოყვარული გატაცებითა, ხოლო ამან კიბე აათავა თუ არა, იქვე დაება ფეხი, ჩანთა-აბგები მიჰყარა და აიწურა, ე რა დამმართნია, რასა ვგევარ, როგორ ამოვგანგლულვარო. პირი მოკუმა, ისე გამოთქვამდა აწურული მხრებითა, დარცხვენილი, მობოდიშო, გაკვირვებული გამომეტყველებითა. ქალსაც ოდნავ გამოეშალა ხელები უმწეობისა თუ უსასოობის ნიშნადა, აბა რა ვუყოთ, რა გიშველოთ, საით მიგასწავლოთო, აღარაფერი შეგვარჩინეს, ეს სამოახლოლა მოგვიგდესო, ისიც სულ არაო, გადაგვიტიხრეს, ჩვენი საძინებელი და ერთი უხეირო მისაღები ძლივს გამოვაწყვეთო, ერთიც პატარა ოთახი გამოგვივიდა, სასტუმროსავითაა, ახლა ჩემი მაზლი იძინებს იქა, შენც იქ როგორმე ჩაგტევთ, სხვა მხრივ შენ თვითვე მოუარე შენს თავსაო, აგერა ეზო და აგერა რუო, თუმცა ეზოსი ეს პატარა კუნჭულიღა მოგვიგდეს, მაგრამ დანარჩენი ისე გდია, ვისაც როგორ მოენებება, ისე დაჯლიგინებს, შენც მოგიხერხდება მტვერი თუ ტალახი მოიცილოო, – ასე გამოშვერილიყო ხელები, თითებიც ირხეოდა ოდნავადა, სულ ოდნავადა, მაინც ამოიკითხებოდა ამდენი რამეი; ამოიკითხებოდა თუ არა, მასპინძელმა ეს გაივლო გულში, სტუმარიც მიხვდა მისახვედრელსა, მოჩქარებით გახსნა ერთი ჩანთაო, ჯაგრისი და სხვა საჭირო საშუალებანი ამოალაგა, კიბე ჩაირბინა ბოდიშობითა, რუს მიაშურა.

ჰო, ამან რუს მიაშურაო, ხოლო ის მოღუშული თუ მრისხანე სახის მამაკაცი მანამდის მიეფარა, ბურდღუნით შეიხურა კარი, ალბათ იმ პატარა ოთახის კარი, სასტუმროდ რო დაეგდოთ და ესეც როგორმე იქვე რო უნდა ჩაეტიათ. მგზავრი უნდა შეწუხებულიყო,

რა გამაძლებინებს ამ გაბრაზებულსა თუ აბორგებულ კაცთანაო, მაგრამ არ იცოდა წინასწარი შეღონება თუ წუხილი, სხვა არც არაფერი ახსოვდა, უნდა გაეწმინდა კოსტუმი, დაებანა, დაევარცხნა, განკეპილიყო ისე, გინგლი აღარ მიჰკარებოდა და წარმდგარიყო მასპინძელთა წინაშე კომპოზიტორი ნიკუშა ჩაჩანელი, მოწაფე და მეგობარი სახელგანთქმული კომპოზიტორის გიორგი ყანჩაველისა: მართალია, თვითონ ჯერ არაფრით გამოეჩინა თავი, ჯერ მხოლოდ გიორგი ყანჩაველმა და ორიოდე სხვამ თუ იცოდა ამისი ერთი-ორი მუსიკალური ნაწარმოები თუ რაღაც დიდი რამ განზრახვის ნაწყვეტი, მაგრამ ეს არაფერი, ჯერ გიორგი ყანჩაველის ქომაგობაც ეყოფოდა, ხოლო მერე, ამ მოგზაურობის მოთავების შემდეგ, თვითონ იცოდა, როგორ გაითქვამდა სახელსა, ბარე ერთსა და ორს გაუთქვამს სახელი, ბარე ერთსა და ორს გამოსდგომია ხალხური მუსიკალური საუნჯე, ამასაც შეენევა, ამასაც გამოადგება, გამოიყვანს დიდ ასპარეზზედა. შესტრფის ამ იმედსა, ელოლიავება, ოღონდ არ გაამხელს, ჯერ არ გაამხელს, თვით გიორგისთვისაც არ გაუმხელია, ჯერ მხოლოდ მოტრფიალეა უბადლო ხალხური სიმღერებისა, შემგროვებელია, მეტი არაფერი, მოტრფიალეა და შემგროვებელი. პატარა რამეა? არა, რა სათქმელია, დიდი რამეა, მაგრამ სხვა, ფარული მიზანი რო უდევს გულში, იმასთან უაღრესი მოკრძალებაა, არა?..

მოკრძალება ამშვენებს ადამიანსო, ჰოდა, წარუდგა დამშვენებული, განსპეტაკებული, ესა და ეს გახლავართო; ჩვენც ესა და ესენი გახლავართო: ძმა ელიზბარ ხეთერელისა, შალვა ხეთერელი ანუ ელიზბარი გახლავთ ჩემი ძმაი, რადგან უფროსი მე გახლა-

ვართო: რძალი ჩემი თეკლა ანუ მეუღლე ელიზბარ ხეთერელისაო; კეთილი და პატიოსანიო. ეს რა თქმა უნდა მისაღებში მოხდა. ორი სავარძელი რო იდგა მისაღებში, ერთი ტახტი, არცთუ ძვირფასი ხალიჩითა, რამდენიმე ჩალის სკამი, ამ სკამებში თავიანთი საძინებლისაც ერია, სტუმართა მოსასვენებლისაცა, ჯერ აქ რო გამოეტანათ, მერე ისევ იქ გაიტანდნენ. მაგიდაც იდგა, ქაღალდის სათამაშო, ეს გახლდათ ერთადერთი ძვირფასი და საუცხოო რამ, იქიდან როგორ გამოეტანებინათ, საკვირველებად ითქმოდა, თუმცა გატანას ყოველთვის მოახერხებდნენ, ყოველშემთხვევაში ჯერ იქ იდგა, თამბაქოს კოლოფი გადაეხსნა შალვასა, ინებეთო სთავაზობდა.

– არ გეახლებით. – განაცხადა სტუმარმა.

– არც ღვინოსა სვამ?

– რა მოგახსენოთ,.. არ ვეტანები.

– მაშ სად გადაეყარე ლეკო თათაშელსა?!

– ვისაო, არ ვიცი!..

– ლეკოსამეთქი...

– ვინ ლეკოსა?!

– ემაგ ქოფაკსა!.. – მოეწონა, ქოფაკი რო წამოისროლა და გადაიხარხარა; ჰა, ჰა, ჰაო. გადაიხარხარა ასე უეცრადა, უეცრადაც მოსჭრა სიცილი, – ჰო არაფერი გეწყინათ ბატონო ნიკოლოზ?! – იკითხა მერე ცოტა არ იყოს, მობოდიშებითა.

– უკაცრავად, ნიკოლოზი არ მქვიან.

– თქვენ არ ბრძანეთ, ნიკუშა ვარო! – გაიოცა შალვამა, – ნათლობის სახელი ნიკოლოზი იქნება, მაშ რაო?!

– ნათლობისად ესტატე მქვიან, მაგრამ ასე არავინ მიცნობს.

– საიდან სადაო, დიდება შენთვისა, ღმერთო! – მხრები აჰყარა შალვა ხეთერელმა, – თუმცა რაც უნდა იყოს, ჰო არ გეწყინათ, ბატონო ნიკუშა? – გაიმეორა, ოღონდ პასუხისათვის არ დაუცდია, – ხანდახან ძალად თუ არ გავიცინეთ, დარდი გამოგვღრღნის. დარდი ჭიაა, შავი ჭია, ეგრე დაგფქვავს, ვერას გაიგებ, ერთ მშვენიერ დღეს ერთს კიდევ ამოისუნთქავ და ფაფუ, აღარ იქნები, იმ ამოსუნთქვას გაჰყვება შენი ნაფქვავიცა, ფაფუ!..

ამას რო ამბობდა, სევდიანი გამომეტყველების მიღება სურდა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა, სახე გაფიცხებოდა, წამონთებოდა თვალებიცა, ვერ იხარებდა სევდის იერი ესოდენ გაფიცხებულ სახეზედა. სტუმარი რო ცოტა გამჭრიახი ყოფილიყო, მიხვდებოდა, ნასვამიაო; მეტად გამჭრიახი თუ იქნებოდა, მეტსაც მიხვდებოდა. – ხმა რიხიანი ჰქონდა, მბრძანებლური, განკარგულებასავით გაისმოდა ეს დარდიანი ნათქვამიცა, განკარგულებებს მისჩვეოდა, რუსეთის არმიის ოფიცერი გახლდათ, მერე ქართულ ლაშქარში გადმოსულიყო, მერე, ჰო მერე, ამბები ისე დატრიალებულიყო, რო ჯერ ისევ მხნე, ჯერ ისევ საოფიცრო კაცი მეკუბოეთა არტელს შეჰკედლებოდა ბუღალტრადა. თუმცა ამდენსაც ვეღარ მიხვდებოდა, რაც უნდა გამჭრიახი ყოფილიყო სტუმარი, მიხვედრასაც თავისი საზომი აქვსო, მომეტებული არაფერი შეიძლება, – ვთქვათ, ოფიცრის სამხრეები წამოესახა იმ განიერ მხრებზედა, ბუღალტრობას მაინც ვეღარ მოილანდებდა, არც საჭირო იყო, ვითომ რატომ უნდა დაეძაბა აზრი თუ გონებაი, თვითონვე ეტყოდა, გამოურევდა საუბარშია, თუნდაც ნუ გამოურევდა, სულაც არ ეკითხებოდა, ვინ იყო თუ რა იყო,

ეს ელიზბარ ხეთერელსა სწვეოდა და ელიზბარს ელოდა, გიორგი ყანჩაველის ბარათი რო გადაეცა, სხვა დანარჩენი შორეული, უსარგებლო და უმაქნისი რამ გახლდა ამისთვისა.

თითქოს მიუხვდაო შალვა ხეთერელი, წარბები მოღუშა და ცოტა არ იყოს, საშაროდ იკითხა:

– ძველისძველი მეგობარია ეგა შენი თუ ახლა დაძმაკაცდით?

– ვინ ეგა?! ისა! – დაიბნა სტუმარი, ქალს მიაჩერდა, ეგება მიშველოო.

– ეგება რო ლეკო არც იყო... – ეს იყო, ასე მიეშველა ქალი.

– „ლეკო არც იყო!" – გამოაჯავრა მაზლმა, – შამფურზე რო შეწვან, მაინც ვიცნობ... არა, მართლაც კარგი იქნება, შამფურზე რო წამოაგებდნენ, ჰა, ჰა, ჰა... – მოეწონა თავისი ნათქვამი. ახლაც მხოლოდ თვითონვე გაიცინა. ეცინა, ასე უკეთესი გახლდათ, სიცილი სჯობდა მრისხანებასა, სოლომონ ზურგიელიძისებური აფორიზმისა არ იყოს, ყოველშემთხვევაში, ასე ერჩივნა სტუმარსა, თუნდაც უხერხული სიცილი ერჩივნა; მაგრამ არ გასტანა სიცილმა, ისევ რისხვა წამოერია შალვა ხეთერელსა; ვერ დაევიწყებინა ის კაცი, ვერც დაივიწყებდა, რახან ამას შესცქეროდა, ისიც ახსოვდა, მშვიდადაც ვერ მოეგონებინა; ვერც ახსენებდა, ვერც ახსენებდა მშვიდადა თუ სიამოვნებითა, რადგან უკმაყოფილებას გადაჰკიდებოდა იმის წყალობითა, განა დიდი ხნის წინათა, – ორიოდე საათის წინა. დიდი ხნის წინათ რომ ყოფილიყო, კიდევ არაფერი, მიივიწყებდა აქამდისა, ან ღიმილით გაიხსენებდა, მიყუჩება იცის გარდასულმა ტკივილმაო. ეს ახალი სატკივარი გახ-

ლდათ, ახლად ახალი: დილას გამოევლო იმ დარბაისელ კაცსა, დარბაისელსა შესახედაობითა, ასე თვალითა, უცები თვალითა, მისანდობელსა: ეს მე გახლავარ ლეკო თათაშელი, მე კარგად მახსოვხარ და ალბათ შენც რო გემახსოვრებიო, მე უფროსი ვარ, მაგრამ უმცროსნი კარგად იხსომებენ უფროსებსა; იხსომებენ უფროსებიცა თუ ისე არ დაბერებულან, მეხსიერება რო ჩაჰფუშოდეთო; ჩემგან სიბერე არც ისე შორსაა, მაგრამ ჭკუას არას ვემდური, მეხსიერებას არას ვემდური, შენი პატარობაც დამხსომებია, მამაშენისაც მომაგონდება სიკეთეი ბევრი და მინდა, ცოტა რამ პატივისცემა მეც გაგიწიო, ცოტა გაგართო, გული რასმე გადავაყოლოთ, თორემ რო ვიცნობ შენს ძმა ელიზბარსა, არც შენთვის მოიცლის, არც თავის თავისთვისა, ხოლო მე სულაც არ ვეპიტნავები, თუმცა ვუყვარვარ, ვიცი, ვუყვარვარ, თვალში ჩავუვარდე, თითს არ ამოისვებსო; ეს ჩვენი საქმეა, შენ არ შეგეხება, შენ აგერ ორი დღით თუ ამოსულხარ, მოჰბრუნებიხარ უკეთურ სოფელსა ალბათ ცოტა ხნითა და დარდი შეგჭამს ორიოდ დღეშიცა, ვიღაცამ მხარი თუ არ აგიბაო; ამბობდა ასე, ხმითა, რო იტყვიან, ხავერდოვანითა, მომხიბლავი ხმითა, თუმცა ხმაც იმდენი არაფერიო, ხოლო რო ამბობდა, რასაც ამბობდა, თითქოს და ამის გულში ჩამჯდარა, ამის გულიდან ამოიძახისო, ვინ წაუვიდოდა მერე გულის ძახილსა, – ვერც წაუვიდა, აჰყვა მაშ რაო, ისე შეჰღიმოდა და შესდუდუნებდა: ბოლაშვილები შემომჩენიანო, ოღონდ გვაწვიე ჩვენი შალვაიო, – შენა, შენა, რაღა თქმა უნდა, – ოღონდ გვაწვიე, ოღონდ ჩვენს ჭერქვეშ დავინახოთო ჩვენი შალვაიო, – შენა, შენა, აბა!.. – ოღონდ გვაწვიე და

ხატივით ვილოცებთ, შენს სურათსაც ხატად დავიდებთო, – ჩემს სურათსაცა!.. ნუ იუკადრისებ, კაი ოჯახის შვილები გახლავან, დოვლათი კიდევ შემორჩენიათო; ნუ, ნუ, ნუ იუკადრისებ, თავმდაბლობა კაცს ამშვენებსო, თავმდაბლობითა ქებულიყო ცხონებული მამაშენიცაო.

ჰო ცხონებული მამაშენიო, და გაჰყვა, ეწვივნენ. იქ არც არავინ ელოდა, არც არავის ეცალა ამათთვისა ამ გახურებულ კალოობისასა, მაგრამ მაინც ვერ წაუვიდნენ სტუმართმოყვარეობის წესსა და ადათსა, სუფრა გაუწყეს, მოილხინეს და მოალხინეს, თან თვალი გარეთა რჩებოდათ აფსუს, რა კალოს ამინდიაო. ხვალაც ამ თვისააო, ამშვიდებდა ლეკოი, ენად გაკრეფილიყო, მღეროდა, ცეკვავდა, ვიდრემდის დრო გვაქვს, მოვჭამოთ წუთისოფელიო. მერე უცებ რაღაც ეშმაკი შეუჯდა, პატარძალი გამოჩნდა, ცხრაფურცელა ქადები მოჰქონდა ხონჩითა, მაშინ შეუჯდა ეშმაკი, რაღაც საოცრად დაუხვლანჯა თითები, ეცა იმ დახვლანჯული თითებითა და ისე უჩქმიტა ძუძუს ძირზედა, ლამის ჭერი აჰხადა იმისმა კივილმა. აღარც წესს დაგიხედეს ბოლაშვილებმა, აღარცა ადათსა, ქეჩოში ჩაავლეს ხელი, ორნიც აქეთ-იქიდან შეუსხდნენ მხრებში და ციმციმ გაიყვანეს შინიდანა, თავიანთ კარმიდამოსა გააცილეს, სხვათა კარმიდამოსაცა, მთლად სოფელს გააცილეს ისე, არც კრინტი დაუძრავთ, არც ხელი გამოუღიათ, ხოლო მერე, სოფელს რო გააცილეს... არა, ამან არ იცის, აქ რა მოხდა, იქავე იჯდა თავჩაღუნული, იჯდა გაქვავებული სუფრასთანა, ეგონა, მართლაც გაქვავებულიყო, გათავებულიყო, ამოჰქარებოდა სული, მაგრამ მაინც გაიგო, როგორ დაბრუნდნენ პირგამე-

ხებული ბოლაშვილები, როგორ უთხრა უფროსმა ბოლაშვილმა, თუ ჩვენი სტუმრობა გინდოდა, სხვა ამფსონი ვეღარ იშოვნეო. დამცირება თუ შეურაცხყოფა სხვაც გადაეტანა, ოღონდ ასეთი არა, ეს ყველაზე მწარე რამ იყო. ხმა არ ამოეღებოდა, არც ამოულია ხმაი, იყო მდუმარედა, არას მიუგებდა არცა ძმასა, არცა რძალსა, შინ რო დაბრუნდა, – მაშინღა შეჰყვირა, ეტლი რო შეჩერდა სამოახლოს შესასვლელთანა, მოვკლავო, შეჰყვირა და კედლებს შეეტოტინა, – კედლებზე ხალიჩები ეკიდა და ხალიჩებზე იარაღი, მრავალ ბრძოლაში ნაცადი იარაღი, ზოგიცა ნადავლი, აქ არა, იქით, დიდ დარბაზში ეკიდა, ახლა იქაც აღარ ეკიდა, აქეთ მით უფრო ამაოდ აფათურებდა ხელებსა, ასავსავებდა, იმტვრევდა სიმწრითა.

ეს წეღანა, ახლა აღარ იმტვრევდა ხელებსა, მაგრამ სიმწარე არ განელებოდა... თეკლამ იხელთა წუთი, საუბარი გადაიტანა:

– როგორა ბრძანდება ბატონი გიორგი? ახალს აღარაფერს გვიწერს? – თქვა თვალთა საამო ციმციმითა, თუმცა იქავე მოინისლა, – მე ყველაფერს მოვწყდი...

– რატომ?! – მიამიტად იკითხა სტუმარმა.

თეკლამ გაიღიმა მრავალმნიშვნელოვნადა, დაუშვა წამწამები, მუქი, გრძელი წამწამები.

– რა არის ახალი?! – მხოლოდ ეს იკითხა.

– არის, მეტად საინტერესო ნაწარმოები აქვს, ოღონდ ჯერ არ გადაუცია შესასრულებლადა.

– „კანტატა მეთერთმეტე...“ – ჩაურთო შალვამა, თანაც ისე გადაჰხედა, როგორ თუ არ გადაუციაო.

– ამაზე არ მოგახსენებთ. – საჩქაროდ დაატანა სტუმარმა.

– ახალი ესაა.

– ვინც გიორგი ყანჩაველის შემოქმედებას იცნობს, ადვილად დაიჯერებს, რომ ეს არაა მისი საეტაპო ნაწარმოები.

– ვისაც შეეხება, ამბობს, საეტაპოაო.

– ვინც მუსიკა იცის...

– მუსიკა ცოტას გაეგება, – არ დააცადა შალვამ, – ვისაც შეეხება, კარგად იციან, რაც უნდათ, ქება უნდათ, უამრავნი რო აიყოლიონ; ძალიანაც კარგია, თუ ცოტას გაეგება მუსიკა, გიორგი ყანჩაველმა დასწერა დიდება და მრავალნი აჰყვებიან... დიდება მეთერთმეტესი...

– ეს ცოტას როდი ნიშნავს, – თითქოს წამოთამამდა სტუმარი, – შემოქმედი...

– „შემოქმედი", ჰა?!. – მძაფრად ამოიძახა შალვამა, თითქოს ფილტვები ამოიფხრიწაო, წამოიჭრა, გაიწოდა ხელები და არეული თვალები დააცეცა აქეთ-იქითა, თითქოს თურქობაში გამოვლილ ხმალს დაეძებსო. მერე აივანზე გაბრაგუნდა, დაბრაგუნებდა იქაცა, ვიდრე გადაუვლიდა მოჭარბებული სიფიცხეი.

ამასობაში თეკლას ებოდიშებოდა სტუმარი, არ ვიცი, რა მოხდა, რატომ გავაბრაზე ბატონი შალვაო, მე ერთი უწყინარი ადამიანი ვარ, ჭია რა არის, ჭიასაც არ დავადგამ ფეხსა, ადამიანის გრძნობებს ვუფრთხილდები ყველაზე მეტადა, რადგან ადამიანი, რაც არის, გრძნობაა, სხვა ყველაფერი მოსართავია გრძნობისაო, თუ გრძნობა დაიშალა, დაიშლება ადამიანიცაო; ასე რო მწამს, საოცრად სათუთი ვარ ყვე-

ლას მიმართა. ზედმეტად სათუთი გახლავართ, ზედმეტად მოკრძალებულიო; ამიტომაც გამკვირვებია, რა დამემართა, რატომ ავაღელვე ბატონი შალვაო; მოვედი – ავაღელვე, გამოვესაუბრე – ავაღელვე, თუმცა არ ვიცი, ვინ არის ის კაცი, ხოლო რაც შეეხება ბატონ გიორგისა, რა ვქნა, მომიტევეთ, ყურს ვერ მოვიყრუებ იმის მოაუგესაო.

– შალვასაც ისეთი არაფერი უთქვამს... – ჩაურთო თეკლამა.

– არა, ისეთი არაფერი... არც მე მითქვამს ისეთი არაფერი, თქვენ როგორ ფიქრობთ, განა მითქვამს?..

– არა, არაფერი ისეთი...

აივანზე ბრაგუნმა იკლო, დაწყნარდა ნაბიჯები, გესმითო, ანიშნა თეკლამა, მალე შემობრუნდება ფეხაკრეფითაო.

III

მანამდის ელიზბარი დაბრუნდა, შინ რო შემოვიდა, წელანდელივით აღარა წკურავდა თვალებსა, პენსნე გაეკეთებინა, სხვა იერი დასდებოდა, თუმცა იგივე ტანსაცმელი ემოსა. წარმოსახვა თუ ეყოფოდა სტუმარსა, წარმოიდგენდა თეთრი ხალათითა და ექიმი იდგომებოდა იმის წინაშე, – ექიმიც იდგა, რა თქმა უნდა, თუმცა ამას აღარ ეკითხებოდა ექიმი, მოთავდა ის ამბავი, ამისათვის მოთავდა, ეგება აღარც გაიხსენებდა. ვერც ის გაიგო, რას ანიშნებდა ექიმი, მოვასვენე, დარდი ნუ გექნებაო, ანიშნებდა, თან ერიდებოდა, ემანდ ძმამ არ შემომისწროსო. ამისთვის სულერთი გახლდათ, ამას მხოლოდ ელიზ-

ბარ ხეთერელი უნდოდა, რა ხელობისაც უნდა ყოფილიყო, რა განათლებაც უნდა ჰქონოდა, მოხუცი ყოფილიყო, თუნდაც ახალგაზრდა, თუნდაც ასე შუა ხნისა, მეოთხე ათეულს მიტანებული. ამიტომ არც დაუყოვნებია, შემოვიდა თუ არა, გადასცა ბარათი, ოღონდ არც ის დავიწყებია, თეკლასათვის მოეხადა ბოდიში უეცრად შეწყვეტილი საუბრის გამო. თუმცა შეიძლებოდა გაგრძელება საუბრისა, ვიდრე ელიზბარი გადაიკითხავდა ბარათსა, მაგრამ ადვილად როდის გაგრძელებულა ნაძალადევი საუბარი, რაიმე შემთხვევა ჩასჭრის და იტყვიან ხოლმე, მადლობა ღმერთსაო. აქ ამას არ უთქვამს, მხოლოდ თეკლამ გაივლო გულში და აჩქარებით გავიდა, დაე ემსჯელათ მამაკაცებსა, თუ რაიმე ჰქონდათ სამსჯელო, რაიმე თუ უნდა გადაეწყვიტათ.

– ჩემთან ორი სათხოვარი ჰქონია ბატონ გიორგისა, – სთქვა ელიზბარმა, წერილი რო გადაიკითხა.

– დიახ... – მიეშველა სტუმარი წრფელი ღიმილითა.

– პირველი, ვცადო, როგორმე გადაგათქმევინოთ განზრახვაი.

– რატომ?! – გულწრფელადვე აღმოხდა სტუმარსა და თვალები გაუფართოვდა.

– ეს თვით ბატონ გიორგისაც უცდია, მაგრამ არც ისე თავგამოდებითა, ეგება ვერც მიმიხვდაო, მწერს.

– არ ვიცი... შესაძლოა.

– მწერს, რო გჩვევიათ უაღრესი გატაცება, თავდაუზოგავი მისწრაფება, თუ რამე ამოიჭერით გულში.

– ბატონი გიორგი ამ აზრისაა ჩემზე?!

– მწერს-მეთქი.

– მადლობელი ვარ ბატონი გიორგისა! – ქედი მოიხარა სტუმარმა.

– მწერს, დაგაჯეროთ, ახლა დრო არაა ასეთი გატაცებებისა.

– რატომ?! – თითქოს ნეტარი მირინდებიდან გამოერკვა სტუმარიო.

– რატომ?! – იკითხა ელიზბარმაცა, – როგორ მიბრძანებთ, ფილოსოფიური და სოციოლოგიური პრობლემებით აგიხსნათ თუ უბრალო, ნათელი, ცხადლივი მაგალითებითა?

– როგორც გენებოთ, ერთი მეორეს ხელს არ უშლის, – უბრალოდ მიუგო, თითქოს არც იცის, რას ეუბნება ან არც ეკითხება, არც ყურს დაუგდებსო, – ოღონდ ნუ დაივინყებთ, მე სულ სხვა რამისათვის გეახელით, სხვა რამ მაინტერესებს.

– გასაგებია... – თითქოს დაჰყვაო ელიზბარი, თითქოს რაღაცას იგონებს, თითქოს აი ესაა გაჰხსნის ბაგესა და მუსიკოსთათვის ჯერეთ უცნობ ხალხურ სიმღერას აღმოიტყვისო. – მაგრამ ჯერ პირველი თხოვნა უნდა შევასრულო, – სიმღერის ნაცვლად ესა თქვა ელიზბარმა, – მეორე ეგ არის, დაგეხმაროთ, თუ ვერ დაგაშლევინეთ.

– რატომ, რატომ უნდა დამაშლევინოთ?! – ჭირვეული ბავშვივით შესძახა სტუმარმა, თან ისეთი სახე მიიღო, სულერთია, არ დავიშლი, არ გადავალ ჩემსასაო.

– ბატონი გიორგი მთხოვს.

– თვითონ რო არაფერი უთქვამს?!

– საშიში დროაო...

– ახსენა რამდენჯერმე.

– თბილისშიც მძიმე ვითარებაა, მაგრამ ქალაქი მაინც ქალაქია, ქალაქი მაინცა ჰფარავს საშინელებასა, ხოლო გასცდები თუ არა ქალაქსა, შესაძლოა ბევრ უსიამოვნებას გადაეყაროო...

– ბრძანა... მაგრამ მე არაფერს გადავყრივარ. მშვიდობით მოვედი, გავბრუნდები მშვიდობითვე, გავბრუნდები ახალი ჩანაწერებითა. თქვენ არც გეცოდინებათ, საუკეთესო ჩამწერი აპარატი წამოვიღე, უწმინდესი ნიუანსიც არ გამომეპარება, ხელახლა ჩავწერ, რაც ჩაუწერია ზაქარია ფალიაშვილსა, ჩავწერ, რაც გადაუღია ლადო აღნიაშვილსა თუ ფილიმონ ქორიძესა, ჯერ ესეც თვალსაჩინო მოვლენა იქნება, ხოლო, რაც მთავარია, მწამს, მივაკვლევ დღემდის უცნობ სიმღერებსა, ახალ მელოდიებს მივაკვლევ! – უბრალოდ დაინყო და გზნება მოეკიდა, ეტყობოდა, გზნება იმატებდა, თუ მიუშვებდა ასე თავის კვალზედა, თუ არ შეაჩერებდა და შეაჩერა:

– დამშვიდდეს ქვეყანა...

– მე არაფერს გადავყრივარმეთქი.

– უმონყალოდ ნაცემი კაცი თქვენ მომაყენეთ კარზედა?!

– ეს შემთხვევით...

– სხვაც შემთხვევით იქნება.

– მე არაფერ შუაში ვიქნები.

– თქვენ შეგემთხვევათ... – ჯიუტად მიაჩერდა ელიზბარი, თითქოს თვალით უნდა გასტეხოსო, შუშების ქვეშ გაფიცხებულიყო თვალები, თითქოს ისრებია წვერანთებულიო. – ნუ გეგონებათ, თითქოს დიდი რამ საბაბი იყოს საჭირო, ტყვია რო ჩაგიჭედონ შუბლში.

– ნუ მაშინებთ, – ხელი ოდნავ აიქნია სტუმარმა, ვითომდა რაო, რა ხელი აქვს ჩემთან შიშსაო, – შიში დარწმუნების საშუალება არ არის, ყოველშემთხვევაში ჩემთან უმაქნისია.

– არ გაშინებთ, მხოლოდ გიხსნით, – თვალიც აარიდა, ხმასაც დაუწია ელიზბარმა, – როგორც გენებოთ, მინდა მხოლოდ იცოდეთ, რო მეჯუდის გაღმა-გამოღმა, გაღმა-გამოღმა პატარა ლიახვისა, დაღმა თუ ასე, მთებში, შეყოლებამდე სოფელი არ არის, თემი არ არის, ალბათ ოჯახი არ მოიძებნება, სიკეთე რო არ გამეწიოს, უსასყიდლოდა, დაუზარლადა, უანგაროდა, ჩემის წამლითა და მაინც ეზოს გავცდები თუ არა, სათვალე უნდა ჩამოვიხსნა, თორემ ვიღაც უკეთური ტყვიით დამიხვრეტს თვალებსა...

– ეს უბრალო შიშად როდიღა მეჩვენება, ეს უკვე ავადმყოფობასა ჰგავს, – საჩქაროდ დაატანა სტუმარმა, – მომიტევეთ ასე აშკარად რო მოგმართავთ, მაგრამ თქვენ ისე დაჟინებით მინერგავთ შიშსა, თუ არ შეგებრძოლეთ, დამიმორჩილებთ.

– ეცადეთ თქვენსასა, – კიდევ უფრო დუნედა თქვა ელიზბარმა, – ოღონდ ერთი რამ მაინც გამიგონეთ, მოიხსენით ეგ შავი ბაბთა, თეთრ საყელოს რო გიმშვენებთ, მოიხსენით, თორემ გაუპირდაპირებენ თოფის ლულასა...

სტუმარმა უნებლიედ დაიფარა ორივე ხელი, ყელი დაენანა თუ უფრო ბაფთას ვერ შეელეოდა, ძნელი სათქმელია, ხოლო ცოტა რო შეკრთა, ეს უკვე აშკარა გახლდათ. თვალი მიატანა ელიზბარმა, ოღონდ როდი მისციებია, ვითომც, არაფერი დამინახავსო.

– ვერ დამაჯერებთ. – ცივად გაიღიმა სტუმარმა, ხელებიც ჩამოუშვა.

– ნუ დაიჯერებთ, მაინც მოიხსენით. – წამოდგა, მიუახლოვდა, – ნება მომეცით! – საყელო გადაუწია, თვითონვე შეხსნა, – არც ეს გახამებული პერანგი გინდათ, ლურჯ ხალათს მოგცემთ, ან შავსა, რაც უფრო გახუნებული იქნება, მით უკეთესი, მე ამყვებით, ვითომც ჩემი თანაშემწე ხართ... ასე იყოს, რახან არ დაგიშლიათ.

ეს უეცარი დაყოლიება არ გაჰხარებია, თითქოს ეწყინა, ცოტა დაიბნა, ვერც იმას მიჰხვდა, ბაფთა რად უნდა შეეხსნა ან ლურჯი თუ შავი ხალათი რად უნდა ჩაეცვა, მასპინძელი თუ დაშინებულიყო, ამას რაო, ესეც ჰო არ მიეცემოდა ავადმყოფურ შიშსა? ბატონ გიორგის სხვანაირად ეგონა, – ელიზბარ ხეთერელი თუ ამოგიდგა მხარში, ფიქრი ნუღარაფრისა გექნებაო, აჰა, ამოუდგა მხარში, ამოუდგა და აშინებს, ეს ვერაფერი ქომაგობაა, ვერც მიენდობა ასეთ ქომაგსა, ეს უკვე ნათელია, ცხადია, მაგრამ რად არწმუნებდა ბატონი გიორგი, იმ მხარისა ყველაზედ უკეთ იმან იცისო, თუ ვინმეს კიდევ შერჩენია რაიმე გავლენა, ყველაზე მეტად იმასაო, თუ ვინმეს რამეს დაუჯერებენ, ყველაზე მეტად იმასაო. უკეთესად ვერც დაახასიათებ ადამიანსა, მაგრამ დიდი ადამიანებიცა ცდებიან თურმე, ოღონდ დიდი ადამიანები მაინც დიდ ადამიანებად რო რჩებიან, ალბათ, ამიტომაა, სხვათადმიც გამოატანა ბარათები, თუ ვინცობაა ამ ერთმა მიმტყუნა, სხვანი მაინც არ დამაღალატიანებენო. არა, დიდი ადამიანები არა ცდებიან, სიფრთხილე იციან, წინასწარ სჭვრეტენ შესაძლო გართულებებსა, წინასწარვე გააუვნებლებენ. აი თუ არა, ამისთვის უკვე საშიში აღარ არის ეს დამფრთხალი მასპინძელი თუ გზის მასწალებელი, უამი-

სოდაც ბევრი ამოუჩენს შემწეობასა, ხოლო რაც შეეხება მეგზურსა თუ მიმთითებელსა, არც არავინა სჭირდება, – ამან ჰო რუკა შეადგინა შიდა ქართლისა, რუკა საკუთარი, სოფლები და გვარები მონიშნა მეჯუდისა, ლიახვთა, ფრონეთა და მტკვრის ნაპირებზე, შარაგზებიც გადაიტანა დიდი რუკიდანა; ისიც გაიგო, საურმე გზა უდევს ყველა სოფელსა, მთელი ველი დასერილა საურმე გზებითა და ბილიკებითა, სოფელს გაჰხედე და დაადე თავი, იარე პირდაპირა, ლარივით იარე, ნაბიჯიც არ გადაჰხაროო; ოლონდაო, ცოტას მდინარეები დაგაბრკოლებენ, ლარში გადაგელობებიან და მაშინ ნუ გაედევნები მაინცდამაინც ლარსა, მაშინ ფონი უნდა მოსძებნო უსათუოდაო, ფონიც ბევრი იცის ველის მდინარემა, მდინარე არც არის უფონოდა, მხოლოდ უნდა იცოდე, თუ არ იცი, გაიკითხ-გამოიკითხო, ჯერ ფონი უნდა უპოვნო, მერეღა შეხვიდე მდინარეშიო; ცხოვრებაც დიდი მდინარეა, კაცი რა არის, კაციც მდინარეა და თუ ფონი არ უპოვნე, ვერსაით მოუხვალ, ვერც ავადაო, ვერც კარგადაო.

ამის ფონი შიში ყოფილა, თუმცა არა, შიში ჩანჩქერი უფროა, ვიდრე ფონი, მაგრამ ვიწრობები იცის ჩანჩქერმა, ვიწრობები ხიდისათვის უკეთესია და ხიდი სჯობიან ფონსაო; შეიძლება ესეც სოლომონ ზურგიელიძისებური აფორიზმი გამოდიოდეს, მაგრამ რაც მართალია, მართალია, ხიდი სჯობიან ფონსაო. ესეც ხიდს გასდებდა ამ ვიწრობზედა, დაარწმუნებდა, უიმისოდაც რო იოლს გავიდოდა, იოლადაც დარწმუნდება. და ქაღალდის გასაშლელ მაგიდაზე თავისი რუკა გადაშალა მოგზაურმა, ბარათებიც იქვე დაიწყო. ფანქარი ააყოლა მეჯუდის პირსა,

– თქვენ ნუ შეწუხდებით, ჩემი დარდიც ნუ გექნებათო, ასე მეჯვრისხევს მივალ, აგერა ბარათიცა ერისთავიაანთადმიო. იქიდან მერეთს გავა, იქ ფურცელაძიანი უმასპინძლებენ. მერეთიდან დაჰყვება პატარა ლიახვსა, ტყვიავს გავა, იქიდან ძევერასა, ჯავახაანთა, უნდა ცხინვალს აუვლის, აჩაბეთს ეწვევა მაჩაბლიაანთა; აჩაბეთიდან ფხვენისს ჩაუვლის, ამილახვარიაანთა; თუნდაც კირიონის სახლიკაცებს მოინახულებს ნიქოზში, რა თქმა უნდა, ფხვენისამდისა; ყველა სოფელში ეყოლება მასპინძელი, უთავბოლოდ არ წამოუწყია მოგზაურობაი, განზომილია ყოველი ადგილი, დღენი, საათებიც განზომილი აქვს. ფხვენისთან იქვე ყელქცეულია, ჩხეიძიაანი შეეგებებიან. იქიდან თუნდა ბარემ რუისს ჩაუვლის მამაცაანთა, თუნდა ავნევსა და ალს გავა ამირეჯიბიაანთა, მერე ხვედურეთსა, ციციაანთა. ჰო, თუნდა ასე ივლის, თუნდა ისე, გაშლილა ველი შიდა ქართლისა, გასჭიმე ლარი, გასჭიმე საითაც გინდაო. ოღონდ მაინც უკეთესია ბოლოსთვის მოიტოვოს რუის-საღოლაშენ-არადეთი, აქ ფერიცვალობა და მარიობა გადაებმის ერთმანეთსა, ორი დიდი დღეობა გადაებმის, მთელი ქართლი იქ მოიყრის თავსა, ყველა სიმღერა იქ შეიკონებაო. ეს რო თქვა, იტვრინა, თითქოს ადუდუნდა სიმღერები ველისა, დაიძრა, წამოვიდა და ამ დინებასაც, ვითარცა ყველასა თუ ყველაფერსა, თავის ფონად გამოერია „ნეტავ ახლა ჩემთან იყვე, ხახე...“ – გამოერია და წაიმღერა. მარიამობას იქ ილია ყოფილა, აკაკი, ვაჟა, ყველა სახელოვანი ადამიანი სწვევია მარიობასა, ბატონი გიორგიც ბევრჯერა სწვევია, ყველას თავისი ხელმოწერა დაუტოვია ამირეჯიბიაანთ დიდ სუფრაზედა, ამ მარიობას მეც

მივუმატებ ჩემს სახელსა და გვარსაო. არადეთში იშ-ხნელები შეეგებებიან ან რაღა ჩამოუთვალოს, დაჰ-ხედოს რუკასა, დაჰხედოს როგორც მოენებება, თუნდაც სათვალითა, თუნდა უსათვალოდა, ადგილი არ არის მოუნიშნავი, ყველა არც უთქვამს, არც სა-ჭიროა, ეცოდინება, ყველგანა ჰყავს პატივისმცემე-ლი თუ თაყვანისმცემელი ბატონ გიორგისა, იმანაც ყველა გაიხსენა, ყველა მოიკითხა, დრო იხელთა და მოიკითხა, როგორა ხართო, რა დღეში ხართო, თა-ნაც ეგება ხელი წაახმაროთ ამ ჩემს ახალგაზრდა მე-გობარსაო, ამოიჩემა, მოდის, ახალგაზრდული ამო-ჩემება ბედისწერაა შემოქმედისა, იქ გარდასწყდება გარდასაწყვეტიო.

რას იტყვის დაშინებული მასპინძელი, რა უნდა აფიქრებდეს ასე მომზადებულ ადამიანსა?

არაფერს იტყვის მასპინძელი, არც რუკას დაჰ-ყურებს, თუმცა იქვე ჩამომჯდარა, მაინც არ წაუც-დება თვალი რუკისკენა, თითქოს არც ესმის, რას უყ-ვება სტუმარი, თითქოს იმის ბაფთას ნაურთმევია გულისყური, დაჰყურებს, აკვირდება, ვითომც უკ-ვირსო, ვითომც ეუცხოვებაო, ხანაც გაჰხრის ტუჩის ბოლოებსა, ისე, ვერავინ მიუხვდება, რაიმე ეჭაშნიკა თუ არ ეჭაშნიკაო. როგორც ენებოს, მაგრამ აქ დუ-მილი უხერხულია, რაღაც უნდა თქვას, მოუნონოს ან დაუწუნოს, რაც უნდა თქვას, ამისთვის სულერთია, ოლონდ უნდა თქვას, ამან ამდენი ილაპარაკა, ნუთუ იმან ერთი სიტყვა მაინც არ უნდა დაანიოს?!

რას იტყვის მასპინძელი? ან რა ეთქმის? – არც არაფერი. ისე მაინც დარწმუნდეს, უთავბოლო კაცს რო არ შეჰხვედრია, იმათთაგანი არ არის, თვალს რო დაჰხუჭავენ და გადაერევიან მორევსა, მოხდეს, რაც

მოსახდენიაო, დარწმუნდეს, დაიჯეროს. სხვა ყალიბზე მოჭრილა, ბრმად არაფერს აედევნება, წინასწარვე აუწონია ყოველი ნუთი, წინასწარ იცის, სად როდის მოხვდება, აი, დაჰხედოს, დაჰხედოს რუკასა, აღნიშნულია საათებიცა, წუთებიცა, სამმაგადაა აღნიშნული, იმის მიხედვითა, თუ რითი ივლის, ცხენითა, ურმითა, თუ ფეხითა; აი, დაჰხედოს, დღეს, ამ საათზე ხევთისში რო იქნებოდა, ზედ აწერია „ხევთისსა". ნუ გაუკვირდება, თუ მოახსენებს, რო ამ საუბარსაც მიმხვდარიყო, სიტყვა მოემზადებინა წინასწარა, ნუ გაუკვირდება, ერწმუნოს, დაუჯეროს. თუმცა ამდენად აღარ გამოუტყდება, ისა დუმს, დადუმდება ესეცა, დუმილი ოქროაო? – იყოს, მიეცემა ოქრო მდუმარებასა.

ყურადღება თუ ეყოფოდა ამ შეთამამებულ მოგზაურსა და აწ ჯერ სტუმარსა ხეთერელებისა, მიხვდებოდა, გასჩენოდა გულმოდგინე მსმენელი, – შალვა დასდგომოდა თავსა, ჩასციებოდა იმის რუკასა. ფეხაკრეფით შემოსულიყო ან შესაძლოა ბრაგუნითაც შემოვიდა, მაგრამ სულერთია, ეს მაინც ვერაფერს გაიგებდა, რახან ერთის დარწმუნება თუ მოხიბვლა ამოეჩემებინა, აღარ გაიხედავდა მეორისკენა, თუნდაც გაეხედა, ვერ დაინახავდა, ერთი, ერთადერთი ტრიალებდა ამის თვალსა თუ გონებაში. შალვას თვალი თუ წარმოსახვა სხვაგვარი გახლდათ, ის უწყინარი რუკა, მონახაზი ახალგაზრდა მუსიკოსის მოგზაურობისა, არცთუ ლაზათიანად მონახაზი, თვალსაჩინო სტრატეგიულ გეგმად წარმოედგინა. გამოცდილი თვალი უცებ გარკვეულიყო და ის ლურჯნითელი თუ სხვაფერი გრეხილები საომარ ველზე გადაეტანა, გადაეტანა შიდაქართლის

ველზედა. ვითომც ერედვისა ან ტბეთის ან თუ ლომისას სერებზე მდგარიყოს, იქ დაეცეს შტაბი, იქიდან დაენახოს მოძრაობა ლაშქრისა, იქიდან განეგოს, წარემართოს მთავარი დარტყმა, გორი აეღოს, გაეწმინდოს ქართლის მთები და ველები, მოემზადებინოს იქაობა კოლხეთის ლაშქრის გადმოსასვლელადა. მერე სხვა იქნებოდა, მერე დასახავდნენ გეგმას თბილისის აღებისა, მერე სხვა რუკები დაიფინებოდა, ჯერ აქ ამ ველებზე უნდა დაბანაკებულიყო დიდი ლაშქარი, ძლევამოსილი, სიკეთისა, სამართლიანობისა, ერის უფლების გადასარჩენადა. არა, ეს უბრალო რუკა არ უნდა ყოფილიყო, არც ეს ყმაწვილი არ უნდა ყოფილიყო ასე დაბნეული თუ მიამიტი, როგორც მოაჩვენებდა თავსა, აქ დიდ რამ უნდა იყოს ჩათქმული. მხოლოდ იმას უმალავდნენ, შემოვიდა თუ არა, დადუმდნენ, ვითომდა აქ არაფერიო. ეს კიდევ ჰო, ეს არ იცნობს, მაგრამ ელიზბარს რაღა დამართვნია, ნუთუ ისე გაუკუღმართდა, ისე წაირყვნა ქვეყანა, რო ძმა ძმას აღარ ენდობა; ელიზბარს რაღა დამართვნია, რას დაჰყურებს იმ შავ ბაფთასა, რად იქცევა ისე, ვითომც ერთი ვინმე ახირებული ყმაწვილი სწვევოდეს და, თავიდან როგორ მოიცილოს, ველარ გაუგიაო. ეგება ის ბაფთაც რიღაცის ნიშანია, ნუ აჩქარდება, დადუმდეს თვითონაცა, ეგება იმ ბაფთით უნდა გაიგოს, ენდოს თუ არა ამ უეცრად და უცნაურად მოვლენილ ყმანვილსა, ნუ აჩქარდება, დაე სდუმდნენ, დაე მიუხვდნენ და ენდონ ერთმანეთსა, მანამდის თავისი გაარკვიოს შალვა ხეთერელმა, განსაზღვროს, თუ საიდან დაიწყოს მოძრაობა, გამზადებული ლაშქარი ჰო არა ჰყავს, უნდა მოუხმოს ტყედგაჭრილებსა, მთადგახიზნულებსა; მო-

უხმობს და დაიძრებიან; მოძრაობა არ გამოეპარებათ, – რა გზას აირჩევს, როგორ შეეხამება?.. ბალვენახები თუ ჭალები კარგი საფარია, მაგრამ აშკარადაც შეიძლება, მინდვრად გასულა ხალხი, შუაგული კალოობაა, ბრუნავს კევრი, ჯერ არ დადაბლებულა ძნები, ჯერ მინდორიც არ მოუცლიათ, ეზიდებიან ბულულსა. ტბეთიდან ურწყავებს რო გაჰხედო, გადაყვითლებულ ნაწვერლებს რო გაჰხედო, ლანდებითაა სავსე, მინდვრად მოფუთფუთე, მოფუსფუსე ლანდებითა, იმატებენ ლანდნი, იმატებენ, იმატებენ და ლაშქრად იქცევიან, მოულოდნელად წამოიმართებიან სასნაულადა. აი, აქაც, რუკაზეც ზოლები არ გასდევს ურწყავების მხარესა, თეთრადაა, მთავარბანაკადაა მონიშნული, კარგადა სცოდნია გარემოება ამ რუკის შემდგენელსა; ლიხის გადმოსასვლელებიც იქითაა, კარგადა სცოდნია, კარგად გაუთვალისწინებია ყველაფერი, შუაკაციც კარგი აურჩევია, ჰო, რა მოხერხებული ყმაწვილია, ხალხური სიმღერები უნდა შევაგროვოო, ჰმ!..

დუმილი გრძელდება, ამან განსაზღვრა თავდაპირველი განსასაზღვრელი, ახლა დანარჩენი დარიგებანი თუ რჩევანი უნდა მოესმინა, გაჰყოლოდა, დაეზუსტებინა, უარეყო ან მიეღო, დრო არ ითმენდა, არ ითმენდა აქამდისაცა, მითუფრო ახლა, რახან დაწყებულა, უნდა დაინყოს. დუმილი გრძელდება, – რას ჩაჰკირკიტებს ამ შავ ბაფთასა, აბრეშუმის ნაჭერია, სხვა რა უნდა იყოს, ამოქარგულია რამე, საიდუმლო ნიშნებია? თუ უბრალო დათქმაა, გაენდე ამის მომტანსაო? გაენდე, რაღას უცდი, ბრძანების თვალით გადაჰხედა შალვამა, თვალიც დაუქნია, გაენდეო.

ელიზბარი შემობრუნდა.

– კარგახანია აქეთ აღარ უვლია ბატონ გიორგისა, – თითქოს სინანულითა თქვა ელიზბარმა, – ალბათ თბილისიდან აღარც გამოსულა და ზოგი რამ, შესაძლოა, ნათლად ვეღარ წარმოიდგინოს. ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი რამ ისე აღარ არის ან უფრო პირდაპირ რო ითქვას, აღარაფერია ისე. ამ ბარათებიდან ნახევარსაც ვერ ჩააბარებთ პატრონებსა, ზოგან მხოლოდ დედაბერები დაგხვდებიან, ან ახლოსაც არ გაგიკარებენ, ან არაფერში გამოგადგებიან. აქ, აქ, აქ, – ხელი დაადო რუკაზე მონიშნულ წერტილებსა, – საძირკვლების მეტს ვეღარაფერს იპოვნი, – აქ, აქ, აქ, აქა, აქაცა თუნდ აქაცა, – კვლავ თითით მონიშნა – ვინმე იქნება, მაგრამ დალეწილი და დამსხვრეული თუღა იქნება, სტუმარმასპინძლობაც რო აღარ ეცოდინება, ისეთი იქნება, აქ, აქაცა, აქაც, კიდევ რამდენიმე ადგილას თითქოს ისევა ფეთქავს სული, მაგრამ რა ფეთქვაა... ერთი სიტყვით, მოყოლილან ჟამთასიავის ქვეშა, სასიმღეროდ აღარავისა სცხელა.

სასიმღეროდ აღარავისა სცხელაო, – შალვამ ჩაახველა უამურადა, ესე იგი ეუარება, არა თანხმდებაო, იტკიცა, აილეწა, ლამის შესძახა, უგნური სიფრთხილეაო, მაგრამ უცებ ნამოჰკრა სიამაყემ ხეთერელებისა და ჩაადუმა: ეს ყმანვილი ცენტრიდანა ბრძანდება, რა თქმა უნდა, ცხადია, აშკარაა, ბრძანებანი მოუტანია, ნათელია და ნათელზე ნათელი, ცენტრის ბრძანება უნდა შესრულდეს უყოყმანოდა, ასე იყო ადაბაბიდანა, ასეა, ასე იქნება, მაგრამ ელიზბარი ვიღაა, რა ძალა აქვს ესოდენ ბეჯითი, გულმოდგინე, ესოდენ დაჯერებული უარისა? რა მოვლენებ-

ში მოქცეულა, რა გავლენა მოუპოვებია ამ ჩია კაცსა, თავისი დღენი რო წამლების სუნი ასდის, თავისი დღენი სტეთოსკოპი რო უდევს გაძვალტყავებულ ავადმყოფთა გულმკერდზედა? ხეთერელები არც გაისხლიტებოდნენ მოვლენათა გულიდანა, ხეთერელებს ბევრჯერ გადაურჩენიათ საქართველო, გადაურჩენიათ ვაჟკაცობითა, ოღონდ ახლა ისე დაბრუნებულა წუთისოფელი, ფარული და მოხერხებული მოქმედება გადაქცეულა ვაჟკაცობადა. ეს წყნარი კაცი, ეს ჩია კაცი დიდი ამბების გულში მოქცეულა ხეთერელთა შეუპოვრობითა, რო ეუარება, რაღაც იცის, მეტი იცის, ყმაწვილზე ჰო არაფერი ითქმის, იმათზე მეტი იცის, ვისი სახელითაც მოვლენილა, – გიორგი ყანჩაველიო, – ამბობენ, რაც უნდა თქვან, შალვას უკვე მოეხსენება, რის საფარია სახელგანთქმული კომპოზიტორი, თვითონ ის, ალბათ, არაფერ შუაშია და არც გაეგება, თუ რა ხდება იმის გარშემო: „მეც ასევე ვარ, არაფერი ვიცი, მაგრამ უნდა გავიგო, უჩემოდ არ იქნება, რაც უნდა იყოს ელიზბარი, სამხედრო საქმისა მაინც არაფერი ესმის, მე უნდა განვაგო, მე უნდა გავუძღვე, ამან მოაწყოს ლაზარეთები, მე უნდა გავუძღვე ალბათ ასეც არის გათვალისწინებული, ამიტომ დამისწრეს, ამიტომაც არ მერიდებიან“. – გაიფიქრა და მოეკიდა სიამაყე ხეთერელებისა. რუკაც აღარ უნდოდა, წელზე შემოიდო ხელები და ბოლთა წამოიწყო, ურუკოდაცა ჰხედავდა შიდაქართლსა, მთებიანადა, ხეობებიანადა, ველმინდვრებიანადა; ჰხედავდა ბაღ-ვენახებში გამოხვეულ სოფლებსა, მდინარეთა ზოლებსა, გზებსა, ბილიკებსა, სოფლების სიდიდეც მოეხსენებოდა, მხოლოდ, ესა ჰქონდა სავარაუდებელი, რომელს რამდე-

ნი კაცის გამოყვანა შეეძლო, რამდენი დაეტანა ომებსა, რამდენი გადასულიყო იმათკენა, რამდენი ამათ მიემხრობოდა, – მხოლოდ ესღა ჰქონდა სავარაუდებელი, ძნელი რამ უნდა ევარაუდნა. წესის მიხედვით, აღნუსხული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვინ იყო აღმნუსხველი ან ვინ რას გაიგებდა ამ არეულ დროში. დაძახილი უნდოდა, ძლიერი დაძახილი, ვინც აედევნებოდა, წაუძღვებოდა იმათა. ვინ აედევნებოდა?.. ძნელი რამ ჰქონდა განსასაზღვრი. დაე ამათ გადაეწყვიტათ, მერე იხმობდნენ, გაუმხელდნენ, სთხოვდნენ, უთავე აჯანყებასო, ესეც მოახსენებდა თავის ვარაუდებსა; თუმცა ასე უცებაც არა, ითაკილებდა ახვეწნინებდა, რატომ აქამდის არ გამიმხილეთო... ბოლთა გავიდა აივანზედა, ბრაგუნობდა სამოახლო, ბრაგუნობდა სარდლის ფეხქვეშა.

IV

დაე ემსჯელათ, იხმობდნენ, გაუმხელდნენ... მაგრამ არაფერი გაუმხელიათ, ისე ისადილეს, ისე ივახშმეს, ისე მიბინარდნენ. შალვა გაგულისდა, გაიბუსხა, დადიოდა გაბუტული ბავშვივითა, ოღონდ თავსაც ირწმუნებდა: ფრთხილობენ, რა გასაკვირველია, აქ დიდი სიფრთხილეც არის საჭირო, ათჯერ გაზომე და ერთხელ მოსჭერიო, ნათქვამიც არის, ათჯერ გაზომავენ და მერეღა გამიმხელენო. ისე მიბინარდნენ, ეტყობა, მაინც ვერ მოზომეს ათჯერა, როდის მოზომავდნენ, ხვალა, ზეგა, ერთი კვირის შემდეგა. – ვინ უწყის, როგორი საზომი ჰქონდათ. ამას მოთმინება არ ეყოფოდა, გარეგარეც აღარ ივლიდა,

მიეჭრებოდა ჯიქურადა, აბა, მორჩით მაგ მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკსა, გადმოყაჭეთ, რა განგიზრახავთ, მე რა მევალებაო; ისე მიბინარდნენ, მაინც ვერ მიეჭრა, მაინც დაითმინა, თუმცა ღელავდა, გაგულისებულიყო. მერე დამშვიდდა, უეცრად დამშვიდდა, სტუმარსაც რო იმის მახლობლად გაუმართეს საწოლი, თვალები მილულა და ისე გაიფიქრა, ყველაფერი იციან, ყველაფერი გათვალისწინებულია, აი გამჟღავნების დროო. და მიბინარდნენ.

გარედანაც არაფერი ისმოდა, გაყუმულიყო სოფელი, მხოლოდ ცაცხვი ჩიფჩიფებდა ფანჯარასთანა, შრიალებდა ცაცხვის ფოთოლი სამოახლოს ფანჯარასთანა, ისევე შრიალებდა, თუმცა მოახლენი აღარ იყვნენ იქა, ვაუკაცები იყვნენ, დიდი ამბავი უნდა გამჟღავნებულიყო. წინასწარაც დიდი დუმილი უნდოდა, რას ამტყდარიყო ცაცხვი, რასა ჩურჩულებდა ფოთოლი ცაცხვისა. მოყურადენი ჰო არა ჩურჩულებდნენ. რა გასაკვირია?.. ადგა, გადაიხედა. არავინ იყო, არავინ მოსჩანდა, თვით მთვარეც არ მოსჩანდა, მხოლოდ ჩამოღვრილიყო ცაცხვის ფოთლებში, იქითიქითაც ჩამოღვრილიყო, არავინ იყო, მაინც მიხურა ფანჯარაი, მიწყნარდა შრიალი, ეგება აღარცა ჩურჩულებდა ფოთოლი ცაცხვისა; მიწყნარდა შრიალი, ჩაგუბდა პატარა ოთახი, ჩაგუბდა და ჩაიხუთა, რადგან რო თამბაქოს ეწეოდა ზედიზედა, შალვაი, თამბაქოს ბოლით ითქვამდა სულსა, დიდი გამჟღავნების მოლოდინშია. იმას წამოახველა, აჰაა, წამოიწევს და წამოიწყებსო. ამასაც წამოახველა, მზადა ვარ, გისმენო. არაფერი მოესმა, დაძაბა ყურადღება, წაყელყელავდა, ალბათ ყურში უნდა წამჩურჩულოსო. არა, მხოლოდ გვერდი იცვალა სტუ-

მარმა, კიდევ წამოახველა, ბოლმა თუ შეაწუხა, ამოეწენა ყელი, წამოახველა და მინებდა ძილსა.

დაღლილიყო, ღრმა ძილს მიეცა. შალვა ხეთერელი ვერ დაიჯერებდა, თავს იმძინარებსო, ასე ფიქრობდა, უფროდაუფრო მოსწონდა ეს იდუმალებით მოცული ყმაწვილი; მოსწონდა იმისი თავშეკავებაცა, წეღან თანმხლები რო დაუწუნა, მსჯელობაც მოსწონდა, ღრმა რწმენაცა: მხოლოდ ასეთი რწმენით თუ გავიმარჯვებთო, ასეთი დაჯერებითა, ასეთი შეუპოვრობითა, თორემ ჩემი ძმისთანანი ვერაფერს ააწყობენ წესრიგზედა, ანყობილსაც მოშლიან, მოფუტკნიან, მიმოანგრევენ, გამარჯვებულნიც დაფრთხებიან, აღებულ ციხესიმაგრეებს ჩააბარებენ მტერსაო. იცნობს თავის ძმასა, სხვებსაც იცნობს ამდაგვარებსა, ოღონდ ეს უკვირს, რამ მოაქცია ელიზბარი წინააღმდეგობის მოძრაობაში, როგორ მოუპოვებია ესოდენი გავლენაი, მთავარ ბანაკიდან მოვლენილსაც რო ეწინააღმდეგება, უარყოფს იმათს განკარგულებასა, უსაბუთებს, სხვაგვარად უნდა მოქმედებაო, რამ მოაქცია? ბრუნავს წუთისოფელი, ბრუნავს ერი დაწახნაგებულიო, ბრუნავს და ეხლება ათას სიავესა, ათასგვარ მტერსა, ეხლება და უმაგრდება, უმაგრდება უმტკიცესი, უმახვილესი ნახნაგებითა, ზედ ეფშხვნება სიავე ამა სოფლისა, ზედ ეფშხვნება მტერი, ეფშხვნება და ეგლისება, კვლავაც ეფშხვნება, ვიდრე თვითონაც დაბლაგვდებოდეს, მაგრამ ბრუნავს წუთისოფელი, ბრუნავს ერი დაწახნაგებული და მერე სხვა ნახნაგებით შეეგებება სხვა სიავეთა, სხვა ბოროტ მტერსა; ბრუნავს წუთისოფელი, ბრუნავს ერი დაწახნაგებული და ილესება წახნაგები დაბლაგვებული თუ ფხამოცვეთილი,

ილესება უფრო მრისხანე ბრძოლებისთვისაო. ელიზბარიც თუ ალესილა ან ელოდა, თუ როდის დადგებოდა იმისი ჟამი, როდის მოაბრუნებდა წუთისოფელი ქარტეხილთა შესახლელადა. ბრუნავს წუთისოფელი, ბრუნავს ერი დაწახნაგებული და აქ სადმე იქნება ამისი წახნაგიცა, აი წამოდგება და გაუმხელს, შენი ჯერიაო.

ის არ აპირებდა წამოდგომასა... შალვა ხეთერელი ვერ დაიჯერებდა, უფრო და უფრო მოსწონდა ეს ყმაწვილი, ამდენი მოთმენა რო შეეძლო, ამდენი გონიერება რო შესნევდა, ბარემ მიიძინოს ყველამა, მოითენთოს, მიბინარდეს, მიმკვდარდეს, თუ ვინმე ელოდება ჩვენს გამჟღავნებასაო. ეს უბრალო გამჟღავნება ჰო არ იქნება, – დავალებანიც ექნება, – გადასაცემი, დავალებანი, განკარგულებანი, ბრძანებანი, ხუმრობა ჰო არ არის, მოძრაობის გულში მოქცეულა, ლიხით გადმოსვლა უნდა შეამზადოს, უნდა შეამზადოს აღება თბილისისა, დედაქალაქისა, დიდი ისტორიული მოვლენაა, თვით დავით აღმაშენებელსაც უფრო მეტი, ბევრად აღმატებული არაფერი მოუმოქმედნია.

აქ უცებ ხრიალი აუტყდება სტუმარსა, ეს არც ხველებაა, აღარც სუნთქვაა, თითქოს სული ეგუბებაო, სულთამხუთავი დასხმია თავსა, იგერიებსო; ხრიალებს ასე, მერე ამოახველებს და სულს მოითქვამს, მაინც იტვრენს, იტვრენს კარგახანსა, ალბათ ერკვევა, სადა ვარ და რა დამმართნიაო, ბოლოს გაერკვევა, იმასაც გაარჩევს, თუ როგორ ადდადის გაღვივებული წერტილი, როგორ დაეკიდება საწოლიდანა, არის, არის ერთ ადგილას შეჩერებული, თითქოს უნდა წაიფერფლოსო, მერე როგორ

აიმართება, გაღვივდება, გაკაშკაშდება, თითქოს ნაპერწკალი უნდა ნაჰყაროსო, მაგრამ ბოლი შემოეხვევა, ბოლო ჩაბურავს სანაპერწკლოდ გამზადებულსა, თავს გააღწევს იმა ბოლსა, კვლავ დაეკიდება, თითქოს უნდა ჩანელდესო, ჩაიფერფლოსო, ჰო ამასაც გაარჩევს და გაუბედავად იტყვის, ან უფრო – წამოიკნავლებს გაუბედავადა: არ შეიძლება ფანჯარა გავაღოთო. რატომაც არაო და სანოლიდან წამოიჭრება შალვა ხეთერელი. მე თვითონო, ესეც წამოიჭრება. როგორ გეკადრებათო, არ დაანებებს, ეს მე მომანდეთ, იმედი გქონდეთ, არაფერი გამომეპარებაო. ფანჯარასაც გააღებს, იქიდანაც გადაეკიდება, მიმოატარებს თვალსა, მიუშვერს ყურსა, ჩქამი რა არის, ფოთლის ცახცახში არ ამერიოსო, კარსაც გააღებს, ჩავა ძირსა, ეზოს შემოივლის, გავა გზაზედა, გავა დიდი სიფრთხილითა, კედელ-კედელა, გაინაბება, მიაყურადებს, იქნება ასე, რო კარგად დარწმუნდეს, დაიბეჯითოს და კიდევაც დაიბეჯითებს: ღრმა ძილს მისცემია სოფელი, ყველაფერი მისცემია ძილსა, სწორედ ის დროა, ერთი პირი ძილი წყალმაც იცისო, რო იტყვიან, ფოთოლიც გაყუმულა, გამტკნარებულა. სწორედ ის დროაო და სტუმარიც მისცემია ძილსა, განიავებულა ოთახი, გაბერტყილა ორპირ ქარზედა, შვება მოჰგვრია, ჩაპირქვავებია ღრმა ძილსა. ვერ დაიჯერებდა შალვა ხეთერელი, ალბათ მელოდება გატვრენილიო, ჰო ალბათ მელოდებაო და მიუვა, თითქოს ჩასჩურჩულებს ანუ მოახსენებს, ყველაფერი რიგზეა, ირგვლივ სიწყნარე სუფევსო. შენც არ მომიკვდე ვერაფერს გაიგებს სტუმარი, ჩურჩული რა არის, ვერ გამოერკვევოდა, თოფიც

რო დაეცალათ ყურთანა. ერთი პირი ძილი წყალმაც იცისო, საწყალს, ამასაც თუ მოერია ერთი პირი ძილიო, მაგრამ ამას არა მართებდა ძილი, ახლა არა მართებდა, სწორედ ახლა უნდა ეფხიზლა. იფიქრა შევანჯღრევო. გადაიფიქრა. ისევ ფანჯარა მიკეტა. მიკეტა კარიცა, ისევ დააღვივა პაპიროსი, ისევ გაგუდა იქაურობა, უარესად გაგუდა, თვითონაც შეუგუბდა სული.

მამალმაც იყივლა. პირველად იყივლა, აჰაა, შეიშმუშნება სოფელიო, პირველი ყიული იმდენი არაფერი, მესამე ყიულამდის კიდევ დრო იყო, გაგუდულიყო პატარა ოთახი, ან დაიხრჩობოდა მანამდისა, ან გამოუტყდებოდა, კიდევ დრო იყო... კიდევაც წამოიკნავლა, არ შეიძლება ფანჯარა გავაღოთო. არ შეიძლებაო, მიუგო შალვა ხეთერელმა, გაბუსხულივით მიუგო. რატომაო, ძლივძლივობისღა აღმოთქვა სულშეგუბებულმა სტუმარმა.

– ბოლოსდაბოლოს, მეტყვით თუ არა...

– ბატონო?!

– მეტყვით თუ არა?!

– რა უნდა გითხრათ?!

– რა დაგაბარათ ჩემთან, საკუთრად ჩემთან რა დაგაბარათ გიორგი ყანჩაველმა?!

– საკუთრად თქვენთან?! რა მოგახსენოთ, რა უნდა დაებარებინა?!

– არაფერი?!

– არაფერი... თუ გამახსენდება, ბატონი გიორგი, ვგონებ, ასე ბრძანებდა...

– დია!

– თუ კარგად მახსოვს...

– ჰო, ჰო!

– დაარბიეს ხეთერელთა დიდი გვარიო, ორიოდემ უცხოეთში გაასწრო, იქ მხოლოდ ელიზბარი დაგხვდებაო. იმისი უფროსი ძმაც უნდა გადარჩენილიყოსო...

– ჰო, ჰო, ჰო!

– მაგრამ ის აქ, სადღაც, თბილისში უნდა იყოსო...

– ჰოოოოოოოო... – გააგრძელა შალვამა და პაპიროსი მოსრისა საფერფლეზედა. ადგა, ფანჯარა გამოაღო, იქვე შეჩერდა გაღებულ ფანჯარასთანა. აშრიალებულიყო ცაცხვის ფოთოლი, ისევე შესშრიალებდა თუ შესჩურჩულებდა ძველ სამოახლოსა, წინათ ამას არ ესმოდა ეს შრიალი, ამისი ოთახი იქით იყო, იქითა, აქედან შორსა, იქ ფართო აივანი გადაშლილიყო, აივანს ვაზი ასდევნებოდა, ასე არა შრიალებდა ვაზის ფოთოლი, ეს სამოახლოს შრიალი გახლდათ. აღარც ის ახსოვს თუ როგორა შრიალებდა ვაზის ფოთოლი, დიდიხნით მოშორდა აქაობასა, რუსეთს აღიზარდა, რუსთა სამხედრო სკოლებში, რუსთა არმიისთვისა, აღიზარდა და იბრძოდა, ყურში უწიოდა ტყვიები, გუგუნი, ქუხილი უდგა ყურშია. რაც უნდა იყოს მიმხვდარიყო: ელიზბარის ძმა აქ სადღაც არისო, აქვე მოვძებნითო, შენ მხოლოდ ელიზბართან გექნება საქმე, ესეც იქ ჩამოვა განსაკუთრებული დავალებითაო, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული დავალებითაო, სხვაგვარად არ დაუშვებდა სიამაყე ხეთერელებისა, – განსაკუთრებული დავალებითაო, ანუ სარდლად შიდაქართლისა: თქვენ მანამდის გააფრთხილეთ შეთქმულნიო, დაიბარეთ ტყედგასულნიო, ერთისიტყვით მოემზადენით ამის ჩამოსასვლელადაო. ეს უკვე აქ გახლავთ, რაღა ბედენაა დავალება გიორგი ყანჩაველისა თუ

ვიღაც სხვისა თუ სხვებისა, ვინც ამოჰფარებია თუ ამოჰფარებიან გამოჩენილი კომპოზიტორის სახელსა, რა ბედენაა, რა დაცდა უნდა? ეს უკვე აქ გახლავთ და უკვე იცის, ელიზბარი წინააღმდეგია, ჰმ, წინააღმდეგია, – ელიზბარმა წამლები მოამზადოს, ბევრი მალამო მოამზადოს, განაფოს მოწყალების დები, სხვა დანარჩენი ამისი განსარიგებელია. აღარ ახსოვდა, თუ ვით შრიალებდა ფოთოლი ვაზისა, არ იცოდა შრიალი ცაცხვის ფოთოლთა, არ იცოდა, არც მოესმოდა, ტყვიები უზუზუნებდა ყურში, ქუხილი უდგა, აეტანა მძვინვარებასა. ჰო, ის უკვე აქ გახლდათ, მაგრამ ჯერ მაინც გარეშე პირი იყო, ჯერ არავინ დაემორჩილებოდა, მაინც უნდა მოესინჯა. და შემობრუნდა:

– მე აქ გახლავართ, მომახსენეთ ყველაფერი! – შემობრუნდა და ბრძანა სარდალმა, ჭეშმარიტმა მხედართმთავარმა, აფსუს, რო მხოლოდ ზურგზე დასცემოდა ოდნავი ნათელი მკრთალი მთვარისა, აფსუს, ვეება შუქურებით რო არ განათებულიყო ან არ იდგა დიდების დარბაზში უფლისციხისა, დიდების კვარცხლბეკზე, როცა მზე შუადღისა გაპირდაპირებოდა ზესარკმელსა, გაპირდაპირებოდა და იმსხვრეოდა, იღვრებოდა, იფრქვეოდა, რათა უფრო მეტი ბრწყინვალებით გამოეჩინა ფიცის მიცემა, გამარჯვებული დაგიბრუნდებითო ან მოხსენება, გავიმარჯვეო, მტერი ქედს იხრის თქვენს წინაშეო; გადაშუქებულიყო ტახტი უხუცესთა, სახე უხუცესთა, დაბორკილიყოს მტერი აწ და მარადისო, აწ და მარადისაო, აფსუს, აქ მხოლოდ გამოუძინებელი ახალგაზრდა მუსიკოსი მიწოლილიყო, ბნელ კუთხეში მიწოლილიყო, ძილი თავისკენ ეწეოდა, შალვა ხეთერელი

თავისკენა, აღარ გაეგებოდა, რომელს დანებებოდა ან რომელი დაიმორჩილებდა.

– უკვე მოგახსენეთ... – ამოილუღლუღა და გადაბრუნდა კედლისკენა.

– ელიზბარს მოახსენეთ...

– დიახ, სულერთია, ბატონი გიორგი ყველას იგივესა სთხოვს, დაეხმარეთო. – საბნის ყური მოაფათურა, მოიხვია თავზედა, ლამის შეხუთულიყო თუ შეგუბებოდა სული, მაინც წამოიკეცა, ისე საშინლად მოსჩვენებოდა სახეი, რომელიც მკაფიოდ არცა სჩანდა, მხოლოდ ზურგიდან რო წამოჰფენოდა მკრთალი ნათელი.

– ბრმად არავის ვეხმარები.

მკვეთრად მოესმა წახურულ საბანშიცა, გადაიგდო საბანი.

– ბრმად რატომაო...

– რახან ჩავერევი, ჩემს ხელთ უნდა იყოს ყველაფერი.

– არ ვიცი, რა მოგახსენოთ...

– ჩემს ხელთ უნდა იყოს სტრატეგიული გეგმა, რუკა და შიფრის გასაღები, რაზმების განლაგება, ლაშქარის რაოდენობა, იარაღის საწყობები, მომარაგების გზები და საშუალებანი, უშუალო ურთიერთობა უნდა მქონდეს მთავარ შტაბთანა, რწმუნება უნდა მქონდეს სრული თავისუფლებისა. ასეთია ჩემი პირობა, თუ თქვენ სხვა წინადადებანი გაქვთ, მოლაპარაკება უაზროა.

სტუმარი წამოჯდა, არაფერი გაეგებოდა, სიბნელეც ხელს უწყობდა იმის გაუგებრობასა, თვალებს ახამხამებდა უაზროდა, ამაოდ ცდილობდა, რაიმე დაენახა, ნათქვამიდან რო ვერაფერი გამოერკვია,

ეგება სახეზე ამოვიკითხოო, ამაოდა ცდილობდა, ლამობდა ამაოდა. მთვარის შუქი ისევ მკრთალად ჩამოშვებულიყო ფანჯარაშია, ჩამოშვებულიყო ირიბადა სჭრიდა შალვა ხეთერელის ზურგსა, კეფასაც გადასდევდა, ჰკვეთავდა კუნჭულსა პატარა ოთახისა, შუამდის სვეტად ასდევდა კედელსა; იმ სვეტში მაინც მოქცეულიყო, სახე ფანჯრისთვის მიეშვირა, ჰო მიეშვირა, გაპირდაპირებოდა, რა ვუყოთ, თუ მკრთალი გახლდათ ნათელი, სახე მაინც გამოირჩეოდა, აღავსებდა ნათქვამსა, როგორმე ოდნავ მიახვედრებდა; ამაოდა ცდილობდა, ამაოდ ინატრებდა, ადგილიდან არ იძვროდა შალვა ხეთერელი, იდგა გაჭიმული, მხედარს რო შეჰფერის გადამწყვეტ წუთებში, – მაშ რაო, მიიღებთ ჩემს წინადადებასა, სხვაგვარად მოლაპარაკება უაზროა.

– მართალი ბრძანებაა, მოლაპარაკება უაზროა, – ასეც მიატანა სტუმარმა, ეტყობა მოეწონა ნათქვამი, მიატანა ხალისიანადა, ოდნავადაც ჩაიცინა, მკვირცხლად წამოიკეცა საბანი და მიექცა ბალიშსა. გამოუძინრობის ბრალი თუ იყო ან მიუხვედრელობისა, თორემ ცოტა უფრო იფრთხილებდა. იმისი ბრალიც იქნებოდა, აქამდის რო არ ემოგზაურა. ბევრი სხვა რამის ბრალიც იქნებოდა, ვთქვათ, იმისა, რო ვისაც იცნობდა, თუ ვისთანაც ესაქმებოდა, ერთმანეთსა ჰგავდნენ ან თავგამოდებითა ჰბაძავდნენ ერთმანეთსა, ან ამას ეგონა ერთნაირნი არიანო, იშვიათად გადაჰყროდა სხვათა და სხვათა, ეგრერიგად ვერ ერკვეოდა, რა ზნისანი, რა ხასიათისანი იყვნენ ადამიანები, – უამრავ ზნისანი, უამრავ ხასიათისანი. სიბნელესაც თუ დავაბრალებთ, კიდევაც საკვირველია, უფრო სახიფათო რად არ წამოსცდა. თუმცა

ესეც საკმარისი გახლდათ, მიეჭრა შალვა ჯიქურადა, საბანი გადააძრო, მკლავში ჩაავლო ხელი და წამოაგდო.

– მაშ რად დაიწყეთ მოლაპარაკება?!

– რა გნებავთ ჩემგან?! – შესძახა სტუმარმა ცოტა შიშითა, ცოტა განნირულივითა, ცოტა იმ იმედითა, ვინმე გაიგონებს, მომხედავენო.

– მაშ რად დაიწყეთ მოლაპარაკებამეთქი.

– არაფერი მესმის.

– გვიანღა არის უკანდახევა, ყველაფერი თქვით, ჩემს გამოსაწვევადა და შესამზადებლადა თქვით, აჰა, მე მზადა ვარ, დააბოლავეთ, თქვით დანარჩენიცა, ქარაგმების თავი არა მაქვს, ჩემთვის ყველაფერი ნათელი უნდა იყოს.

– ნათელიც არის, ბატონი გიორგი...

– დიახ, დიახ, რაო ბატონი გიორგი?!

– სთხოვს ყველასა, ყველასა, ვისაც შეუძლია, ვისაც დრო არ დაეშურება, მირჩიოს, მიმასწავლოს თუ როგორ მივიკვლიო მუსიკალური საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობი ხალხური სიმღერები.

– რომელი სიმღერები?!

– ხალხური სიმღერები.

– რას ნიშნავს ხალხური სიმღერები?!

– სიმღერებს, ხალხში რო შექმნილა, დახვეწილა საუკუნეების განმავლობაში, თაობიდან თაობას გადმოსცემია, წამოულია წინაპართა კვნესა თუ სიხარული, დამაფიქვრელად, გულსჩამწვდომად გადმოუტანია. ხალხური სიმღერები რამდენიმე ჯგუფად დაიყოფა. ერთი მაგალითად...

– ლანირაკო, – შესძახა შალვა ხეთერელმა და ძალდაძალ შეანჯღრია სტუმარი, – კონსერვატორი-

ის სტუდენტი გგონივარ თუ აბუჩად მიგდებ?! როგორ მიბედავ!..

მოიბუზა სტუმარი, ჯერ გაინია ეგებ წაუვიდეო, მიხვდა, ვერსაით გაუსხლტებოდა მარწუხივით შემოჭდობილ თითებსა, მერეღა მოიბუზა.

– აკი მკითხეთ?! – თქვა ეგრე მობუზულმა, – განა თქვა, – წამოიქრიტინა.

– რა გკითხე?!

– რასა ნიშნავს ხალხური სიმღერებიო.

– ჰოდა რასა ნიშნავს?..

რაოდენ მიუხვედრელიც უნდა ყოფილიყო, იგივეს მაინც ვეღარ გაიმეორებდა, ვერც სხვას იტყოდა, – რას იტყოდა, სხვა რა უნდა ეთქვა?! უცნაურ ყოფაში მოხვედრილიყო, რა ეღონა, აღარ იცოდა, შიშობდა, კიდევ არ შემანჯღრიოსო, შიშობდა ვეღარ გაუძლებდა, შეჰყვირებდა, მომეშველეთო. ეგება სჯობდა, ახლავე ეხმო მშველელისთვისა, ეგება აქამდისაც უნდა ეხმო, ეხმო მაშინვე, რო იგრძნო, ვიხრჩობი თამბაქოს ბოლშიო. მაგრამ ის რაც იყო, იყო, ახლა მაინც ნულარ დაიგვიანებდა... მარწუხი ეშვებოდა, ნელ-ნელა ეშვებოდა, უცებ მოეხსნა. გაბრუნდა მრისხანე ლანდი, ფანჯარას გადაადგა, მაშინ სახეზე დაეცა მკრთალი ნათელი, სახე იქითკენ მიქცეულიყო, ეს მაინც ვერ დაინახავდა. მშველელი მიავინყდა, ოღონდ ყოფილიყო ეგრე მდუმარედა თუ ეთქვა რაიმე, თავისთვის ეთქვა, ანთუ მდუმარება აჯობებდა, რა თქმა უნდა, ძილი მით უკეთესი, ძილი ღრმა, გადაკარგული ამა ქვეყნიდანა, მაგრამ ვინ დააცადა, – რას ნიშნავს ხალხური სიმღერებიო, ჩასციებია და ეს ვერას მიუგებს, ტვინიც რო გადაიბრუნოს, ვერაფერს ეტყვის, რაც იცის, იმაზე მეტსა, ვერა ვერაფერსა.

– იცით, რა?! – შესძახა უცებ აღმოჩენის სიხარულითა, – შევუთვლი ბატონ გიორგისა, შევეკითხები, შესაძლოა სხვაგვარი განმარტებებიც იყოს...

თავი მოიბრუნა შალვა ხეთერელმა, ისე მოიბრუნა, ცალ მხარეს დაეცა შუქი მთვარისა. ისურვებდა და იხილა სტუმარმა, იხილა მრისხანე სახეი, ოღონდ ეს ისეთი მრისხანება გახლდათ, ვერაფერი რო ვერ ეწამებინა:

– ეს უფრო გონივრული წინადადებაა, – გამოისროლა ნახევრად გაშუქებულმა სახემა, მკრთალი მთვარით გაშუქებულმა, – თანახმა ვარ, შეატყობინეთ. მანამდის ჩვენ შეგვიძლიან განვაგრძოთ საუბარი, ოღონდ ასე აბდაუბდა აღარა, ნათლად ვილაპარაკოთ, რა განგიზრახავთ, რას აპირებთ, როდის დაიწყებთ?

სახე წინ წამოვიდა, გამოსცდა მკრთალ ნათელსა, მთვარის ნათელსა, აქეთ სხვა ნათელი აღარ იყო, სიბნელე გახლდათ, სიბნელე და შეფიქრიანებული მგზავრი, ახალგაზრდა მუსიკოსი, შეფიქრიანებული და შეწუხებული, ნეტავი როგორღა ნათლად ლაპარაკს მოითხოვსო, ან რა დროს ლაპარაკია, ან აქამდის რად არ გამომეხმაურა თუ ასეთი მხურვალე მომხრეა ჩემი, ან რა აბრაზებს, ვინ ეუბნება უარსო. ჩაფიქრებაც რო არ შეიძლებოდა, – როდის დაიწყებთო: მოდიოდა სახე, ბნელში მოიწევდა, მკვეთრი ლანდი მოაპობდა მღვრიე სიბნელესა.

– ხვალვე, – შეაგება მოჩქარებითა, ეგება შევაჩერო მკვეთრი ლანდიო. მართლაც შეაჩერა და მოჩქარებითვე მიაყარა, აღარ დაიძრასო, – განზრახული მაქვს ორგვარი მეთოდი მუშაობისა, ბა-

ტონ გიორგის ეს მოეხსენება, მოსწონს, თანახმაა: ესე იგი ორგვარი მეთოდი. რა მეთოდებია ეს მეთოდები: ადგილობრივ და გამოწვევით. ადგილობრივ, ნიშნავს, მე თვითონ ჩამოვივლი ან ჩვენ თვითონ ჩამოვივლით, კალოები იქნება, თუ სხვა რამ საქმიანობა იქნება, დღეობები იქნება თუ სხვა რამ გართობანი, ან დატირება, ესეც შეიძლება, რა თქმა უნდა, ერთი სიტყვით, ჩამოვივლით და, რასაც გადავეყრებით, ჩავიწერთ, იქვე ჩავიწერთ, ბუნებრივადა, ბუნებრივ პირობებში. ჩამწერი საუცხოვო მაქვს, თუ არა და, ნოტებზე გადავიღებ. შემდეგი ანუ გამოწვევით, ნიშნავს, მოვიხმობთ შერჩეულს მომღერლებსა, რომლებიც ჩვენის თხოვნით, ჩვენის შეკვეთით შეასრულებენ რაც იციან. ორივე ამ მეთოდს თავისებური ნაკლიცა აქვს, თავისებური ღირსებაცა. ორივეს ნაკლსაც მოგახსენებთ, ორივეს ღირსებასაცა, ოღონდ აქედანვე იცოდეთ, თანახმა ვარ მივიღო ყველა სხვა მეთოდი, ყველა სხვა რჩევა, ოღონდ არ გამოგვრჩეს არცერთი ნიუანსი, მცირედი ნიუანსიც არა. ახლა რაც შეეხება ნაკლსა და ღირსებას, ორივესი ცალ-ცალკე...

ისევ წამოვიდა მკვეთრი ლანდი. მკაცრი სახება, განა წამოვიდა – დაეშვა, დაქანდა ნაჯახივითა, დაეცემა და შუა გადააპობსო, ათად მოიკუნტა სტუმარი მოიგრიხა, დაეხვა, მაინც არაფერი ეშველებოდა, განწირულიყო. მაგრამ შეჩერდა ნაჯახი, ფხა შეახო და შეჩერდა:

– გაგაფრთხილე თუ არა?!

– გამაფრთხილე... – წაიწკმუტუნა.

– მაშ რაღას მიედმოედები?!

– რაცა მკითხეთ... – სცადა თავი წამოეწია, მკითხე და გიხსნიდი დაწვრილებითაო.

– გიბრძანეთ, ნათლად ილაპარაკემეთქი, – შესძახა ჩვეული მრისხანებითა, ილაპარაკებთ თუ არა გარკვევითა?! იტყვით თუ არა, იტყვით თუ არა?! – კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა და იყვირა ისე, ზრიალი დაიწყო ძველმა სამოახლომა.

ვინ იცის, რა მომხდარიყო, ელიზბარი რო არ მიშველებოდა, – ჯერ ხმა მიაწვდინა, მერე თან მიჰყვა ხმასა, რა ამბავია, რა დაგმართნიათო.

– უნდა მითხრათ, – შეჰყვირა ძმამა, – მე არ შემიძლიან ავიტანო იდუმალებით მოსილი სიტყვები და გადაკრული ლაპარაკი, მე უნდა ვიცოდე ყველაფერი, მე უნდა მემორჩილებოდეთ, თუ არა და, უარს ვაცხადებ და ვნახოთ ერთი, სხვას ვის იპოვნით ჩემზე გამოცდილსა, ჩემზე ერთგულსა, ჩემზე თავდადებულსა!..

– ბოდავ, – მწვავედ ამოიძახა ელიზბარმა, – ასე იცის ცუდმა სიზმრებმა.

– წუთითაც არ ნამძინებია...

– მით უარესი, უფრო მწარე ბოდვანი იცის უძილობამა... დაიძინე!

– არ დავიძინებ, უნდა ვიცოდე!

– დაიძინე, შე საცოდავო... – წყნარად წარმოსთქვა ელიზბარმა, წყნარადა, ოღონდ საოცარი გულისტკივილითა, თან მოაყოლა სიბრალულიცა, უსასოობაცა, უიმედობაცა, თან მოაყოლა უსათუთესი განცდა უბედურობით შეძრწუნებულისა, რომელს არ ძალუძს, თანაუგრძნოს, ხელი წაახმაროს, თვით შებორკილა და გათანგულა, მიუტოვებია ღმერთსა თუ სიკეთესა, გამრიგესა სოფლისა, ველარაფერი რო

ველარ განურიგებია, გასცლია, გამდგარა, მიუტოვებია; წყნარად წარმოთქვა წყნარადა, ოღონდ შთამაგონებლადა, ეს გამოცდილი ექიმის ზემოქმედებაც იყო, ზემოქმედებაცა ძმობისა, იმ გაუგებრობისაცა, აქამდის რო ვერ გაერკვია და ვერც გაარკვევდა შალვა ხეთერელი.

V

კრინტი აღარ დაუძრავს შალვა ხეთერელსა, ისე დაილია ღამე, დღეც გაჰლია უბრადა, უხმოდა, ნაწილიც არ ჩაუდვია პირში, არც საუზმეს გაჰკარებია, არცა სადილსა. არც გარეთ გასულა, არც წამოუწევია საწოლიდანა, წამხობილიყო, წაპირქვავებულიყო, არ უნდა არავის დანახვაი, არც ხმის გაგონება არავისი. არც არავინ ეპასუხებოდა, სტუმარი ვერც გაჰბედავდა, არც რძალი ეპასუხებოდა, ძმა მაინც დაეხმაურებოდა, რა თქმა უნდა, მაგრამ არ მოეცლიათ, არ გაეჩერებინათ შინა, დილიდანვე გაეყვანათ, დილიდანვე დაატარებდნენ აღმა-დაღმა, გაღმა-გამოღმა, შორსა თუ ახლოსა, დაატარებდნენ ავადმყოფებთანა თუ დაჭრილ-დაჩეხილებთანა, მშობიარეებთანა თუ ბნედიანებთანა, უეცრად გულშემოყრილებთანა თუ საიქიოდ გადადებულებთანა; ერთს რო უვლიდა, მეორე დასდგომოდა თავსა, არიქა, ჩემთან წამოდიო, დაუზარელი იყო და დაატარებდნენ, მუქთი იყო და ეტანებოდნენ, ან ვინ არ მიეტანებოდა, ვინ მოასვენებდა მუქთასა, დაუზარელსა? – არც არავინა, მილიციაც იმას იხმობდა, პატიმარს მივაცილებდით გორსა, გაგვექცა და

ვესროლეთო. დაჰხედავდა, დაიხრებოდა, გისვრიათო. დაუდასტურებდა. შემოგვაკვდა, აღარაფერი ეშველებაო. შემოგკვდომიათო, აღარაფერი აღარ ეშველებაო, დაეთანხმებოდა. ახირება არცა სჩვეოდა, იყო მუყაითი, საქმის ერთგული, მორჩილი ყველასი, დიდისაცა, პატარასიცა, სხვადასხვა მოვლინებულისა თუ უფროსისაცა, ამპარტავნებისაცა და თავმდაბლებისაცა, გულუმტკიცესებისაცა და გულჩვილებისაცა, ყველასი, ყველასი, ყველა საშველად უხმობდა, ასდევდა ყველასა; შინაურებისთვის ვერ მოეცალა, ვერ დახმარებოდა ძმასა. ერთხანს თითქოს შვება მიეცა, ეს მაშინა, ხართაშობისას რო დაეშვა მზეი, კიდევაც გაეშურა შინისკენა, მაგრამ გადაუდგნენ პატარამეჯვრისხეველები, ჩიკოიძეებისათვის უსვრიათო, ორღობეში დაცემულან დიმიტრი და ლადოო, მიჰხედე თუ კაცი ხარო. კაცობის შეხსენება არც უნდოდა, სიტყვის მასალა იყო, არც უნდოდა, ხვეწნა თუ მუდარა, ან შეხსენება სიბრალულისა, სხვებს უნდოდათ, დაკარგულიყო, სიბრალული, სიკეთე დაკარგულიყო, გაავებულიყო დიდი ნაწილი იმა მხარეში, მაგრამ იმათ ვერავინ მოაგონებდა სიკეთესა თუ სიბრალულსა, მხოლოდ ამას მოაგონებდნენ, მოაგონებდნენ, ვინც ვერასოდეს დაივიწყებდა.

ასე მიტოვებულიყო შალვა ხეთერელი უძმოდა და უმეგობროდა, მიტოვებულიყო გაფიცხებული ფიქრებისა და ანთებული წარმოსახვის ანაბრადა. სიბრაზით აღარაფერი აბრაზებდა, კიდევაც მოსწონდა ეს უმტკიცესი ვაჟკაცები, რო არ გაუმხილეს, არ გამოუტყდნენ, დააბნიეს, აუხვიეს თვალი. არა, ამას თვალი არ აჰხვევია, უფრო ცხოველად წარმო-

იდგინა, მაგრამ სულერთია, იმათ დაეფარათ, რადგან რწმუნება რო არა ჰქონდათ, გამოსტყდომოდნენ. ალბათ თვით გიორგი ყანჩაველი გამოუტყდება, ასეც უთქვამს, აქ არისო, – თბილისშიაო, გასაგებია, რახან აქ არის, მევე მოველაპარაკები, შენ იქ შენს საქმეს მიჰხედეო, გასაგებია ყველაფერი, ნათელია, ნათელზე ნათელი; გიორგი ყანჩაველი შალვას დაეძებს, ხოლო ეს აქ არის, ხევთისშია, აქ არის და გულს ასკდება, რად არ მეტყვიანო, – ვინ ეტყვის გიორგი ყანჩაველზე უკეთესადა? ვერც ვერავინ ეტყვის, არც არავინ ეტყვის, უნდა მიაშუროს თბილისსა, უნდა შეხვდეს... და ხართაშობისას, ელიზბარი ორღობეში ჩიკოიძეების გვამებს რო დასცქეროდა, შალვამ ლაგამი ამოსდო თავიანთეულ ცხენსა თავიანთეულ ბაღში, ზედ მოევლო და გაჰქუსლა გორისკენა, საღამოს მატარებელს მივუსწრებო.

ვერ მიუსწრო, არ ეწერა... ელიზბარიც ვერ დაბრუნდა შუაღამემდისა, ასე ეწერა.

ვერც ნიკუშა ასცდენოდა თავის წერასა, იდგა და ელოდა, იჯდა და ელოდა, იწვა და ელოდა ელიზბარ ხეთერელსა, ფეხი ვერ გაედგა უიმისოდა, ვერ გამოეცადა დათქმული „მეთოდები", ვერც ვერავისთან მისულიყო, ვერც ვერავინ მოეწვია; არც მოუხერხდებოდა, არც თავი ჰქონდა, მძიმე ღამე გადაეტანა, ძილი გასტეხოდა, აზრიც დაჰბნეოდა ძილგატეხილსა. გზა არა ჰქონდა ლოდინის იქითა, გზა არა ჰქონდა და ელოდა. ისიც აშინებდა სადაც ელოდა, აშინებდა პატარა ოთახი, სასტუმრო ოთახი, რომლის ერთადერთ ფანჯარას შეჰბუტბუტებდა რტოები ცაცხვისა, შეჰბუტბუტებდა წუხანდელზედ მეტი იდუმალებითა. რტოები როდი აშინებდა, არცა იდუმალება,

ვერც ჩასწვდებოდა იდუმალებას ფოთოლთა შრიალისა, მხოლოდ ის აფიქრებდა, კიდევ არ ამოცურებულიყო მკაცრი სახება, მკრთალად გადაშუქებული, ნახევრად გადაშუქებული მთვარის ნათელითა. ამაოდ შეფიქრიანებულიყო, არც ეს ეწერა, სხვა რამ ეწერა, სხვა რამ უნდა გადახდომოდა, არ იცოდა, ვერც მიხვდებოდა, ოღონდ მიხვედრაც აღარ უნდოდა: კარს მოსდგომოდა ანთებული სანთელი. კარი გაიღო, იქვე აქანავდა მკრთალი შუქი. ფანჯარაშიც მკრთალი შუქი ჩამომდგარიყო, ურხევი, შეუქანებელი. ეს სხვა გახლდათ, ეს ცახცახებდა, ქანაობდა, გადაწყდებოდა და წამოვარდებოდა, მომეტებულად წამოვარდებოდა, წინ მოიწევდა, მოვიდა სულ ახლოსა, სანოლთან დადგა. კვლავაცა ცახცახებდა, კვლავაცა ქანაობდა, ოღონდ არ აპირებდა დაძრულიყო იქიდანა; დასცახცახებდა მკლავსა, ზეაწეულ მკლავსა, მოხდენილსა, მომხიბლავსა ისედაცა, მითუმეტეს სანთლის შუქქვეშა; დასცახცახებდა ჩამოშლილ გრძელ თმასა, შუაზედ რომ გადაყოფილიყო, ნანილი მხრებზე გადაჰფენოდა, ნანილი ჩამოტოტილიყო მკერდზედა, ჩამოტოტილიყო, ჩამოტალღულიყო, თეთრი ემოსა, თეთრზე ეფინა, თეთრზე ჩამოტალღულიყო.

გამოცხადება თუ იყო, ნეტავი სხვა რა იქნებოდა, – ლოცვად უნდა დამდგარიყო, შევედრებოდა, ეს ქვეყანა შენი ხვედრია, შენი ვართ, შენი, მეც მომხედე, მეც წარმმართე გზასა კეთილსაო. ნამოინია.

– იწექით, – სთქვა ქალმა, უბრალოდა სთქვა, ვითომდა აქ არაფერიაო, სკამი მიიდგა საწოლთანა, ძირს დადგა შანდალი. – თუ გეძინებათ, არ შეგანუხებთ, გავბრუნდები.

– არა... რასა ბრძანებთ!

– იწექით, იწექით! ნუ შეწუხდებით, თორემ გავ-ბრუნდები... – ქალი წამოდგა, შანდალს დაეწოდა, შეასრულებდა დანამუქრსა.

– არა, არა, არა... როგორც გენებოთ... – დამორ-ჩილდა სტუმარი, თან ფანჯრისკენაც გააპარა თვა-ლი, იქიდანაც მოჩვენება ჰო არ გადმოდისო.

არა, იქ ისევ შრიალებდა ფოთოლი ცაცხვისა, იდ-გა მკრთალი სვეტი ფანჯრის რაფაზე, ირიბად იდგა.

აქ იჯდა ქალი, თმა ჩაჰღვროდა კალთაში, ღვარს იგროვებდა მუჭში, იგროვებდა და ვერც იგროვებდა. ცახცახებდა სანთელი, აცახცახებდა ქალის ლანდს, ყველაფერს აცახცახებდა პატარა ოთახში. გარეთ ფოთოლიცა ცახცახებდა, შუქი არა, შუქი მთვარისა, იდგა, ჩასვეტილიყო ირიბადა, დადარაჯებულიყო, თითქოს იმიტომ დადარაჯებულიყო, მკაცრი სახება თუ შემოიჭრებოდა, გადაეყო შუაზედა. აქ იჯდა ქა-ლი, ლამაზი ქალი, შეჰფრფინვოდა სანთელი, შეს-ცახცახებდა.

– გეტყობათ, შეწუხდით, – თანაგრძნობით წარ-მოსთქვა ქალმა, – ჩამოხვედით დიდი იმედებითა, არ დაგხვდათ ნიადაგი შესაფერისი თქვენი იმედებისა.

– არა, რატომ?! ვიმედოვნებ... – კიდევ რაღაც უნდა მოედევნებინა, მაგრამ აქ კიდევ წამოიწია, თან შეკრთა, საბანი არ გადამეჩეჩოს, არაფერი არ გამო-მიჩნდესო, – თუ ნებას მომცემთ, საშუალება თუ მექ-ნება, წამოვდგები.

– იწექით-მეთქი. – და ქალმა სანთლისკენ წაიღო თვალი, ავიღებ და გავალო.

– არა! ნუ! – საჩქაროდ მიატანა სტუმარმა, – უხერხულია, თითქოს ავად ვიყვე...

– არც გასაკვირია, – არ ეურჩა ქალი, ოღონდ იქვე დასძინა, – თქვენ არა, ჩვენა ვართ ავადა, მე ვარ ავადა, სიმარტოვე და სულის ობლობა ყოვლად საშინელი ავადმყოფობაა; ჩემი მეუღლე ბრძანდება ავადა, ქედის მოხრა და დამორჩილება შემაძრწუნებელი სიმდაბლეა, ავადმყოფობაზე ავადმყოფობაა, დაცემულობაა სულისა.

– არა, რატომ?!

– რატომ არა?! – შეუბრუნა ქალმა, მწყრალად შეუბრუნა, ეჭვმაც გაუბზარა ისედაც სევდანარევი ხმაი.

– მართალსა ბრძანებთ, რა თქმა უნდა, – აღელდა სტუმარი, რად ვეურჩეო. – ოღონდ მე მინდოდა მეთქვა...

– მე ვამბობ, – მოუჭრა ქალმა, – და რასაც მე ვამბობ, ჭეშმარიტებაა; მე ქვეყნის ამბებს არ მოგახსენებთ, ჩემსას გეუბნებით, გეუბნებით ჩემი ქმრისასა და ეს ყველაზე უკეთ მე მომეხსენება, და რაც ყველაზე უკეთ მომეხსენება ჭეშმარიტებისაა ან მგვანია ჭეშმარიტებისა.

– გეთანხმებით... – მხურვალედ შეეპასუხა სტუმარი, თითქოს ურჩობა უნდა გამოისყიდოსო, თუმცა არცთუ გაბედული გახლდათ ეს მხურვალებაი, ისეთ ყოფაში იყო, უხერხული გამოსდიოდა ყველაფერი.

– მე ვამბობ, – თითქოს შეუწყრა ქალი, ნუ მეპასუხებიო, – „მძიმე არის მარტოობა სულისა...“ ვიმეორებ, რა თქმა უნდა, მაგრამ ვიმეორებ, როგორც განცდას ჩემსასა, საკუთარსა, შეუცილებელსა. ადრე ვიმეორებდი ისე, როგორც ლამაზ, პოეტურ სტრიქონსა, ახლა ვიცი თუ რა არის მარტოობა სულისა; კარგია, რო გავიგე, ჩავწვდი აზრსა, ჩავწვდი

შთაგონებას პოეტისა, მაგრამ ნეტავი არ გამეგო, ნეტავი კვლავაც აღტაცებით წამომეძახნა, „ო, როგორ მომწონს, მშვენიერია!" წამომეძახნა და მიმენაბა თვალები, როგორც გვჩვეოდა, უფრო თავს ვიწონებდით, ვიდრე ლექსსა. – ქალი დადუმდა, მიილულა, თითქოს უნდა წარმოიდგინოს, როგორი ვიქნებოდი მაშინაო.

– არა, – ისევ აჩქარდა სტუმარი, – თქვენ ყოველთვის ჩასწვდებოდით, ყოველთვის განიცდიდით.

– ახლა განვიცდიმეთქი, – კიდევ არ დაანება ქალმა, – განვიცდი მომეტებულადა, რაც უფრო მორჩილდება ხალხი, რაც უფრო მდაბლდება, მით უფრო გაუგებარიცა ხდება ჩემთვის ის კაციცა, ვინც უნდა მანუგეშებდეს, მამხნევებდეს, მასულიერებდეს. ის თითქოს არც ამჩნევს თუ რა მემართება ან რა ხდება ირგვლივა ან თვითონვე რა დამართნია, თითქოს არც ამჩნევს თუ აინუნშიც არ აგდებს არაფერსა. ასე რო იყოს, უკეთესიც იქნება, აუხსნი, გააგებინებ, წააქეზებ, გაამხნევებ, აიყოლიებ, უკეთესი იქნება!.. მაგრამ ო, არა, ასე არ არის, იცის ყოველი, გაეგება ყოველი ნათლადა და დიდებულადა, გაეგება და წაუღუნია თავი, მოდრეკილა აუტანელი სიმძიმის ქვეშა, გაგიკვირდება თუ როგორ იტანს!.. უარესიც აუტანიათო, ამასღა თუ იტყვის, იტყვის ისე, უგერგილოდა, ჩანთას წამოავლებს ხელსა და მირბის, შემოგვძახებენ თუ არა, ჰეჰეი, ექიმო, მოგვხედეო. ეს არის და ესა, ექიმიაანი დაგვერქვა და ესაა ჩვენი სახელიცა, გვარიცა, აზრიცა ჩვენი ცხოვრებისა, აქ ვინყებით და აქა ვთავდებით. მხოლოდ ავადმყოფებს გავახსენდებით, ავადმყოფები შემოგვტირიან, გამორჩენილები დაგვლოცავენ,

ოლონდ იცი რა, ვინმე გალეშილი რო შემოგვეჭრეს და კისრისტეხით გაგვრეკოს აქედანაცა, მოსარჩლე მაინც არ გამოგვიჩნდება. ეგეც არას იტყვის, გავა უდრტვინველადა, მინდვრად გამართავს კარავსა, ან არც არას გამართავს, ხეს მოეფარება, ბუჩქს მოეფარება და დაელოდება, აცა, საიდან შემომძახებენ, ჰეჰეი, ექიმო, მოგვეშველეო. ვერ ამიხსნია, თუ რა დამართნია. ჩემს მაზლს თუ ჰკითხავ, მოგვიანებული ხალხოსნობა�აო. არა, არა მგონია იდეა თუ რწმენა აქ არაფერ შუაშია, ეს სისულელეა, სიბრიყვეა, სიჩერჩეტეა, სხვა რამ არ დაერქმის, არც შეიძლება, სხვა რამე იყოს.

ამოისუნთქა ქალმა, სული მოითქვა და დრო იხელთა სტუმარმა:

– არა მგონია... – ამოსთქვა სტუმარმა.

საცა ამოსთქვა, იქვე ჩაათქმევინა ქალმა, ლამაზმა ქალმა, განათებულმა სანთლის შუქითა:

– არც გეგონებათ, სნორადა მსჯელობს, სწორად განსაზღვრავს მოვლენებსა, კარგად ერკვევა ყოველ მდგომარეობაში, ურთულეს მდგომარეობაში, რად გეგონებათ?! კიდევაც გაგაოცებთ გონიერებითა, დინჯი, აუღელვებელი მსჯელობითა. მაგრამ მერეა ძნელი ასატანი, მერე, თითსაც რო არ გაანძრევს არავის საწინააღმდეგოდა, კრინტსაც რო არ დასძრავს. ყველაფერს რო შეეგუება, ბოროტებასაც შეეგუება, ვით გარდაუვალ ბედისწერასა. ეს უნდა იცოდეთ, ისე ძნელია იმასთან ლაპარაკი, ისე ადვილია დაგიყოლიოთ. ნუ დაჰყვებით, ნუ დაუჯერებთ, არ დასთმოთ თქვენი, თუ ვერ აიყოლიებთ, დაეხსენით, სხვაც ბევრი გამოგიჩნდებათ მხარისამბმელი. – ეს მღელვარედ გამოსთქვა ქალმა, სანთელიც ჰო ირ-

ხეოდა, ღელავდა, აღელვებდა იმის ლანდსა. ფოთოლიც აღელდა ფანჯარაშია, ცაცხვის ფოთოლი, ჩაიშრიალა და აქოთქოთდა.

– ბატონმა გიორგიმ... – განმარტება სცადა სტუმარმა.

– ბატონ გიორგის ეხსომება ისეთივე, როგორიც გახლდათ, რწმენით აღსავსე, გატაცებული ახალგაზრდა... ეს იყო, მორჩა, დრომ დააგლიჯა ფრთები, ფრთებდაგლეჯილი ბახალაა, ბახალა! – გაცხარდა ქალი, – ხალხი დაეცა, ხალხი დამორჩილდა და დამორჩილდა ესეცა... დამორჩილდა!.. მე სულ სხვას ველოდი, მე სულ სხვას შევტრფოდი ამ ადამიანში...

– მე უნდა მეთქვა, – მიადევნა სტუმარმა, მიადევნა, ცოტა არ იყოს, აჩქარებითა, ეუხერხულებოდა, მასპინძლის კიცხვას რო ისმენდა, მერე როგორა: მიწოლილიყო და ისმენდა, დიასახლისი უჯდა საწოლთანა, სანთელი არხევდა დიასახლისსა, კალთაში ჩაღვრილ თმას აწვალებდა დიასახლისი. – სხვანიც მიმასწავლა ბატონმა გიორგიმ...

– გამჭრიახია ბატონი გიორგი, თქვენც სხვებს მოუყარეთ თავი თუ კიდევ სადმე მოიძებნება მებრძოლი ხალხი... ბრძენი... გონიერი... არც ასე აღგზნებული, ეს ჩემი მაზლი რო ბრძანდება, ბრძენი, ბრძენი!.. ნუ დაჰკარგავთ დროსა, ახლა წუთის დაკარგვაც არ შეიძლება, წუთს დაჰკარგავთ და დაიკარგება ყველაფერი, სამუდამოდ დაიკარგება. – ქალი გაშეშდა, თითქოს შესძრა ავმა წინასწარმეტყველებამაო. სტუმარს მოეჩვენა, ჩქამი გატყდაო, გაისუსა, გაეკრა ბალიშსა. ქალი პასუხს ელოდა, ვაჲ – ვიღაცასა, აი, ვიღაცა შემოაღებს კარსაო. სდუმდნენ და ელოდნენ. ცახცახებდა სანთელი, იწვოდა სანთე-

ლი. მატულობდა შუქი მთვარისა, ფანჯარა ივსებოდა, ნელ-ნელა ივსებოდა. – წუთის დაკარგვაც არ შეიძლება! – გაიმეორა ქალმა, გაიმეორა უფრო მძაფრადა.

– ახლა რა უნდა ვქნა?! – უმწეოდაცა თქვა, ესეც გამოდიოდა: მირჩიე და მერე მე ვიციო.

– იმას ნუ ელოდებით, შეჰყარეთ სხვანი... ბატონ გიორგიმ როგორც გირჩიათ... – ჩურჩულით დაასრულა, ჩამოღვარული თმა წამოიკრიფა, ტუჩპირზე გადაივლო და ჩაბალახის ყურივით გადაიგდო მხარზედა, თითქოს ამხედრებულა, ქუსლს შემოჰკრავს მერანსა და შეჰკიჟინებს, მომყევითო.

აჰყვა სტუმარი, აუფოფინდა, აუჩურჩულდა სული, წამოიწია და ლოგინში რო წამოიწია, მიხვდა თუ რა უმწეო ყოფაში ჩავარდნილიყო, ამიტომაც წარმოსთქვა, ცოტა არ იყოს, მწუხარებითა:

– ამ ღამიან რაღა იქნება...

– ახლა ასეა: ღამე და დღე აღარ გაიყოფა!..

– არა, აღარ დაველოდები... გათენდება თუ არა, შევუდგები ჩემს საქმესა. საუკეთესო ჩამწერი მაქვს, მეთოდებიცა მაქვს შემუშავებული, ნაცადი მეთოდებია, მაგრამ მე თავისებურად გამოვიყენებ, უთუოდ, უთუოდა, გათენდება თუ არა, შევუდგები. – მხურვალედ დასძინა, თითქოს გადავიწყებოდა, ლოგინში რო წამომჯდარიყო.

წამოდგა ქალი, თმა გადმოეღვარა, გადმოეფრქვა თეთრ სამოსზედა, წამოდგა და აიმართა, მომაღლო გახლდათ, კეთილად ნაგები. ფეხებთან ახლოს შესთამაშებდა სანთელი, ზეიწევდა, თითქოს აწვდომა მონდომებიაო, ვერ ასწვდომოდა, სახე ვეღარ გაეშუქებინა ეგრერიგადა, ვერ გადავლებოდა

წარბთა, წამწამთა, ვერ გადავლებოდა, ვერ დაჰ-
კვდომოდა. არც საჭირო იყო, უფრო ფიქრიანად მო-
ინევდა სახე, ოდნავ დაეჭვებული, ოდნავ გაშუქებუ-
ლი. ხელიც აცურდა, ამოტივტივდა შუქზედა, მარ-
ჯვენა ხელი, გაიჭიმა გრძელი თითები, შეეხო ნიკაპ-
სა, სტუმრის ნიკაპსა, რა თქმა უნდა, მცირედად შეე-
ხო, აიწია ისევე მცირედადა, ნელ-ნელა აიწია, აიყო-
ლია ნიკაპი, გადაშეშდა თვალები, მიაჩერდა ოდნავ
გაშუქებულ სახესა.

– მჯერა, სხვა რამე რო გამოქმედებთ, სხვა რამ
ნამდვილი, ჭეშმარიტი, დიადი! სიმღერებს არ უნდა
აეყოლიებინეთ, არა, ახლა საამისო დრო არ არის,
არა, სიმღერებს არ უნდა აეყოლიებინეთ, არა, არა...

– მხოლოდ სიმღერებსა...

თვალები იყო წრფელი, განათებული შინაგანი
სიმართლითა და სიწმინდითა; თვალები იყო წრფე-
ლი, გმირული არა, გმირისა არ იყო ის თვალები, არც
არაფერსა მალავდა, ვერც დამალავდა, მეტიც არა-
ფერი შეეძლო.

– ჰა, ჰა, ჰა... – ჩაიცინა ქალმა, ჩუმადა, თითქმის
გაუგონრადა, ჩაიცინა ჩუმადა და მწარედა, თავის-
თვის ჩაიცინა: ამას თურმე არაფერი გაეგებოდა –
სტუმარსა ცხადია – ვერც ამ სიცილს მიუხვდებოდა,
ნაღვლიან სიცილსა, ვერ მიუხვდებოდა თუ რა ძალა
მოეკრიბა, სანთელი რო აენთო და შემოეღო კარი;
აენთო და შემოეღო, რადგან ყურმოკრულ სიტყვებს
დაერწმუნებინა, მოვიდა გმირიო. გმირს ელოდა,
გმირი უნდოდა, სწყუროდა გმირი, იცოდა, თვითონა
რო აუცილებელი იყო გმირისათვისა, თვითონაცა,
სწორედ ასეთი – ლამაზი, დაუმცხრალი, გატაცებუ-
ლი, გამტაცებელი, დამპყრობელი და აღმგზნები

ძლიერი სულისა, ისეთისა არა, ელიზბარი რო ბრძანდებოდა, არც ასეთისა, არა, ასეთისა მით უფრო არა... ჭეშმარიტი სულისა, თავგანწირულისა. ეს რად ეგონა? რა ბავშვური სახეა?! ბავშვი აღარაა რა თქმა უნდა, აღარც ყმაწვილია, იმ ასაკისაა, გმირი რო უნდა იყოს, მაგრამ ვაგლახ! ეს რად ეგონა?! ხმა აქვს თავისებური, მკვეთრი, თან იდუმალი, რაღაც ფარულითა და საშიშით აღსავსე? სიტყვებიც ასეთი გამოსდიოდა, იდუმალი, ფარული, შიშით აღსავსე, ეს რად ეგონა?! – ჰა, ჰა, ჰა... გააგრძელა ქალმა, ხელი დაუშვა მოწყვეტითა, დაჰქნია, შეათამაშა სანთლის ალზედა, თითქოს რაღაც უამური თუ უწმინდური მოეცხო, უნდა მოიწვას, მოიშოროსო.

– მაგრამ ხალხური სიმღერების შეგროვება რო განმიზრახავს, სხვა რამ უფრო დიდი განზრახვაც მამოქმედებს, – შესძახა სტუმარმა, მხურვალედ შესძახა, – ოპერის დაწერას ვაპირებ, იცით! ჯერ ეს არავისთვის მითქვამს, მხოლოდ თქვენ გიმხელთ. – დიდი ნდობა იყო, თანაგრძნობა უნდოდა ამ განდობასა და შთამგონებლობა, ქალი სამისოდ ლამაზიც გახლდათ, ძლიერი სულიცა ჰქონდა, მაგრამ ეტყობოდა, არ აჰყვებოდა, ისევ ჩაიცინა იმ თავისებური, ჩუმი, გულდამწყვეტი სიცილითა, ჩაიცინა და დაეწოდა სანთელსა, უნდა აეღო, გასულიყო. მიუხვდა სტუმარი, მიეტანა სანთელს დაწოდებულ ხელსა, მიეტანა, შემოეჭდო. – მხოლოდ თქვენ გიმხელთმეთქი. თქვენ დამიპყარით და მე მოხარული ვარ ამ ტყვეობისა...

– რას მიმხელთ?! – ქალმა.

– ოპერა უნდა დავწერომეთქი.

– და ამისათვის მპირდებით ტყვეობასა?!.

– უხერხულია!!! – შეცბა რო სტუმარი...

– ჰაჰაჰაჰა... – ჩაიცინა ქალმა. მწარედ ჩაიცინა. მწარედა, მწარედა. – განა ახლა ოპერების დროა?!.. – ჩაიცინა და ჩაიცინა, უფრო მწარედ ჩაიცინა ქალმა, ჩაიცინა და ხელი გამოსტაცა. საწოლიდან გადასწვდენოდა სტუმარი, დანდობოდა იმა ხელსა, გამოეცალა სანდობელი, თავი ვერ შეიმაგრა, დაემხო სანთელსა. არაფერი მომხდარა, სანთელი ჩაჰქრა, თუმცა მოასწრო, წარბები მოეტრუსა მოგზაურისთვისა, – ეგეც არაფერი, ბევრი არაფერი. მაშინ ვერც გაიგო, ბრაგვანი მიიღო თუ არა, წამოვარდა, მაშ რაო, ეგრე სათაკილო ყოფაში ჰო არ დარჩებოდა, უნდა მოესწრო, უნდა შეეჩერებინა ქალი, ვაუკაცობა მართებდა ვაუკაცსა, ჰოდა რახან მართებდა, კიდევაც წამოიჭრა, მაგრამ გვიანღა გახლდათ, გაესწრო ქალსა, ჩქამიც აღარ ისმოდა იმისი, სამაგიეროდ სხვა ჩქამი გაიგონა, ეზოს მოეტანა ის ჩქამი, ჩქამი ელიზბარისა, ანთუ შალვასიო, ეგონა, ეგონა და შევარდა ლოგინში ცივცხელადა, წაინაბა, მოიმძინარა თუ მოიმკვდარუნა თავი.

მოეჩვენა, თუმცა მერეც ვეღარ მიხვდა, რო მოეჩვენა... ელიზბარს ჯერ არ ეცალა შინ მოსასვლელადა, მძიმე იყო ის ღამეი, მწარე იყო ის ღამე იმისთვისა, მწარეი, მწარეი, ოღონდ ჯერაც არაფერი იცოდა, თუმცა იქვე იდგნენ მაუწყებელნი, იდგნენ და შეღონებულიყვნენ, როგორ ვუთხრათო. ეჭვს აართმევდა ელიზბარი, მაგრამ არ ეცალა, დაჭრილს დასტრიალებდა, – ცხვირში მოერტყათ ტყვია, ცხვირი გაეგლიჯათ, სისხლისაგან იცლებოდა, იტანჯებოდა უწყინარი გლეხი, უწყინარი და ისიც გლეხი, რო არ გეგონოთ, ვინ იცის თავადიშვილი, აზნაურიშვილი ან მღვდელი, ან მასწავლებელი ბრძანდებოდაო, არა, გლეხი, გვარად ჯოხაძე, სახელად შაქრიაი.

– ასეა ჩაწერილი მაშინდელ უწყებაში, მილიციის არქივში რო წააწყდები. ბევრად უარესსაც წააწყდები, ბევრად საშინელსაცა, ხოლო აქ თუ ამას მოვიხსენიებ, ასე უბრალოსა თუ ჩვეულებრივსა იმ ჟამისათვისა, მხოლოდ იმიტომა, იმწუთს რო იქ გახლდა, ელიზბარი, სწორედ რო შაქრიას დასდგომოდა თავსა... შაქრიას ქალიშვილი მოსწრებოდა თვალშუქიანი, სახემწყაზარი. ეს იყო, დავიდარაბა ამას მოჰყოლოდა: რადე ბღუჯიაშვილი და მიხა ლიჩელი მისჭროდნენ კარზედა, გოგო გამოგვიყვანეო. როგორთუ გოგოიო, აყვირებულა პატიოსანი კაცი. ბიჭოს, ეს კიდევაც უარზეაო, უთაქებიათ და უთაქებიათ, თავი გამოუთქვეფიათ რევოლვერის ტარითა, დაუციათ და ტყვია დაუხლიათ, მთვრალები ყოფილან, საფეთქლის ნაცვლად ცხვირში დაუხლიათ. კარგი რამას, მთვრალები ყოფილან, თორემ ადვილად დაუსწორებდნენ საფეთქელსა, გულსაც დაუსწორებდნენ ადვილადა, განაფულიყვნენ, არ ააცდენდნენ; დაბრალებაშიც განაფულიყვნენ: „როგორც ცნობებიდან ირკვევა – სწერდა ბღუჯიაშვილი, – სოფ. უკმელაში მცხოვრები შაქრია ჯოხაძე საჭმელს აწვდის ბანდიტ გიორგი უდიშვილს, მივედით ამის გამოსარკვევათ მე და უნცმილ მიხა ლიჩელი. უკანასკნელის შესაპყრობად მიღებულია ზომები. ამისათვის ვკითხეთ შაქრია ჯოხაძეს. უკანასკნელი გაიქცა, ეზოში დაგდებულ გუთანს წამოედო და სახნისზე ცხვირი გაიჭრა...“ ნერაში ვერ განაფულიყო, მაგრამ ეგ მერე რაო, მთავარია აზრი, მთავარია მზადყოფნა, სიფხიზლეა მთავარზე მთავარი და სწერდა გამოფხიზლებული რადე ბღუჯიაშვილი, გორის მაზრის მილიციის უფროსსა სწერდა მეჯვრისხევის მილიციის

უფროსი; ამას ვრცლადა სწერდა, ხოლო სხვა ცნობებს შემოკლებით ატყობინებდა: „აძვში მცხოვრებელმა რკინის გზის ახრანის მოსამსახურემ გრიშა მელაძემ მოჰკლა ვინტოვკით სოფ. პატ. მეჯვრისხევში მცხ. დიმიტრი და ლადო ჩიკოიძეები". ან: „მეჯვრისხევისა და ხევთისის საზღვრებში მოკლულია მცხ. ქ. თბილისში შალვა ხეთერელი. უკანასკნელმა ცხენი გაიტაცა. უთხრეს გაჩერდიო და მოკლული იქნა". სამაზრო მილიციის უფროსი თავისი მხრით აუწყებდა მაზრის თემობის თავმჯდომარესა, ხოლო ის წითელი ფანქრით წააწერდა „ცნობათ", წითელი ფანქრითა, ან ლურჯითა, რომელიც შეესწრებოდა ანუ რომელი წვერიც მთელი შერჩებოდა ორწვერა ფანქარსა, წააწერდა და გაატანდა მდივანსა, იქ ამითი მოთავდებოდა, უბრალოდა, უმტკივნეულოდა, განუცდელადა. აქ ჯერ ისევა ბორგავდა შაქრია ჯოხაძე, ბორგავდა, კვნესოდა, გავეშებულიყო უწყინარი, უშფოთველი აუმღვრეველი კაცი, გასწამებოდა ხორცი, ასწეწვოდა სული, ვინ იცის, როდის დაუმშვიდდებოდა: ვინც ამშვიდებდა, იმან ჯერ არც იცოდა, თუ რა უბედურება დასტეხოდა თავსა. სხვებმა იცოდნენ, იდგნენ მაუწყებელნი, ასუსულიყვნენ, ვერც ვერა ეთქვათ, უთქმელობაც არ იქნებოდა.

VI

ჰო უთქმელობაც არ იქნებოდა და უთხრეს, თუმცა ეგრე პირდაპირადაც ვერ უთხრეს, – კიდევ ერთისათვის უსვრიათო, ასე მოახსენეს, ალბათ გეცნობაო, დასძინეს ასეცა, გეცნობა და მახლობე-

ლიც რო იყოს, გასაკვირი არ იქნებაო, რაც უნდა იყოს, იმდენი რამ გადაგიტანია, არც ამისი გადატანა გაგიჭირდებაო, თუნდაც გაგიჭირდეს, მაინც გადაიტანო, რადგანაო, ნათქვამიც არისო, სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა გონიერსაო; ნათქვამიც რო არ იყოს, ჭირვარამი ასალკლდევებს ადამიანსა და ერთი ქარიშხალი ვერას დააკლებს სალ კლდესაო, ორიც ვერას დააკლებსო, სამიცაო, რამდენიც უნდა ვთვალოთ, ვერას დააკლებსო, სალი კლდე სალი კლდეა და ბევრი ქარიშხალი უნდა, უამრავი ქარიშხალი უნდა, უამრავზე უამრავი უნდა იმის ჩამოშლასაო... ეს მაშინ იყო, ჩქამი რო გაიგონა, გაიგონა თუ მოეყურა, ყოველშემთხვევაში, ელიზბარი არაფერ შუაში გახლდა, არ დაბრუნებულიყო, ჯერაც ვერ დაბრუნდებოდა, ჯერ იქით მიეშურებოდა, იქითა, მეჯვრისხევისა და ხევთისის საზღვრისკენა, და რო მიატანდა, ეგრე მალედაც ვეღარ გამობრუნდებოდა.

აქ ვინ იცის სხვა ვინმე მოაწყდა, ეგება სისხლი დააბორიალებდა ვინმესა, – იცისო სისხლმა, თვალებს აურევს მკვლელსაო; იცისო, ოღონდ მაინც ვინ უნყის ვინ მოსწყდომია? ან ეგების არც არავინა ყოფილა, ეგება გულის ძგერამ შეაკრთო სტუმარი, ეგება გამოფხიზლდა და დაითაკილა, რა უდიერად მოვიქეცი, გამოფხიზლდა და ეგონა, ეს არის წამასწრესო. შესაძლებელია! ეს ჰო კეთილსინდისიერი ახალგაზრდა გახლდათ, ადათნესების თაყვანისმცემელი, ერთგული მასპინძელისა, პატიოსნების ერთგული; გახლდათ და წაიტეხა კისერი, ანუ კინაღამ წაიტეხა, აჰყვა, აფოფინდა, ვეღარ დადრიკა სურვილი. რა ვუყოთ თუ თვითონ არ მიუძღვის ბრალი, რა

ვუყოთ, ბრალეულს ვიღა გამოიძიებდა, მასპინძელი თუ წაადგებოდა თავსა...

ეგონა, წამომადგა და ეს არისო, იტვრინა, მოიმკვდარუნა თავი.

მერე ეგონა, სიზმარში ვარო... დრო გავიდა რა თქმა უნდა ამ ხანიდან იმ ხანამდისა. ვინ იცის, ჩასთვლიმა, ვინ იცის, ერთი პირი ძილიც მოუვიდა, – ნუღარ შევალთ ამდენის გარჩევაშია, სათქმელი ის არის, სიზმარში ვარო, რო ეგონა, თუმცა მკაფიოდ ესმოდა ფეხის ხმაცა, შელაპარაკებაცა, ნათლად ეჩვენებოდა, შუქი რო შეჰქონდათ და გაჰქონდათ, რაღაც-რაღაცებიც შეჰქონდათ თუ ვიღაცაც შეასვენეს, მაგრამ მერე რაო, სიზმარი სწორედ იმისი სიზმარია, ცხადლივად მოგაჩვენებს ყველაფერსა. ვიდრე ასე სჯეროდა, არა უჭირდა რაი, ის გამოცხადებაც სიზმარს მიაწერა და აღარ ერცხვინებოდა მასპინძელსა, რა ვუყოთო, რაც უნდა იყოს, სიზმარი იმიტომაც არის სიზმარი, არ ემორჩილება ჩვენს ნებისყოფასაო. მაგრამ მალე მიხვდა, სიზმარში რო არ იყო, მიხვდა, რამდენჯერმე რო მოაწყდნენ ამის კარსა, კიდევაც შემოვიდნენ, შემოანათეს ჭრაქიცა; მალევე გაბრუნდნენ, გაიტანეს ჭრაქიცა, გაიხურეს კარიცა, ოღონდ სულ გაიხურეს, გაეცალნენ სამუდამოდა თუ მალე ისევ შემობრუნდებოდნენ, – ამდენამდის ველარ მიატანა გუმანი. ვერც მიატანდა, დაბნეულიყო, დაქარულიყო. მანამდის მაინც არა უჭირდა, ვიდრემდის სიზმარში ეგონა თავი, ზღაპრები ახსოვდა, შთაბეჭდვოდა საიქიოს მოგზაურობის სურათები სხვადასხვა ნაწარმოებებიდანაცა, შთაბეჭდვოდა და ცხოვლად წარმოიდგენდა განკითხვასა, მონანიებასა, მსჯავრსა, აღსრულებასა, მარად მდუ-

ღარე კუპრსა, შიგ ჩაყირავებულ ცოდვილთა, მარადიულ კოცონსა, კოცონს ჯოჯოხეთისასა, ზედ დაფერფლილთა, შიგ ჩაფერფლილთა, რამეთუ უღირსად ეცხოვრათ ამ ქვეყნადა და იქ, იმა ქვეყნად შეჰგებებოდნენ ღირსეულ სასჯელსა; ჰო წარმოიდგენდა, თუმცა ამისი წარმოდგენა თუ წარმოსახვაც არ იყო ადვილი, განცდა სიზმარსაცა სცოდნია, შიში სცოდნია სიზმარსაცა, მაგრამ იმდენი მაინც არა, ცხადლივმა რო იცის, არა, იმდენი არა, არც იმისი მეასედიო. ვინმემ ეგება გაიხადოს სადაოდა, არც მეასედიო და არცა მეათასედიო, თქვას, ვინმემ ეგება უმეტესადაც დასახოს შიში სიზმარისა, მოდი ამას ნუ გამოვეკიდები, იმასვე მივუბრუნდი, – მიხვდა, სიცხადე რო იყო, მიხვდა და შეძაგძაგდაო.

შეძაგძაგდებოდა, მაშ რაო, შეძაგძაგება რა არის, რატომ არ დაირღვა, რად არ დაიშალა ნაწილ-ნაწილადა, – ის ჰო მიხვდა ასე, ამგვარადა: ვითომ აკუწეს მასპინძლები, აკუწეს და ახლა ამას დაეძებდნენ. კარიც შეუღეს, ჭრაქიც შეუნთეს, მაგრამ თვალი აეხვათ თუ რა იყო, ვერ დაინახეს, აქ ვერ დაინახეს და სხვაგან დაეძებენ, კარმიდამოს მოედვნენ, შეიჭრნენ სარდაფებშია, გაცვივდნენ ბაღსა თუ შუკებშია, არ წაგვივიდესო; იქ ვერ იპოვნიან რა თქმა უნდა, იქ ვერსად გადააწყდებიან და შემობრუნდებიან, შემობრუნდებიან და დააფეთებენ თვალსა, აგერ აქ ბრძანებულაო. ასე იტყვიან, ბრძანებულაო, ზრდილობიანად მოიხსენიებენ, უზრდელად წამოჰკრავენ ხელსა, ააგდებენ და გაიგდებენ. ან არც ააგდებენ, არც გაიგდებენ, აქვე აჰკუწავენ, ლოგინშივე აჰკუწავენ, როგორც აჰკუწეს მასპინძლები, არც დააყვირებენ, არც დააკვნესებენ, როგორც არც დააკვნესეს

მასპინძლები. თუმცა არა, შეკივლებაც მოესმა, ტირილიცა, რაღაც ვედრებისა თუ მუქარის მსგავსიცა, მოესმა ნამდვილადა, მაშ დაკივლება მოუსწვრიათ, ესეც მოასწრებს, უნდა მოასწროს, რაღაც შვებაა, რაღაც განელებაა სიმწარისა, ოდნავი განელებაც დიდი რამეა, შებრძოლების მაგვარი მაინც არის, ხელთ არაფერი გიპყრია, გდიხარ ლოგინში და რო ჰყვირი თუ ჰკივი, ვითომ თავს იცავ. ესეც კარგია, ესეც რაღაცას ნიშნავს, თუ ნიშნავს მართლა რაიმესა, მაგრამ ნუთუ აქ იმისათვის ამოსულა, ეს გაარკვიოს, ნიშნავს თუ არა მართლა რაიმესა, ნუთუ ასე უნდა ელოდოს, ასე საპყარივითა, – საპყარი რო ელის სიკვდილსა და ევედრება მალე მოდიო, მალე მიხსენიო?! არა, აქ ამისათვის არ ამოსულა და არც დაელოდება სიკვდილსა...

ამის მოფიქრება გახლდათ ძნელი რამ, თორემ მერე სწრაფადა აღესრულა ყველაფერი, სწრაფადა, ელვის უმალა, ხოლო თუ რა აღესრულა, მიჰყევი, მიადევნე თვალი:

შალითა გააძრო საბანსა და ზეწარს გადაანასკვა. საწოლი მიაჩოჩა ფანჯარასთანა, ზეწარი ჩააბა, ჩაასკვნა საწოლსა, მერე ისროლა ფანჯარაში ნასკვიან-შალითიანადა. სამოსი დაახვია, დაკუნჭა, შეხლართა ერთმანეთში და მიაყოლა შალითასა, ჩამწერი გულზე მიიხუტა, გადაჯდა რაფაზედა, ერთი კიდევ შემოიტრიალა თავი, თვალი მოავლო იქაობასა და ჩაეკიდა შალითასა, უცებ ყურთან გაუზუილა რაღაცამა, კედელს მიასკდა, ნაფშხვენები შეეყარა თვალებში, მეორემაც გაუზუილა, იქვე ჩაერჭო და აგურის ნასხლეტმა გაუკაწრა ღანვი. გაუკაწრა, გაუკაწრა. დიდი არაფერიო. მესამე ნასროლიც ეძგერა

იქვე, მაგრამ მაშინ ის უკვე ძირს ეგდო, ხელი უშვა შალითასა და ძირს დაეზღერთა. არ მოხვედრია, ისე დაეზღერთა, არც დაცემისას უტკენია რამე, მაინც არ წამომდგარა, იყო ეგრე, როგორც დაეცა, არც იძვროდა, არცა სუნთქავდა, თითქოს არცა სუნთქავდა, ეგრე გაეკმიდა სული. კიდევ მიეფრქვა ტყვიები იქაობასა, კიდევ ჩამოიფშხვნა აგური, ქვაც ჩამოიფშხვნა, კირი წამოვიდა ჩხრიალითა, ზედ გადაეყარა, თითქოს უნდა ჩამარხოს, ჩაფლას ცოცხლობრივადა, ან გადაეფაროს, დაიფაროს, იხსნასო. უფრო იხსნა, ჩადუმდა იქაობა და შეირხა ესეცა, ხელი მოაფათურა და სამოსსაც ნააწყდა. მერე გაცურდა, მერე წამოყელყელავდა, საიმედოდ იგულა თავი, წამოიწია და აი მაშინ კიდევ აწივლდა ტყვიები, ამტვერდა კედელი ხეთერელებისა, ცაცხვებსაც შემოებდღვნა ქერქი. ეს მაინც გადარჩა, ალაყაფში შევარდა, კედელს მოეფარა და ხელები მოიფათურა სხეულზედა, სადმე სისხლი ჰო არ დამდინდაო, – არ დასდენოდა, საღ-სალამათად იყო, ვერ დაეჯერებინა, ისევ ეძებდა ჭრილობასა, ისევ ეგონა, აი აჰაა, სისხლში ამომესვრება ხელები, აი აჰაა, ნატყვიარში ჩამეფლობა თითებიო. არც ამოესვარა, არც არსად ჩაეფლო, მერე უფრო უშიშარი ადგილი მოათვალიერა, ბნელოდა, მაინც მოათვალიერა, მიეჩვია თვალი სიბნელესთვისა, კიდევაც გამახვილებოდა თვალი, გაემახვილებინა, დაეძაბა გაჭირვებასო. იქვე სარდაფის შესასვლელი ყოფილიყო, წინამო სარდაფისა, იშვირა ფეხი და გადავარდა. კარებსაც მიეტანა სარდაფისასა, მიეტანა, მაგრამ ვერ შეაღო, უნდა შეეღო, კარგი საფარი იქნებოდა, უკეთესს ვერც გამოსძებნიდა, აღარც გზა-კვალი იცოდა, აღარც თავი ჰქონდა მეტი

დავიდარაბისა, განსაცდელი გამოიარა, ვაჟკაცურად გამოიარა და ახლა ცოტახანს უნდა მოეთქვა სული. მიყუჩებულიყვნენ თავდამსხმელნიცა, – ან გაფანტულიყვნენ, ან ვერ შემოებედნათ ეზოში, ან თავს უვლიდნენ. რაც იყო, იყო, დრო მოეხელთებინა, სული რო მოეთქვა, სამოსი მოერგო და თან ეფიქრა თუ რა წყალს მისცემოდა.

და გამოეცხადა ბატონი გიორგი.

და შეჰლაღადა, ამანა ცხადია, არ დამძრახო რო გეურჩეო.

და გაჰქრა იგი გამოცხადებაი...

არც ფიქრი დასცალდა და არც მორგება ტანსაცმელისა... მორგებით ბარემ მოირგებდა, მორგებულიცა ჰქონდა და კიდევაც მოირგებდა, გამოეწყობოდა, თუმცა უხერხული დრო დასდგომოდა, უხერხულ ადგილასაც მოხვედრილიყო, მაინც გამოეწყობოდა, მაგრამ ვერ გამოეწყო და ვერც გამოეწყობოდა, რადგან შარვალი დაჰკარგოდა, ახლა ეს გაუხდა თავშისაცემი და გადასდო ფიქრი იმისა, თუ რა წყალს მისცემოდა. ფიქრი მაინც არ დასცალდებოდა, აივანი შეზანზარდა, მერე აბრაგუნდა კიბეები, ჩამოირბინა ერთმა, მეორემა, მესამემა, შეიძლება მეოთხემაცა, მეხუთემაცა, შეუძლებელი არაფერია, მაგრამ ამას სათვალავი აერია და იქ შეჩერდა, სადაც აერია სათვალავი. ჰო კიბე ჩამოირბინა სამმა, სამივე გავარდა გარეთა, გასტვინა, გაჰკივლა სამივემა, არავინ გამოეპასუხა, ტყვიაც არ მიაყარა, არავინა, ამათაც იტორლიალეს იქვე ორიოდ წუთსა, მერე შემობრუნდნენ, აარახრახეს კიბეცა, აივანიცა, ისევე აარახრახეს და შიგნით შეიკრიფნენ. ამას კიდევ ერთხელ დაუარა შიშის ზაფრამა, კიდევ დაიკუნტა

ცხრაკეცადა, დაიკუნტა, დაილია, დაინრიტა, ლამის ჩაეტია სარდაფის კარის ჭუჭრუტანაში; ლამის ჩაეტია, მაგრამ ვერ ჩაეტია, ვერც ჩაეტეოდა რა თქმა უნდა, მხოლოდ ხმა გამოსცა კარმა, შეჭრიალდა, შეჭრიჭინდა, გაიჭახუნა, სწორედ მაშინ გაიჭახუნა, კიბე რო აარახრახეს იმა სამთა; კიბე აარახრახეს, ჭრიჭინი თუ ჭახუნიც არ გამოეპარათ ან ერთ-ერთს არ გამოეპარა, შიგნით რო შევიდნენ, გაელაპარაკა დანარჩენებსა, დააეჭვა, დაიყაბულა, მალევე გამოიყვანა გარეთა. ისევ ჩამოირბინეს, ჯიქურ ეძგერნენ სარდაფის კარსა, ერთბაშად ჩაავლეს ხელი იმ დაკუნტულ, დაჭმუჭვნილ მოგზაურსა, ამასა, ამასა, ამ გულმაგარ მოგზაურსა აქამდისა და ამიერიდანაცა. ჩაავლეს და აიტაცეს, ვითომც ბუმბულიაო, აიტაცეს, აარბენინეს...

მაშინ შიში აღარ უგრძვნია, მხოლოდ მოუთმენლად ელოდა, კიდევ რა მოხდებაო. ეგება სწორედ ეს გახლავთ შიში; შიში ვინ უწყის ეს არის, ოღონდ რაც არის, იყოს, ის აღარაფერს განიცდიდა, აღარას გაურბოდა, არაფერს მიეტანებოდა, ვერც ვერაფერი დაენახა, მომჩვარებულიყო, მინებებოდა მსახვრალ ძალასა; მინებებოდა, ოღონდ ხმამ გამოიტაცა იმა მინებებიდანა, მივიწყებიდანა, მიკარგულობიდანა, ის ხმა ელიზბარისა გახლდა, მწუხარებით აღსავსე ხმაი, ცრემლით დატანილი, დატანილი მდუღარებითა, – რა მოგივიდა, რა დაგმართნია, რა დღეში ხარო. თვითონ შეძრწუნებულიყო, ამისთვისაცა ჰყოფნოდა ნუგეში. იმა ნუგეშმა თუ გაამხნევა, თვალი აუხილა, ყურადღება დაუბრუნა და სანთლები აუციალა თვალებში. სანთლები ენთო ტახტის თავთანა, ორი კელეპტარი ენთო, სხვა – პატარა სანთლები. სანთლე-

ბი დაჰნათოდა სუდარასა. სუდარა თავიდან ბოლომდის გადაჰფენოდა ტახტსა. ვიღაც გაშოტილიყო სუდარის ქვეშა, ვიღაც ვეება ვაჟკაცი, გაშოტილიყო, გათავებულიყო. იქით კუთხეში თეკლა იჯდა, გამშრალი, გაქვავებული, ქანდაკეული, აქეთ – ელიზბარი, ისევე გამშრალი, მანამდის ალბათ გაქვავებული, ხოლო მაშინ უკვე ამოძრავებული, ზრუნვიანი, ამისის დარდით შეფიქრიანებული – რა დაგმართნია, რა დღეში ხარო.

ის სამნი თუ ოთხნი ჩამოეხსნენ, შეუშვეს ხელი, მორიდებით მიდგნენ კართანა, კარებში იდგნენ, კართანვე აიტუზნენ, აღარც ხმა გაუღიათ. ამას ისინი აღარც ენაღვლებოდა, სირცხვილმა დარია ხელი, სანახევროდ შიშველი იდგა ქალის წინაშე, ხელებს იხვევდა ტანზე, სიშიშვლე ეგება დამიფარო-სო. გუნებაზე არ იყვნენ, თორემ სასაცილო იყო. კართან ატუზულები გარეთ გაიკრიფნენ, არც იქ გაუცინიათ, საგულდაგულოდ მოიფათურეს იქაობა, ჩამწერი მოუძებნეს, სამოსი შეუგროვეს, – ზოგი სად დავარდნოდა, ზოგი სადა, გზაგზა, სარდაფის კართანა, შარვალი ჰო ცაცხვებთანვე დაჰკარგოდა, ისიც უპოვნეს, მოუტანეს, გაუწოდეს, ჩაიცვიო. ელიზბარმა არ დაანება, უბრალო ხალათ-შარვალი გამოუტანა, როგორსაც ურჩევდა, ისეთები გამოუტანა, უბრძანა, ესენი ჩაიცვიო. დიახაც უბრძანა, თუმცა არ უთქვამს მაღალი ხმითა, არც თვალები დაუბრიალებია, ხელებიც არ გაუქან-გამოუქანებია, მაგრამ ისე თქვა, ალი წაიხარა სანთელთა, და, რო აიმართა, ეს უკვე გამალებით იცვამდა იმ უბრალო, გლეხურ, ხალათ-შარვალსა. მერე ისიც უბრძანა ელიზბარმა, ჩემს გვერდით ჩამოჯექიო. უხმოდ

აღუსრულა, ჩამოჯდა და მუხლებზე დაიდო ჩამწერი, ზედვე გადაიწყო გამტვრიანებული, ნათრევი, ნაწვალები კოსტუმი. ეგეც არაფერი, გაწმენდდა, გაასუფთავებდა, ჯერ ეს გაეგო, რას ინებებდა ელიზბარი ან რა მომხდარიყო, ვინ გაშოტილიყო სუდარის ქვეშა. ეს რო იკითხა, თავისთვის გულში იკითხა და პასუხად ქვითინი აუვარდა, მიხვდა, რაც მომხდარიყო, მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო. ქვითინი აუვარდა და იქვითინა კარგა ხანსა. არავის უცდია იმისი დამშვიდებაი, კრინტი არ დაუძრავს ელიზბარსა, თეკლა ისევე იჯდა, გაქვავებული, ნაქანდაკევი, კართან ატუზულნი, სულაც წასულიყვნენ ან ეს ვეღარასა ჰხედავდა, ვეღარასა და ვეღარავისა, გარდა ამისა, თუ როგორ დაფარფატებდა სანთელთა ალი სუდარაზედა, – აბრიალდებოდა და გადაილანდებოდა, გადაილიბრებოდა და აენთებოდა, მერე ლანდები შეითამაშებდა და აპწკიალდებოდა ნაღვენთი. ამისი თვალებიც აპწკიალდებოდა მაშინვე, ეწვოდა თვალები, ერთად მოეყარა ამდენ განცდასა, ცრემლად მოდიოდა, გული ჰპოვებდა შვებასა.

ჰპოვებდა თუ არა ჰპოვებდა, ე ცრემლი წამოეფრქვა და, როგორც წამოეფრქვა, ისევე დაეწრიტა, ეს მაშინა, ღმუილ-ზმუილი რო მოესმა გარედანა, ჯერ გარედან მოისმა, მერე კარი შემოაღო და, კართანვე რო წაემხო, შუბლი ტახტს ახალა ლეკო თათაშელმა. კართან ატუზულნი მართლაც გაკრეფილიყვნენ, ლეკო მოეყვანათ, თან მოჰყვნენ და იქვე აიტუზნენ. ლეკო ღმუოდა, ლეკო ზლუქუნებდა, თავში იცემდა: მე რად არ ვიყავი შენს ადგილასა, მე რად არ მოვკვდი, მე რად არ მომკლესო. აცადა ელიზბარმა, თეკ-

ლაც არ შეპასუხებია, კრინტი არ დაუძრავთ კართან ატუზულთა, ამასაც ჰო დაეწრიტა ცრემლი... ლეკო იბეგვავდა თავპირსა, მოსთქვამდა, იხოკდა წვერსა, იდგა წუთი შეუბედავი, შეუხებელი. მერე შეეხნენ, წაიხარნენ. წაიხარნენ კართან ატუზულნი, წამოაყენეს, დასვეს ჭირისუფალის გვერდითა, მაშინ იმას გადაეხვია მოტირალი, დაჰქვითინა გულზედა, გულში ჩაჰქვითინა. ესეც მოთავდა, სული მოითქვა, მოიშრო ცრემლი და უკვე თავისი ხმით იკითხა, როგორ მოხდაო.

საამისოდ არაფერი მიუგო ელიზბარმა.

– ეს უნდა გავიყვანოთ... – ელიზბარმა თქვა.

– უნდა გავიყვანოთ. – მაშინვე ჩაება ლეკოცა.

– აქეთ არ ივარგებს... მთელი მილიცია გორში მოუყრიათ...

– არა, აღარ ივარგებს, – არ დააცადა ლეკომა.

– ვგონებ უკეთესი იქნება...

– უკეთესი იქნება. – დაუდასტურა ლეკომა. ეს სხვა ლეკო გახლდათ, განა ისეთი, ამას რო ახსოვდა, ნაცემ-ნაბეგვი, სამოსშემოხეული, არა, რა სათქმელია, სხვა ლეკო გახლდა, დაწმენდილი, გასუფთავებული, განბანილი, გაუთოვებული, ცოცხალი, მკვირცხლი, ამყოლ-დამყოლი, ცოტა დაუფიქრებელი, ცოტა თამამი, ცოტა მშიშარაცა, ანუ ისეთი, როგორიც გახლდა; გამოშუშებულიყო, გამოახლებულიყო მოვლითა, წამალ-მალამოთი, გამოახლებულიყო, ოღონდ ისეთივე გახლდა. უკეთესი იქნებაო, რამდენჯერმეც გაიმეორა.

ელიზბარმა დააცადა, ამას უნდა დაეცდია, თორემ ის არ დააცდიდა, ამან დააცადა და იმანაც მოკუმა პირი.

– უკეთესი იქნება, კავთისს გახვიდეთ. – განაგრძო ელიზბარმა და ლეკომაც გააღო პირი. ხელი აიქნია ელიზბარმა. ლეკომ წამოახველა. ვითომდა რაო, მეხველებოდაო. – სოფელს აუქცევთ რა თქმა უნდა, – ისევ ელიზბარმა თქვა, – კათარელთა სასახლეს შეეფარებით. იქ დაიღამებთ ხვალინდელ დღესა. იქაობა მოინარიკლეს, ეჭვი თუ არ აგართვეს, აღარავინ გაეკარება. შენი სიფრთხილის იმედი მაქვს. – კიდევ გააღო პირი ლეკომა, კიდევ აიქნია ხელი ელიზბარმა და კიდევ წამოხველება ამჯობინა ლეკომა. – შენი სიფრთხილის იმედიცა მაქვს და ძიძაც იღონებს თავისასა. ქალბატონ ეფემიას წამლებს წაუღებთ. ძიძა თავს გამოიდებს, არას გაგიჭირვებთ. ეს ამაღამისა და ხვალინდელი დღისაა... ხოლო ხვალ ღამიან პირდაპირ ნატბისისაკენ აიღებთ გეზსა. მოერიდებით სოფლებსა თუ კალოებსა. მრწყველებიც გამოვიდნენ უკვე, მოერიდებით მრწყველებსაცა, თქმა არც გინდათ, მოერიდებით ყველასა და ყველაფერსა, ლიახვებზე ფონებსაც არ დაუწყებთ ძებნასა, დაკლებულია წყალი, სადაც გახვალთ, ყველგან ფონი იქნება. ერთი სიტყვითა, პირდაპირ ნატბისისაკენ აიღებთ გეზსა, იტრიელებთან მიხვალთ და მერე იმათ იციან, ქარელს გაიყვანენ ან ურბნისსა ან სკრასა, გაიყვანენ, იმათ იციან, გაამგზავრებენ თბილისსა. გაამგზავრებენ, იმათ ეგრერიგად ვერ შეუვლენ, ისინი ჯერ არ დაშლილან და ადვილად ვერ ეკარებიან... ჰო შენ იცი, შენი იმედი მაქვს...

– რა ბრძანებაა, აბა ვისი იმედი გექნება! – შესძახა ლეკომა, დრო მომეცაო, იფიქრა და შესძახა მოჩქარებითა, კიდევ არ ამიქნიოს ხელიო.

– კეთილად გევლოთ... – ჩაიდუდუნა ელიზბარმა. ეს მიხვდა და ნამოდგა.

– ახლავე მივდივართ?! – გაიკვირვა ლეკომა.

– ახლავე... – კბილებში გამობზარა ელიზბარმა.

– რა თქმა უნდა, ცხადია, აუცილებლად ახლავე, დაუყოვნებლივ, – მხურვალედ დაატანა ლეკომა, – აბა! – შეუძახა კართან ატუზულებსა, გაგვიძეხითო. იმათ მხოლოდ გზა დაუთმეს და, ცოტა არ იყოს, შეცბუნდა ლეკოი.

– შენ განდობ... – აუხსნა ელიზბარმა. – ამათ როგორც ენებოთ, წავიდნენ, მოისვენონ...

– ნწ... – თითქმის ერთად შეიხმიანა სამივე, – ასეთ ყოფაში მარტო როგორ დაგტოვებთ, ექიმო?! ნწ... არა...

– სოფელს მაინც გააცილეთ...

– სოფელსა?! ჰოოოო... – ესეც ერთადა თქვეს, ერთნაირადვე გააგრძელეს.

გადაწყვეტილიყო გადასაწყვეტი, ესენი უნდა დარჩენილიყვნენ, წასულიყვნენ ისინი, ამათ გზა უნდა გაეთავაზებინათ, მიცვალებული უნდა გამოეტირათ წამსვლელთა და მოიმართა ლეკოცა, მოიმართა და ვერც მოიმართა, უფრო აიძუძგა შიშატანილივითა, ისე შეჰკივლა თეკლამა:

– ო, უბადრუკნო, უქნარანო, უმაქნისებო!.. – შეჰკივლა ისე, არც შერხეულა, გაქვავებულს ამოსდიოდა მწარე ხმაი, მწარე სიტყვები, – წადით, გაიძურწეთ, უშველეთ თავსა, გაიძურწეთ სათითაოდა და სათითაოდაც ჩაახოცინეთ თავი, ო, უბადრუკნო, წადით, წადით ო, უბადრუკნო! თქვენ გერქვათ განა მეთაურნი, ჰა, ჰა, ჰა... თქვენ გამოატარეთ ერი ბედუკულმართ საუკუნეებში, თქვენ იხსენით, თქვენ გადაარჩინეთ?!

ჰა, ჰა, ჰა... თქვენ აღმოგაჩნდათ საარაკო გონიერება, ძალაც საარაკოი, მოხერხება ზღაპრული, თქვენ გადაურჩით მრავალ ურდოთა, გადაურჩით და გადაარჩინეთ ყველა თქვენიანი, თქვენ იყათ განა?! ჰა, ჰა, ჰა... საით გარბიხართ, რამ დაგაგლახაკათ თუ თქვენ იყავით?! ჰა, ჰა, ჰა... ვის ეგონა, რო მოგდგამდათ სული დიდი წინაპრებისა, ვინ მოგანდოთ ჩარხი ჩვენი ცხოვრებისა, ვინ იყო იგი, ვინ გადაგვიდგა, ვინ გაგვწირა ასე უღვთოდა, ვინ იყო იგი, მძვინვარი!.. ვის ეგონენით შთამომავალნი გმირებისა, ჭიაღუანო, ნამცეცანო სულითა, გულითა, ნამცეცანო, ჭიაღუანო, თქვენა ხართ გმირნი, სად არის გმირი! გმირები უნდა ქვეყანასა და ჭიაღუებს შესჩეჩებიათ ხელში ბედი ერისა, ო რა დრო დამდგარა, დრო განწირვისა, გარდაგებისა... ბარემ გაიპოს მიწა და თან ჩაგიტანოთ, გაიპოს მიწა, გაიპე, მიწავ, გაიპე, მიწავ!.. ჰა, ჰა, ჰა, დაიმალენით, მტვრად იქეცით, არცა ყოფილხართ მეტი მტვერზედა...

– ძვირფასო თეკლა! – ამოსთქვა ლეკომა, ან აქამდის როგორ დაითმინა, მაგრამ ახლაც სადაც ამოსთქვა, იქვე ჩასთქვა.

– ნუ გამაგონებ!.. – კიდევ უფრო შეჰკივლა თეკლამა და თითქოს ქანდაკება უნდა მოიმზღვლესო, ისე შექანდა, – ღირსი ხარ განა ქართულისა?! სხვა ენა ჩაიდგით, სხვა ენაზე თქვით, თუ რამე გინდათ, თუ რამე გეთქმით, ნულა შებილწავთ, ენას მაინც ნულარ შებილწავთ!..

– ძვირფასო თეკლა...

– ააააარრ გამაგონო!!!....

ხელი აიქნია ელიზბარმა, ადგა ჭირისუფალი. ქანდაკება ისევ მიქვავდა, თავი ჩაჰკიდეს დანარჩენთა.

– იარეთ... ყველაფერს ვერ ატარებ... იქ დაგ-ხვდება... იარეთ!.. – ჩაიდუდუნა ელიზბარმა. ხელი გაუწოდა სტუმარსა, ოდნავ, სულ ოდნავ მოუჭირა ხელი, გაამხნევა, დააიმედა.

გავიდნენ, წავიდნენ, ჩქამი არ გატეხილა, ისე გავიდნენ.

VII

მერეც უბრად იარეს, თუმცა გვარიანი ენაწ-ყლიანი გახლდათ ლეკო თათაშელი, ენაწყლიანი გახლდათ, მაგრამ ცოტა მშიშარაც იყომეთქი, აკი მოგახსენე, – ჰოდა, რახან მოგახსენე, შენვე მიხ-ვდები კიდევაცა – შიში უშრეტდა ენის წყალსა, ში-ში ღამისა, მდუმარი, გატვრენილი ღამისა. ღამეს ყოველთვის გაურბოდა, მოთავეობა თუ წინამძღო-ლობა არა სჩვეოდა, გაურბოდა თუ არა სჩვეოდა, ახლა მოულოდნელად დაჰკისრებოდა, უნდა გაეძ-ლო, უნდა აეტანა. კიდევაც გაუძლო დუმილსაცა და უგზოუკვლობასაცა. უგზოუკვლობასაცა მაშა, – უგზოუკვლოდ იარეს, თუმცა კარგი საურმე გზა იდო კავთისამდისა, გზაზე დააყენეს გამცილებ-ლებმაცა, მაგრამ მიეფარნენ თუ არა ისინი, გადაეშ-ვა უგზოუკვლოდა, გადაეშვა და თან გადაიყოლა ისიცა, ვისაც მიუძღვოდა, რაღა თქმა უნდა თან გა-დაიყოლა. ესეც შიშისა გახლდათ, ელიზბარს ასე არ დაურიგებია, თქმით არ უთქვამს, ოღონდ სწორედ ასე გულისხმობდა, გზას არ დაადგეთო, გულის-ხმობდა და იმეორებდა, იმდენჯერ იმეორებდა გულში, ისე შეჰყურებდა უსიტყვოდაცა, ვინ იცის,

ვინ უწყის, შეიძლება ასედაც იფიქროს ვინმემა, მაგრამ აქ შთაგონებაც არ იყო საჭირო, ისედაცა სჯეროდა ელიზბარსა, თუ გაჰბედავს ღამით სიარულსა ლეკოი, გზაზე არ გავა, ისეთი მშიშარააო, იცნობდა, იცოდა... და მისდევდნენ ხან ძეძვიანსა, ხან ხევთურას ფლატეებსა, ხან ღობე-ყორეში გაიხლართებოდნენ; მინდვრად იმდენი არაფერი, მინდვრად რუებში თუ ჩაიხინცებოდნენ, იმდენი არაფერი, ხნულებზე თუ გადააბამდნენ, ეგეც არაფერი, სიმინდებში თუ მოხვდებოდნენ, კიდევაც უკეთესი, მაგრამ ერთი ხანობა ახალნარწყავ ხნულში ამოჰყვეს თავი, ძლივძლივობისას გააღწიეს ამოლაფულებმა და დასწყევლეს მინდორიცა, გულში დასწყევლეს, ხმა მაინც არ ამოუღიათ.

ხმა არ ამოუღიათ, მხოლოდ ქაქანებდნენ, ქასქასებდნენ, ქრიტინებდნენ, ისე ითქვამდნენ სულსა, ისეც მიატანეს კათარელთა სასახლესა. კიდევაც ინათა, ცისკრის ნათელში აილანძა სასახლე კათარელთა, დაილია გაძაღლებული ღამეი, შეფიცხდა იმედი მოსვენებისა. სტუმარმა შეისვენა, უკვე ახლოსა ვართო. ლეკომა. ლეკოც შეჩერდა, შეჩერდა ცოტა არ იყოს დაბნეული, თავგზადაკარგული, იმედდანქრეული, გაცბუნებული. არ უნდა გაცბუნებულიყო, აქეთ არ უნდა წამოსულიყო, რა ვუყოთ თუ აღუთქვა ელიზბარსა. მერე რაო, განა როდის იყო, რო აღასრულებდა აღთქმულსა თუ დანაპირებსა, – არც არასოდესა, შეჰპირდებოდა, ვისაც როგორა სურდა, მერე იქცეოდა თავის გუნებისადა, იქცეოდა, როგორც უჯობდა, მდუღარეში თითს არ ჩაჰყოფდა, ძილს არ მოიკლებდა, ოფლს არ მოიდენდა. ახლა რაღა დამართნოდა, – ოფლიც მოსდიოდა წურწურითა,

ძილიც გასტეხოდა, ცეცხლშიც ამოეყო თავი. აქეთ რამ წამოიყვანა, ვერ გადაუხვია, ვერ მიადგა უფრო საგულდაგულო სადგურსა?.. ღამე იყო და ვერ მიადგა, ღამე იყო და ვერ გადაუხვია ელიზბარის ნათქვამსა, ღამე ერეოდა, სძლევდა, იმორჩილებდა, თეთქვავდა შიში ღამისა. იცოდა ელიზბარმა, ამიტომაც დაავალა. მხოლოდ ღამიან იარეთო, მინათითებს არ ასცდებოდა ღამიანა, ვერ ასცდებოდა, ვერ წაუვიდოდა, დღისით სხვა იყო, დღისით თვითონ იცოდა, სადაც ერდო მაღალიო, მეც იმისი მაყარიო. კათარელთა სასახლის მაყარიც ბევრჯერ ყოფილა, ყოფილა, როცა ერდო მაღალი იყო, ძალიან მაღალი იყო, აქეთ მაინც ყველაზე მაღალი, მაგრამ დაცემულიყო ერდო კათარელთა, დაცემულიყო სასახლეი კათარელთა, მაშ რაღას მოსულიყო, რამ მოათრია, ჭკუა თუ არ ეყო, ფეხებს მაინც რაღა დამართნოდა, ნეტავი აქეთ რად მოათრევდა... ინათა და მაშინღა მოიფიქრა ამდენი.

ინათა და დანარჩენსაც მოადევნებდა, გამართულ ოჯახებს გაიხსენებდა, ჯერ კიდევ გამართულებსა, ჯერ კიდევ ერდომაღლებსა, იქით მიასწორებდა, – ეგერ, ეეე... სოფელიც ალანძულიყო ცისკრის ნათელში, კათარელთა სასახლის მიღმა ალანძულიყო. ეს უკვე მოდევნება გახლდათ, ფიქრმა აიშვა, გავიდოდა, გაიგანებდა, გაიტანდა გასატანსა. მაგრამ მანამდის ესეც უნდა გაეგო: ვინ ასდევნებოდა, ვინა ბრძანდებოდა, რა უნდოდა, რად ასდევნებოდა ღამესა ან რად მიიწევდა მაინცდამაინც კათარელთა სასახლისაკენა? ამის გაგებაც არ გაუჭირდებოდა, ჰკითხავდა და გაიგებდა, სხვაც არაფერი გაუჭირდებოდა, რახან გათენდა, რახან გათავდა გა-

ძაღლებული ღამეი. და ის იყო, თქმა დააპირა, პირიც გააღო, ვერ მოასწრო, ჯერ იმისი შეკითხვა გაისმა:

– რა სუნია?!

– დამწვრისა... – მიუგო ლეკომა.

– დამწვრისა?!

– დამწვრისა მეთქი... – ხმაში წყრომა შეეტყო ლეკოსა, ხმის ამოღება რად დამასნარიო, წყრომა ამისი იყო, თორემ სალაპარაკოდ რო იწვევდა, მიხვდა, კიდევაც ესიამოვნა; თუმცა გამოწვევა რად უნდოდა, გათენდა თვითონვე წამოქენჩრილიყო, მაგრამ სხვა რა უნდა ეთქვა, ეს კიდევ სხვასაც უმატებდა, მიეცეს და მიემატოსო, ამასაც ეს ენება, – დამწვრისა მეთქი... – უფრო რბილად გაიმეორა. რა დამწვარაო, ამასაც იკითხავ, ვიცი, ვიცი, ნუ შენუხდები, რახან დავიწყე, ბარემ ყველაფერს მოგახსენებ, რა დამწვარა და სასახლეი კათარელებისა. ჰხედავ?.. აბა კარგად დააკვირდი, სასახლეა განა? გადაბუგული სასახლეა, გადარუჯული კედლებია, მეტი აღარაფერი. გარშემო დიდი გალავანი ერტყა, კოშკებითა. აი ჩვენ რო ვდგევართ, აქ გადიოდა გალავანი. სადღაა გალავანი? ეეე... ან კოშკები სადღაა, ან ბელლები, ან ძარები, ან საბძლები, თავლები სადღაა? ქვა-ქვაზე აღარ დაუტოვებიათ, გაიტაცეს და გადაბუგეს. იწვოდა, ჩაიფერფლა, ჩამქრობი ვინ იყო, დიდხანსა ხრჩოლავდა, სუნიც ჩარჩა და იქნება ასე, ალბათ აღარასოდეს გადაივლის ეს დამწვრის სუნი... ჩუუუუ... – უცებ მოადევნა და ჩაჯდა, ჩაიკუნტა, ვინმე თუ მოეჩვენა. არავინა სჩანდა, არც მოეჩვენებოდა, სავარაუდოა, მიხვდა, ხმამაღლა ვლაპარაკობო და შეეშინდა, თუმცა ინათლა, მაინც შეეშინდა, განა მარტო ღამისა ეშინოდა.

ამას რატომღაც არ შეეშინდა, მხოლოდ მიმოიხედა, ჩაჯდომით მაინც ჩაჯდა უნებლიედა, ეს დაღლილობისაც იყო, იმისაცა, ნინ რო თურმე მოსვენების იმედი არა ყოფილიყო; თურმე გადაბუგული სასახლე ალანძულიყო ცისკრისფერებში და იდგა სუნი სიდამწვრისა, ცისკრისფერებში იდგა ის სუნიცა, გაუნელებელი სუნი.

– რაღა გვეშველება? – იკითხა სტუმარმა.

– უსაშველო შენი მტერი იყოს. – ეს მხნედ ამოსთქვა ლეკომა, მხნედა, ოღონდ ხმადაბლადა, – მაგრამა, მაგარიც ეს არის, რომა ვიდრე საშველი გამოგვიჩნდებოდეს, ჩემო კეთილო და მოწყალეო ხელმწიფევ, ეგება მაცოდინო, ვინა ბრძანდებით.

– სახელად ნიკუშას მიწოდებენ... – მყისვე გამოეხმაურა თანამგზავრი, თუ ეს არის მთელი დაბრკოლება, როგორ დავახანებ, გვარსაც ახლავე მოგახსენებ, მამის სახელსაცა, ავტობიოგრაფიასაც მოგიყვები, გაივლო გულში, გულშიც გაივლო და კიდევაც მოადევნებდა, მაგრამ სიტყვა ჩაუჭრა ლეკომა:

– ეგ „უშა“ არ მომწონს, ნწ... არ მომწონს, შენ როგორც გენებოს, მაგრამ მე არ მომწონს და რაც არ მომწონს, არც გავიმეორებ...

– ისე... – ესეც საჩქაროდ მოადევნა თანამგზავრმა, ემანდ არ შემომწყრეს ეს ერთადერთი იმედიაო, – ნათლობის მიხედვით ესტატე მქვიან, ოღონდ ასე არავინ მიწოდებს და არც მე მომწონს...

– რას მიქვიან არ მომწონსო?! – წყრომისადა თქვა ლეკომა, – ნათლობის სახელი არ მომწონსო?! სადაური რა არის?! ადამიანობა ნათლობა გახლავთ და ნათლობის სახელი დაგინუნებია, ურჯულოს გზაზე შემდგარხარ და ის არის...

– არა, ასე ნუ ბრძანებთ... – აქ მაინც დაშინდა თანამგზავრი ან ითაკილა, ურჯულობა რად დამ-წამაო.

– ესე ვბრძანებ და ესედაც გავიმეორებ, – არ და-ინდო ლეკომა, – მე ჩემდათავად ნიკოს დაგიძახებ და შენ, როგორც გენებოს, გინდა გაიგონე და გინდა არა, ჩემო კეთილო და მონყალე მბრძანებელო.

– გავიგონებ... – ადვილად დაეთანხმა თანამ-გზავრი.

– მაშ რას იზამ, წინ წყალი, უკან მეწყერიო, მეტი რა გზა გაქვს...

ამანაც შეაკრთო თანამგზავრი:

– ბატონი ელიზბარი ასე არა ბრძანებდა...

– მე ვბრძანებ, აქ მე ვარ და არა ელიზბარი.

– მაგრამ...

– რის მაგრამაო, რა მაგრამაო, აქ მე ვარ-მეთქი, და თუ არა გჯერა, მე რო მე ვარ, და თუ არ მოგწონს მე რო ვარ, შენ შენთვისა და მე ჩემთვისა. – ტუჩები გაბუსხა ლეკომა, წამოდგა ეგრე გაბუსხული, წავიდა მოჩქარებითა.

ესეც წამოდგა, მოჩქარებით დაავლო ხელი ჩან-თასა, – საკაიკაო ტანისამოსი მაინც გამოეყოლე-ბინა.

– არ მითქვამს, არა მჯერა და არ მომწონსმეთქი, – მისდევდა და მისძახოდა სტუმარი, – არაფერი ამი-სი მსგავსი მე არ მითქვამს და დავიფიცებ, გულშიც არ გამივლია. მჯერა, თქვენ რო თქვენა ბრძანდებით, მჯერა და ძალიანაც მომწონხართ. მოითმინეთ თუ შეიძლება, ის მაინც გამაგებინეთ, სადა მტოვებთ და საით წავიდე... – აქ რაღაცას წამოედო, წაიფორხი-ლა, გასწორდა, ისევ გაეკიდა, ისევ წამოედო და წა-

იქცა, თითქოს რაღაცა ჩაფშხვნა დაცემისასა, წამოდგომისასაც ეფშხვნებოდა, რაღაცა, რო მირბოდა, მაშინაც ხრაშახრუში გაჰქონდა ფეხქვეშა, მაშინ ყურადღება არ მიუქცევია, ახლაც გაუელვა და გადაუქრა ფიქრიდანა, ადვილადაც ვერ გაარჩევდა ცისკრის ფერებში, ადვილად ვერ მიხვდებოდა, რა იყო და რისგან იყო. ლეკომ იცოდა, რა თქმა უნდა, ხანძარს ჩაებუგა ბაღი სასახლისა, იშვიათი და უცხო წიწოვანნი, სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოზიდული, გახარებული რის ვაივაგლახითა ჩაებუგა დეკორირებული ბუჩქნარები, ფანჩატურები, ჩაებუგა და ჩაენახშირებინა. მერე ნახშირი ეზიდათ, სულ ვერ გაეზიდათ, ან დაეწუნათ წვრილწვრილები, მოღავებულიყო, იქაობა მოთენთიანებულიყო ნახშირითა, ნახშირი ხრაშუნობდა, ნახშირზე დაეცა, ნახშირი აჰყვა ჩანთასაცა, ხელებსაცა, სამოსსაცა, ხნულის ლაფიც ჯერ არ შეშრობოდა, ნახშირიც აჰყვა, მოედო, შემოერტყა.

ლეკოც მიეშველა და წამოდგომისასა, ხელიც გაუწოდა და სიტყვაცა, სიტყვით უფრო წამოაყენა:

– არც მიმიტოვებიხარ და არც მიგატოვებ, ოღონდ არ გამაბრაზო, მეტი არაფერი, მეტი არაფერი, განა სხვა რამე პირობასა გთხოვ? ნწ... არა, არ გამაბრაზო. ესეც იცოდე, მე ვერაფერი გამაბრაზებს და შეიძლება უცბადაც გავბრაზდე, გეგონოს, ვითომც აქ არაფერიაო, მე იმწუთს ვინ იცის ტანისამოსი შემოვიფლითო. არა, ამას არ ვიზამ, ამისი ნუ შეგეშინდება, მაგრამ სხვა რამეს ვიზამ, უარესს ვიზამ თუ გამაბრაზებ... არავინ მიხსენო, არ გეგონოს, თითქოს ვინმეს ჭკუაზე მივდიოდე, ჰო, არ გეგონოს და ვერც გამაბრაზებ. მეტი არაფერი, ძნელია? არ

არის ძნელი, მე ასე მგონია, ძნელი არ არის, ხოლო შენ თუ ძნელად გეჩვენება, მშვიდობითა ბრძანდებოდე, მოწყალეო ხელმწიფევ. – შებრუნდა, ზურგი უჩვენა, მოემზადა ნასასვლელადა, აბა ჰაა, შენზე ჰკიდია, დავრჩე თუ წავიდეო. – ძნელია?! – იკითხა მუქარითა.

– ადვილია, ადვილია, ძალიან ადვილია... – დაეშურა სტუმარი.

– ძნელიც რო იყოს, აგრე იტყვი, მეტი რა ჩარა გაქვს!..

– არა, მართლაც ადვილია.

– ძნელი იყოს და ძნელი აიტანე.

– იყოს, როგორც გენებოთ, ისე იყოს, ოღონდ ეს მიბრძანეთ, სადა ვართ და რადა ვართ ან მოვისვენებთ თუ არა ცოტა ხანს მაინცა?

– მოისვენებ თუ არა, ეგ რო მოგახსენო, ჩემო კეთილი ყმანვილო, ჯერ ეს უნდა მიბრძანო, აქ რად მოვსულვართ? – თვალი თვალში გაუყარა ლეკომა, თანაც მოჭუტა წვრილი თვალები. უცნაურად იელვა მოჭუტულმა თვალმა ცისკრის შუქზედა, ნამისად იელვა, ოღონდ ისე იელვა, შეაკრიალა სტუმარსა.

– ემაგას ჰო მე გეკითხებით... – მაინც ესა თქვა, ანთუ სხვა რა უნდა ეთქვა?!

– რახან მეკითხები, მაშა არც შენ იცი, – დაასკვნა ლეკომა, ოღონდ არ შეჩერდა ამ დასკვნაზედა, – ან მართლა არ იცი, ან მიმალავ. მე რო გეკითხები, მე მართლა არ ვიცი, ხოლო შენც თუ არ იცი მართლა, აქამდის ჰო ბრმად ვიარეთ და ვიარეთ, ამიერიდანაც უნდა ვიაროთ ბრმადა. შენ არ ვიცი, მე კი არ მომწონს ბრმად სიარული, არა, რადა ვითომაო, თვალი მოუცია ღმერთსა და თვალის ჩინიც არ მო-

უკლია, რახან მოუცია და რახან არ მოუკლია, მე ძალისძალად არ ჩავიღამებ, ნნ... არა, რადაო, ვითომაო!

– ჰოდა, რადაო?! – უაზროდ იკითხა მგზავრმა, გზამოკვეთილმა, დაბნეულმა, ღამენათევმა, იკითხა და რო აჰხედა აბრიალებულ ცისკრის ვარსკვლავსა, ვერ გაარჩია, ვერ დაინახა ვერაფერი ბრიალის მეტი.

– ჰოდა მეც მანდა ვარ, – დაატანა ლეკომა. – ჰოდა რადაო, შენც მიდასტურებ, არა? კეთილი და პატიოსანი, ახლა გავინათოთ ბნელი და ვიაროთ სინათლითა. მე ლეკო თათაშელს მიძახიან და განა იმიტომ მიძახიან ლეკო თათაშელსა, ხეთერელმა ჩამავლოს ყურში ხელი და მაპროწიალოს, როგორც უნდა, ნნ... არა, ამიტომ არ მიძახიან ლეკო თათაშელსა. ეს ერთი ღამე, რაც იყო, იყო... ეგება არ მოგწონს ჩემი ნათქვამი, ეგება ღამღამობით წოწიალს დაჩვეულხარ მთვარეულივითა ანდა არ გინდა, გამოჩნდე დღისითა, მზისითა?! რატომ არ გინდა, რა განგიზრახავს, რად არ გამომიტყდები თუ შენი თანამოაზრე ვარ, ჰა?!

– თანამოაზრე?! – მიადევნა სტუმარმა, მიადევნა დუნედა და გარინდდა.

– თანამოაზრე, მაშა, – გაუმეორა ლეკომა, – თანამზრახველი, თანამონაწილე, თანამდგომი, რაც გინდა დაარქვი, მე მიგიძღვივარ, მაგრამ შენ მოგყვები, მოგყვები და ვეღარ გამოგყვები, თუ არ მაცოდინე, საით მოგყვები. მიხვედრით, მიმხვდარვარ, რა გამოეპარება ლეკო თათაშელსა, ხეთერელების ჭკუა ერთად რო მოაგროვო, იმოდენა მე ნეკში მაქვს, აბა, ნეკშია, რა გამოეპარება ლეკო თათაშელსა!.. შენ შენი მითხარი, მე ჩემი ვიცი, შენ შენი მითხარი და მოვისვენოთ...

– ჩემი რა გითხრათ, – თავი ასწია სტუმარმა, – ხალხური სიმღერების ჩასანერად ჩამოვედი, ეს იყო ჩემი განზრახვა და სურვილი...

– მერე?!

– მერე...

– რას დავეწოწებით ამ ღამიანა, ღამე რა უნდა სიმღერებსა?! რა ღობეყორეს ვედებით?! დიდება შენთვისა, ღმერთო!.. აკი გითხარი, ხეთერელები-სოდენა ჭკუა ნეკში მაქვსმეთქი, ეს იყო გითხარი და ამიხდა კიდევაცა, ეგრე ამიხდინე, ღმერთო ყველაფერი! – ხელები აიშვირა ლეკომა, ოღონდ არ აუხედნია, ეტყობოდა, ეს უფრო ფუჭი სიტყვები იყო, ვიდრე მხურვალე მოწოდება ღმერთისა. – ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია, ვიცი, რა ვიღონო და როგორ მოვიქცე. ასე არა სჯობდა? აქამდის გეთქვა, შე დალოცვილო, ბრმად რად მატარე ამ ღადაღუდა გზებზედა! რაც იყო, იყო, სინანულიც არ იცის ლეკო თათაშელმა, არც არას დაგაყვედრებს და არც არას დაგამადლის, რაც გინდა, აგისრულებს, გაგახარებს, გატარებს ნეტარებითა, ლხინსა და დღეობას არ გამოგილევს, მაშ რაო, სიმღერებიც იქ არის, სადაც ლხინია, ქორწილია, დღეობა სადაც არის, ლხინებსა და ქორწილებში გატარებს, დღეობებს არ გამოგატოვებინებს, არა, რა სათქმელია... მერე რა დღეობები მოდის, ეს ფერიცვალებაო, ის მარიობაო, ეს გერითობაო, თავგერითობაო, შუაგერითობაო, ჰეჰეი, რა დღეობები მოდის!.. დღეობისა და ლხინის ყადრი იცის ლეკო თათაშელმა, სიმღერის ეშხი იცის და რახან სიმღერები მოგნდომებია, ჩემს იქით გზა არც გექნებოდა. კარგად მიმხვდარა ელიზბარი, თუმცა მთლად

ხეთერელთა ჭკუა რო შეაგროვო, აგერ, ა, ნეკა ფრჩხილში ჩამეტევა, მაგრამ ამას მაინც კარგად მიმხვდარა.

ხასიათი გამოუკეთდა ლეკოსა, იარა უფრო თამამადა, გვერდი აუქცია სასახლესა, ჩამოიტოვა, თითქოს აქეთ აღარც მოიხედავსო, ყორეებს შემოუარა, ბოგირი გადავლო და ისევ ჩამობრუნდა. ეს მისდევდა თავჩაღუნული, არაქათი აღარა ჰქონდა, მაინც მისდევდა, მუხლები ეღუნებოდა, ებრიცებოდა, მიუდმოუდიოდა შიგნიგარეთა, მაინც მისდევდა, აღარც სინანულის თავი ჰქონდა, აღარც სურვილისა, წინააღმდეგობა ჰო რა სახსენებელია, მისდევდა მორჩილი, მოტეხილი, მოჩოლოჩინებული. იმას თითქოს ძალა მიეცაო, ნაბიჯს უმატა, ხველებასაც უმატა... ხველებასაო, რო გაიგონეთ, არ გეგონოთ გაცივებულიყოს, არა, არ გეგონოთ, თუმცა მოგახსენე, ნარწყავებში ჩაცვივდნენ, დასველდნენ, ამოილაფნენმეთქი, მაგრამ ეს არაფერი, არ გაცივდებოდა ასე იოლადა, იმისათვის ჩახველება თავმონონება იყო, ჩაახველებდა და შეათამაშებდა მხრებსა, ყელს მოიღერებდა, აუცმუკდებოდა ტანი. ეს გახლდათ შეგრძნებაი სიამოვნებისა, ესევე ეგრძნო, ბოგირი რო გადაიარა. ჩამობრუნდა, რუს გამოჰყვა ნაპირ-ნაპირა, განიერ რუსა, დიდ რუსა, ისევ სასახლისა თუ ნასახლარის მხარეს მიექცა, ოღონდ აქეთაც გამოჩნდა რაღაც შენობაი, ალანძული თუ შელანძული კედლები მარცხენა მხარეს დარჩენილიყო. ჰო გამოჩნდამეთქი, სტუმრისათვის გამოჩნდა, გამოარჩია იმისმა დავარდნილ ქუთუთოებში გამობჟუტულმა თვალებმა, თორემ ლეკომ აქამდისაც იცოდა, უფრო ძველი სასახლე რო გადარჩენილიყო, თუმცა იმასაც მის-

წვდომოდა ხანძარი, აელოკა ცეცხლის ენებსა, მაინც გადარჩენილიყო, ხიდი და თაღები ჩაებუგა, დიდრუს გადამდგარი ხიდი და თაღები, მოჩუქურთმებული, მოხარატებული, მოლამაზებული, ჩაებუგა, ჩაეტანა, ვითომცა ყოფილა, ვითომცა არაო; ძველი სასახლე გადარჩენილიყო, თუმცა გაძარცულიყო, რა თქმა უნდა, გაძარცულიყო, მაგრამ ესეც იმდენი არაფერრიო, ლეკოს როდის ენაღვლებოდა, ან რად უნდა შეეწუხებინა თავი საამისო ფიქრითა, როცა შეეძლო მისულიყო, დანაყრებულიყო და მოესვენა; სტუმარს თუ უნდოდა ეფიქრა, ეფიქრა, რამდენსაც რო მოინებებდა, თუმცა ვერც ის მოიფიქრებდა ამაზე მეტსა. და არცა ფიქრობდა, მიფრატუნებდა, მიჩლატუნებდა წელმოწყვეტილი.

ასე მიადგნენ ძველ დარბაზებსა, ჩამუქებულთა, ჩაყურსულთა. ხავსმოდებული ძველი ქვითკირი რაღაც უცნაურად გამოსჭვივოდა ცისკრის ფერებში; ძველი ქვითკირი გამოსჭვივოდა, ოღონდ ვიწრო და მაღალი ფანჯრები თითქოს უკუნეთიდან ამოდიოდა ან შესასვლელიყო უკუნეთისა. შუშები ჩაემსხვრიათ ან ამოეღოთ, თორემ შუშებზეც ალიცლიცდებოდა ცისკრის ვარსკვლავი, შიგნით ვეღარ შეეღნია, ვერ შეებედნა უკუნეთისთვისა. ნუ შეებედნა, ლეკოს აღარც უნდოდა იმის შუქი, სხვა შუქი უნდოდა, სხვა ზრუნვა უნდოდა, იმიტომაც ახველებდა ისე საიმედოდა, ისე გამომწვევადა კიდევაც გამოიწვია, შავი რამ აილანდა ქვის კიბეზედა, შავი, კუნაპეტი, ჩამოაბნელა ციალი ცისკრისა.

– ძიძაა... – თანამგზავრის გასამხნევებლადა სთქვა ლეკომა, თქვა და ჩაახველა, მე ვარო, მიცანიო, ან ვინ არ იცნობს ჩემს ჩახველებასაო. იცნო, რა თქმა

უნდა, ოღონდ არც გამოხმაურებია, არც შერხეულა, რო მიატანეს და მიესალმნენ, საპასუხო ჩაიდუდუნა გაურკვევლადა, მერეღა შებრუნდა, წატუსტუსდა, წინამო წაიარა ლანდის ტუსტუსითა, დერეფანში შეუძღვა თუ არა, უფრო ჩამობნელდა თუ არა, სანათიც გამოჩნდა, იქვე წამოემარჯვებინა, თახჩაში ჰქონოდა, ფარდაჩამოფარებულ თახჩაში. მერე სანათიანად წატუსტუსდა, წატუსტუსდა ისევ უთქმელადა. შეხედვითაც არ შეუხედნია, ჩაატარა ვიწრო დერეფანი, ბოლოს ვიწროვე ოთახში შეუძღვა, არც იქ შეაჩერა, ისევ დერეფანში გაიყვანა, იქიდან კიდევ სხვა ოთახში, სანათი ასწია, შემოატარა ცარიელ კედლებზედა, დიდ წალოსთან შეაჩერა, ერთი გააქგამოაქანა, გააღეთო. ლეკო მიუხვდა, გააღო; გააღო, მაგრამ ცარიელი დახვდა წალოი. სანათი კვლავ შეირხა. კედელს მიაწექიო, როგორღაც ისე შეირხა. ლეკოც მიაწვა კედელსა. ძვრა არა ჰქონდა კედელსა. დაქანდა სანათი, დაბლა დააწექიო, დაბლა დააწვა, არ დამორჩილდა, კიდევ მიაწვა, რაც ძალა ჰქონდა, არ იქნა და არ დამორჩილდა. სტუმარს მიებჯინა სანათი, შენ რაღას უდგეხარ, მიეშველეო, ისიც მიეშველა, დააწვა კედელსა. რა ძალა შერჩენოდა ან რა ძალა დაატანა, ძნელი სათქმელია, ადვილიც იყოს, რაღა საძიებელია, როცა დამორჩილდათ კედელი. დაიხრჭიალა, დაიძრა, ამოვარდა დამწყვდეული ნესტი და უკუნი. სანათი შეერია იმა ნესტსა და უკუნსა, ესენი მერეღა ჩავიდნენ, ჩაჰყვნენ კიბესა ანუ ჩაეკიდნენ და გაეკიდნენ შუქსა, შუქი რო შეჩერდა, შეჩერდნენ ისინიცა, იქაც წალო დახვდათ და შედრკნენ, სადღა მივდივართ, რა ამბავია ჩვენს თავსაო, შედრკნენ თუ შეშინდნენ, ულმობლადა ქანაობდა სანათი, გააღეთო, გაა-

ღეს და, ცოტა არ იყოს, შვებით ამოისუნთქეს, – ლოგინი ეწყო წალოში, აკრიფეთ და წამოიღეთო, სანათი ბრძანებდა. აკრიფეს და აიტანეს. კედელი მიგმანეს, წალო მიხურეს და სანათმა ბრძანა გამომყევითო; გამომყევითო, მაგრამ ამდენი დუმილი და მორჩილება აღარ იყაბულა ლეკომა, აქვე დავრჩებითო, მეტის თავი აღარა გვაქვსო, თუ რამეს შეგვაჭმევ, ჰო კარგი, თუ არა და, ჯანდაბას ჩვენი თავი, დავეყრებით და ძილი რო ნაგვიღებს, ვალალას შესწყვეტს მუცელიცაო. კედელკუთხე მოიტუსტუსა სანათმა, ტახტი აქ არ არის, მაგიდა და სკამი, სად გინდათ დაწვეთ, ან როგორ რა უნდა მიირთვათო. როგორც არისო, როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო, მიუგო ლეკომა. მაშინ კუთხეში, იატაკზე ჩაიფერხა სანათმა, ამათაც იქვე დაჰყარეს ლოგინი...

VIII

დაჰყარეს და მიეყარნენ, მიეყარნენ და მიიკარგნენ, აღარ გაეგებოდათ, თუ სად იყვნენ, სად არა, რო გამოფხიზლდნენ, მაშინაც აღარ გაეგებოდათ. ისევ დღე იდგა, ამდენს მაინც მიხვდნენ. ოთახში პატარა მაგიდაც შემოეტანათ, სკამებიცა, მაგიდაზე შოთები ეწყო, ნივრის ნნილიცა, ჯამებით ლობიო, კიტრები და პატარა დოქიცა, ძალიან პატარა, საარყე დოქიცა. ალბათ დილასვე შემოიტანეს, სამხრად არაყს არ მოართმევდნენ; თუმცა წესსა თუ ჩვევას რაღას დაგიდევდნენ განიადაგებულ ოჯახში, მაგრამ ჩვევა მაინც ჩვევაა, სულსაც რო ღაფავდეს, ჩვევას მაინც მიეტანება ადამიანი, უფრო ძალუმად მიე-

ტანება, თუ მიხსნის, ეს მიხსნისო... ჰო სკამებიც არ გახლდათ ცარიელი, ამათი სამოსი ეფინა სკამებზედა, განმენდილი, გაუთოვებული, გასპეტაკებული. ადგომაღა უნდოდა, ვერ ამდგარიყვნენ, ძვალრბილი გაჰყროდათ, თავი გორავდა უსაურო, ნესტიან ბალიშზედა. მერე, როგორც იყო, ჯერ ლეკომ წამოჰკრიფა ძვალ-რბილი. ახალუხი გადაიცვა და ტაში შემოჰკრა, ეს ტაში ხმობისა გახლდათ და, თითქოს იქვე მიდარაჯებულაო, მაშინვე კარი შემოაღო შაოსანმა დედაკაცმა, დოქით წყალი შემოიტანა, ტაშტიც შემოაყოლა, იქვე დააწყო, პირსახოციც ჩამოჰკიდა კარის სარაზავზედა. ლეკომ ხელები გაატატანა, დიდრუში უნდა ჩავდგე და თავითფეხამდის განვიბანო, ვითარცა იორდანიაში იესო ქრისტეო. არც ურჩობა იყაბულა, არც შედარება მოუწონა იმა დედაკაცმა ანუ წუხანდელმა ძიძამა, არ მოუწონა, ოღონდ სიტყვით არ გამოუთქვამს, სახეც არ მოუჩანდა ეგრერიგადა, თვალებზე ჩამოეფხატა და ტუჩ-პირი აეკრა შავი თავშლითა, მაინც შეეტყო უამურობაი, ისე შექანდა, ისე გაიხიდა კარებში, გაიხიდა და გაჰქრა მერე თვალმოუკრავადა.

ნიკო ჯერ ისევ იწვა, ჯერ კიდევ ებლიტებოდა თვალები.

ჰო ჯერ კიდევ ებლიტებოდა თვალები, მაგრამ იმდენი მაინც გაარჩია თუ როგორ ეწვალებოდა ლეკო თათაშელი, – ცალი ხელით ისხამდა წყალსა, ცალით იბანდა; გაარჩია და წამოდგა, მიეშველა, დაუსხა წყალი. ლეკომ მადლობა მოახსენა, სავარცხელი ამოაძვრინა ახალუხის ქისიდანა, თმა-წვერი ჩამოივარცხნა, ფანჯარასთან მიდგა, იქ ჩამოივარცხნა, აქეთ აღარ მოუხედნია, არც დაუნახავს, არც არად

ენაღვლებოდა, ეს თუ როგორღა ეწვალებოდა, ცალი ხელით ისხამდა, ცალით იბანდა. ძიძა იქ აღარ იყო. გავიდა ჰო, ამას რო ებლიტებოდა თვალები; ხელ-პირი გადაიბანა თუ არა, ძიძაც შემოვიდა, როგორც რო გაჰქრა, ისევე გამოჩნდა, გაიტანა ნაბანი წყალი, მერე აღარ გამოჩენილა ან რაღად უნდოდათ, საჭმელ-სასმელი ჰქონდათ, სუფრა გაწყობილიყო. იყო და სწორედ ეს არ მოსწონდა ლეკოსა, დილით გაწყობილი სუფრა არ მოსწონდა, არ ეჭაშნიკებოდა ნაღამური ლობიოი, არაყი ჰო, არაყზე უარს არ იტყოდა, მაგრამ ერთი ჭიქის მერე ღვინოს მოინებებდა, გრილ ღვინოსა, არა სჩანდა არცა მომტანი, ფრატუნიც არსაით მოისმოდა. მაშინ ელიზბარ ხეთერელის მიერ გამოტანებული წამლები გაახსენდა ლეკოსა, ტაში შემოჰკრა, ახლა მე ვიციო; ახლა მე ვიციო, ოღონდ მაინც არავინ გამოჩენილა და ვერც საცოდნელმა გამოჰყო თავი. მაშ ეგრეო, გულზე ხელი დაიბრაგუნა ლეკომა, კეთილი და პატიოსანიო, ხელი დაიბრაგუნა, დაიქადა, კარი გამოაღო და ისეთი წივილ-კივილი ასტეხა, გეგონებოდათ, სასიკვდილოდ დაუკოდიათო. აწივლდა, აზუზუნდა, აბუბუნდა ხავსიანი დერეფნები, დაიგუგუნეს გამოცარიელებულმა დარბაზებმა. ბუყბუყი ამოვიდა სარდაფებიდანა. ძიძა მაინც ვერ შეაშფოთა, ნელ-ნელა, აუკვირველად, ლანდად მოადგა ამათ კარსა, რას ინებებთო, ეს აგრძნობინა მდუმარედა, შეურხევლადა. ჩვენ არაფერსაო, ითაკილა ლეკომა: მე მაინც, ჰო მოგეხსენება, არც არაფერი მინდომია, არც არაფერს ვინდომებო, მხოლოდ წამლები მომირთმევია ქალბატონ ეფემიასთვისა, უბოძეთ თუ შეიძლებაო. აქ წამლები გაუწოდა, არც გაუწოდა ანუ გაუწოდა,

ოლონდ ჯერ მიცემას არ აპირებდა, არც ძიძას გამოუშვერია ხელი, ოდნავადაც არ შეუტოკებია. მეო, მოახსენებდა ლეკოი: გავიგე წამლები რო შემოლეოდა ქალბატონ ეფემიასა, აქეთ აღარც შემომივლია ან რაღად უნდა შემომევლო, რახან გავიგე, გავეშურე პირდაპირ ხევთისსა; შენ ეიმეთქი, შევუტიე ელიზბარ ხეთერელსა, რა ბებიაშენის მუქათებსა ხევმეთქი, რას მიგიტოვებია ის ქალიმეთქი, ახლავე მომიმზადე წამლებიმეთქი, ახლავე, ამწუთშიმეთქი... თორემამეთქი... ჰოდა, რაღა ბევრი გავაგრძელოო, აგრემც გაგიგრძელდება წუთისოფელი, დაამზადა თუ არა, გამოვეშურე, თვალის დახამხამებაში გამოვეშურე და აი, აჰა, მომირთმევიაო. მაშინღა გამოაშვირა ხელი ძიძამა, გამოაჩინა გრძელი, მსხვილი თითები, ცოტა ნუჟრიანი თუ ცოტა დაგრეხილი თითები, გამოაჩინა, შემოახვია წამლებსა, გაბრუნდა, გავიდა უთქმელადა. ახლავე ღვინოს მოგვიცუნცულებსო, შეიხალისა ლეკომა, მაგრამ არ იქნა, არ მოუცუნცულა; რაღას იზამდა, მაშინ არაყი ჩამოისხა, გადაჰკრა და ნეტარადა თქვა: იფ, რა არის, ამისთანა არაფერი დამილევიაო; ახლა ლობიო ნახე, ამისთანა არაფერი მიგემნიაო; ნივრის წნილი! იფ! იფ! იფ, ნეტავ რა არის, რა ხელმა ჩასდოო. ახლოს მოიწი, გულიანად შეექეცი გეთაყვა, ვისაც ბედმან რაცა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდესო, ღმერთმა აცხონოს ამისი მთქმელიო.

მაინც ვერ მოისვენა ლეკომა, ცოტა აიტკიცა, ცოტა შეჭიკჭიკდა და ვეღარ მოისვენა, ტაშიც შემოჰკრა, ნივილკივილიც ასტეხა, აღარავინ გამოეხმაურა, არავინ გამოჩნდა, მაშინ ჩაახველა მუქარისადა, თავდაჯერებისადაცა, შენ აქ მომიცადეო, თქვა

და გავიდა. ესეც უცდიდა, მეტი რა ჯანი ჰქონდა, ფანჯარასთან დაბორიალებდა და უცდიდა. მაღალი, ანწნილი ფანჯარა გაჰყურებდა დიდრუსა და გადამწვარ სასახლესა. შავი, გარუჯული კედლები, თაღებმოშლილი სვეტები ატაცებულიყო ცის სილურჯეში, კრიალა სილურჯეში. სვეტთა და ჩამონგრეულ კედლების შუა მთებიც ლურჯად გამოიცქირებოდა, მთები ანუ კალთები კავკასიონისა, მწვანეც მოსჩანდა, ეს ტყის ქოჩორი გახლდათ ან ჭალებისა, ან ფლატეებზე გადაკიდული ბაღებისა, რაც უნდა ყოფილიყო, იყო სიმწვანე, იყო სილურჯე და შებოლილი სვეტები, შავი კედლები გადაბუგული სასახლისა. მაშინღა იგრძნო, ხალისი რო დალეოდა, მაშინღა იგრძნო სიმარტოვე და მიუსაფრობა, გაქცევა მოუნდა. მაგრამ არ იცოდა სად იყო, ლეკოც სწორად არაფერს ეუბნებოდა, ისევ თავისი რუკა თუ უშველიდა, გაურკვევდა გზასა კავთისიდან ნატბისამდისა, ან სხვა მხრით საითმე გაურკვევდა, ისე, რკინიგზას რო მიახლოვებოდა, გასცლოდა იქაობასა, მთლად იქაობასა, მთლად შიდა ქართლსა, ქართლის ზეგანსა, მთების შუა რო გადაშლილა ხელისგულივითა, გადაშლილა ისე ნათლადა, ისე მკაფიოდა, კანთიელადა, ერედვის სერებიდან თუ გადმოიხედე, ჭიანჭველაც არ გამოგეპარება. თუმცა ამასთან ვის რა ესაქმება, – ჩემთან ვის რა ესაქმებაო, – მაგრამ მაინც დაუმძიმდა გული, მაინც ჩაუგულმოდგინდა თავის რუკასა... ვერ გაიგო თუ როგორ წაადგა ლეკო თათაშელი, იქვე ყურთან ჩაუხველა, და მაშინღა აიხედა მგზავრმა, კინაღამ თავი მიახალა, ოღონდ მაშინვე უკან დაიხია, რუკაც უნებლიეთ მოკეცა და უბეში იტაცა, შიშიანად იტაცა, ისე ცუღლუტად უბრნყინავდა

თვალები ლეკოსა, ისეთი რიხით ახველებდა, ისე გამომწვევადა.

– ეს... – დაბნეულად ამოიძახა ნიკომა.

– სსსს... – ტუჩებზე თითი მიიფარა ლეკომა, არაო, რადაო... ყველაფერი ვიციო.

– არა...

– ვიცი, ვიცი, მე ლეკო თათაშელს მიძახიან და ეს იმასა გულისხმობს, რო ყველაფერი ვიცი. ეს იმასაცა ნიშნავს, რო ენაზე არაფერი დამადგება, მაგრამ ნურას უკაცრავად, ვერც ვერაფერს გაიგებენ ჩემგანა. ეს ისე... ახლა აი რა უნდა მოგახსენო, ჩემო ყმაწვილო მეგობარო; უნდა მოგახსენო და ის უნდა მოგახსენო, რომა ჩვენი წასვლის დროა. მალე ისევ შემოღამდება და მე ღამიან ფეხს აღარ გავადგამ გარეთა, არც გამიდგამს და არც გავადგამ, წუხანდელი რაც იყო, იყო, იყო და არა იყო რა, აღარც იქნება, ასე, რო ჩვენი წასვლის დროა, მაგრამ ვერც წავალთ, ეფემია თუ არ ვინახულეთ. იმან ვინძლო დიდხანს მოინებოს ჩვენთან საუბარი, შენ უნდა შეახსენო, რო გვეჩქარება. არა, მეც შევახსენებ, მაგრამ საუბარი ჰო იცი, ხანდახან რაგვარად ჩაითრევს ადამიანსა, მეც ეგებ ჩამითრიოს და თუ ჩამითრიოს, შემახსენე, გვაგვიანდებათქო. ვიმედოვნებ, არ დაგავიწყდება.

– არა...

– ძალიან კარგი და დიდებული. აქამდის სად არის ის ურჯუკი დედაკაცი?! წყეულიმც ვიყვე თუ ეტყოდა, რო აქა ვართ, ისე გაგვისტუმრებდა, არ ეტყოდა.

– აჯობებდა...

– არ გამაგონო!.. მე ლეკო თათაშელს მიძახიან და მაშ მე უკეთ ვიცი, რაცა სჯობიან, რა აჯობებდა

ან რა აჯობებს მერე, მრავალ წელთა მერე რა იქნება საუმჯობესო. ეს მე მომეხსენება და ნურავინ გაირჯება რამე მირჩიოს. ვერც ვერავინ მირჩევს, ვინც მიცნობს, რჩევასაც ვერ გამიბედავს. შენ ახლა მეცნობი და მიპატიებია. არა, მადლობად არა ჰლირს, ესოდენ მცირეზე ნუ დაიხარჯები, ბევრად მეტის მიტევებაც შემიძლიან, დიდსულოვანი გახლავარ, ლეკო თათაშელს მიძახიან და იმიტომაც გახლავარ დიდსულოვანი. ერთი სიტყვითა, ვუბრძანე, მოახსენოს, დიახაც ვუბრძანე, მოახსენოს, რო თან მახლავს ისეთი ვინმე...

– რაო?! – შეწრიალდა სტუმარი.

წარბები აჰყარა ლეკო თათაშელმა, მოჭმუხნა შუბლი და კბილებში გამოსცრა:

– მე ვარ თუ არა ლეკო თათაშელი?!

– როგორცა ბრძანებთ... – დადრკა სტუმარი; რა თქმა უნდა, დადრკებოდა, ინანებდა სიტყვა რად ჩავურიეო.

– ჰოდა, ასედაცა ვბრძანებ, მოახსენემეთქი, თან მახლავს ისეთი ვინმემეთქი... – და მგზნებარედ ჩაახველა ლეკომა, ისე ჩაახველა, კმაროდა რიხისა და სიამაყის გამოსამზეურებლადა, კმაროდა, მაგრამ არ იკმარა, ხელი შემართა, შეატკაცუნა თითები, ცერებზეც შეიმართა, ეს მე გახლავართო, ჩემი უმაღლესობა ბრძანებს, ძირს ვერავინ დაუშვებს ჩემს ბრძანებასაო.

სხვისა რა გითხრა, ამჯერად არც არავინ არავის არრას არ ეკითხება, იქ მხოლოდ ეს გახლდათ, ეს გზააბნეული მოგზაური, ეს შესცქეროდა, ეს უსმენდა და ალბათ, მართლა ისე მოესმა, რო მყისვე დაფაცურდა, წამოაპირქვავა ჩანთაი, კოსტუმი გამოათ-

რია, თეთრი პერანგიც გამოაყოლა, შავი საყელური ბაბთაცა. დაჭმუჭვნილიყო ყველაფერი, არ ჩაიცმოდა, არ გამოდგებოდა საზეიმო შეხვედრისთვისა, არადა, არც ის შეეძლო, წამდგარიყო ელიზბარ ხეთერელის მიერ ნაჩუქარი გაცრეცილი ხალათ-შარვლითა ან გაცრეცილი რა მოსატანია, ახალთ-ახალიცა ყოფილიყო, ვერ გამოჩნდებოდა ისეთი სამოსითა. ღამე სხვა იყო, ხნულებში ბოდიალი, ფლატეებზე ფხოტიალი სხვა იყო, ქალბატონ ეფემიასთან შეხვედრა სხვა იყო, რა თქმა უნდა. თუმცა არც იცის, ვინ არის ის უჩინარი ქალბატონი ეფემია, მაგრამ ვინც უნდა იყოს, ისევ აჯობებს, წარუდგეს დაჭმუჭვნილი კოსტუმითა, ვიდრე მეკალოესი თუ მხვნელმთესველის ხალათ-შარვლითა. დაჭმუჭნულობისათვის ბოდიშს მოიხდის, ერთხელ როდი, ათასჯერაც მოიხდის ბოდიშსა, მგზავრს მიეტევება, მიეტევება ისედაცა, მითუმეტეს ათასჯერ თუ მოიხდის ბოდიშსა. მაგრამ ლეკო სხვასა ფიქრობდა, სამოსი გამოსტაცა ხელიდანა, სკამზე დაჰყარა, დერეფანში გაიტანა სკამი, კარი მიხურა და თვალი ჩაუკრა, ახლავე გავიგებთ, მიგვიღებს თუ არა ქალბატონი ეფემიაო. ნიკოს მოენება, ახლა უფრო მტკიცედ ეთქვა უარი, მაგრამ მონებება, ან არც არაფერია, თან თუ არ ახლავს გაბედულებაცა, გაბედულება ვერ მიადევნა, ბაგეს ვერ ამოაცილა სურვილი, ისედაც ვერ ამოაცილა, ლეკოც არ აცდიდა, ენაწყლიანობდა, ამტკიცებდა, რო იყო ლეკო თათაშელი და, რო ის იყო, რაც იყო. მერე უცებ ივარაუდა თუ ჩქამი მოესმა, ყურები დაცქვიტა, ფეხაკრეფით მიირბინა კართანა, ფრთხილად გამოაღო, ფრთხილადა უჭრიალოდა, გაიჭვრიტა, გააცურა ხელი და სკამი შემოითრია. დაუთოვე-

ბული კოსტუმი, დაუთოვებული პერანგი და საყელური ბაფთა ეწყო სკამზედა. ჩაიცვიო უთხრა, ჰხედავ, ვბრძანებ, ჩემს ბრძანებას ვერავინ წაუვაო.

შეეძლო კვლავაც განეგრძო ტრაბახი, გადაჰყროდა მორჩილ მსმენელსა, ურჩებსაც არ მოერიდებოდა, არც ერიდებოდა, ტრაბახით წარუდგა ქალბატონ ეფემიასაცა, თუმცა მანამდის, ვიდრე ეფემიას არ მოჰკრა თვალი, ცოტა არ იყოს, შეშინებულიყო, ემანდ უცებ გარეთ არ გაგვაცილოს, პირში ჩალაგამოვლებული არ დაგვტოვოს ამ არნაუტმა დედაკაცმაო. ასე ეგონა, ძიძა რო მიუძღოდა ქვედა დერეფნებში, ზედაში რო მიუძღოდა, ასევე ეგონა, უცებ დაგვაქანებს და სადღაც ბაღში ან დიდრუისპირას ამოვყოფთ თავსაო. მერე უარე და უძახე, აქ რა გვინდაო, რა იქენიო, უძახე რამდენიც გინდა, არავინ გამოგეხმიანებაო. თავისთვის ეგონა, თავისთვისა ფიქრობდა, ეჭვიანადაც გადაჰხედავდა ნიკოსა; იმას ეჭვისა არაფერი გაეგებოდა, წელგამართული მიაბიჯებდა, დერეფნებსა და დარბაზებში მიაბიჯებდა, თუმცა გამოცარიელებულ დერეფნებსა და დარბაზებში, მაგრამ ეგეც არაფერი, გადაიხსნებოდა ბრწყინვალე დარბაზიცა, სადაც შეეგებებოდნენ, მოუსმენდნენ, გაუგებდნენ, მოუწონებდნენ, წააქეზებდნენ, დახმარებას აღუთქვამდნენ და კიდევაც დაეხმარებოდნენ, მაშ რაო, კაცს თავი გადაედო საერო საქმისთვისა, ბოლოსდაბოლოს უნდა შესდგომოდა, უნდა გამოსჩენოდნენ გიორგი ყანჩაველის საიმედო პირნი, სწორედ აქ უნდა გამოსჩენოდნენ.

კიდევაც გამოჩნდა... ბრწყინვალე დარბაზისა რა მოგახსენო, ბრწყინვალე შეხვედრისაც აბა რა გითხრა. მაგრამ მაინც ის ოთახი მთლად ცარიელი არ

გახლდა, იდგა აუცილებელი, ძველებური, შინნაკეთები კაკლის ავეჯი და თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი დიდი ხალიჩაც ეკიდა კედელზე, ერთიც ძირს ეფინა, ისიც დიდი, მთლიანადა ჰფარავდა იატაკსა. ერთი სავარძელი გორგოლაჭებზეც იდგა, იქ იჯდა ქალბატონი ეფემია. იქ გახლდათ, სტუმრები რო ეახლნენ, არც წამომდგარა რა თქმა უნდა, არა წესისადა, არამედ იმიტომა, წამოდგომა რო არ შეეძლო, წელქვევით მოეწყვიტა დამბლასა, წელქვევით მოეწყვიტა, ოღონდ წელზევითაც თითქმის აღარ იყო, გაეჩანაგებინა ურვასა. ავინყდებოდა სად იყო, ავინწყდებოდა, ვინ იყო, დროდადრო ავინყდებოდა, იბინდებოდა, იკარგებოდა, მერე მოეგებოდა გონსა, მოეგებოდა და ინატრებდა, მიკარგულიყო, მაგრამ ეს არ გახლდათ იმის ნებისადა, მიიკარგებოდა, როცა არ უნდოდა, მოეგებოდა, როცა არ უნდოდა. იმჯერად მეტისმეტად შეფიცხებულიყო ან უეცრად შიშმა გადაჰკრა შავი ფერები, რამეთუ ხელი რო განიწოდა მისალმებისადა თუ მისაამბორებლადა, განიწოდა და მაშინვე გაიტაცა ზურგსუკან, გაიტაცა მეორე ხელიცა. ცოტახნის მერე მხოლოდ მარჯვენა გამოაჩინა და გრძელი ფრჩხილები ლამის ნიკაპში ატაკა წინწამდგარ ლეკოსა, არცთუ შეიმჩნია ლეკომა, თავაზიანად ჩამოართვა ხელი, ცერებზე აიწია და ისე ეამბორა, ისევეც შეაგება თანამგზავრსა ხელი იგი. ისიც მისწვდა საამბორებლადა, ამბორჰყო ცხადია, ოღონდ თვალს რაღაცა ეუცნაურა, ჩაჭდეულიყო თითები, მუქი ზოლები შემოვლებოდა, – ბეჭდები თუ წაეძრო, ბეჭდებს თუ მალავდა ზურგსუკანა. და უცებ თითქოს რაღაცა იაზრა ქალბატონმა ეფემიამაო, გაიკისკისა უცნაურადა, უკანვე გაიტაცა მარ-

ჯვენა ხელი და ორივე რო გამოაჩინა, ორივეზე უბრწყინავდა მშვენიერი ბეჭდები, კიდევაც გაიკისკისა: თქვენი რატომღა შემეშინდაო, მაგრამდა რაო, შიში გვბატონობს, გარჩევა დავკარგეთო, ღრმა ამოოხვრას ამოაყოლა.

დავკარგეთო, დაუდასტურა ლეკომაცა და მოადევნა მაშინვე ესეცა, – ფაფისგან დაშინებული, დოს უბერავდაო.

– ამაზე ითქმის... – ქალბატონმაც დაადასტურა, ქალბატონმა ანუ თუ რიღასმა ქალბატონმაო, ამა ძველისძველ ციხე-დარბაზს თუ შემოჰფარებოდა, ისიც ძიძას ხათრითა, ან იმიტომაცა, ჯერ რო მაინცდამაინც არც მოენდომებინათ ის ციხე-დარბაზიცა, არც დასაწვავადა, არც დასანგრევადა – თუ მოინდომებდნენ, ძიძაც ვერ უშველიდა ვეღარაფერსა, ვერა, ვერ უშველიდა, როგორც ვერ უშველა იქითა, იმ ახალ სასახლესა; თუმცა იქ არცთუ გადაჰლობია ვინმესა, არც გადაჰლობია და ვერც გადაეღობებოდა, – დაიტაცეს, გაძარცვეს მდიდარი სასახლეი, ამის თვალწინ გაძარცვეს, გამოშიგნეს, გამოაცარიელეს ხორხოცითა, გნიასითა, აურზაურითა, ამას წარბიც არ შეუხრია, არც სინანული ამოჰფენია, გადაჰფარებოდა მხოლოდ ეფემიასა, გადაჰფარებოდა და შთააგონებდა უთქმელადა: ნურც გაიგონებ, ნურც განიცდი, გაქვავდი ასე ჩემსავითაო. უკეთესად ვერც ვერავინ შთააგონებდა, გაქვავება მაინც ვერ მოეხერხებინა ეფემიასა, ჩაკუნტულიყო გორგოლაჭებიან სავარძელშია, ყურები დაეცო ცერებითა, დანარჩენი თითებით ისრესდა თვალებსა, ისრესდა და კანკალებდა, ციებიანივითა კანკალებდა; ანთუ უარესადაცა კანკალებდაო, ოღონდ გაჭირდება

გამოძებნა შედარებისა, გაჭირდება და ისევ ეს იყოს, როგორც ითქვაღა, მაგრამ თუ მაინც წარმოიდგენ რაიმ უარესსა, წარმოიდგინე აკეპილი ადამიანი, ის ისაა აკეპილი და აჩეხილი, როცა ჯერ ისევ თახთახებს ხორცი, ძაგძაგებს, ძრწის, ჯერ ისევ თბილია და ისევა თახთახებს. ასე გაუძლო, გაძლებად თუ ითქმის, ძარცვას გაუძლო, უმოწყალო ძარცვასა, გაუძლო მანამდე, ბიბლიოთეკამდე, ბიბლიოთეკამდე გაუძლო მხოლოდღა... იქ ვეღარ გაუძლო, ვერა, ვერ გაუძლო ტყავის ყდები რო შემოაფლითეს უძველეს ხელნაწერებსა თუ უახლეს გამოცემებსა, სიფრიფანა ფურცლები რო ააგლიჯეს წიგნებში ჩატანებულ სურათებსა და იქვე წეკო რო ჩაახვიეს იმა ფურცლებშია, ჩაახვიეს და ჩაიხითხითეს, გააბოლეს და ჩაიხითხითეს გასაოცარი ნეტარებითა, ვეღარ გაუძლო და დაინივლა: რასა სჩადიხართ, ველურებოო, დაინივლა და შეგორდა ბიბლიოთეკაში გორგოლაჭებიანი სავარძელითა რაღა თქმა უნდა, შეგორდა და დაეწოდა მოღავებულ წიგნებსა, დაეწოდა და ისროლა, სტყორცნა აქეთ-იქითა, ესროლა ყველასა, ვისაცთუ მისწვდა, ვისაცთუ უწია, სტყორცნა წივილითა, წყევლა-კრულვითა, ამოიფხრინა ყელი, ხმადაბალ საუბარს მიჩვეული ყელი. მერე რას იზამდა, ძნელი სათქმელია ან ვითომ ისეთს ნეტავი რას იზამდა, ოღონდ ისიც არ დასცალდა, რაც უნდა ყოფილიყო, – ვიღაცამ ასწია ვეება ფეხი, ტატყი ასწია და სდრუზა სავარძელსა, გორგოლაჭებიან სავარძელსა სდრუზა ცხადია და გავარდა სავარძელი, კარი გაგლიჯა და იქითა ოთახში შეასკდა კედელსა, შეასკდა და წამოპირქვავდა, ქვეშ მოიყოლა გულწასული ქალბატონიცა.

მერე აქ მოეგო გონს, მოეგო და ვერც მოეგო, აღარაფერი ეცნობოდა, მხარი მოჰქცევოდა, ველარაფერი გაეგო შერუჯული კედლებისაცა, ძიძაც არაფერს ეუბნებოდა. მითხარიო, ჩააცივდებოდა ძიძასა, ჩააცივდებოდა და ცნებაც აერეოდა. ძიძა უყვებოდა ცნებადაკარგულსა, ზღაპრებს უყვებოდა, ბავშვობისას რო მოეთხრო უამრავჯერა, ახლაც მოუთხრობდა უამრავჯერა, ისევ ზღაპრებით გამოიყვანდა, გამოაბრუნებდა, შემოატრიალებდა ამ ქვეყნისაკენა, – ზღაპრებითა და ელიზბარის წამლებითა. აღარც აღარავის იკარებდა ელიზბარის მეტსა, ახლობელნი ჰო აღარ შერჩენოდა და აღარა... უცნაური ბედი დაჰყოლოდათ კათარელებსა, ყველა დევნილისა და გაძევებულის მხლებელნი გახლდნენ. უძველესი საუკუნეებიდან რო არ შემოჰყვე, ჩამოსათვლელად ისიცა კმარა, ხოლო ახალსაუკუნეებში – ისინი ეახლნენ არჩილ მეფესა, ვახტანგ მეექვსესაც, ისინი გაჰყვნენ, ალექსანდრე ამილახვარსაც იმათ უერთგულეს ყველაზე მეტის თავგამოდებითა, ალექსანდრე ბატონიშვილსაც ისინი დაჰყვებოდნენ, ისინი გადაასახლეს იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებთან ერთადა და აგერ ეს არის – იმ დღემოკლე ხელისუფალთაც ისინი გაეკიდნენ. ეს ყველაზე მწარე გამოდგა, გამოდგა მაშ რაო, – ერთნი თუ სამშობლოდან დევნილთა და გაძევებულთა მხლებელნი იყვნენ, მეორენი აქა რჩებოდნენ, აქვე მოიშუშებდნენ ჭრილობებსა, აქვე მოიდგამდნენ სულსა, კიდევა ზრდიდნენ ერთგულ შვილებსა; ახლა აღარავინ დარჩენილიყო, მობრუნების პირიც აღარავის უჩანდა, გაწეწილიყო, გაქარწყლებულიყო ოდესღაც ძლიერი, მრისხანე გვარი და მოსთქვამდა ქალბატონი ეფემი-

აი, – თუმცა ვიღასი ქალბატონი, ვიღასი ქალბატონიო, მაგრამ სნორედ ამას მოსთქვამდა, რო აღარც ვიღასი იყო, აღარც რიღასი იყო, ცრემლიღა გახლდა, ვალალიღა გახლდა, დაღუპული გვარისა, წინააღმდეგობასა და ერთგულებაში დაღუპულისა.

და ვალალებდა... მიიკარგებოდა და გამობრუნდებოდა. გამობრუნდა და ბეჭდები დამალა, მიიკარგა და აღარ გაეგებოდა, ვინ მისულიყვნენ, რა უნდოდათ, რა პირს აღებდა, რა ხელებს იქნევდა ეს წინ წამომდგარი კაცი, კაცი თუ ურჩხული?!

და ის იყო:

– ააااااااჰ... ჰაااااااა... – ინივლა ქალბატონმა ეფემიამა, ინივლა და გადასავსავდა, მანამდის მოასწრო, კავებში ჩაეხლართნა თითები და მოებდღვნა ჩიხტი-კოპი, ლეჩაქ-ბაღდადი.

ესენი შეკრთნენ, უკან დაიხიეს, მერე თითქოს მიხვდნენ, უნდა მივეშველოთო, ხელები გაიწვდინეს, წაინიეს წინწინა, მაგრამ თავი შეარხია ძიძამა, ქუშად გამოჰხედა. თქვენს ქერქში დაეტიეთო, შებრუნდით და გადაეყუდეთ ფანჯრის რაფასაო. ასეც მოიქცნენ, თუმცა ვინ უწყის, ამდენიც არ უნიშნებია ძიძასა, ოღონდ რაც უნდა ყოფილიყო თუ რამდენიც უნდა ყოფილიყო, იმათი ჩარევა არ უნდოდა და არც ჩაერივნენ, იყვნენ ეგრე გადაყუდებულნი, არც არას ამბობდნენ, არც არასა ფიქრობდნენ, მხოლოდ შიშობდნენ, კიდევ რა სეირს დააწევს გორგოლაჭებიანი ქალბატონიო. ესენი შიშობდნენ, ოღონდ იმას სასეირო აღარაფერი დამართვნია, თვალი დაეწმინდა, ფიქრი დაეწმინდა, გამობრუნდა, გამოტრიალდა, არც ის დავიწყებია, თვალთ რო აემღვრა და ურჩხულად მოეჩვენა ლეკო თათაშელი, არც დავიწყებია,

არც დაუმალავს, გამოუტყდა, ასე მომეჩვენაო, გამოუტყდა, როცა მოშორდნენ ფანჯრის რაფასა და იმის წინ ჩამოსხდნენ, ჩამოსხდნენ ცოტა არ იყოს მოშორებითა, თუმცა მოსარიდალი აღარაფერი ეტყობოდა ქალბატონ ეფემიასა, მშვიდად მისვენებოდა სავარძელსა, კავები თუ ჩიხტი-კოპი გასწორებოდა, ვერცხლისფერი ბაღდადი მოხდენილად გამოკვანძოდა ნიკაპქვეშა. გულისპირიც ვერცხლისფერივე ჰქონდა, კაბაცა. ლეჩაქი გამოქათქათებულიყო ვერცხლისფერიდანა და გადაჰქათქათებდა ვერცხლისფერსა. მუხლებზე ატლასი ეფინა, ისიც ვერცხლისფერი და ოქრომკედიანი. საზეიმოდ გამოწყობილიყო, მაინც დაეკარგა მთავარი ცნება, გონთ დაეკარგა და მიიკარგა, – შენ გამიგებო, შენ არ გებოდიშებიო, – ეუბნებოდა ლეკოსა, – ამ ყმაწვილთანა მაქვს საბოდიშო, მაგრამ ალბათ ესეც გამიგებს, ისეთი ვალი დაჰკისრებია, ყველაფერი უნდა იცოდეს, ყველაფრის გაგება უნდა შეძლოსო.

– მე... ქალბატონო... – ამოილუღლუღა სტუმარმა და, ცოტა არ იყოს, მწყრალად გადაჰხედა ლეკოსა.

– მართალსა ბრძანებთ, – დაუდასტურა ლეკომა, – უიშვიათესი ადამიანია, ყველაფერი გაეგება, ყველას თანაგრძნობა შეუძლიან, ყველას მიუხვდება, თქმა რად უნდა, თავისთავად მიუხვდება და თანაუგრძნობს. ჯერ შენ თვითონაც არ იცი თუ რა გინდა, ეს უკვე მზადაა, ხელი წამოგაშველოს. მე თუ ლეკო თათაშელი ვარ, ადამიანის გამოცნობაში არ შევცდები და ჩემს ხმას დავაწევ იმ ღირსეულ ადამიანებსა, ესოდენ დიდებული ვაჟკაცი ვინც ამოარჩია საშვილიშვილო საქმისათვისა. – ასე გამოსთქვა და ხელე-

ბი აღაპყრო ლეკო თათაშელმა, ხელებიც აღაპყრო, თვალებიცა, თან ტუჩები ააცმაცუნა, თითქოს ვიღაცას ესაიდუმლოებაო, რაღა ვიღაცასა, თვით ღმერთს ესაიდუმლოებაო. ხან ისედაც გაუშინაურდებოდა თითქოს იესოს ძმად მოაქვს თავიო, ღვიძლ ძმადა, ღვიძლადა რაღა თქმა უნდა.

თითქოს მოინუსხა სტუმარი, თითქოს აღარაფერი გაეგებოდა, უარი ვეღარ ენამებინა, ვინ უწყის, წახდეს ეს საიდუმლო გასაუბრებაო.

თვალები აღეპყრო ქალბატონ ეფემიასაცა, სასოებით აღეპყრო და შესჩურჩულებდა, საშვილიშვილო საქმისთვისაო, საშვილიშვილო საქმისთვისაო, ჭერს შესჩურჩულებდა. დალაქავებულსა და შებღალულ ჭერსა.

– მე ყოველთვის მჯეროდა, – განაგრძობდა ქალბატონი ეფემია, – მჯეროდა, რო მალე თავს დავაღნევდი ამ საბედისწერო გაოგნებასა, მჯეროდა და აი ახდა! ღმერთო შენითა! ღმერთო შენითა!..

– ახდა!.. – უცხო ხმით დააწია ლეკომა. სტუმარს რო უცხოდ მოეჩვენა, ეგ არაფერი, თვით ლეკომაც მიმოაცეცა თვალები, ნეტავი ვინ იყო, მე თუ სხვა ვინმეო.

– მე ყოველთვის მჯეროდა, – ისევ დუდუნებდა ეფემია თავისასა, – მჯეროდა, მჯეროდა... მჯეროდა, რო იარსებებდა ჩვენი ერი, მჯეროდა და აი ამიხდა, ურჩობა გაჰბედა, მაშ იარსებებს, მაშ იარსებებს, უეჭველია, ის იარსებებს, ვისაც ძალა შესწევს ურჩობისა.

– უძვირფასესი სიტყვებია... – შესძახა ლეკომა.

– ცხონებულმა მამაჩემმა იცოდა ასე. – თავი გამოიდო ეფემიამა.

– ცხონებული პაპაჩემიც ხშირად იმეორებდა ხოლმე. – ლეკო შეეპასუხა მოკრძალებითა.

– პაპისპაპას არ მოვსწრებივარ, – გოროზად გადმოიხედა ეფემიამა, – თორემ იმისგან გავიგონებდი... შენ რაო ლეკო!.. უსათუოდ წინ უნდა ჩამიდგე?!..

დასთმო ლეკომა, აბა ნუ დასთმობდა, – ისევ ასავსავდებოდა ეფემია ქალბატონი, ლეჩაქს მოიბდღვნიდა, მოსტყორცნიდა ჩიხტი-კოპსა და დაიგრიხებოდა, დაიხლართებოდა, დაიპრანჭებოდა ისე, ძვლები დაეწვოდათ შემყურეთა; იმიტომაც დასთმო, ძიძა წამოდგა, არც არა უთქვამს, არც შეუხედია, მაგრამ ისე წამოდგა წინა, იგულისხმებოდა, ახლავე გაგიყვანთ, გამომწვევად თუ ელაპარაკეთო. გამოწვევა არც უნდოდა ლეკოსა, მხოლოდ ტრაბახი უნდოდა და არც გამოილევდა სატრაბახოსა, დაე, ეს ეთქვას ამის მამასა თუ პაპისპაპასა, თავისიანებს სხვა რამეს ათქმევინებდა, უფრო ბრძნულსა, უფრო ომახიანსა, ათქმევინებდა კიდევაცა, გააკეთებინებდა კიდევაცა, ენაზე ჭალი არ მოედებოდა, ეფემიაც არ აუხირდებოდა. სტუმარსა რაღა ექნებოდა თავგამოსადები, ან ძიძა რას შეებმოდა პირში, – ჰოდა, ჩაღრმავდებოდა, გაიგანებდა, აიქაფებდა პირსა, ჟინს მოიკლავდა ტრაბახითა... ჟინს მოიკლავდაო და კიდევაც მოიკლა, მხოლოდ სტუმარი შეეპასუხა რამდენჯერმე, თუმცა განა შეეპასუხა, – შეახსენა, დაგვაგვიანდებაო. შენც არ მომიკვდე, ყურადღება არ მიუქცევია ლეკოსა, ის მაინც არ გამოჰპარვია, ეფემიამ რო მოადევნა, რა გეჩქარებათო. მართლაცდა, რა ეჩქარებოდათ, ლეკო მაინც საით მიეშურებოდა? არც არსაითა, არ აწვიმდა და არ ათოვდა, არა სციო-

და და არა სცხელოდა, დანაყრებულიც იქნებოდა, ცოტა ეს იყო, სასმელი მოსურვებოდა და ესეც გამოჩნდებოდა, ენა გამოაჩენდა, ენა მოიტანდა, ენას შესძლებია ყველაფერი, კვლავაც შესძლებდა. და მოაგონებდა, თუ როგორი მასპინძლობა იცოდნენ კათარელებმა, რა მარნები ჰქონდათ, როგორ ღვინოებს აყენებდნენ. კახური ღვინოები ჰო საქვეყნოდ განთქმულია, კათარული იმათი ბადალი იყოო. ზოგჯერ მეფეები კათარულს არჩევდნენ, დიდი ელჩობის დროს იმითი გამოიდებდნენ თავსაო. ძველ მეფეებზე ვამბობო, განუყოფელ საქართველოს მეფეებზე, თორემა რო განვიყეთ და გავნაწილდით, ამას იქით გზა არცა ჰქონდათ ქართლის მეფეებსაო. ეთანხმებოდა ეფემიაო სახეგაშუქებული, თვალანთებული ეთანხმებოდა, სამაგალითო გადმოცემებს მოადევნებდა, საგვარეულო ისტორიაც მოითხოვა და იქიდან უკითხავდა დიდად თავგამოსადებ ამბებსა. ჰო საგვარეულო ისტორია მოითხოვა, დასალევი არაფერი მოუთხოვია, არც ძიძას გამოუჩენია თვალები, არც კრინტი დაუძრავს რაღა თქმა უნდა, ხელნაწერი მიართვა და მიჯდა ისევ კუთხეში, – მიჯდა თუ მიეყუდა კუთხესა ან დაესვენა, როგორც ქანდაკება რამ მარადიული უძრაობისა. ხოლო ეფემია ჰყვებოდა თრთოლვითა და ძრწოლითა, რო სამი საუკუნე სწერდნენ იმისი წინაპრები საგვარეულო ისტორიასა, სამ დიდ ტომად შეედგინათ და დაეკაზმათ ვეფხის ტყავშია, სამივე ტომი ხანძარში ჩაბუგულიყო და ახლა ეს აღდგენდა ზეპირადა, ძველს აღდგენდა და ახალსაც მიუმატებდა, დღევანდელი დღეც შევა ამ ისტორიაშიო, დღევანდელიო, კვლავაც არეული და აბურდულიო.

ეს იქნება ჭეშმარიტი ისტორია, შესძახა ლეკომა, მე ვარ წინამძღოლი დღევანდელი დღისაო.

წავიდეთო, კიდევ შეახსენა სტუმარმა. მაშინ უკვე უდროოდ შეახსენა, – მწუხარი მოსწოლოდა კათარელთა ძველისძველ დარბაზებსა, კუთხეები ჩაბინდულიყო და აღარა სჩანდა ქანდაკება მარადიული უძრაობისა, მაინც გამოჩნდა, გამოერჩა ჩაბინდულ კუნჭულსა, კარი გამოაღო და სარაზავზე შეაცივა ხელი. არ გემშვიდობებითო, სთქვა ქალბატონმა ეფემიამა და სიამოვნებით ჩაახველა ლეკომა, რა თქმა უნდაო, რა დროს გამომშვიდობება არისო, ჩაახველა ამ აზრითა, თანაც თვალი ჩაუკრა სტუმარსა, – აჰა, აღსრულდა, ვიხილავთ კათარელთა მასპინძლობასაო, ანიშნებდა თვალის ჩაკვრითა; ძიძასაც უთხრა გულთბილი სიტყვები, იმ იმედითა, შორეულ დარბაზამდის არ გვატარებ, აქვე სადმე იქნება სუფრა გაშლილიო; იმედიანად უთხრა და იმედიანადაც აედევნა. იმანაც ატარა, მიახვევ-მოახვევინა, აიყვან-ჩაიყვანა, კარი გაუღო და პუპლუც: ვარსკვლავებმა ჩასჩახჩახათ თვალებში. ვიდრე გამოერკვეოდნენ, ჭერი აგვხადეს თუ რა არისო, კარი მოიგმანა და ურდული ჩაჭედა შიგნიდანა, ძიძამა. ლეკო მაშინვე ეძგერა კარსა, მაგრამ გვიანღა იყო, აღარ იძვროდა კარი, ძველისძველი მაგარი კარი, ძელებისა და ლოდსატყორცნებისათვის რო გაეძლო, ისეთი მაგარი, ლეკოს მუშტებისა რა უნდა ეგრძნო ან ყვირილით რას გაანყობდა, – გულს თუ მოიოხებდა, ან როგორ მოიოხებდა გულსა, – გარეთ ღამდებოდა, შიგნით გაეგდოთ ურდული.

– კარი გააღე, შე კუდიანო, როკაპო დედაბერო, – მაინცა ჰყვიროდა ლეკოი, – კარი გააღე, შე ქაჯების ჩამომავალო, შე არნაუტო, შე ღრძო, შე მუდო, შე

ქვის ქვეშ ამოსადებო, შე ქასკანჯიელო, შე... შე... კარი გააღე. მანდ დაგვრჩა...

– აქ არის... – ნულარა ჰყვირიო, ამ კილოთი უთხრა სტუმარმა. მართლაც იქ იყო, კართანვე იდო ნიკოს ჩანთაი ელიზბარის სამოგზაურო სამოსელითა...

მხრები ჩამოჰყარა ლეკომა, მხრები ჩამოჰყარა და კბილები გაახრჭიალა, სხვა რაღა ჩარა ჰქონდა; კბილები გაახრჭიალა, ოღონდ ვერც გაახრჭიალა, სადღა იყო ვაჟკაცის კბილები. ცა ჩახჩახებდა, ისევე ჩახჩახებდა, როგორ მაშინა, ეს რო ვაჟკაცურად აკრაჭუნებდა კბილებსა, ან როგორც მაშინა, კათარელებს რო ქარი უქროდათ და ბრწყინავდა ეს დახავსებული ციხე-დარბაზი, ბრწყინავდა მეტისმეტი ბრწყინვალებითა, ანდა როგორც მაშინა, დედამიწაზე ჯერ სიცოცხლეც რო არ იყო ანუ როცა აღარც სიცოცხლე იქნება და აღარც დედამიწა... ჩახჩახებდა და იჩახჩახებდა... და იჩახჩახებს...

IX

ჰო ჩახჩახებდაო და იჩახჩახებსო, – საიდან სადაო, მაგრამ საიდანაც უნდა ყოფილიყო, ამდაგვარმა ფიქრმა წამოჰკრა ლეკოსა, ხავსიან ქვის კიბეზე რო ჩაიკეცა სიბრაზისაგან სასოწართმეულმა; ამდაგვარმა ფიქრმა წამოჰკრა და მაშინვე გამოუკეთდა ხასიათი; ხასიათი გამოუკეთდა და მყისვე წამოდგა, გამოეცალა ხავსსა.

– ადამიანი არავის არ უნდა აჰყვეს, – განაცხადა ლეკომა, – წუთისოფლის სტუმრები ვართო, ნათქვა-

მი რო არის, კიდევაც უნდა იყვეს სტუმარივითა, ილაღოს, იმხიარულოს, გაახაროს თავისი ყვავილი, ვინც რა უნდა თქვას, ვინც რა უნდა იღონოს, არავის გამოეკიდოს, იაროს თავისი გზითა... – განაცხადა ისე, რო ალბათ კარგახანს ილაპარაკებდა კიბის თავზე წამომართული, ხელებგაშლილი, წამოხურული ვარსკვლავიანი ცითა, მაგრამ დრო იხელთა და აღარ დააცადა ნიკომა:

– ვიაროთ ჩვენი გზითა...

– რომელი გზითა?!

– რომელსაც დავადექით.

– აჰ! ვინ იცის გგონია, შენს გზას ავდევნებივარ?! ნუ გეგონება, მე ლეკო თათაშელს მეძახიან და რახან შევახსენე ჩემს თავსა, შენი გზით უნდა იარომეთქი, მაშ უნდა გაიყაროს ჩვენი გზები, რადგან შენ თუ წაღმა მიდიხარ, მე უკუღმა უნდა ვიარო, შენ თუ უკუღმა მიდიხარ, მე წაღმა უნდა ვიარო, შენ თუ აღმა მიდიხარ, მე დაღმა უნდა ვიარო, შენ თუ გაღმა გადიხარ, მე გამოღმა უნდა დავრჩე.

– რასა ბრძანებთ?!

– რაც გაიგონე. მე ჩემი მოგახსენე, ახლა შენსას მოვისმენ და მერე წილი ვყაროთ.

– მმმმმმე როგორც გავიგე, ჩჩჩჩჩემმმმი მიტოვება გნებავთ... – ცოტა არ იყოს, ენა დაება ნიკოსა.

– ისეთი გონიერი ყმანვილი ხარ, სხვაგვარად ვერც გაიგებდი.

– მერე მე რა წყალს მივცე?!

– შენ იცი, – შეშფოთება არად ჩაუგდო ლეკომა, – მრჩეველად ვერ გამოგადგები. ღამიან ყოველთვის ჭერქვეშა ვყოფილვარ და ღამის გზებისა არაფერი

გამეგება. შენ დღისით გამოსაჩენი პირი არა გაქვს, მე ღამღამობით ხეტიალი არ მეპიტნავება. წუხელის რაც იყო, იყო, შეგარგოს ღმერთმა, ახლა გავიყაროთ... – ბრძანა ლეკომა და მკვირცხლად ჩაათავა ხავსიანი საფეხურები.

– ცის ქვეშა მტოვებ?! – ჩაედევნა ნიკოცა, რაღა თქმა უნდა.

– მიწის ქვეშაა ძნელი, გაუსაძლისო, თორემ ცის-ქვეშ რა გაგიჭირდება; რაც უნდა გაგიჭირდეს, დამ-ხმარე მაინც გამოგიჩნდება, ცის ქვეშ ხელის გაწო-დება შეიძლება, მიწის ქვეშ არა, ნნ, არა.

– აქ ვინ გამომიწოდებს ხელსა?!

– გამოჩნდება, უნუგეშოდ არ დარჩება ადამიანი. – იდაყვზე მოუთათუნა ხელი ლეკომა, – ვინმე გა-მოჩნდება, სხვა თუ არა, ეგ ურჯუკი დედაკაცი მაინც გამოჩნდება, მე წავალ თუ არა, მაშინვე გაგიღებს კარსა.

– არა მგონია, – შეეპასუხა ნიკოი, შეეპასუხა წყნარადა, ფიქრიანადა, – სწორედ ისე გამოგვის-ტუმრა, როგორც დაგვითქვა ელიზბარ ხეთერელმა.

– მე რა გითხარი!.. – აყვირდა ლეკო თათაშელი, – მე რა გიბრძანე?! გიბრძანე თუ არა, აღარ მიხსენო ელიზბარ ხეთერელიმეთქი!..

– მიბრძანე...

– მერე?!

– წამომცდა...

– მერე?!

– აღარ წამომცდება...

– აღარც გუნებაში გაივლებ!

– აღარა...

– მაშ წავიდეთ.

ასე შერიგდნენ მოულოდნელად ანუ ლეკო შეურიგდა და ნიკოც აედევნა ტუსტუსითა. ნიკოცაო. ნიკუშას რო ვეღარ იტყვი ლეკოს შიშითა. აედევნებოდა, მაშ არადა, თავს გამოიდებდა. რას მიყვირი, რა აბუჩად მიგდებო. სხვაგან, ვინ იცის, თავიც არ გაეყადრებინა, მაგრამ აქ რა ექნა, სხვა რა ეღონა, მეტი რა ჩარა ჰქონდა!.. მიჰყვებოდა ფეხდაფეხა, ვიდრე ლეკო ბილიკს მისდევდა თუ მიდიოდა ალალბედადა. ის მალე შარაგზაზე გავიდა... ასეც იტყვიან ხოლმე, გზაშარაზე შედგაო, ოღონდ ამას ქალზე იტყვიან, კაცზე არ ითქმის, ისეთი ნიშანი დასდებია, ქალზეა მორგებული, ხოლო კაცი თუ შარაგზაზე გავიდა, ეს მართლაც გზაზე გასვლასა ნიშნავს, დიდ გზაზე, ფართოსა, სწორსა, გატკეცილ გზაზე, ოღრო-ჩოღროებსა, ორნოხებსა, ფლატეებსა თუ ღადაღუდას თავს რო დააღწევს და ამოისუნთქებს შვებითა. თუმცა აქ არ ითქმის, ნიკომ ამოისუნთქა შვებითაო. არა, არ ითქმის, არა, როგორ ითქმის, როცა პირიქით მოხდა, მაშინვე გაახსენდა შეგონებანი ელიზბარ ხეთერელისა, სუნთქვა გაკმინდა და თვალები დააცეცა; შეგონებანი გაახსენდა, ოღონდ სახელი გადაიგდო გონებიდანა, ემანდ ენაზე არ წამომივარდესო. არც წამოუვარდებოდა, არ დააცდიდა ლეკოს, გატაცებულიყო თავისი სიტყვითა, სიტყვითაც გატაცებულიყო, გზითაცა ანუ აღმოეჩინა სახსარი გზის შემოკლებისა და ამითი აფოფინებულიყო: მხარში ამომიდექიო, პირველყოვლისა ასე უბრძანა, გზა განიერია, ორსაც დაგვიტევს მხარდამხარა, ორჯერ ორსაცა, ოთხჯერ ოთხსაცა და მეტსაცაო. მეტსაცაო, – ერთიმეორეს რო არ ვეხლებოდეთ, ერთიმეორეს რო არ ვანყდებოდეთ ოჩანი ხარებივითაო; ჩვენ მაინც

დაგვიტევს, რამდენიც უნდა მივეხალოთ თუ მივეჯახოთ ერთმანეთსაო, ჰოდა, მხარდამხარ მომყევი, ყური მომაპყარი გულმოდგინედა და არც დაიღლები, არც გაბეზრდები, ის ნაწყენობაც გაგივლის, თუმცა შენ არაფერი გწყენია, მაგრამ გულს მაინც რაღაცა დააჩნდებოდა, თავისთავად დააჩნდებოდა, დაედებოდა ოდნავ ლაქადა, მცირე წერტილად დაეტყობოდა და იმ ლაქასა თუ წერტილს ამოგაცლისო. ერთი სიტყვითა, მომაპყარ ყურნი და დაიხშე ბაგენიო. ჰო, ასე უბრძანა პირველყოვლისა და მერე განაგრძო ანუ წამოიწყო:

– ეგრე ყოფილა და ეგრე უვლია კათარელებისა და ოცხელების მეზობლობასა, ვისაც კათარელები აიბუებდნენ, ოცხელებთან მივიდოდა. ერთმანეთსა მტრობდნენ კათარელები და ოცხელები და მეგობრობდნენ ერთმანეთის მტრებსა. ეგრე ყოფილა, ეგრე უვლია ამათ მეზობლობასა. ოდესღაც ახლო ნათესავებიცა ყოფილან. ოცხელისათვის მიუთხოვებიათ მშვენიერი ასული კათარელებსა. ქალი ძალიან ჰყვარებიათ და შორისად რო ვერ გაუმეტებიათ, აქვე უბოძებიათ სოფელი, აქვე დაუსახლებიათ. ეგრე ეეე, საით მიგიღერებია კისერი?! ეგრე ეეე, ძაღლების ყეფა რომ მოისმის ცოტა შორითა, აქვე ჯერ ისევ კავთისია, მანდ ბევრი ძაღლი ჰყეფს, დიდი სოფელია, ის ეგრე დიდი ვერ არის. ყური მიუგდე, ამის ნახევარი ძაღლის ყეფა არ მოისმის, ამის ნახევარიც ვერ იქნება, მაგრამ კარგი სოფელია, დოვლათიანია, გონიერია და თუ კაცი გონიერია, სოფელიც ღონიერია, მეტი არც არაფერია სანატრელი ამ ცოდვილ წუთისოფელში. ის თავდაპირველი ოცხელიც გონიერი გამოდგა, გონიერება არ აკლდათ შთამომავ-

ლებსა, ოღონდა სადღაცა, რომელიღაცა შთამომავალი შემოსწყრა კათარელებსა თუ რომელიღაცა თაობის კათარელებმა ამოიძულეს ოცხელი, ახლა ამის გარჩევაში ვერ შევალ და თუ ძალიან გაინტერესებს, როცა მოიცალო, კვლავაც ეწვიე ქალბატონ ეფემიასა და წვრილად მოგიყვება, ან ამოგიკითხავს ზეპირად აღდგენილ ისტორიაში. ამას იმიტომ გეუბნები, ცნობისმოყვარეობა რო დაიოკო და სიტყვით ჰო არ მეღობები, ფიქრითაც არ შემიშალო ხელი, თორემა მე თუ სხვა ვთქვი, შენ თუ სხვა იფიქრე, მეც გამექცევა სიტყვაი, შენც დაგეკარგება გულისყური და თავბოლოს ვეღარ მოვაბამ სათქმელსა. ხოლო თუ უკვე არ დამკარგვია სათქმელი, იმას მოგახსენებდი, რომა ვერ გეტყვი, თუ როდის ამოიძულეს ერთმანეთი კათარელებმა და ოცხელმამეთქი, ოღონდ იმას მაინც არ დაგიმალავ, რო ვისაც კათარელები ამოიბუებდნენ, ოცხელს მიეკედლებოდა, ვისაც ოცხელი ამოიბუებდა, მიძუნძულდებოდა კათარელებთანა. არც დაგიმალავ და თავშივეც გითხარი, და კიდევაც გეტყვი, კიდევაც გაგიმეორებ, აბა ისე როგორ ჩაგაგდო გულისხმაშია?! ჰოდა, კიდევაც რო გეტყვი, ესეც იცოდე, კათარელებს ყოველთვის კათარელებად რო მოვიხსენიებ, ხოლო ოცხელები არ წამომცდენია, ამასაცა აქვს თავისი მიზეზი: კათარელები ყოველთვის ბევრნი იყვნენ, ხოლო ოცხელები არცა ყოფილან, ოცხელი ყოველთვის ერთი გახლდათ; ყოველთვის ერთი ძე ჩამოუვიდოდათ, დანარჩენი ქალები იყვნენ ან ქალებიც არ გამოერეოდნენ, ძე იქნებოდა ერთადერთი, გვარს განაგრძობდა, შურსაც განაგრძობდა კათარელებისა ან ახლა იმას გადაეღერძებოდნენ კათარელები

და ისე ზედმიწევნით გაიმეორებდნენ წინაპრების ნაქმნარსა თუ ნათქვამსა, თითქოს არც შეცვლილიყვნენ, იყვნენ იგივენი, უკვდავნი, ნირუშლელნი. აჰა, ესეც უკვე გითხარი. ახლა რაღა მოგახსენო?! ის უნდა მოგახსენო, რაც უნდა მომეხსენებინა: ყოველთვის ერთი ოცხელი იყომეთქი და კიდევაცა ბრძანდება ერთი ოცხელი, სახელად გიორგი ჰქვიან, სწავლული – მეტსახელადა. ამხანად უფრო სწავლულად მოიხსენიებენ, გიორგი რო იკითხო, ეგება ვერც მიგიხვდნენ თუ რომელი გიორგი გინდა. შენც თუ იკითხო, სწავლული იკითხე, გამოსაცნობად ნუ გაიხდი საქმესა. მე კითხვაც არ მინდა, სახლი ვიცი და კარი. აი ასე თვალხუჭულა მივალ, თუ გინდა დავნაძლევდეთ!.. თუმცა არა, რამდენიმე წლის წინათ დაგენაძლევებოდი უყოყმანოდა, ახლა არა, ნწ, არა, ერთი ფეხი რო ამერიოს, პირდაპირ ამათში ამოვყოფ თავსა, ამათში, ყველგან რო ჩაჰყვეს ცხვირი და ყველაფერს რო დაადგეს თავაანთი ტურტლიანი ფეხი, ამათში... იქვეც არიან, იქვე, იმავე სახლში. სახლი დიდია, ძველებური სასახლეა ოცხელებისა, არცთუ ძალიან ძველებური, ამ წინა საუკუნის ყაიდისაა, ოღონდ რომელი ყაიდისაც უნდა იყოს, იმის თქმა მინდა, სახლი დიდიამეთქი, მაგრამ სწავლული ერთ კუნჭულშია მიჭედილი, დანარჩენში ესენი გაპარპაშებულან. მიჭედილი რო არის, ესეც თავისი ბრალია ან თავისი ნებაა. გერმანიაში ფილოსოფია ისწავლა და იქიდან ჩამობრუნდა თუ არა, რაც რამ მამული ებადა, რაც რა საქონელი თუ სამუშაო იარაღი ებადა, სათემოდ გამოაცხადა, სახლიც სათემო გამგეობას გადასცა, თვითონ მიიკუნჭა ერთ მხარესა, ეგ თქვენა და ეგ ყველაფერიო, რაც გინდათ ჰქე-

ნით, როგორც გენებოთ, ისე მოიქეცითო; მე აქეთ ვიქნები ჩემთვისა ჩემს წიგნებთანა და ჩემს ფიქრებთანაო; ჰო, აქეთ ვიქნებიო და აქეთაც არის, ანუ იქით არის, შარაგზიდან, მთავარი შესასვლელიდან ესენი ბრძანდებიან, ის იქით გახლავთ, მოქცეულა პირუკუთა. თავისი ნებით მოქცეულამეთქი, ამიტომაც მოგახსენებ, თუმცა სულერთია, აქამდის თუ დაახანებდა, ესენი მოაქცევდნენ სწორედ იმდაგვარადა. იმისი შორსმჭვრეტელობა მხოლოდ ისაა, რასაც ესენი ძალად დამართებდნენ, დაიმართა თავისი ნებითა, ძალადობასაც გადარჩა და იოლადაც ვერ უბედავენ ვერაფერსა. ან რაღა უნდა გაუბედონ, ნასართმევი აღარაფერი გააჩნია. თუმცა რატომაც არაო, აუარებელი ფუტკარი ჰყავს, მაგრამ ალბათ მიხვდება და იმაზეც თავისით აიღებს ხელსა, ჯერ თუ არ აუღია, მალე აიღებს. არც დათანაღრდება, არც არად ჩააგდებს, ვერც ვერაფერს შეატყობ, ვერას გაიგებ, სწყინს რამე თუ უხარიანო, მხოლოდ ერთი ვაჟი ჰყავს და მზე და მთვარეც იმაზე ამოსდის. მეუღლე მშობიარობას გადაჰყვა და ისე იდარდა, აღარავის ეგონა, თუ კიდევ ექნებოდა საამქვეყნიო პირი. მაინც გამობრუნდა, გამოაბრუნა პირმშოს სიყვარულმა, ცოლი აღარ შეურთავს, ვინ უწყის, ქალსაც აღარ გაჰკარებია, აღარც შავი გაუხდია იმის შემდეგა. კაცებმაც იციან ასეთი ერთგულებაი, მითუმეტეს, თუ ცოლი მშობიარობას გადაჰყვა. უდედო შვილიც უყვართ განსაკუთრებული სიყვარულითა. შვილის სიყვარული შვილის სიყვარულია, რა თქმა უნდა, მაგრამ სხვა ყოფილა სიყვარული შვილისა, დედა თუ მშობიარობას გადაჰყოლია. თუმცა, ვინ იცის, რა ყოფილა, არც ჩვენი საძიებე-

ლია, არც ჩვენი ჭკუის საკითხავია, ისე, უდარდელადაც რო ვიყვეთ, ხოლო ახლა მით უმეტესად, ძალას ნუ დავატანთ ჭკუასა, მუხლს დავატანოთ ძალაი, ე გზა მალე დავკეცოთ და მალე მოვექცეთ სადმე ჭერქვეშა. თუმცა ამაზე ჩქარი სიარულიც აღარ შეიძლება, ცოტაც თუ ავუჩქარეთ, სირბილი გამოგვივა და ეჭვებს ველარსაით გაექცევა ორი მორბენალი კაცი ამ ღამიანა. ნუ გეგონება, უთვალოდ დავრჩენილიყვნეთ ან უყუროდა, ნურც ახლა გეგონება, ნურც ნურასოდესა. ნათქვამიც არის, ტყე უყურო ნუ გგონია და მინდორი უთვალოო, ნათქვამიც არის და მართალიც არის; ჰოდა, რახან ნათქვამიც არის და მართალიც არის, ცოტა რო მოვუკლოთ, უკეთესი იქნება, ვინ უწყის, ვინ შეგვეფეთოს და რად უნდა ვაფიქრებინოთ, ე ვინ არიან, საით მიეშურებიანო. არც მივეშურებით, არც არაფერი გვედარდება, მოვსეირნობთ და მოვმასლაათობთ, კარგი საღამოა, უნაღველო საუბარი უყვარს ასეთ საღამოსა. რამდენიც უნდა ვინაღვლოთ, მაინც ვერაფერს შევშლით განგებისაგან აწყობილ წუთისოფელშია. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, უნდა მივყვეთ იმის ნებასა, ვიდრე აქა ვართ, ხოლო როცა იქით გადავბარგდებით, გავარსკვლავება თუ გვიწერია, ჩვენც მივეკრობით ამ გაჩახჩახებულ ზეცასა, გადმოვიხედავთ მაღლიდან და გაგვეცინება, ნეტავი იქ, დაბლა ვილანი არიან, რასა ფართიფურთობენ, რა ღობე-ყორეს ედებიანო. ჯერ ისინი გადმოგვყურებენ და დაგვცინიან, მერე ჩვენც ვიცინებთ იმათსავითა. ჯერ იმათი ჯერია, ჯერ ჩვენა ვართ სასაცილონი, ჩვენამდის სხვანი იყვნენ, ჩვენს მერეც იქნებიან სხვანი და სხვანი, ეს გვაძლებინებს, ეს აგვატანინებს, თორემ

ისე ვინ აიტანდა... გახსოვს?! მე თვით ვანოსთვის მომისმენია, მანდ მომისმენია, კათარელთა სასტუმრო დარბაზში. უჩვეულო რამ დარბაზი იყო, რაც იყო, იყო, მანდ მომისმენია. აკაკის მთაწმინდაც მომისმენია, ილიასაც მანდ შევხვედრივარ; ვიღას აღარ შევხვედრივარ, რაღა აღარ გადამხდენია. ერთი, წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა ჩემს თავზედა, თორემ დანარჩენი ყველაფერი გადამიტანია. ახლა აგერ შენზე გადამკიდა ბედმა, მოვმასლაათობთ უნაღვლოდა, უდარდელადა, არც არავისი გვეშინიან, არც არაფერი გვეფიქრება და, წისქვილის ქვაც რო დაბრუნებულიყო ჩემს თავზე, ალბათ ამაზე გაუსაძლისიც არ იქნებოდა. რაც უნდა იყოს, ცოტაცა და ჰა, მოვექცევით ჭერქვეშა. კათარელები ვისაც აიბუებდნენ, ოცხელის კალთა გადაეფარებოდამეთქი, გითხარი და კიდევაც გიმეორებ, ამჟამინდელი ოცხელის ამბავიც მოგახსენე და მისი შვილისაცა, თუმცა არა, შვილისა არაფერი მითქვამს, ბევრსაც ვერაფერს გეტყვი, ოღონდ ერთი რამ მაინც იცოდე: ისიც ფილოსოფიის სასწავლებლადა სწევია გერმანიასა, ხოლო იქიდან რო დაბრუნდება, არც გასაცემი ექნება რამე, არც დასარიგებელი, ფილოსოფიაც არავის ენდომება და ადგილს ვერ იპოვნის თავის მიწაწყალზედა... ასე იცოდე, ასე დაიხსომე, თუმცა გინდა დაიხსომე და გინდა არა, მე არ მენაღვლება და არა მგონია, შენც მეტი არაფერი გქონდეს სადარდებელი. ჩუ!.. ვიღაცა მოგვდევს ფეხდაფეხა. ისიც თუ შეჩერდა, აღარ ისმის... ან ეგება ჩვენივე ჩქამი მომეჩვენა ვიღაცის ფეხის ხმადა?! ნუ გაგიკვირდება, კაცი თუ დაშინდა, იმაზე საცოდავი აღარაფერია; სხვაგვარად თუ ვიტყვით, და-

შინებული კაცი და ცხოველი აღარაფრით განირჩევა ერთმანეთისგანა, ხოლო გაცხოველებული ადამიანი თუ რა იქნება, შენ თვითონვე მიხვდი, მე ამდენი ახსნა აღარ მომიხერხდება. ისე, არ იფიქრო შიში გაჰკარებოდეს ჩემს გულსა, არა, არ იფიქრო, არც არასოდეს გაჰკარებია და არც გაეკარება არასოდესა, ახლა მხოლოდ შენთვის შევფიქრიანებულვარ და ამიტომ ვიხედები უკან-უკანა. შიშმა უკნიდან იცის წამოპარვაი, პირდაპირ არ შეგეჩეხება, ლაჩარია და პირისპირ შეხლა იმიტომაც არ შეუძლიან; ლაჩარია და თუ წამოგეპარა, თუ დაგიჯაბნა, მორჩა, ველარაფერი გიხსნის; დრო თუ გიხელთა, ლაჩარზე მძვინვარი, საშინელი, გაუტანელი არცა ყოფილა, არც იქნება, და რაც რამ უბედურება დატრიალებულა ამ ქვეყნადა, ლაჩართაგან დატრიალებულა. დრო გამოხდება, ისე აირევა აზრი, ლაჩრები გმირებად მოგვევლინებიან, მტარვალები – მხსნელებადა, მწვალებლები – წმინდანებადა. ქვეყანა რო თავდაყირა დადგება, ტვინი გადაბრუნდება და გადაბრუნებული ტვინისაგან ან მეტს რას უნდა მოელოდე, ჰა?! არა, ნურას მომიგებ, ძალას ნუ დაიტან, თუ რამე მოგადგეს ენაზე, წამოაგდე, თუ არა და, ნუ დაიტან ძალასა. ხსენის მეტი არაფერი გამოვა ძალისძალად გამონველილი ტვინიდანა. მე ასე მითქვამს და მე ლეკო თათაშელს მიწოდებენ ანუ რაც მითქვამს, ჭეშმარიტი მიბრძანებია, მაგრამ თუ არავისა სჯერა, ვაი იმათა, იმა ურწმუნოთა, თორემ მე რაო, მე რას დავკარგავ, რა გამაჩნია? არც არაფერი, რაცა ვარ, ესა ვარ და რაც გამაჩნია, თან მაბადია. წავიდეთ! ჩუ!.. რა ვქნა, რა არის, მოგვყვება ვინმე თუ ჩვენი ფეხის ხმაა, ჰა?! იყოს, რაც უნდა იყოს, მოგ-

ვყვეს თუ მოგვდევს, ხოლო თუ ჩვენივე ჩქამია, ცოტა უფრო ფრთხილად ვიაროთ და ჩამოგვცილდება, დაგვანებებს თავსა. ვიაროთ აბა!..

და იარეს. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, გადაუხვიეს შარაგზიდანა, – ლეკომ გადაუხვია და მიჰყვა სტუმარიცა. თუმცა ისიც სტუმარი გახლდათ, ესეცა, ოღონდ იმან იცოდა, თუ სად მიდიოდა, ამან – არა. თუ რამეს იფიქრებდა, ალბათ იტრიელებთან მივდივართო, ამას იფიქრებდა. ამასობაში, ეზოს კარი შეაღო ლეკომა; კარი შეაღო თუ არა, რაღაცები გამოცვივდნენ ბზის ბუჩქებიდანა, ეძგერნენ და ფეხებზე შემოეხვივნენ ამასაცა, იმასაცა. ამანაც შეჰყვირა, იმანაცა, ოღონდ ლეკო მალე მოეგო გონსა, ნუ გეშინიანო მონადირე ძაღლებია, არაფერს დაგვიშავებენო. ჰო, ნუ გეშინიანო და თან დაიხარა, ხელი გადაუსვა ძაღლებსა: ამისი გასროლილი თოფი არავის გაუგონია, მაინც ვერ შელევია მონადირე ძაღლებსა, ორი თუ სამი ყოველთვისა ჰყავს, ალბათ მარტოობას იქარვებს ამითიო.

– ვისთან მოვედით?! – იკითხა მოგზაურმა.

– რა საკითხავია?! – ძაღლებს შეეშვა ლეკო. გაცვივდნენ ძაღლები, კიბე აირბინეს, გაშლიგინდნენ აივანზედა, მერე გაინაბნენ, წაინკმუტუნეს, თითქოს ვიღაცას რაღაც აუწყესო, ჰო, წაინკმუტუნეს და ისევ ჩამოცვივდნენ, ისევ აეგლისნენ ამათა.

– ჩემთვის საკითხავია... – ვედრებასავით ჩაიდუდუნა ნიკომა.

– განა კიდევა?!

– ეს არის მოვედით და...

– ჰოდა, მოვედით.

– ვისთანა?!

– ვიზეც გელაპარაკე. აკი გითხარი, ოცხელს შეეფარებოდა, ვისაც კათარელები აიბუებდნენმეთქი. ტყუილად დავიღალე ყბები?! იმდენი გითხარი და ამდენიც ვერ გამიგე. ვაიმე, ვაიმე, რა მთქმელი ვყოფილვარ, ან რა გამგონე შემხვედრია!

– რატომ, რატომ?!.. მე კარგად გავიგე, მაგრამ ჩვენ ცუდად არ მივულივართ ქალბატონ ეფემიასა.

– სამაგიეროდ ცუდად გამოგვისტუმრა.

– ძიძამა...

– აჰაა, მაშ შენა გგონია, ი უცხვირპირო დედაკაცი რამეს ჩაიდენს ეფემიას უნებურსა?! ნუ გგონია, ახალგაზრდა ხარ, მაგრამ არც ისე ახალგაზრდა ბრძანდები, ყოველ შემთხვევაში ბავშვი მაინც აღარა ხარ, ნუ გეგონება ასე, გეგონოს ჩემსავითა და ჩემსავით რო გეგონება, იმასაც მიხვდები, ეფემიამ უკვე იცის, ვის კარსაც მივდგომივართ. უკვე იცის და იწყევლება, იწყევლება ისე მწარედა, რო ერთი მაინც არ აგვცდება, წამოგვეწევა სადმე და გვაკოღინებს.

– მერე აქ რა გვინდა?!. აკი იტრიელებთან უნდა მივიდეთ?..

– რას იზამ, წესად დადებულა, იქ ვისაც ამოიბუებდნენ, აქ მოვიდოდნენმეთქი.

აქ უკვე აივნიდან მოისმა:

– ვინ არის?! მოდი თუ მოდიხარ! – მოისმა მკაფიოდა, მბრძანებლურადა, ცოტა არ იყოს, უამურადაცა.

– ვინ ვიქნები...

– ლეკო იქნები, კარს შემოაღებ და მერე გაიდებ თავპატიჟსა, ლეკოს გარდა სხვა ვინ იქნები?..

– მარტო არა ვარ...

– მობრძანდით!..

მობრძანდითო და ჩამოეგება მასპინძელი, ჩამოეგება და წამოდგა, ორივე დაჰფარა სიმაღლითა, ცოტა კიდევაც მოხრილიყო, ეს გარეთვე შეიმჩნეოდა; იქაცა ჩახჩახებდა ზეცაი, ჩამოღვრილიყო ღამეული ნათელი თუ ანარეკლი მზისა, მთვარე – ვარსკვლავებს რო მოუტაცნიათ, შუქი არა აქვთ თავიანთი, ოღონდ უხვად აფრქვევენ სხვისასა. რა ენაღვლებათ?! ან ვინ უწყის, ძალიანაც ენაღვლებათ, მაგრამ არავინ უწყის და ჯერ მხოლოდ იმას ამბობენ, რაც უწყიან, – მზისაა ყველაფერი, მზისასა ფლანგავენო. მზისა იყოს, ვისიც იყოს, ვისიც უნდა იყოს, იქაცა ფლანგავდნენ, აფრქვევდნენ ბედოვლათურადა, ჩახჩახებდა ეზოი, იქით საფუტკრე ჩახჩახებდა, იქით ბაღი. ჰო, მაღლა თუ არ აიხედავდი, გეგონებოდა, ეზო და ბაღი აფრქვევს ნათელსაო, მასპინძელიც ნათელივით ჩამოესვეტა, ხოლო ლეკო, ჰო მანამდისაც ენთო კელეპტარივითა. ასე ავიდნენ, შუქად ავიდნენ გაშუქებულ აივანზედა, შუქად შევიდნენ შიგნითა. დღესავითაა, ლამპაც არ ამინთიაო, მასპინძელმა ბრძანა; ის აღარ უთქვამს, არც საჭიროაო, მაშინვე აანთო და ძნელი სათქმელია, მოიმატა თუ მოიკლო შუქმა ოთახში. ისედაცა სჩანდა ასხმული წიგნები იატაკიდან ჭერამდისა, ყოველი კედლის გაყოლებითა; ისედაც სჩანდა გრძელი ოთახი, გადაყოფილი თეჯირითა. იქით ალბათ საწოლი მოეწყოთ, აქეთ სასადილო თუ სასტუმრო, სულერთია, რაც ერქმეოდა. იდგა მაგიდაი, გარეშემო სელის სკამებითა, სხვა ნურაფერს ნუ მოიკითხავდით, მხოლოდ წიგნები გამოიცქირებოდა, აქედანაცა, იქიდანაცა, თეჯირსაც წიგნები გადმოჰყურებდა.

ჰო მასპინძელმა ლამპარი აანთო და მოიბოდიშა, ცოტა ხანს უნდა დაგტოვოთო. ალბათ ვახშმის თა-

დარიგისათვისაო, იყნოსა ლეკომა, იყნოსა და თვალი ჩაუკრა ნიკოსა. ნიკო ვერ მიუხვდა, მხრები ასწურა. მაშინ ხელი ჩაიქნია ლეკომა, წამოდგა, ამას აღარ მოუხდია ბოდიში, ისე გაედევნა მასპინძელსა. გაედევნა და რაღაც უთხრა, რაღაც ისეთი, რო მერე მოღუშული შედგადიოდა მასპინძელი, თუ რამეს იტყოდა, იტყოდა მოზომილადა, ფრთხილადა, დუნედა, მხოლოდ დიახსა და არას მიუგდებდა ენაწყლიან ლეკოსა, ზედაც აღარ უყურებდა იმის თანმხლებსა, თუ აუცილებლად უნდა მიემართა, ვთქვათ, მიირთვითო, ჭერს აჰხედავდა და ისე მიმართავდა. ცხადია ეს მაშინა, ვახშამი რო გაიშალა, ხოლო ვახშმობის მოთავებისას თვალიც გაუსწორა და სიტყვაც არ დააკლო.

– არ ვიცი, ვინა ბრძანდებით, – დაიწყო ასე, – არც მინდა ვიცოდე. შეღამებისას შემომეხმაურეთ, დაგაპურეთ და მოგასვენებთ, თუ აქვე ინებებთ მოსვენებასა, თუ გზას განაგრძობთ, თქვენი ნებაა, ხელი მოგიმართოთ ღმერთმა; თუ მოისვენებთ და მერე ჰო მაინც განაგრძობთ გზასა, განაგრძეთ, ეწიეთ თქვენს საწადელსა, მე ჩემდათავად არც დაგიმახსოვრებთ, ვერც გიცნობთ, სადმე რო გადაგეყაროთ. ასეა, ჩვენ სხვადასხვა აზრისანი ვყოფილვართ. მე პატივსა ვცემ საწინააღმდეგო აზრსაცა, მაგრამ ყველა აზრი აზრი როდია, ზოგი აზრსა ჰგავს, ოღონდ პიტალო უგნურებაა. უგნურებას არც გამოვედავები, დავგმობ და გავეცლები. თქვენც ნუ ეცდებით, გამომედავოთ, მხოლოდ მომისმინეთ, თუნდა დამიჯერეთ, თუნდაც არა, მხოლოდ მომისმინეთ, მერე ეწიეთ თქვენს გზასა. ნურც იმას ეცდებით, შემახსენოთ ციცერონის ნათქვამი, კაცი თუ პოლიტიკური მოღვაწე არ არის, სახედარია და მეტი არაფერიო. აქ უადგილოა ამის გახსენებაი, ციცერონი რომაელი გახლდათ, რომა-

ელებს სახელმწიფო ჰქონდათ და რომაელი სახელმწიფო მოღვაწე უნდა ყოფილიყო აუცილებლადა, გარდაუვალადა, გადაწყვეტილადა, ათენელებს სახელმწიფო ჰქონდათ და პლატონი სახელმწიფო მოღვაწე უნდა ყოფილიყო, პოლიტიკური მოღვაწე უნდა ყოფილიყო, უნდა ეოცნება ფილოსოფოსების სამეფოზე და გასაკვირველიც არ არის, ჰგონებოდა, სიცილიელი ტირანები აუხდენდნენ უდიადეს იდიალსა, თუმცა ისეთმა ძვირფასმა მეგობარმა, როგორიც იყო დიონისო პირველი, მონადაც გაჰყიდა; მაინც არ დაცხრა, გამოისყიდეს თუ არა მონობიდანა, იმის შვილზე, დიონისო მეორეზე გადაიტანა ოცნებანი – ჰო ასე გახლდა? – მხოლოდ იმიტომა, ერთხელ კიდევ რო გაცრუებულიყო, მაგრამ მაინც არ დაცხრა, ვერც დაცხრებოდა, რადგან ათენელი გახლდა, ათენელებს სახელმწიფო ჰქონდათ და უნდოდათ. შენ რაო?! თუმცა შენ შენი იცი, არას გეკითხები, არას გედავები, ჩემსას მოგახსენებ, არაფერი რო არ გამაჩნია და არც არრაი ძალმიძს. თუ შემძლებოდა, ჩავერეოდი იმათ შორისა, მოთავეობა რო იკისრეს ძლივას დაბრუნებული დამოუკიდებლობისა და ვერც რაი გააგებინეს ერთმანეთსა, ხალხსაც ვერაფერი ჩაუდეს თავში, ჰო, ჩავერეოდიმეთქი, მაგრამ ვერ ჩავერიე, ვერა; მე იქ ვერ ჩავერიე, შენ აქ ნუ გაივლებ გულში, ციცერონი მტრებსაცა მეგობრობდა კეისრისა და მეგობრებსაცა კეისრისაო, ნუ გაივლებ, რამეთუ სხვა ვინმე გახლდა ციცერონი, შესაძლებლობანიც გააჩნდა სხვადასხვაგვარი, წერასაც აეტანა პატივმოყვარეობისა. მე არც რა გამაჩნია, მცირე რამ თუ მქონდა, სოფელს გადავეცი, პატივმოყვარეობისაც ვერაფერი გავიგე, ხოლო უამისოდ ვერა, ვერ ივარგებ სახელმწიფო თუ პოლიტიკურ სარბიელზედა. მე ასე მგონია, ჩემი თავის, ჩემი არსების,

ჩემი საძრაობის ანალიზისაა ეს აზრი, სხვას თუ სხვანაირს ვერავინ დამაჯერებს, ვერა, ვერავინა, ჰოდა, ნურას შეეცდებით თქვენცა, ნუ, ნურას შეეცდებით ტყუილუბრალოდა... არც გიცნობთ, არც მინდა გიცნობდეთ, პური მთხოვეთ და გაჭმიეთ, ღვინო მთხოვეთ და გასმიეთ, მოსვენებასაც თუ ინებებთ, მოისვენეთ, ყაბულს ვიქნები, წასვლა თუ გინდათ, გასწით, იარეთ, კალთებს არ ჩამოგახევთ, მოიცადეთმეთქი, თქვენი თქვენ იცით. მე არაფერი ვიცი თქვენი.

უსმენდა სტუმარი ჯერ დაბნეული, მერე გაოგნებული, მერე თითქოს გამოერკვაო, პირი გააღო სათქმელადა, მაგრამ აუქნია ხელი მასპინძელმა, აუქნია მძულვარედა თუ მრისხანედა, შენი ხმის გაგონებაც არ მინდაო, არაო, ოღონდ მაინც გაჰბედა ჩვენმა მოგზაურმა:

– მე... მე რაღაც არ მესმის... – ასე გაჰბედა.

– მე უკვე ვუთხარი... – ლეკომ გაუღიმა შეთქმულივითა, შეთქმულივითა თუ გამცემივითა, სულერთია თუ როგორ გაუღიმა, უფრო მეტად დააბნია, უფრო გააოგნა სტუმარი.

– რა უთხარი?! – შესძახა და სახეზე შემოირტყა ხელები, შემოირტყა და შეჩერდა ასე წახრილი, თავჩაღუნული, ხელებაკრული პირსახეზედა.

ის იყო, ხმაც მოისმა გარედანა, მასპინძელს უმხობდნენ, გაეგება მასპინძელი, შელაპარაკებაც მოისმა, ალბათ გაიგონებოდა მთლად სოფელში, ისეთი სიწყნარე იდგა, ისეთი მდუმარება.

„ვიღაცები გყოლია..." ამბობდა მოსული, ვითომც უბრალოდა, ვითომც სიფრთხილითა, ხოლო ნამდვილად მუქარის კილოთი.

„ლეკოა..." მიუგებდა მასპინძელი, დინჯადა, აუმღვრევლადა; ვითომც მუქარა არც უგრძვნიაო.

„რას დაძრწის?!“

„შემოღამებია და შემომეფარა...“

„დაეტიოს თავის სოფელში...“

გაიცა ბრძანებადა, აღარც აღარაფერი ითქმოდა ბრძანების შემდეგა, აღარცა თქმულა, აუჩქარებლად შემობრუნდა მასპინძელი, ღამის სტუმარი თუ ღამის გუშაგიც გავიდა ეზოდანა, ალბათ გავიდა, შუკაც ჩაიარა, ალბათ ჩაიარა, გაშორდა იქაობასა, ხმა აღარ მისწვდებოდა, ალბათ აღარ მისწვდებოდა და მაშინ აყვირდა ლეკოი:

– ჩემი სოფელია, მთელი ქვეყანა ჩემი სოფელია, არავის ვაკითხებ, სად დავიღამებ თუ სად გავითენებ, ყველა დაეტიოს თავის ქერქშია და მეც დამანებონ ჩემი ქერქი... ჩემი სოფელია, მთელი ქვეყანა ჩემი სოფელია!.. – აყვირდა და წაეტანა საღვინესა.

– გეყოფა... – ურჩია მასპინძელმა.

– არ მეყოფა! – გაჯიქდა ლეკოი.

– მეტიც მოგსვლია... – ხელი დაუჭირა მასპინძელმა, თან გადაჰხედა ახალგაზრდა სტუმარსა, ო, რა თანამზრახველი გიპოვნიაო, ო, როგორ შეშურდება ყველა დროის მოღვაწესაო. – დაეხსენი... მოისვენეთ... წასვლას თუ ინებებთ, თქვენი ნებაა...

X

შენთან დამრჩომის ასე და ისეო, შესძახა ლეკომა, რახან შესძახა, ცხადია, აღარც გაჩერდებოდა, თუმცა ვინ უწყის, მაშინვე აშლოდა სინანული, რა დროს გულფიცხობაა, რო მიიწევ, საით მიიწევო. სინანულს მაინც ვეღარ მოერეოდა, ცოტა შემთვრალი-

ყო და იმიტომაც ველარ მოერეოდა, ეთაკილებოდა თანამგზავრისაცა. ჰო, რა თქმა უნდა, ეთაკილებოდა, ამიტომაც გაიმეორა მჭახედა, შენთან დამრჩომის ასე და ისეო, ხელი წაატანა სტუმარსა, ადე, გამომყევი, არც გამოემშვიდობოო. იმანაც ვერ მოასწრო გამომშვიდობებაი. მოგზაურმა. მასპინძელი აივნამდისაც არ მიჰყოლია, სამაგიეროდ, ძაღლებმა გააცილეს. ისინი შეეგებნენ, იმათვე გააცილეს, ჭიშკრამდე როდი, – არა, იქით როდი წასულა ლეკოი, – ბაღის ბოლომდისა. იქამდის მიჰყვნენ ძაღლები, იქვე დაყუნცდნენ, რადგან ბეგთან ჩაიმუხლა ლეკომა, ნებივრად ნამოწვა მხართეძოზედა. შენც ამასვე გირჩევო, მიმართა თანმხლებსა, მიმართა უკვე დამშვიდებული ხმითა. ცოტა კიდევაც ნამოამთქნარა, ახლა ძილს აღარაფერი ემჯობინებაო.

– ასე იცის გულფიცხობამა, – მშვიდადვე დასძინა ლეკომა, – სიფიცხეს თუ არ ავყოლოდი, ლოგინში მოვისვენებდით, ჭერი გვეფარებოდა, დილით საუზმე გველოდებოდა. ახლა აღარ ვიცით, რა გველოდება, რა გვიწერია. სიფიცხემ მიმტრო, შენც მტრად გადაგიდექი ჩემი სიფიცხითა. სხვა დროს აინუნშიც არ ჩავაგდებდი, რაც უნდა ეთქვა მასპინძელსა. არ იფიქრო, გულფიცხობა არ მჩვევოდეს, მაგრამ იქ გავფიცხდებოდი, სადაც გამივიდოდა. აქ რაო, რა გაგივა, მე შენ გეტყვი, კალთებს ჩამოგახევს, რა დროს წასვლააო. როგორც გენებოსო, ქართული აღარაფერი შერჩენია მაგ მამაცხონებულსა. ყველა ეგრეთია, უცხოობაში ვინც გაზრდილა. ხელად აიღებენ უცხო ზნესა, ხელად დაჰგმობენ მამაპაპურსა, გამოიცვლებიან, გადასხვაფერდებიან, მტრად დაგიდგებიან და ამას უძახიან

ამაღლებასა, „ინტელექტუალურ“ თუ რაღაც ამ-
დაგვარ ამაღლებასა. ამაღლებულა ეგ ოცხელების
ჩამომავალიცა. ვიცი, რა უკმეხიც არის, ვიცი და
ვერიდები, მაგრამ ჭკუაკითხული კაცია, ამ ჩვენს
საქმესაც ჭკუაკითხული ხალხი უფრო გამოადგება,
ჰა, არა?! მე, ლეკო თათაშელს ასე მივარაუდნია,
არც არასოდეს გამმტყუნებია ვარაუდი, მე, ლეკო
თათაშელსა. ჭკუაკითხულის ვარაუდს ვამბობ, თო-
რემა, აყოლით რო ჩვენ არ აგვყოლია, შენც იხილე,
მეც დავინახე თვალნათლივადა. ისიც მართალი
ბრძანა, არც არასოდეს არავის ავყოლივარო, ფი-
ლოსოფოსობასა ჩემულობს, წმინდა ფილოსოფო-
სობასა წმინდა ბერივითა, პოლიტიკურ მოვლენებ-
ში არ გავერევიო. თუმცა მაგას ასე ჰგონია, ვი-
თომც არავინ იცის მაგისოდენი, მაგრამ ის მაინც
გამიგია, გამიგონია და გამიგია, თურმე ქვეყნად
არა ყოფილა ისეთი ფილოსოფოსი, პოლიტიკაში
რო არ გარეულიყოს, აქ არა ყოფილა, ამ ქვეყნადა,
ხოლო სადმე სხვაგან თუ ყოფილა, ჯერ იმისი არა-
ფერი იციან, მეც ვერავისგან გავიგონებდი, რახან
ვერ გავიგონებდი, ვერც გავიგებდი. მაგან საიდან
გაიგო ან საიდან გაიგონა, ვერას მოგახსენებ, ამას
მაინც ბეჯითად გეტყვი, ბეჯითად გამიგონია და
ბეჯითადვე მოგახსენებ, რო ფილოსოფია თუ
რწმენა არც არაფერია ისე თავისთავადა, მხო-
ლოდდა საფარია პოლიტიკური ბრძოლებისა, ხო-
ლო თუ მებრძოლი არა ხარ, ფილოსოფოსიც არ იქ-
ნები, ასე გამიგონია, ასეცა მჯერა. რამდენი წიგ-
ნიც უნდა წაიკითხოს, ნწ, არა, ფილოსოფოსი არ
გამოვა მაგისგანა. ისე, ჭკუაკითხული კაცი ჰგონი-
ათ, კიდევაც ეკითხებიან ჭკუასა, მე ჩემდათავად

არასოდეს არაფერს დავკითხვივარ, არც დავეკითხები, მხოლოდ ერთხელ წავიკითხე მაგისი წიგნი, ერთხელ მაინც უნდა წამეკითხა, მეტს აღარაფერს წავიკითხავ მაგის დაწერილსა, თუმცა აღარც სხვათა ნაწერებისაკენ მიმიწევს გული, ყველაფერს თავისი დრო ჰქონია, ჩემი ფიქრებისთვის ველარ გამირთმევია თავი, სხვისით რაღას ავფორიაქდე, არ ვიცი, მე და ჩემმა ღმერთმა!.. შენ როგორც გენებოს, იკითხე, იზუთხე, რაც გინდა ჰქენი, ხოლო მერე, როცა ვერავისგან ვერაფერს ვერ გაიგებ, ჩემს ჭკუაზე შესდგები, თანაც იცოდე, უკეთესია თუ მალე შესდგები ჩემს ჭკუაზედა... არა, ამისი თქმა არც მინდოდა, არა, არც მინდოდა, ენას ძვალი არა აქვსო, ნათქვამია, ენაზე ჭალი არ მოედებაო, ისიც არის ნათქვამი და ჩემზეა ნათქვამი, – ვამბობ, რაც არ უნდა მეთქვა, მაგვიანდება, რის თქმაც მინდოდა. თუმცა ვითომ საით მივეშურებით – ყველაფერს მოვასწრებთ, ამასაცა, იმასაცა, ოღონდ ჯერ ეს იყოს: ჰოდა, იმისი თქმა მინდოდა, ერთხელ წავიკითხე მაგისი წიგნიმეთქი და ერთი ფილოსოფოსისა არ იყოს: იმისი წიგნი რო წავიკითხეო, რაც გავიგე, ჰო ბრძნულზე ბრძნულია, რაც ვერ გავიგე, მომეტებული სიბრძნე იქნებაო, გაგიგონია, არა?! გაგეგონება, ისიც გაგახსენდება, თუ რომელი ფილოსოფოსი ბრძანდებოდა, რომლის წიგნზე ბრძანებდა თუ არ გაგახსენდება, ეგეც არაფერი, აგერ მე არ მახსენდება, არც არაფრად ვაგდებ, ის არ იტყოდა, სხვა იტყოდა, ახლა ის სადღა ვიმარჩიელო, ვინ იტყოდამეთქი, ჰა, სად ვიმკითხაო?! მთავარი ისაა, რო მეც ისე დამემართა, იმ ფილოსოფოსივითა ანუ ამ ჩვენი მასპინძლის წიგნი რო წავიკითხე,

რაც გავიგე ჰო უაზრობა იყო, რაც ვერ გავიგე, მომეტებული აბდაუბდა იქნებოდა. მე ასე მითქვამს, მე ლეკო თათაშელს მიძახიან, შენ ეს კარგად მოგეხსენება. ჰოდა, რახან ლეკო თათაშელს მიძახიან და რახან მე მითქვამს, ჭეშმარიტებაც იქნება. ეჰე, როგორ შემომცქნავიან ე ძაღლები, თითქოს ერთ სიტყვასაც არ დაჰკარგავენ, ყველაფერს მიურბენინებენ პატრონსაო, მიურბენინონ, მევე წავალ და პირში ვეტყვი.

წამოიწია.

დასწია თანამგზავრმა, – თუ მივბრუნდებით, ბოდიში გვმართებსო.

შემოსწყრა ლეკოი, თავს მიგანებებ, თუ კიდევ გამაგონე ასეთი რამო. პასუხისათვის აღარ მოუცდია, ადგა, ავიდა ბეგზედა, აიქარა, ისკუპა, გადაევლო რუსა და იქითა ბეგზე აიმართა, აიმართა გაჩახჩახებულ მთვარის ქვეშა, ამანაც ისკუპა, მაგრამ ვერ მოზომა, ფეხი მოულიპდა, მკერდით დაეცა ბეგსა, დაეშვა, ჩაისლიკინებდა, ჩავარდებოდა რუში, წყალში ჩავარდებოდა. ბევრი არაფერი, დიდი რამ ფათერაკი არ იქნებოდა, დასველდებოდა, ამოიწუნებდა, ამოიჭყუმპალებდა, ოღონდ გადარჩა ამასაცა, ხელი დაატანა ლეკომა, ქეჩოში ჩაავლო და ამოსნია, ამოიფხოწიალა. ძაღლები იქიდან გადმოჰყურებდნენ, გამოაცილეს, გაიყვანეს სამშვიდობოსა და ემშვიდობებოდნენ კუდის ქიცინითა, ესეცა სჩანდა მთვარიანში, კარგადა სჩანდა ჩახჩახა მთვარის ქვეშა. ვარსკვლავებს აღარ მოვიხსენიებ, იქავე ბრძანდებოდნენ, რა თქმა უნდა, ისევე ბრწყინავდნენ თავიანთ სამბრძანებლოშია. თავიანთი შუქითა ბრძანდებოდნენ თუ სხვისი შუქითა, ე ამათ ჰო გზას უნათებდნენ

და სავარაუდოა, არ აუტეხდნენ დავიდარაბასა, არ წამოინყებდნენ საასტრონომიო საუბარსა. არც სხვა რამ სასაუბრო გამოსჩენიათ ანუ ლეკოს აღარ დაუძრავს კრინტი, ისე გადაიარეს ვეება კორდი, მერე მუხნარს შეერივნენ, მერე გავიდნენ ისევ კორდზედა, ხოლო იქ, ვეება გორა წამოემართათ კორდის შუაგულზედა. რა იყო თუ რისგან იყო, ამას არ უკითხავს, იმასაც არაფერი უთქვამს, ოლონდ იცოდა, რა თქმა უნდა, რაც იყო თუ რისგანაც იყო; იცოდა, ოდესღაც იქ რო გადაჭიმულიყო ციხე-დარბაზი მაბკურელთა, ოდესღაცა, ძველთა-ძველ დროსა, როცა ჯერ კიდევ კათარელთა გასაგისიც არ იყო აქეთ მხარესა, ხოლო ოცხელთა სახელი მონაგონიც არა ყოფილა. ზეობდნენ მაბკურელნი, განმგებლობდნენ მაბკურელნი, მაგრამ ულმობელად გადაბრუნდა იმათი ცხოვრების ჩარხიცა, ზოგი ბრძოლებში გაწყდა, ზოგი სხვამ დაჩაგრა, ზოგმაც თვითონ ამოიჭამა თავი, შეირყა დედაბოძი გვარისა, ჩაიქცა ჭერი, ჩაიქცა დიდებული ციხე-დარბაზი. ძეძვი გათამამდა, ეკალბარდმა გადაიარა, შეიკრა ძეძვის მთადა, გაუვალ მთადა, ვეღარც ვერავინ შესულიყო, გამომსვლელი ვიღა იქნებოდა, თუმცა რატომაც არაო, – ხარობდნენ ფრინველნი, ხოლო ქვეწარმავალთა სიხარულისა რა მოგახსენოთ, ისე, ბლომადა ბრძანდებოდნენ ერთნიცა და მეორენიცა.

მაბკურელთა გვარისანი მაინც შემორჩენილიყვნენ, მიმოღავებულიყვნენ, მიმოფანტულიყვნენ, აღარ მოსდევდათ ძველი დიდება, არცა ქონება, მხოლოდ სიამაყე შემორჩენოდათ, დაუთმობლობა შემორჩენოდათ, გულისანი იყვნენ, უფიქრელად შეასკდებოდნენ, ჩიტის კვერცხივით შეასკდებოდნენ,

ვინც უნდა გადასდგომოდათ წინა. ერთ იმათგანს იქვე დაედო ბინაი, გორმახის ძირას აეგო პატარა შენობაი, ალიზის შენობა, ისევე მიწის პირადა. ხასხასებდა ალიზის სახლი, ხასხასებდა პატარა სახლი და ლეკოც იქით მიხასხასებდა. მიხასხასებდა და მიხასხასდა, შეუძახა, თანაც ჩაახველა თავისებურადა, სხვა არ გეგონოთო, მე გახლავართო. მაინც არავინ აპირებდა გამოხმაურებასა, იდგა მდუმარება ისეთივე, ძეძვიან მთაში რო ჩამარხულიყო. არც ლეკო ეშვებოდა: გიგოო, – შესძახებდა თითქოსდა საიდუმლო ხმითა, ჩახველებასაც მიაყოლებდა, ფრთხილადა, ნაპარევადა. თანდათან უნდა შეემაღლებინა, მაგრამ რატომღაც უდაბლებდა და უდაბლებდა, ისეთი სიჩუმე იდგა, ისე მიწყნარებულიყო ირგვლივ ყოველი, მკაფიოდ გაისმოდა ოდნავ ნათქვამიცა. თანაც ნათქვამია, იდუმალი ჩურჩული უფრო გამოიხმობს მიმალულსა თუ მიჩქმალულსაო; ნათქვამია თუ არც არის ნათქვამი, სულერთია, ჩურჩული უფრო გამოადგა ლეკოსა. ვინ არისო, გამოეპასუხნენ. ოღონდ ქალი გამოეპასუხა და, ცოტა არ იყოს, შეაფიქრიანა ქალის გამოპასუხებამა. წინასწარ ქალს არ გამოუშვებდა მამაკაცი, დღისითაც არა, მით უმეტეს ამ ღამიანა, – შინ თუ არ იყო მამაკაცი, წასულიყო ან წაეყვანათ... წაეყვანათ... აღარც უკვირდათ: მიჰყავდათ და მიჰყავდათ... ერთხანს ლეკოსაც ეგონა, მეც წამიყვანენო, ამიტომ იყო შიში რო დასჩემდა, მანამდე რო ტრაბახობდა ხოლმე, უშიშარი ვარ უხორცოსავითაო; ხოლო ეს მაინც სადაც უნდა წაეყვანათ, თუნდა წასულიყო ნებისადა, მერე რაო, ვითომ ლეკოს რაო, რას გამოადგებოდა ამის გარჩევანი, – შინ არ შეესვლებოდა,

ეს იყო, რაც იყო, სხვა დანარჩენი წყალსაც ეზიდა; ჰოდა, ეზიდა, ამოიხვნეშა და გამობრუნდა, მიაჩერდა თანამგზავრსა მხრებაწურული, უსასოო, ენაჩავარდნილი.

თანამგზავრსაც ენა ჩავარდნოდა, მიმხვდარიყო, უთავბოლო მეგზურს რო გადაჰყროდა; ამას მიმხვდარიყო, მაგრამ იმას მაინც ვერ გაიგებდა, როდის ექნებოდა დასასრული ამ უგზოუკვლობასა, როდის მიაღწევდნენ იტრიელებამდისა. მონატრებოდა იტრიელები ასე მოღლილსა, ფეხზეჩამოშეშებულსა. თავდაპირველად არ მოსწონდა ელიზბარის რჩევანი, დაბრუნება არ უნდოდა, მაგრამ ახლა ჭკუაში დაუჯდა, თუმცა დაუჯდა თუ არ დაუჯდა, გზა არა ჰქონდა ლეკოს იქითა, ხოლო გზა ლეკოსი იგრიხებოდა, იხლართებოდა, იწეწებოდა უაზროდა, უთავბოლოდა, უმისამართოდა. ბოლოს მაინც სადღაც მიდიოდნენ, მიადგებოდნენ ვიღაცის კარსა, მაგრამ ნეტავ ან რად მიდიოდნენ, ან რას გამოეცლებოდნენ ან ახლა აქ რად ასუსულიყვნენ, როცა არავინ ეხმაურებოდა?..

თუმცა მოიცა... ჩაიჭრიალა კარმა, ოდნავ გაიღო, ოდნავ გამოჩნდა ქალის სახეცა, ვინა ბრძანდებითო, ესეც გაისმა ოდნავადა, ოღონდ ლეკოს პასუხი ჭექასა ჰგავდა, – ლეკო გახლავარო, ლეკო თათაშელიო. თავისსავე ხმას მიჰყვა აფოფინებული, სტუმარსაც წაავლო ხელი, რა თქმა უნდა, ერთად მიადგნენ კარსა. კარი მომეტებულად არ გაღებულა, ქალის სახემაც დაიწია უკან-უკანა, უფრო გამკრთალდა, ან აღარც მოსჩანდა. გიგოს ამბავი გეცოდინებაო, ესეც მოისმა უფრო ჩუმადა, ჩუმივე ამოკვნესითა.

წაუყვანიათო, დაიდასტურა ლეკომა ცხადია, მაგრამ როდი გამოტეხილა, ვითომც იცოდა და ვითომც უკვე შინაც ეგულებოდაო, ისე გაიკვირვა:

– არ გამოსულა აქამდისა?!

– ვინ გამოუშვა?! – გაოცდა ქალი, ოღონდ სახე სულ აღარ მოსჩანდა, კარსუკნიდან ეპასუხებოდა.

– სხვები გამოუშვეს, ვინც დაწერა გაზეთში, ვგმობო, წარსულსაო ჩემსასაო, გამოუშვეს...

– ამ ჩემმა არ დაწერა...

– დაწეროს.

– არ დაწერს.

– დაწეროს...

– არ იცი რა ახირებულია?!

– რა დროს ახირებაა, ხალხი გვჭირდება, გარეთ უნდა გამოვიდეს ხალხი, როგორც იქნება, უნდა გამოვიდეს, დაწეროს, ვითომ რა არის ნაგლეჯი გაზეთისა, მთელი რა არის, ნაგლეჯი რა იქნება...

– ეჰ, რამდენჯერ შევუთვალე...

– კიდევ შეუთვალე... ახლა სხვა არის, ჩამოსულია ისეთი კაცი... – საოცარი იდუმალებით ჩაიჩურჩულა ლეკომა და წინ წასნია თანამგზავრი, ოდნავ წასნია და კარებს მიახალა შუბლითა, კარი არ იძვროდა, შეჩერებულიყო ოდნავ ჭრილადა, კაცი ვერ გაეტეოდა.

უცბად გაიღო, უცბადვე შევიდნენ და ჩაიკეტა კარი, უცბად ვერც ვერაფერი გაარჩიეს, გარეთ მეტი სინათლე იდგა. იქაც გაშუქდა, სანათს ჩამოფარებული კოლოფი აიტაცა ძლიერმა ხელმა. პირველად დედაბოძი გაანათა სანათმა, მერე ხელი, კოლოფი რო აიტაცა, მერე ხელის პატრონი, ჯმუხი, წარბებნამოხურული მამაკაცი. გახსნილი პიჯაკიდან რევოლ-

ვრის ტარი მოუჩანდა. სანათმა დაადგა თვალი, ამათაც დაადგეს თვალი, იმანაც შეისწორა, შიგნით შეიწია, დაბრძანდითო, განაცხადა და წამოსწია დაბალი, სამფეხა ჩამოსაჯდომები, ჩამოსხდნენ...

– ჩემი ძმაა... – თითქოს შეავედრაო, ისე თქვა ქალმა.

– ვიცნობ პეტრე ვარაზელსა... – ვიცნობო, ან რა თქმა უნდოდა, ვიღას არ იცნობდა ლეკოი. იმ ბავშვებსაც იცნობდა სათითაოდა, კედლის გასწვრივ დიდ ტახტზე რო ჩარიგებულიყვნენ. იმათი შემოსვლისას თავი წამოსწიეს, წამოყელყელავდნენ, აახამხამეს თვალები და ისევ დაცვივდნენ ბალიშებზედა; იმ ბავშვებსაც იცნობდა, ყველა იცოდა დიდპატარიანადა, იცოდა, ვისი ვინ იყო, ვისი რა იყო, საქონელი თუ ძაღლი, კალო-საბძელი თუ ბაღვენახი, მარანი ჰო ყველასი იცოდა, ყველა მარნის შინაური გახლდათ. მხოლოდ ესაა, აქ არ ეგულებოდა მარანი, გიგო მაბკურელი ვერაფერი მემარნე თუ მევენახე იყო, ვერც მხვნელ-მთესველად გამოირჩეოდა. სამაგიეროდ, უკეთესს ვერ ინატრებდი ამფსონადა, ჩინებული მომლხენი გახლდათ და სხვაგან დიდი მოლხენის შემდეგ ერთი სუფრა რო არა ჰყოფნიდა იმასაცა ლეკოსი არ იყოს, მეორეს სხვაგან თუ ვერ გადაეყრებოდნენ, ისევ აქეთ შემოუხვევდნენ, ისევ აქეთა, რა ვუყოთ თუ მარანი არა ჰქონდა, ღვინო მაინცა ჰქონდა ყოველთვისა, შემოუხვევდნენ, რო მოუთავებიათ, ანთუ მოთავებულან, მიმოღავებულან რომელი სადა და რომელი საითა, ველარ გაუგიათ, აღარცა ხსოვნებიათ, სად მოთავებულან თუ საიდან მოღავებულან, სხვებს არა ხსოვნებიათ, სხვებსა და სხვათა, თორემ ლეკოს

არაფერი გამორჩებოდა, მაშინვე რო ჩაკარგულიყო, გამოფხიზლდებოდა თუ არა, წამოუტივტივდებოდა ყველაფერი, ეს ციყვებივით წამოყუნცული ბავშვებიცა... თუმცა უკვე დაცვივნულიყვნენ ბალიშებზე, ფშვინვა ამოეშვათ. ეფშვინათ, გამოეძინათ გულიანადა, ვიდრე ესენიც გადაეყრებოდნენ მოუსვენარ ღამეებსა, ეფშვინათ თანზომიერადა, ეძინათ ღრმადა, უსიზმრებოდა.

– მართლა თუ არის რაიმე ნიშნები, მაშინ... – ჩაიბუბუნა პეტრემა, ხშირი წარბები უფრო მოქუშა და ეგრე მოქუშული წარბებიდან გამოანათა თვალები. – მაშინ...

– არის!.. – მგზნებარედ შესძახა ლეკომა.

– მაშინ... – იმავე ხმით განაგრძო დამხვდურმა. – მაშინ... გამოგიტყდებით, უკვე გზას ვადექი, ბორჯომს გადავიდოდი, იქიდან ახალციხესა და მერე... – ხელი გაიქნია შორეული და ბუნდოვანი გზის ნიშნადა. – მაგრამ თუ არის იმედი, სულ ცოტა იმედი, ფრჩხილისოდენა იმედი თუ არის, მაშინ დავრჩები. – აქ ასნია წარბები, თვალი გაუსწორა იმა უცნობსა, იმედები რო მოჰქონდა ლეკოს თქმითა. ამან გაუსწორა თვალი, იმანაც გაუსწორა, აღარ დაიბნეოდა, გამოცდილიყო, გაეგებოდა, რასაცა გულისხმობდნენ, მიუგებდა, მუსიკოსი რო იყო და არაფერი ესაქმებოდა ამ პოლიტიკურსა თუ სახელმწიფოებრივ დავიდარაბასთანა.

– იცი, რა... – მუშტი შეჰკრა და შემართა ხელი, უნდოდა, რაღაც ისეთი მტკიცე სიტყვა ეთქვა, მაშინვე დაერწმუნებინა ეს უცნობი თუ ეს-ესაა გაცნობილი ადამიანი, ესეც დაერწმუნებინა, ეს ურწმუნო თუ ახირებული კაცი, უნდოდა, მაგრამ უცბად ვერ

იპოვნა შესაფერისი სიმტკიცის სიტყვა, შემართული მუშტიც დაეშვა ძირსა, ხოლო ბაგემ იგივე გაიმეორა, – იცით, რა...

– მეც გადავაჭარბე, – მონანიების კილოთი გამოსთქვა ლეკომა, – დავალება დავალებაა... საგანგებო დავალებაა... – მაინც ვერ მოისვენა, მაინც ჩაიჩურჩულა რაღაც შორეული იდუმალების ჩურჩულითა.

– გასაგებია, – ჩაიჩურჩულა დამხვდურმაცა, დახარა თვალები, – ჩემი შიში ნუ გექნებათ... არა, არაფერსა გთხოვთ, ისე ნუ გექნებათმეთქი ჩემი შიში, ლეკომ იცის, ლეკო არც გამომიტყდებოდა, რო არ იცოდეს: ჰო, ნუ გექნებათმეთქი ჩემი შიში, იმედი გქონდეთ...

– განა თქმა უნდა?! – გაიკვირვა ლეკომა.

– ამისთვის ვამბობ...

– ეგ ჩემზე იყოს. – უფლებამოსილად განაცხადა ლეკომა.

– შენ იცი... – ილიმის დამხვდური, ილიმის თითქოს უნდობლადა, – მართალი გითხრა, არ მეგონა, შენც თუ...

– ჰა, ჰა, ჰა... კიდევ ბევრ ვინმეს გააკვირვებს ლეკო თათაშელი. შენ ჰო მაინც იცი, ლეკო თათაშელს რო მიძახიან!..

– სხვა რაღა ვიცი?!

– შენც კარგად დაიხსომე... – მიუბრუნდა თანამგზავრსა.

– იცით, რა... – დრო იხელთა თანამგზავრმაცა, – ეგ დავიხსომე...

– აგაშენოს ღმერთმა, მეტიც არაფერი მინდა, – თითქოს უფრო გამხნევდა ლეკოი, – ბევრი რამ იდუმალება ვიცი. ვიცი, თუ როგორა ბრუნავს ჩარხი ნუ-

თისოფლისა და მინდა აღმა ვუზამ პირსა, მინდა დაღმა დავატრიალებ.

– ჰა, ჰა, ჰა... – ძალისძალად გაიცინა დამხვდურმა, – ნუ გეიოლება, მარანი არ გეგონოს წუთისოფელი, თუმცა გეგონოს, მარანსაც ბევრჯერ დაუციხარ ძირსა.

– მეეე?!!!

– შენა...

– მეეეეეე?!!!

– შენცა, სხვანიცა, სხვანიცა, ვინც შესჭიდებია...

– სადაც სხვანი, იქაც მე...

– ეგეც არის, ეგ გვაჩერებს, თორემ წინააღმდეგობა ახლა მეტისმეტად გაძნელებულია, აღარა სჯობს და სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, ნათქვამიც არის. მაგრამ ვის გავეცალოთ, რას გავეცალოთ?! ვინც გაეცალა, რა მოიგო?! ეს მაფიქრებს რამდენი ხანია და შევყოვნებულვარ. ესეც ძნელია, უმოქმედობა სიკვდილზე ძნელია; ან ვინ უნყის, რა სიძნელისაა სიკვდილი, ვინ გამობრუნებულა, ვის გაუგებინებია, ეგება ადვილიც არის, რაც უნდა იყოს, უმოქმედობაზე ადვილი იქნება.

– იქნება... – დაუბეჯითა ლეკომა.

– იქნება... – დამხვდურმაც გაიმეორა ფიქრიანადა, – მოქმედება გვმართებს, საძრაობა გვინდა. ყველა მოქმედება უკეთესისთვისა, ჩვენ ჩვენისათვის უნდა ვიმოქმედოთ, ჩვენისათვისა, ჩვენადისთვისა, მერე აჰყვება უკეთესობის ღონისძიებაცა.

– აჰყვება, აჰყვება!.. – შეუფიცხა ლეკომაცა.

– თუნდაც ფრანგები, – დამხვდური მაინც არ გამოშორდა თავის ფიქრსა, – მაგალითად რო მოვიტანოთ, ბედნიერი ხალხია, თავიანთი დღენი უკე-

თესი ხელისუფლებისათვის იბრძვიან. უკეთესისა და უკეთესისათვისა!.. უკეთესისა და უკეთესისათვისა!.. დიდი ერები დიდნიც არიან და ბედნიერნიცა. ჩვენა? ჩვენი დღენი ჩვენი ხელისუფლებისათვის ვიბრძვით, ჩვენი!.. ჩვენი!.. ჯერ ეს რა არის, ჯერ ეს რა უბედურებაა და ახლა ამისი სახსარიც წაგვრთმევია. რა დაგვმართნია, ილაჯი აღარა გვაქვს, განვრთხმულვართ საბოლოოდა, სამუდამოდა, ჰა?!

– არ დამორჩილდე ასეთ ფიქრებსა. – შეუტია ლეკომა. – არა!.. არა!.. ეგრე არ არი თაყაო!..

– იცით, რა... – მსწრაფლ დასძინა ნიკომა, დასძინა და მუშტიც შემართა, შემართა უფრო გაბედულადა, ალბათ, მოსძებნა უმტკიცესი სიტყვა, შეუვალი, ზემომქმედი, დამამორჩილებელი, მაგრამ ისევ დაუვარდა ხელი, დაუვარდა მაშინვე, დამხვდური რო წამოვარდა და ფანჯარას ეცა, წამოვარდა, რადგან რო თქარუნი მოისმა. არც ისე შორს ლანდებად გაიქროლეს ცხენოსნებმა, ლანდებად გაიქროლეს, ოღონდ ძლიერი ხმაური გამოსცეს, შემაშფოთი ხმაური.

ხმაური გამოსცეს და მიეფარნენ, მიეფარნენ და წარიტანეს ხმაცა, ვინ იყვნენ, ძნელი სათქმელია, სად მიეშურებოდნენ, – მით უფრო ძნელი. სხვანიც გამოჩნდებოდნენ თუ იგივენი შემობრუნდებოდნენ, – არც ამისი მიხვედრა ძალუძდათ, მხოლოდღა ეჭვი თუ დაერეოდათ და კიდევაც დაერიათ ეჭვი. ეჭვი დაერიათ და ერთმანეთს დაუბრიალეს თვალები ანუ დამხვდურმა დაუბრიალა თვალები ლეკოსა, რეოლვერიც წამოსწია წინა: როგორა ფიქრობო, ვინ იქნებიანო. მხრები ასწურა და ხელები გააცანცარა ლეკომა, აბა საიდან მეცოდინებაო, ამასობაში კიდევ მოისმა თქარუნი და ამათ პირდაპირ, ვრცელი

კორდის თავზე შემოპრონიალდა ცხენი, შემოპრონიალდა და ამათკენ გამოემართა. თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მეორეც მოჰყვა, მესამეც ასევე. დამხვდური მოსწყდა ფანჯარასა, დამხვდურიო, ვამბობთ, ამათ რო დახვდა, იმიტომა, თორემა იმათ დახვედრას აღარ აპირებდა, – მოსწყდა ფანჯარასა, მომყევითო, ბრძანა, ეცა გვერდით კარსა, შეაღო, შევარდა. შევარდა და შეჰყვნენ, ბოსელში გავიდნენ იმ კარიდანა, ბოსელს სანათური ძეძვიანისკენ დასტანებოდა, იმა სანათურს ეძგერა დამხვდური ანუ ამჟამად წინამძღოლი, აიწია, გაძვრა, უკეთესია ითქვას, გავარდა ისარივითა. ლეკოს გაუჭირდა, მაგრამ იძალა შიშმა, ხელი დასტაცა წეღან დამხვდურმა, ახლა წინამძღოლმა, დასტაცა და გადაითრია. ნიკო გაიჭედა, აღარც აქეთ იყო, აღარც იქითა, ამასაც არ მოჰკლებია შიში, მაინც ის ვერ დაეტანა, ისინი დაეტანენ, გასწიეს, გაითრიეს. მერე ძეძვიანს მისცეს თავი. იქაც ბევრი საძრომიალო შეხვდათ. იქაც ისარივით ერჭობოდა თუ მახათივით ეყრებოდა დამხვდური – ახირებულიც არაფერი ვარგებულა, რიღას დამხვდური, რა წინამძღოლიო, გარბოდა და გაქცეულად ითქვას, წინა გაქცეულადა. მიმყოლებს უჭირდათ, ძალიან უჭირდათ, მაგრამ სხვა რა ეღონათ, არ იცოდნენ და ეჭიდებოდნენ გაჭირვებასა.

მუქარა მოსდევდათ, მუქარა მატებდათ ძალასა, იქ იმუქრებოდნენ: ვინ იყვნენ შენთანაო. არავინაო, შესტიროდა ქალი, მოვასწრებთო და ვაი იმათაო, ვაი შენცაო... უჭირდათო, რა სათქმელია, რა გაჭირვება დააბრკოლებდათ?..

ზეცა ქათქათებდა, შუქსა სცრიდა ძეძვნარშია; გაცრილი შუქი ეფინებოდათ ძეძვნარს შეფარებულთა.

XI

ი მთვარის განაცერი იმდენი არაფერი, მზის განაცერმა გამოაღვიძათ. აქეთ-იქით მიყრილიყვნენ, არც სად ქვეშაგებიო, არც სად საბანიო, არც სად სასთუმალიო. ნათქვამიც არის, ძილმა სასთუმალი არ იცისო, მართლაც არა სცოდნია სასთუმალი; სასთუმალი რო არა სცოდნია, ეს იმდენი არაფერი, არა სცოდნია არცა შიში, თორემ რა დააძინებდათ, იმდენ ხანს დათქარუნობდნენ ცხენოსნები, იმდენ ხანს ისმოდა თოფის სროლაი. ვინ იყვნენ, ვის ესვროდნენ, რა თქმა უნდა, ამათ არ გაეგებოდათ, არ გაეგებოდათ, არც უნდოდათ გაეგოთ, არც გაეგონათ, ყურებიც დაიხშეს და ვინ იცის, მაშინ ჩაეძინათ, სწორედ მაშინა, ყურები რო დაიხშეს, მაშინ ჩამოიარა ძილმა უსასთუმლოდა, უქვეშაგებოდა, უსაბნოდა, ჩამოიარა და გადაეფინა, მიჰყარ-მოჰყარა აქეთ-იქითა, სამივენი მიჰყარ-მოჰყარა; თუმცა დილით რო გაეღვიძათ, თავი რო გადააცილეს მზის ანაცერსა და დაჰხედეს ერთიმეორესა, ორნიღა იყვნენ, მხოლოდღა ორნი – ლეკოი და ნიკოი. უთქმელად დააცეცეს თვალები. წამოყელყელავდნენ, გაიხედეს, გამოიხედეს, არავინა სჩანდა, არც ხმა ისმოდა არავისი, მხრები აიჩეჩეს და გაიზმორნენ შემცივნულებივითა. დილა გრილი იყო, მინაცა გრილი, შეამცივნებდათ, თუმცა იცრებოდა მზეი, დილის მზეი, ადრე დილისა.

მზე მალე იმძლავრებდა, გაახურებდა ძეძვიანსა, ნანგრევების ქვებს გაახურებდა, თავსაც გაახურებდა ლეკოსი, იაზრებდა თუ რა ეღონა, ახლა რომელიღა გზას დასდგომოდა, ეს მერე, მზე რო გაახურებდა

თავსა, ხოლო იმწუთს გონებაც შემცივნოდა ტანშემ-
ცივნულსა ან რახან პეტრე ვარაზელს გადაეყარა,
იმას ჩააბარა სტუმარიცა, თავისი თავიცა და იმასვე
ელოდა, იმას ეცა თავში, გაეყვანა აქედანა, როგორც
შემოიყვანა, ისევე გაეყვანა. კარგია, ზრუნვა რო
აგეყრება, სხვაგვარი შვება იცის ზრუნვააყრილობა-
მა, შვება იცის და ზრუნვაში შებმა აღარავის ეხალი-
სება. ჰოდა, რახან აღარავის ეხალისება, არც გაემ-
ტყუნებოდა ლეკოსა. მაგრამ გამქრალიყო პეტრე ვა-
რაზელი, ან არც გამოჩენილიყო, მხოლოდ მოლანდე-
ბოდათ და რაღას არგებდათ ლანდის ლოდინი. არაო,
თავი შეიბერტყა ლეკომა, რის ლანდიო, რა ლანდიო,
მართლა პეტრე გახლდათ და თუ ვეღარ მობრუნდე-
ბა, უამბოდ მაინც არ დაგვყრიდაო. არც უმტყუნა
იმედმა, ძეძვნარი რო გახურდა, თვალები ახამხამდა
იმა გახურებულ ძეძვნარშია, ახამხამდა გაცრილი
მზის ქვეშა, ახამხამდა წუხანდელივითა, საბნებიდან
რო წამოეყოთ თავი. იმათგანიც გახლდათ, უფროს-
თაგანი. გამოძვრა ძეძვებიდანა, ქოთანი და პურები
გამოიტანა, შუაში ჩაუწყო პურებიცა, ქოთანიცა,
თან დააყოლა სხაპასხუპითა: ბიძაჩემმაო, თქვენაო
ღმერთმა ხელი მოგიმართოთო, ხოლო მეო, სადაც
დამიძახებთ, იქ გავჩნდებიო, თუ არ დამიძახეთო, თუ
არ დაგჭირდებითო, მევე ვეწვევი ჩემს გზასაო. ჰო
დააყოლა სხაპასხუპითა და ბოლო სიტყვა რო ისევ
გაისმოდა, თვითონ აღარა სჩანდა, ჩამალულიყო
ძეძვიანშია.

ესენი არ გაჰკიდებიან, რა თქმა უნდა, ხმაც არ
დაუდევნებიათ, ერთმანეთს გადაჰხედეს უამურადა,
მერე ქოთანს დაადგეს თვალი. ლეკომ აჰხადა სარ-
ქველი – პური გამოეჭრათ და ჩაეჭედათ სარქველა-

და – აჰხადა და ამოაჭყამპალა დომა. მოიყუდა, მოსვა, მოსვა მადიანადა. ნიკოს არ მიუვიდა გული, ჯერ ისედაც არ იცოდა დოს გემოი, მერე მით უმეტეს არ მიეტანებოდა, თეთრად რო შემოეწუნა წვერ-ულვაში ლეკოსა, შემოეწუნა, დაეკიდა თეთრი წვეთები. მაინც დანაყრდნენ ანუ დანაყრდა ნიკოცა, პური მოეწონა, თბილი, რბილი ახლადამოყრილი თონიდანა, ცარიელა პური იკმარა, ხოლო ლეკომა, რახან არ გინდაო, ღმერთმა ნუ მოგცეს, რაც არ გინდაო, ლაჯებში ჩაიდგა დოს ქოთანი, პური ჩაიყარა და გამოიბესტა კაი გვარიანადა. ამით მოთავდა დილის საფიქრალი, დაიწყო დღისა, დიდი მხურვალე დღისა, მარიამობისთვის დღისა. ძნელი რამ საფიქრებელი გახლდათ, მაგრამ ეტყობა, ნიკომ ადვილად გაართვა თავი, რადგან პირველად იმან წამოიწყო:

– ჩვენ ახლა უკვე მტკიცედ უნდა მოვილაპარაკოთ.

– მოვილაპარაკოთ... – უნდილად გამოეხმაურა ლეკოი.

– თქვენ რატომღაც გგონიათ, თითქოს რაღაც საიდუმლო დავალება მქონდეს. რატომა გგონიათ, საიდან მოიტანეთ?! აი რას ვიკითხავ პირველყოვლისა. ვიდრე თქვენს აზრსა ბრძანებდეთ, ეგება კეთილი ინებოთ და ისიც განმიმარტოთ, ვთქვათ, მართლაც საგანგებო და საიდუმლო იყოს ჩემი მოგზაურობა, სადაური რა არის ან რა წესია, ყველა შემხვდურს გაუმხილოთ, რა წესია?! მაკვირვებს და ვერც გამომითქვამს ჩემი გაკვირვება, რადგან მოულოდნელ ყოფაში ამოვყავი თავი, რაღაც საოცარი შიშის, უნდობლობის, უპირულობის გარემოში მოვექეცი და მხოლოდ ერთი სურვილი დამეუფლა, რო-

გორმე მალე დავაღწიო თავი აქაობასა. ასევე მირ-
ჩია... ნება მომეცით ვახსენო ელიზბარ ხეთერელი...

– ახსენე... – გამოეპასუხა დუნედა.

– გმადლობთ! ასევე მირჩევდა ელიზბარ ხეთე-
რელი, გზაც დამისახა, თუ როგორ გამეღწია თავი.
და მიკვირს, რატომ ავცდით იმ გზასა?! აი რამდენი
რამ გვაქვს სათქმელი. ეს უნდა გადავწყვიტოთ,
მტკიცედ უნდა მოვილაპარაკოთ, თუ არა და...

– თუ არა და?! – გამომწვევად შეეხმიანა ლეკოი.

თვალები ჩაუქრა ნიკოსა, გზნება ჩაუქრა ან რა
გზნება იყო?! რაც იყო, იყო, ისიც ჩაუქრა, ჩაქინდრა
თავი, მერე ძლივძლივს ამოიდუდუნა:

– იცით, რა...

– რა?!. დამცინავად მიაჩერდა ლეკოი, – რაი და,
არაფერი! არაფერი ვიცით არცა მენა, არცა შენა, გა-
მოვჭედილვართ ამ ძეძვიანში და რა წყალს მივეცეთ,
არ გაგვეგება. ჯერ ეს გავარკვიოთ როგორმე, ჯერ
თავიდათავი გავარკვიოთ, მერეღა იყოს დანარჩენი.
მე ლეკო თათაშელს მიძახიანმეთქი, ბევრჯერ მით-
ქვამს, ნუღარ გამამეორებინებ; ჰოდა, რახან ლეკო
თათაშელს მიძახიან და მართლაცა ვარ ლეკო თათა-
შელი, ვიდრე თავიდათავი არ გადაგვიწყვეტია, ვიდ-
რე არ გაგვიღწევია აქედანა, არც არაფერს გიპასუ-
ხებ და არც არას შეგეკითხები. თუმცა ერთს მაინც
მოგიგებ: გზა თუ აგვრევია, აგვრევია ემაგ შენი
ელიზბარისაგანა. როდის იყო, რომ ღამღამობით და-
ვეხეტებოდი?! ღამისა მე არაფერი ვიცი, დღისა ვი-
ცი, მხოლოდღა დღისა და დღეს მივეცემი...

დღეს მივეცემიო და მიეცა დღესა. ბევრი იარეს
თუ ცოტა იარეს, ცხრა მთა არ გადაუვლიათ, სულ
ვაკე-ვაკე იარეს, არც შარას მორიდებიან, არც სა-

ურმე გზასა, არც მოკლეებსა, არც არავინ შეჰფეთებიათ, არც არავინ გამოხდომიათ, სასალმოდაც არავის გადაჰყრიან, ეგრე მიატანეს არჯევანსა, არჯევნელების სასახლესა. შესაძლოა ოდესღაც არჩევანი ერქვა, მეპატრონენი არჩევნელები გახლდნენ, მაგრამ ჯერ ეს არავის გამოერკვია, ხოლო ამათ ჰო არც ეკითხებოდათ, გამოირკვევდნენ თუ ასე დარჩებოდა გამოურკვევლადა. სტუმარს მხოლოდ ის ეკითხებოდა, ნატბისს მოვედით თუ არაო. უკეთეს ადგილას მოვედითო, ლეკო მიუგებდა და ზარსა რეკდა შინდისფერ ალაყაფის კართანა. მეტის თქმა არც მოხერხდებოდა, ვინ იცის, რამდენი ქოფაკი მოწყდომოდა კარსა, ერთად მოწყდებოდა, შეყალყულიყო ყველა ერთადა, ან ერთიმეორეზე გადადიოდნენ, ერთიმეორეზე მეტსა ცდილობდნენ, გადაენგრიათ კარი, ეგრევე ცოცხლივ გადაეყლაპათ ის ვიღაც მოსულნი თუ მოვარდნილნი, რა თქმა უნდა, სასიკეთოდ არა, რა თქმა უნდა, – სხვას რას იფიქრებდა ძაღლი, ერთგულობისა თუ სიფრთხილის დიდებული მაგალითი, მაგალითი ეჭვისა, – სხვა არც არაფერისა, სხვა რა ყოფილა ძაღლის ფილოსოფიაო თუ არა ეჭვი. აღშფოთებულიყო ეჭვი და ლამის გაწყვეტილიყო უმტკიცესი ანჯამები, ლამის გადმოვარდნილიყო ალაყაფის კარები, მაგრამ იქ ვიღაც დაერია გაალმასებულ ქოფაკებსა, დაირეკა, შელალა საძაღლეში, მერეღა გააღო ალაყაფის კარი, მობრძანდითო, შეაგება, ისე რო არც უკითხავს ვინა ხართ და ვინა გნებავთო. რას იკითხავდა?! ვინ არ იცნობდა ლეკოსა? – ძაღლებიც იცნობდნენ, ხოლო თუ მაინც გაალმასებულიყვნენ, – ეგ ვიღა გახლავს თანაო, – მხოლოდ ამიტომ გაალმასებულიყვნენ. კარის გამ-

ლებიც იმ უცნობ ახალგაზრდას მისჩერებოდა, ისე ეპასუხებოდა ლეკოსა.

ლეკოს შეკითხვები არ ელეოდა, პასუხებს ვრცლად მოითხოვდა, მაგრამ ვერა და ვერ წააქეზა მოპასუხეი, „დიახს" მიუგებდა ან „არასა", ხანდახან „ჰოსაც" გამოურევდა. ზოგჯერ მიაჩერდებოდა ისე, თითქოს შეკითხვა ვერ გაიგოო, სამაგიეროდ, ეღობებოდა გულმოდგინედა, საითაც გაინევდა, გზას მოუჭრიდა, აქეთ არაო, იქით მიბრძანდითო. ატარა ასე ჩაღობილადა, სასახლის ბოლოს გაიყვანა, აუძღვა პატარა აივანზე – და, იქვე სათითაო ოთახი მიუჩინა: ახლავე გაჩნდება ტაშტი, თუნგი, საპონი, პირსახოცი, მტვერი ჩამოიშორეთ, დაიწმინდეთ, დაისვენეთ და მერე მოვახსენებ დიდ ქალბატონსაო.

– შენმა ქალბატონმა რომ იცოდეს... ჰმ! ჰმ, ჰმ, ჰმ... – მრავალმნიშვნელოვნად გამოსთქვა ლეკომა.

– ბატონო ჩემო!.. – გულმოსულად შესძახა ნიკომა. აკანკალდა, სახე მოეფშხვნა.

– არაფერი... არაფერი... წადი!

ის წავიდა, აქ სიტყვა აღარ გაგრძელებულა, ნიკომ აღარ ინდომა ლაპარაკი, აჩქარებით შეაღო პატარა ოთახის კარი, იქვე ტახტი დახვდა, დავარდა ტახტზედა, დავარდა, გასავათებული, ფიქრგაყრილი, აზრგაყრილი, ძვალგაყრილი ხორცისაგანა, გამქრალი, გამოფიტული; დავარდა ტახტზედა ანუ დაეფინა მტვერი, გახურებული მტვერი გვალვიანი ქართლის გზებისა. გახურებული მტვრის სუნი დადგა გრილსა და სუფთა პატარა ოთახში. თვითონ ვერა გრძნობდა, რაღა თქმა უნდა, თვითონ მოიყოლა ან თვითონვე ქცეულიყო მტვრადა, განა მიწადა, მტვრადა ქცეულიყო. არ გაეგებოდა თუ სად მისუ-

ლიყო, არ გაეგებოდა, ცხადია და ცხადზე ცხადია, რად მისულიყო, ესეც აღარ გაეგებოდა, არც არა ესმოდა, დახშობოდა სმენა, მახვილი სმენაი. აქამდის ათასგვარი ხმა უდგა ყურშია, ათასგვარი საგალობელი მოესმოდა, მრავალგვარი მელოდია თუ ჰანგი, განაგონს აღიდგენდა ან გარდაჰქმნიდა, მოისმენდა მოსასმენსა, მოიგონებდა თუ იდგა დუმილი, ასეთი დუმილი, მდუმარება, სიმშვიდე უცნაური და ულმობელი. ამისთვის სიმშვიდეც ულმობლობადა ქცეულიყო ან სიმშვიდისაც აღარაფერი გაეგებოდა, აღარ ახსოვდა მოცარტი თუ როსინი, აღარცა ბეთჰოვენი, აღარცა შუბერტი თუ შუმანი, ფალიაშვილი თუ არაყიშვილი, ასე განსაჯეთ, აღარ ახსოვდა აღარც თავისი მასწავლებელი; თუმცა რაღა მოსათვლელია, მტვრადა ქცეულიყო, რაღა უნდა გაეგო, რაღა უნდა ხსომებოდა, მტვრადა ქცეულიყო და იდგა სუნი, სუნი მხურვალე მტვერისა მანამდის გრილსა, სუფთასა, წყნარ ოთახშია. მხოლოდ სიწყნარე არ დარღვეულიყო. გვერდითი ოთახიდანაც არაფერი მოისმოდა, ან ისიც ესევე დაგდებულიყო; ან გასულიყო, დაბორიალებდა სადმე; დაგდებულიყო, თუნდაც ებორიალა, ოღონდ აქ აღარ შემოსულიყო, აღარაფერი ეთქვა, ჩამოჰხსნოდა, მიეტოვებინა. თუმცა ამას აღარც ამდენი გაეგებოდა, ეს წეღანდელი სურვილი გახლდათ, გახურებულ გზაზე რო მოდიოდნენ. აქ უფრო ისურვებდა, ამ წყნარ ოთახში, თუმცა თვითონ აღევსო მტვერითა და მხურვალებითა, მაინც ისურვებდა, მაგრამ ვაგლახ, აღარაფერი ჩაესმოდა, გაყრილიყო სურვილთაგანა, გაყრილიყო, გარდაქცეულიყო თავისთავადა, არ მონდომებოდა ამოძახილი ვაებითა,

მინა იყავ და მიწად იქეცეო, მტვრადა ქცეულიყო ჭირისუფალთა ვაების გარეშე, უფრო სწრაფად გარდასახულიყო, უფრო მალე განშორდებოდა ამ ცოდვით სავსე დედამიწასა, ოღონდ დაებერა ქარსა, ძლიერ ქარსა, ახლავე დაებერა, დაექროლა ან თუნდაც სიოს შემოენავარდა, სიო წაიღებდა, გაჰფანტავდა, გაანიავებდა, ჩაჰკარგავდა უსასრულობაში უხილავ ნაწილაკებადა, ახლავე ჩაჰკარგავდა, რაღას მოეცადა თუ თვით დედამიწა როდის იქცეოდა იმავეგვარივე უხილავ ნაწილაკებადა, გამოუცნობ ბაცილებადა რომელიმე ახალი პლანეტისა, სადაც სიცოცხლე გაღვივებულიყო, ახალი სიცოცხლის ბაცილებადა; როდემდის მოეცადა, რად მოეცადა, როცა უკვე ქცეულიყო მტვრადა. მაგრამ არსად ქარიო, არსად სიოო, იდგა სიწყნარე, უშფოთველი, დაუნდობელი, გაუსაძლისი, და ეფინა მტვერი, მხურვალე მტვერი ქართლის გზებისა.

თვით ლეკომ აიბზუა ცხვირი, კარი რო შემოაღო.

დაწმენდილიყო, დახვეწილიყო სახიან-სამოსიანადა.

დიდი რამ ყუათი არ იცის დომა, მოშივნოდა, თუმცა სამხრობა გადასულიყო კარგახანია, ვახშამიც ადრე იყო, მაინც იმედოვნებდა, ნამგზავრნი ვართ, სუფრას გაგვიშლიანო.

თანამგზავრიც უნდა დაეიმედებინა.

არ იძვროდა თანამგზავრი, მტვრად ეფრქვია ტახტსა, იდგა სუნი მხურვალებისა, მტვრის სუნი იდგა.

უთხრა, ადექი, გაიბერტყე, დაიბანე, მალე გვიხმობენო, უთხრა ტკბილადა, როგორც მახლობელსა და საფერაოსა. ოდნავადაც არ აფუვებულა მტვერი.

ლეკო გავიდა, ღიად დააგდო კარი, ორქარი დაჰ-კრავს, გაბერტყავს მტვერსაო.

არც სად ორქარი, არც სად ოდნავი სიოო...

არც მოძრაობა, არცა სუნთქვა თუნდაც მცირე-დიო, თუმცა სუნთქვისა რა იცოდა მტვერმა.

ისევ ლეკო შემოიზუზა, ისევ აიბზუა ცხვირი, მაგრამ მუცელი ამოსძახოდა ვალალასა, ველარ ივ-ლიდა ცხვირის ნებაზე.

მოშორებით ჩამოჯდა, ჩამოჯდა ფანჯარასთანა, სიო არ იძვროდა, მაინც ფანჯარასთანა სჯობდა, წინ ზვარი გაშლილიყო ლამაზადა, თუმცა ლეკო ვერც ამჩნევდა ზვარსა, მხოლოდ კიბეს მისჩერებოდა, აცა, ვინ ამოჰყოფს თავსა, ვინ გამოჩნდება ჩვენი მხმობელიო. ვინც გამოჩნდებოდა, იქაც შევიდოდა, მაგრამ დროზე შემჩნევაც დიდი რამ ყოფილა, წამიც დიდი რამ ყოფილა, სიცოცხლეც წამისააო ნათქვა-მია და ცოტა თუ გგონია, თუ მოშივნულხარ, კიდე-ვაც მიხვდები რაც ყოფილა წამი.

ბევრს უმსჯელია დროსა და სივრცეზე, ლეკოც თუ ჩაერეოდა ამ მსჯელობაში, სწორედ აქედან და-იწყებდა: თუ მოშივნულხარო.

მაგრამ იქ მოკამათე არ იყო, მსმენელიც არ იყო, მაინც უნდა ეთქვა.

უნდა ეთქვაო და ჩამოჯდა რო მოშორებითა, ახ-ლოდან დაიწყო:

– მე რო ლეკო თათაშელს მიძახიან, განა ტყუი-ლად მიძახიან, არაფერს დავივიწყებ, არაფერს და-ვუშვებ ძირსა, დროზე გავიხსენებ და დროზე გა-ვახსენებ, ამიტომაც მიძახიან ლეკო თათაშელსა. უნდა მტკიცედ მოვილაპარაკოთო, მიბრძანე, მოწ-ყალეო ხელმწიფევ, თუმცა ჩემი მბრძანებელი ჯე-

რაც არ გაჩენილა ამ ქვეყნადა, მაგრამ მაინც ასე გამიხსენებია, მიბრძანემეთქი. მაშინ არ აგყევი, ახლა დადგა დრო მტკიცე და საგულდაგულო მოლაპარაკებისა. მე ლეკო თათაშელს მიწოდებენ და არაფერს მოვითმენ ჩემს გარშემო ბუნდოვანებით მოცულსა, ამიტომაც მიწოდებენ ლეკო თათაშელსა. აქ ხელს არავინ შეგვიშლის... დროც დადგა და კარგ ალაგსაც მოვიმყუდროვეთ, არავინ შემოგვეჭრება, ვერავინ გაგვაძევებს, მოულოდნელი არაფერი დაგვემართება, მოვილაპარაკოთ, გავარკვიოთ ერთხელა და სამუდამოდა, თუ რამ შეგვაკავშირა და რისთვის ვიღვწით, ხოლო მანამდე, რამდენადაც მომეხსენება მოლაპარაკების წეს-ჩვეულებანი, უნდა იცოდე თუ სად მოსულხარ, ადგილმა ადგილისა იცის, სიტყვა-პასუხიც თავისებური იცის, არჩევანიცა, თანხმობაცა თუ უარყოფაც ადგილმა იცის. ადგილი დიდი რამაა, ადგილი დედაა ზნეობისა, ხასიათისა, შენ როგორ იტყვი? თუმცა მოითმინე, ჯერ ის გაიგე, სადა ხარ და რა ადგილია. გურანდუხტის სასახლეში ხარ, გურანდუხტ არჯევნებისა. არ გაგიგონია? ششش... არ წამოგცდეს, არ გაპატიებს, არც დაიბნე, როცა მიგვიწვევენ, – კარგა გვარიანად ჩამწიფებული დედაბერია, ადვილად გამოარჩევ სხვა ქალებშია; გამოარჩევ და პირდაპირ იმისკენ გაემართე, მუხლი დახარე, არა, ნუ ჩაიმუხლებ, ისე დახარე მუხლი და მოჭმუჭნულ ხელს რო გამოგიწვდის, პირთუკან არ წაიღო, მოწიწებით ეამბორე დაჭმუჭნულ ხელსა, ეამბორე და მერე მოიკითხე, როგორა ბრძანდება თქვენი უსათნოესობათქო, მოიკითხე ხმადაბლა, არ დაგავიწყდეს, ხმადაბლადა, თორემ ხმას თუ აუწიე, იფიქრებს, ყრუ

ვგონივარო, გაანჩხლდება, როგორთუ ყრუ გგონი-
ვარო, გაანჩხლდება და ზურგს გიჩვენებს, მერე
მორჩა, აღარ შესდგება ჩვენი მოლაპარაკებანი, აქ
აღარავინ დაგვაყენებს. სადმე მაინც მოვილაპარა-
კებთ, მაგრამ მერწმუნე აქა სჯობიან, მერწმუნე და
შენც ძალიან ხმადაბლა მოიკითხე, გამოესაუბრე
ხმადაბლა, თუნდაც შეატყო, რომ არაფერი ესმის,
მაინც ნუ აუწევ ხმასა. ესაა პირველი შეგონება,
პირველი და თავიდათავი, თუ გინდა, აქ გაგვაჩე-
რონ რამდენიმე ხანი, თუ გინდა, წარმატებით დაიწ-
ყოს ჩვენი მოლაპარაკება, წარმატებითაც დაიწყოს,
წარმატებითაც დამთავრდეს, კვლავ შეგაგონებ,
რიცხვით ეს მეორე იქნება: გურანდუხტის გარშემო
ქალები იქნებიან, მხოლოდ ქალები, ყველა ასაკისა-
ნი, ყოველგვარი სახისანი, არ შეიმჩნიო თუ ულამა-
ზესიც შეგეფეთოს, უმახინჯესიცა, გამორჩევით
არავის მიაცქერდე, არც გამორჩევით გამოელაპა-
რაკო, არავისთან განცალკევდე, არავის დაუწყო
ცალკე კურკური. გურანდუხტი ამას არად ჩააგ-
დებს, მაგრამ სხვები არ მოგიწონებენ და თუნდაც
ერთმაც რო აგითვალისწუნოს, მორჩა, აღარავინ
გამოგესარჩლება, აღარც გვედგომება აქა... ესაა
მეორე შეგონება, მეორე და თავიდათავი, კარგად
დაიხსომე, თავიდათავია, ყველაფერი თავიდათა-
ვია, რიცხვმა არ აგიჭრელოს თვალები. კვლავაც
შეგაგონებ, რიცხვით ეს მესამე იქნება: დაჭმუჭნულ
ხელებს დაუკოცნი თუ არა გურანდუხტსა, მოიკით-
ხავ თუ არა, იქვე მოახსენე, რო დიდებულად მიგვი-
ღეს და დიდებულად დაგვაბინავეს, რო ჩვენს წინ
საუცხოო სანახაობაა, აქ კაცი სხვას ვერაფერს
ინატრებს, – თვალი მომცა და მაცქერინაო. ამგვა-

რი რამ უთხარი, უკეთესად უთხარი, ოღონდ ამ აზ-
რისა იყოს, მაშინვე მოგვიჩენენ სხვა ადგილსა, უკე-
თესს მოგვიჩენენ, თორემ აქ, ამ საკანში მოლაპარა-
კებას რა მადლი ექნება?! დამერწმუნები, არ ექნება
მადლი, არცა აზრი, წარმატებაც საეჭველია. დიდი
დარბაზი გვინდა, მრგვალი მაგიდა, ნუ გეფიქრება,
რამდენიმე დარბაზი არის ამ სასახლეში, თუნდაც
საბილიარდო ავირჩიოთ. დიდი რევოლუცია დაწყე-
ბულა საბილიარდოში, ისტორიული მოლაპარაკე-
ბაც გაიმართება. შურის ციხეც იქიდან მოსჩანს, არ
აგერიოს, ეს სხვა შურის ციხეა. ჰო, არ აგერიოს და
კვლავაც შეგაგონებ, რიცხვით ეს მეოთხე იქნება,
მეოთხე და თავიდათავი: დაჭმუჭნულ ხელებს რო
დაუკოცნი გურანდუხტსა, არ დაგავიწყდეს, ბექა
უქე. ბექა არ იცი?! ღმერთო ჩემო, ეგ არ შეგეტყოს,
არც შეგეტყობა, ახლავე გაცოდინებ – შვილიშვი-
ლია გურანდუხტისა, ძე ნაზიბროლასი, მამისას
არაფერს გეტყვი, გურანდუხტს თვალში არ უჯდა
სიძეი, გამეცალე, გადაიკარგე და შენს ძეს ვაღია-
რებ არჯევნელთა მემკვიდრედაო? ისიც გაეცალა,
გადაიკარგა და ბექა მემკვიდრეა არჯევნელებისა,
რამეთუ სხვა ძე არ ესვა გურანდუხტსა, მარტოდენ
მარტო ასულნი, განა ერთი, განაო ორი, განა სამი,
განა ოთხი, განა ხუთი, განა ექვსი, შვიდნი ასულნი,
რომელთაგან ექვსმა ჯიშზე იარა, მხოლოდღა ნა-
ზიბროლამ შვა ძეი და მასზე გადავიდა გვარიცა, მა-
მულიცა არჯევნელებისა. გურანდუხტმა ინება ასე,
ბექაა სასოება გურანდუხტისა და უქე ბექაი, ენით
უთქმელია ღირსება მისითქო, ისაა იმედი გამოხ-
სნისა, გადარჩენისა, ჩვენი იმედი, იმედი ერისათქო.
უთხარი ასე და რამდენ ხანსაც უნდა გაგრძელდეს

ჩვენი მოლაპარაკება, ვისაც უნდა მოვაბეზროთ თავი, ტუჩს ვერავინ აგვიბზუებს, ბუზსაც ვერავინ აგვიფრენს. ახლა ისიც იცოდე, თუ რატომ ვერავინ აგვიფრენს ბუზსა: საბილიარდოდან ასე ჩრდილოდასავლეთით შურის ციხეს რო დაინახავ ბექობზე, დროშაც გეცემა თვალში... მოიცა, მოიცა, მოიცა!.. კვლავ შეგაგონებ, რიცხვით ეს მეხუთე იქნება, მეხუთე და თავიდათავია: დაჭმუჭნულ ხელებს რო დაუკოცნი გურანდუხტსა, დროზე ისეც მოახსენე, საზღვარს გავარდნილა შენი დროშის ამბავითქო, ქვეყანა ამაზე ლაპარაკობს, ყველას პირზე აკერიათქო. გურანდუხტმა მოქსოვა და მოქარგა ის დროშაი თამარის დროშის დარადა; გამართა და აკურთხებინა, მერე დიდხანს ესვენა ნაკურთხ კუთხეში, გამოჩნდება ვინმე ღირსეული და ჩავაბარებო. მაისის მთავრობამ შემოუთვალა, აჰა, გამოვჩნდით ღირსეულნი და სწორუპოვარნიო და ჩაგვაბარეო. დიდხანს იყოყმანა, იყოყმანა, მერე სხვა მოქსოვა, მსგავსი გადაიღო და გაუგზავნა. გაუგზავნა თუ არა, აიყარნენ ისინი – არა!.. აჰყარა ქარბორბალამა. ჩრდილოურმა. – გადაიხვეწნენ და თან წაიღეს, ოლონდ ასლი წაიღეს, ლანდი წაიღეს, ნამდვილი აქ დარჩა, ბექას ჩააბარა; შურის ციხეზე გამოუკიდნია ბექასა, თვითონაც იქ გამოკეტილა, ტყვიამფრქვევები გადმოუდგამს და მრისხანებს ცოფმორეული, საარჯევნოში ფეხს ვინც შემოდგამს, ვეღარ გააღწევს ცოცხალიო. შენ ნუ შეგეშინდება, ჩვენ არას გვერჩის, ის არას გვერჩის და ვერც ვერავინ აგვიფრენს ბუზსა; ის ახალ მოწესეებს ემუქრება, თქვენ აქ ვერ შემოხვალთ, მე დავიძრები აქედანაო, მე შემოვატარებ თამარის დროშას თამარის საზღვრებ-

ზედაო. რა იქნება, ვინ იცის, ვის უწერია ეს ბედი, ვინ უნყის ვისა, მხოლოდ ესაა, ჯერ აქ ვერ შემოსულა ახალი მოწესე, ვერც ვერავინ აგვიფრენს ბუზსა. დაე, დიდხანს გასტანოს ჩვენმა მოლაპარაკებამა, ნუ გეფიქრება, ვერავინ შეგვიშლის ხელსა. კვლავაც შეგაგონებ, ეს იქნება რიცხვით... მოდი, ჩამოვეხსნათ რიცხვებსა, შეგონებას სათვალავი არა აქვს, ყველაფერს ერთად ვერც დაიხსომებ, სხვას თავის დროზე გეტყვი, თავის დროზე აგიხსნი, მხოლოდ ერთი მაინც აქედანვე მიუმატე იმა დანარჩენთან: როგორც გენებოს დაჰფარე თავი, იტრაბახე, რო მუსიკოსი ხარ, დაუკარი, იმღერე, ამღერე, ჩაიწერე, დაჰპირდი ოპერაში გადავიტანთქო, დაჰპირდი ყველა აქამყოფსა, გააბრუე, თავბრუ დაახვიე, ოლონდ გურანდუხტს გამოუტყდი, არაფერი დაუმალო გურანდუხტსა, თორემ ჩვენი მოლაპარაკება არ შესდგება. აქ არ გაგვაჩერებს... ნუ, ნუ დასთმობ აქაობასა, აქ კარგია, ძალიან კარგია, აი, ნახავ, გვიხმონ ვახშმადა!..

მაგრამ არა სჩანდა მხმობელი.

მზე დავიდა, ჩავიდა, აიკრიფა სხივები.

არა სჩანდა მხმობელი, არც ჩქამი ისმოდა.

მტვერიც იდო, იდო ნაცარი, გაფუებული და გამტკნარებული; თუ ნაცარი იყო, სადღაც გულში პატარა ნაპერწკალი მაინც ექნებოდა შენახული, გადაიყრებოდა ნაცარი და გამოპნკიალდებოდა; თუ მტვერი იყო, მხურვალე გზებზე ახვეტილი მტვერი, თვითეული პნკალი მიემგვანებოდა ნაპერწკალსა, მაგრამ რაც იყო, იყო, დანოტიოებულიყო, იდო ნოტიო მტვერი, სუნიც დამდგარიყო ნოტიო მტვრისა.

XII

მტვერს ველაპარაკებიო, გაიფიქრა ლეკომა, სახე მოჭმუხნა და მიყუჩდა; წამოჰკრა რაღაც აზრმა და დამცინავად გადაეფინა მოჭმუხნულ სახეზე: ჩემი დღენი მტვერს ველაპარაკები, მტვერია ყველა, მეც მტვერი ვარ ქარს აყოლილიო, ამ აზრმა წამოჰკრა, ეს გადაეფინა მოჭმუხნულ სახეზე. მერე სიცილი მორთო, იცინა, იცინა, ცრემლი წამოსცვივდა, იქამდის იცინა. თანამგზავრი მაინც არ გამოეხმაურა, ანუ არ შეირხა მტვერი, არ აბორიალდა. მაშ ეგრეო, გაგულისდა ლეკოი, ახლოს მიუჩოჩდა, ტუჩები გაბერა, სული შეუბერა, შეუბერა რაც ძალი და ღონე გააჩნდა, მაინც არ იქნა, არ აფუვლდა მტვერი. არც მოეშვა ლეკოი... მისჯდომოდა და უბერავდა, უბერავდა და იცინოდა. იდო მტვერი, ეფინა კვლავაც შეურხევლადა, ლეკოს სული თუ არა ჰყოფნიდა, ან მტვერი ქცეულიყო ქვადა. ქვას ველარ დასძრავდა სული კაცისა, ქარიც ველარ დასძრავდა. ქვისთვის შეიძლება წვენი გამოედინათ, მაგრამ ეს მხოლოდ ნაცარქექიას მოუხერხდებოდა. ნაცარქექიას, ვინ იცის, ქვებიც დაეძრა სულის შებერვითა, ვინ იცის, ვინ უწყის, მაგრამ არ არის ზღაპარში ასეთი ამბავი და ალბათ იმასაც არ მოუხერხდებოდა, თორემ ვინ გამოსტოვებდა, ვინ არ დახარბდებოდა, მოეთხრო, თუ როგორ უბერავდა ნაცარქექიაი, თუ როგორ იფშხვნებოდა ტინის მთები, როგორ იფრქვევოდა ლოდები სეტყვასავითა, როგორ იუუეებოდნენ დევები... ამაოდ დამშვრალიყო ლეკოი ან არცთუ ამაოდ დამშვრალიყო, გაბეზრებულიყო ლოდინითა, ერთობოდა.

აღარც მზე იდგა ზვარში, ჯერ არც ბინდი ჩამონოლილიყო, არც ჩქამი ისმოდა, ოღონდ უცებ გაისმა ჩქამი პატარა ფეხებისა და მოკლე, სწრაფი ნაბიჯებისა. ლეკო აიმართა მაშინვე, გასწორდა, წელზე შემოისვა ხელი, უფრო დავიწროვებოდა ისედაც ვიწრო წელი.

მოახლე შემოფანცქალდა, ქალბატონი გიხმობთო. ორივე ხელის თითები შეატყუპა ლეკომა, დაიკოცნა ერთიცა, მეორეცა, ჯერ ერთი ესროლა მოახლესა, მერე მეორეი, კიდევაც ნაიწია, მაგრამ გაასწრო, გაფრთხა, ველარც მიადევნა თვალი თუ საით გაჰქრა. ვერც მიადევნებდა, ვერც გაეკიდებოდა, გასჩენოდა დიდი რამ საზრუნავი, როგორმე უნდა დაეძრა ეს მტვერი თუ გაქვავებული მტვერი, ისე ვერ წარუდგებოდა ქალბატონ გურანდუხტსა. მაგრამ არ დასჭირებია დიდი რამ ღონისძიება, გადაბერტყილიყო მტვერი, მოგზაური წამომდგარიყო ან გამომძვრალიყო მტვრის ტომრიდანა, გამომძვრალიყო დაქანცული, უილაჯო, სავათმიხდილი, კიდევ უფრო გაფერმკრთალებული ისედაც ფერმკრთალი... ასეცა სჯობდა, გამოჩენისთანავე მოინადირა გული ქალთა კრებულისა, მოინადირა ფერმკრთალი სახითა, მინისლული თვალებითა, აუკვირველობითა, მართლაც საოცარი აუკვირველობითა, სიდინჯითა, ზომიერებითა, მაშინაცა, გურანდუხტის დაჭმუჭნულ ხელს რო ეამბორებოდა, მაშინაცა, იმის მარჯვნივ რო დაიხარა და დაეტანა გულქანის ხელსა, გურანდუხტის ერთ-ერთი ქალიშვილის ხელსა... გულქანისაო, მაგრამ ადვილად იტყვის ენაო, – ჩიხტიკოპში გამოწყობილი უცნაურობა დასკუპებულიყო მაღალ საზურგიან სავარძელზედა, დასკუპებუ-

ლიყო თავმომწონედა, გამომწვევადა, სწორედ ისედათა საგანგებოდ გაწვრთნილ მაიმუნებს რომ სჩვევიათ, ასეც იგულისხმება, მაინც უშფოთველად დაეტანა გრძელ მტევანსა, საოცრად გრძელსა, საოცრად მგვანსა იმ მტევანისა, ის-ის იყო რო ეამბორა, მგვანსა სიგრძითა, მოყვანილობითა, ოღონდ ნაკლებად დანაოჭებულსა, ეს რო გადიტანა, მერე ასაზიზებელი არაფერი გახლდათ, – მარცხნით კიდევ ორი ასული უჯდა გურანდუხტსა, ერთიმეორეზე სანდომიანი, ერთიმეორეზე თვალმისავალი, ნაზიბროლაი, დედაი ბექასი, და ელენეი, დედაი ხუთი ასულისა, რომელთაგან ოთხი დარბაზის ბოლოს, კედელთან ჩამჯდარიყო.

ჰო, ოთხი ჩამჯდარიყო, მეხუთისაც უნდა თქმულიყო, თუმცა იქ არ გახლდათ, არც შემოვიდოდა, გათხოვილიყო, ქმარი ახალ მოწესეთა შორისა ტრიალებდა, ცოლს აღარ უშვებდა ძველ ოჯახშია. გურანდუხტს ისიც ამოეღო გულიდანა, ამოეშალა შვილიშვილთაგანა, როგორც ამოეშალა თავისი ასულები – მარი, ეკა, ანიკო, ელისო შვილებიანადა, ქალიშვილებიანადა; ყველას ქალიშვილი შესძენოდა, ჯიშზე ეარათ თუ გვარზე ეარათ, ასე მოსვლოდათ, ასე დამართოდათ. თუმცა განა ამიტომ გასწყრომოდა გურანდუხტი? არა, რა სათქმელია, თვითონ დედა გახლდა შვიდი ქალიშვილისა, სხვას აბა როგორ დაასაყვედურებდა! არა, რა თქმა უნდა, თუ უსაყვედურებდა, თუ აეყარა გული, იმათ აეყარათ გული, დავიწყებოდათ დედაცა, მამაცა, გვარიცა, ტომიცა, სხვადასხვა ჯურის ჩინოვნიკებსა და ოფიცრებს გაჰყოლოდნენ, გადახვეწილიყვნენ ჯერ რუსეთშია, მერე გაეტაცა რევოლუციის ქარსა და გაეტყორცნა, ვინ უწყის,

ვინ საითა, ვიღა მიაკვლევდა, ვიღა გაიგებდა იმათ ასავალ-დასავალსა? ყოველშემთხვევაში, ვერას გაიგებდა გურანდუხტი, შემთხვევითაც რო გადაჰყროდა შვილიშვილებსა, ვერ მიხვდებოდა, თუ ამისი სისხლი უდიოდათ ძარღვებში, ვერ მიხვდებოდა, ვერც ვერავინ დაარწმუნებდა. ჰოდა, ამოეღო გულიდანა, რა ბედენა იყო, გულში ჰყოლოდა და ეკანკალა იმათთვისა?! ესენიც ეყოფოდნენ საღელველადა, საჩქროლველადა, აი, ესენი: გულქანი, ნაზიბროლა, ელენე თავისი ოთხი ასულითა.

ჰო, ოთხი ჩამომჯდარიყო, მეხუთესი ითქვა და კიდევ ითქმის, ამათიც ითქმის... ახლა ამათ რაც შეეხება: ისე ისხდნენ, რო ერთიმეორეს აჰკროდნენ: ზეინაბი, მერი და ირინე, სალომე გამოცალკევებულიყო, იჯდა გოროზადა, ურხევადა, ამპარტავნულადა, თითქოს არც დაუნახავს თუ ვინ შემოსულაო, თუ როგორ ჩამოურიგა ხელზე ამბორი გურანდუხტსა, გულქანსა, ნაზიბროლასა, ელენესა, ან ამათ როგორ ესალმებაო; ჰო გამოცალკევებოდა, გამოჰყოფოდა, დანიშნულიყო, დღედღეზე ელოდა დანიშნულსა, მზითევსა და ქორწილსაც დაჰპირებოდა დიდედა გურანდუხტი, ქორწილის ოცნებას მისცემოდა ისედაც გოროზი, ამპარტავანი, გამომწვევი. სტუმარი მაინც ვერ გამოიწვია, ამას არც შეუმჩნევია, რამდენნი იყვნენ, როგორნი იყვნენ, შორიდან მიესალმა ისე, არცერთი სახეც არ გამოურჩევია, მიესალმა და ჩამოჯდა მოშორებითვე, ოღონდ ჩამოჯდა ისე, რო მოჰყვა გულქანისა და ირინეს გასწვრივა, სიმახინჯისა და სილამაზის გასწვრივა, გადამწიფებისა და სიქორფის გასწვრივა. სხვას ეს უმალვე შეეტყობოდა, მორიდებით მაინც

გააპარებდა თვალსა სილამაზისკენა, მორიდებით მაინც ჩაიჩოჩებდა, ჩაიჩოჩებდა სილამაზისკენა, სიქორფისკენა. ამას თავიც არ შეურხევია, არ გაუხრია თვალი, იჯდა წელამართული, იჯდა წინა კიდეზე სელის სკამისა, იჯდა ისე, თითქოს აჰაა, უნდა წამოხტესო, თავის ფიქრებში ჩაძირულა, თავის ფიქრებსვე უნდა გაეკიდოსო, მაგრამ ყურადღებაც არ დაჰკარგვია, ეპასუხებოდა თუ ეკითხებოდნენ, თავს უქნევდა თუ ეთანხმებოდა, ოდნავ, თითქმის შეუმჩნევლად უქნევდა თავსა, თვალებსაც ოდნავად მიჰხრიდა მოლაპარაკისკენა და რახან მხოლოდ სიბერე ლაპარაკობდა, სიბერისაკენ მიჰხრიდა თვალებსა. ჩამიჩუმი არ ისმოდა სიქორფისკენა, სილამაზისკენა, სიტყვა არ ჩაურთავს არც გოროზ სილამაზესა, სალომეზე მოგახსენებ, არც ანჩხლ სილამაზესა, მერიზე მოგახსენებ, არც შემპარავ სილამაზესა, ზეინაბზე მოგახსენებ, არც ხალას სილამაზესა, ირინეზე მოგახსენებ; სიქორფეც ჰო ირინე გახლდათ, ახლად შეთვალებული, შეღერებული, შენივთებული უბიწო ოცნებებსა. მაშინაც ოცნება შემოჰბუროდა ან იმას თუ იგონებდა, მომჩვენებია თუ არა ეს ჭაბუკიო. ზეინაბი არაფერს იგონებდა, არც მერი იგონებდა არაფერსა, მხოლოდ ფრთხილადა ზვერავდნენ ერთმანეთსა, ჭაბუკსაცა ზვერავდნენ, ჩვენ ორთაგან რომელზე შეაჩერებს თვალსაო. სალომესი რა გითხრათ, არ მოსწონდა ეს საიდანღაც მოვლენილი ჭაბუკი, არც არავინ მოსწონდა თავისი დანიშნულის გარდა, არც უნდოდა, იქა მჯდარიყო, მაგრამ არ იქნებოდა, უნდა დასწრებოდა მიღებასა, თორემ, ვინ იცის, განრისხებულიყო დიდედა გურანდუხტი, მერე მზითევი? მერე ქორწილი? მაინც

საქმე რად გაეხადა საჭოჭმანოდა თუ საბოდიშოდა? იქნებოდა ასე, გოროზად გადაავლებდა თვალსა, რა თავი გამოგიდვია, ათასი შენებრისათვის მითქვამს უარიო, ასე გადაავლებდა თვალსა და დასტკბებოდა სიამაყითა.

დამტკბარიყო, ეს ჰო ამათკენ არც იხედებოდა, გურანდუხტი ლაპარაკობდა, გულქანი ჩაურთავდა ჭირვეულ სიტყვებსა, ნაზიბროლა დედას ეთანხმებოდა, ელენე იჯდა აუკვირვლადა, ამაყადა, თუ იტყოდა, ქმარს მოიგონებდა, ახლა ის რო იყოს, ყველაფერი წაღმა დატრიალდებოდაო. არ ედავებოდნენ, დააცდიდნენ და განაგრძობდნენ თავიანთსასა ანუ გურანდუხტი განაგრძობდა. ხოლო გულქანი აწვალებდა ენის წვერზე, – ისიც იყო, მაინც უკუღმა ტრიალებდა ყველაფერიო, ოჯახიც თავდაყირა დაგიტოვა და თუ ჩვენ არა... – აწვალებდა ენის წვერზედა, ჯერ მხოლოდ უღრენდა, დალოდებოდა შესაფერის დროსა, რო უფრო მწარედ მოერტყა გულში, მოერტყა და გაეპო; ამ საიდანღაც მოვლენილი ჭაბუკის სათქმელსაც დალოდებოდა, რო შეჰბმოდა პირში, არ მოსწონებოდა, უნდოდა შეჰბმოდა პირში, გაეხელებინა, გაემწარებინა, დაერღვია ეს მოგონილი სიდინჯეი თუ მართლა სიდინჯეი, აერია დახვენილი, ფერმკრთალი სახე და ის შემზარავად მოხდენილი თითები აესავსავებინა ჰაერშია; დალოდებოდა, ოღონდ ვინ უწყის თუ როდემდის მოუწევდა ლოდინი. ლეკოს დაეგდო ბურთი და მოედანი, ლეკო მიუგებდა გურანდუხტსა, აიმედებდა, ამხნევებდა: კაჟივით ქალი ხარ, დიდხანს იცოცხლებ, ბევრს შეესწრები, ყველაფერს კარგსა, ყოვლად სანეტაროს შეესწრებიო.

– ფუჭი იმედი სასოწარკვეთაზე უარესია, – მკვახედ გამოსთქვამდა გურანდუხტი, – რიღას იმედიო, უამრავი თესლი მობნეულა ერთი ციცქნა მიწაწყალზედა, თესლი თესლსა სჭამს და მიწასა ჰფიტავს თესლი უამრავი, თესლი ბოროტი; კეთილ თესლს ვეღარას შეეწევა მწირი ნიადაგი და ველური თესლი გაიდგამს ფესვსა, გადაშენდება იფქლი იგი და ძიმწარე მოედება აქაობასა, თუ გადაშენდა, ეგ კიდევ არაფერი, გადაჯიშდება იფქლი იგი, გარდაიქცევა, ძიმწარედ იქცევა იფქლიცა...

ვითომ ვერაფერიც ვერ გაიგო ლეკომაო, ანთუ იმწუთს მართლაც ვერაფერი გაიგო, ანთუ არ ენება გულისდამამძიმებელი საუბარი, როგორც თუ რა იყო, გაიცინა თუ გაიღმიჭა, შეჰბედა ქალბატონ გურანდუხტსა, შეჰბედა, ვითომ შეჰბედა:

– პირდაპირი ბრძანდებოდი ყოველთვისა... ეს იგავები რისა რა არის, როდის აქეთია რო მისჩვევიხარ?!.

– უსამართლობა რო დაგვაცხრა იმის აქეთია...

– უსამართლობა... – დაუდასტურა ლეკომა, – უსამართლობა... – გაიმეორა, გადაავლო თვალი მოგზაურსაცა: ჰხედავ თუ როგორ ერთგულებაში მოგიყვანეო, გადაავლო ასეთი თვალი. შეიშმუშნა მოგზაური. წელში გაიჭიმა ლეკოცა: ჩვენ ერთნი ვართო, ერთადა ვართო, ისე გაიჭიმა.

არც შეუხედია ლეკოსათვისა გურანდუხტსა, მოგზაურს შეავლო თვალი, დაეხსნა იგავებსა:

– ... დაგვაცხრა და გაგვიბატონდა, გაგვიბატონდა და ნაგვიქეზა წვრილფეხობაცა, ნაგვიქეზა, ნაგვიქეზა, რო ისეიროს; აურევია და არეულა ჩვენი მიწაწყალი, გაპოხილი ჩვენი სისხლისთა. გაპოხილი...

თითქოს არა კმაროდეს... შემოხეტებულან უამრავი ერისანი, შემოხეტებულან თუ შემოუხეტებიათ და მორიდებაც არა აქვთ ჩვენი. არც უნდათ მიიღონ ენაი ჩვენი, ზნეი ჩვენი, თვითონვე ლამობენ რო გადაგვაკეთონ, ლამობენ და შეწევნაცა აქვთ. მოძლიერებულან, მოძლიერდებიან უფრო მეტადა... რიღასი იმედიო?!. ჩვენვეც ჩავიგდეთ ჩვენი თავი ამა ყოფაშია, ადვილად ჩავყევით და ძნელადაც ველარ გამოგვიხსნია. კარი გავუღეთ ყველა ჯურისასა, ყველა ვიგინდარას გავუღეთ კარი, სუფრა გავუწყეთ და მსახურად დავუდექით. ჩვენ ამას სტუმართმოყვარეობა დავარქვით, ხოლო იმათ სტუმრობა მოიწონეს და გვაქციეს მართლაც მსახურებადა. მონებად გვაქციეს, მონებადა, მსახურობას კიდევ რა უჭირს!.. ასე არავინ არ მოქცეულა არასოდესა. დიდი ერები იმიტომაც შექმნილან დიდ ერებადა, უცხოელი რო უცხოელად მიუჩნევიათ და არც გაუყადრებიათ თავი იმათთვისა, ვიდრე არ მიუღია ზნეი ამათი, ენაი ამათი, არა, არ გაუყადრებიათ თავი. მხოლოდ ასე მოქცეულან და კარგადაც მოქცეულან ბატონებო!.. გამოეცადათ მუხანათობაი მოსულისა, იცოდნენ თუ რა იყო მოსული. ჩვენც გამოგვეცადა, გამოგვეცადა ბევრჯერა, მაგრამ გადავეცდინეთ ბედოვლათობასა, სტუმართმოყვარეობა რო დაგვერქმია, თავმომწონეობასა, ფუჭ თავმომწონეობას გადავეცდინეთ, გადავეცდინეთ და გადავეცდინეთ, ჭკუა მაინც რო ვერ გვესწავლა. ვერ გვესწავლა, ვერც რო წინათა, ვერც რო ახლაცა, ვერა, ვერ გვესწავლა და ალბათ ვერც ვისწავლით, უბედურება ეს არის ჩვენი. მოიცა ლეკო!.. შენ გამომიწვიე და ახლა მაცალე!.. რამდენჯერ უთქვამთ თუ როგორ გაოცებულან უცხოელი

მოგზაურები, ძველი, თვით ძველი მოგზაურები, გაუგონარი და უჩვეულო პატივი რო მიჰგებიათ ჩვენში, გაოცებულან, დაუწერიათ: არსადაო, არც აღმოსავლეთში, არც დასავლეთში, ასე არავინ შეიწყნარებს უცხოელსაო, უცხო თესლსაო, ასე არავინ გაუღებს კარსა, ასე არავინ დაუმდაბლებს თავსაო. ჩვენები თურმე, მაშინაც თურმე ბედოვლათები, იჭიმებოდნენ და თავმომწონეობდნენ, ჩვენ ასე ვიცით, ჩვენნაირი არც ვინ იქნება ამქვეყნადაო. ვიყავით და ვართ, ვართ და ვიქნებითო. ვიყავით. ვიყავით. მაგრამ თუ ვართ, საკითხავი აი ეს არის და თუ ვიქნებით, ისიც კიდევ საკითხავია!.. ასე ვერა, ველარ ვიქნებით, ველარ ვიქნებით ასე თუ გაგრძელდა... ქვეყანას ძარცვავენ უმოწყალოდა და ეს არაფერი, სულს რო ძარცვავენ, ის უფრო მომეტებული საშინელებაა. და ჩვენვე ვიძარცვავთ თავსა ჩვენსა, სულსა ჩვენსა ჩვენვე ვიძარცვავთ. ჩვენიანები შემოუძღვნენ, ჩვენიანები დაათარეშებენ, ჩვენიანები დაჰხარხარებენ გაჩანაგებასა ჩვენსასა... რიღას იმედიო, რაღა იმედიო, სასოწარკვეთა მიმჯობინებია ფუჭი იმედისათვისა.

ლეკო ისეთი ღიმილით უსმენდა, ეტყობოდა, რო პასუხი ჰქონდა მომზადებული, მხოლოდ ელოდა, დაამთავროსო, ანთუ შეისვენოსო, და აქ მიუსწრო, მიუსწრო და ჩაუჭრა:

– ახალგაზრდები სხვაგვარადა ფიქრობენ ჩემო კეთილო. ჩვენც უნდა დავეხსნათ მოთქმა-წუწუნსა და ახალგაზრდებს უნდა გავუგოთ. მე ჩემდა თავად უკვე გავუგე, უკვე ავჰყევი და იმათთანა ვარ... ამათთანა ვარ!.. აი!.. აი იმათი წარმომადგენელი. შეჰხედეთ და გჯეროდეთ, რო არაფერი დაკარგულა, გჯე-

როდეთ, გწამდეთ, არც დაკარგულა, არც დაიკარგება, გჯეროდეთ, გწამდეთ, რამეთუ სწამს ლეკო თათაშელსა და რაცა სწამს ლეკო თათაშელსა...

– გურანდუხტი იმას არ იწამებს ასე ადვილადა.

– არცა გულქანი! – მოსჭრა გულქანმა და თვალნი მღვრიენი აძგერა დებსა, გაიმეორეთ თქვენ თქვენის მხრითაო; თვალნი მღვრიენიო, შემაშფოთნიო, მაინც სხვა გამოსთქვა ნაზიბროლამა, ვამაყობ, ბექას დედა რო ვარო, აი რა გამოსთქვა, ელენეც ამას გაეპასუხა, ვაჟკაცებს არ დაუვარდებიან ჩემი ქალიშვილებიცაო.

გულქანმა გაიცინა მწივანა ხმითა, ვერვინ მიუხვდა, რად გაიცინაო, ვერც ვერავინ ჩაეძიებოდა, მხოლოდ იტვრინეს, გატვრენა მართებდათ.

– მერედა რატომა?! – ჰკვირობდა ლეკოი – ჰოოოო... ყოველთვის ასე მეურჩებოდით, მერე მეთანხმებოდით.

– არასოდესა, ااااااااარასოდესა!.. – განინმატდა გულქანი.

– გაგახსენო?! – შეება ლეკოი, – ჯერ ერთი: როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდობა მეთქმოდა, მეორედ დავქვრივდი, მეორედ ქორწინება რო მოვინდომე შენს დასთანა, ეკასთანა, შენ ქვა ააგდე და თავი შეუშვირე, დაგიჯერა იმანაცა, მე უარი მტკიცა, მე, ლეკო თათაშელსა, და ვიღაც ჩიტირეკია ოფიცერს ჩამოეკიდა კისერზე. მერე ჰო ინანეთ?! ეს ერთი... მეორე...

– ჯერ ეგ ერთი იყოს. – შეუტია გულქანმა, – არც გახსოვს, ეკა როდი, ანიკო მოგწონდა...

– მერე რაო, – არ დაიბნა ლეკოი, – ისიც გაეკიდა ვიღაც ჩიტირეკიასა...

– კმარა!.. – მტკიცედ განაცხადა გურანდუხტმა, ისედაც მკვეთრი ხმა ჰქონდა, უფრო აუწია, მოსჭრა კამათი. – ყველას მართალი ჰგონია თავი, მაგრამ ყოველთვის ერთია მართალი, ხოლო ვინაა იგი, მხოლოდ ღმერთმა უწყის.

– ღმერთმა და ლეკო თათაშელმა...

– ცუდია გახუმრება ღმერთთანა, – გურანდუხტმა ბრძანა, – თანაც, კარხანია გავიგეთ, რო ლეკო თათაშელი ბრძანდებით და არა დავით აღმაშენებელი.

გულქანმა გაიცინა, ნაზიბროლამაცა, ელენემაცა, სალომემაცა, სხვებმა არა.

თუმცა არა, ლეკომაც გაიცინა, ყველას წააჭარბა, თვალებშიც ამოისვა ხელი, ვითომდა რაო, ცრემლი მომივიდა სიცილისგანაო, თანაც დასძინა:

– ისიც ვერაფერი შვილია, დაწერა „გალობანი სინანულისანი", ვითომ რაო, „ვეფხისტყაოსანი" ჰო არ დაუწერია?!..

– საქართველო დაწერა, ვიღა გამოჩენილა ასეთი მწერალი?! – მოსჭრა გურანდუხტმა და წამოდგა, სავახშმოდ გავიდეთო; წამოდგა და ხელი გაუწოდა ლეკოსა, შერიგების ნიშანიც იყო, თანაც მიმაცილე მაგიდამდისაო.

ნიკოს გულქანმა გაუწოდა ხელი...

ხელიც გაუწოდა და გვერდითაც მოისვა, თუმცა ჯერ გურანდუხტი მიუჯდა მაგიდასა, მერე ლეკოი, მერეღა გულქანი და ნიკოი, ნაზიბროლაც იქვე ჩამოჯდა, მოპირისპირე მხარეს, – ელენე თავისი შვილებითა. მაგიდა უფრო გრძელდებოდა, ძველი, მკვიდრი, კაკლის მაგიდაი. იქ ორმოცდაათ კაცზე ნაკლები არასოდესა სადილობდა დიდი არჯევანის

დროსა, მაგიდა ორმოცდაათზე მეტისათვის გაჭიმულიყო; ახლა იმ სიგრძედ არცა შლიდნენ სუფრასა, ერთ კუთხეში მიიკუნჭებოდნენ და, ცარიელ მაგიდას რო გაჰყურებდნენ, წარმოიდგენდნენ, თუ ვინ სად იჯდა, ვინ როგორა ხუმრობდა, ვინ როგორი სმა იცოდა, ვინ როგორი ჭამაი, ვინ ჭინჭყლი იყო, ვინ ამტანი, რასა დავობდნენ ან რა იყო გასართობი; წარმოიდგენდნენ, მოიგონებდნენ, ან მიატანდნენ ცრემლსა, ან იცინოდნენ, ან წაკინკლავდებოდნენ ესენიცა თუ სხვადასხვაგვარად დახსომებოდათ; დები წაკინკლავდებოდნენ, აცდიდა გურანდუხტი, აცდიდა, აცდიდა და რო იტყოდა, ვეღარავინ გადაუჭრიდა სიტყვასა, ვერ გადაუჭრიდა თვით გულქანიცა. სადაო იწყებოდა დიდი ჯიხვიდანა, მოიგონებდნენ, თუ ვის როდის დაელია ის დიდი ჯიხვი, – გულქანი ამტკიცებდა, არავის დაუცლია დიდი არჯევანის გარდაო, ნაზიბროლა და ელენე სხვებსაც მოიგონებდნენ, – ელენე, მაგალითად, თავის მეუღლესა პირველყოვლისა, ნაზიბროლა ვერა ბედავდა მეუღლის ხსენებასა, მეჯვარეს ასახელებდა, ცხადია, თავის მეჯვარესა. დავა გრძელდებოდა, ბოლო არ უჩანდა მტკიცებასა, ხოლო ჯიხვი გაშოტილიყო კარადის თავზედა, დიდი კარადის თავზედა, თავიდან ბოლომდის გადაშოტილიყო, ვინ იცის, როდის აქეთია აღარავის მიეტანა ტუჩთანა. ბევრი სხვა ჯიხვიც აღარავის მიეტანა ტუჩთანა, იმასთან შედარებით მომცრონი, მაგრამ თავისთავად მოზრდილნი, შემაშინებელნი. ისინი კარადაში ეწყო. ის ჯიხვთა, ყანწთა კარადა გახლდათ. რა ზომის ყანწი არ შეგხვდებოდათ, რა სევადისა, ძნელია ჩამოთვლა, თუმცა, არც ისე ძნელია, ყოველშემთხვევაში ჩემთვის არ

არის ძნელი, შენთვისაა მოუთმინარი. აღწერილობანი გამხდარა მოუთმინარი. ჰოდა, რატომ გაგიწყვიტო ძაფი მოთმინებისა, რატომ ჩამოვყვე, თუ რა სევადისანი იყვნენ ის ყანწები, რომელ და როდინდელ ოსტატთა ნახელავნი, როდის შეძენილნი, სად შეძენილნი, ან მორთმეული როდის და ვისგანა? რო ჩამოვყვე, ისტორია გამოვა გვარისა, ჯიხვი რა არის, ყანწი რა არის, იქიდანაც ამოვა ისტორია გვარისა. დავეხსნები თუ ესეც მოუთმინარია, ვიკმარებ: იდგა დიდი კარადაი, ეწყო ჯიხვნი, ყანწნი უამრავი ზომისანი, უამრავი, უმომხიბლავესი სევადისანი. სხვა კარადაც იდგა მოშორებითა, იქ თიხის სასმისები ეწყო: ჯამები, მარნები, კულები, ჭინჭილები, სხვადასხვაგვარად მოყვანილნი, უამრავნი. იდგა ბროლის სასმისთა კარადაცა, ვერცხლის სასმისთაცა. ჭურჭლეულისას არაფერს გეტყვით, რადგან ლეკო მხოლოდ ამ კარადებთან მიდიოდა, აქედან გამოჰქონდა სასმისები, სხვადასხვა სასმისი სხვადასხვა სადღეგრძელოსთვისა, გამოჰქონდა მოზრდილნიცა, მომცრონიცა, გამოჰქონდა თამამადა, ეშხიანადა, მხოლოდ თვალიც არ აუყოლებია კარადის თავზე გადაზმორებულ ჯიხვამდისა.

ლეკო თამადობდა, რაღა თქმა უნდა, თამადობდა და ორატორობდა, არა ჭირვეულობდა, ღვინოს არ აძალებდა არავისა, არცა ქალებსა, არცა ნიკოსა. სხვა არც არავინ გამოჩენილა, თუნდაც გამოჩენილიყო, არ დააძალებდა, არა სჩვეოდა გამოდევნება თუ გამოჯიბრებაი, სვამდა თვითონა. ვიდრე შეეძლო, წვეთს არ დაიკლებდა, რო აღარ შეეძლო... ჯერ შეეძლო, ადღეგრძელა ყველა სათითაოდა, მოიგონა მიცვალებულნი, ცრემლიც ამოიწმინდა, ზოგზოგე-

ბისათვის ისე დასწვოდა გული, მოიგონა დაღუპულნი ან გადაკარგულნი ამა წინარე მოვლენათა გამოისადა... გულქანის საქმრო მოიგონა განსაკუთრებული მღელვარებითა, ბარძიმ ზედახეველი მოიხსენია, საარაკო ვაჟკაცი გარეგნობითა, სიმარდითა, სიმახვილითა. ბრმად დაიღუპა ის საცოდავი, ჯირითში დაიღუპა, მერეღა გამოაცხადა გულქანმა თავის საქმროდა, შავები ჩაიცვა. აწირვინა, ვინ უწყის, რამდენჯერ გადაიხადა პარაკლისი, ხატად დაისვენა იმისი სურათი, გულზეც დაიკიდა შიბითა, ვინ უწყის, რამდენჯერ გამოიტირა და კვლავაც მისტიროდა იმის სულსა; მართლაც, ვინ უწყის, თუ რამდენჯერ გადაბრუნდა საფლავში საწყალი ბარძიმი, მაგრამ ვერავის შეებედნა გულქანისთვისა, დაეხსენ, ნუ აწამებ, საიდან სადაო, რამ მოგაფიქრაო, – ვერავის შეებედნა, ლეკო ვითომ ისეთი რა რაინდი ბრძანდებოდა, არ დაელია სადღეგრძელოი ბარძიმ ზედახეველისა, ნუგეშინი არ ეცა აცრემლებულ გულქანისთვისა, თუნდაც რო ეგრძნო ლამის რო ეხილა თვალდათვალადა თუ ერთხელ კიდევ როგორ გადაბრუნდებოდა საფლავში უღვთოდ უბედური ბარძიმ ზედახეველი, უღვთოდა, უწყალოდა, ჭეშმარიტადა.

ლეკო თამადობდა და ლეკო თვრებოდა... დათვრა. და რახან დათვრა, ველარც ადგილზე მოისვენებდა, აცუნცრუკდებოდა. ჰოდა, აცუნცრუკდა, ახტა, დახტა, ირინესა და მერის შუა ჩახტა. მყისვე წამოდგნენ ისინი, გურანდუხტმა ანიშნა და წამოდგნენ, თავი დაუკრეს ლეკოსა, გამოემშვიდობნენ, გაფრთხიალდნენ. მოიცადეთო, რა დროსიაო, სად მიდიხართო, შეიცხადა ლეკომა, მაგრამ არც გამოეპასუხნენ, არც მოიცადეს, ამანაც არად ჩააგდო იმა-

თი წასვლაი, ახტა, დახტა, ზეინაბისა და სალომეს შუა ჩახტა. აიშალნენ ისინიცა, გურანდუხტმა ანიშნა და ისინიც აიშალნენ მყისვე, თავი დაუკრეს, გამოემშვიდობნენ. რა დროსიაო, ნუთუ საძილედ მიეშურებითო, ბალღები ჰო არა ხართო, დაარცხვინა ლეკომა, მაგრამ არ დაირცხვინეს, არც მოიცადეს, არც ამან ჩააგდო არაფრადა, ახტა, დახტა და ელენესთან ჩახტა, კიდევ არაუჭირს რა, ხანში შევიდა, მაგრამ მოსდევს ძველი ეშხიო. ეს გაიფიქრა, ოღონდ ხელის გამოღება ვერ მოასწრო, თავი დაუკრა ელენემაცა, გავიდა ღირსეული თავდაჭერილობითა. ამას თვალიც არ გაუყოლებია, მაშინვე ახტა, დახტა და ნაზიბროლასთან ჩახტა, ჩახტომაც ვერ მოასწრო, გავიდა ნაზიბროლაცა. ამღვრეული თვალები მიმოატარა ლეკომა, კვლავაც უნდა ამხტარ-დამხტარიყო, მაგრამ არც ისე ამღვრეოდა თვალები, რო ისევ გულქანისა და გურანდუხტის შუა ჩამხტარიყო; ჟინი ამღვრეოდა, სურვილი ამღვრეოდა, ვერც იმდენი გაებედნა, გაჰკიდებოდა გასულებსა, თითები ეხლართებოდა, ეხვლანჯებოდა ამღვრეულ თვალებთანა, თითქოს თვალები უნდა ამოიყაროს ან ღაწვები ჩამოიხოკოსო, მაგრამ არ მიჰკარებია არცა თვალთა, არცა ღაწვებსა, მუშტებად შეჰკრა ის დახვლანჯული თითები და იყვირა, ჯერ ჰო მთავარი სადღეგრძელოები არც მითქვამსო.

– ბრძანე... – გამოეპასუხა გურანდუხტი.

– ვბრძანო? – გაიკვირვა ლეკომა, მიმოატარა ამღვრეული და გაკვირვებული თვალები, ვითომდა რაო, ვილასთვისა ვბრძანო, სუფრა გაიცალაო.

– დროა მოისვენონ ქალიშვილებმა... – განუმარტა მტკიცე ადათის მიმდევარმა დიდედამა.

– ქალებმა?!

– იმათთვისაც დროა... უკვე დროა! – ეს ისე გამოსთქვა, მალე ჩვენც ავდგებითო.

– მოიცათ! – შესძახა ლეკომა, შესძახა და ეძგერა ჯიხვების კარადასა, არია, აბურდა, ვერ გამოარჩია, ვერ გამოერჩია, ალბათ თვითონაც შიგ ჩარჩებოდა, გულქანი რო არ მიშველებოდა:

– რას ეძებ?! აიხედე! – მიეშველა ამ სიტყვებითა. იმანაც აიხედა, სახე გაუნათდა, აიხედა თუ არა, სწორედ ამას ვეძებო, შესძახა და ცერებზე აიწია, ჩამოიღო ვეება ჯიხვი, ტუჩები მოუკოცნა, მერე ორივე ხელი შემოაჭდო მოკოცნილ ტუჩებზედა, ჭვინტით დააყრდნო იატაკზედა, გამივსეთო ბრძანა. ნიკომ გაუვსო, გაუვსო და შიშით გამოეცალა, შორს გაიწია, გავიდა გრძელი მაგიდის ბოლოსა, შორიდან ნაკლებ საშიშად მოსჩანდა ჯიხვი.

– მე ახლა ვიწყებ, – რიხიანად განაცხადა ლეკომა, განაცხადა და გადმოკარკლა თვალები, თითქოს დაბეჭდა თავისი ნათქვამიო, – აქამდის რაც მოგახსენეთ, ის ჰო იყო და იყო, ამიერიდან რასაც გეტყვით, აი, ის იქნება, რაც იქნება. მე გამოცანების თამადა არა ვარ და აქედანვე მოგახსენებთ თუ ვისი სადღეგრძელოა, ბექას სადღეგრძელოა, თქვენი ბექასი, ჩვენი ბექასი. დედა უნდა ისმენდეს ამ სადღეგრძელოსა, მაგრამ რახან მოსვენება ინება, ინებოს, თქვენ მოისმინეთ და გაიგონეთ კარგი ყურითა; თქვენ გაიგონეთ ქებაი ბექასი, მალე რო გამოვა თავისი ციხე-სიმაგრიდანა, ზარებს ჩამოჰკრავს და გვაუწყებს აღდგომასა. უკვე მარტოდ აღარ ითვლება, აგერ ჩვენი სტუმარი, ეს მოკრძალებული ყმაწვილი ამოუდგება მხარში...

– ბატონო ლეკო!.. – ნიკო წამოიჭრა, ვედრების ხმა აღმოხდა და ხელებიც განიწოდა ვედრებისადა.

– ნუ გეშინიან, – დაამშვიდა ლეკომა. – აქ უცხო არავინ არის, ნუ გეშინიან, მე ლეკო თათაშელს მიძახიან და იმიტომაც მიძახიან ლეკო თათაშელსა, რო უადგილო ადგილას არაფერი წამომცდება, აქ ითქმის და მეც ვამბობ, თუ რა მოვალეობა დაგკისრებია, რა მოვალეობა აგვიღია კისრადა. დიახ, აგვიღია, რადგან მეც შენთანა ვარ, მეც თქვენთანა ვარ და მე ვიცი, სად რა უნდა ვთქვა...

– ბატონო ლეკო!

– დამაცადე!

– ველარ დაგაცდი...

– დამაცდი!

– ვერა!..

– მაშ, აჰა, შენა თქვი, შენთვის დამილოცნია ეს ჯიხვი... – ასნია ორივე ხელითა და გაუწოდა; ან რალა აწევა უნდოდა, ისედაც გულის კოვზამდისა სწვდებოდა.

– უმაგისოდ ვიტყვი. ტყუილია, არ არის მართალი, რაღაც გაუგებრობაა, არ ვიცი რადა, არ ვიცი რისგანა, მე არაფერ შუაში არა ვარ, საამისო საბაბი არავისთვის არ მიმიცია, რად მომახვიეს თავზე, არ ვიცი, ან რა მომახვიეს, გეფიცებით, არც ეს გამეგება, მე მხოლოდ სიმღერების შესაკრებად ჩამოვედი!..

– ჯიხვი ჩამომართვი...

– მე მხოლოდ სიმღერების შესაკრებად ჩამოვედი, მაგრამ ამიხსნა ელიზბარ ხეთერელმა...

– ჯიხვი ჩამომართვი-მეთქი!..

– მაგრამ ამიხსნა ელიზბარ ხეთერელმა, რო ახლა არ არის საამისო დრო და მირჩია, გავცლოდი აქაობასა.

– ვის გაუბედია ამდენი ლაპარაკი უსასმისოდა?!

– მირჩია გავცლოდი აქაობასა, მეც მინდა გავეცალო, ვერ გავცლივარ და ჩემს გარშემო იქმნება რაღაც ზღაპრები, დაუჯერებელი ამბები...

– სასმისიმეთქი... ჯიხვიმეთქი... ისე როგორ იქნება ლეკო თათაშელის სუფრაზედა?..

– ... დაუჯერებელი ამბები... ბატონი ლეკო უნდა მშველოდეს, უნდა გამიფანტოს ეს ზღაპრები, მაგრამ ეგ პირიქით...

– კმარა!

– არა! მე გითხარი, ბოლოსდაბოლოს მტკიცედ უნდა მოვილაპარაკოთმეთქი...

– მეც გითხარი და ადგილიც დავთქვით... აქ სუფრაა, სადღეგრძელოებია, მე ახლა ვიწყებ და ვინც არ დადუმდება, ღვინოს შევასხამ სახეში...

– ლეკო! – ხმას აუწია გურანდუხტმა.

– მაშ გაჩუმდეს... – მოლბა ლეკოი.

– გავჩუმდები, ოღონდ იცოდეთ, რო მხოლოდ სიმღერების შესაკრებად ჩამოვედი.

– კეთილი... ვითომცა გვჯერა... ეგრე იყოს, მე ვსვამ ბექას სადღეგრძელოსა... – და განაგრძო ქება ბექასი ანუ რა განაგრძო, ძნელი გასამეორებელია, რადგან აქ იყო აღრეული ქება სხვათადასხვათაცა, განსაკუთრებით საკუთარი თავისა; მოგონებანიც იყო, მოგონებანი სხვათადასხვათა, განსაკუთრებით მოგონებანი საკუთარი თავგადასავალისა. ეს თავგადასავალი გმირული გახლდათ, რა თქმა უნდა, თვითონ ყოველთვის მხსნელი იყო, ცხადია, და ცხადზე უცხადესია; კიდევ რაღაც-რაღაცები გამოერეოდა თვითქებასა თუ თვითაღტაცებასა, ბოდვისმაგვარი გამოერეოდა და ბოლოს მთლად ბოდვად იქცა. ტორ-

ტმანებდა სიტყვა, ტორტმანებდა კაცი, ტორტმანებდა ყანნი, რომელიც დიდი ხანია აღარავის დაეცალა, ან არც არავის დაეცალა არასოდესა, ხოლო წვალებით აქამდისაც ბევრს ეწვალებინა, კიდევაც ბევრი გააწვალებდა ამიერიდანა... ოღონდ ჯერ ისევ ლეკოს ეპყრა ხელთა, დაჰყურებდა ლალისფერ, ატორტმანებულ ღვინოსა, დაჰყურებდა და ბოდავდა, ხოლო საბოდვარი რო დაელია, როგორღაც გამოსთქვა მკაფიოდა, თუ გამოამტვრია კბილებში, ისე მტერი დაგეცალოთო, როგორც ეს დავცალოო, გამოამტვრია და დაეწაფა; ჰო ეგონა დავეწაფეო, ეგონა, თორემ ჩამოიღებდა, რადგან ერთი ყლუპი თუ ყელში გადასდიოდა დანარჩენი ეღვრებოდა მხრებზედა, გულზედა, ორტოტად ეღვრებოდა, უბეც ევსებოდა, მკლავზე ჰო მოჰხვეოდა და მოჰხვეოდა გრილადა. დიოდა ასე, დიოდა სამ ღარადა, ერთი ყელშია, ორი მხრებზედა, დიოდა და თითქოს არც არაფერი აკლდებოდა, მოდგაფუნებდა, მოტორტმანებდა, მოღელავდა, მობუტბუტებდა, მერე ისევ დაიდგაფუნებდა, გადაეღვრებოდა ცხვირპირზედა, თვალებს ამოუვსებდა, დაინივლებდა ნესტოებშია, დიოდა კიდევა, მოჰქროდა, მოჰქონდა სუნი შორეული მღვიმეებისა, შორეული და გრილი მღვიმეებისა, ისეთივე გრილი, თვითონ რო იყო, ღვინოს რო უნდოდა მცხუნვარე დღეებში შესანახადა; მოჰქონდა სუნი, მოჰქონდა სიგრილე და იდუმალება, მოდგაფუნებდა, მობუტბუტებდა, დიოდა მხრებზედა, ყიჭყიჭებდა ყელში... დაბრუნდა, დატრიალდა ჯიხვი, აღარცა დგაფუნიო, აღარცა ბუტბუტიო, აღარცა ყიჭყიჭიო, აღარცა იდუმალება შორეული, გრილი მღვიმეებისა, მხოლოდღა ბრუნვა დაეუფლა ჯიხვსაცა, კაცსაცა.

დატრიალდა, დატრიალდა ჭერიცა, იატაკიცა, მაგიდა ავიდა ჭერზედა, თავდაყირა გადმოჰხედეს გურანდუხტმაცა, გულქანმაცა, მერე თვითონ მოექცა ჭერსა, ქვემოდან ნიკო ევედრებოდა, ჩამოდიო, არ ჩამოვარდეო, ხმას აღარ გაგცემო, აღარ აგიხირდებიო, მერე... მერე აღარაფერი დაუნახავს, აღარაფერი მოსჩვენებია, დაასკდა იატაკსა, ყანწმა დაიტანა, დაესვენა გულზედა და კვლავ ჩაჰბუტბუტებდა სიყვარულითა, ჩაჰბუტბუტებდა, ოღონდ ამას აღარ გააგებოდა არცა ბუტბუტი ძველისძველი ჯიხვისა, არცა სიგრილე იდუმალი მღვიმეებისა, აღარ იყო წუთისოფლისა... იდგა ლალისფერი გუბე, იწვა ლალისფერ გუბეშია.

XIII

ყოველთვის იქ არ იწვებოდა, რა თქმა უნდა, ასწიეს და ჩაიყვანეს, ან უფრო, ჩაიტანეს მისთვის განკუთვნილ ოთახში, ჩაიტანეს, გაჰხადეს ამონუნული სამოსი და წააფარეს საბანი. თავს ადგა ნიკოცა, მერე დაბორიალებდა იავანზე, უნდოდა ეთქვა, უნდოდა საბოლოოდ გადაერწმუნებინა, მაგრამ იცოდა, ვერ ჩააგდებდა გონებაშია და დაბორიალებდა აივანზედა, მეტი რა ჩარა ჰქონდა? ეგება ქალებთან მიბრუნებულიყო? არა, არ იქნებოდა, გამოემშვიდობნენ, ღამე ნებისა უსურვეს, ბოდიშიც მოუხადეს ლეკოს საქციელის გამო, მღელვარედ მოუხადეს ბოდიში, ვეღარ მიუბრუნდებოდა, ვეღარ შეანუხებდა... მაგრამ როგორღაც სხვაგვარად გამოდიოდა იმა ბოდიშიდანა: ყველაფერი ეს მართალია, ცხადია

მართალია, ოღონდ დუმილი მართებს ლეკოსაო, – ასე გამოდიოდა გულქანის ნათქვამიდანა; ხოლო გურანდუხტი თითქოს საყვედურსაც შეაპარებდა: განა რა დასდგომია ენაზე ლეკოსა, ნუთუ არ იცნობდი, არ უნდა გაგემხილაო. მართლაც შეაპარა, აივანზე რო დაბორიალებდა, მაშინღა მიხვდა, თორემ წელან მხოლოდ ბოდიში ჩაესმოდა, ეს რა გვიყო, რატომ გაგვიფუჭა ტკბილი საღამოო, მაგრამ თქვენი გაცნობა მაინც ისეთი სასიამოვნოა ჩვენთვისა, მსგავსი უხერხულობანი არაფრად ჩასაგდებია, ოღონდ თქვენ მოგვიტევეთ, ოღონდ თქვენ ნუ შეწუხდებითო, – ასე ჩაესმოდა, ასე ამბობდნენ, საყვედური საიდანღა შემოაპარეს? – იფიქრა, იმტვრია თავი, ვერა და ვერ გაიგო; ან რაღად უნდოდა გაეგო, თუ როგორ შემოაპარეს – ჰო შემოაპარეს, ჰო სჯეროდათ, რო შეხვდნენ შეთქმულსა, აჯანყებისა თუ რაღაც ამგვარის მოთავესა? ჰა?! სჯეროდათ?! დაიჯერეს?! როგორ ეუარა, შეეჭიდა ლეკოსა, რა მკაცრად შეუძახა, შეუყვირა, ასე არასოდეს არ აღელვებულა, ასეთი ცილისწამება არასოდეს არ შეჰხვედრია, როგორ შეშფოთდა, მაინც დაიჯერეს?! იმას დაუჯერეს და ამას არა, მცდარს დაუჯერეს და მართალს არა?! როგორ იქნება, როგორღა, რანაირადა?! როგორ გადაარწმუნოს?! ეგება ჯერ არც დაუძინიათ, ეგება ისინიცა ფხიზლობენ, მსჯელობენ, ეგება არც უნდათ, ფარული ზრახვების ადამიანი რო შეჰფარებია იმათს ჭერსა, ეგება ვერც მორიგებულან, თუ როგორ მოიწყვიტონ თავიდანა, ეგება უნდათ, ძალიანაც უნდათ და უკვე აფრინეს კაცი ბექასთანა?! ჰა?! ე რა დავიდარაბაში ამოჰყო თავი, რა ჭირში ჩავარდა?! რას მიქვიან თუ უკვე უსურვეს ძი-

ლინებისა, რას მიქვიან წესები თუ უხერხულობანი, ახლავე უნდა აუხსნას, ახლავე უნდა გადააჯეროს, გადაარწმუნოს, გადაავიწყოს, თორემ მერე და მერე უფრო გაძნელდება, ეჭვად იქცევა, ფეხს გაიდგამს, გაიჯეჯილებს, ვეღარ ამოფხვრის გაჯეჯილებულ ეჭვსა, ახლავე უნდა...

და გადაეშვა, მართლაც გადაეშვა, ერთი ნახტომით გადაევლო რამდენიმე საფეხურიან კიბესა, გადაევლო და მოთავდა ამითი; თუმცა არა, რა მოთავდა, – კაი გვარიან გულისხეთქებას გადაეყარა: რაღაცა წამოიფაფრა, და ეძგერა, იქიდან მეორე წამოიფაფრა, წამოვიდა მეტის მრისხანებითა. ეს დაზიდა შიშმა, შიშმა დააგდო ძირსა, მადლობა ღმერთსა, ძირს დააგდო, ამდაგვარი შიში გამოდგა, აიყვანა და დაახეთქა, თორემ არის შიში სხვაგვარიცა, გაქცევა იცის იმა შიშმა, სხვაც იცის, ბევრი რამ იცის, ოღონდ იმჯერად, გაქცევისა თუ აღმოჩნდებოდა, მშვიდობით წუთისოფელოო, ნაკუწ-ნაკუწებადღა თუ აჰკრეფდნენ ახალგაზრდა კომპოზიტორსა, მოგზაურსა ხალხური სიმღერების შესაკრებადა, არჯევნელთა სტუმარსა; დაფლეთდნენ არჯევნელთა ძაღლები, დაფლეთდნენ, დაანაკუწებდნენ, გასცლიდნენ ძვალსა და ხორცსა. ჰოდა, მადლობა ღმერთსაო, ძირს რო დააგდო შიშმა. ძაღლებიც დაყუნცდნენ, დაელოდნენ აფოფრილნი, აძაგრულნი, მოზიდულნი. ნაქცეულს არ დააცხრებოდნენ, არა, შერჩენოდათ ეს წესი, ეს სული რაინდული, ყველა და ყველაფერი შეცვლილიყო, გადასხვაფერებულიყო, დამდაბლებულიყო, ესენი არა, კვლავაც ფეხზემდგომს შეეჭიდებოდნენ, ჩამოეხსნებოდნენ, ჩაფერხილსა, ღირსეულად ჩამოეხსნებოდნენ, ღირსეულადვე დაელოდე-

ბოდნენ, სული მოითქვას, ძალა მოიცეს, დაცემულთან ბრძოლა რა ვაჟკაცობა�ო. ეს ვინ უწყის, როდის მოითქვამდა სულსა თუ ძალასა, როდის მოიფიქრებდა თუ რა ეღონა, ანკი რას მოიფიქრებდა, შინ შებრუნების მეტსა, მაგრამ შებრუნებასაც წამოდგომა უნდოდა, ხოლო წამომდგარს ისევ დასცემდნენ, ან არც დასცემდნენ ეგრევე, ზეზეულა აუგებდნენ ანდერძსა. ერჩივნა, გდებულიყო ეგრე ურხევლადა, გდებულიყო კიბესთანა, მოკუნტულიყო, მოხრილიყო, სახე ჩაემალა როგორმე ისე, რო გადარჩენოდა, სახე მაინც გადარჩენოდა, თუ ვთქვათ ტანს გააცლიდნენ, მოთმინება დაელეოდათ და გააცლიდნენ ტანსა; ერჩივნა, გდებულიყო ეგრე და ენატრა, მოთმინება არ დაელიოთ არჯევნიანთ ქოფაკებსაო, წესს არ გადავიდნენ, არ გამოეფიტოთ რაინდული სულიო.

შიში მაინც გააქრობდა, გააქრობდა მაშ რაო, – განა გატვრენილიყვნენ ქოფაკები, განა გაქვავებულიყვნენ და ისე დალოდებოდნენ. არა, რა სათქმელია, იღრინებოდნენ განუწყვეტლადა, იღრინებოდნენ ხმადაბლადა, ოღონდ შემზარავადა, ხანდახან კბილებს გააკაპუნებდნენ, გაამწკლატუნებდნენ ენასა, თითქოს თბილი სისხლი მოხვდათო, გაამწკლატუნებდნენ და მოადევნებდნენ დაგუდულ ღრენასა. წინწინ არ მოინევდნენ, სადაც დაყუნცდნენ, არ იძვროდნენ იქიდანა, მაგრამ დროდადრო ასწევდნენ წინა ფეხებსა, აიმართებოდნენ და გადაგადმოქანდებოდნენ, შეკანკალდებოდნენ, შეიზრიალებდნენ. გაძლება უნდოდა, ატანა უნდოდა, როდემდის გასძლებდა, წინ იდო ღამეი, არცთუ ნათელი ღამეი, ღრუბელი თუ წამოფოფრილიყო, თუმცა რა

ბედენაა თუ როგორი იქნებოდა ღამეი იგი შემზარავი, ბნელი თუ ნათელი, რა ბედენაა!

და მოულოდნელად ღრენას დაესხნენ ქოფაკები, ღრენას დაესხნენ და აწკმუტუნდნენ სიამისადა, მისალმებისადა, მუქარისასაც არ ივიწყებდნენ, თითქოს ვილაცას ატყობინებენო, აგერ აქაა, გვიბრძანე და გავათავებთო. ამან გადიწყვიტა ბედი. და ბედი რო გადიწყვიტა, ხმა მოესმა ადამიანისა:

– რომელი ხარ?

– მე ვარ... – წაიზმუკუნა, თავი მაინც არ აუღია, მოგზაურსა ცხადია.

– ვინ შენა?!

– სტუმარი...

– ჰოოო... რა მოგსვლია?

– არაფერი... ოღონდ ძაღლები...

– ჰოოოო... – ოდნავ გაიცინა, – ნუ გეშინიან, ადექი!..

ადგა. საშიში მართლაც აღარაფერი იყო, მორჩილად დაყუნცულიყვნენ ქოფაკები, შეჰყურებდნენ ახალმოსულსა, – ეს აღარც ახსოვდათ – ევედრებოდნენ, ოღონდ გვიბრძანე, ოღონდ ამის ჯავრს ნუ შეგვაჭმევო. არაფერი უბრძანებია: შინ შევიდეთო, სთხოვა სტუმარსა. შევიდნენ. უფრო ბნელოდა ოთახშია, გარეთ ვერ გაარჩია, შიშმა არ დაანება, შიგნით მითუმეტეს ვერ გაარჩია, ვინ იყო თუ როგორი იყო ის მოულოდნელი მხსნელი. ვინც უნდა ყოფილიყო, მადლობა მართებდა და მოიმართა მადლობისადა.

– რა სათქმელია... – გაუქარწყლა მოსულმა. – მხოლოდ ეს მითხარი, რა დავიჯერო ლეკოსი?

– არაფერი, არაფერი, ღვთის გულისათვისა!.. – შეევედრა მოგზაური.

– სულ არაფერი?!

– არც იოტისოდენა...

– არა?!

– არა! ღვთის გულისათვის, თქვენ მაინც დამიჯერეთ, არ ვიცი, ვინა ბრძანდებით, მაგრამ რახან მეკითხებით, უნდა მოგახსენოთ, რო უცნაურად გავიხლართე რაღაც ზღაპრებში, ვიღაცის მაგივრად მიმიჩნიეს, ან უბრალოდ დაიბნენ და მომაწერეს ჩემთვის გაუგებარი და უცნაური რამ. – მიაყარა ფიცხლადა, სულმოუთქმელადა, ფიცხლადვე განაგრძო, – ჩემი განზრახვა ჩვეულებრივია, ანუ მუსიკოსისათვის ჩვეულებრივია, ხალხური სიმღერების შეკრება მოვინდომე და როგორცა სჩანს, მოვინდომე უდროუდროსა, ეს კარგად ამიხსნა ელიზბარ ხეთერელმა, ამასვე მანიშნებდა ჩემი მასწავლებელი გიორგი ყანჩაველი. მე გიორგი ყანჩაველის მოწაფე ვარ. შეგიძლიანთ შეატყობინოთ, ის განგიმარტავთ... არ ვიცი, რას ამბობს ლეკო თათაშელი, ან სხვას რა მოეჩვენა, ან რა ხდება, ან რა უნდა მოხდეს, არაფერი ვიცი, მხოლოდ მუსიკაა ჩემი საქმე, სიმღერა, მელოდია, მხოლოდ... მოიცათ!

კარი გაიგდო უცნობმა. ეს გაედევნა:

– მოიცამეთქი!.. ვიღაცამ ჰო უნდა დამიჯეროს?! უნდა ვიცოდე, გჯერათ თუ არა...

– მჯერა... – კიბიდან მოისმა, – გეყოფათ!..

შეჰყეფეს ძაღლებმა, თითქოს დაბეჭდეს ნათქვამიო; ძაღლებმა შეჰყეფეს და ესეც შებრუნდა ცივცხელადა, შიშიც შემოუბრუნდა, ემანდ შინ არ შემომიცვივდნენ ქოფაკებიო, შემოუბრუნდა და გაუბრუნდა, მიხვდა, შინ არ შემოუცვივოდნენ, თუმცა არც გარეთ გაუშვებდნენ, მაგრამ ჯანდაბას, ოღონდ

შინ არ შემოსცვივნოდნენ. გარეთ არ გაადგამდა ფეხსა. არც გაუდგამს, არც მოუსვენია, იბორიალა იმ პატარა ოთახში, იბურდღუნა, იდავა, ეკამათა ლეკო თათაშელსა, რამდენჯერმე გაამტყუნა, მოაბოდიშა, ფიცი დაადებინა, რო დილაადრიან გაეშურებოდნენ იტრიელებთანა და მერეღა წამოწვა დამშვიდებული, ვითომ მართლა მოებოდიშოს ლეკო თათაშელსა, ვითომ მართლა აღეთქვას, ხვალ უკვე იტრიელებთან ვიქნებითო. ყოველშემთხვევაში ერთხელ კიდევ გაიმეორა წარმოსახული კამათი და თუ ხვალ სწორედ ისევე მოხდებოდა, მორჩა, წინააღმდეგობის ძალა აღარ ექნებოდა ლეკო თათაშელსა... ამ იმედით წამოიჭრა დილაადრიანადა, წამოიჭრა და შეეჭრა, ელოდა მკაცრ შეპასუხებასა, მკაცრივე სიტყვები მოემზადებინა. ამაო გამოდგა ეს სამზადისი, ღრმა ძილით ეძინა ლეკო თათაშელსა, ეძინა დამშვიდებული სახითა, ტკბილადა, ნებივრადა, ეძინა, როგორც ყოვლად კმაყოფილ კაცსა, ვისაც არაფერი სტკენია, არაფერი წახდენია, არ დაჰკარგვია, არც დაჰკარგავს, არც წაუხდება, ავი არა სმენია მახლობელთა, არც გაიგონებს არასოდესა, არავისთვის უწყეინებია, არც ეს განაწყენებულა არავისგანა, მხოლოდ განცხრომაში ყოფილა, მხოლოდ განცხრომა ელის მარადისა; თუმცა, ვინ უწყის, როგორა სძინავს ასეთ ადამიანსა, არავინ შეხვედრია, არავის უთქვამს, არავის დაუხატავს, არცა ყოფილა, ალბათ არა ყოფილა, – არ იქნებოდა, არც ძილი იქნებოდა ისეთი, მაგრამ ეს მაინც ისეთსა ჰგავდა, თუ იქნებოდა, ასეთი იქნებოდა, ასეთი წყნარი, ნეტარი, ნებიერი.

და დადრკა ნიკოი, დადრკებოდა მაშ რაო, რას შეჰბედავდა ასეთ სიმშვიდესა?! დადრკა და გამობ-

რუნდა ფეხაკრეფითა, კართან რო მივიდა, ერთიც გადაჰხედა, გადაჰხედა და შეყოვნდა: თვალი გაეხილა ლეკოსა. ამას არ შეჰყურებდა, არც არაფერს უცქეროდა, თითქოს ფიქრებს შეალერსებოდა, ტკბილ ფიქრებსა, ლაღსა, სანეტაროსა. არავინ უნდათ ასეთ დროსა, სიმარტოვე უნდათ, რო გახანგრძლივდეს გაბრუებაი, გაიგანოს ტკბობამა ნეტარი ფიქრებითა: ჰო, არავინ უნდათ, მაგრამ ეს მაინც არ გავიდა, შემობრუნდა, იქვე ჩამოჯდა და ასე მიმართა:

– ბატონო ლეკო, მომიტევეთ, რო გაგაღვიძეთ, ცოტა ავღელდი და ამის ბრალია. მართალი რო ითქვას, ჩემს აღელვებაში თქვენც მიგიძღვით წვლილი, მაგრამ მაინც არ უნდა გამეღვიძებინეთ, უნდა მომეცადა. იმედია მაპატიებთ! ახლა, თუ რატომ შემოვედი: რაც მოხდა, მოხდა... არ ვიცი, ეს როგორ იმოქმედებს შემდეგა, რა კვალს დასტოვებს ჩემში, ოღონდ რაც უნდა იყოს, ახლა დაწყნარებული განსჯა მმართებს და წყნარ განსჯას იმ დასკვნამდე მივყევარ, რო მკაცრად მოგთხოვოთ, დამთავრდეს ჩვენი ეს უთავბოლო მგზავრობაი, შეასრულოთ, რაც გითხრეს, რის პირობაც დასდეთ, პირობა პატიოსანი კაცისა, ხოლო თუ მაინც გაჯიუტდებით, მაშინ იძულებული ვიქნები ჩამოგცილდეთ და მევე ვეწიო ჩემს გზასა. ეს უკვე გადაწყვეტილია, ჩვენ უნდა განვშორდეთ, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ თქვენ უკვე დაგავიწყდათ, ვინ ვარ და სად უნდა მიმიყვანოთ; თუ გახსოვთ, თუ თქვენი სიტყვის პატრონი ხართ, აბრძანდით და გავუდგეთ გზასა. ახლავე, ამ წუთში, მხოლოდ ის ხანი დავაყოვნოთ, გამომშვიდობებას რაც უნდა. რას იტყვით?

არაფერსა... იგივე, მშვიდი სახეი, მშვიდი, წყნარი, თითქოს არასოდეს აღშფოთებულაო, იგივე ღია

თვალები, აღსავსე ფარული ნეტარებითა. ეს შეშინდა, ჰო არ გათავებულა, მიცვალებულს ჰო არ ველაპარაკებიო. მაგრამ მიელულა თვალები, მერე გააღო, თანაც სუნთქავს, აი, სუნთქავს მშვიდადა, ოდნავადა. არა, მიცვალებული არ უნდა იყოს, არც უნდა უსმენდეს, აბუჩად იგდებს?!

– აღმაშფოთებელია! – თქვა მოგზაურმა, თავისთვისა თქვა მოგუდული ხმითა, უფრო ხმამაღლაც გაიმეორა, არა, არ შერხეულა ლეკო თათაშელი, თვალიც არ დაუხამხამებია, მხოლოდ რაღაც ოდნავმა ფერმა გადაჰკრა სახეზე, უამურობის ფერმა, გადაჰკრა და გადაუარა, ჩრდილიც დაეფინა ერთი წამითა, მქრქალი ჩრდილი, ისიც გადაშორდა. – არ მოგწონთ ჩემი ნალაპარაკევი?! – იკითხა იმანვე, მოგზაურმა რაღა თქმა უნდა – არ მოგეწონებათ, ვატყობ, ასე ადვილად ვერ შემელევით, რაღაც სასარგებლო იპოვნეთ ჩემში, სასარგებლო თქვენთვისა, თქვენი გართობისთვისა. ხმებს მივრცელებთ, ტრაბახობთ, თავს იდებთ და დროს ატარებთ. აქამდის ვერ მივმხვდარიყავი, ისარგებლეთ ჩემი ნდობითა. ეს არ არის... ეს არ არის, ასე ვთქვათ... ან არც ვიტყვი, რაც არის და რაც არ არის, არ ვიტყვი, რა საჭიროა, ცხადია, ოღონდ იმას მაინც მოგახსენებთ, რო აღარ გენდობით და ვეღარც გამომიყენებთ, რაღა აზრი აქვს თავის მომკვდარუნებასა? ადექით, წავიდეთ, ან მე წავალ! – თქვა და შეიცადა, მითხრას, წადიო. არაფერი არ უთქვამს, მხოლოდ მილულა თვალები. ნელა, ნელა დავიწროვდა ჭრილი ქუთუთოთა და მიილულა.

– აღარც თქვენს თანხმობას დაველოდები, – განყრა თანამგზავრი ანუ ამიერიდან გზაგაყრილი, –

აქამდისაც ბატონ ელიზბარის ხათრი მაყოვნებდა, მშვიდობით ბრძანდებოდეთ!.. – გამოსთქვა ულრმესი ნყრომითა და გავიდა.

გავიდა, მაგრამ მე შენ გეტყვი, მაშინვე გზას გაუდგებოდა – აივნამდისინ მიჰყვა ის რიხი, იქვე გაეცალა, მიანება შიშსა, ძაღლების შიშსა, თუმცა არსად იყო იმათი ჭაჭანებაი, არც ხმა ისმოდა არსაიდანა იმათი, მაინც არ შესცდებოდა, გამოეცადა, ასე არ იყო წუხელისაცა – კიბეს გადაევლო და სად იყო, სად არა, ამოძვრა ერთი, ამოძვრა მეორეი, ამოძვრა მესამეი, ვინ იცის, რამდენი მოცვივდებოდა, არა, აღარ ისურვებდა მოგზაური იგივესა, მაგრამ მოთმენაც რო აღარ შეეძლო, რო გამოემშვიდობა?! იმან არც შეიმჩნია, ალბათ ფიქრობდა, ამაოდ ამჩატებულა, გზა არა აქვს ჩემს იქითაო... უმწეობა მეტიც არაფერი ყოფილა, სწორედ ამდაგვარ ყოფაში განუცდიათ სიმწარეი უმწეობისა, თორემ სული თუ ჰხდებათ, მაშინ სხვა სიმწარეა, – განშორებისა, ამაოებისა. ერთიც მწარეა და მეორეცა, ოღონდ ჯერ ის არ განეცადა, ამას განიცდიდა, ველარცა ბობოქრობდა, ველარც გულს ასკდებოდა, აღარც მკაცრი სიტყვები მოსდიოდა, ნებისყოფა გამოჰქრობოდა, არეოდა თვალი, თითქოს ქოფაკები ისხდნენ ზვარშია, განა ვაზები, ქოფაკები ამართულიყვნენ, ქოფაკები ხასხასებდნენ ლურჯადა.

უნებლიეთ ჩაცუცქდა, ჩაიყუნტა უეცრადა, ნუხანდელმა შიშმა თუ წამოჰკრა, იმანვე წამოაგდო, შიგნით შეიყვანა... ცოდო იყო, შესაბრალისი იყო, მაგრამ ვინა ჰხედავდა, ვის შეჰბრალებოდა, ვინ დაიხსნიდა?!

საუზმე მზად არისო, მოახლემ მოახსენა, ხსნაც ეს გახლდა, გამოსავალიცა, ხიდიც აქედან გაიდებო-

და, გაუდგებოდა გზასა. – რა გზასა თუ რომელ გზასა – გაირკვეოდა, აუხსნიდა ქალბატონი გურანდუხტი. მაგრამ სასაუზმოდ გურანდუხტი არ დახვედრია, არც მერე გამოჩენილა, არც სხვანი დახვედრიან, არც გამოჩენილან, არც მარტო დაუგდიათ, გულქანი შეეგება, გულქანი დიასახლისობდა, სთავაზობდა, არას მოაკლებდა. ეს ელოდა, ელოდა, არაფერს აკარებდა ხელსა; ან რად ელოდა: პატარა მაგიდს უსხდნენ პატარა აივანზედა, ვაზმოხვეულ აივანზედა, შეთვალებული მტევნები რო ჩამოჰხუნძლოდა. მაგიდა ორისათვის გაეშალათ, ორის საუზმე მოეტანათ, ორის ჩაის ჭურჭელი, ხოლო ნაყენი იდგა რამდენიმეგვარი; ეს ალუბლისააო, ეს ვარდისა, ესაო პიტნისა, ეს ტარხუნისა, რომელს ინებებთო, – გულქანი სთავაზობდა, – დილით კარგია, მით უმეტეს, ისეთი ვახშმის შემდეგაო, თუმცაო იმდენიც არ დაგილევიათო, მაინც კარგიაო, აი მიყურეთო. და მოსვა ტარხუნის ნაყენი საოცარი სინაზითა, გამორჩეული კდემამოსილებითა. ჭიქიანად გადაეყლაპა, უფრო დამშვენდებოდა, მაგიდაზეც რო შემხტარიყო, მიერ-მოერია, ზოგი გადაეყარა, ზოგი გაექანებინა პირისკენა თუ კუდუსუნისკენა, უფრო შეეფერებოდა, ისე არ ეხამუშებოდა ამ აზუზულ სტუმარსა, სხვებს რო ელოდა, ოღონდ გულქანის ანაბარა გახლდათ. გულქანის ანაბარა გახლდათ და ესეც დამორჩილდა ბედსა, ისიც დამორჩილებოდა: ღია კარიდან მოსჩანდა ვეება სურათი, იატაკიდან აყოლებული ვეება, უებრო, ვაუკაცის სურათი, ზეთის ღია ფერებით შესრულებული სურათი ბარძიმ ზედახეველისა, ღია ფერებითა, შუქის ფონზედა: ასე უბრძანა მხატვარსა, გულქანმა უბრძანა, ჩემს გულში ცოცხლობს და მა-

რადიული შუქი დაჰნათისო, დამორჩილებოდა, ამართულიყო გულქანის ოთახში და სახენათელი ეგებებოდა არჯევნელთა სტუმრებსა. არც იმას უნდოდა, ალბათ არ უნდოდა, მაგრამ სხვა გახლდათ ნებისყოფაი გულქანისა, არც ამას უნდოდა, მამა უცხონდა თუ არ უნდოდა, სხვა გახლდათ ნებისყოფა გულქანისაო ანუ დაეღვედა უმწეობასა, ხოლო უმწეო ყველას ტყვეაო.

მაინც უნდოდა გამოხსნილიყო ტყვეობიდანა, ცდა ბედის მონახევრეაო, ტარხუნის ნაყენი მოსვა და ერთბაშად განაცხადა:

– უნდა წავიდე.

– ქალბატონი დედა ბრძანებს, – მოახსენა გულქანმა, – ალბათ ლეკო სულ ცოტა ორ დღედაღამეს მაინც გამოიძინებს ასე გადაბმულადა და იძულებული იქნებით თქვენც შეიცადოთო.

– ორ დღედაღამესაო?! – თვალები გაუფართოვდა სტუმარსა.

– ქალბატონი დედა ბრძანებს, ლეკოსაგან ეს მოსალოდნელია, რახან ამდენხანს არ გაუღვიძიაო.

– მაშ მე რა ვიღონო?!

– იძულებული იქნებით, შეიცადოთ.

– შეგაწუხებთ... – სხვა ვეღარაფერი მოახერხა სტუმარმა.

– ქალბატონი დედა ბრძანებს, სტუმარი ღვთისაააო. – დაამშვიდა გულქანმა, თან კარაქი გადაუწია, თაფლი მიუდგა, ჩაის როგორს ინებებთო, რძიანსაო, ურძეოსაო, უშაქროსაო თუ მაინც როგორსაო, ხოლო ჯერ კიდევ გასინჯეთ სხვა ნაყენიცა, თუ მოგწონთ, ისევ ტარხუნისაო... – აი ვარიაცაო, კეცებში შემწვარი, კეცებითვეო. შემოიტანა მოახლემა, ისისაა.

– გმადლობთ...

– ქალბატონი დედა ბრძანებს, სტუმარი თუ არაფერს მიირთმევს, მასპინძლის უმადურიაო.

– ო, არა, რასა ბრძანებთ, ისეთი მადლობელი ვარ, თანაც წუხანდლის შემდეგ... ისე უხერხულია...

– ქალბატონი დედა ბრძანებს, უხერხულობის გახსენება, ორმაგი უხერხულობაა. – ჭიქაც შეუვსო, მიირთვითო, ყველს ჰო არ ინებებთ, გუდის ყველიაო.

– გმადლობთ...

– მაგის შესახებ უკვე მოგახსენეთ.

– დიახ, დიახ! მაგრამ ჩემთვის ისე აუცილებელია წასვლა...

– მაგის შესახებაც მოგახსენეთ... მიირთვით!..

და თვითონ გულიანად მიირთმევდა, აჰყვებოდა სტუმარი, თვით უაღრესად მორიდებული ადამიანებიც აჰყვებოდნენ, მადა გადაედებოდათ, გადაედებოდათ აუცილებლადა, ცოტა თვალმოსარიდი რო არა ყოფილიყო პურობაი იმისი – წესისამებრი გარეგნულადა, ზომიერი, თავაზიანი, ოღონდ ტუჩები რო ვერ ეკუმებოდა!.. დიდი, გამოჩრილი, თოხა კბილები ისედაც წინ წამოეყარა, ხოლო ჭამის დროს სცვივოდა ნამცეცები, ნამცეცები იმდენი არაფერი, გაღეჭილი ლუკმები სცვივოდა, თუ ლაპარაკობდა, მოსდიოდა საფანტივითა, ხელს მიაშველებდა, იყრიდა უკანა, სცვიოდა ისევა, ისევ მიიყრიდა, მოეფინებოდა ტუჩებზედაცა, მოჩქარებით მოინმენდდა, ნაუვიდოდა ლოყებზედაცა. წუხელის ამდენი არ შეუმჩნევია მოგზაურსა, გვერდით უჯდა, მისთავაზებდა კერძსა, მერე თავის თეფშს დაჰყურებდა ან ქალიშვილებს მიადევნებდა თვალსა. საუზმედ აღარ გამო-

ჩენილან ქალიშვილები, აღარც სადილადა, აღარც ვახშმადა, გულქანილა მიუჩინა მასპინძლადა და ამ-ფსონადა გურანდუხტმა ლეკოსა – ლეკოსა, ლეკოსა, რაღა თქმა უნდა, უნდა მიმხვდარიყო მოგზაური, მიხვდა კიდევაცა, ამდენი გამოცდილება უკვე შეეძი-ნა – ჯერ რა იმოგზაურა და ამდენი შეიძინა!.. რა იქ-ნებოდა კიდევ და კიდევა?!. აიდა რაიო, რაიო და რა-იო. უკეთესიო თუ უარესიო. არცერთი არ ენება. არ-ცერთი. არცერთი. არც რო არ ენება თანამესუფრე-და ეს ქალბატონი, არც ისა რო ეწირებოდა ლეკოს შეცდომებსა და ესეც რო ყოფილა თურმე – სხვის მა-გივრად რო გაიწირები!.. იძენ ადამიანი, რაღაცას იძენ, შენდა უნებურადაც იძენ, თურმე რა ყოფილა, მართლაც რა ყოფილა მოგზაურობაი!.. გნებავთ სო-ფელსაც დაგათვალიერებინებთო, კიდევაც შესთა-ვაზა, ჭადრაკს თუ ინებებთო, ქაღალდიც გაუშალა. არა უჭირს რა გასართობადაო, როიალიც აუხადა. მუსიკა მიყვარსო, აუხადა, დააკვრევინა, მოუწონა, არ მომწყინდება, ასეთ კარგ დაკვრას რო ვისმენდეო. ესეც უკრავდა, ერჩივნა დაეკრა, ვიდრე ამის პირდა-პირა მჯდარიყო სუფრასთანა ან სოფელი დაეთვა-ლიერებინა თუ ჭალაში გასულიყო ამასთან ერთადა, ესეც უკრავდა: ერჩივნა დაეკრა, ეგება სხვანიც გა-მოეფინონო, რა მომხდარა, ნუთუ ამის მეტს არავის უყვარს მუსიკა ამდენ ქალებში, ან ნუთუ ბევრად დახვეწილი სმენისანი არიან, ნუთუ არ მოსწონთ?! ბევრს მოსწონს, სხვა თუ არაფერი, მოსწონს გიორგი ყანჩაველსა, ესენი რად არ გამოჩნდებიან; მაინც უკ-რავდა, ასე ერჩივნა, ასე დაილია დღე, ერთი დღე და-ილია, მხოლოდ ერთი, როგორც იყო, ჩაილია, ჩაკვდა, რაღა ჩაჰკლავდა მეორე დღესა, თუ მხოლოდ ორ-

დღეღამეს იკმარებდა ლეკო თათაშელი, მაგრამ ვინ-ძლო ერთი-ორი დღე კიდევ მოენებებინა, მერე! ქალ-ბატონი დედა ბრძანებს, შევსწრებივარ, სამი დღე-დაღამეც რო გადაუბამსო, დაამშვიდა გულქანმა.

ვეღარაფერი აწამა სტუმარმა, მხოლოდ შეევედ-რა, ღამისა რა გითხრათ, ოღონდ დღისით მაინც ნუ გამოუშვებთ ძაღლებსაო. გულქანმაც აღუთქვა, ღა-მისა მართლაც რა მოგახსენოთ, ხოლო დღისით, იყავნ ნება შენიო...

XIV

აღუთქვა და აღუსრულა, რაც არა თქმულა, ისიც აღუსრულა; არა თქმულა, რო არ ეამებოდა ამასთან საუზმე თუ სადილ-სამხარი, აღარც მიუნვევია, შინ მოართვეს, მარტოდ დასტოვეს და მაშინ სიმარტოვე გამოდგა უამური თუ აუტანელი. ვიღასთვის შეეჩივ-ლა, ისევ ნეტარად განისვენებდა ლეკო თათაშელი, ისევ გატვრენილიყო ზვარი, იქვე კაკლის ხეებს ჩა-მოეყარათ ტოტები, შეეკრათ ცაი – კაკლები ჩანდა, ზვარის კალთა და მეტი არაფერი. თუმცა არა, ერ-თხელ ფარშავანგმაც ჩაიგოგმანა, ინატრა, ნეტავი კიდევ ჩამოიგოგმანოსო, მაგრამ ინატრა ამაოდა, აღარ ჩამოუგოგმანია; ოღონდ ლეკომ გამოიღვიძო-სო, ესეც ინატრა, ამაოდ ინატრა, რაღა თქმა უნდა, ვეღარც შეიხედა იმასთანა, ვერც შეიხედავდა, ეგო-ნა, ისევე შემომაშტერებს თვალებსაო, რაღა თვალ-ღიად მძინარი და რაღა მიცვალებული თვალღია-დაო; სხვაც მოისურვა – იმ ასულთაგან რომელიმე, თუნდაც ყველანი ერთადა, ოღონდ ვერ ისურვა გა-

ბედულადა, ხოლო თუ ასრულებულა, ასრულებულა მხოლოდ გაბედული სურვილი, გაბედული, თამამი, შეუპოვარი, გაუბედავი გაქარწყლებულა. ერთხელ თითქოს კოდალაც ახმიანდა კაკალზედა, ესეც ივარგებდა, გამოადგებოდა გასართობადა, მელოდიაც ამოვიდოდა ან გაუმხელდა ჩიტის ფიქრებსა, ჰო ახმიანდა და მიწყნარდა მაშინვე, ალბათ ფულურო არ უვარგა, ან შეამჩნია მოყურადეი, ალბათ შეამჩნია, მოყურადე არ უყვარს კოდალასა; ერთხელ კაკალიც ჩამოვარდა, ერთხელ არა, რამდენჯერმე ჩამოვარდა, ოღონდ ცვივოდა ჭიანი, ცვივოდა ნაჭიანადა, ხოლო ის ერთი რატომღაც საღი ეგონა, ასე უნდოდა და ასე ეგონა, ჩავიდა ეძება, ეძება, ჩასრისა ჭიანი, შემხმარნაჭიანი კაკალი, საღი ვერც ჩასრისა, ვერც მიატანა თვალი, მაინც დადიოდა, მაინც ძირს გახლდათ, მერე ზვარისკენაც წაიწია, ჩაჰყვა ზვარსა, ჭალაში გავიდა, ჭალიდან რიყეზე, რიყიდან... თუმცა ჯერ რიყისა თუ ჭალისა მოთავდეს, ითქვას, რო ეს უკვე გართობას მიემგვანებოდა და მოჰყვა სწორედ იმ კაკლის ჩამოვარდნასა, საღი რო ეგონა.

იმ კაკლის ჩამოვარდნას მოჰყვა... გოგონა მისდგომოდა მოღუნულ ტირიფსა. ტირიფს ტოტები რიყეზე ეყარა, ფესვები ჭალაში, რიყიდან მხურვალეებას იწოვდა, ჭალიდან გრილოსა, თუმცა ჯერ ჰო გოგონა გამოჩნდა? რა თქმა უნდა, გოგონა იხილა, სხვა არაფერი, ისე ჩაათავა ჭალაი, ხეც არ დაუნახავს, არცა ბუჩქი, არცა ყვავილი, მწერებისა რაღა მოგახსენოთ, მიეშურებოდა, მიექანებოდა, უკან აღარ იცქირებოდა რახან გარეთ გამოადგა ფეხი; მიექანებოდა და შედრკა, გოგონა რო იხილა, გოგონა წამოხრილ ტირიფთანა. მხატვრისათვის ეგება თემადაც გამომ-

დგარიყო: „გოგონა დახრილ ტირიფთანა". აქეთ რიყე, იქით ჭალა, შუაში კუზი ტირიფისა, კუზზე დანდობილი გოგონა, ჭალა თავისი ფერებითა, რიყე თავისი, გოგონა თავისი კაბის ფერითა, მაგრამ მომიტევეთ, გოგონა ფანქრითა ჰხატავდა, ტირიფის კუზზე სახატავი ალბომი ედო, ციხეს გასცქეროდა, არჯევნელთა ციხესა, რიყის იქითა, არცთუ შორსა, არცთუ მაღალ მთაზედა, გასცქეროდა და იხატავდა ვინ იცის, მერამდენედ იხატავდა, მერამდენედ იწუნებდა, მერამდენედ უწყრებოდა თავსა. ამიტომაცა ჰქონდა თვალები წყრომისადა, ამიტომაც მოიხედა წყრომისადა, კენჭებმა რო ჩაიჩხრიალა.

– თქვენ?! – გაიკვირვა სტუმარმა.

– თქვენა?! – მიაგება დამხდურმა და გადაიყარა წყრომის იერი. ირინე გახლდათ, უმცროსი დაი იმ მდუმარე ასულებისა, ამან რო იხილა ვახშმადა, მხოლოდ იხილა, ხმა იმათი არა სმენია, ბოლოს ერთისა მაინც გაიგონა. სულ უმცროსისა, მთლად ქორფა ასულისა, ხმითაც ქორფისა, თვალტანადაცა, ისისაა შეთვალებულისა.

– ჰხატავთ?

– არა... ისე...

– შეიძლება?

– ინებეთ...

სტუმარიც დაენდო ტირიფის კუზსა, ალბომს დაჰხედა, ციხე დახვდა, ციხეს დაჰხედა და სთქვა კარგიაო. მერე ჩაფურცლა ალბომი – არაფერი იმავე ციხის გარდა, მხოლოდ ის იყო, მხოლოდ იმავე მხრიდანა, ოღონდ მაინც თითქოს სხვადასხვანაირიც გახლდათ, ზოგან არც მოთავებულიყო, ზოგან ღრუბლებიც ეხვია, ზოგან ეფრქვია, სხივები მზისა,

ეფრქვია უხვადა, ზოგან ბინდში ალანძულიყო, ზოგან ასულიყო, სულ მაღლა, ზოგან ჩადაბლებულიყო.

– ისევ... ციხე, ისევ... – იღიმოდა და ფურცლავდა სტუმარი – ციხის ხატვა გისწავლიათ...

– ვერა... – სინანულით გამოსთქვა ირინემა.

– ვერა?!

– ვერა. აი, შეჰხედეთ, რა ზვიადია ციხე, მე ვერ მივაგენი, სიზვიადე ვერ გადმოვიღე. – და ალბომს მისწვდა მობოდიშებითა, მოჩქარებით ჩაფურცლა, – ვერა... არ არის, აბა სად არის?! აქ თითქოს, მაგრამ არა... არც იქა, არა... არა... არა... ვერ მივაგენი.

– ჰგავს... – არ დაეთანხმა სტუმარი.

– კედლები, კოშკების განლაგება, თანზომიერება, მაგრამ... მაგრამ სიზვიადე?

– ზვიადი ადამიანია.

– ყველაფერია, რასაც ზვიადი ადამიანის ხელი ატყვია, ქვაშიც გადადის ადამიანის სული, მე ასე მგონია, ხესაც ეტყობა, ვისი დარგულია.

– უნდა წამეკითხოს რაღაც მაგგვარები.

– მე არ წამიკითხავს.

– არ შეიძლება...

– რატომ გგონიათ, რო მე...

– თქვენ ისე პატარა ხართ.

– მომიტევეთ, დიდებს ამაზე არც ველაპარაკები, მომიტევეთ თუ... – ჩახურა ალბომი, შებრუნდა სანახევროდა.

– მითხოვთ?!

– მე გამოგიტყდით, თქვენ არ დამინდეთ...

– ბოდიშს მოვიხდი, – შენუხდა სტუმარი, – განზრახვით არ მომსვლია, უნებლიედ წამომცდა. ასეთნაირად განსწავლულნი ლაპარაკობენ.

– პირველყოფილი ადამიანები ლაპარაკობდნენ.

– აკი არ წამიკითხავსო?! – გაიხარა სტუმარმა, მოსწრებულად გამომივიდაო. გოგონამ იწყინა, ოღონდ არ შეეტყო კრიალა სახეზე, მხოლოდ უფრო დაღუნა თავი.

– წამიკითხავს, რო გულუბრყვილონი იყვნენ პირველყოფილი ადამიანები და თუ წამომცდება რაიმე გულუბრყვილო, იმათ უფრო მიეწერებათ, ვიდრე განსწავლულთა, დაბრძენებულთა, წიგნებით განათლებულთა. იმათი წიგნი ბუნება გახლდათ.

– მართალსა ბრძანებთ, მართალსა, ჭეშმარიტსა, – მსწრაფლ დაეთანხმა სტუმარი, თავიც აარაცრაცა მეტის დაბეჯითებისთვისა, – ბუნება იყო და ბუნება გახლავთ დიდი წიგნი, ყველაზე დიდი, მარად საკითხავი, ცხოვრებაც წიგნია, სხვა წიგნები მხოლოდ იმისთვისაა, რო ეს ორი ჭეშმარიტი წიგნი როგორმე წაიკითხოს ადამიანმა. არა?

– დიახ... – თავი ასწია გოგონამ.

– ვგონებ შევრიგდით?

– დიახ... – გაიღიმა გოგონამ და ალბომი გაუწოდა, რადგან ხელი გაუშვირა სტუმარმა, გაუწოდა თავისი ნაფიქრი; ისევ მიენდო. – ეს ციხეც წიგნია და რასაც ვკითხულობ, ვერ გადმომიცია.

– ახლა გაგიგეთ...

– გმადლობთ...

ალბომიდან ფურცელი დაცურდა, ჩაისრიალა, დავარდა იქვე. მოიბოდიშა და ისე დაეწოდა სტუმარი; დაეწოდა, აიღო და ჩააცქერდა, რა თქმა უნდა, ჩააცქერდებოდა, აღნიშვნაც არ უნდა ასეთ რამესა, მაგრამ ზოგს ყურადღება არა ჰყოფნის ან სიტყვა გაიტაცებს, ასეთი ფურცელი ადვილად გამორ-

ჩება. იმას სათქმელი აღარა ჰქონდა და, რო დააცქერდა, იმიტომაც დააცქერდა, საბაბი მომეცემაო, მართლაც მიეცა: ბატები იყო გამოხატული, რიყე და ბატები; მშრალი რიყეი, უმდინარო რიყეი, სადღაც ვინ იცის, პატარა გუბე თუ იდგა, ისე დაძაბულიყვნენ ბატები, მივაგნებთ თუ არაო, სიცხის ლულში დაძაბულიყვნენ, აეწურათ კისერი, ისე აესავსავებინათ თავი, სიცხის ლულში არიანო, მოგეჩვენებოდათ, იგრძნობდით და აგეწვოდათ მხრები. მხრებიც აეწვა და რიყესაც გაჰხედა, გაჰხედა იმა უმდინარო რიყესა, ვრცელ რიყესა, არსად წყალი რო არ მოსჩანდა, დაწყვეტილიყო, დაწრეტილიყო, სადღაც ზევით, მთებშივე დაწრეტილიყო, ქვევით-ქვევით ველარ ჩამოელწია, ცხელ გაზაფხულსვე ჩამოეწოვა ჯიქანი, ჩამოედინა ღონივრადა, ერთბაშადა, მთლად ჩამოეშრო მხურვალე ზაფხულსა. იცის ასეთი მდინარეები კავკასიონმა, პატარა მდინარეები დიდრონი რიყეებითა, გაზაფხულობით აღავსებს ხოლმე იმ რიყეებსა, ხოლო ზაფხულობით დაჰყრის ხოლმე უპატრონოდა და იხრუკებიან უმონყალოდა, შეუბრალებლადა, გამეტებულადა, იხრუკება ქვიშაცა, ქვაცა. ქვაც იწვოდა იმისი ცოდვითაო, ნათქვამი რო არის, ალბათ უწყლო რიყეზეა ნათქვამი. ქვა თუ იწვოდა, რა დაემართებოდათ ბატებსა?

– ასე მგონია, ცეცხლი წაეკიდებათ... – აღმოთქვა სტუმარმა გაკვირვებითა და მოწონებითა.

– ალმური იგრძნობა... – უბრალოდ დაატანა ირინემა.

– მხატვარი ყოფილხართ... არა, არა, ასე არ უნდა მეთქვა, – თითქოს დაიბნა თუ შეეშინდა, კიდევ

არაფერი მიწყინოსო, – მე ჰო არ ვიცოდი, მხატვარი რო ბრძანდებოდით? სად დახელოვნდით?

– რა მოგახსენოთ, ჯერ წესიერი მასწავლებელი არცა მყოლია.

– ალბათ მოგდგამთ, თქვენი დებიც...

– არა, არა, დები არა... დიდედა გურანდუხტი ქარგავს.

– გამიგონია...

– რა თქმა უნდა... უცხოეთის გამოფენებზეც გაუტანიათ დიდედა გურანდუხტის ნაქარგები, თქვენ ალბათ...

– არა... თუმცა ვინ იცის... ერთი სიტყვით, ბატონი ლეკო ბრძანებდა, დროშაო... აბა, სად არის ის დროშა? – ნახატს დააჩერდა, ისე დააჩერდა, თითქოს მიაგნო სიზვიადის ნიშანსაო.

– შარაგზიდან მოსჩანს, აქედან არა...

– იქიდან რო გადაგეხატათ?

– არა, არა, სხვა რაღაცაა, – თვალები დახუჭა ირინემა, – აი, თითქოს მეჩვენება, ასეც მეჩვენება, შევხედავ, მაშინაც მეჩვენება, მაგრამ რისგანაა ან როგორ გამოვხატო, ვეღარ მიმხვდარვარ.

– მიხვდებით...

– ალბათა...

– ის როგორ გირჩევს?

– ბექაი? ვეღარცა ვხედავ...

– არ ჩამოდის?

– არა...

– განა წუხელის არა ყოფილა?!

– არა... არ ვიცი...

თვალი მოარიდა, ეგება კიდევაც გაბრუნებულიყო ცივცხელადა, არ უნდა შეჰკითხოდა, თითქოს გა-

მოსცადაო, თუმცა განზრახვით არ მოსვლია, მაინც გამოცდასა ჰგავდა, თავისთვის უნდა დაედასტურებინა, თუ ვინა სწვეოდა წუხელისა; არც ეეჭვებოდა, ბექა იქნებოდაო, მაშინ არც უფიქრია თუ ვინ იყო, არც შეშინებია, გამოიხსნა ისეთი შიშიდანა, არ მოეკიდებოდა იმისი შიში, მაგრამ ასე უცებ მოუნდა გაეგო, ასე შეაპარა, მაინც ვერ გაიგო, აღარც ჩასციებია. ვინც უნდა ყოფილიყო, გამოიხსნა და ვინც უნდა ყოფილიყო, აღარც მოიკითხავდა, მოთავდა, მორჩა, არა ჰგავდა სხვებსა, რო არ უჯერიდნენ, ჩასციებოდნენ, ვილაცად მიაჩნდათ, ემორჩილებოდნენ ან ერიდებოდნენ. ან აჰკვიატებოდნენ ასე, ლეკო რო აჰკვიატებოდა, ჰო არა ჰგავდა, მაშინვე გაუგო, დაუჯერა, წავიდა, აღარც გამოუჩნდებოდა. იმისი შეხვედრა მაინც არ ეწყინებოდა, უკეთესად გააცნობდა თავსა, და ვინ იცის, ფიცვერცხლიც ეჭამათ.

– იქ ჰო არა ყოფილხართ? – მერე ეს იკითხა.

– ვყოფილვარ... ვყოფილვართ, ავდიოდით ხოლმე ყველანი...

– ახლა?

– არა... აღარა... თქვენ ჰო არ აპირებთ?

– არა, არა, არა! – მსწრაფლ დაატანა, – ისე... თქვენთვის ვამბობ, ეგებ ახლოდან მიაგნოთმეთქი... – შეშინდა, თითქოს რაღაცაში გამოტყდაო, თითქოს გამოსცადა წრფელმა გოგონამა, გამოსცადა ასე მოხერხებულადა, თითქოს დასტყუა საიდუმლოო; შეშინდა და აღარც დაფიქრებულა, საჩქაროდ მოუყვა, თუ როგორ მიიჩნიეს ვილაც საგანგებო დავალების მქონე პირადა, თუ რა გადახდა, თუ რა განიცადა, რაოდენ მოულოდნელი იყო იმისთვისა, იმ ადამიანისთვისა, მუსიკის გარდა რო არა-

ფერი ახსოვდა ამ ქვეყნადა, სხვა არც არაფერი ელანდებოდა, არც ესმოდა სხვა არაფერი; თუ როგორ აუხსნა ელიზბარ ხეთერელმა, თუ როგორ არ ერწმუნა და როგორ აუხდა ყველაფერი – ჯერ კიდევ სად არის, ვინ იცის, კიდევ რას გადავეყარო ლეკო თათაშელის გადამკიდეო.

– ბატონი ლეკო უცნაურია... – გაიღიმა ირინემა.

– მაშ მაგას რად გადამკიდა ელიზბარ ხეთერელმა?!

– არავინ არას ერჩის ლეკო თათაშელსა...

– მე ვინ რას მერჩის?!

– გარჩევა აღარ არისო, დიდედა გურანდუხტი ბრძანებს.

– ბატონი ლეკო თუ გაურჩევიათ?!

– აღარც მაგას გაარჩევენო...

– დიდედა გურანდუხტი ბრძანებს?

– დიდედა გურანდუხტი ბრძანებს.

– და თქვენ ყველას გჯერათ...

– ყველასა გვჯერა. თქვენც გესაუბრათ, გჯერათ თუ არა?

– რა მოგახსენოთ... ყველასი მჯეროდა, ახლა დავიბენი, თითქოს რაღაც ქსელში ვიხლართები, თითქოს ველარ დავაღწევ თავსა, თითქოს მარწუხი მოიწევს, მოიწევს და აი საცაა მწვდება ყელშია. მხოლოდ ერთი სურვილი დამუფლებია, როგორმე ჩავაღწიო თბილისში, ჩემს მასნავლებელს დავაყრდნო თავი მხარზედა და ამოვიკვნესო ღრმადა, ამოვაყოლო ქვითინი, ქვითინი გულამომჯდარისა. ეს სისუსტეა, ვიცი, ამას არ უნდა გეუბნებოდეთ, რაიმე უნდა მოვიგონო, გმირული უნდა ვთქვა, უნდა მოგხიბლოთ ზღაპრული ამბებითა, მე უნდა ვიყვე გმირი იმა

ზღაპრებისა. თუმცა ახლაც ზღაპრებში გავიხლართე, მაგრამ რახან ვერ დამიგლეჯია ეს ხლართები, გმირიც არა ვარ. თქვენ გმირი მოგხიბლავთ, ყველასა ხიბლავს გმირი. ვაგლახ, რო გარდასულა დრო გმირობისა.

– დრო ყოველთვისაა, ოღონდ გმირები არ არიან ყოველთვისა. ნუ მეტყვით, რო სადღაც წამიკითხავს.

– არა, არ გეტყვით, გამოგიტყდით, გაგენდეთ, აღარაფერს გეტყვით გამომწვევსა. თუმცა წეღანაც არ მითქვამს გამომწვევადა, მე რო ქალიშვილებს ვიცნობ, იმათ უხარიანთ, როცა ეტყვიან, ბევრი წაგიკითხავთო. ამიტომ იყო, რაც იყო, იყო, ნულარ გამიწყრებით, ნურც მომაგონებთ...

გაიღიმა ირინემა, გრძელი წამწამები ააცამცამა, აღარ მოგაგონებთო. აღარც მოაგონებდა, თანაგრძნობაც მოეკიდა ამ ფერმკრთალი სტუმარისადმი, ასე რო გაწვალებულა, ასე წრფელი რო ყოფილა, თანაგრძნობა მოეკიდა, მაგრამ შეწევნა არ შეეძლო, ისიც ჰო სტუმარი გახლდათ, ხშირი სტუმარი, ოღონდ მაინც სტუმარი დიდედა გურანდუხტისა, არავის რო არაფერს არ აკითხებდა, ბავშვებს არ გაურევდა არა საქმეში, ხოლო ბავშვად მიიჩნევდა განა მხოლოდ ირინესა, თვით სალომესაცა, რადგან ჯერ ქმარი არ ადგა თავზე. და ვინ უწყის, გულქანმაც ამიტომ ამოიჩემა, საქმრო დამეღუპაო, რო ბოლოსდაბოლოს როგორმე დაეღწია თავი ბავშვობისთვისა. სხვა ჟინიც წამოჰკრავდა, ესეც იქნებოდა ან დაე, მიეწეროს ესეცა. ირინე მაინც ვერ გაერეოდა საიდანღაც მოვლენილი ყმაწვილის საქმეში, ვერას შეჰბედავდა დიდედა გურანდუხტსა, თან ეცოდებოდა ლეკო თათაშელის ანაბრადა.

– დეიდა გულქანს რო გაუმხილოთ?

– განა რას იღონებს?

– ვინმეს გაგაყოლებთ... თუმცა, ცოტახანს რო შეიცადოთ? განა აქაც ვინმემ გაწყენინათ?

– არა, არა... აქ კარგია, მაგრამ მე ჰო აქ ძალად სტუმარი ვარ, ძალად სტუმარი თათარზე უარესიაო.

– რო არ იყოთ თათარზე უარესი?

– თათარი ვიყვე?

– არა, ქრისტიანი...

– მაინც დარჩენა არავის უთხოვნია, ელოდებიან ბატონ ლეკოს გაღვიძებასა.

– ჰა, ჰა, ჰა... ვინ უწყის, როდის გაიღვიძებს ბატონი ლეკო?!

– დიდი-დიდი სამი დღე და ღამეო...

– ჰა, ჰა, ჰა... რომ გამოიღვიძებს, განა არ შეიძლება, კიდევ ისე გამოთვრეს ბატონი ლეკოი?!

– არ დაანებებს დიდედა გურანდუხტი.

– დეიდა გულქანს რო გაენდოთ?

– განა რას ჩაიდენს დედის უნებურსა?!

– გასართობადა?! ასეთ რამეს ჩაიდენს, გართობა უყვარს დეიდა გულქანსა.

– არც ამდენი, ჩემო კუდრაჭა გოგონი, – მოისმა მკაფიოდა, მკაფიოდვე გამოერჩა გულქანი ბუჩქნარსა. ვიწრო ბილიკი მოძვრებოდა იმ ბუჩქნარშია, გაჰკვირდებოდით, თუ როგორ გამოტეულიყო ვეება ქალი, თუმცა გავა ვიწრო ჰქონდა, ვიწროი, ფეხები აწონილი, მაგრამ ტანი ვეება შესდგომოდა აწონილ ფეხებსა, ტანი და თავი ერთმანეთზე გასწორებული, ხოლო ჩამოგრძელებული ნიკაპი ჰო გულზე ედო, ჩამჯდარიყო გულშია; გაჰკვირდებოდით თუ არა, ან ისინიც გაჰკვირდნენ თუ არა, რა ბედენაა, ე გამოეტია და

წაადგა თავსა, – არც ამდენიმეთქი... – გაიმეორა ცოტა უფრო მკაცრადა, – ახლა გაცუნცულდი.

– დეიდა!.. – თითქოს იუკადრისა ირინემა, იუკადრისებდა მაშ რაო, განა ამასაც ახსნა უნდა?!

– გაცუნცულდი, ჩემო გოგონი! – ტუჩების მოვიწროება სცადა გულქანმა, კბილები უფრო გადმოუცვივდა, უფრო მწვავედაც გამოუვიდა, ვითომ ალერსივით წარმოსათქმელი.

თითქოს შეამცივნა ირინესა, თვალებიც მილულა, ისე მოაფათურა ალბომი ტირიფის კუზზედა.

– ჩვენ... – ესღა გამოსთქვა, სხვა რა მოედევნებინა, აღარ იცოდა სტუმარმა, ეგება ასული მომეშველოსო, ერთი წამი მოაცილა თვალი და რო მიუბრუნდა, იქ აღარ გახლდათ, გამქრალიყო მწყრალი, გაბუტული, გაბუსხული.

– თქვენ შეიცდით, – მიატანა გულქანმა, – ორ სიტყვას გეტყვით: ჯერ ერთი, ახლა ზეინაბის ჯერია... თქვენ ეს იცით, გული გითქვამთ იმისთვისა, თქვენ წესიერი ახალგაზრდა ბრძანდებით, გონივრული განზრახვა გაქვთ და მხოლოდ გაბედულება გიშლით ხელსა, ამიტომაა, რო ბავშვს განდობილხართ, ბავშვს ელაპარაკებით. ჩვენ ბავშვს არ ვანდობთ ასეთ ამბებსა, იმან ჯერ ეს არ იცის და ნებასაც არავის მივცემთ, უდროუდროოდ აუმღვრიოს გული. ამაზე უფრო ჩვენ უნდა გველაპარაკოთ, ჩვენ გიორგი ყანჩაველს შევუთანხმებთ თქვენს განზრახვას და გადავწყვეტთ წესისამებრა.

– მე ქალბატონო. – შეიცხადა სტუმარმა, მაგრამ ველარც განაგრძო, ისე მოუჭრა გულქანმა:

– დიახ, თქვენა!.. ნუ შიშობთ. ამისათვის არავინ გაგიწყრებათ, გასათხოვარი იმისაა, რო ითხოვს, ვი-

საც მოეწონება, ხოლო გაჰყვება იმასა, ვისაც აირჩევს, ვისაც აურჩევენ. ამ არჩევანში უარს მიიღებს ბევრი, ბევრჯერაც მიიღებს, ეს არაფერია, მამაკაცისთვის ჩვეულებრივია, თქვენ ამისი ნუ გეთაკილებათ.

– მე ქალბატონო...

– ჯერ მე არ დამიმთავრებია, – კვლავ ჩაუჭრა გულქანმა. – ეს ერთი და მეორეც ეს იქნება, ძალიან რო არ გაგვიჭიანურდეს საუბარი, ძაღლებს ისევ გამოუშვებენ.

– ახლავე?! – შესძახა სტუმარმა.

– შინ მისვლას მიასწრებთ... – დაამშვიდა გულქანმა და მერე მშვიდადვე გაჰყურებდა, თუ რა ფაცხაფუცხით მირბოდა სტუმარი, როგორ იხლართებოდა ბუჩქებშია, ბილიკი როგორ ეკარგებოდა, მერე სულაც დაიბნა ზვარშია, არჯევნელთა სასახლე აქეთ დარჩა, ის სადღაც იქით ისევ ჭალასა და რიყეზე აღმოჩნდა; ჰო, მშვიდადვე გაჰყურებდა, თუმცა მიეფარა თვალთაგანა, მაინც გაჰყურებდა, რადგანაც იცოდა, თუ როგორ დაიბნეოდა, როგორ აერეოდა გზაკვალი, სად იბორიალებდა უთავბოლოდა, იცოდა და იქითაც გაჰგზავნა მხმობელი, მიაყვანინა, მიაგნებინა თავისი ოთახი. ამან რა იცოდა, რა თქმა უნდა, ვისი წყალობით დაბრუნებულიყო, ვითომც შემთხვევით შეჰხვედროდნენ, ვითომც შემთხვევით გამოეყვანოთ, ჰო არ იცოდა, არც გაუმხელდა, არც არავის გაამხელინებდა გულქანი, ასე სჩადიოდა სიკეთესა, არა ზრუნავდა სახელის მოსახვეჭადა. მოგზაური არც იკითხავდა, თუმცა მაინც იკითხა, ოღონდ სხვა იკითხა, ძაღლები ჯერ ჰო არ გამოუშვიათო. ჯერ არაო. და დამშვიდდა.

XV

დამშვიდდაო, მაგრამ ვაი იმ დამშვიდებასა, ისევ მარტოდმარტო გამოემწყვრა პატარა ოთახში. იარა, იბორიალა ანუ იტრიალა თითქმის ერთ ადგილასა, თავბრუ დაეხვა, მიაწყდა საწოლსა, მიაწყდა და მიეგდო, მერე ფიქრს მისცა თავი, ვერც ვერაფერი მოიფიქრა, ვერც მოიგონა, აზრის მაგვარიც არაფერი წამოეშველა, გაწამდა, გუნება აეწენა, ხოლო ცოტა რამ რო მოიაზრა, ისევ ლეკო თათაშელის იმედი მიეცა, ბოლოსდაბოლოს გაიღვიძებს, ბოლოსდაბოლოს ისევ ეს გადამარჩენს, თორემ სასიძოობა საიდანღა გამომიგონეს, ეს რაღა უბედურებაა ჩემს თავსაო, ჰო, ისევ ეს თუ გადამარჩენსო, კარგია თუ ავიაო, ამის ანაბარიაო, ანაბარი მგელმა იცისო, სხვა შესაფერისი ანდაზებიც მოიგონა და მიწყნარდა, ოღონდ გაიღვიძოსო, ოღონდ გაიღვიძოსო. მაგრამ ვაგლახ, თითქოს აღარ ეწერა გაღვიძებაო, ის დღეც ჰო დააღამა, ის ღამეც ამოიდო თავქვეშა, სადაც სამართალია, იმ დილით ფეხზე უნდა მდგარიყო, არა გეტკინოთ რაო, ბაიბური არ ისმოდა იმისი ოთახიდანა, შეუძახა, მიუკაკუნა, კარიც შეაღო, არავინ შეპასუხებია... ასეთ დროს იფიქრებ, ვინ იცის ადგა, წავიდა, ეს აღარც გახსენებია, ან გაახსენდა, მაგრამ მობეზრდა და დააგდოო, ან განგებ დასტოვაო, ყველაფერს იფიქრებ, ამდაგვარს იფიქრებ, რო უფრო უმწეოდ დარჩეს სტუმარი ან გაებას სასიძოობის ორომტრიალში, ვეღარ დააღწიოს თავი, დიდხანს ვერც ვერაფერი გაარიგოს, ბოლოს როგორც იქნება გაჩაღდეს ქორწილი და სხვა, და სხვა, და სხვა, – იფიქრებ,

ოლონდ გიჯობს არ იფიქრო, ნურსაით ნუ გადაგ-
ძლევს ფიქრი, რადგან არ გაეპარებოდა ლეკო თათა-
შელი, ვერაგობას არ ჩაიდენდა არც განგება არცა
უნებლიედა, არ გაიპარებოდა, არც გაპარულა, გა-
შოტილიყო იმავე სანოლზედა და, ამან რო შეიჭვრი-
ტა, იმანაც მიაფეთა ღია თვალები ისევ ისე უაზროდ
ღია, ღია უსიცოცხლოდა, ამომშრალი, ამოწმენდი-
ლი, ამოხვეტილი.

ეს შეშინდა, ვინ უწყის, აღარც არის, ამაოდ ვე-
ლოდები ამის გაღვიძებასო, უნდა ეთქვა, უნდოდა
შეეძრა ყველანი, მაგრამ აივანს რო გადაადგა, ეს რო
აქედან გადაადგა, იქედან ამოიყალყნენ ქოფაკები,
ამოიყალყნენ და ამოჰღრინეს, ვისთვის რა გაეგები-
ნებინა, არავინ მოსჩანდა, არაფერი მოსჩანდა, გარ-
და ზვარის ვიწრო კალთისა და ტოტებგადაშლილი
კაკლებისა. ხანდახან დაირაკუნებდა ჭიანი კაკალი,
სადღაც ზევით დაირაკუნებდა, წამოვიდოდა რაკა-
რუკითა, ძირს გაადენდა ზღართანსა. ერთიც ვნა-
ხოთ, კიდევ დაიწყო რაკუნი ჭიანმა კაკალმა და ამა-
საც ეახლნენ, ქალბატონი გულქანი გიხმობთო, რაღა
დააყოვნებდა, გაეშურა, შეეტყობინებინა თავისი ეჭ-
ვები. იმან არ ათქმევინა, ამას სალამიც რო დაავიწ-
ყდა, იმან შეახსენა, მერე შეიწვია ბარძიმის ოთახში,
დაბრძანდიო, სავარძელი შესთავაზა, თვითონაც
მახლობლად ჩამოჯდა. იქვე სხვაც ელოდებოდათ,
ისიც ახალგაზრდა გახლდა, ნიკოს კბილა იქნებოდა,
უფრო მაღალი, ბრგე, შავ ხალათს მოსწოლოდა კუნ-
თები, მხარ-ბეჭი ლამის გადაეფხრიწა, ფეხებიც
აქეთ-იქეთ გადაეყარა, ვეება ფეხები, სკამის სიმაღ-
ლე არა ჰყოფნოდა. სახე თხელი ჰქონდა, მაღალი
ცხვირი, ხშირი, გადაბმული წარბები, მწვავე გამო-

ხედვა, კანი გამომწვარი მხურვალე მზეზედა, აკრიალებული, ცოტაოდნავ ალაპლაპებული... ასე იმიტომ დააკვირდა, ვინ იცის, ამასაც ჩემსავით გამოაცვლევინეს სამოსიო (თუმცა თვითონ უკვე გამოწყობილიყო წესისამებრა, გამოესკვნა შავი ბაფთაცა), ვინ იცის, ესეც უდროუდროოდ მოვლენილა ჩემსავითა, ან მუსიკოსია, ან მხატვარი, ან პოეტი, ან რაიმე ამის მსგავსიო. თუმცა ვერ გაარკვევდა, მსგავსი სხვა რაღა უნდა ყოფილიყო, ოღონდ იმას მაინც მიხვდა, თბილისიდან არ უნდა იყოს...

აქაური უნდა იყოსო და აქაურიც გახლდათ, ოღონდ არა არჯევნელი, ეს არცა ჰგონობდა, უსათუოდ არჯევნელიაო; გლეხი უნდა იყოსო და გლეხიც გახლდა, სახელად შაქრო ან შაქრია, გვარად ცისკარიშვილი, ელიზბარ ხეთერელს გამოეგზავნა. ეს რო გაიგო, ლეკოც დაავინყდა, გულქანიცა, რაც გადაჰხდენოდა, ისიც გადაჰქრა აზრიდანა, წამოვარდა, ჩამოართვა ორივე ხელი, ჩამოართვა და ჩამოჰქნია, მერე აისუსა და მიაჩერდა, ვითარცა მხსნელსა. ის არა ჩქარობდა ეთქვა თავისი, დანაბარები გადაეცა, ელოდა, აქ რაღას იტყვიანო. არც გულქანი ჩქარობდა, ბარძიმის ოთახში მოეწვია სტუმარი, ჯერ მიეხედ-მოეხედა, კარგად დაჰკვირვებოდა სურათსაცა, იმის იარაღსაცა, – თოფებსა, დამბაჩებსა, ხმლებსა, ხანჯლებსა, იმის სამოსსაცა, – ჩოხებსა, ქულაჯებსა, ნაბდებსა, ევროპულ კოსტუმებსა, იმის მწევრებსაცა, ფიტულებად იდგნენ ყოველ კუთხეში, იმის მოკლულ დათვებსაცა, – ძირს ეფინა ტყავები, ირმებსაცა, – კედლებზე ეკიდა რქები, ირმის რქებს ასხმოდა იარაღიცა, სამოსიცა, სანახავადა ჰღირდა, მიეხედ-მოეხედა, ეკითხა, მოეს-

მინა პასუხი ყურადღებითა, ნუთუ არას დააკვირდებოდა, ნუთუ არას იკითხავდა?! კეთილი, ნურას იკითხავდა, თვითონაც არ მოუყვებოდა, თუ რა უბრალოდ დაიღუპა ბარძიმ ზედახეველი, რა მომავალი ელოდა, როგორ შესტრფოდა ყველა, ვინც იხილავდა თუნდაც ერთხელა, ხოლო იმას როგორ უყვარდა, მხოლოდ გულქანი, როგორ გაენდო, როგორ დაინიშნა, როგორ უნდა გადაეხადათ ქორწილი და სწორედ ქორწინების წინა დღესა... ღმერთო ჩემო, რა არის ბედი!.. არ ეტყვის ცხადია, თუ არ უნდა, არ ეტყვის, ოლონდ გულში მაინც გაიმეორებს, დაელოდოს, ვიდრე გაიმეორებდეს გულში. უჯობდა ეკითხა, უჯობდა მოესმინა, მუნჯად სხდომა ბევრად აუტანელი გამოდგა, მაგრამ რა ექნა. ვერ მიმხვდარიყო, თუ რა სურდა გულქანსა, ვერც ის გაეგო, თუ იხმეს, რაღადა მდუმარებდნენ.

გაუგებრად არ დარჩებოდა, ამას თუ არა, იმას მაინც გაიგებდა, თუ რისთვის მოსულიყო შაქრო ცისკარიშვილი, რად გამოეგზავნა ელიზბარ ხეთერელსა. ამასაც მეტი რა უნდოდა?

– მოახსენე! – ჩაიჩურჩულა გულქანმა ბოლოს-დაბოლოსა.

– ასე დამაბარა ელიზბარმა, – დინჯად წამოიწყო შაქრომა, მანამდის მოიხადა ნაბდის ქუდი, მოგრიხა, მოწურა ხელშია, – ვერ გამიმართლა ლეკომაო, ცუდად გატარა, აქამდის ვერ მიაღწიე იტრიელებამდისაო. შენი ბარგი უკვე გადავუგზავნე, გელოდებიანო. მანდაც კარგად მეგულები, მაგრამ როგორც დავთქვითო, ისე უნდა აღსრულებულიყოო. ახლაო, ვინ იცის, მანდაც გირჩევნიანო, მაინცაო, რაც უნდა გერჩივნოსო, შენი მანდ დარჩომის როგორი მდო-

მელნიც უნდა იყვნენ შენი მასპინძლებიო, მაინც უნდა აიყაროო, ამ კაცს გაჰყვეო, ჩემზე მოგახსენებს, ეს გადაგიყვანს იტრიელებთანა, მერე იმათ იციანო. ნურც დაიყოვნებო, ნურც იყოყმანებო, მოვიდეს თუ არა, ფეხდაფეხ გაჰყევიო. ასე დამაბარა და მეც აქ გახლავარ. – დაამთავრა და წამოდგა, ბარემ წავიდეთო, ამასა ნიშნავდა.

გულქანმა ხელი დაუქნია, დაჯექიო. დაჯდა ისიცა.

– ქალბატონი დედა ბრძანებს, – მიადევნა გულქანმა, – სასურველი სტუმარი ხართ, მაგრამ ვერას ჩავიდენთ ელიზბარის უნებურსაო, იმან უკეთ იცის, როგორა სჯობს თქვენთვისა, ვეთანხმებით და ვისურვებთ, კვლავაც შევხვედროდეთ ერთმანეთსაო. განგებით იყო თუ შემთხვევითო, მოხარულნი ვართ, რო გაგიცანით, დავშთებით თქვენი პატივისმცემელნიო.

– გმადლობთ! – მოწიწებით წარმოსთქვა სტუმარმა, – აგრეთვე მეც უაღრესად მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრისა, თქვენი გაცნობისა, თქვენთან საუბრისა. ჩემს მეხსიერებას ღრმად დაეჭდო და არასოდეს ამოეშლება ის სასიამოვნო დღეები, აქ რო გავატარე. ვისურვებდი კვლავაც შეგხვედროდეთ. ჩემი მადლობა უსაზღვროა, უსაზღვროა ჩემი პატივისცემა თქვენდამი, ყველასადმი და განსაკუთრებით ქალბატონ გურანდუხტისადმი. – თავი დაჰხარა სტუმარმა, მოწიწებით დაჰხარა.

– ქალბატონი დედა ბრძანებს. – განაგრძო გულქანმა, – ამ დღეთა სახსოვრად ჩვენგან მიიღეთ ეს მცირე ნობათიო, – იქვე ბალიში ასწია, ხანჯალი გამოიღო გულქანმა, – მართალიაო, ეს ხანჯალი შემკული არ არის არცა ოქროთი, არც ვერცხლითა,

ძვლის ქარქაში აქვს, მაგრამ ძვალია მოქარგული იშვიათი ხელოვნებითა, ზედ ჩანგიცაა და რაღაც ნიშნები. ვინ იცის, ძველი სანოტო ნიშნებიც არისო. – თქვა და გაუწოდა.

– ო, გმადლობთ! გმადლობთ! – წამოიჭრა სტუმარი, ჩამოართვა, ჩააჩერდა, ვერც ჩააჩერდა, აღელვებულიყო, – რა მოულოდნელია! რა... იცით რა? გმადლობთ, ო, დიდათ გმადლობთ! დიდად დამავალეთ, აღარ ვიცი, რითი გადაგიხადოთ.

– ქალბატონი დედა ბრძანებს, სახსოვარი წმინდაა და გადახდაზე ლაპარაკი შეჰბღალავსო.

– მომიტევეთ!..

– ქალბატონი დედა ბრძანებს, ბოდიში უადგილოა სახსოვარის მიღების დროსო.

და წამოდგა გულქანი, წამოიმართა, ხელი გაუწოდა გამოსამშვიდობებლადა, ის ხელი, მაშინ რო ეამბორა და გული არ აერია, ახლა მით უფრო ისე მოხდენილად მოეჩვენა, დასწვდა, ეამბორა გულმოდგინედა. შაქროც წამოდგა, რა თქმა უნდა, გამომშვიდობება მოთავდა, უნდა გასდგომოდნენ გზასა... გზას უნდა გასდგომოდნენ და დაბლა, თაღებიან დარბაზში გუგუნი გაისმა, ჰეჰეი, სადა ხართ, რა ხდება უჩემოდაო. უცნაურ ხმას გამოსცემდა თაღებიანი დარბაზი, უცნაურად გუგუნებდა და ჯიქურ იჭრებოდა ბარძიმ ზედახეველის ოთახში თუ მუზეუმში. ვინც უნდა დაბნეულიყო, გულქანი მაინც მიხვდებოდა, რო ლეკო ბრძანდებოდა ამის ჩამდენი, მხოლოდ ლეკოი, სხვა არავინ. სხვა არც არავინა ყოფილა, აღარც დიდხანს ულოდინებია, სად იყო, სად არა, წაადგა თავსა.

– რა ხდება უჩემოდა?! – მკაცრად იკითხა ლეკომა.

– ისა, რაც უნდა მომხდარიყო უშენოდა. – მშვიდად მიუგო გულქანმა.

– მე თუ ლეკო თათაშელი მქვიან...

– ვიცითო, ქალბატონი დედა ბრძანებს.

– არ გაწყენთ, კიდევ რო შეგახსენოთ!..

– მაგრამ საუკუნო ძილი თუ განგეზრახათ, ვერ ჩამოგყვებოდით თანა.

– ახლა აქ გახლავართ.

– დაბრძანდით!

თქმაც არ უნდოდა, მანამდისაც ათვალიერებდა, თუ სად დამჯდარიყო, – მწევრების შუა მოჰყვა, იქ იდგა ხმელი სავარძელი, დაბალი, კაკლისა, ჩუქურთმიანი. იქ ჩაჯდა და ხელები დააწყო ფიტულებსაზედა.

– დავბრძანდი... – მუქარასავით მოადევნა, – ვითომდა რაო, მალე მომახსენეთ, რა განგიზრახავთ უჩემოდაო.

– ბრძანდებოდე, – იტკიცა გულქანმა, – ჩვენ უკვე გამოვემშვიდობეთ ერთმანეთსა.

– გვრეკავთ?! ვინა ჰკადრებს ლეკო თათაშელსა?!

– არავინა... ლეკო თათაშელი ლეკო თათაშელია, ისიც აუტანიათ არჯევნელებსა. სტუმარი ღვთისაა, ქალბატონი დედა ბრძანებს.

– აგაშენოთ ღმერთმა!.. ღვთისა ვარ და მომექეცით ღვთაებასავითა.

– ღვთაებას ერთხელ შევწირავთ ზვარასა და მოგვეშვება ხოლმე, შენ რამდენიმე დღეა თავს დაგტრიალებთ.

– მამადლით?!

– არა! შეიცადე... როგორც გენებოს, ხოლო ეს მიდის...

– მეც მივდივარ, მივდივარ ნაწყენი და დღეიდან ჩემი ფეხი აღარ იქნება თქვენს ოჯახში.

– არ გამიკვირდება, უმადურებაც მოსდგამთ ადამიანებსა.

– ღვთის გულისათვის, ღვთის გულისათვის!.. – ჩაერია სტუმარი, თითქმის შეევედრა ლეკოსა, – მე ისე ნასიამოვნები ვარ, ნუ ჩამამნარებთ!

– გადაგიბირეს?! ჰა?! – სახე დაეფშხალა ლეკოსა, – ასეა, კმარა თვალი წავატყუო. მაშინვე გადაიბირებენ ყველა ჩემს მეგობარსა. რას იზამთ, არა ტყუიხართ, ჩემი ბედია, ვინ აღუდგება ჩემს უკულმართ ბედსა. რას ვიზამთ?! მაგრამ ჩემო ახალგაზრდა, გადაბირებულო მეგობარო, მე მოვალეობა მაწევს და...

– თავისუფალი ხარ მაგ მოვალეობიდანა.

– ეს ვიღაა?! – შეიცხადა ლეკომა.

– მე გახლავართ, – აიზიდა და წინ წამოდგა შაქროი.

– არ გიცნობ...

– მე გიცნობ.

– ჰა, ჰა. ჰა... ნეტა ვინ არ იცნობს ლეკო თათაშელსა!..

– ჰოდა, მეც გიცნობ, შენც გამეცანი, შაქრო გახლავარ, ცისკარიშვილი, ელიზბარ ხეთერელმა გამომგზავნა, ი ჩემი სტუმარი მალე ჩააბარე იტრიელებსაო.

– ვისი სტუმარიო?! – წამოიჭრა ლეკოი, თითები მაინც არ აუცილებია ფიტულებისთვისა, წამოიხარა, წამოიზიდა, – სტუმარსაც მეცილებით?! როგორ მეცილებით?! ვინ მეცილება?! იმან ორი დღეც არ გაა-ჩერა თავის სახლშია, მე ათი სახლი მოვატარე, ათასსაც მოვატარებ.

– გმადლობთ! – შიშით აღმოხდა სტუმარსა, ემანდ მართლა არ მომატაროს კიდევ ათასი ოჯახიო, – მადლობასა გწირავთ უაღრესსა! – მოადევნა და ხელები ააკანკალა.

აქ სათნოდ გაიღიმა გულქანმა – რამდენადაც შეიძლება სათნოება დასტყობოდა იმის სახესა – მიუახლოვდა ლეკოსა, მხარზე გადასდო ხელი, დაუყვავა, მიეფერა, მიელიკლიკა. დაყვავება დიდი რამა ყოფილა, ენა ტკბილი დიდი რამა ყოფილა, გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო, ნათქვამიც არის, ლეკოც ამოიყვანა სიბრაზის ხვრელიდანა, მოალბო, დააშოშმინა, შეახალისა, თუმცა შეხალისება სუფრისგან გახლდათ. სუფრა აივანზე დახვდათ, ხელი რო გადაჰხვია, აივნისაკენ წაიყვანა გულქანმა, ისე არ იკმარებდა, დაყვავებას სუფრაც უნდოდა, ღვინო უნდოდა ან ლალისფერი, ან მთლად თეთრი, გამჭვირვალე, მუქწითელი თუ შავი არ ივარგებდა საზაფხულოდა. ამას გულქანი ფიქრობდა, აფიქრებდა მოვალეობა მასპინძელისა, თორემ არას დაგიდევდა ლეკოი, იგემებდა ერთნაირადა, მოილხენდა ერთნაირადა. ჯერ მაინც ტარხუნის ნაყენი შესთავაზა. მობრძანდითო, არ დაივიწყა დანარჩენებიცა, ძალიანაც არ ჩასციებია, არც იმათ გამოუდვიათ თავი, მიმხვდარიყვნენ ან რა დიდი მიხვედრა უნდოდა, ახლა მხოლოდ ლეკო იყო მისაფერებელი, ლეკო უნდა მოეცილებინათ თავიდანა, წყნარადა, უხმაუროდა, უშფოთველადა. ჰოდა ერთი დაძახებისთანავე შემოუსხდნენ მაგიდასა ლეკოს დასაშოშმინებლადა, ლეკოს საამებლადა. მალეც დაშოშმინდა, სიცილი მორთო, საჩვენებელი თითი დაატრიალა, მოცილებით დაატრიალა, დაუმიზნა

გულქანის იღლიასა და ისე დაატრიალა, მიფრთხილდიო, ისე ჩაიხითხითა. ჯანდაბას შენი თავიო, ისევე შესცინა გულქანმა. ახალგაზრდობა მოაგონა, დღეობები, ლხინები, ხეთერელების თეატრი, – ერთ ზამთარს იქ რო მოიყარეს თავი, გულქანი მოკარნახეობდა: მე მაშინ ისე პატარა გახლდით, გეგონათ კითხვაც არ მეცოდინებოდა, მაგრამ კარნახში ვერავინ მაჯობა, შენ მაინც ყველაზე მეტად მოგწონდიო. ლეკო ასრულებდა გმირების როლსა. ბევრი საუკეთესო მსახიობი აღმოაჩინა იმ ზამთარმაო, რამდენიმე იქვე ჩამოთვალა, ვინც გაჰყვა სცენასა, კიდევაც შერჩა, შენ იმათზე ნაკლები არ იყავიო. ბევრად უკეთესიო, თავი გამოიდო ლეკომა, ოღონდ სცენაზე უკვე ვთქვი ჩემი სათქმელი, ახლა ეკრანი უნდა ავიღოო. გულქანმაც ეკრანი დაიხვია ხელზე, ეკრანი იყოსო, ოღონდ დაშოშმინდი და გზა დაულოცე ამ ყმაწვილსაო. მართლაც, თითქოს აქეთ მიემართებოდა საუბარი თუ განწყობილება, არცთუ ახირება სჩვეოდა ლეკოსა, ადვილად დასთმობდა ხოლმე, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, იტყოდა ხოლმე, მაგრამ ეტყობა იქ უჯობდა, ეგონა ადვილად გავიტან ჩემსასაო, არც არა დასთმო, მეტიც მოინდომა. ეს მაშინა, შაქრო რო წამოდგა, ჩემდა წილად ღმერთი შეგეწიოთო, ჩვენდა წილადო, გადაჰხედა სტუმარსა, ისიც წამოდგა. ჩვენს წასვლას გაუმარჯოს, თქვენს დარჩენასაო.

– დაჯექი! – ბრძანა ლეკომა.

– უნდა წავიდეთ... – ვითომც არაფერიაო, ისე გამოსთქვა შაქრომა.

– ერთად წავალთ, – აუხსნა ლეკომა, – შენც ჩვენთან იქნები, ერთად ვივლით, ჩვენთვის ზედმეტი

არავინაა, პირიქით, უკეთესიცა, რაც ვიმატებთ, უკეთესიც იქნება. განა არა? – შეხედა სტუმარსა.

– ბატონო ლეკო...

– რა თქმა უნდა!.. ვიცი, ამაზე კრინტი... – თითი მიიდო ტუჩებზედა, მაგრამ მე ჰო აშკარად არ ვამბობ, გადაკვრითაც თუ არაფერი ვთქვით, რა გამოვა, ან ვის რა უნდა გავაგებინოთ?! კეთილი, კეთილი, მარტო ბრძანება იყოს, იცოცხლე, ბრძანება ეხერხებოდეს ლეკო თათაშელსა, ჩვენთან დარჩები! – შესძახა და მუშტიც დაარტყა მაგიდასა, ბრძანებად ითქმოდა, გაუტეხელ ბრძანებადა.

– ნნ... ვერა! – აუმღვრევლად გაიქნია თავი შაქრომა, –თუნდა გიბრძანებია, თუნდა შემხვეწნიხარ, სულერთია, ვერ დავრჩები და რა ვქნა... ვერც ამას დავტოვებ, უნდა ჩავიყვანო, მე ისევ აქ დავბრუნდე, ეგრეა, ისეთი სუნი ტრიალებს. რო... ეგრეა!

– რა როგორ არის, არ ესწავლება ლეკო თათაშელსა, დასხედით!..

არ დამსხდარან, წაიარეს, მაგრამ ვერ წავიდნენ, ლეკო გადაუდგა, ფეხს ვერ წაადგამს ჩემს უნებურადაო, ჯერ ჩემი მბრძანებელი არ გაჩენილა, არც ჩემი ურჩი გაჩენილა ამ ქვეყნადაო; უფრო გაჯიქდა, გაჯიუტდა, თვალები გადმოკარკლა, საკინძეც ჩაიხსნა, მოიღერა მუშტები. გულქანმა ინანა, ან რად დავუყვავე, ან რად დავალევინე, თუ ეს მაინც არ ამცდებოდაო: სად იყო, სად არა, თოკი გაჩნდა იმის ხელშია, იმის ხელში გაჩნდა და გადაუგდო შაქროსა, შეჰკარიო, ბრძანა. მხრები ახუხა შაქრომა, აბა, რა ჩემი ბრალიაო, ან გზა უნდა დამითმო, ან უნდა შეგკრაო. ჰა, ჰა, ჰა... იოლად გახუმრებიხართ ლეკოსაო, ორივეს მოჰხვია ხელი ერთბაშადა, ორივე მიჰყარა

მაგიდასთანა, დასხედითო, თორემაო. აბა, რა ვქნაო, ჩაიქირქილა შაქრომა, შენ შენსას არ იშლი, მე ჩემსას ვერ დავიშლიო, აბა, რა ვქნა, ბევრიც რო გეწყინოსო; ჰოდა, ბევრიც რო გეწყინოსო, ნელ-ნელა წაატანა ხელი, ნელა, უნდილადა, აუკვირლადა, ღიმილითა, ფერაობითა, წაატანა და მყისვე გადაუგრიხა მკლავები, მერე უცებ მოხდა ყველაფერი, უცბადა, უმალადა, როცა გამოერკვა ლეკოი, უკვე აივნის ბოძს იყო გაკრული. თუმცა ისხმარტალა, იღრინა, აღრაჭუნა კბილები, გაინ-გამოინია, მაგრამ ესეც წამისა გახლდათ, ვიდრე ააკრავდნენ ბოძსა, მერე მიხვდა თუ არა, რა დამართნოდა, გაინია ბოძის მოსაგლეჯადა, გაინია და ვერც გაინია, მხრები, ნეკნები ჩაუწურა თოკმა. ჩაუწურა და წამოადინა ცრემლი, სიცილიც წამოადინა, ცრემლნარევი სიცილი, თქვენ რა გითხარით, თქვენაო, ე როგორი ხუმრობააო...

– ჰე, ჰე, ჰე... ხუმრობა მაინც ხუმრობაა, – აბრუ არ გაიტეხა ლეკომა, – ხუმრობაში სანყენი არაფერია, ხუმრობას ვინც იწყენს, კაციც არ იქნება, ხუმრობა კაცურია, ვინცა ხუმრობს, კაციც ის არის. გაიგე... თავს ნუკი აქიცინებ, თუ გაიგე, მოდი და ამიხსენი. ხუმრობა როა, გაუთავებელი არც ხუმრობა ვარგა. მოდი, აბა! გულქან, რაო, ჩემო დაიკო, უთხარი!.. შენ ჰო იცი, როგორ მიყვარხარ, მე დაი არა მყოლია, ვნანობ, რო არა მყოლია, ოღონდ შენ რო გიყურებ, აღარცა ვნანობ, ეგრე მეყვარებოდა, შენ რო მიყვარხარ. შენი გულისათვის მოვდივარ აქა, თორემ ის ნიკაპაწეული ელენე თუ ღაბაბჩამოშვებული ნაზიბროლა ძალიან არ ჩამქრიან გულშია. შენ რო სიკეთე შეგიძლიან, სხვა იმდენ სიავესაც ვერ ჩაიდენს, გული ანგელოზისა გაქვს, სიკეთის მეტი არც არაფე-

რი მიეკარება შენს გულსა. ასე მგონია, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, მაგრამ როცა სულს განუტევებ, ასი წლის მერე, ათასი წლის მერე სულს განუტევებ, მიწაზე არც დაგიშვებენ ანგელოზები, ისევე აგაფრენენ ცაშია. მე ასე მითქვამს, ლეკო თათაშელსა, და მე რაც მითქვამს, არც გამტყუნებულა. გულიკო, გულო, ჩემო დაიკო, უთხარი რა! უთხარი!.. ერთი ხელი, ერთი ხელი რა არის, ერთი ხელი მაინც ამიხსენი, აბა, ლაპარაკი ისე რა არის, ხელი თუ არ ააყოლე. გულო, გულიკო, ჩემო დაიკო! – იხვეწებოდა მომეტებულადა, ხელი რო აეშვათ, ყელსაც გამოიწევდა, დაჩოქება რო მოხერხებოდა, დაიჩოქებდა, არც ერთი შეეძლო, არც მეორეი, ისინიც გავიდნენ: გავიდა სტუმარი, შაქრო გაჰყვა, გააცილა გულქანმაცა, არ გასჭრა ხვეწნამა, აღარც მიჰხედა, მოგზაურმა მაინც მიჰხედა, – ერთხელ კიდევ რო ეამბორებოდა, გულქანის ხელსა, საბოლოოდ ეამბორებოდა, იმისკენ ეჭირა თვალი, თითქოს საბოდიშოდა, თითქოს უმწეოდა, აბა, რა ჩემი ბრალიაო. არც არას აბრალებდა ლეკოი, არცა ამასა, არცა შაქროსა, არცა გულქანსა, ოღონდ აეშვათ, ოღონდ ხუმრობად ჩამოერთმიათ, მაგრამ ყურიც არ შეიბერტყეს, გავიდნენ, მიდიოდნენ, ჩქამი შორდებოდა, აქედან მაინც მიანვდენდა ხმასა. ხმას მაინც მიანვდენდაო და კიდევაც აუწია ხმასა, აუწია და მოუმატა, სიტყვებიც სხვანაირი ამოიღო, რის გულიკოო, რის ჩემო დაიკოო:

– შე ადამიანის არამგზავსო, შენა, ვის უბედავ, ვინა გგონივარ?! განა ის ლეკო ვარ, შენ რო გგონია, სხვა ვარ, სხვა მოვალეობა დამკისრებია. რას ჩადიხარ, რას ეღობები, ვინ დაგიბორკავს, შე ალაოს კუტო, შენა! ვინ არის ერთი, რო ლეკო თათაშელი იყოს

ერთი, ყველა ორია, მეტი თუ არა, ორი მაინც არის, ერთი საჩინო, ერთი უჩინარი, საჩინო რაა, მაცდურებაა, არაფერია, ის არის, რაც არის, ის უჩინარი, ის ერთი, თვალახვეულებს რო ვერ დაუნახიათ, ვერც დაინახავენ ბეცნი და ჩლუნგნი გონებითა, შენებრ ჩლუნგი და შენებრ უგნურნი. შემობრუნდი, სად ჯანდაბაში მიდიხარ, შე ჯოჯოხეთის მაშხალა, შენა, თვალი გაახილე, მე შენდა სახსნელად მოვლენილვარ, შენი ქონების გადასარჩენადა. მე რას დავკარგავ, ფრჩხილის საღირალი არ დამეკარგება, მოვასწარი, მივყიდ-მოვყიდე, დრო ვატარე, დედა ვუტირე მტერსა და მოყვარესა. შენ დაჰკარგავ, შე ჯოჯო, შენა, შემობრუნდი და ამიშვი, ან ეგენი არ გაუშვა, ვერ ივარგებენ უჩემოდა. დაიღუპებიან, ყველაფერს დაღუპავენ, შემობრუნდიმეთქი, შე ალაოს კუტო, ნუ გგონია, ის გადაგარჩენს, ციხეზე რომ ნიფხვის ტოტები გამოუკიდნია ბექასა, გაგხიწნიან, გაგგლეჯენ ყველაფერსა, ცეცხლს ნაგიკიდებენ და გამოგბუგავენ, იმას გიჩვენებენ, რაც არ გინახავს, შე ახახულო ბეხრეკო, შენა! მე ვარ მხსნელი, მოდი და ილოცე, სანთლები ამინთე, დაიჩოქე და შემევედრე, შე ფიტულო გადაშენებული ცხოველებისა, შე უგრძნობელო, უმეცარო, გაუგებარო, დაიჩოქე და შეიგნე, რამეთუ მე ვარ... მე ვარ... მე ვარ...

ხრინწები ამოუვიდა ლეკო თათაშელსა, არავინ მიჰხედა, ჩამიჩუმიც აღარ ისმოდა. მხოლოდ ბარძიმ ზედახეველი გამოჰყურებდა შიგნიდანა, გამოჰყურებდა თითქოს დაცინვითა, თითქოს შურითა. დაცინვა იმისი იყო, რა ამაოდ იჭაჭები, რაღას გახდები, რახან გულქანმა დაგაბაო, შური იმისა – შენ მაინც აგიშვებს, მე რა მეშველებაო...

XVI

აუშვებდა რა თქმა უნდა... მანამდის სტუმარი დარჩა ანაბარად შაქრო ცისკარიშვილისა. ეს ერჩივნა, მარჯვე ახალგაზრდა გამოდგა, რაც დააყოვნა ლეკომა, თორემ მერე არვისა და აღარაფერს შეუფერხებია. თუმცა საარჯევნოს რო გამოდიოდნენ, ხერგილი დახვდათ, ოღონდ მაშინვე ასწიეს ის ხერგილი, არც უკითხავთ, ვინა ხართ თუ სად მიდიხართო. ბექას ციხე გამოჰყურებდა, ბექას ჩაედგმევინებინა ხერგილი. გურანდუხტის დროშაც იქიდან მოსჩანდა, თუმცა ნიფხვის ტოტები უწოდა ლეკომა, მაინც დროშა გახლდა, მაისის დროშაი, ფრიალებდა ლაღადა, თამამადა, თამამი ქარი თუ უქროდა. ჰო ერთი სიტყვით, ხერგილი დახვდათ და აუგდეს ხერგილი, გზადაც შემოეყარნენ ვიღაც ვიღაცანი. თოფიანებიც შემოეყარნენ, ვიღაცა მიჰყავდათ, ვიღაცანი მოჰყავდათ ან საითკენღაც მიექანებოდნენ, მიესალმნენ და გაექანენ, მეკალოებსაც ჩაუარეს, მებზევეებსაც, მხვნელებსაცა, მრწყველებსაცა, მიესალმნენ და ჩაუქროლეს; ისინი თუ მიექანებოდნენ, მიჰქროდნენ ესენიცა, ამხედრებულიყვნენ, თუმცა ცოდი გამხელილი სჯობიანო, მაინცდამაინც ვერ მიჰქროდნენ, ცხენზე ჯდომა უჭირდა მოგზაურსა, რა ვუყოთ უჭირდა, – გაქანდებოდა შაქროი და შეიცდიდა, ბოდიშობითა: რა ვქნაო, მეჩქარებაო, მალევე უნდა გამოვბრუნდე, ი გოგოებიც უნდა გავიყვანოო, თორემაო, ვინ თავმკვდარიო, ნებანება გატარებო. ისევ გაქანდებოდა, ისევ შეიცდიდა, უმალ შეიცდიდა, ვინმე თუ გამოჩნდებოდა გზადა,

გვერდიგვერდ გაჰყვებოდა სტუმარსა და ავად აბრიალებდა თვალებსა. ასე იარეს, ფონებიც გაშხვიპეს, მშრალი რიყენიცა, ჭალებსაც შემოუარეს, ველობიც მოსჭრეს, ჩაკაფეს ორღობეებიცა და გავიდენ ნატბისსა, იტრიელთა კალოს მიატანეს. ფათერაკი არ შეჰხვედრიათ, უხერხული თუ საშინელი არაფერი გადაუტანიათ და მიხვდა მოგზაური ან ასე ირწმუნა, როგორიც რო შეგხვდება მეგზური, იმდაგვარიც გექნება მგზავრობაო; მეგზური ყოფილა ყველაფერი, გზასა თუ ადგილს ნურვინ დაემდურებაო. თუმცა აქაც დაადგა ცოტა გაჭირვებაი, ცხენიდან რო ჩამოვიდა, ლაჯები უხურდა, ვეღარც დამდგარიყო, ვეღარც დამჯდარიყო, მაგრამ სამდურავს როგორ ამოუშვებდა პირიდანა.

მეგზური არც ჩამომხტარა ცხენიდანა, რაღაცა უთხრა შემხვდურ ყმანვილსა, დაისადავა ამისი ცხენი, მშვიდობით მენახეო, გადმოუგდო მხარიღლივა და ბუქი ააყენა გზაზედა, ბუქი ააყენა და ბორიაყი თან გაიყოლა. ეს დარჩა კალოს პირასა, დიდი კალოსი, ათი კევრი უვლიდა ორპირადა, უვლიდა ცოცხლადა, ფიცხლადა, ხმაურიანადა, მეკევრეები აქეზებდნენ ხარებსა, აქეზებდნენ შეძახილებითა. ეგება კიდევაც წამოიმღერონო, შეჩერდა, დაცქვიტა ყურები, მაგრამ არავინ ამღერებულა არცა მეკალოეთაგანა, არცა მეურმეთაგანა. ბზეებთანა ტრიალებდა ურმები, მიჰქონდათ, საბძლებში ეზიდებოდნენ ბზესა, – რამდენი გაეზიდათ, რამდენი კიდევ იყო გასაზიდი, დიდი ბჯაც იდგა გასალენი, ბარაქიანი, კალოობა დასდგომოდათ; ამათ დასდგომოდათ ბარაქიანი, ბარაქიანი, სხვებთან შედარებითა, თორემ ესენიც ემდუროდნენ, წელს ნაკლები გამოსავალი აქ-

ვსო. ემდუროდნენ სხვანიცა, ყველანი ემდუროდნენ, გაჭირვების ზამთარსა ვარაუდობდნენ, ზოგს უკვე გასჭირებოდა, უკვე ბუზღუნებდა ან იმუქრებოდა, ან მოკუნტულიყო მუშტისოდენადა. თითქმის მოთავებულიყო კალოობაი, მარიამობისთვის დამლევამდისაც ვერ მიეღწია, ენკენისთვესაც გადასდევდა ხოლმე, ვინ იცის ღვინობისთვესაცა, თოვლქვეშაც მოჰყოლიათ კალოი, ნაადრევ თოვლქვეშა, გამთავნებულ ოჯახებსა, დიდმოსავლიან ოჯახებსა რაღა თქმა უნდა. ჰო ვერ მიეღწიათ მარიამობისთვის დამლევამდისა, ჯეჯილი ამოსულიყო ბევრ კალოზედა, ცოტასღა დარჩენოდა, ისინიცა ბუზღუნებდნენ, ამათაც დარჩენოდათ, თუმცა გულს აკლდათ, მაინც მადლობა შევწიროთ ღმერთსაო, იტყოდა უფროსი და სამდურავი შეაცივდებოდა დანარჩენთა ტუჩებსა, – მხოლოდ მადლობა შევწიროთ ღმერთსა და მიწასაო, ჩვენ ოფლი არ დავიშუროთ, ჩავღვაროთ ოფლი, ჩავლიოთ ჯანი, სხვა თვითონ იცის, ვენაცვალე მიწის მადლსაო.

მოეკლო მიწის მადლსა... ამან არ იცოდა არც მადლი მიწისა, არც სიმძიმე კალოობისა, სიმღერა იცოდა და რაც იცოდა, იმას ეძებდა. ყმაწვილი არ აცდიდა, აქეთ მობრძანდითო, საჩრდილობლისკენაო, საჩრდილობლიდანაც გამოვიდა კაცი, ხელი ასწია მიგებებადაცა, იმის ნიშნადაცა – ჩემსკენაო. ამანაც მიაღწია და უმალვე მოახსენა თავისი ვინაობაი, თითქოს შიშობდა, აქაც არ დამასწრონ, სხვა ვინმედ არ გამასაღონო.

– ვიცი... – ღიმილით მიუგო დამხვდურმა, – გელოდით...

– ლეკომ...

– ჰა, ჰა, ჰა... ვერ დააღწიე თავი!.. მოდი, მოდი...

საჩრდილობელში შეინვია. სასტუმროც ის გახლდა, შესასვენებელიცა, სადილ-სამხარსაც იქ მიირთმევდნენ, სათათბიროც იქ იყო, ყველაფერს ითავსებდა, გარდაიქმნებოდა სახელდახელოდა, თუმცა არაფერი შეიცვლებოდა, იგივ გრძელი მაგიდა, იგივ ჩამოსასხდომები აქეთ-იქიდანა, ან რა მაგიდაა, ან რა ჩამოსასხდომები, იქვე გამართული, იქვე გალართხული და გადარანდული ზერელედა; სამი მხრით ისევ ფარღალალა, ერთი მხრით მინყობილი ბულულები, თითქოს თავისებური სავარძლებიაო, მიესვენებოდი და მოისვენებდი, თუმცა თათბირი ასედაც შეიძლებოდა, წაკამათებაცა. ერთიორგან წიგნიც მიეგდოთ. ერთზე ბუვიე ამოიკითხა მოსულმა, გოგოები კითხულობენო, მიატანა დამხვდურმა, მეორეგან – შოპენჰაუერი, ბიჭები კითხულობენო, აუხსნა დამხვდურმა. ი ბიჭები და გოგოები კევრებზე ისხდნენ; თავპირი მიეშვირათ გახურებული მზისათვისა, ხოლო როცა შეენაცვლებოდნენ, შემოცვივოდნენ საჩრდილობელშია, დაეძაგრებოდნენ წყალსა, დაეშვებოდნენ ბულულებზედა, დაეშვებოდნენ მოწყვეტითა, ცოტას მილულამდნენ თვალსა, ცოტას წიგნს გადაავლებდნენ და, ვინ იცის, გვერდსაც ვერ ჩაათავებდნენ, შემოესმოდათ, შეენაცვლეო. მაინც ეს გახლდათ სამკითხველოცა, მხოლოდ ერთია, სამზარეულობა აღარ დაეკისრებინათ, შინ ამზადებდნენ, შინიდან მოჰქონდათ ჯერი კალოსთვისაცა, გუთნისთვისაცა, სარწყავებში გასულთათვისაცა, რამდენიმე პირად გაიშლებოდა სუფრაი, ან რა სუფრაი, – მაგიდაზე ჯამები ენყო პირქვედა, გადმოაბრუნებდნენ და დაისხამდნენ კერძსა, თვითონვე მორეცხავდნენ,

დაამხობდნენ პირქვედა, კოვზს ქვეშიდან ამოუდებ-დნენ. დამხობილ ჯამებსაც დააჩერდა მოსული, მა-ლე იქნება სამხარიო, დაამშვიდა დამხვდურმა.

– არაფერი მინდა... – თქვა სტუმარმა.

– ვიცი, – მიუგო დამხვდურმა, – სტუმარმა სამი ტყუილი უნდა თქვასო, მეჩქარებაო, არა მშიანო, აქით არ მოვდიოდი, თორემ კარგი საჩუქარი მქონდა თქვენთვისაო.

– არა... რატომ?!

– ასეა ნათქვამი...

– ყველაზე ჰო არა?!

– ნუ ავუხირდებით, ნათქვამია და იყოს, ჩვენც გავიხსენოთ და გავიხალისოთ...

იოლადა თქვა, იოლად დაამშვიდა, ისევე იოლადა თუ უბრალოდა, ბუვიე და შოპენჰაუერი რო გამოს-თქვა, ბევრი რამ წაეკითხა, ბევრი რამ გაეგო, ჩას-წვდომოდა იდუმალებას ცხოვრებისა, აღარაფერი გააკვირვებდა, ადვილადაც დაამშვიდებდა გაკვირ-ვებულთა თუ შეძრწუნებულთა, რადგან რო ერთი ყოფილა ყოველივე, სიცოცხლისა ყოფილა, ხოლო რაცა ყოფილა სიცოცხლისა, ხვედრი ყოფილა ადა-მიანთა. ჰო ბევრი რამ წაეკითხა, ბევრიც გადაეტანა, რუსეთის ციხეები, ხეტიალი უცხოეთშია, პარტიული ბრძოლები, ფილოსოფიური დისკუსიები, ბევრი გა-დაეტანა, ბევრსაც გადაიტანდა ერის გამოხსნის-თვისა, ერის თავისუფლებისთვისა. ყველა პარტიას მიჰკედლებოდა, ყველას გასცლოდა, რადგან არ და-თანხმებოდნენ, ისე გაეგოთ თუ წარემართათ ბედი ერისა, თვითონ რო ესმოდა. მაინც ცალკე ვერ დარ-ჩენილიყო, იყო სხვებთან, ოღონდ იყო მარტო, გან-ცალკევებული, თავისი აზრითა, თავისი რწმენითა,

იყო და დარჩა მაშინაცა, როცა დროებით ხელისუფ-
ლება იშოვნეს იმისიანებმა და იდეური თუ პოლიტი-
კურ-ფილოსოფიური გატაცებანი თანამდებობები-
სათვის ბრძოლებზე გადაახურდავეს; არც ეს გაჰ-
კვირვებია, არც ისა, რომ მალე დაეცნენ, გუდანაბა-
დი აიკრეს და გაჰყვნენ იმავე გზასა, საიდანაც დაბ-
რუნებულიყვნენ, იმ განსხვავებითა, მაშინ თუ ცალ-
ცალკე ემიგრანტებად ითვლებოდნენ, მერე ემიგ-
რანტული მთავრობა ერქვათ, სხვა დანარჩენი იგივე
გახლდა, მაშინ თუ თავპირს აპოტნიდნენ, მერე ცოც-
ხლებრივა სჭამდნენ ერთმანეთსა, მაშინ თუ იმაზე
დავობდნენ, როგორ მოეწყოთ სახელმწიფო თუ ექ-
ნებოდათ, მერე იმაზე გაცეცხლებულიყვნენ, თუ
როგორ ვერ მოაწყეს და ვის უფრო მეტი ბრალი მი-
უძღოდა. ამას მხოლოდ ყური მოეკრა, დაახლოებით
აღარ იცოდა, თან არ გაჰყოლია, ეყო, ეკმაროდა,
აღარას მოელოდა, დაჰყარა ფარხმალი, დაჰყარა და
ისევ ციხეში ამოჰყო თავი... სტუმარმა რა იცოდა,
არაფერი უთქვამს შაქროსა, მხოლოდ აჩქარებდა,
ლეკო ეტყოდა, წინასწარ აუხსნიდა, შეამზადებდა,
ყველას თავისებური მეგზურობა სცოდნია, ყველას
თავისებური ნაკლი ჰქონია. უბეში თავისი მეგზუ-
რიც უდევს, თავისი რუკა, მაგრამ ისიც მხოლოდ
ნატბისსა და იტრიელებს მოაგონებს, ცალ-ცალკე
არავინ დაუსახელებია გიორგი ყანჩაველსა, ან ამას
არ დახსომებია, თავს ძალას ატანდა, ვერაფერი მო-
ეგონებინა; მიხვედრითაც ვერ მიხვდებოდა ამდენ
რამესა. ისიც დიდია ამისგანა, კალოზე სამუშაოდ
გადაცმული მამაკაცი, გლეხად რო არ მიიღო, რო
ივარაუდა, ასე ორმოც წელს იქნება მიტანებულიო,
მეტს ვერაფერს მიხვდებოდა, რაღა თქმა უნდა, ისიც

დიდია ამისგანა; ოღონდ ემანდ თქვენ, არ გაგისწროთ ფიქრმა, იქ „ციხეში ამოჰყო თავიო...“ აქ „გადაცმული მამაკაციო“, გამოპარული თუ გამოქცეული არ გეგონოთ, არ მოგერიოთ სათავგადასავლო გატაცებანი, არა – გამოვიდა ციხიდანა, ხელი ჩაიქნია, დასთმო ყველაფერი, დაბრუნდა შინა, ბიძებთან დაბრუნდა, ძმებთან დაბრუნდა. ისინიც ათრია წუთისოფელმა, ვინ საითა და ვინ საითა, შინ თითო მაინცა რჩებოდა, ელოდა ვინმეს დაბრუნებასა, მერე მობრუნდნენ სათითაოდა, დამარცხებულნი, იმედგაცრუებულნი, ეხტიბარგატეხილნი, ეს მობრუნდა ყველაზე გვიანა, გატყდა ყველაზე თავგამოდებულიცა... ჰო მობრუნდნენ, მიწას მოუბრუნდნენ, ნატბისის მიწასა.

გახურებულიყო ნატბისის მიწაი, კალო გახურებულიყო, გახურებულიყო კევრი, თავთავი გახურებულიყო, იფშვნიტებოდა, იშლებოდა, ბზევდებოდა, ხვავდებოდა. მოზვრები ენას ჩაჰყოფდნენ ხვავში, სახრე გაიშხუილებდა, აჩქარდებოდა გახურებული კევრი, ალმური ასდიოდა ჩაბზევებულ კალოსა. შემონაპირება უნდოდა, ქცევა უნდოდა, არ ეცალა დამხვდურსა, გაუღიმა საბოდიშოდა მოგზაურსა და გავიდა საჩრდილოდანა. ბზის მზიდავებმაც გამოუშვეს ურმები, საიდანღაც გამოჩნდნენ დაკარწახებული მრწყველებიცა, მიჰყარეს ბარები, ფიწლები აუგდეს კალოსა, აუგდეს და ამოაბრუნეს, ამოაბრუნეს და გამოუჩინეს გული, ფიცხი დღე იდგა, მარჯვედ ილეწებოდა, მხოლოდ ნიავიღა იყო სანატრელი, დროზე თუ ნიავიც ამოიქროლებდა, ხართაშობამდის მორჩებოდნენ ყველაფერსა, იმ ერთი დღის საქმეს მორჩებოდნენ, წინ სხვა იდო კვლავაც საჩქაროი, სა-

შური, გადაუდებელი. უქცევდნენ და ლაპარაკობდნენ, შეჩერდებოდნენ, გასწორდებოდნენ წელშია, ოფლს მოიწმენდნენ და ლაპარაკობდნენ მოკვეთილადა, საქმიანადა, ბევრი რამ რო იგულისხმებოდა, ცოტათი რო გამოითქმოდა. ამას ამიტომაც არ გაეგებოდა, ესმოდა, მაგრამ არ გაეგებოდა, იჯდა ჩრდილოში, გადაინაცვლებდა, მტვერი თუ მიედინებოდა, იქაც მიუვიდოდა მტვერი, იქიდანაც გადაინაცვლებდა, მხოლოდ მტვერი არ ინაცვლებდა ეგრე ადვილადა, მტვერი კალოსი, დაგუდული დღის მტვერი. ისინი იდგნენ მტვერსა და მზეში შეჩვეულნი, შეგუებულნი, ამტანნი, ერთმანეთს მიმგვანებულნი ამტანობითა, ისედაც – ტანადაც თითქმის ტოლებნი გახლდნენ, საშუალოზე მომაღლონი, შესამჩნევად მხარბეჭიანნი, ოდნავად მოხრილნი ბეჭებშია, ოდნავ კეხიანი ცხვირითა, წამოხურული წარბებითა, ხორბლისფერი სახის კანითა; ჰო, ერთმანეთსა ჰგავდნენ საჩრდილობლიდანა, შეუჩვეველი თვალისთვისა ჰგავდნენ ერთმანეთსა, შეჩვეულისათვის თავისებურნი იყვნენ რაღა თქმა უნდა, მომეტებულად თავთავისებურნი. არ იქნებოდა ამასაც არ გამოერჩია, დაუახლოვდებოდა, გამოარჩევდა, თანაც თითქოს განგებისადო, სათითაოდ წარუდგნენ, სათითაოდაც გამოჩნდნენ, ოლონდ პირველყოვლისა კალოს მიაშურეს, შორიდან დაუკრეს თავი, ეგონა, ამით მომიშორესო, მაგრამ არა, ქცევა რო მოთავდა, სათითაოდ გამოეცალნენ კალოსა, სათითაოდ მიაშურეს ჩახრიალასა, სამოსი ჩაიბერტყეს, ჩაიწმინდეს, გადაიბანეს ხელპირი, გადაისწორეს ულვაში, მერეღა გამოემართნენ ამისკენა ოდნავი ღიმილითა, სიამოვნების გამომეტყველებითა, ხელი ჩამოართვეს, მოი-

კითხეს, გელოდითო, დასძინეს, მოიკითხეს კარგი ნაცნობივითა, გელოდითო გამოსთქვეს თანაგრძნობითა, ეტყობოდათ, შეფიქრიანებულიყვნენ და ულოცავდნენ მშვიდობით მოსვლასა; არ იქნებოდა, არ გამოერჩია თვითეული საერთო მსგავსებიდანა, გამოერჩია გარეგნობითა, ჰასაკითაცა, ხმის კილოთი, ქცევის კილოთი.

მაგრამ ცოტა დახანებაც უნდოდა, დრო უნდოდა, თვალი რო შეეჩვია, ვერ დაინახა, ერთბაშად მოგროვდნენ საჩრდილობელში, ჯერი მოიტანეს, კევრები გამოუშვეს, ახალგაზრდებიც შემოჩოჩქოლდნენ. ჯერ უფროსებისა არ იცოდა, რა გაეგო უმცროსებისა, ვით მიმხვდარიყო, ვინ ვისი შვილი იყო, ვინ ვისი ძმისწული თუ ძმისწულის შვილი, ვინ დისწული თუ მამიდაშვილი, პაპიდაშვილი თუ ნათლიიშვილი. ახ, ლეკო, ლეკო!.. რა კარგად აუხსნიდა, ჯერ წინასწარა, მერე ასეცა, გრძელ მაგიდას რო შემოუსხდნენ: თავში რო ზის, ოჯახის უფროსიაო (თუმცა ამას თვითონაც მიხვდა ან რა დიდი მიხვედრა უნდოდა, თავში დაჯდა, იმის დაჯდომას ელოდნენ, მერეღა ჩამოსხდნენ დანარჩენნი), მარჯვნით რო შემოუსხდნენ, ძმები არიანო, მარცხნით ძმისწულებიო. მარცხნით ძმისწულებმა ანუ პირველყოვლისა პირველდამხვდურმა ჯერ ეს დასვა, ოჯახის უფროსს მიუსვა ახლოსა. სიფიცხით გამოირჩეოდა ოჯახის უფროსი, ზომიერი, ოღონდ შესამჩნევი სიფიცხითა, იმაზეც ეტყობოდა, ჯამში რო იფშხვნიდა პურსა, იმაზეცა, მეუღლეს რო ანიშნებდა, რა ნელა არიგებ კერძსაო, – ნელა არ არიგებდა, ამას ნელა ეჩვენებოდა, იმაზეცა, ჭიქას რო ასწევდა, მოკლედ იტყოდა სადღეგრძელოსა, ძალიან მოკლედა, არც არავის აცდიდა

თქმასა. ჭიქა პატარა ედგა, წელში გამოყვანილი, თითებს შემოავლებდა ვიწრო წელზედა, სხვებსაც უნდა წაეტანებინათ ხელი თავიანთი ჭიქისთვისა, უხმოდა ხდებოდა, უბრძანებლოდა, თავისთავადა, ლუკმას რო დასჭირდებოდა ერთი ყლუპი გადასაცურებლადა. ასე მოთავდებოდა სამხარი, ვაშხამიცა. სიმთვრალე რა სათქმელია, ოდნავადაც არ აილენებოდა არც ერთი, ზომას არ გადავიდოდა ოჯახის უფროსი, არც არავინ გადაუსწრებდა; ყველაფერში ზომიერებდა ოჯახის უფროსი, შრომაში ზომა აღარ იცოდა, შრომა ექცია ღმერთადა და სასნაულადა და ნათესავთაგან, ვისაც შრომა ეზარებოდა, ვერც მიბედავდა იქ მისვლასა, შრომის დროს ვერა, დღესასნაულებს თუ იხელთებდა, მაშინაც ვერ გადარჩებოდა უსაყვედუროდა.

სასაყვედუროსა თუ უამურობის დახსომება არა სჩვეოდა, მაგრამ გაახსენებდნენ ხოლმე, გაახსენებდნენ და ისიც ამოაფრქვევდა იმავე წუთსა, ერთს ამოაფრქვევდა უბოროტოდა, უგანზრახვოდა, გადაივიწყებდა მაშინვე, მაინც შეახსენებდნენ საჭიროებისამებრა, ეს საჭიროება თუ რაღაც სხვა რამა, ზნე თუ ხასიათი ძმასა სჩვეოდა, მომდევნო ძმასა, მარჯვენა მხრით პირველი რო უჯდა, გამოიცქირებოდა თავჩაღუნული, ჩაფიქრებული, ჩაეჭვებული: ე ვინ მოსულა, რა ემღერება, ან მართლა ემღერება თუ არაო. იმასაც ევლო, ევლო უფრო საქმიან გზაზედა, ცდილობდა, ფეხი მოეკიდებინა ნავთის წარმოებაში, ვერ მოეკიდებინა, ცდილობდა, შავი ქვის მრეწველობაში მაინც ჩამდგარიყო, ვერ ჩამდგარიყო, ხე-ტყის მრეწველობაშიც გასცურებოდა ბედი, ვერაფერი ამოეგო, მხოლოდ ეზარალა, ვალით დაბრუნებული-

ყო შინა, ბაღები გაეშენებინა, თავისი დრო ჰქონდა ბაღის მოსავალსა, ვალი და ვახში არ აცდიდა, მზითვიანი ქალი შეერთო, ვალი და ვახში გაესტუმრებინა, დაჰგურგურებდა ისევ ბაღებსა, ხილის იმედიღა ჰქონდა მრეწველობაში გახუნებულსა. ძმა ჰპირდებოდა, საკონსერვო ქარხანას მოგიწყობო, რამდენიმე წლის წინათ ჰპირდებოდა, ახლა პირში წყალი დაეგუბებინა: ხელს აგვაღებინებენ ამ ბაღებზედა და ნეტავი როდისაო, დღესა თუ ხვალაო.

გულში გაივლებდა ხოლმე; თვალებზე მაინც შეეტყობოდა, თვალებითვე გაეპასუხებოდა ხოლმე მომდევნო ძმაი: დღედღევანდელა გადაიხარა, ვნახოთ, ხვალა რას მოგვიტანსო. ბედს ისიც გაეგდო სახლიდანა, ცხრაას ცხრამდე იატაკქვეშ იყო, ცხრაასცხრაში ბორკილი დაადეს და კატორღაში იჯდა კარგახანსა, და რო გამოეხსნა, არც აქეთ მოუხედნია, არც იქითა, აღარც ძველი თანამებრძოლები მოუკითხავს, აღარც ახლებს აჰყოლია, პეტროგრადისაკენ რო ეწეოდნენ, ხელი აიქნია და ნატბისს მიაშურა; მიაშურა ნატბისსა და გუთანს მოეკიდა, გუთანი ეჭირა ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდისა, მაშინაც გუთანი გამოეშვა საშუადღეოდა, სასამხროდ მოსულიყო თავის მეხრეებიანადა. მეხრეები იმისი ანუ იმათი დისწულები გახლდნენ, საარდადეგოდ ჩამოსული ახალგაზრდები, ცოცხალი, ხალისიანი, თვალებკრიალა ახალგაზრდები. ისინი ბოლოს ისხდნენ, მეკალოეთა ბოლოსა. სტუმარს თვალი იქამდისაც მიუწვდებოდა, მაგრამ ისინი ისევ ერეოდნენ თვალში, სჯობდა, ისევ მახლობლებს მიჰბრუნებოდა: გვერდით მჯდომს ჰო იცნობდა, – იცნობდა რომელია, ყველაზე მახლობლად დაეგულე-

ბინა, იმას მომდევნო ძმა ამოსჯდომოდა, მოხდენილი ვაჟკაცი, უებრო მოცეკვავე, უებრო და სნორუპოვარი, გამოსაჩენი და გამოჩენილი ყველა ნადიმზე, ყველა მეჯლისზე, გაქცეული თუ განდევნილი მთავრობა რო მართავდა განსაკუთრებული ზეიმებისა თუ უცხოელებთან პოლიტიკური ან სავაჭრო-ეკონომიკური გარიგებების აღსანიშნავადა; საქმიან დროს, მარჯვენა ხელი გვარდიელთა უფროსისა, თუმცა გარეგნულად არ ეჭირა მაღალი თანამდებობა, მაინც ყველა იცნობდა, ყველამ იცოდა მაშინაცა, მერეცა, რა ვუყოთ, თუ დაეგდო ფორმა გვარდიელი ოფიცრისა, ხნულში ჩამდგარიყო, ხნულსა რწყავდა, თესვა უნდა დაწყებულიყო. იმას რო ძმა მოჰყვებოდა, ტყვედ ჩავარდნილიყო გერმანია-რუსეთის ომში, მერე ეგვიპტეში მოხვედრილიყო, მერე ალჟირში, საქმე აეწყო, წელში გამართულიყო, მაგრამ იქ მაინც ვერ დაფუძნებულიყო, სამშობლოს სევდას დაერია ხელი, სხვები რო გარბოდნენ, ის მაშინ დაბრუნებულიყო, მერე აღარც აქ უნდოდა, აღარც იქით ეწეოდა გული, შრომაც მობეზრებოდა, ეზარებოდა, წელი სწყდებოდა, გული მოსდიოდა, უფროსი ბიძა რო არ ასვენებდა და ვეღარც გაეგო, რა წყალს მისცემოდა, თუ მუშაობასაც არ დააძალებდნენ.

მიწას მიჰქონდა დარდი, მიწა იტევდა ყველა ფიქრსა, ურვასა, ვაებასა. მიწა აცხრობდა ყველა მღელვარებასა, შმაგ ვნებებსა, ვნებებსა აღმრევთა ცხოვრებისა, მიწის აღრევა აღარ შეეძლოთ. სიმშვიდე ამოდიოდა მიწიდანა, ნატბისის მიწიდანა, ამიტომ თუ შემოკრებილიყვნენ, შემოკრებილიყვნენ და არ იცოდნენ, თუ რა ელოდათ. ეგება აქედანაც უნდა აყრილიყვნენ, როგორც აჰყარეს საერისთაოდანა, ერისთაობა

გამოსწირეს, დაარბიეს, დასთხარეს თვალნი, ასჩეხეს, ვისი აჩეხვაც შესძლეს, ვინც გამოასწრო, გადმოვლო ლიხი, იტრიას შეეკედლა სახლისკაცებსა, ვერც იქ იდგომილა, ვერ იდგომილა უმამულოდა, ნატბისს დაიუფლა მცირე მამული, იღვაწა, იწარმოა, ითავშიცემა, ამოიგო მთელი ნატბისი, ამოიგო და დაჰკარგა, აგერ ეჰაა, სულ ცოტა ხანია, რაც დაჰკარგა, ჩამოართვეს, დასჭრეს, დაუნანილეს სოფელსა, ამათაც არგუნეს სულადობის მიხედვითა, ჩამოართვეს და მერე არგუნეს, თანაც ბევრადაც მოსჩანდა, რადგან ერთად იყვნენ ძმები, ძმისწულები, კვლავ ერთ ოჯახად ეჭირათ თავი, ბევრივით მოსჩანდა ერთად მოყრილი ცოტ-ცოტაობითა. სოფელიც თუ ერთად იქნებოდა, ერთად თუ არა, ორად თუ იქნებოდა? უბრალოდ როდი ითქმის, ორი ყმაღა მოჰყოლოდათ ნატბისში, იმ ორთაგან წარმომდგარიყო სოფელი, ორთაგან სოფელი წარმომდგარიყო, გამრავლებულიყო, ამათ ვერ ემრავლათ, მოსდევდათ ბედი, ბედი მყივარი, შინ არ აყენებდათ ბედი მყივარი და ვის საით აჰგებოდა ანდერძი, ვის საითა. ამათ მოეღნიათ შინა, შინ მოეტანათ სული, სული მღელვარი, სული მომლოდინე, მინას ჩასცქეროდნენ, მშვიდ მინასა და მინის სიმშვიდით იცხრობდნენ სიმწვავესა მოლოდინისა.

ვინ აუხსნიდა, ეგება ლეკოსაც არ გაეგებოდა ამდენი.

ამან მხოლოდ ის მოახერხა, სახელები მაინც გაიგო, ისიც დიდი გაჭირვებითა, იმის მიხედვითა, ვის როგორ უხმობდნენ, მაგრამ ერთად ისხდნენ, ერთმანეთს შეჰყურებდნენ, იშვიათად თუ წამოსცდენოდათ სახელი, მაინც გამოადგა იშვიათად წამოცდენილი, დაისწავლა, დაიზეპირა: უფროს ბიძას დავითი

რქმეოდა, მომდევნოებსა – კახაბერი, დიმიტრი, ძმისწულთაგან უფროსს, პირველშემხვდურსა, როსტომი, მომდევნოებს, – გიორგი, ბაქარი. სხვათა სახელებიც მოესმოდა, არ გასდევნებია, არ ამერიოსო, ის სხვანი არც იყვნენ მარაქაში გასარევნი, ისამხრეს თუ არა, აიშალნენ, იქით გავიდნენ, ჩახრიალასაკენა, შეეფარნენ ტირიფებსა, ტირიფებით გადაიჩრდილეს. აქ სუფრა აალაგეს, ესენი არ ამდგარან, ისევ დარჩნენ, ჩამდუმარდნენ, ფიქრმა წაიღო...

XVII

ეს იყო მძიმე საფიქრალი, მძიმე საგონებელი... ხვნა-თესვის გარდა რო არაფერი ენაღვლათ, მაინც დაუმძიმდებოდათ, ისეთი ნელინადი დამდგარიყო. ჟამი. ჟამი დამდგარიყო. ჟამი. ჟამი.

– ჰო, – თავი აიღო დავითმა, – გაჭირვება გველის...

– თუ გახსენი ბეღლები და სოფელს დაურიგე... – ნიშნი მოუგო კახაბერმა.

– ჰო, – დაუდასტურა დავითმა, დაუდასტურა თუ ეურჩა: – მაშ რას იზამ?..

– სოფელს ვერ გააძღობ... ვერა, ვერა... ვერ გასწვდები...

– ერთი ჯერიც დიდი რამაა.

– სოფელს ვერ შემოსამ.

– ერთი ფლასიც დიდი რამაა.

– სოფელს ვერ მოიმადლიერებ.

– ერთის მადლობაც დიდი რამაა.

– ჭიან კაკლადაც არა ღირს.

– ღირს.

– ღირდეს, რა ბედენაა?!

– ვერაფერი ბედენაა. – დააწია ბაქარმა.

– სოფელს თუ შიან, შენ მაინც ვერ გაახურებ თონესა. – დავითმა თქვა.

– ვისი შრომისა იქნება, რო?! – ჩაიბუზღუნა კახაბერმა.

– არავინ იკითხავს, როცა შიან...

– ბარემ კალოდან დავარიგოთ, ბელლებში რაღას ვეზიდებით?! – ბუზღუნითვე გამოსთქვა ბაქარმა.

– უნდა ვიცოდეთ, რამდენი გვექნება, რამდენხანს გავწვდებით სოფელსა.

– სოფელს ვერ გასნვდები.

– ერთი გოჯიც დიდი რამაა.

– ილაჯს თუ გაგინყვეტს ეგ ერთი გოჯი?!

– სოფელი აღარ გაგვნყვეტს...

– კარგი ნუგეშია მე და ჩემმა ღმერთმა... – ბაქარმა ჩაიცინა.

– კარგი ნუგეშია, – გამოეხმაურა დავითი ოდნავ ამოოხვრითა, – ამ აღრეულ წუთისოფელში.

– რა დაალაგებს?! – ბაქარმა იკითხა.

– გაჭირვება, – კბილებში გამოსცრა კახაბერმა, – სიმშილი, სიტიტვლე, უსახლკარობა მაინც ვერა და...

– ბუნაგებიდან გამოსულა ადამიანი...

– ველარ დააბრუნებ, – დავითმა თქვა, – ჩარხი მხოლოდ წაღმა ბრუნავს.

– მიუგდე წყალი და უკუღმაც გადაბრუნდება.

– აბა მიუგდე?! – ჩაიცინა დავითმა.

– განგება მიუგდებს...

– და ვინ განაგებს?

– ვინც განაგებს... – პირდაპირ პასუხს მოერიდა ბაქარი.

სხვები არ ჩარეულან, რაღაცას მისჩერებოდა დიმიტრი, წამწამსაც არ ახამხამებდა ან არც არაფერს მისჩერებოდა, ეგრე გამოჩერებულიყო და ვინ იცის, არც ესმოდა, არც გაეგებოდა ნალაპარაკევი; როსტომი დაჰყურებდა თავის ხელებსა, თითქოს ის-ისაა აღმოეჩინოს, თითქოს გაკვირვებულიყოს, ბიჭოს, ეს რა მქონიაო; გიორგი ღიღინებდა თავისთვისა, ხმადაბლადა ღიღინებდა, გადადიოდა და გადმოდიოდა, ერთმანეთში ურევდა შინაურულსა, უცხოურსა, ხალხურსა, კლასიკურსა, წამოსტვენაც უნდოდა, ოღონდ ერიდებოდა, კახაბერს მოსდიოდა გული, სტვენას რო გაიგონებდა, უხათრებდა, ადვილად დაიოკებდა ამ ნდომასა, გავიდოდა მინდვრადა, ხნულში ჩადგებოდა, უსტვენდა და უსტვენდა ტუჩების გადმობრუნებამდისა, ახლა ღიღინიც ეკმარებოდა. ღიღინსაც დაუშლიდა კახაბერი, ჯერ არა, მერე დიმიტრისაც შეუწყრებოდა, რას მიშტერებიხარო, როსტომს შეუბღვერდა, რაო, რა კარაბადინს ჩასჩერებიხარო, არაფერი გამოეპარებოდა იმის თვალსა, შეუნიშნავად არ დასტოვებდა, თუ თვითონ არა, დავითს მაინც ათქმევინებდა, შეუჩიჩხვირებდა, ასტეხდა, გააფიცხებდა; ჯერ არა, ჯერ არ გაბრაზებულიყო კახაბერი, ეღიღინა გიორგისა, ოღონდ არ წამოესტვინა, ეღიღინა ისე უთავბოლოდა.

– ვინც განაგებს, ასე განაგებს, – დააბეჯითა დავითმა, – ჯერ ფულის რეფორმამ დასნია ხალხი უკანა, ახლა მოუსავლიანობამა, ძალადობაც თავისას სჩადის, აღივსება საწყაული და...

– აღივსოს, – გამოამტვრია კახაბერმა, – რაღად უნდა დაურიგო?!

– უნდა დაურიგო... რაც რო მოჰხდება, ჩვენ გადაგვხდება...

– ნატბევის მიწებზედაც მიიწევს სოფელი!.. – როსტომმა.

– მაგასაც დაურიგებ?!..

– ერთ წუთსაც არ შევყოყმანდები...

– მაშ ბარემ ავიყაროთ... ან რაიღა ვხნათ ან რაიღა ვთესოთ ან რაიღა ვჭამოთ... ან რაიღა დავურიგოთ ვინმესა, რახან ეგაა და გადამდგარხართ განაწილებაზედა!

– კოლმეურნეობაზედაო... მაგისი თქმა გინდა?..

– განა ეგ არ არის, სოფელს რო ელოდება!.. ამათ ხელშია!..

– ეგ არის და მაგითი გამოიჭრის ყელსა... სოფელი...

– ჯერ ჩვენ გამოგვჭრის... ჯერ ჩვენ მოგვისიეს და ბრმად მიაქანებენ უფსკრულისაკენ. სოფელსა...

– სოფელს ვერ დააბრმავებ!..

– სოფელი ღონიერია თუ კაცი გონიერიაო.

– აღარც კაცია გონიერი, აღარც სოფელი ღონიერი!..

– გონთ თუ მოვიკრებთ და სოფელს შევეწევით...

– სოფელს ვერ გააძღობ, ვერა, ვერა, უმადურია სოფელი, აღუვსებელია საწყაული წუთისოფლისა, აღუვსებელი!..

– მაინც საწყაულს უნდა უბეჯითო!..

დიმიტრის გადაჰხედა კახაბერმა, შენცა თქვი, ჰხედავ, თავისას არ იშლისო, გადაჰხედა, მაგრამ იმან რო აღარ შეაგება თვალი, მწვავედ ამოთქვა კახაბერმა:

– რას მიშტერებიხარ?!

–არაფერსა, – დიმიტრის თვალი არ მოუწყვეტია იმ არაფრისთვისა, – რვა წელიწადს მივჩერებოდი ასე, ჩვეულება რჯულზე უმეტესიაო.

– რითი ვეღარ გადაეჩვიე?! – გაწყრა დავითი, – რაც უმაქნისია, ჩვევადაც არ ვარგა.

– არ ვარგა, – დაემოწმა დიმიტრი, – მაგრამ არის, ბევრი რამ არ ვარგა და არის.

– აღარ იქნება! – ტუჩები გამობერა კახაბერმა.

– ღმერთმა გისმინოს, – უნდილად დაატანა დიმიტრიმა, – დაე, ღმერთმა განსაჯოს და გადაწყვიტოს, ვინც უნდა გადასწყვიტოს, მე ჩემდათავად მოვათავე.

– მოათავე თუ მოთავდი? – ჩაიცინა დავითმა.

– თუნდ ეგრე იყოს... – უკვე სხვა წერტილი იპოვნა დიმიტრიმა, ან არც არა იპოვნა, თავი მიაბრუნა, ჩაიკარგა იმა მხარესა.

– განდგომა ადვილია, – თქვა დავითმა, – ლაჩართა წესად იმიტომაც არის.

– შენ კატორღა არ გინახია...

– ჰო არა გგონია, თავი დააღწიე?! რა შიგაო და რა გარეთაო... კატორღაში ვართ!..

– დამეხსენი... – მოწყვეტითა თქვა დიმიტრიმა, ადგა, გაეცალა.

მოუხმობდა დავითი, დაუყვავებდა, მოუბოდიშებდა, დააშოშმინებდა, დაამშვიდებდა, მაგრამ აბუზღუნდებოდა კახაბერი, აქვე თუ არა, მერე აბუზღუნდებოდა უდროუდროსა, წამოაყვედრებდა, ნიშნს მოუგებდა უდროუდროსა ან მწარე დროსა; უჯობდა, მორეოდა ლმობიერ გულსა, არად ჩაეგდო განაწყენებაი თუ გაოგნებაი, არავინ დაენდო, არავინ გამოერჩია.

– თუ გგონია, ძალიან შემცდარხარ, – ასე მიადევნა დავითმა, – ნურც ნურავის ეგონება, – ეს სხვა მდუმართა გასაგონადა თქვა, – ნურც ნურავინ გამოიდებს თავსა, ეს მინახავსო თუ ის მინახავსო, ყველას რაღაცა უნახავს და ყველა ვერა ნახავდა ყველაფერსა. ყველაფერი არც არის სახარბიელოი, ეს მაინც არ არის სახარბიელო ან გვეყოფა და უნდა ავიცილოთ.

– მაშინ დაზოგვა გვმართებს... – გამოედო ისევ კახაბერი.

– უნდა გავცეთ. – თავისას ადგა დავითი, ადვილადაც არ გადავიდოდა, მხარის დამჭერიც არ უჩანდა კახაბერსა, ტუჩებსა ბერავდა, ეშლებოდა გაწყობილი ულვაშები:

– დამიჯდა ესეც მგალობელადა... – გამოისროლა გაბერილი ტუჩებიდანა.

– არ გეამებათ?! – უნაღლოდ გაიღიმა გიორგიმა, – არც გასაკვირია, ამ სიცხეში რა უნდა იყოს საამებელი?!.

– არც არაფერი, – დაუდასტურა დავითმა, – სასიამოვნოდ არც არავინ გიწვევს და თუ შენც გეხება, რასაც ვამბობთ...

– ბრძანეთ, მომინდვია თქვენი ბრძენი გონებისთვისა.

– ხუმრობ ვითომა?!

– არა, რათა?! მომინდვიამეთქი, როგორც გენებოთ, გნებავთ, გაეცით ნებითა, გნებავთ დაიცავით თოფ-იარაღითა, მე ჩემდათავად თუ აქ ვიქენი, გნებავთ, მე თვითონვე ჩამოვურიგებ, გნებავთ, ავისხავ თოფ-იარაღსა, ჩემთვის სულერთია, როგორც ინებებთმეთქი, თუმცა მირჩევნიან, იარაღი მესხას, თუ აქ ვიქენიმეთქი...

– არ დაგიშლია?!

– არა!.. რად დავიშალო, ტლაპოში ვიდგე და ველოდო, როდის მოვლენ ჩემს ნასაყვანადა?!

– რად არ გაჰყევი?!

– მეც არ ვიცი... აქაც საჭირო უნდა ვყოფილიყავი...

– საჭირო იქნები...

– როდისღა?!

– განა რა დრო გასულა?!

– ბევრი, წელინადში სამას სამოცდახუთი დღეა, სასნაულები ერთ დღეში ხდება.

– საუკუნოობითა მზადდება...

– ჰა, ჰა, ჰა... გეგონება მათუსალა ვიყო, ცხრაას სამოცდაცხრა წელს ვიცოცხლო. ერთი მოკლე სიცოცხლისა ვარ, ერთი ჯანი მაქვს და თუ არ ჩავხარჯე, ჯავრი შემჭამს.

– ჩახარჯე.

– როგორა?! ან რას მედავებით, ბიძაჩემებო, თქვენს ყაბულსა ვარ! თუ აქ ვიქნები, ჰო ყაბულსა ვარ, თუ წავალ, ჰო წავალ და ის იქნება.

– დარჩები, – მოსჭრა დავითმა, – ბრუნდებიან...

– და ცვივიან, გზა მოჭრილია... მოჭრილია... ხიდზე არ გახვალ, ბორანზე დაგიჭერენ, ყველგან მახეა დაგებული, ყველაფერი გაცემულია.

– პატიმრის წერილს ენდობი?!

– თვალი თვალსა ჰხედავს, რაღა პეიტარი უნდაო...

– ყველაფერს ვერ დაინახავ.

– რასაც დავინახავ... ყოველშემთხვევაში აგერა ვარ, თუ წავალ, წავალ, თუ არა და, აგერ ვიქნები, – მოსჭრა გიორგიმა, მოსჭრა და აჰყვა კვლავაც ღი-

ღინსა, დაბალ ღიღინსა, „თავო ჩემოს" ხმაზედა. ეღიღინა, სხვაც წამოეწყო, გაჯიქებულიყო თუნდაცა, წუთისა იქნებოდა გაჯიქებაი იგი, დასთმობდა მალევე, გადაეშვებოდა, საითაც გაუშვერდნენ ხელსა, ოღონდ დარჩენილიყო, ოღონდ არ გადავარდნილიყო უცხოეთში, არ ეთმობოდათ; რაც უნდა იყოს, დაგვიჯერებსო, იმედოვნებდნენ, მხოლოდ როსტომის დაჯერება იყო ძნელი და სწორედ იმისი დაჯერება უნდოდათ ყველაზე მეტადა. თუმცა რადაო, – როსტომი არ იმუქრებოდა წავალო, არც არავის აქეზებდა, არც არაფერში ერეოდა, ხმის ამოღებაც როდი უნდოდა თუ არ ჩააცივდებოდნენ. ის ერთი თქვა და მორჩა. დიდ მარცხსა სცოდნია ასე, გამოუსწორებელ მარცხსა, სიცხესაცა სცოდნია, გამთანგველ სიცხესა, სიმწარე მარცხისა და სიცხე გამთანგველი შენივთებია ერთმანეთსა, შეწვნია, შეხლართვია. იდგა ლული სიცხისა, არ ირხეოდა ფოთოლი, თითქოს ჰაერი გაქვავებულაო ან შუშადა ქცეულა, სქელ, გაუვალ შუშადა. საქონელი ქასქასებდა, მერე ქასქასის თავიც აღარა ჰქონდა, ენა დარჩათ გადმოგდებული, კბილები დაკრეჭილი, ყბები ჩამშრალი. კევრი არ შეიბმოდა, ან რაღა კევრი უნდოდა, ეგრევე იხალებოდა ხორბალი, თავთავშივე იხალებოდა. საჩრდილობელშიც ჰო დახალულები ისხდნენ, მზისა არ უკვირდათ არაფერი, სამდურავს არ ამბობდნენ მზისასა, არც წუთისოფლისა უკვირდათ არაფერი, სამდურავს არ ამბობდნენ წუთისოფლისასა, მხოლოდ სხვანაირი უნდოდათ წუთისოფელი და ეს სხვანაირი როსტომს უნდა სცოდნოდა, ოღონდ ამოქმედებულიყო, ოღონდ გამოეღო ხელი. მაგრამ არ იძვროდა, თუ ამბობდა, ამ-

ბობდა საწინააღმდეგოსა, დავითისა და კახაბერის საწინააღმდეგოსა, უფრო კახაბერის საწინააღმდეგოსა, თორემ დავითს ხშირად თუ არა, ხანდახან მაინც ჭკუაში დაუჯდებოდა ხოლმე იმისი ნათქვამი – აი ახლაც რო: არც შევყოყმანდებიო – თუ ათქმევინებდნენ ცხადია, თუ გამოიყვანდნენ სიცხის ლულიდანა, გონებას რო მოჰკიდებოდა, იმ ლულიდანა.

– უფროსი ძმა ხარ და უფროსობა უნდა გაუწიო, – ასე აბუზღუნდა კახაბერი, – უნდა ურჩიო... ოღონდ ასე არა!..

– მამის ფასი ბიძები თავს ადგეხართ... მე ჩემი წამომცდა... წამომცდა...

– ძმა მაინც ძმაა, ძმა იმითა სჯობს მეგობარსა, ძმაც არის და მეგობარიცაო... წამოცდენაც არარას არგია!..

– ვინ უწყის!.. მეგობარი მეგობარია, მამის ფასი ბიძა სხვა არის.

– რის თქმა გინდა?

– არაფრისა... თუ არ დაგიშლიათ და ამას მოგახსენებთ, ჩვენ ახლა ველარაფერს ვურჩევთ ერთმანეთსა, ოცდაათი წლისაზე ნაკლები ჩვენს შორის აღარავინ არის, ყველა დაგვცადა ცხოვრებამა ან გაგვტყორცნა აქეთ-იქითა, გაგვტყორცნა უხილავ ნაწილაკებადა, ჩაგვაბა რაღაც აწყვეტილ სრბოლაში და სადა ვსრბივართ ან რის გარშემო, აღარ გაგვეგება.

– უფრო მკაფიოდ ვილაპარაკოთ, – სახე დაეფშხალა კახაბერსა, დაეფშხალა დაცინვისადა.

– უფრო მკაფიოდ არც გაგვეგება...

– რა არ გაგვეგება?! რო შემოვიდნენ, რო დაგვიპყრეს... არ გაგვეგება?!

– მაგას დიდი გაგება არ უნდა... როგორ ვიხ-სნათ?!

– სწორედ ესაა ყველაზე ნათელი. – დავითმა შეს-ძახა დარწმუნებითა.

– ყველაზე ბნელი, გაუვალი, უკუნი, გონების თვალი ვერ გასწვდენია ამ უკუნეთსა.

– ბნელი გონება ვერც გასწვდება... – ჩაისისინა კახაბერმა.

– არ აგიხირდები...

– რატომაო?! ახირდი!..

– არ ავხირდები... ეგება მართლაც ჩამიბნელდა აზრი.

– რა თავს იკატუნებ? – გაიბუსხა ბაქარი.

– არა... ასე მინდა, მინდა მჯეროდეს, რო ველა-რაფერსა ვხედავ და აღარც გონება მიჭრის.

– დიადი სურვილები გაგჩენია... – ჩაიცინა და-ვითმა.

– უმწეობის სურვილები... – დააწია კახაბერმა.

– უმწეობისა...

– ვაუკაცს არ მართებს ტრაბახი უმწეობითა.

– არც ქადილი შეშვენის.

– განსჯა ბრძნული და მოქმედება ვაუკაცური, აი რა შეშვენის.

– განსაჯეთ ბრძნულადა, ვაუკაცობაც ეგება და-მიბრუნდეს.

– ბრძნული ახლა ეს არის: შემჭიდროება გვმარ-თებს, ოჯახი თუ დაირღვა, ველარც რას თავს ვარ-გებთ, ველარცა ერსა; შემჭიდროება გვმართებს, გაქ-ცევაზე არავის უნდა ეჭიროს თვალი, ისედაც რანი ვართ, ვერ გავმრავლდით... ჩვენი წინაპარი ერთი მო-ვიდა, ორი ყმა მოიყოლა, ორისაგან სოფელია. გაჰხე-

დეთ, რამხელა სოფელია, ჩვენა? სოფელს დავასახლებთ, კიდევაც რო გავიყარნოთ?! ეს უცხოეთში გაქცევის ჟინი რაღაა, რას უნდა მოეკიდოთ?! აგორებული ქვა ხავსს ვერ მოიდებსო; შემჭიდროება გვმართებს და ერთსულოვნება, აი, მთავარი სიბრძნე, დანარჩენი აქედან გამოედინება. – მტკიცედ განაცხადა დავითმა, მორჩა, წინააღმდეგს ვეღარავინ იტყვისო.

– ეგ ძველი სიბრძნეა, დანარჩენი თქვი, – არ დააყოვნა როსტომმა.

– ძველია და კარგია.

– კარგია... დანარჩენიმეთქი, რა გამოედინება ჩვენი დროის შესაფერისადა?

– ისა, რომა შენი შესაძლებლობის პატრონი არ უნდა სცდებოდეს მეკალოედა, ერს უნდა აფხიზლებდეს, ამზადებდეს. უწინამძღოლოდ ხალხიც არ ვარგა, ხალხიც ფარაა უწინამძღოლოდა.

– და აი გაექცნენ... წინამძღოლები!!! ცხრამთას იქით გადაიკარგნენ...

– აგრე რად იტყვი?! ეს იყო დიდი პოლიტიკური დემარში.

– თუ არავის არაფრად ჩაუგდია?

– როგორ თუ არაფრადა, დიდი საერთაშორისო გამოძახილი ჰქონდა და თუ აქამდის არ უცვნიათ ესენი...

– რო იცნეს? ინგლისმა დაიწყო...

– დაიწყო... – ჩაიგესლა კახაბერმა.

– ეს ჯერ კიდევ დიპლომატიური სვლებია. – დავითმა თქვა მრავალმნიშვნელოვნადა. – ბეცად თუ გაჰხედავ, სხვა გამოდის, ღრმად თუ ჩაუკვირდები, სხვაი.

– იმედია ყველაზე ბეცი, მე უფრო ბეცი სხვა არაფერი გამიგონია, თუ რაიმეს დავუბნევივართ, მხოლოდ იმედსა. გაიხედეთ აბა უკანა, დავღუპულვართ

იმედითა, სხვის იმედითა, რიღაცის იმედითა, მაინც არ ვეშვებით ამ უბადრუკ იმედსა, ამ ბეცსა და გაუტანელსა. რაღა შორს წავიდეთ, აგერ არ იყო კანის კონფერენციის იმედები, იმედები გენუისა, კათალიკოსმაც რო გადასდო თავი... მერე რაო... იმედები ჰააგისა, ლოზანისა, რა ქმნილა ის იმედები, რა ყოფილა ის იმედები?.. ამაოება ამაოებათა, მარტოდენ ამაოება, მეტი არაფერი, მისხალისოდენად არაფერი. ახლა აგერ ლონდონის კონფერენცია...

– ჯერ არ დამთავრებულა. – შეახსენა დავითმა.

– ჰა, ჰა, ჰა... მაინც იმედს ჩამოვეკიდოთ, ნიკაპით ჩამოვეკონნიალოთ იმედის ჩანგალზედა, გაუძლებ? გაუძლებთ? თქვენ იცით... მაგრამ ნუ გავიწყდება, დამთავრდა კანის კონფერენცია, აღარც ახსოვთ, ჩვენ არც მაშინ გავხსენებივართ. ევროპის ეკონომიკური მოწესრიგება იყო იმათი მიზანი, მეტი არაფერი, არაფერი მეტი.

– ეკონომიკაა ყველაფრის საფუძველი; საფუძველი საფუძველთა ყველაფრისამეთქი და, ცხადია, სახელმწიფოებრივი მოწესრიგებისაცა. ევროპის ეკონომიკაში ჩვენი წვლილი საეჭველი არ არის.

– მაშინაც ასე ირწმუნებოდით, გენუაში გამოაშკარავდებაო. კათალიკოსმა წერილიც რო აახლა, ჰო არც გაიტანეს კონფერენციაზე. კონფერენციის წინ გენუის გაზეთებში გამოაქვეყნეს და ამით მოიცილეს თავიდანა ჩვენი წვლილიცა და ჩვენი ფართიფურთიცა, სხვა იყო სანაღვლებელი, სხვა ჭია ღრღნიდათ და კიდევაც გამოსთქვა ლოიდ ჯორჯმა კონფერენციის დახურვის წინა, გახსოვთ: შინ რო დავბრუნდები, ორი მილიონი უმუშევარი შემეკითხება, თუ რა გავაკეთე მე იმათთვისაო, გახსოვთ თუ

არა? თუ არ გინდათ გაიხსენოთ, რადგან ჩაგიწყდებათ ეგ უბადრუკი იმედის ჩანგალი, ჩამოწყდეს, რად გინდათ, რად უნდა ეკონნიალოთ და იფართხალოთ, რადა? არ ვიცი!..

– შედარებები პოეტებს დაუთმე, – გაჰკილა დავითმა, – ისინი იმედს უკეთესად გამოსახავენ. და რახან გახსენება ინებე, ისიც გაიხსენე, ბარტუმ რო განაცხადა: პარიზს რო მივბრუნდები, რუსულ ფასეულობათა მილიონობით მფლობელი მომკითხავს, თუ რა გავაკეთე მე იმათთვისო. ამას ჩაუკვირდი! იმ მომკითხავთაგან ძალიან ბევრი ჩვენით არის დაინტერესებული.

– ვიცი... მომეხსენება, დიდი ერებისათვის მხოლოდ ფასეულობა ვართ, ვთქვათ, მაღარო ვართ მარგანეცისა და ჩვენი ღირსება, ჩვენი კულტურა, სულიერი ავლადიდებაი ჩვენი, ჩვენი წარსული თუ მომავალი, მხოლოდ იმადა ფასობს, რაცა ღირს ჩვენი მარგანეცი საერთაშორისო ბაზრებზედა.

– კარგი გვარიანი ფასი აქვს, ყურადღებას იპყრობს და ჩვენც ყურადღება გვინდა, მეტი არაფერი, საერთაშორისო ყურადღება გვინდა, რითი მივიპყრობთ, რა ბედენაა, ოღონდ მივიპყროთ და გამოვიყენოთ.

– ვერ მივიპყარით... ლოზანის იმედმაც ჩაგვიარა, ჯანდაბას, დამითმია შედარებები პოეტებისათვისა, მაგრამ ჰო ჩაგვიარა იმა იმედმა? რა მღელვარება იყო, საქართველოს მიიწვევენო, აი, ნახეთ, მიიწვევენო... მერე და, რაო?! ჰმ! გაგახსენოთ? კომედიაა!.. რის დემარშიო, რა დემარშიო, ვილას მიაჩნია მთავრობადა თუ სახელმწიფოს წარმომადგენლადა მოყუჩებულნი სადღაც ლევილშია?!. ჯერ ფარატინა

ქაღალდი რა არის და იქიდანაც თუ ამოგფხიკეს, ჭიან კაკლადაც აღარა ჰღირს იმედი. ჰმ, იმედი, ვისი იმედი, იმედი რისა?! ლონდონის კონფერენციისა, ჯერ რო არ დამთავრებულაო? ჰმ! მაკდონალდმა უკვე განაცხადა, ინგლისის მთავრობა სცნობს რუსეთის უფლებებს ამიერკავკასიის ქვეყნებზე, მათ შორის საქართველოზეო, განაცხადა თუ არა?

–იმას ვინა ჰკითხავს?!

– ახლა ვინა ჰკითხავს... ალბათა ჰკითხეს, არ მოეშვნენ... იმედითა, ვაგლახ იმედითა.

– მაკდონალდი რეგვენია. – უყოყმანოდ განაცხადა კახაბერმა.

– იყოს, თანაც გადაყოლია, იდარდოს იმისმა ერმა, თუ ბრძენია და იმათვე უხაროდეთ... ჩვენ ეს ლახვარი ჩაგვცა, ის არ იქნებოდა, სხვა ჩაგვცემდა, ლახვარი თუ არის, მომხმარებელიც გამოუჩნდება. კიდევ სხვა ამოიწვდის იმა ლახვარსა, სხვა ნურაფრის იმედი გექნებათ, არავისა სცხელა ჩვენთვისა, არავინ გაირჯება ჩვენს სასიკეთოდა. მიწა გამოგვცლია ფეხქვეშა, წონასწორობა დაგვიკარგავს და დავქანქარებთ... დედამიწაზე აღარც გვიდგია ფეხი, რომელიღაც ასტეროიდზე მოვხვედრილვართ, საკმარისია, ერთი ღრმად რო ამოვისუნთქოთ, მოვწყდებით და ჩავიკარგებით უსასრულობაში... ჰო... რომელიმე ასტეროიდი გამახსენეთ, ყმაწვილებო!..

– ჰერმესი... – გამოსძახეს ყმაწვილებმა.

– ჰო... ჰერმესი... საქართველო ჰერმესად გვექცა... – ასე მოსჭრა და ხელები აიფარა სახეზე. ოფლი მოსდებოდა შუბლზე, თმის ძირებზე, თითებზე ჩამოედინა ოფლი. საკინძეც გაეხსნა და მოუჩანდა ოფლიანი გული. ადიოდა ალმური, ჰაერი ენთო, ჰაერი იწ-

ვოდა, ლაპლაპებდა, გაგანია გაუდიოდა. რის საჩრდილობელიო, რა საჩრდილობელიო, როცა ვარვარებდა ყველაფერი. ყმაწვილები იწუნებოდნენ ჩახრიალასთანა, იწუნებოდნენ და სულს მოითქვამდნენ.

XVIII

ამათ უფრო და უფრო უგუბდებოდათ სული, სიტყვაცა ვარვარებდა, ხურდა, გაგანია გაუდიოდა.

– რეებსა ჩმახავ?! – შეჰყვირა კახაბერმა, შეჰყვირა სულშეგუბებულივითა რაღა თქმა უნდა.

– მოიცა!.. – ხელი ასწია დავითმა, – ვთქვათ, მართალსაც ამბობ, რა მოხელეა მერე ეს სიმართლე, ვის გამოადგება?! თავკერძა და თავნება ადამიანი არა ხარ, მაგრამ ესეცა ვთქვათ, ვითომ თავკერძა ხარ, ვითომ შენ რას გარგია?! შენ არას გარგია, ჩვენ არ გვარგია, ქვეყანას არას არგია, რა მოხელეა ასეთი ფიქრები თუ განსჯანი?! არაფერი, არას მაქნისია და გამოვიბერტყოთ თავი, მე ვარ თუ შენა ხარ, თუ ვინმეა კიდევ შენი ამყოლი, უნდა გამოვიბერტყოთ, გავიმხნეოთ თავი, სახსარი ვეძებოთ; რაც უნდა მისჭირდეს, ერთი მაინც უნდა გვახსოვდეს, ყველაფერს თავისი სახსარი აქვს, ოღონდ მიუდგე, გადაუხსნელი არაფერი დაგრჩება. ასე უნდა განსჯიდე, იმ სახსარს უნდა ეძიებდე თავგადაკლული, იმედი არ მოგწონს, მაგრამ არ უნდა ჰკარგავდე იმედსა, რო იპოვნი, მიაგნებ, შენსას გაიტან. ისე ცხოვრება ამაოებაა. სიმშვიდე თუ გვიდგას, კიდევ ჰო... ხოლო ახლა განდგომაა, ღალატია, მოღალატეს არავინ გაიკითხავს.

სუნთქვა აუჩქარდა კახაბერსა, ნათქვამი თუ მოინონა, სიცხისას ნუღარას ვიტყვით, სიცხეს თავისი გაჰქონდა ცხადია და ცხადზეც უცხადესია. ოფლი ჩაუშრა როსტომსა, თითქოს სუნთქვაც გაეკმიდაო, ოღონდ ხელები მოიცილა სახიდანა და რახან ხელები მოიცილა, დაიძროდა ბაგეცა:

– ღალატი ბევრგვარია, – ბაგეც დაიძროდაო და დაიძრა, – ზოგჯერ თავგამოდებაც ღალატია, თუ ჰღუპავ, ყველაფერი ღალატია. სახსარის იგავი რას გიშველის, თუ ვერ მიგიგნია სახსარი, თუ ვერ მიგიგნია და ვერც მიაგნებ. სახსარის იმედი რას გიშველის, როცა ყველა გზა მოჭრილია, შინაურიც მოჭრილია, გარეულიცა, შინ ჩაგდგომიან და რამაც არ უნდა აგაღელვოს, დაგამშვიდებენ. პატარა ჯგუფები, ტყედ რო გასულან, ერთად ვერ მოიყრიან თავსა; თავი რო მოიყარონ, ლაშქარი უნდა გადმოსხდეს ან განლაგდეს საზღვართანა, ლაშქარი კბილებამდის შეიარაღებული, უზრუნველყოფილი, იარაღითა, ფულითა ძლიერთა დახმარებითა, სად არის მერე ეს ლაშქარი, ეს დახმარებაი, ვთქვათ, აქაც რო აგყვნენ, შეაიარაღო, შემოსო, გააძღო, სად არისმეთქი?! ჩვენ მხოლოდ მთავრობა გაგვექცა ჯალაბობითა, ლაშქარი არ გამოვა იმა ჯალაბთაგანა. რუსეთმა არმიები გაიყვანა, ვეღარ შემობრუნებულა ის არმიები, ვერ შეიარაღებულა, ვერ შემოსილა, ვერ გამაძღარა და ვერ შემობრუნებულა. ევროპა თვითონვე ღაფავს სულსა, არავის შემოსვა და გაძღომა იმას არ შეუძლიან, ევროპა თვითონ ეძიებს გამოსავალსა და ისე დაბნეულა, რო დაკმაყოფილდება, მეფის ვალებისაგან თუნდაც ნაწილს თუ დაუბრუნებენ. რად გინდა იგავი სახსარისა, რად გინდა გაბუნდოვანება, აი, სახსა-

რი, ნათელი, აშკარა, კანთიელი, ვის რას არგია ასეთი სახსარი! ვის გამოადგება ასეთი თავგამოდება! არც არავისა. ღალატი ესაა, ბრმა თავგამოდებაა ღალატი და როგორცა ბრძანებ, როგორც გაგვიგონია, მოღალატეს არავინ გაიკითხავსო.

– ღალატი ეძიე შენში...

– მისხალისოდენადაც არა...

– მისხალზე მეტია და იზრდება თუ არ ამოქმედ-დები, ახლა განდგომაა ღალატი.

– ახლა თავგამოდებაა ღალატი, მოგახსენეთ...

– ეფრეიტორის სტრატეგია, ჰმ!..

– უმჯობესი თავგზააბნეულ გენერლისაზე...

– რაც უნდა იყოს, – გიორგიც ჩაერია, – ევროპა მაინც ევროპაა, აგრე რად გადაგიწურია იმედი?!

– მე რომ გაქცეული კურდღელი მინახავს, ღმერთმა იმისი ხორცი ნუ მაჭამოსო. – გიორგის მიუბრუნდა როსტომი.

ისევ წაიღიღინა გიორგიმა, თითქოს არც არაფერი ეთქვას, თითქოს იმას არ შეხებოდეს პასუხი, ღიღინისთვისაც აღარ ეყო სული, წამოიჭრა თუ რაღაცამ წამოაგდო, – შიშმა წამოაგდო, ემანდ მართლა ჰო არ ამომქარდა სულიო, მიაგდო ჩახრიალასთანა. გაქცევათ ჩაუთვალა დავითმა. კახაბერმა ქეშად გაჰხედა, მერე ბაქარს დაადგა, თვალი, აბა ჰა, შენ როდისღა წამოვარდებიო. კახაბერმა თვალი დაადგა, შეუტია დავითმა:

– თუ წამოიწყებ, უნდა გქონდეს სათქმელიცა, ნათქვამის უკან კიდევ რაიმე უნდა მოგდევდეს, ისე რა არის, ისე სიტყვა სიტყვაც არ არის, ზმუილია.

– მე თუ ვიტყვი, კიდევაც მოვადევნებ...

– აბა, შენ იცი! – წააქეზა დავითმა.

– თქვი! – უბრძანა კახაბერმა.

– მე აღარსად წამსვლელი აღარა ვარ, – მუშტები შეაქანა ბაქარმა, – მეყო ნოწიალი, აღარსად წამსვლელი აღარა ვარ, არც აქ დავანებებ არავის არაფერსა.

– რაღა გაგაჩნია! – ჩაიდუდუნა როსტომმა. – მიაქვთ ნატბევის მიწებიცა. იქ დავიწყებთ კომუნასაო... კომუნასაო...

– დააცადე, თქვას!

– ვთქვი და ეგ იყო...

– რაღა გაგაჩნიამეთქი...

– რაც გამაჩნია.

– ჯანი... ყველა მოიდნობს შენსა ჯანსა, ქვეყნად არ იქნება ისეთი ხელისუფლება, უშრომელად ლუკმა მოგიგდოს, არცა ყოფილა, არც იქნება... ესენი მაინც ერთბაშად დაგადნობენ...

ბაქარმა დააყოვნა შეპასუხებაი, ან აღარც უნდოდა თქმაი რაიმესი.

– უთხარი! – ჩააცივდა კახაბერი.

– ეგაა, თუ ვიტყვი, კიდევაც მოვადევნებო?! – გაჰკენწლა დავითმა.

– ეგაა, არავის არაფერს დავუთმობმეთქი და თუ წამართმევენ, მოსადევნებელიც მაშინ გამოჩნდება.

– კარგი სიტყვაა... – მონონება არჩია კახაბერმა.

– მუქარა უმწეობისა... – არ დაინდო როსტომმა. – ისეთს დავიმუქრები, ჯერ რო არსად გაგონილიყოს, დავიმუქრები და სასაცილოდ გავიხდი საქმესა. ქადილი შეჰფერის შემძლებელსა...

– ძალაც შემწევს...

– იყუჩე, ძმაო! შენ იმ წლებში აქ არ იყავი... შენ არ განგიცდია არცა სიტკბოი, არცა სიმწარეი იმა

მოკლე დროისა, სიტკბო დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისა და სიმწარე აღრეულობისა. ო, რა სიმწარე იყო! ამოვიგეთ დაკარგული სახელმწიფო და აგვიტყდა დავა, ასე არ ივარგებს, ისევ ერთად უნდა ვიყოთო, ისევ იმათთანაო, ისევ იმათთანა, ვინც მოგვიდნო და ვინც მოგვინელა. სხვანაირადაც არ იქნებოდა, ხელისუფლებას სათავეში ჟურნალისტები მოექცნენ, არა სტრატეგები, არა ეკონომისტები, არა უმტკიცესი ნებისყოფისანი, არა! ჟურნალისტები, რეპორტიორები, მთელი ცხოვრება კოსმოპოლიტური აზრების ქადაგებას რო შეალიეს, ისინი მოექცნენ. უცებ გამოუტყვრათ სახელმწიფო, ერი აღიმართა და შეეშინდათ აღმართული ერისა, გონება აერიათ, აეთქვიფათ ერისა და კოსმოპოლიტებისა, აეთქვიფათ და აებურდათ. ასეც იქნებოდა, ჩოჩხათის სასაფლაოზე მოგროვებულნი ვერ წაუძღვებოდნენ ერსა, დასი დაერქმიათ, რაც უნდა დაერქმიათ. მხოლოდ ილიას თაობა უთავებდა ამოგებულ სახელმწიფოსა, ილიას თაობას არ აეთქვიფებოდა კოსმოპოლიტური და ეროვნული, ილიას თაობა გაიყვანდა ერსა, კვლავაც გაიყვანდა საერთაშორისო ცხოვრების დიდ არენაზედა... ილია მოჰკლეს და აირია ყველაფერი. იმიტომაც მოჰკლეს, რო არეულიყო. ბედი მოგვაწყდა და ალღო ვერ ავართვით, ალღო ვერ ავართვით და საბედისწეროდ გადაგვექცა. ასეთი ბედი იშვიათად მოევლინება პატარა ერსა ან აღარც მოევლინება. სახელმწიფოს მართვის დიდი ტრადიციები თუ დაგიკარგავს, ვერ შეინარჩუნებ ბედსა, სასწაულს ვერ შეინარჩუნებ... ვიღას მისტირით?.. დამკარგავებსა!.. ვიღასი იმედი გაქვთ?.. გამწირველებისა! რისი სახსარიო, რომელი სახსარიო, რა სახ-

სარი დაგიტოვეს ისეთი, ბედის წყალობა რო დაიბ-
რუნო! გამოეთხოვე... ფიქრს ნუ იმღვრევთ, ისედაცა
ცხელა ან ვინ უწყის, ამ სიცხის ბრალიცა...

– შენი აღრეული ლაპარაკი...

– შენი დალაგებული! თუ ისიც სიცხის ბრალია,
დალაგებული არ ეთქმის.

– ვისზე როგორა მოქმედებს...

– ჩემზე ასე. – კიდევ მოიწურა ოფლი როსტომმა.

– ბოდვასა ჰგავს. – მწვავედ მიატანა დავითმა.

– ბოდვაა! – მოსჭრა კახაბერმა.

– რენეგატებს აწერინებენ და იმას იმეორებ...

– არა ვკითხულობ იმათს ნაწერებსა...

– ღალატი გამოგდის მაინცა.

– ღალატობს მომხრეი. ვინც არ ემხრობა, არ
ეთანხმება, მოწინააღმდეგე ჰქვიან, ქართულად ასე
უნდა გამოდიოდეს, სხვა ენებზედაც ასე გახლავთ.
არც ვეთანხმებოდი, ვხედავდი, თუ როგორ აკვდე-
ბოდათ ხელში რა ტანჯვით, რა სისხლით მონაპოვა-
რი, ვხედავდი და არ ვეთანხმებოდი. ვხედავ, თუ რა
ამაოა იმათი იმედი და არ გეთანხმებით. აქ ღალატი
არაფერ შუაშია, მოღალატეც არავინ გამოდის. ხო-
ლო ისინი, გვერდით რო უდგნენ მესაფლავეებადა,
ახლა იმათ ბრალმდებლებად თუ მოგგვლინებიან,
მხოლოდ ტყავის გადარჩენა უნდათ, მაგრამ გარჯი-
ლან ამაოდა, ვერც ტყავს გადაირჩენენ და თავსაც
შეირცხვენენ შთამომავალთა წინაშე. იმათთან მე სა-
ერთო არაფერი მაქვს და არცა ვკითხულობმეთქი
იმათს ნაწერებსა.

– აღარცა წერ...

– აღარცა ვწერ...

– რო აღარცა ლაპარაკობდე...

– აღარცა ვლაპარაკობ... თქვენთან... თქვენ იცით... აღარცა ვლაპარაკობ.

– მაგას გედავები, – აქ კახაბერმა რო ჩაახველა, – მაგას გედავებით, მაშინ ასე გაიმეორა დავითმა, – უნდა ილაპარაკო, უნდა იმოქმედო, უნდა შემოკრიბო დაფანტული ძალები, გატყიურებულნი, უნდა შემოკრიბო დროზედა, თორემ დაიშლებიან. სიმტკიცე აკლიათ, ნებისყოფა აღარა ჰყოფნით, მოთავენი აღარ უვარგათ. მოთავეობა შენ შეგიძლიან, ჩვენ შენი გვჯერა. დრო ახლაა. ღმერთო, გვისმინე!

– გისმინოთ ღმერთმა!.. სხვა აღარც აღარაფერი დაგვრჩენია ვედრების გარდა. და ვედრების გარდა, სხვა რო აღარაფერი დაგვრჩენია, იმიტომაც ამაოა ეგ დიდებული განზრახვანი, ამაოა, ბიძაჩემო, ბიძაჩემებო, დაიჯერეთ, რო ამაოა, რო თუ ვინმეს არ ეყურდნობი, თუ ვინმე არ გეხმარება ნამდვილადა, ჭეშმარიტადა... ჩვენ ძალა აღარ შეგვწევს... ერი გამოფიტეს... გამოფიტეს ერი!!!.

– ამბობენ... არც ეგრეა!..

– არა, ამბობენ აქ არ გამოდგება, უნდა გვიცნონ და გვეთათბირონ, როგორც ტოლსნორებსა, უნდა აღგვითქვან და აღგვისრულონ, მერეღა შეიძლება...

– ჯერ...

– ეგ წილადობილაა, ვერ გავითამაშებთ წილადობილასა, თორემ დაგვემსხვრევა ეროვნული იდეალები, გაგვეფანტება, ვეღარ შემოვკრებთ.

– ისინიც ჰო უნდა ჰხედავდნენ რაიმე რეალურსა, საფუძვლიანსა, ჰო უნდა რწმუნდებოდნენ, რო არსებობს რაღაცა... რაღაცა ჰა?!

– სადაც იარაღს ჩაჰყრი, ფულს ჩაჰყრი და ჯარს მიაშველებ, დასაყრდენი ყველგან აღმოგაჩნდება, ეს

იციან, ოღონდ ილაჯი აღარა აქვთ, ან არ ეგულებათ დიდი რამ სარფაი, ან უფრო ილაჯი აღარა აქვთ, ევროპა თვითონვე ღაფავს სულსამეთქი.

– საწყალი, – ჩაიგესლა კახაბერმა, – ეგება ერთი-ორი ბელელი პური იმათაც მივაშველოთ, ჰა?!

როსტომი არ აჰყვა ამ გესლიან ნათქვამსა, დავითმა შეიკრა კოპები.

– იქ რაც საჭიროა, ისინი მოაგვარებენ... – თქვა დავითმა ცოტა შეყოვნების შემდეგა.

– ისინი?!

– ისინი...

– ისინი ვერაფერს მოაგვარებენ.

– თქვენც ასე ფიქრობთ? – სტუმარს მიუბრუნდა დავითი, – სდუმხართ... დუმილი თანხმობის ნიშანიაო, მაგრამ რომელს ეთანხმებით ჩვენთაგანა? მართალი გითხრათ, ვფიქრობ, ჩემს მხარეს დაიჭერთ, ჰა?

– რა მოგახსენოთ, – ხმა ამოიღო სტუმარმა, – იცით, თბილისშიც ასეა, ყველგან გაცხოველებული კამათია, მე გავურბივარ, პოლიტიკაში არ ვერევი.

– რატომ?!

– არ ვიცი, რატომ უნდა ჩავერიო პოლიტიკაში?!

– მომიხრია თითი, – დავითმა თვალი ჩაუკრა კახაბერსა, – ვერას მოგიგებთ, მაგრამ ეგება თქვენ მიპასუხოთ როგორმე, რატომ არ უნდა ჩაერიოთ პოლიტიკაში?!

– მოგეხსენებათ, მუსიკოსები... მუსიკოსი გახლავართ... კომპოზიტორი...

– ვისი მუსიკოსი ბრძანდები, ერისაᲗ, არა?!

– არა... იცით რა... მე ჯერ ისეთი არაფერი გამიკეთებია, ჯერ მხოლოდ...

– ჯერა თუ მერე ვისთვის გინდათ, თუ რაიმე ძალგიძთ, ერისთვისა, არა?

– თუ შევძელი...

– ვისთვისმეთქი, – თუ შესძელით, ერისთვის, არა?!

– ცხადია...

– პოლიტიკაც ეგაა, ყველაფერი პოლიტიკაა, ჩვენ რო ხორბალი გვაქვს და ამათ არა, ეგეც პოლიტიკაა, რო გვაქვს და გავცემთ...

– არ გავცემთ! – ჩაუჭრა კახაბერმა.

– მომითმინე!.. – ცოტა არ იყოს, შეუწყრა დავითი, – რას ვამბობდი... ახლა სხვა მოღვაწეობა არ არსებობს, ერი გამოსავალს ეძიებს და როგორც უნდა იღწოდეთ ერისთვისა, პოლიტიკური მოღვაწე ბრძანდებით.

– გთხოვთ, – შეწუხდა სტუმარი, ჯერ დავითს მიმართა, მერე კახაბერსა, მერე როსტომსა, – გთხოვთ, ძალიანა გთხოვთ!..

– ბატონი ბრძანდებით!.. – ხელი აიქნია დავითმა. – არც ძალას დაგატან, არც ჩაგჩიჩინებ, სტუმარი ბრძანდები, მოსულხარ, წახვალ, ოთხივკუთხივ გზა გქონია, თუ გკითხე, გკითხე ისე, თავაზიანობისადა, შენც ჰო რაიმე უნდა გეთქვაო, ეს იგულისხმებოდა ხელის იმ ერთ აქნევაში; თუმცა გაუეჟილს გატეხილი სჯობიაო, ერჩივნა ამას მიმხრობოდა, შესდავებოდა როსტომსა, თავისებური შთაბეჭდილება მოჰყვებოდა სიტყვასა ქალაქიდან მოსული კაცისა, რაღაც ეცოდინებოდა, რაღაც ახალი, გამამხნევებელი, ამიტომაც გამოიწვია, თავაზიანობა თავაზიანობადა, ოღონდ ესეც ედო გუნებაშია, სიტყვა რო გადაუგდო; ისეთი გაფაციცებით შეჰყურებდა მოსაუბრეებსა თუ მოკა-

მათეებსა, მოგზაური იგი ისევ დაბნეული თუ ცოტა არ იყოს გონზე მოდისო – ისე გადაჰქონდა თვალები ერთიდან მეორეზედა, იფიქრებდით, შიგ ჩართულა მთელის არსებითაო, შიგ ჩართულა და ელის თავის ჯერსაო, იფიქრებდი და იფიქრა დავითმაცა, იფიქრა და წამოეშველა, აჰაა იყოს შენი ჯერიო. თურმე ტყუილა დააცეცებდა თვალებსა, ამაოდ წამოყელყელავებულიყო. გუნება წაუხდა დავითსა, ახლა იგრძნო სიმწარე სიცხისა, ხელი მოისვა შუბლზედა, მშრალი ხელი მოისვა მშრალ შუბლზედა, გავოფლილვარო, ეგონა, ოფლი არ მოჰყვა, არ დაიჯერა, კიდევ მოისვა, ხილაბანდი ამოიღო ჯიბიდანა, ისიც მიაშველა, მშრალი მოჰყვა ისიცა, მაინც ეგონა, წურწურით მომდის ოფლიო, არც კახაბერი გაოფლილიყო, არც ის ეგონა, წურწურით მომდის ოფლიო, თითქოს სიცხეც გადავიწყებოდა, მხოლოდ ის ახსოვდა, როგორმე გადაერწმუნებინა დავითი, არ გაეცა ხორბალი, არ გაენაწილებინა, არავისთვის არაფერი არ მიეცა, არც ერთი კაცისთვისა, რაც უნდა გაჭირვებული მოსდგომოდათ კარზედა. ძნელი იყო გადარწმუნებაი, დავითმაც იცოდა ამოჩემებაი აზრისა, როსტომისა არ იყოს, ამ როსტომისაცა, ოღონდ უფრო იმ როსტომისა, ნატბისს რო მოვიდა პირველადა, მარტოდ რო მოვიდა ორი ყმის ანაბარადა, პირველი ბარი რო დასცა ნატბისის მიწასა, იმ ორი ყმისაგან სოფელი რო წარმოსდგა, ხოლო იმისმა გვარმა ვერ იხეირა, ვერადავერ გამრავლდა, ხან რას შეეწირა, ხან რასა, ხან ვისა და ხან ვისა: ექვსი ვაჟკაცი ერთად არც მოგროვილა, მოგროვდა როგორც იქნა, მოგროვდა კვლავაც შესაწირავადა, ერთად შესაწირავადა, შთამომავლებიც დაღინღალობდნენ ჩახრიალასთანა, იმათ მაინც ჯვარი სწერიათო. ასე გულისხმობ-

და როსტომი, ის როსტომი არა, პირველად რო ბარი დასცა ნატბისის მიწასა, ეს როსტომი, მართლაც რო მოსდიოდა ოფლი წურწურითა, ხოლო დავითი სხვასა ფიქრობდა: იწმენდდა გამშრალ კანსა და სხვასა ფიქრობდა, გადავრჩებითო, გამოვიხსნითო, გავმრავლდებითო. ურყევი იყო რწმენაი, შეუვალი, უმტკიცესი, ოღონდ მხოლოდ რწმენა იყო და მეტი არაფერი, ეს აგულისებდა დავითსა, მხოლოდ ამისი რწმენა გახლდა. სხვებისა არა, დაშლილიყვნენ სხვები, დანენილიყვნენ, დაფუტკნულიყვნენ, ერთად იყვნენ და გადაკარგულიყვნენ აზრითა, გრძნობითა; კვლავაც ემორჩილებოდნენ ოჯახის უფროსსა, საქმეს ინაწილებდნენ იმისი თანხმობითა, იმისი ბრძანებითა, ოღონდ აზრს აღარ ინაწილებდნენ იმისასა, რაღა შეჰკრავდა ოჯახსა, თუ არა აზრი? და გაგულისებულიყო დავითი, იწმენდდა მშრალ შუბლსა, მშრალ ყელ-კისერსა, ეგონა, ოფლი ვერ შემიჩერებია, ოფლად დავიღვრებიო. ცხელოდა, ვარვარებდა ჰაერი და მიწა იწვოდა, ალი ავარდნილიყო, ალი მოჰკიდებოდა ჯანსა და ტვინსა, გაქარწყლებულიყო კავკასიონის მწვერვალები, თრიალეთიც გაქარწყლებულიყო, ხოლო მთა ლიხისა... რა ქმნილიყო მთაი ლიხისა, – ზღვა მოსდგომოდა, ზღვა მოედებოდა აქაობასაცა, მაგრამ აგვიანებდა, გაქცეულიყვნენ, შეჰგებებოდნენ? მაგრამ ვინ იცის, ზღვაც გადაეწვათ ალავარდნილებსა, ახანძრებულებსა ან ეგება იქ უკვე ცეცხლი მოსდებოდა, ცეცხლი სწვავდა წყალსა. იწვოდა მიწაი, იწვოდა ჰაერი, ყველაფერი იწვოდა ერთობლივადა... ხილაბანდი თვალებზე აიფარა დავითმა, მირაჟიაო, ჩაიჩიფჩიფა, აიფარა და ვეღარც ჩამოიღო, იგივე მომელანდება, ზღვა მომელანდება, ცეცხლმოდებულიო. იქ მხოლოდ თრიალეთის მთა უნ-

და ყოფილიყო, უნდა ყოფილიყო და აღარ იყო, რა ქმნილიყო იმა გავარვარებულ მზეში?! ვინღა გაიგებდა, როცა ვარვარებდა ტვინიცა, ვარვარებდა სხეული და ოფლი ჩამშრალიყო...

ასეთ დროს ნებისყოფაც აღარაფერიაო და წელში გასწორდა კახაბერი:

– არ გაიცემა!

– ნუღარ მივუბრუნდებით.

– არც გავცილებივართ, არ გაიცემა!

– ელოდებიან...

– ელოდონ...

– სოფელი მტერს გადაეკიდოს.

– მტრობის მეტი რა იცის სოფელმა?!

– მითუმეტეს...

– სულერთია, არ დაგიმადლებს სოფელი.

– ნუ დაგვიმადლებს...

– ხარბია, მშურია...

– მითუმეტესა...

– სულერთია, გესვრიან...

– დაე...

– გესროლონ დამშეულებმა...

– გამაძღრებმა მესროლონ...

– დამშეულებმა!..

– ნუღარას იტყვი!..

აღარც ითქმოდა, გათანგულიყო ჰაერი, დღე გათანგულიყო, გათანგულიყო სულიცა. ჩახრიალასთან მიბინარებულიყვნენ, ფეხები ჩაეყარათ წყალში, ცეცხლი ეკიდათ თუ ცეცხლს უკიდებდნენ წყალსა, კვარივით ენთო ფეხები წყალში. ტირიფი ეფინათ, გაქვავებული ტირიფი, არც ეფინათ, ჩრდილიც გამქრალიყო, გათანგულიყო ტირიფიცა, იმისი ჩრდილიცა.

XIX

უფრო გაითანგა საღამოი. მანამდე მოთავდა კამათი საჩრდილობლისა ან არ მოთავდა, მაგრამ მიხედვა უნდოდა სარწყავსაცა, სახნავსაცა, კალოსაცა, მიხედვა უნდოდა და მიჰხედეს, რა ვუყოთ, თუ არ იძვროდა ნიავი, არც ღრუბლის ქულა გამოჩენილიყო, რა ვუყოთ მერე, საქმე თავისას მოითხოვდა, საქმე აძალებდა, აძლებინებდა გაუსაძლისში; თუმცა დიდი ბარაქა არაფერსა ჰქონდა, სარწყავსა თუ სახნავს თუ არ გამოვეკიდებით, კალოც ვერ მოთავდა, გაილენა, ოღონდ ვეღარ განიავდა, – ნიავი არ იყო, რა გაანიავებდა, შეხვეტეს, აუგდეს ფინალი. არ იქნა, არ გაეცალა ხორბალი ბზესა, იქვე ცვივოდა, ერთადვე ცვივოდა ბზე და ხორბალი. გამოეცალნენ, დაელოდნენ, და მწუხრიც წამოვიდა. გავარვარებული, ალაპლაპებული, ხანძარმოდებული, თითქოს აღარც დაღამდებაო, ხანძარი შემუსრავს ღამესაცა და მარადიული უკუნიდან გამოსული სამყარო მარადიულ სინათლეს მიეცემაო. რაც უნდა ყოფილიყო, უფრო გაითანგა საღამოი, კალოზე ვეღარ შეიცადეს, ვერ ივახშმეს კალოზე, კედლებს მიაშურეს, ეგება ვერ შეაღწია სქელ კედლებსა ამ გაგანია სიცხემაო. შეეღწია, რა დაუდგებოდა, რა გაუძლებდა, სასადილო ოთახში მაინც მოკალათებულიყო, მზიგულად იყო, დიდი ფანჯრები ჰქონდა, დარაბებიც არ დაეტანებინათ; მაშინ მარანს მიაშურეს, იქ მაინც შენახულიყო სიგრილეი, საწნახელიც გრილი იყო, დიდი საწნახელი, მიეყუდნენ საწნახელსა, ცოტა ამოისუნთქეს, კიდევ ცოტაი და მერე ლამის გული ამოაყოლეს, ეგეთი

შვება მიეცათ. სუფრაც იქ გაშალეს, იქვე გაგრძელდა ის საუბარიცა. თუ კამათიცა, ის დარწმუნებაი თუ ურწმუნობაი, ის გმობაი თუ იმედოვნებაი.

იგივე გახლდათ, სხვა სიტყვები გამოერეოდა, სხვადასხვა მაგალითები მიემატებოდა, სხვაგვარად წამოეგზნებოდნენ თუ ამღელვარდებოდნენ სულერთია, აზრი იგივე იყო, მხარეთა განლაგება თუ განწყობილება ისეთივე, კახაბერს ისევ უნდოდა გადაეთქმევინებინა დავითისათვისა და სტუმარიც ისევე შესცქეროდა ხან ერთსა, ხან მეორესა თუ მესამესა, ყველას სათითაოდა, ჰო ყველასა, რადგან საღამოს ყველა ალაპარაკდა და ყველა გაცილებით მეტსა ლაპარაკობდა, ვიდრე შუადღისასა; რაც იყო თუ როგორადაც იყო, იგივე გახლდათ და გამეორებად აღარა ღირს, თუმცა გამოერია ბევრი მახვილი სიტყვაი, ბევრი ანდაზაი თუ ზმაი, ბევრი შედარება თუ მოგონებაი, მაგრამ მაინც არა ჰღირს გამეორებადა, არა, არა ჰღირს; რა ვუყოთ, თუ დიდი რამაა გამოთქმის ხელოვნება, რაოდენი რამაც უნდა იყოს, უცხოზე მოახდენს უეცარ შთაბეჭდილებასა, ხოლო ისინი კარგად იცნობდნენ ერთმანეთსა, ძალიან კარგადა, რო ამბობდნენ, ისიც იცოდნენ, როგორი პასუხი მოედევნებოდა, მაინც ამბობდნენ, მაინცა დავობდნენ, იმ დღის საქმე მოთავებულიყო, მოთავებულიყო ავად თუ კარგადა, ძილი წინ იდო, სხვა რა ეღონათ ძილის წინა?

ჰო, სხვა რა ეღონათო... სხვაგვარად როგორ გაერთოთ სტუმარი?.. სხვაგვარად როგორაო და მართლაც ჩაითრია ამ ლაპარაკმა. უსმენდა. უსმენდა. ვერც ინატრებდი უკეთეს მსმენელსა, თუმცა ბევრჯერ სიტყვაც მოადგა ენაზე, მაგრამ დაასწრებ-

დნენ, რა თქმა უნდა, იგივესაც თუ წარმოსთქვამ-
დნენ, წარმოსთქვამდნენ, უკეთესადა, მარჯვედა,
გაწაფულადა და მოსწონდა ხან ერთი, ხან მეორეი,
ხან მესამეი, ყველა მოსწონდა, ცმუკავდა, მხრებს
ათამაშებდა, კიდევაც წაიზმუკუნებდა ხოლმე ასე
თუ გასტანდა, რამდენიმე კამათს თუ შეესწრებოდა,
ვინ იცის, ვეღარც ჩაეჩუმებინათ, ვინ უწყის, ვეღარც
გაეხსენებინათ, აკი არ ერევი პოლიტიკაშიო. მაგრამ
საქმე იქამდის აღარ მისულა, უცებ გამოერკვა, გა-
მოერკვა ხელი რო აიქნია დავითმა, გახურებული კა-
მათისას აიქნია ხელი, ძილის დროაო, ადრე უნდა ავ-
დგეთო, დღეს რაც დაგვაკლდა ამ გაგანია სიცხისგა-
ნა, ხვალ უნდა გამოვასწოროთო; თქვა და აიშალნენ,
ესეც წამოდგა და გამოერკვა, გარეთ რო გავიდნენ,
როსტომს აედევნა, ცოტა მომითმინე, თუ შეიძლე-
ბაო.

გარეთ ანუ ეზოში ახალგაზრდები მხიარულობ-
დნენ, იმათაც შეუძახა დავითმა. ცოტა გვაცალეო.
ხვალ უფრო ადრე უნდა ავდგეთო. ადრე იყოსო. და-
გეზარებათო. არ დაგვეზარებაო. აბა ვნახოთო. ვნა-
ხოთ და ვნახოთო. ჰო, ვნახოთო და ახალგაზრდებს
შერჩნენ ესენიცა, მანამდის განს გადგნენ, ანუ სტუ-
მარმა გაიხმო განზედა, შიში გაუმხილა:

– ისე ლაპარაკობენ, ალბათ ჰგონიათ, თითქოს
ვინმეს მოვევლინებინე, თითქოს რაიმე დავალება
მქონდეს, რაიმეს ვაწყობდე; ასე ეგონათ სხვათა და
სხვათა, ბევრ გაუგებრობას გადავეყარე და აღარ
მინდა აქაც განმეორდეს იგივე ან უარესი. თქვენ მა-
ინც გამიგებთ...

– გაგიგებთ...

– მე მხოლოდ...

– ვიცი!.. – სტუმრის განმარტებანი აღარ მოინდომა როსტომმა, – რო არც ვიცოდე, მაინც არაფერს ვიგულისხმებ, რახან ელიზბარი მატყობინებს, თბილისს გაამგზავრე ეს კაციო, ცხადია, თბილისს უნდა გაგამგზავრო, ცხადია, სხვა არაფერი არ იგულისხმება ამაში, რახან ელიზბარი ითვლევინებამეთქი, იმას ითვლევინება, რაც ახლა გახლავთ საჭირო და აუცილებელი, თქვენთვისა თუ ვისთვისა – ეს ჩემი გასარჩევი არ უნდა იყოს.

– გმადლობთ!..

– არაფერსა!..

– რო იცოდეთ, რა სიმძიმე ჩამომხსენით?..

– ვიცი...

– ყველაფერი იცით...

– იმდენი არაფერი. ამის მიხვედრა მაინც შემიძლიან. ისინიც მიხვდნენ. თქვენს გასაგონად არაფერს ამბობენ. ჩვენთან ასეა, ამ ბოლო დროს ასეა ყოველთვისა. დაბნეულობას მოსდევს ბევრი კამათი, ასე ყოფილა, ასე იქნება. ყოველი გარდატეხა იწვევს მწვავე გრძნობებსა და მწვავე სიტყვებად მოედინება. ბედისწერა თუ აიტანს ადამიანსა, მორიდებაც დაკარგულია. ისე კაცმა რო თქვას, კარგად დააღწიეთ თავი, ჩემი საქმეა მხოლოდ მუსიკაო, მუსიკა იყოს, გვიმღერებენ ახალგაზრდები...

გვიმღერებენო და უმღერეს, უმღერეს „ო, თვალთა შენთა“, ახალი რომანსი, შეფერილი აღმოსავლური მოტივებითა, ოღონდ ცხადია გაწყობილი დასავლური რომანსების კვალობაზედა. გული გადაეხსნა სტუმარსა, გაიხარა, გაიხარა, აფოფინდა, პირველად გაიხარა მთელს იმ მგზავრობაში და ისე მოულოდნელი იყო ეს სიხარული, ისე აღმტაცი, ვგონებ, იფიქრა,

ღირდა ყველაფრის გადატანა ამ ერთი წუთისთვისაო. ნეტარი წუთი გამოდგა, ნეტარი, საამო, განუმეორებელი. ასეთი წუთებიცა სცოდნია მგზავრობასა, სცოდნია ბევრად მეტი სიხარულიცა, მოულოდნელი სიხარული, კიდევაც განმეორებულა, შენაცვლებია ფათერაკებსა, ეს მხოლოდ იმ ერთხელ გადაეყარა, იმითიც დამშვიდდა, ჩამოიბერტყა მტვერი ქართლის გზებისა, დასიცხული გზებისა, დაქანცულობა ჩამოიბერტყა, თან მიაყოლა შიში, იმედგაცრუება, გადატანილი მღელვარებანი, ამდენი რამ მიაყოლა იმ მოულოდნელ სიხარულსა, ხოლო თუ გაუმეორდებოდა იგივე სიხარული, ალბათ აღარც გაიქცეოდა, აღარც არავის გაუგონებდა, შებრუნდებოდა ან თავიდან წამოიწყებდა იმავე გზასა, იმავე სურვილითა, წამოიკიდებდა ჩამწერსა და მარტოდმარტო გაუდგებოდა; ან ვინ რაღათ უნდოდა, უბეში ედო ის უებრო რუკა, უიმისოდაც ბევრნი გაიცნო, მხოლოდ გამეორებულიყო ისეთივე წუთი, როცა თავი იპოვნა დაკარგულმა, როცა ზე ამოტივტივდა ღრმად ჩაყურყუმელებული, ამოტივტივდა ერთის გაკვრითა. ახლა არ იკითხავთ ისეთი რა მოხდაო, – ის მოხდა, რომა „ო, თვალთა შენთა“ ამისი რომანსი გახლდათ, ორიოდე მაინც დაეწერა ისეთი თუ იმაზე ნაკლები ან უკეთესი, ნუ შევალთ ამის გარჩევაშია, ჰო რამდენიმე დაეწერა, ის ერთი გახმაურებულიყო, ისე გახმაურებულიყო, წამოეწია შეჭირვების ჟამსა, წამოეწია და ამოიტაცა ღურღუმიდანა. ცოტა კრთომა მაინც დაჰყოლოდა, იციან თუ არა, ჩემი რო არისო; თუ იციან, ჰო კარგი, თუ არ იციან, მაინც კარგია, კარგზე კარგია, დიდებულიაო. თურმე სცოდნიათ და მოდი, ნულარ აღმაწერინებ იმა ნეტარებასა: ჩადნა კაცი, ჩაიღვენთა,

ჩაიწურა მღელვარებადა, იქცა თრთოლვადა, ათ-
რთოლებული ხელებით ეხებოდა გიტარის სიმებსა,
ერთგან, მხოლოდ ერთგანა, ისე არ უნდა, აი, ასეო,
ჰო აი, ასეო, ოღონდ თვითონაც აღარ გამოსდიოდა,
ველარ მიეგნო, დამორჩილებოდა, იყოს, ისე უკეთე-
სად გაისმაო.

და აქ მოთავდა წამი ნეტარებისა, ჭიშკართან ახ-
მაურდნენ, – ესენი ყოფილიყვნენ, ახალმოწესენი,
სოფლებს ჩამოჰყოლოდნენ, დავიღალეთო, ცოტას
შევისვენებთო. სხვაგან სადმეც შეისვენებდნენ,
ოღონდ იქ მხოლოდ შესვენება იქნებოდა, აქ ვახშა-
მიც მოჰყვებოდა შესვენებასა, ცხენებსაც ქერი გა-
უჩნდებოდათ, ჰოდა აქ ერჩივნათ რა თქმა უნდა, აქ
შევისვენებთო, თუ შეიძლებაო. შეიძლებაო და დეკე-
ული აჰკიდეს, თვალიც გადაავლეს, ვინ იცის, არ
ეყოთო და ცხვარიც მიაყოლეს. ახალგაზრდები მა-
შინვე შეილალნენ შიგნით-შიგნითა. იქ სუფრა გაიშა-
ლა, ეზოშივე გაიშალა, ჭილობები დაჰყარეს ბალახ-
ზედა, სუფრები მერე გადააფინეს. იმათაც ჭილო-
ბებზე მოიკეცეს, ეყოთ, ბევრი იყო. მოიკეცეს,
ოღონდ იარაღი უშლიდათ მოსვენებასა. აიყარეს ია-
რაღი, მოეშვათ სარტყლები, ამოისუნთქეს. ამდენს
მიადევნა თვალი სტუმარმა, მერე რაღა ექნა, არ
იცოდა, ახალგაზრდები რო გაკრეფილიყვნენ, როს-
ტომი ჭიშკრისაკენ გაემართა, ეს მარტო დარჩენი-
ლიყო, მოთვალთვალესავით დარჩენილიყო, არ
ივარგებდა, ვაითუ შეემჩნიათ. ან ეგებ შეემჩნიათ, და
არად ჩაეგდოთ, – სულერთია, ამას მაინც შიშმა და-
რია ხელი, რის ნეტარებაო, რა ნეტარებაო, რის იმე-
დი, აცა, ეგება ჩემი სხვა რომანსებიც იმღერონო.
არა ჰგავდნენ ესენი რომანსების მომღერლებსა, ისე

ჩასხდნენ, ისე, ამოისუნთქეს, მართლაც პირისქარად არ გაუხდებოდათ ის ერთი დეკეული და თითო ხელადა ღვინოი. კარგი რამას, ცხვარიც მიუმატეს, ქვევრშიცა ტორტმანებდა ღვინოი. მაგრამ ამას რაო, ამას შიშმა დარია ხელი და როსტომიც წაუსამხრისულდა, ჩვენ წავიდეთ, ცოტა გავიქარვოთო. შიშმაც გადაიარა, გაჰქრა, ვითომცა ყოფილა, ვითომც არაო, თუნდაც შეემჩნიათ, აღარ ენაღვლებოდა, როსტომი მისცემოდა პასუხსა.

ეგება შეამჩნიეს, ეგება არცა, სულერთია, არავინ გამოდევნებია, არავის არაფერი უკითხავს, ისე გავიდნენ ვიწრო ორღობეშია, ციცინათელებით სავსე ორღობეშია, ციცინათელებითა, ჭრიჭინობელებითა, გავიდნენ, გაჰყვნენ გაბმულ ჭრიჭინსა, გაბმულსა, ყურის ნამღებსა, თითქოს გაუთავებელსაო, მაგრამ გააღწიეს, სასაფლაოზე გავიდნენ და დაშორდათ ჭრიჭინი ორღობისა. ორღობის ჭრიჭინი დაშორდათ, ოღონდ იქ, სასაფლაოს მდუმარებაში ჩაესმოდათ, როგორც შორეული ხმა გამოუცნობი მარადისობისა, შორეული ხმა წარმავალობისა, გარდაგებისა, ხმა სამარისა, გაუგებარი, დაუცხრომელი, ხმა გარდასულთა, აქ რო დარჩენიათ და ტრიალებს, ტრიალებს ჰაერში, ტრიალებს, ბრუნავს, მოუსვენრობს, ვით დაკარგული, დაეძებს, ჰპოვოს, სადით აღმოხდა, რო დაუბრუნდეს, რო აღივსოს ხორციელებითა, რამეთუ არ არს უხორცო, არ არს, რასაც არა აქვს ხორცი, არა აქვს სახე; მაგრამ გარდაგებულა ხორცი იგი, მისცემია ხრწნასა, გარდაგებულა სახე იგი, მისცემია ლპობასა და დაძრნის ხმაი დაკარგული, დაძრნის სული, სული უსახო, მიუსაფარი, დაძრწის. დაძრნიან მარად მძებნელნი, მარად ვერ მპოვნელი ვერარაისა

და იგრიხება ჰაერი, იკლაკნება, იზნიქება, იმსხვრევა, ილეწება, რამეთუ იღვსება ხმებითა, დაკარგული ხმებითა, მაძებარი ხმებითა, რომელნი არ იგუებენ სახეთა სხვათა, არც ირწმუნებენ, რო გახრწნილა სახებაი მათი. და ისმოდა ხმაი შორეული, ხმაი საოცარი, ხმაი დაჯაფული მარადიული მოუსვენრობითა. და გარინდულიყვნენ, ისხდნენ ერთიმეორის პირისპირა, საფლავის ქვებზე ისხდნენ და ყურს მიუპყრობდნენ დაჯაფულ ხმათა.

– მოსვენება თუ გინდოდათ... – თქვა ბოლოს როსტომმა, თქვა ისე, თითქოს საფლავიდან ამოსძახესო.

სტუმარი შეკრთა, მიაყურადა. მერე იკითხა კრთომითა:

– რა ბრძანეთ?!

– ეგება მოსვენებას ინებებდითმეთქი. გამოგიყოლიეთ... ეგება სიო ამოსისინდეს, უფრო მოისვენებს ადამიანი.

– დიახ! დიახ... უფრო მოისვენებს. – დაატანა დამშვიდებითა, რადგან ხმა სამარისა როდი ყოფილიყო, არც დაკარგული და განაწამები ხმა ყოფილიყო, იქვე იჯდა სახე იმა ხმისა, სახე ხორციელი, სახე მოფრქვეული მკრთალი ნათელითა, ძალიან მკრთალი, ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცის ნათელითა.

– სასაფლაომ დაწყნარებაც იცის... თითქოს განწმენდს ადამიანსა.

– იცის... იცის. – უფრო თამამად მიატანა სტუმარმა, – უფრო დაიჯერა, ხმა სამარისა რო არა ყოფილიყო.

– ასე მგონია, მიმბაძველნი კეისართა და იმპერატორთა, დროდადრო ღამღამობით სასაფლაოზე რო

გაიყვანო და მარტო დასტოვო, ბევრ რამეს გადაიფიქრებენ ან სხვაგვარად დაულაგდებათ ჭკუაი.

– ჰა?! ჰა, ჰა, ჰა... დიახ, დიახ!.. – გაბედულადაც გაიცინა სტუმარმა, ხმა სამარისა არა ყოფილიყო, გამქრალიყო ეჭვი თუ კრთომაი.

– თუმცა ბევრს ესეც არ უშველის, ზოგს უფრო მეტად აღავსებს სისხლის წყურვილითა...

– რატომ?! – გაიკვირვა სტუმარმა.

– არის ხასიათი, არის ვნება, ამოვარდნილი კაცმოყვარეობის საწყაოდანაო.

– ახ!.. არის... არის... – გაინაბა სტუმარი, ცოტახანს გაინაბა და უცებ შესძახა დიდი აღმომჩენივითა, – იცით, რა?! ვგონებ, ყველაზე უკეთესი იქნება, თუ ყველგან ქვეყნის მმართველებად დააყენებენ მუსიკოსებსა.

– ჰა, ჰა, ჰა...

– ისინი არიან კაცთმოყვარენი, მგრძნობიარენი, ათრთოლებულნი ადამიანის ბედითა. იმათ არ მოეკიდებათ ზნეი ტირანისა. მტარვალებად არ იქცევიან, არა, ღმერთს გეფიცებით!..

– ჰა, ჰა, ჰა... სალიერი!..

– ღმერთს გეფიცებით... – ნაკლები მგზნებარებით გამოსთქვა მოგზაურმა – მოეჩვენა რო როსტომის უკან, ცოტა დაცილებით საფლავის ქვამ წამოიწია, ან ვიღაც წამოდგა საფლავის ქვიდანა, ქვაც თუ არ აიტანა, წამოჯდა ქვაზედა და წელზევით შიშველი, მიაჩერდა როსტომის ზურგსა ანუ ამას მიაჩერდა თვალებში. ასე მოეჩვენა ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცის ქვეშა, საფლავის ქვებითა და ქვის ჯვრებით მოდებულ სასაფლაოზე, მოეჩვენა და ჩაიჩიფჩიფა, – გეფიცებით... მუსიკაში ჰო

არც მოიხსენიება... – ეს მაინც დასძინა, ლამის ვერც რო გაიგონებოდა. მეტი ველარ მოადევნა, მოეჩვენა: წამოჯდა სხვაცა, ისიც შიშველი წელზევითა, ხელიც გაიშვირა თუ აიქნია ჩონჩხი, პირველად რო წამოჯდა, იმას მოუქნია... – აქ მგონი, – ჩურჩული გაჰბედა სტუმარმა, ჩურჩული გაჰბედა და ხმაც გაეპარა, კიდევ მოეჩვენა და იმიტომა, ისინი ჰო ისევე ისხდნენ, იქით მესამე ქვამაც წამოიწია, წამოიწია და მთლად აღიმართა ანუ ქვაზე აღიმართა, ალბათ მიცვალებული, სხვა ვინ იქნებოდა, აღიმართა ადამიანი, წელსზევით ადამიანი, შიშველი ადამიანი, წელქვევით მოსილი ან შესაძლოა, ბეწვიანი, თხის ჩლიქებიანი, სატირის სურათი რო უნახავს, ისეთი.

– არა, არა, არ მიწყინოთ, – მოებოდიშა როსტომი, – ყველაფერი შესაძლებელია, იყოს მუსიკოსი, ღმერთმა ჰქნას, მუსიკოსიც გამოგვეცადოს სახელმწიფოს მეთაურადა, ოღონდ სახელმწიფო გვქონდეს, ვინც უნდა იყოს მეთაურადა, ოღონდ ბრძენი მრჩევლები ეხვივნენ გარსა, იყოს მუსიკოსი, მუსიკოსი იყოს, ოღონდ აქ მაინც ნუღარ ამიხირდებით, მუსიკოსი იყოს, მხოლოდ შენი მასწავლებელი არა, არა, შენი მასწავლებელი და ჩემი მეგობარი გიორგი ყანჩაველი არ იყოს, სხვა ვინც გენებოთ, თუნდაც აი, თუნდაც თქვენა ბრძანდებოდეთ.

– რო იცოდეთ... – თქვა სტუმარმა და თითქოს ენა ჩაუვარდა: ჩაჯდა ის მესამედ წამომდგარიცა, სამაგიეროდ სხვა აღიმართა, ისევე წელზევით შიშველი, წელქვევით მოსილი თუ სატირივითა, სხვა აღიმართა თუ ამან ისკუპა, ველარ გაიგო, თვალები აებნა, ენაც ამიტომ ჩაუვარდა თუ ჩაუშრა.

– გნებავთ, გამოესარჩლოთ გიორგისა, ბატონი ბრძანდებით, მაგრამ ამაოდ გაირჯებით, გარწმუნებთ, ამაოდ გაირჯებით, რადგან დასაბუთება ერთია, გულგატეხილობა მეორეი ანუ გულგატეხილობაა ყველაზე მძიმე და მოურეველი. მე გამიტყდა გული, როგორც გავიგე, მეთერთმეტე სიმფონია დასწერა გიორგი ყანჩაველმაო. მეთერთმეტე!.. არ მომისმენია კანტატაა თუ სიმფონია, არც მოვისმენ, როგორიც უნდა იყოს. მე იმისი აღარა მჯერა. ნუ, ნუ მიწყენთ! „მაისის“ დამწერს ეს აღარ უნდა დაეწერა ასე ადვილადა, ნუ მიწყენთმეთქი, მე ჩემი მწამს და მართალიცა ვარ, ადამიანი აზრია, რწმენა არის ადამიანი, რწმენა ყოფილა და რწმენად დარჩენილა, ხოლო თუ შეცვლილა უეცრადა, ასე თვალდათვალა, გაყალბებულა, მუსიკოსი ყოფილა თუ ფერმწერი, პოეტი ყოფილა თუ მოქანდაკეი, სულერთია გაყალბებულა; მსახიობისას არაფერს ვამბობ, მსახიობს კიდევაც შეეფერება, ითამაშოს ყოველი როლი, კომპოზიტორი მსახიობი არ უნდა იყოს, პოეტი არ უნდა იყოს მსახიობი. მე ასე მგონია და ასევე ვეტყვი გიორგი ყანჩაველსა, ვწუხვარ და ვეტყვი, თქვენ ნუ გაშფოთებთ, რო ეწყინება, უნდა ეწყინოს თუ არ გვეწყინა, ცდუნებებსაც თავს ვერ დავაღწევთ.

– ჰა?! – ბოლოს ეს აღმოხდა სტუმარსა, ენა თუ ჩაუვარდა, ეს მაინც აღმოხდა, რადგან დაიჯერა, რო აღარ ეჩვენებოდა, მართლაც წამოდგა მთელი სასაფლაო ან ის ნახევარი, როსტომის ზურგით რო მოსჩანდა, წამოიშალნენ მიცვალებულნი, წამოიშალნენ სახებანი, ხორცი ხორციელნი და მოხროვდნენ მიმოკარგულნი ხმანი, აბზუვლდნენ, აირივნენ,

გახელდნენ, ჰპოვეს სახებანი და შიშობდნენ არ არეოდათ, დაბრუნებოდნენ თავთავიანთსასა.

– ბუნებრივია თქვენი აღშფოთება, – იოლად დასძინა როსტომმა, – ასეცა სჩვევიათ ერთგულ მოწაფეებსა, მაგრამ გჯეროდეთ ჩემი წყრომაც ბუნებრივია...

აღარც ხმა ეყო სტუმარსა, ორივე ხელი გაიშვირა თუ გასტყორცნა და ჩაჰკიდა თავი, ჩაჰკიდა და ააარაცრაცა. მაშ რა იქნებოდა, ისიც გიკვირდეთ, მეტი რო არაფერი დაემართა: იქ ჰო, გადმობრუნდა თითქმის ყველა საფლავის ქვაი, წამოდგა ყველა მიცვალებული, აიშალა სასაფლაოი, სასწაული მოხდა თუ განმეორდა ზღაპრად ნათქვამი, განმეორდა, აცხადდა, ასე თვალდათვალა, ეს აცხადდა და ისიც ცხადი იქნებოდა, გამთენიისას საფლავებში რო ჩაბრუნდებოდნენ, ამათაც ბარემ თან ჩაიყოლებდნენ, უჩვენებდნენ თავიანთ ცხოვრებასა, თავიანთს გასაჭირსა თუ დალხინებასა, მერე ისევ გამოაბრუნებდნენ, ან აღარც გამოაბრუნებდნენ, დაიტოვებდნენ ბარემ იქვე, მაინც აქა ხართ მოსასვლელნიო. გზა-გზა ხეტიალით რაღას გაწვალდეთო, მერე რა გზაა, დანტემ ჰო აღწერა რა გზაცა ყოფილა, ვიღა გაუძლებს იმა გზასა, – ვერა, ვერავინა, ვინც წასულა, აღარც გამობრუნებულა. არ უნდა, ჯერ არ უნდა, არც მერე უნდა თუ აკითხებენ ან ახლა თუ აკითხებენ? და აი შებრუნდა როსტომი აუმღვრეველადა, აუკვირლადა, მიესალმა. ელაპარაკება, ვითომც არაფერიო, კიდევაც იცინის, ვინ უწყის, ერთხელ უკვე ჩაჰყოლია, ერთხელ უკვე გამობრუნებულა, თამაშად უჩანს, კიდევაც თუ წაიყვანენ. როგორც ენებოს, ოღონდ ეს დაიხსნას, დასტოვონ, არც ისეთი მოგზაურობა მოუნე-

ბებია, ვირგილიუსი რო ყოფილა, არც ისეთი – ოდისევსი როო, ენეასიც არა, არა – აქ უჯობს, აქ ურჩევნიან, ისიც ეყოფა, ამბავს რო გაიგებს, რაც გაუგია, ისიც ეკმარვის, მაგრამ მაინც მოუსმენს როსტომსა, რო მოუბრუნდება, თუ კიდევ მობრუნდება. დგება როსტომი, დგება და ამასაც ეუბნება, წავიდეთო, ხელსაც წაატანს. გააჟრჟოლებს, კიდევ კარგი, როსტომი წაატანს ხელსა, ისინი არა, თორემ გაჰქრებოდა, თუ ვერ აიტანდა, გაჰქრებოდა, მაშ რა იქნებოდა. რაც აიტანა, ისიც ძნელი გასაძლისი გახლდა. თუმცა რა აიტანა? – ხელი მოჰკიდა, გამოიყოლა როსტომმა, ორღობისაკენ გამოიყოლა, ციცინათელებისა, ჭრიჭინობლების ორღობისკენა, იმავე ორღობისკენა, ოღონდ ვაგლახ, რო იგივე აღარ გახლდათ, ორღობე იყო ჯოჯოხეთისა, აღსავსე ჯოჯოხეთური ხმებითა, ჯოჯოხეთური ციალითა, ისევ დაკარგული ხმების განგაშითა, უდასაბამო, უსასრულო ძიებითა.

ამისი გონება როგორადაც უნდა გახურებულიყო, როსტომი უხსნიდა დაწყნარებითა: ისინი არიანო, კასრაძისანიო... ქაქუცასაგან ამბავი მოსვლიათო – კოჯორს ჩამოდითო: დასცხომიათ ბიჭებსა, გაუხდიათ, შეუსვენიათ სასაფლაოზე, კარგა შეღამებას დალოდებიან, პური მოშივნიათ და ჩვენთან მოსვლა განუზრახავთო; კარგი რამას, ჩვენვე ვეახლეთ, თორემ დაგვიდგებოდა განკითხვის ჟამი, მაშ რაო, ესენი ჰო უკვე იქ არიან, ისინიც თავს წაადგებოდნენ და გამოიღებოდა კარი ჯოჯოხეთისაი ნატბისშიო. ახლა თითქოს გვეშველაო, დავარწმუნე, აქა ბრძანდებოდეთ, აქ მოგივათ ყველაფერიმეთქი, მე ასე დავარწმუნე და დანარჩენი დავითის სიმარჯვეზე ჰკიდიაო. იმედი გვქონდეს დავითის სიმარჯვისა, ჩვენ მოვისვენოთო...

XX

ამისი მოსვენებისა რა მოგახსენოთ, ადგილი მიუჩინეს, ქვეშაგები მიუჩინეს, გაეხადა, მიწოლილიყო, მიწოლილიყო და მიელულა თვალები; ჰო, ამისი რაღა მოგახსენოთმეთქი, დავითის საქმე იყო საჭოჭმანები: ესენი ეზოში უსხდნენ, ისინი სასაფლაოზე, ამათაც მოშივნოდათ, იმათაცა, ამათაც მოსწყურებოდათ, იმათაცა, შიმშილი იმდენი არაფერი, ამათ ჰო დაუკლა დეკეული და ცხვარი, იმათაც დაუკლა სხვა დეკეული, სხვა ცხვარი გამოურჩია, გაძღებოდნენ და გზას გაუდგებოდნენ უჩუმარის პირითა, წყურვილი იყო, რაც იყო, წყურვილი გამშრალი დღისაი, ალმურავარდნილი დღისაი, წყურვილი იყო, რაც იყოო და კიდევაც დაეწაფენ მწყურვალნი, დაეწაფენ ნატბეურსა, ცოტა მომწვანო ღვინოსა, ყელს რო კაწრავდა და მიედინებოდა თავის ნაკაწრშია. ვინ იცის, რა ამოჰყოლოდა მერე იმ ნაკაწრებსა, ვინ იცის, ჰა, – სიმღერაც შეიძლებოდა, ლანძღვა-გინებაცა, ისე უთავბოლო ყვირილიცა, უთავბოლო წონიალიცა, ყველაფერი შეიძლებოდა ამდაგვარი ან მსგავსი ამისა, ამდაგვარი და ისეთი, ერთმანეთის გეში რო აეღოთ, ხოლო მერე, ჰმ, მერე იქნებოდა, რაც იქნებოდა, ან არც აღარაფერი იქნებოდა, ტყვია დაცხრილავდა, ცეცხლი გადაბუგავდა იქაურობასა; ჰოდა, დავითის საქმე იყო საჭოჭმანებიმეთქი, რა იღონა, რა გადიტანა, ძნელი სათქმელია, ერთი ცალკე ამბავია, ცალკე ამბავი ერთი ღამისა, განსაცდელის ღამისა, თუმცა მშვიდობით მოთავებული ღამისა, მაგრამ იქამდის მიტანება ჭირდა, ძალიანა ჭირდა; იქამ-

დე, იქამდისა, გათენებამდისა, როცა ესენი აქეთ გაისტუმრა, ისინი იქითა, ერთნი აღმა, მეორენი დაღმა ერთმანეთის გზას გაუყენა ერთმანეთის ზურგშექცევითა. მერე მაინც გადაეყრებოდნენ, ერთმანეთსა, ერთმანეთს ეძებდნენ და კიდევაც გადაეყრებოდნენ, ანუ ერთნი ეძებდნენ, გაურბოდნენ მეორენი, მაინც გადაეყრებოდნენ, სადაც იქნებოდა, მაგრამ რაც იქნებოდა, იქნებოდა, იმ ღამეს არა იყო რაი, მართლაც რო იყო და არა იყო რაო, მშვიდად გამოიძინა ნატბისმა...

ამისი მაინც რა მოგახსენომეთქი: დიდხანს იბორგა, იწრიალა, ელანდებოდნენ წამომდგარნი სასაფლაოდანა, თუმცა აღარც აღარაფერსა ჰხედავდა, არც არა ესმოდა რაი, მაინც ელანდებოდა, უფრო ელანდებოდა იმ სიცხიან მდუმარებაში, მაგრამ ბოლოს მაინც წაერთვა შფოთი თუ მოლანდებანი; წაერთვა და რო დაუბრუნდა, უკვე დილა გახლდა, ცხრათვალა მზეც იდგა, ხეებიც ირწეოდა, შრიალებდა ფოთოლი, შრიალებდა გახალისებული, გამოცოცხლებული, პირველი ყუნწსუსტი ფოთოლიც ჩამოდიოდა, პირველი ან ერთადერთი, ოდნავ შეყვითლებული თუ არც შეყვითლებული, პირველი თუ ჩამოდიოდა, ჩამოჰყვებოდა მეორეცა, ქარი ამოვარდნილიყო, ნოტიო ქარი, დასცხრომოდა გათანგულ ფოთლებსა. ჰო ქარი ამოვარდნილიყოო, ოღონდ ქარი ბევრგვარად ითქმის, ოცდაათამდის ჩამოსთვლის სულხან-საბაი, ოთხი თუ ხუთიც მრავალნერტილით აღუნიშნავს, იმის დროს ალბათ დავიწყებოდათ ის ოთხი-ხუთი, მას მერე დანარჩენი დავიწყებულა, ზენაქარიო, იტყვიან, ქვენაქარიო, ნიავიაო, სიოო, დიდი ქარიო, მორჩა და გათავდა, მეტ გარჩევაში აღარ

შედიან, ქარიშხალი თუ წამოსცდება ვინმესა, მაინც დიდი ქარიო, მაშინვე დასძენს, ვითომც ესეც გაუგებარი გამხდარა განუმარტებლადაო; აქ როგორ გითხრათ: ქარიშხლად არ ითქმოდა, მეტი იყო ნიავზედაცა, მოდიოდა ზენაქრისადა, საბა ადვილად შემოგვძახებს, რაცა რქმეოდა, მაგრამ რა ბედენაა, თუ არავინ ყურად არ იღებს, რა ბედენაა! ერთი სიტყვით შრიალებდა ფოთოლი, ქარი უვლიდა გალაღებული, სანატრელი, სალოცველი, სალოლიაოი.

ამისი მაინც რა მოგახსენომეთქი: ქარი რო ამოვარდნილიყო, ეს უკვე მოგახსენე, ამოესუნთქა სულიერსაცა, უსულოსაცა, ეს არ მითქვამს; არც საჭიროა, მიხვდებოდი უჩემოდაცა, ოღონდ მაინც ითქვას, ვინ უწყის, ვერც მიხვდე ან სხვაგნით საითმე გაგექცეს ფიქრი, ნუ გაგექცევა, ჯერ ბოლომდის არ მისულა ამისი ამბავი, არ მოთავებულა ეს მოგზაურობაი, მოთავდება, შინ რო დაბრუნდება, თუ დაბრუნდება... თუმცა ქარი ამოვარდნილიყომეთქი. ქარს აჰყვა, ჩასდია ეზოში, ადამიანის ჭაჭანება არ იყო არსადა, რუს აედევნა, რუსა და ქარსა, რუ მირბოდა, მისდევდა ქარი, ისიც მიდიოდა ამ ორთა შუა, ამ ორთა შუა და კომშნარის შუა. იქ კომშნარს ჩასდევდა რუი. კომშების ჩრდილებში კაბდოები შენიშნა, აეყუდებინათ ძველი ფარცხებიცა, ფარცხის წნელიც ეწყო ბლომადა, კაციც მოსჩანდა, კუნძზე იჯდა, ჩაჰკირკიტებდა თუ აწყობდა წნელებსა. იმას მიასწორა, ჰკითხავდა, კალოსკენ გაიკვლევდა გზასა, იცოდა, კალოზე იქნებოდნენ, როსტომი მაინც დახვდებოდა კალოზე; ჰო იმას მიასწორა, თავს წაადგა და ჩაახველა ძალის მოსაკრებადა. ამან ჩაახველა და იმან ამოჰხედა. ამოსცინა იმისმა წვერ-ულვაშმა,

ლეკოს წვერ-ულვაშმა, არ გაგიკვირდეს ლეკოსამა, ამოსცინა და წამოიწია, ხელი შეინმინდა წინსაფარზედა, მხურვალედ ჩამოართვა ხელი, მოიკითხა მხურვალედაცა რა თქმა უნდა, ვითარცა ძველისძველი მეგობარი, დიდი, დიდი, დიდიხნის უნახავი.

– საიდან?! – გაჰკვირდა სტუმარი.

– ეს არის მოვედი... – კოპები შეიკრა ლეკომა, – აჰა და შემომხედე, ეს არის მოვედი და გამაძრო ყველაფერი, სამუშაო სამოსი მომიყარა, აქაოდა უფროსი ვარო, მეც მეუფროსება???!!!. ფარცხები დასწანიო. არც სულისმოთქმაო, არც მოკითხვაო, არც დღეგრძელობაო, ფარცხები დასწანიო, სადაური სტუმარმასპინძლობაა, ჰა, შენ გეცოდინება, სადაურია?!

– რა მოგახსენოთ...

– არ იცი? არც მე ვიცი, – ხელები გაშალა ლეკომა, – რაღა არ მინახავს, რაღა არ გამიგონია, მაგრამ ეს არც მინახავს და არც გამიგონია, აქ მოსვლა ამიტომაც არ მინდა. – აქ ტუჩზე იკბინა ლეკომა, არ შეგეშინდეს, ძალიან არა, ოდნავ იკბინა, არც ოდნავა, მხოლოდ კბილი დაიდგა ტუჩზედა, რაღაც წამოსცდა, არ უნდოდა წამოსცდენოდა, – შენ როგორღა გადარჩი, არაფერი დაუკისრებია?..

– არაფერი...

– რა თვალზე შემოგხედა? მიკვირს... ალბათ რაღაც გასაოცარს გიმზადებს, უსაქმოდ არავის დასტოვებს, არ გეგონოს, გადარჩე უსაქმოდა, თუ დაგაცადა, მძიმე რამ გელის. – თვალი ჩაუკრა, გასამხნევებლადა თუ ნიშნისმოგებითა ძნელი სათქმელია, – ჩემი საქმე არც ისე ძნელია... მაგრამ მაინც სადაური რა არის, არც დამსვა, საგულდაგულო მოკითხვაც

არ მათქმევინა, ეგრევე, ზეზეულვე შემაჭამა, ერთადერთი ჯამი ღვინო დამალევინა და აგერ, აჰა, ჩამსვა ამ წნელის კონებშია.

– ეგება მეც მოგეშველოთ...

– არა, დაჯექი, – კუნძი წამოუწია, – შენ რას მომეშველები, ამას ცოდნა უნდა, კარგი ფარცხი ნახევარი მოსავალიაო, ნახევარიც ამინდია და გუთნისდედა რაღასა ტრაბახობს, არ ვიცი!.. ჩემისთანად მეორე ვერავინ გამართავს ფარცხსა. ჩემი ფარცხი, ჰმ!.. გაუშვი და თვითონ იცის, არც ხარი უნდა, არც მეხრეი, არცა მთესველი. რად გეღიმება?! მეც მეღიმება, ცოტა ტრაბახი გამომივიდა, მაგრამ რას ვიზამთ, გულს ვიოხებ, ოღონდ ის რო გითხარი, ჩემისთანად მეორე ვერავინ გამართავს ფარცხსამეთქი, ის მაინც მართალია. მართალია თუ ტყუილია, რა მეფარცხება?! ფერიცვალობაა დღესა, რა მეფარცხება! ნამდვილი მუშა კაცი არც უნდა მუშაობდეს დღესა, უნდა დალოცოს ფერიცვალობა დღეი. ასე ყოფილა დაწყიდაბადებიდანა, ამისთვის არც არაფერი ყოფილა, – აქ ხმა შეიცვალა, გამოაჯავრა: სადა ხარ აქამდისა, რა დროს წანწალია ამ ცეცხლიკიდებისასა... – დავითის ხმას მიამგვანა და მიხვდა სტუმარი, დავითს აჯავრისო. – სადაური მიგებებაა?! ბევრი მინახავს, უფრო მეტი გამიგონია, მაგრამ ასეთი არც გამიგონია, არც მინახავს. შენა?

– არა...

– პასუხი არც უნდა, ვის ენახვება, ვის გაეგონება?! არავისა! აქ არავისა, ამ ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში, ხოლო სხვაგან სადმე თუ არის, იყოს, ჭირიც მომჭამოს, არც მეკითხება, არც არაფერი მესაქმება იმასთანა. ეს საიდან იმსგავსეს, მხოლოდ ეს მიკ-

ვირს, არაფერი სხვა არც გამკვირვებია, არც გამიკ-ვირდება, მე ლეკო თათაშელს მიძახიან და იმიტომაც მიძახიან ლეკო თათაშელსა, გაკვირვება რო არ ვიცი, ეს მაინც გამკვირვებია და ისე გამკვირვებია, ლამის არის, ლეკო თათაშელობაზედაც ავიღო ხელი. მერე ვინა, მე, ლეკო თათაშელმა?! ნნ, არ იქნება! მაშინ აქ უნდა ამოვიკვეთო ფეხი, მაგრამ აქაც თუ ფეხი ამო-ვიკვეთე, ლეკო თათაშელობაზედაც უნდა ავიღო ხე-ლი, უნდა ავიღო, მაშ რაო, როგორ იქნება ლეკო თა-თაშელი უნათესაოდა, ნნ, არ იქნება!.. ხოლო ნათესა-ობა სხვა რაღა არის, თუ არ გესტუმრე, თუ არ მის-ტუმრე, თუ არ მომიჯექი გვერდითა, თუ არ მოილხი-ნე, თუ არ მომალხინე, სხვა რა არისმეთქი, ერთი მიბ-რძანე!.. ნურას იტყვი, სხვა არც არაფერია, ვერც ვე-რაფერს იტყვი სხვასა, ხოლო რასაც მე ვამბობ, შენი დასტური არცა სჭირდება. ნურც მიწყენ, უგუნებო-და ვარ. უგუნებობას მიეტევება. ან რას გებოდიშები, ერთი მიბრძანე, რას გებოდიშები, ისეთი რა გითხარი რო?!

– არაფერი!

– აბა, რაღას გებოდიშები?!

– არ ვიცი...

– არც უნდა იცოდე... ვინც ბევრი იშრომა, ისიც მოკვდა, ეს ჰო იცი?

– ვიცი...

– ვინც ქონება მოიხვეჭა, ისიცა?

– ვიცი...

– ვინც დიდება მოიხვეჭა, ისიცა?

– ვიცი...

– ბევრი არაფერი საცოდნელია, ვინც ილხინა, ისიც მოკვდა, ესეც გეცოდინება და რახან ყველა

მომკვდარა, ვისაც როგორც მოენებება, ისედაც უნდა გაატაროს წუთისოფელი, მაგრამ ვერავის რო ვერ გაუტარებია ისე, რად ვერ გაუტარებია? თუ ესეც გეცოდინება, მაშ ყველაფერი გცოდნია და მე რო გავჩუმდე, უკეთესი იქნება. თუმცა ვიდრე გავჩუმდებოდე, უკეთ რო გაგაცნო ჩემი თავი, ისიც უნდა მოგახსენო, როსტომი და იმისი ძმები, ჩემი დისწულები რო არიან, რახან ეგენი ჩემი დისწულები არიან, მაგათი მამა ჩემი სიძე გახლდათ და კაციც ის იყო. მერე რა კაცი, ჰეეე!.. ასი კაციითაცა სწვეოდი, წარბს არ შეიხრიდა, მოილხენდა, მოგალხენდა. უფროსი იყო. აი, ასეთი უფროსი მწამს! ესა?! ჰმ... ამასაც ენვიე ასი კაციითა, წარბს არ შეიხრის, მაგრამ მერე რაო, ასივეს გაუჩენს საქმესა, ასივეს წაჰკისრავს იმავე წუთში. სადაური რა არის, ვერ გამიგია და რახან მე ვერ გამიგია, მე, ლეკო თათაშელსა, ვერც ვერავინ გაიგებს და სჯობს მეც დავდუმდე, სხვამაც ამაოდ არ იჭყლიტოს ტვინი.

მართლაც დადუმდა, წაიკისრა, საგულდაგულოდ ჩახლართა წნელი, ეტყობოდა, ხელის სიმარჯვეცა ჰქონდა ან ეს საქმე მართლაც გაეგებოდა; ჰო, დადუმდამეთქი, ხოლო რახან მიდუმდა, მიყუჩდა, მიილურსა, არ მიილურსებოდა ეგრე უბრალოდა, რაღაცა თუ ამოეჭრა გულში, ამისი აყოლიებაც თუ უნდოდა, თუ ფიქრობდა, კიდევ როგორ ავიყოლიოო; ჰო ამას თუ ფიქრობდა, თორემ გამოტეხვით აღარაფერს გამოუტყდებოდა, ისიც ბევრი გამოდიოდა, ამ ოჯახში სტუმარივით არა მღებულობენო, ასე ახლო ნათესავი ვარ, ასე საპატიო თუ სადიდებელი, მაინც წამკისრავენ მოვალ თუ არაო, ისიც ბევრი გახლდათმეთქი, თუმცა ყველაფერიც არ იყო, არა, არ

იყო ყველაფერი, ყველაფერი რო ყოფილიყო, ესეც უნდა მოეხსენებინა: ვალსა და ვახშსა, უყაირათობასა და ბედოვლათობას რო გადავაგე ჩემი ავლადიდებაო, მერე ამათ შევეკედლე, ამათ შევრჩი, აქამდის აქა ვარ შეკედლებული, სხვა გზა თუ თავშესაფარი არცა მაქვსო, ამათ უნდა გამიტანონ, მტერსა და ავსა, შავი დღე რო დამიდგება, ამათ უნდა დამიტირონ და მიწა მომაყარონო, ოღონდაო, მანამდისაო, გაზაფხულდება თუ არაო, მინდორსა თუ ბაღ-ვენახებში გასვლის ჟამი დადგება თუ არაო, მეც ავითათებ, მოვედები ნათესავებსა, დღეობებსა ნათესავ-ნათელმირონებსაო; ღვთისმადლითაო, ბევრიც მენათესავება, ბევრი მენათელმირონება, დღეობაც ბევრი იცის ამ ჩვენ კურთხეულ მიწანყალზეო, სტუმარმასპინძლობაც დიდ ზნეობად მოგვყოლია და ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს გვიან შემოდგომამდისაო. მერეო, აქაც საქმე მოჟმიერებულია, მეცა ვბრუნდები შინაო, რამდენიც უნდა იბუზღუნოს ამ ვაჟბატონმა, არად ჩავაგდებ, კუჭს არ მოვიმშევ, გვერდებს არ გავიცივებ გაზაფხულამდისაო, გაზაფხულზე მზე გამათბობს, გამიყვანს გვიან შემოდგომამდისაო. ისევ მზეს ვენაცვალე და ჩვენს დიდებულ ადათსა, სტუმარმასპინძლობა რო დარქმევია, და ისე გამჯდარა ჩვენში, ლამის დედის გინებას უფრო ავიტანთ, ვიდრე ამ წესის მოშლასაო; ამან რამდენიც უნდა იბუზღუნოსო, როგორც უნდა დამსაქმოსო, ზამთრის საქმე მაინც ისეთი საძნელო არ არის, თანაცაო, საქმე თუა, თვითონ უფრო მეტს აკეთებს და კაცი რო შენზე მეტს აკეთებს, შენც აადევნებ ხელსა, როგორც უნდა გწყდებოდეს წელიო. – აი რა უნდა მოეხსენებინა თუ გამოტეხვა იყო, განდობა თუ იყო,

თუ გულწრფელობა და ნამდვილი მეგობრობა დამყარებულიყო ამათ შორისა; ეს უნდა მოეხერხებინა და ისიც გაემხილა: შენც გატარებდი გვიან შემოდგომამდისა, მერეღა მოგიყვანდი აქაო, მაგრამაო როგორღაც ფეხი გადამიბრუნდა და ორთავემ აქ ამოვყავით თავიო; შენი თავი წამართვეს, მეც გამოგედევნე, შენც გამოგიხსნი, ვიხსნი ჩემს თავსაცა, მაშ აქ რა დამაყენებსო, ჯერ კალოობაც არ მოთავებულა, თესვა კარს მომდგარა, ნწ, მე აქ გამჩერებული არა ვარო, მერე რა დროსაო, ფერიცვალობა დღესაო!

– რა დროს წანწალიაო?!!!! ჰეჰეჰიჰიჰე... – ამოიქაქანა ლეკომა ცხადია. – მე დავწანწალებ, მაწანწალები ჩვენა ვართ, ჩვენა?!.. შენც სუ!.. მეც სუ!.. სუ, სუმეთქი!.. სუ!.. მაგან რა იცის!.. მაგის თავში კალობაა. შენც სუ!.. მე ჰო ქვა ვარ და ვარ!.

აქ ცას აჰხედა, ღრუბლები მისცურავდა ცაზედა, ლურჯსა, კრიალა ცაზედა, ღრუბელიც თეთრი იყო, თეთრი, გადაპენტილი. მერე ღრუბელიც აიმღვრეოდა, ლურჯი ზეცაცა, ქარი იმიტომა ჰქროდა, იმიტომა შრიალებდა ხეები. ჰო, მერე აიმღვრეოდაო, აიმღვრეოდა თუ აიგრაგნებოდა, თავშიმც ქვა ეხალა მერე, ქარბუქიც იქნებოდა, ყინვა ყიამათიცა, თავშიმც ქვა ეხალა, მობრუნდებოდა, თბილი ბუხრები იცოდნენ იტრიელებმა, მობრუნდებოდა, მიეფიცხებოდა იმა ბუხრებსა, მოიშუშებდა გვერდებსა, მოიშუშებდა ნაცემ-ნაბეგვსაცა, – უამისოდაც ვერ გადარჩებოდა, ვერა, ვერ გადარჩებოდა, სადმე ქალი თუ გამოჩნდებოდა სუფრაზე, თუ არ იცოდნენ ზნეი ამისი, თუ წინასწარვე არ გაფრთხილდებოდნენ, – დაინყნარებდა ბევრი სმისა და ღრეობისაგან აბურდულ გონებასაცა,

გამოკაუდებოდა, გამოინაფებოდა საგაზაფხულოდა; მერე, ზეცა რომ აიმღვრეოდა და აიგრაგნებოდა; ხოლო მანამდე ის პატარა ქარი და პატარა ღრუბელი, ის შრიალი ფოთოლთა კიდევაც საამო გახლდა, საამოცა და აუცილებელიცა, ფერიცვალობა დაწყებულიყო, აბა, დაწყებულიყო, და იმიტომაც დაწყებულიყო, სიცხე რო არ უხდებოდა ლხინსა და ქეიფსა. ასე ამტკიცებდა ლეკო თათაშელი, ამტკიცებდა და მართალიც გამოდიოდა. ქეიფები წაებმებოდა, წაებმებოდა ლხინები, დღეობები გადაებმებოდა ერთიმეორესა, ფერიცვალობას მარიამობა მოედევნებოდა, მარიამობას გერითობანი, ივლიდა ასე შობაახალწლამდისა. ამღვრეულიყო ზეცაი, თავშიმც ქვა ეხალა, დაღუვდებოდა ბუხრებში კუნძები, ბუხართან სუფრა გადაშუქდებოდა დაღუვებული კუნძებითა, დაღუვდებოდა ბუხარში კუნძები, დაღუვდებოდნენ ესენი სუფრასთანა, დაღუვდებოდნენ ბუხრის კუნძებივითა, ამღვრეულიყო ზეცაი, თავშიმც ქვა ეხალა. მაგრამ ეს მერე, ჯერ ფერიცვლობა�ო, ამოესუნთქა დედამინასა, შვება ეგრძნო წინადღით გათანგულსა.

ბრუნავდა ასე წუთისოფელი ლეკო თათაშელისა, ბრუნავდა, ბრუნავდა, ახლა ასე რო წაკისრულიყო, ფარცხსა მართავდა და ფიქრობდა ხმამაღლა, რადგან არაფერი სჩვეოდა საჩუმაოდა, არც არაფერი, არცა ფიქრი. ფიქრს მორჩა თუ არა, სტუმარმაც იცოდა იმისი განზრახვა, თუმცა გამოეპარა ბევრი სიტყვაი, ისე მკაფიოდ არა თქმულა, კარგად გაეგო, მაინც ჩასნვდა აზრსა, განზრახვას ჩასნვდა; ჩასნვდა და, ცოტა არ იყოს, აფოფინდა, ისიც ჰო ამავე განზრახვით შეუდგა ქართლის გზებსა, ასევე ურჩევდა გიორგი ყანჩაველი, მართალია, მერე ცოტა აერია

გზაკვალი, მაგრამ აი, გამოსწორდა ყველაფერი, აი დამდგარა ფერიცვალობაი, დიდი დღეობა, დიდი თავყრილობა უამრავი ხალხისა, დიდი ლხინობისა, გალაღებული სიმღერებისა. მართალია, სიკეთეს არას გადაჰყრია ლეკოს თანამგზავრობითა, მაგრამ არ არს უბედურება, ვილაცამ რო არ მოითბოს ხელიო, თუ არ არს უბედურობა, სიკეთის ნიშანიც რო არ გამოერიოსო, ასე ყოფილა თუ ისე, ფერიცვალობამდის მოიყვანა ამ დაბანდებულმა დღეებმა. ხოლო იმღამესვე თუ ესტუმრებოდნენ იტრიელებსა, ახლა უკვე თბილისში იქნებოდა, იქნებოდა ჩანყნარებული, ჩამშვიდებული, მაგრამა რა ბედენა ყოფილა სიმშვიდე, მცირედი სურვილიც თუ ვერ აგისრულებია! – ასე და ამგვარად მიადევნებდა სტუმარიცა, ოღონდ ხმამაღლა როდი, გულში მიადევნებდა, მერეცა სდუმდა, ფიქრს რო დაეხსნა ლეკო თათაშელი, ახსნა რო დაუნყო:

ახლა შენ მაინც აღარავის ახსოვხარო, არა, არ დაგივიწყებენ, მაგრამაო წუხელის რო ხვავი დარჩათ გაუნიავებელი, ჯერ ის უნდა შეიბინავონო, მერე სხვა საქმე გამოუტყვრებათო, ან რა გამოტყვრომა უნდა, ათას საქმეში შებმულან, ჯერ შენ არც გაგიხსენებენო. ეგება კალოც არ შეაბან ფერიცვალობა დღესა, სხვა საქმეზე მაინც ხელს არ აიღებენ შუადღემდისა, შენც მერე მოგაკითხავენ, მერეღა იზრუნებენ შენზედაო. ეგება დღესვე არც გაგისტუმრონ, ეგება განუზრახავთ, ფერიცვლობას გაწვიონო. რას გაიგებ ამათსასაო, ერთბაშად გეტყვიან ერთბაშადვე თუ არ დათანხმდი, აღარც გაგიმეორებენო. ჩვენ რას ვიძიოთ, თუ რა განუზრახავთო, აგერა ბაღს რო გავცდებით სერი მოსჩანს, იმ სერს რო ავირბენთ, ვითომც ხელის

გულზე გქონია ფერიცვლობის ტაძარი თავისი დიდი გალავნითაო. გალავანშიც ჰო ვერ დაეტევიან ამ დღეობა დღესა, მთლად მოფენილნი იქნებიან სერის წვერამდისა, ჩვენც ავირბენთ, ისინიც იქვე შეგვეგებებიანო. თუ გინდა, ცხენებს გამოვარჩევო, აქ არც არავისა ვკითხავ, თვალში რო ჩავუვარდე, თითსაც არ ამოისვამენ ჩემი დისწულებიო, საუკეთესო ცხენებს გამოვარჩევ, ავიქროლოთ სანაქებო ცხენებითაო, მაგრამაო ცხენი ტვირთია, ყურადღება უნდა, არ მოგვაცლის სალხენადა თუ სიმღერების მოსასმენადაო, არც დიდი მანძილია. მე არ მეზარება ფეხით სიარული, შენც არა გიჭირსრაო, ავირბინოთ ეს სერი, გადავდგებით თუ არა, იქავე შეგვეგებებიანო. თბილისს გამგზავრებას თუ ინებებ, დღეობის მერეო რაღა თქმა უნდაო, სადგურიც იქვეაო, მტკვარ გაღმაო, იქვეა, სულ იქვეო, რო გადააფურთხო, ზარს მოხვდება ქარელის სადგურისასა, ასტეხს ნაუ-ნაუსა და მატარებელიც გამოვაო; ანთუ ქარელი სულაც არ გვინდა, ურბნისის ბაქანს თუ არ ითაკილებ, მატარებელიც გამოვა და ჩვენც რო დავქანდეთ სერ-სერა, ბორანიც შეგვაგებონ მაშინვე, მივასწრებთო. ესაო, თუ წასვლას ინებებო, ესენი კიდევაც მადლობას მომახსენებენ, დროს რო არ დაჰკარგავენ შენს გასამგზავრებლადაო; ჰო ესაო, თუ წასვლას ინებებო, თუ არაო და, რა გეჩქარებაო, მარიამობას ხახე ამირეჯიბს ვეწვიოთო, მანამდისაც ვეწვიოთო, მარიამობა იქვე გავითენოთო, თბილისის ნაღები ხახეს ეწვევა მარიამობასაო, დიდი მუშაირაც იქ გაიმართება, დახანჯლავენ პოეტები ერთიმეორესა. სოსოს მაინც ვერავინ აჯობებს, ვერა!.. ისევ აქ ვარ, ისევ შენთან ხახე. ვერც ვინ გაგვყრის ჩემო მზეო ჩვენა, რომ გვესმოდეს შაშ-

ვის სიჭახჭახე, რომ გვესმოდეს იადონის სტვენა. სიჭახჭახეო – გესმის, გესმის!.. ჯერ ვის უპოვნია რითმაი ასეთი!!!. გაუძლებს განა „ირისები" გალაკტიონისა?!. ლექსს რო სხვანაირად ამბობო, – შეჰბედავს მოგზაური. მე ეგრე გამოვთქვამ და ვინ თუ როგორ გადააკეთებს, ნება იმისიაო. ი შენი გიორგიც იქვე იქნება, იქვე გირჩევს და იმისი უკულმა რჩევა აჯობებს ელიზბარ ხეთერელის წაღმა რჩევასო. მე ასე მითქვამს, ჩემი თქმაც არ გინდა, შენ უკეთ იცი გიორგი ყანჩაველისაო, ხოლო ამასა გკითხავ დაჟინებითაო, თბილისის ნაღები ხახესთან იქნება მარიამობა დღესა და შენ რაღას მიტლაკუნებ ამ თბილისში, ერთი გამაგებინე თუ ღმერთი გწამსო.

ვერც გააგებინებდა, პასუხიც არ უცდია, პასუხიც არ უნდოდა ლეკოსა, მართლა შეკითხვა ჰო არ იყო, დარწმუნება იყო შეკითხვის სახითა და კიდევაც დაარწმუნა, აიყოლია, ისევ აიყოლია, ერთხელ გამოსტაცეს ხელიდანა, ძლივს გამოსტაცეს და ისევ ჩაიგდო ხელშია, თვალი აღარ მიადევნეს მცირე ხნითა და კვლავ ამისი საალაფო გახდა.

XXI

ჰო, ისევ ამისი საალაფო გახდაო... გაჰყვა, გაედევნა, გასდია ტუსტუსითა, წინა ღამემაც თუ წააქეზა, „თვალთა შენთაო" რო უმღერეს, დაიმედდა, იქაც მიმღერებენო, ჩემს სხვა რომანსებსაც იმღერებენო, ალბათ დაიმედდა, ისე გახალისდა, ისე აცმუკდა. ლეკო ჰო ყოველთვის აცმუკებულიყო და ცოტა იარეს

თუ ბევრი იარეს, აიარეს სერი ფერიცვლობისა, აიარეს ცმუკვა-ცმუკვითა, აიარეს, თავს მოექცნენ, გადაჰხედეს ცმუკვა-ცმუკვითა, მაგრამ ფაფუ, არცა ლხინიო, არცა სიმღერაო, არსად ჩარდახიანი ურმებიო, არსად ნამწვი ღამისთევისაო, არსად მუშაითნი, არსად ბერიკები, არსად ჯირითიო, არსად ჭიდაობა, არსად ჭვრეტა საპატარძლოთა, არსად მეწვრილმალენი, არსად დუდუკი, არსად ფანდური, არსად გუნდნი მოღრეობეთა, არცა გადაპატიჟებანი რაღა თქმა უნდა. აქეთ მიინვევდნენ, იქით მიინვევდნენ, იქიდან სამდურავს შემოუთვლიდნენ, ჩვენთან რატომ აგვიანებთო, რად არ მოგვილოცავთ ფერიცვლობასაო, აბა ჩვენსკენო, აბა ჩვენსკენო და კაი ბიჭობა ეთქმოდა, საღამომდის თუ მაინც მიაღწევდა ხოლმე ფერიცვლობის გალავნამდისა. უთუოდ მიაღნევდა, ჭკუაც რო აღარ შერჩენოდა, მაინც მიაღწევდა, შემოუვლიდა, შემოიბანცალებდა, ვალმოხდილი იყო, ისევ ღრეობას მიეცემოდა ვალმოხდილი, პირნათელი, ალალი, ფერიცვლობის ტაძართანა. შემოევლებოდა ფერიცვლობის მუხებსაცა; ოდესღაც იქ მუხნარი ყოფილიყო, ღვთაება ყოფილიყო მუხნარისა, ფერიცვლობისა, ოდესღაცა, გარდასულ ჟამსა, ოდეს ქრისტესი არა იცოდნენ რაი, მერე მუხნარი აკაფულიყო, მერე ღვთისშობლის ტაძარი აეგოთ, მერე მუხნარს ისევ ამოეყარნა, მერე ღვთიშობლის ტაძარი დაენგრიათ, მერე ღვთიშობლის ტაძარი განეახლებინათ და აეკაფათ მუხნარი, მერე ისევ მუხნარს გადაევლო ღვთიშობლის ტაძარზედა, მერე ისევ ტაძარი შემდგარიყო მუხნარზედა, ვინ უწყის, რამდენჯერ განმეორებულიყო ასე და ამდაგვარადა, ხოლო მაშინ რამდენიმე მუხაღა ხარობდა ტაძრის

გალავანში და მიმობანცალებდა ლეკოცა, სხვანიცა და ლეკოცა, ჯერ ტაძრის გარშემო, მერე მუხების ირგვლივა ან პირიქითა, ჯერ მუხების ირგვლივა, მერე გარშემო ვეება ტაძრისა. შიგნით ენთო კელაპტრები, ადიოდა ალი სანთლისა, ადიოდა ღაღადისი მორწმუნეთა. მუხებსაც შემორტყმოდა სანთლები, მუხებსაც შემოვლებოდა ალი სანთლისა და დაბანცალებდნენ მთვრალნი ღვინითა თუ მთვრალნი რწმენითა, ვედრებითა, სასოებითა, უამრავჯერ გაცრუებული იმედებითა, კვლავაც გასაცრუებელი იმედებითა; ოლონდ ეს მანამდისა, მაშინ არა, არა, ცმუკვა-ცმუკვით რო აიარეს სერი ფერიცვლობისა და გადაჰხედეს ტაძარსა ფერიცვლობისასა, ნნ, მაშინ არა...

მაშინ ასე გახლდათ: აიარეს ცმუკვა-ცმუკვითა, ჩაიარეს ფეხის თრევითა, ის სერი, ფერიცვლობის სერი ჩაიარეს ფეხისთრევითა. შუკებსაც ჩაჰყვნენ ფეხისთრევითა, პირისპირ არავინ შემოჰგებებიათ, რამდენიმე ზურგს მოჰკრეს თვალი, რამდენჯერმე ფეხსაცა, გამოსადგმელსა თუ შებრუნებულსა, თუმცა სულერთია, მიეფარათ ზურგიცა, ფეხიცა, გამოსადგმელი თუ შებრუნებული, სულერთია, ყველა მიეფარათ. მაინც იარეს, დიდი გახლდათ საფერიცვლოი, სერი თუ მოშიშვლებულიყო, ქვემო კალთებზე იქნებოდა ჯარ-ჯარამათი, უთუოდ იქნებოდა, ყოველთვის იყო, მაშინაც იქნებოდა; თუ მიმდუმარებულიყო იქაობაი, ეგეც არაფერი, წუთის მდუმარება დღეობამაც იცისო, ან ერთი პირი მდუმარება დღეობამაც იცისო, წყალისა არ იყოს; ჰოდა, მაინც იარეს, იარეს და მიატანეს ტაძარსა საფერიცვლოსა. იქ უცბად შეიცვალა ყველაფერი, აქ ხმა მოსკდა, ხორხოცი, მოს-

კდა, ხმა გაისმა ადამიანთა, ხმა გაისმა საკრავთა. გამოვიდოდა ის ხმები გალავნიდანა, გამოვარდებოდა, მოედებოდა, საფერიცვლო სერსა, საფერიცვლო კალთებსა, ისევე მოედებოდა, რო ახსოვდა ისევე. მაგრამ ხმები გახლდათ სხვანაირი, სხვაგვარი, რო ახსოვდა, ისეთი არა, ხალხიც სხვანაირი იყო, სხვაგვარი, რო მისჩვეოდა, ისეთი არა, დღეობაც სხვაგვარი დამდგარიყო, რო იცოდა, ისეთი არა. ისეთი არა. ისეთი არა. გალავანთან სასულე ორკესტრი უკრავდა, სამხედრო ორკესტრი, სასულე ორკესტრი გალავანთანა, უკრავდა, უკრავდა, გახელებულიყო და გახელებულიცა ცეკვავდა რამდენიმე ჯარისკაციცა, ანთუ ათეული, ანთუ ოცეული, ბევრი ცეკვავდა, თავქუდმოგლეჯილი, საკინძეჩახსნილი, ქამარშეხსნილი, ცეკვავდა, ბუქნიდა, ჰკიოდა, ჭყიოდა, ისე ჭყიოდა, ისე იმგვარი ბედნიერებითა, მთლად ქვეყნიერებას რო მალე ამოიდებდა ქვეშა, ხოლო საქართველო ჰო უკვე ამოედო, კავკასია ჰო უკვე ამოედო, ამოედო და ბუქნიდა, ბუქნიდა მტვერში, მტვრიანი ბუქნიდა, მტვერში მტვრიანი, ბორიაყში ბუქნიდა, ბორიაყი რო მიჰქონდა, სადაც რო დაადგამდა ფეხსა, ბორიაყი მიჰქონდა, მტვერი მიჰქონდა და აქცევდა მტვრადა, ბორიაყი მიჰქონდა, კუდიანი ქარი, ეშმაკის ქარი. ეს ასეო, გალავანთანა, ხოლო ეს მერე, უკვე კარიბჭესთანა: ხალხი მიჯგროვილი კარიბჭესთანა, აქაური ხალხი, მიჯგროვილი თუ მირეკილი, გარეშემო რო ჯარისკაცები შემორკალოდნენ, უფრო მირეკილნი, რო ეხილათ თავიანთი თვალითა თუ ვითომ თუ რა იყო ამათი სალოცავი, თუ ვითომ თუ რანი იყვნენ მლოცველნი ამისთვისა, წმინდა მრუველი თუ ვითომ თუ რა იყო, მღვდელნი თუ რანი, დიაკვანნი თუ ვი-

თომ რანი, ეხილათ თვალითა თავაანთ თვალითა; ეხილათო და შეჰყურებდნენ: გაყოფილიყო ჯარი იგი კარიბჭიდან ტაძრის კარამდისა, ჯარი ნამდვილი, არათუ რო იტყვიან: ხალხი მოჯარდაო, – ხალხი ჰო გარედან მიჯგროვილიყო კარიბჭესთანა, – არა, ის არა, ნამდვილი ჯარი, ჯარი შემოსული, შემოსეული და შემოსული, ვითომ რო ჯარი გამანთავისუფლებელი, ვითომ რო მხსნელი, ვითომ რო მეგზური, წინამძღოლი სწორუპოვარი ბედნიერების დიად გზაზედა, ვითომ რო თვითონ რო მიდიოდა, ვითომ სხვებსაც რო უნათებდა, გაყოფილიყო ანუ ჩამდგარიყო რო ორმწკრივადა, ჯარი იგი კარიბჭიდან ტაძრის კარამდისა, გაყოფილიყო, გაპობილიყო: იქიდან მრუველი გამოდიოდა... ტაძრიდანა რაღა თქმა უნდა... გამოდიოდა... თუ ხელსა ჰკრავდნენ!.. თუ კონდახი მოეყოლებინათ!.. ცხადია და რაღა თქმა უნდა: ხელსაცა ჰკრავდნენ, კონდახიც ზედ მოეყოლებინათ: მოერეკებოდნენ მღვდელთაცა, დიაკვანთაცა, მოერეკებოდნენ და კონდახებს მოაყოლებდნენ იმათაცა რაღა თქმა უნდა, მოაყოლებდნენ და აფურთხებდა ჯარი, ის შუაგაყოფილი, ის შუაგაყოფილი ჯარი, სწორედ ამიტომ რო გაყოფილიყო, გზა რო დაეთმო და რო აფურთხებდა, დასჭყიოდა და აფურთხებდა, ხარხარებდა და აფურთხებდა; ეს რო წინანიო, ღობისანიო, ალაიასანი, დასჭყიოდნენ თუ დასჭყვიროდნენ უკანანიცა, უკანანიცა, უფრო მეტი გატაცებითა, დასჭყვიროდნენ და დაჰხარხარებდნენ, თავში რო იცემდა მუშტებსა მრუველი მთავარეპისკოპოსი, მღვდელ-დიაკვანნიც რო იცემდნენ თავშია, ბერნიცა, მონოზონნიცა, მგალობელნიცა, რო მოერეკებოდნენ იმათაცა ცხადია, მორწმუნენიცა, რო მოსუ-

ლიყვნენ წირვაზედა ფერიცვლობისა, მხოლოდ რო მცირენი, მხოლოდ რო გაბედულნი, ანთუ მართლაც რო ღრმადმორწმუნენიო, გარეთ რო ცხვირიც ვერ გამოეყოთ სხვა დანარჩენთა, რო მოერეკათ ახლა ძალითა, მოერეკათ, რო ეყურებინათ, რწმენა თუ როგორა რა ყოფილა თავაანთი, ეყურებინათ და ეფურთხებინათ იმათაცა: შეაფურთხეთო, უბრძანებდნენ, იჭყვირეთ და შეაფურთხეთო. უბრძანებდნენ. უბრძანებდნენ. ერთმორწმუნენი. ერთმორწმუნენი. კახთბატონებს თუ როგორც რო სჯეროდათ, როგორც აჯერებდნენ მთლად საქართველოსა. ერთმორწმუნენიო. და გრიალებდა დაფდაფებიცა. იქ ისინი უვლიდნენ გალავანსა, ბუქნით უვლიდნენ, ბორიაყით უვლიდნენ, ჩიკაჩიკათი, აქ ესენი იცემდნენ თავში, იცემდნენ, იცემდნენ, და დაფდაფებდა დაფდაფები და ჭყვიროდა ჯარი დუჟმორეული, შეშლილი ჯარი, ჭყვიროდა, ჭყვიროდა. ასე ჩაატარეს. ასე გაიყვანეს. გაინაპირეს. ნაიყვანეს. ნაიყვანეს... მრუველი... პირნი სასულიერონი... მრევლიცა მცირედი...

ნაიყვანეს ეკლესიიდანა, სადღესასწაულო წირვიდან ნაიყვანეს.

ჯერ ვერაფერს მიჰხვდნენ, გალავნის გარეთანი.

ჯერ აედევნენ, ესენიც აედევნენ, სდიეს, სდიეს და მერე შეჩერდნენ, მაშინვე შეჩერდნენ, მიხვდნენ თუ არა, ნეტავი რას მივდევთ, რა გვესაქმება ამათთანაო ანუ: ჯერ ლეკო მიხვდა, ჯერ ლეკო შეჩერდა, მინახვედრი გაუმხილა ნიკოსა, ესეც მიაჩერდა მხრებაწურული, რა მოგახსენო, აბა, რა უნდა გვესაქმებოდესო. ეს ადვილი გადასაწყვეტი იყო, გადასწყვიტეს ადვილადაცა, ოღონდ რა ეღონათ შემდგომ ამისა, ეგ ვეღარ გაიგეს, ვერაფერი ივარაუდეს ანუ ლე-

კომ ველარ ივარაუდა, ესეც მისჩერებოდა მხრებაწურული თუ ახუხული, წარმოიდგინე, როგორც გენებოს, ოღონდ გახსოვდეს, აქეთ ტაძარი მოსჩანდა, იქით-იქით შუკები, ცარიელი შუკები, ერთ-ერთში რო მრუველი ჩაიკარგა თავის ამალიანადა, ამალიანადა და ბადრაგიანადა, ჩაიკარგა, ჩაიკარგა და ის ერთიც გაინაბა, განაბულიყო დანარჩენიცა, ამათ არავინ ეწეოდა არცა გულითადადა, არცა ცალყბადა; არ ეწეოდა და ნუ ეწეოდა, დღეობა იმისი დღეობაა, პატიჟი არ იცისო, სამდურავი იცის, თუ არ ეწვიეო: ღმერთო ჩემო, ნეტავი ვის დავიმდურებო, ლეკო იმის ლეკო არ გახლავთ, სამდურავი დაიტოვოს დღეობისაო. ასე თქვა და შეატკაცუნა თითებიცა, საგანგებოდაც ჩაახველა, არ შეეჭვდე, ადვილად არ დაიბნევა ლეკო თათაშელიო. არც დაბნეულა, ტაძარი უკან მოიტოვა, მოიტოვა იქვე გახლართული შუკებიცა, მცირე რამ ველი გადაირბინა, მიასწორა განცალკევებულ უბანსა, აქედან კაკლებში, ხოლო იქით-იქით ვენახებში ჩამჯდარ უბანსა. იქ ეგულებოდნენ ფანიელები ძველთაძველი მლოცველები ფერიცვლობისა, არცა დიდად გამოჩენილნი თუ განდიდებულნი, არცა დიდად გამდიდრებულნი არასოდესა, ოღონდ გამრავლებულნი, დასახლებულნი ცალკე უბნადა, დასახლებულნი ცალ-ცალკე ოჯახებადა, ერთნაირი დაბალი ალიზის სახლებითა, თანზომიერი კარმიდამოთი, ამწვანებული კარმიდამოთი, თანაზომიერი სახნავ-სათესითა, წლიდან წლამდის რო გაიყვანდათ, მტრის დასაცინნი არ გახდებოდნენ, არცა ხელშემყურენი მოყვარეთა...

მაგრამ ამდენი არც ეკითხებოდა ლეკო თათაშელსა, რაც ეკითხებოდა, კიდევაც კარგად მოეხსე-

ნებოდა: რაც უნდა მომხდარიყო, ფერიცვლობა დღეს არ გასტეხდნენ ფანიელები, არც გამოეფინებოდნენ, არ გამოშორდებოდნენ თავიანთ კარმიდამოსა, ისხდნენ და ელოდნენ სტუმრებსა, ისხდნენ განწმენდილნი, გაფაქიზებულნი, მამაპაპური, ყუათიანი ნამზადითა; თუ ეწვეოდნენ, მიეგებებოდნენ ჩუმი, ჩამტკბარი სიხარულითა, თუ არ ეწვეოდნენ, გადაიწვევდნენ ერთიმეორესა, ერთიმეორეში მოილხენდნენ ჩუმი, ჩამტკბარი ლხენითა. აყალმაყალი იცოდა საფერიცვლომა, აურზაურიანი დღეობა გახლდათ ფერიცვლობაი, უფათერაკობა არ იქნებოდა, უსისხლობაც არ იქნებოდა, ბრმად გადმოჰყოლოდა მსხვერპლშეწირვის უძველესი ადათი, ვინმე უთუოდ გაიწირებოდა ბრმადა, რამდენიმე თუ არა, ერთი ვინმე მაინც გაიწირებოდა ბრმადა. ვიღაც გაეშვდებოდა, რამდენიმე თუ არა, ერთი ვინმე მაინც გაეშვდებოდა, არ დასცხრებოდა უსისხლოდა. ბრმად ეარა ბრმა წესსა, ბრმად ეარა და ვიდოდა ბრმადა, თითქოს ალის ენებს ამოჰყრიდა კოცონი, უძველეს მუხნარში რო დაანთებდნენ ხოლმე ფერიცვლობის ღვთაებისთვისა, ამოჰყრიდა და კვლავაც მოითხოვდა თეთრით მოსილ ასულსა, უმშვენიერესსა, გამორჩეულსა, ის მოითხოვდა, აქ ჭაბუკი თუ ვაჟკაცნი წაიკიდებოდნენ და ვინცა სძლევდა, ის იქნებოდა მთავარი ქურუმი, ვინც იძლეოდა, ის იქნებოდა მსხვერპლი გამორჩეული იმა უმშვენიერესი თეთრით მოსილი ასულის ნაცვლადა. თუმცა ისიც საფიქრალია უფრო ხშირად გამორჩეული ასულისათვის წაიკიდებოდნენ ხოლმე. და ვიდოდა ბრმადა უსაშინლესი წესი, უძველესი წესი, გადაგდებული, დაგმობილი, ჩაქოლილი, ჩაწიხლული, ვიდოდა ბრმადა,

ბრუნავდა ბრმადა, გიზგიზებდა უხილავი კოცონი ფერიცვლობის ღვთაებისა, ხან ისე გიზგიზებდა, მოედებოდა ვეება ტაძარსა, ღვთიშობლის ტაძარსა, მოედებოდა და აალაპლაპებდა სისხლის ფერადა, მოედებოდა და გავარვარდებოდა, ცეცხლი ვერ ჩააქრობდა იმ სივარვარესა, სისხლს უნდა ჩაექრო. როგორ მომხდარიყო, როგორ შეთვისებულიყვნენ ღვთაებაი ფერიცვლობისა და ღვთიშობელი?! ძნელი სათქმელია, ძნელ ცხოვრებასა, სიდუხჭირესა, ვაებასა, რბევასა, გვემასა, გაუტანლობასა ვინ უწყის, რა უცნაურობა არ მოუწევია, ეს ეგება ნაკლებ საკვირველებადაცა თქმულიყო.

როგორც უნდა თქმულიყო, ლეკომ იცოდა, სიმშვიდე იქნებოდა ფანიელთა უბანში, როგორც უნდა დამთვრალიყო, ის მაინც ახსოვდა, იქ შეეფარებინა თავი, იქ დაიფარავდნენ, იქ გაიტანდნენ და კიდევაც გაუტანიათ, თორემ აქამდის, ვინ იცის ამასაც თუ რამდენჯერ შესწირავდნენ ღვთაებასა ფერიცვლობისა. ბევრჯერ მოსჩვენებია, გიზგიზებდა ტაძარი, თუმცა ვიღაცა უკვე შემოჰკვდომოდათ, მაინცა გიზგიზებდა, არა ჰყოფნოდა სისხლი ერთისა, შიში გაუჯდებოდა, ძრწოლა აიტანდა, მაგრამ არ გადაუწყდებოდა იმედი, რადგან უწყინარ ხალხში იყო, ფანიელებში იყო. წყალს დაისხამდა, ბევრ წყალს გადაისხამდა თავზე და იცინოდა შიშიანი, იმედიანი; ბევრ წყალს გადაისხამდა, დაულბებოდა გაფიცხებული თვალები და ჩაქრებოდა ტაძარიცა, აღარცა ფერი სისხლისაო, აღარცა წყურვილი მსხვერპლისაო. იმ ღამეს ვეღარ მოასწრო, წყალი გადაესხა თავზედა, ისე მოულოდნელად მოხდა, ისე დაებნა თავგზაი, ვეღარ მოასწრო, ვეღარც გაიხსენა, თო-

რემ ვინ იცის... თუმცა უწყინარ უბანში იყვნენ, უწყინარ ხალხში იყვნენ, ალბათ ჭიანჭველისათვის ფეხი არ დაედგათ, ალბათ არც არასოდეს არავისთვის ეთქვათ, თვალი შავი გაქვსო. სახე ჰქონდათ სასოებითი, მსგავსი ერთმანეთისა, თვალი აღსავსე თანაგრძნობითა, გული მფეთქავი სიკეთითა, – ვის შესწეოდნენ, ვისთვის ნაეშველებინათ ხელი. ის დღე სხვა გახლდათ, ის დღე სტუმრისა იყო, სასტუმროდაც გადაჰხსნოდათ გული, წყნარადა, მშვიდადა, მდუმარი სიხარულითა. სტუმარი სტუმარი იყო, გარჩევას არ მისდევდნენ, სტუმარი სტუმარი იყო და ლეკოც სტუმარი გახლდათ, ნიკოცა რაღა თქმა უნდა, სტუმარი იყო და ათი კაციც რო ყოფილიყო ოჯახში, მხოლოდ ერთი მიუჯდებოდა სუფრასა, სხვანი თავს ადგნენ, სთავაზობდნენ, შეჰქონდათ, გაჰქონდათ, ემსახურებოდნენ. ტყუილია, რაც უნდა პატივი ეცათ, ესოდენ ღირსეულობას ვერსად განაცდევინებდნენ ლეკოსა. მეუფე იყო, მეუფე უნახავი, გაუგონარი, მეუფე ისეთი, ბრძანება რო არ უნდოდა, თქმა არ უნდოდა, არცა ნიშნება, ისე სრულდებოდა ყოველი ნებაი ამისი, სურვილი ამისი. იქ აღარ ინებებდა? – გადაინაცვლებდა სხვა ოჯახში, იქაც ისევე ფიანდაზად გაეგებოდნენ, მერე სხვაგნით გასწევდა გული, იქაც მომზადებულნი დახვდებოდნენ, თითქოს მეფე მოგზაურობდა თავის სამეფოში, ბედნიერ სამეფოში და ტკბებოდა თავისი ბრძნული განმგებლობის ნაყოფითა.

ტკბებოდა ასე შეღამებამდისა... ღრუბლებით შეღამდა, ჟინჟვლაც ნამოიწყო, კიდევაც იელვა, ჰო, ჯერ ეგონათ იელვაო, ერთბაშად გაშუქდა ღამეი ბნელი, ღამე ღრუბლიანი, ოღონდ როდიღა ჩაიქუფ-

რა ერთბაშადა, იმატა შუქმა, იმატა და იმატა, მოშორებით თუ დაინყო, მოანია სულ ახლოსა, უსწრაფესად მოაღნია, ამათაც შემოენთო, ხანძარი შემოენთო, ძლივს გამოასწრეს, გამოიხედეს და რა დაინახეს, – ინვოდა ფანიელთა უბანი, ავარდნილიყო დიდრონი ჭიაკოკონები, ალსა და ნაპერწკალს აეხია ჩაქუფრული ღამე. ხმებიც გაისმოდა შემზარავი, მოულოდნელი, უცნაური. არა, ეს არ იყო ხმაი ხანძრისაგან თავზარდაცემულთა, იყო ესეცა, მაგრამ სხვაც იყო, უფრო თავზარდამცემი, უფრო საშინელი, გაუგონარი. და მაშინ იმ გამგმირავ ხმებსა და საბედისნერო ხანძრის ალზე ფერიცვლობის ტაძარიც ამოგიზგიზდა სისხლისფრადა, ანუ დაიკლაკნა სისხლის ღვედივითა, დაიკლაკნა, დაიზნიქა, დაიგრიხა, როგორც რამ ჟინი მარადიული წყურვილისა, სისხლის წყურვილისა. თვალები დახუჭა ლეკო თათაშელმა, შეაჟრიალა და დახუჭა თვალები, გამოვარდა თუ არა ხანძარმოდებული სახლიდანა, პატარა, ალიზის სახლიდანა. თვალები დახუჭა, ოღონდა წყალი როდიღა მოფიქრებოდა, მირბოდა ეგრე თვალდახუჭული, მერე რაიმეს თუ წამოედებოდა, უნდა გაეხილა თვალიცა და მაშინვე გაეზმორებოდა ტაძარი, სისხლისღვარ ჩამოდენილი. ალბათ ოდესღაც იქ რო მუხნარი იყო ფერიცვლობის ღვთაებისა, ისევე იზმორებოდა, იზნიქებოდა, ირხეოდა, ალს მოიდებდა დაუმცხრალსა, მარად მოგიზგიზესა, მუქარიანსა, ნაგლეკავთო, გადაგბუგავთო, მსხვერპლიო, თორემ გადაგბუგავთო. იმა მუქარას დააცხრობდა ერთი ასულიცა, გამორჩეული, ულამაზესი, უფაქიზესი, ამა ზმორებას რაღა დააცხრობდა?.. იყო ნდომა გამძაფრებული თუ საშინელი წყურვილი გახლდა გაუგონარი, სისხლის

წყურვილი. განა რამდენი დალია ლეკომა, განა თუ როგორ გაფიცხებოდა თვალები ან წყალი როგორ ვერ მოაგონდა, გადაესხა თავზედა, გაწუწულიყო, გალუმპულიყო, აღარც გამშრალიყო, თუ უშველიდა, თვალები თუ დაულბებოდა, ანთუ ხსნა სწორედ ეს თუ იყო, – დალბობაი თვალთა?..

თუმცა ეს რაღა საკითხავია, –

მირბოდაო, იმას ვამბობდი, მირბოდაო და შეუძახეს; ან არ მოესმა, ან არ გაუგონა, უმატა სირბილსა, გაეშვა, გაფრინდა ოთხამოღებითა; მაშინ წინ უყეელეს, ხელი გაავლეს, კიდევაც წაუთაქეს, კონდახიც უთავაზეს და პანღურიც როდიღა დაუკლიათ; მოიცათო, მაინც იძახდა, მაინც ფეხს ითრევდა, ნიკო რა იქნაო, არ წამოგყვებით უიმისოდაო; არავინ მოუგებდა არც რო არაფერსა, არც იკითხავდნენ, ნიკო თუ ვინაა, ეგ ვიღას ტიკიტომარა არისო, ისე მიათრევდნენ ამასა ცხადია, მიათრევდნენ და მიაფხონიალებდნენ. არა ნებდებოდა ეგრე ადვილადაცა, არც იკითხავდა, ვინა ბრძანდებით, ანთუ რა გნებავთ მაინც ჩემგანაო, კაცი დავკარგეო, ამასღა ნაღვლობდა, მხოლოდ ამასა, მაპოვნინეთ და თქვენს ხელთა ვიქნებიო. ჩვენს ხელთაცა ხარ, ჩვენი საქმისაც ჩვენ უკეთ ვიცითო, უფროც უთაქეს და უფროც დაითრიეს, დაითრიეს და ატარეს ეგრე, ანთუ ათრიეს ხანძრის შუქზედა, ათრიეს და სადღაც შეაგდეს, და, რო გაისმა ამისი ბრაგვანი, მიკნავებული ხმაც აჰყვა მაშინვე, –

– ბატონო ლეკო...

ბიჭოს, აქა ხარო, შესძახა ლეკომაცა, შესძახა ისე აღტაცებითა, აი და აჰაა წამოფრინდებაო, ოღონდ ძლივას წამოიწია, წამოიწია და მოხვდა კიდევა, გა-

უდგაფუნა თავში რაღაცამა, წინწკლები გასცვივდა თვალებიდანა;

– ბატონო ლეკო...

მაინც მოესმა, ოღონდ მოესმა, ისე, იმგვარადა თავმა იმასაც თუ გაუდგაფუნა, წინწკლები თუ ცეცხლი წასცვივდა თვალთაგანო;

მაგას რაღას ერჩით უღმერთოებო, სტუმარიაო, ეს მაინც ამოთქვა ლეკო თათაშელმა და საცა ამოთქვა, ჩასთქვა იქავეო, იმდენი მოჰხვდა და ისე მოჰხვდაო; აღწერა არც ვარგა სიტლანქისა თუ უხეშობისა, არც ხატვა ვარგა ნაბეგვი კაცისა, არც სიტყვა ვარგა დარეტიანებული ადამიანისა, არცა ვარგა და არც რო ვარგებულაო, მაგრამ ყველაფერი არ გამოიტოვება მაინცა, თავისი სადინარი რო მისცემია ყოველ თქმულებასა, არც ამოვარდნა ვარგებულა სადინარიდანა, დაწრეტაც არა, არ ვარგებულა, დაწრეტა უფრო არა ვარგებულა, ჰოდა რაც იყო, იყო და რას იზამ, თათაშელიც მოეგო გონსა. ნიკო თუ ნიკუშაც იქავე ეგდო, სტუმარი იგი რაღა თქმა უნდა, მოგზაური იგი იქავე ეგდო, ერთად ეყარნენ და დასძახოდნენ ერთადვეცა ცოფმორეულნი:

– თქვენ გააჩაღეთ ცეცხლი!..

– თქვენ გაძარცვეთ ტაძარი!..

– თქვენ ასტეხეთ შფოთი!..

–თქვენ დაჰღვარეთ სისხლი!..

– თქვენა... თქვენა... თქვენა!..

– ვინ დაგავალათ?..

– მოთავე ვინაა?..

– კიდევ ვინ გახლდათ?..

– რა იქმნენ სხვანი?..

– სად იკრიბებიან?..

– სად გელოდებიან?..
– რა უყათ იარაღი?..
– იარაღი!..
– ... აააააააააა...

შემზარავი კვნესაც გაისმა და იყვირა ლეკომაცა, მაინც იყვირა: ვინა გგონივართო, ვინც უნდა გეგონოთ, მაგას მაინც ჩამოეხსენით, ჩემი სტუმარია, თავს დავდებ ჩემი სტუმრისთვისაო; კეთილი და პატიოსანიო, დასდებ და დასდეო, და მისდგნენ იმასა, თავის წილადაცა, სტუმრის წილადაცა, მისდგნენ ულმობლადა, შეუწყნარებლადა, რო არც იფრთხილებდნენ, ემანდ ხელში არ შემოგვაკვდესო, აღარც უფრთხოდა სიკვდილს არავინა, აღარც უკვირდა აღარავისა, გაადვილებულიყო, გახშირებულიყო, გაუბრალოებულიყო ყველაფერი. – ოდეს ვარდი გაიაფდეს, არღა ღირდეს არც ჩირადო, ერთხელ რო თქმულიყო, ვარდზე რო თქმულიყო, სიკვდილზედაც გამოდგებოდა, ყველაფერზე გამოდგებოდა, ასე იყო და ასე ყოფილიყო, – გაკიდულიყო ბენვის ხიდზე ახლა ლეკოი. სიკვდილის გზაზე გაკიდულიყო, ოღონდ არ იქნა, არ გადადიოდა, ბოლო ნაბიჯი ვეღარ წაედგა, რაღაც აკავებდა, რაღაც უცნაური, ძლიერი რაღაცა, ძლიერი თუ შმაგი რაღაცა, – თითქოს რო სული, სული აკავებდა ნამებულისა, სული უცნაური, გაუტეხელი, ატეხილი და გაუტეხელი; უცებ აენთო სული იგი ნამებულისა, უცებ აენთო და უცებ დაიჯერა იმა საზღვარზე სიკვდილ-სიცოცხლისა, უცებ აენთო და უცებვე შედგა, გაქვავდა იქავე, გასალკლდევდა იქავე, თითქოს და მართლაც დამთრგუნველი სიკვდილისაო; ეს თითქოსაო, თორემ ახსოვდა, ანთუ დროდადრო გაახსენდებოდა იმა თრევასა თუ

იმა გვემაშია, გაახსენდებოდა, რო აღმოხდებოდა სული უთუოდა, ადრე თუ გვიან აღმოხდებოდა სული იგი ნათელი სული და მიერთვოდა მარადიულ სასუფეველსა, – ასეთი ყოფილიყო ბედი წამებულისა, გმირის ბედი ასეთი ყოფილიყო, ბედი დიადი, ბედი ნათელი; ოღონდ მანამდე უნდა სცოდნოდათ, ჰო უნდა სცოდნოდათ თუ ვინ ეწამა თუ რად ეწამა, – უნდა სცოდნოდათ, უნდა გაერკვიათ უსათუოდა რაღა თქმა უნდა, თორემ რასაც თუ ახლა სწამებდნენ, ის ვერ შემოსავდა სიდიადითა, სიცრუე გახლდა, ვერ შემოსავდა სიდიადითა, არ იყაბულებდა წმინდა კანონი სიდიადისა, არ იყაბულებდა; მართალნი ყოფილან მოწამენი, უცრუონი, მართალნი მხოლოდღა, ნათელნი ყოფილან, ყოველთვის ნათელნი, არა ფარულნი, – არცერთი წუთითა, მარად ნათელნი, არა ფარულნი, – არცერთი წუთითა, მარად ნათელნი, აშკარანი და პირდაპირნი; პირდაპირობაც უადვილებდათ სატანჯველსა, თუმცა არაო, არც ეძიებდა გაადვილებასა, ეს, ისე უცებ წამოუჩქეფდა, წამოუტივტივდა, სხვა მოწამეთა სიადვილე წამოუტივტივდა, ამას რო ვერავინ შეედრებოდა, იმიტომაც წამოუტივტივდა; რწმენისათვის თუ წამებულიყვნენ, ეგ მერე რაო, დიდი ამბავი!.. ამისი საქმე სულ სხვაგვარად მოქცეულიყო, ცილისწამებას უნდა შესწირვოდა, უნდა შესწირვოდა რაღაც საძრახისსა; ვერ გაიგდებდა სახელსა ამითა, საძრახისითა, ასე გმირობა არ ირწმუნებოდა, მოწამეობა არ ირწმუნებოდა, – არ დაეცემოდა წმიდა ნათელი, შუქი ნათელი ზენაარსისა; არ დაეცემოდა და არც დასტოვებდა წუთისოფელსა, არა, ისე არ დასტოვებდა, გაუძლებდა გაუსაძლისსა, აიტანდა აუტანელსა, არ გარდვიდოდა

იმა საზღვარსა, სიკვდილ-სიცოცხლის გაადვილებულ საზღვარსა, გაუბრალოებულ საზღვარსა, გაიოლებულ ზღვარსა, არც გარდვიდოდა ჰო ისედაცა, – ცილისწამებით სულ არა ცხადია, იდგებოდა იმ საზღვარზე, ვითომც სამანი ყოფილიყოს, იდგებოდა და იდგებოდა; და უარობდა რაღა თქმა უნდა, ძალას მოიკრებდა საამისოდა, უკანასკნელსა, უსასოოსა, მაგრამ რაც იყო, ძალად ითქმოდა, ისევ ძალადა და შედავებადა:

– თქვენ გაძარცვეთ ტაძარი!..

– ااااااااااااررررااااااا...

– თქვენ დაღვარეთ სისხლი!..

– ااااااااااااررررااااااا...

– თქვენ წაუკიდეთ ცეცხლი!..

– ... ااااااااااااررررااااااا...

აქამდე ითქმოდა შედავებადა, მერე შეიცვალა, უცებ შეიცვალა და რო მიაყარეს იმდენი კითხვანი, იგივე კითხვანი, ისევდაისევა:

– ვინ წაგაქეზათ?..

– რა განგიზრახავთ?..

– ვინ არის მოთავე... სად არის მოთავე?..

– რა იქნენ სხვები?..

– სად გელოდებიან?..

ყველაფერს გეტყვითო, დათანხმდა ისიცა, უცებ დათანხმდა, ოღონდ სული მომათქმევინეო. აჰაა და მოითქვი სულიო, წყალი დაასხეს, დაათქრიალეს. ასხამდნენ მანამდეცა წყალსა, ცივცივსა, ცივწყაროს წყალსა, და ორთქლი ასდიოდა გავარვარებულ სხეულსა, ეგდო ჭონჭყოში და ორთქლი ასდიოდა, შიშხინებდა და ასდიოდა ორთქლი, თითქოს იწრთობაო, რკინა იწრთობაო თუ ფოლადიო, ეს სულერთია რა-

ღა თქმა უნდა; ვარვარებდნენ რო ისინიცა, გადაისხამდნენ წყალსა ისინიცა, ციცწყაროს წყალს გადაისხამდნენ თუ ჩაისხამდნენ პირში და ორთქლი პირიდან ამოსდიოდათ, ცეცხლი პირიდან ამოსდიოდათ, შხიოდნენ უფრო, ქშინავდნენ უფრო, უფრო მეტადაც დაქანცულიყვნენ. ლეკოს დაქანცვაც აღარ შეეძლო, აქეთ აღარ იყო, აღარც რა შეეძლო სააქაოი; აქეთ არ იყო და არც იქით იყო, ზეაღეტანა მოწამებრივ მხურვალებასა ან აი აჰაა, უნდა აღეტანა, ჟამი დამდგარიყო განშორებისა, აი აჰაა, ჩამოიბერტყავდა მტვერსა ამა ქვეყნისათა, აღაპყრობდა თვალთა, აღაპყრობდა და ამაღლდებოდა, ავიდოდა ღრუბელთა ზედა და მიერქმოდა მარადიულ სასუფეველსა, მარადიულსა და თავისასა, რამეთუ არცა ყოფილიყო მიწიერი აქამდისაცა, მოვლენილიყო ადამიანთა ცოდვის გამოსასყიდადა, მეორედ მოსვლაც ესა ყოფილიყო, ესეც ამაო, ესეც უშედეგო, უნაყოფოი ესაცა ისევე, პირველი მოსვლა ვითარცა ყოფილიყო, ცოდვა ცოდვად დარჩენილიყო, ცოდვა ცოდვას მოიმატებდა, კიდევაც ბლომად მოიმატებდა, გაილაღებდა, გათამამდებოდა, რამეთუ აღარა თქმულიყო არაფერი მესამედ მოსვლისა, ანთუ ვინ უწყის ვერც იბოგინებდა ადამიანი უცოდველადა, ვინ უწყის, ვინ იცის, რაღა არ უთქვამთ ფილოსოფოსთა. და ციალებდა შუქი წმიდაი, ამოდიოდა შუქი იგი წამებულისა, თავს დასდგომოდა შარავანდიცა, მაცხოვრის თავზე რო ეხილა ეკლესიებში, თავს დასდგომოდა თუ აი აჰაა, დაადგებაო, – მიეტანება და ასხლტება მაშინვე, აქ სად მოვხვდიო; ვიღაც არ აუშვებს და კვლავ მიემთხვევა, მიემთხვევა და ასხლტება კვლავაცა, შემოევლება და აფრინდება:

– ვინ იყო მოთავე?..
– ის თქვენს ხელთაა...
– შენა?..
– დიახაც!..
– ჰა, ჰა, ჰა...
– დიახ!.. დიახაც!..
– რა იქნენ სხვები?..
– მე ვარ სხვებიცა, მე ვარ... მე ვარ სხვებიცა...
– ჰა, ჰა, ჰა...
– მე ვარ ერთი და მე ვარ სხვებიცა...
– ჰა, ჰა, ჰა...
– გეტყვით, აგიხსნით, დამაცადეთ, ყველაფერს გეტყვით, – და წამოიწია თუ გამოხოხდა, გამოშორდა იმა ჭონჭყოსა, ვერც გამოშორდა, მშრალზე იდაყვები გამოიტანა, წელი ველარა, ვერ მიადევნა, ასთრეოდა წელი, – გეტყვით და გამიგებთ, თქვენ გამიგებთ, გეტყვით ჭეშმარიტსა... ჭეშმარიტს გეტყვით... მკვლელობისას არა, ძარცვისას არა, ხანძრისას არა, მე ეგ არ ვიცი, მე სხვა ვიცი და სხვას მოგახსენებთ; მე ლეკო გახლავართ, ლეკო თათაშელი!.. მე დამაკისრა განგებამ მოვალეობა უუუუუუუდიდესი, განგებამ დამაკისრა და ბედმა მიმუხთლა, როგორც რო ყოფილა წუთისოფელი, როგორც რო შებმულან ბედი და განგებაი, თვითონ შებმულან და კაცის თავზე დაუტეხიათ სიძულვილი ერთმანეთისა, რისხვაი ზეცისა და რისხვაი ქვესკნელისა... საწყალი კაცი... ბედი მუხთალი... განგება მუხთალი... კაცი საწყალი... ოღონდ და მაინც მე მაინც მე ვარ, მე ლეკო ვარ, ლეკო თათაშელი, საქმენნი ჩემნი რო გამომაჩენენ, ცილისწამება რო ვერ მომერევა, ცუდად რო მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება, – ლეკო ვარ-

მეთქი; აჰა, გითხარით ჰო ყველაფერი, ლეკო ვარ-მეთქი, მე ვარ მოთავე გამოსვლებისა, აჯანყების მოთავე მე ვარ, ოღონდ ესაა, ვერ მოვასწარი, ვერ დაგასწარით, თქვენმა იმარჯვა, მე თქვენს ხელთა ვარ. ეგეც თქვენს ხელთაა, ჩემი იმედი და მარჯვენა ხელი, ოღონდ ნუ აწამებთ, ეგ ვერ გაუძლებს, მაგის წილიც მე მომთარჯევით; ან მე რაღაო, აგერა ვფქვავ და არც არას დავფარავ, ჩამოვფქვავ ბოლომდისა, მხოლოდ მითხარით, კიდევ რა გნებავთ!.. მე ვარ და ეგაა, გვიმუხთლა ბედმა, საქმეც ჩავარდა რაღა თქმა უნდა, მოგვიზღეთ ჩვენი, არც გვეშინიან ჩვენი ხვედრისა, არ დაგვრჩენია აღარაფერი ამა ქვეყნადა, ვისთუ დარჩენია, შეუნდოს უფალმა: ესა ვარ აჰაა, ლეკო თათაშელი, არა მძარცველი ეკლესიისა, – მძარცველი არა, არა მაცდური ადამიანთა, – მაცდური არა!.. ეს მე ვარ, ლეკოი, ეს მე მოვსულვარ ფერიცვალობასა, ეს მე ველოდი მარიობასა, ეს მე ველოდი გერითობებსა, თავგერითობასა, შუაგერითობასა, ბოლოგერითობასა, ეს მე ველოდი, ეს მე ვივლიდი, მე წავაქეზებდი, გესმით? გესმით?.. მე წავაქეზებდი, ჰა, ჰა, ჰა... მე წავაქეზებდი და თქვენს ხელთა ვარ, მე დავცემულვარ, არა, ვით სატანა, არა ვით ბელზებელი, – არა სატანა, არა ბელზებელი!.. მე დავცემულვარ, ლეკო თათაშელი, მე თქვენს ხელთა ვარ, რუკაცა ჩემი ჰო თქვენს ხელთაა, – თქვენს ხელთაა რაღა თქმა უნდა, ჩემი რუკა დამიდასტურებს, მოწმეი ჩემი, მოწმე მოწამისა; მე შევადგინე, მარტოდმარტომა, მე გამოვთვალე, მე დავაზუსტე, არავინ გარიოთ ჩემს მეტი აქა; რა ვუყოთ თუ მაგას უპოვნეთ, ჩემი შეგირდია, ჩემი მეაბჯრეა, მე მივაბარე, მე ვარ ყველაფერი... მე ვარ ყველაფერი... ყველაფერი მე ვარ!.. და თქვენს

ხელთა ვარ მე ყველაფერი; ახლა თქვენ იცით, გადამიწყვიტეთ, რაც რო მეკუთვნის, მომიზღეთ ხვედრი, როგორიც გენებოთ, ოღონდ კოცონი არ გადამიწყვიტოთ, არც სახრჩობელა არ გადამიწყვიტოთ, არც დახვრეტა არ გადამიწყვიტოთ: მომკვეთეთ თავი, მეტი რა გინდათ?!. მომკვეთეთ თავი და შემოატარეთ მთლად საქართველოი, სხვა არაფერი, სხვას არას გთხოვთ, და აღმისრულებთ კიდევაცა რაღა თქმა უნდა, ესაა ჩემი ბოლო სურვილი, სიკვდილმისჯილის ბოლო სურვილი და აღმისრულებთ რაღა თქმა უნდა, ჰა, ჰა, ჰა... – აქ ცოტა კიდევ წამოიწია, ცოტა, სულ ცოტა აიჭიმა, – ჰა, ჰა, ჰა... იგულეთ სული, ტანჯული, სული, სული ჩემი, ხალხნო და ჯამაათნო, მარად თქვენთანა!.. – შესძახა კიდევა თუ რამ შეეძლო, ოხვრაც მოადევნა და ესეც მოადევნა ოხვრასა, – ეს თავის მოკვეთის წინ უნდა მეთქვა, ვითომ არ მითქვამს, მერე ვიტყვი... მერე... – და მოწყდა, ისე დავარდა, ლამის მართლა რო დამგვანებოდა წამებულსა, ანთუ ალბათ მიემგვანებოდა, ნატამალი რო ყოფილიყო სიმართლისა იმა ნათქვამში, ანთუ იქ ვინმე ყოფილიყო, ვინმე ისეთი, დაეჯერებინა, – არც სიმართლე ახლდა, არც მორწმუნეი, განწირულიყო აღსარებაი თუ ღაღადისი იგი, ღაღადისი ლეკოსი, სხვისი რო ეგებ არც განწირულიყო, ოდესმე მაინც მოედგა შარავანდედი. ბედისწერაა ყველაფერი, ლეკოს ბედი აჰხირებოდა;

ჰოდა დავარდაო... ესენი აღარ მისევიან იმავე წუთსა, ცოტას ჩაფიქრდნენ, ცოტა მოიაზრეს, მოიკითხეს თუ რაც ამოერთმიათ ჯიბე-უბიდანა, მოიკითხეს, გადახილეს და მართლა არ წააწყდნენ ი სასაცილო რუკასა!.. წააწყდნენ და ისე გაიხარეს, ვერაფერს რო ვერ შეადარებ, გაიხარეს და ჩაიქირქი-

ლეს, ანთუ ეგების იმათაც არა, – წყეულმა ბედმა თუ ჩაიქირქილა, წვრილადა, წვრილადა, ისე წვრილადა, თითქოს მისწყდაო, ოღონდ არ მისწყდა, გაიბა, გაიბა, ვინ უწყის თუ უდასასრულოდაო? ხელი წაავლეს მერე ორთავესა, სადღაც შეჰყარეს, სადღაც ბნელშია, სუნით თუ იგრძნობდნენ, ბოსელში მოვხვდითო; ლეკო იგრძნობდა და გაიკიდებოდა ორ ნაპირს შორისა, ფიქრისა და უფიქრელობის შორისა, აზრისა და უაზრობის შორისა, გრძნობისა და უგრძნობელობის შორისა, გაიკიდებოდა და გაიჭიმებოდა, გაწყდეს თუ არა, გაიგლიჯოს თუ არაო, – ეს ლეკოიო; მოგზაური არაო, ის მხოლოდ ახლაღა მიხვდებოდა, აქამდისაც რო უნდა მიმხვდარიყო, ახლაღა მიაკვლევდა აზრსა, აქამდისაც რო უნდა მიეკვლია, აზრსა ნათელსა, ანთუ ახლაღა განათებულსა და საშინელსა, მიაგნებდა და ჰკიცხავდა ლეკოსა, რისხავდა, შეაჩვენებდა, – ეს რა ჰქენი, რა ჩაიდინეო, რამ მოგიარა, რა ზნემ წამოგკრა, თუ იხუმრე და რა ხუმრობაა, თუ უმტრე ვისმე, ასე ვის უმტრე, ასე მრისხანედა, ანთუ მე მაინც რას მერჩოდიო, რა შუაში ვარ, ეს რა მოჩმახე, რაში გამრიე, რაღა მიხსნისო; უარჰყავ, რაც თქვი, გონს მოეგე და უარჰყავი, უარჰყავი შე უბედუროო, ჩასძახოდა და თითქოს ანჯღრევდა, ოღონდ ძალა არა ჰყოფნიდა, ხმაც აღარაო, აღარა ჰყოფნიდა, – მკვახედ ნათქვამი მკვახედ არ ითქმოდა, ჩიფჩიფად ისმოდა, წუწუნად ისმოდა, კვნესად ისმოდა და არ ჩაესმოდა ლეკოსა ცხადია, მრისხანე ხმებიც რო არად ჩაუგდია, რას გაიგებდა აბა კვნესისასა, რო ავიდა, ამაღლდა, გაიშალა და განეფინა, – რაღას გაიგებდა?!. დაე ამას ეტირა ხმადაბლა, თავისთვისა, თავისი თავი გამოეტირა, არც რო არავინ

თანაუგრძნობდა, არც ღირსი რო იყო, რო ვერ აუბა მხარი მოძღვარსა, რო ვერ ასცილდა მტვერსა ცხოვრებისა, რო ვერ დათრგუნა ჟინი სიცოცხლისა, უკვდავებას ვერ ეზიარა; ეგება, მაინც გამოერკვეს მერე, იმას რო წარმოსთქვამს, იმ ბოლო სიტყვებსა, ხალხს ქვითინი რო აღმოსკდება, თმას რო დაიბრდღვნის ხალხი, თავში ნაიშენს, ლოყებს დაიფხოტნის, – გამოერკვეს ეგება მაშინა, ჟამსა იმა ამაღლებისასა, ეგებ გამოერკვეს, ლეკოს ამისთვის აღარა სცალიან, მორჩა სიავესა ამა სოფლისა, ის ეწევა და ემზადება იმისათვისა. ამაღლებისადა...

XXII

ასე გაოგნდა, ჩაიკარგა ლეკო თათაშელი... ჩაკარგულიყო, აღარც უნდოდათ დაკითხვაი იმისი, მგზავრობის რუკამ ყველაფერი გაუადვილათ, გაიძღოლეს და მიჰყვნენ რუკასა, უმეგზუროდა და უკომპასოდა, მიჰყვნენ და აჰკრიფეს, ვინცთუ შემორჩენილიყო ცნობილ გვართაგანა...

ცნობილ გვართაგანა და კიდევ და კიდევ სხვათა და სხვათაგანა, აჰკრიფეს ეგრე მამიდაშვილ-პაპიდაშვილებიანადა, ნათლიიშვილ-ძიძიშვილებიანადა, მიაყოლეს მასწავლებლებიცა, – დაბალგვართაგანა, – განსწავლული მეურნენიცა, მღვდლებიცა და ზოგან აგრეთვე დიაკვნებიცა, თვით ისეთნიცა, გაკრეჭვაც რო მოესწროთ, აჰკრიფეს და შეჰყარეს, ვინ საითა და ვინ საითაო, სადაც წაასწრეს, სადაც უფრო ემარჯვებოდათ, – ვინ საფერიცვლოსა, ვინ საღვთიშობლოსა, ვინ საკორინთლოსა, ვინ სახევთისო-

სა, ვინ კიდევ სადა, სადაც დიდი გომური გახლდა, ანთუ თავლა დაედგათ დიდი, პატარებსაც არა სწუნობდნენ, ოღონდ კარი გამოეკეტათ, ყვარყვარესი არ იყოს; ვინც გაუურჩდათ, ნუღარას იტყვით, – გზა-გზა აუგეს ყველასა ანდერძი – ვინც დამორჩილდათ ისინი შეჰყარეს, შეჰყარეს და გამოუკეტეს კარი, ოღონდ ისე რო მალიმალ გაეღოთ, შეემატებინათ მალიმალა სხვანიცა: ვთქვათ ხეთერელნიო, თუმცა ვიღა ხეთერელნიო?.. ერთიღა ელიზბარი გადარჩენილიყო, ისიც აიყვანეს დაჭრილის გვერდიდანა, ის დაჭრილიც თან მიაყოლეს, სადაც იქნები, იქ მოუარეო;

არც გაჰკვირვებია, ელიზბარსა რაღა თქმა უნდა, არც არა უკითხავს, უჩვეულო რო არ უბრძანებიათ, – აბა იარეო და ადგა ისიცა, ადგა და ბრძანა, შინ უნდა შევიაროო, ბრძანა ისე, იმნაირადა, თითქოს ისევ ავადმყოფთან მიჰყავდათო, ბრძანა და აკი არ დამორჩილდნენ?! ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ნათქვამიც არის, თუმცა მოშლილიყო ჩვეულებანი, არეულობაც იმისი გახლდა, ჩვეულებანი რო მოშლილიყო, მაგრამ და რაო, ეს მაინც გაუგონეს, შინაც გაატარეს, კიდევაც დააცადეს, არტაშნები თუ ბამბა, მალამო თუ წამლები რო ჩაემატებინა აბგაშია. და უმატებდა ისიც მშვიდადა, აუკვირვლადა, აუჩქარებლადა, ვითომდა აქ არაფერიაო, არცთუ რა იყო უჩვეულო თუ უცნაური: გამოსცხადებოდნენ თოფიანები, გაუძღვებოდნენ თოფიანები, – სროლა იქნებოდა, ვინმეს მოჰკლავდნენ, ვინმეს დასჭრიდნენ, კითხვა არ უნდოდა, არც პასუხი. ისევე იყო თუ სხვა რამ მომხდარიყო, გარჩევაში არ შედიოდა; გაუძღვებოდნენ თუ ატარებდნენ სად-

ღაც კლდე-ღრეშია, ფლატეებზედა, უდაბურ ტყეშია, სახელდახელო ქოხში სადმე თუ შეიყვანდნენ, ანდა საბძელში, ანთუ ბოსელში, არას დაგიდევდა, არც გაიკვირვებდა, რაღა თქმა უნდა. ისევე იყო თუ სხვა რამ მომხდარიყო, გარჩევაში არ შედიოდა, ისევ ბოსელზე რო მიუთითეს, გაკვირვებაც არ მორევია, ხელი რო წაჰკრეს და წუხილიც მიაყოლეს, არც იმითი შეცბუნებულა, თუმცა ეს უკვე უჩვეულო რამ გახლდა, არსად შეჰხვედრია საექიმო მოღვაწეობაში. იქ ცოტა ბნელოდა, ცოტა სიბეცის ბრალიც იქნებოდა, ცოტაც იმისა, ხალხი ბლომად რო შეეყარათ, ფეხი ამიტომაც ვერ წარსდგა წინა. ფეხი ვერ წარსდგა, გზაც არ დაუთმეს და ბრძანა მაშინა, გამატარეთო. საით ინებებთო. სად თუ დაჭრილია, სად თუ ავადმყოფიო. ჩვენ რო ავადობა შეგვყრია, შენი წამალი ველარას გვარგებსო. რა ექიმი დასნეულდესო, შენ ვილას იხმობ, ანთუ მკურნალი სადღა არისო. ხმები ეცნაურა, ცოტა სიბნელესაც შეეჩვია თვალი, ცოტა იმედიც გადაელია, გაუქრა იგი ნატამალი თუ შერჩენოდა, თავისთვის არა, მხოლოდ ამათთვისა, ამათი გადარჩენისა თუ სადმე ებადა, გაუქრა და იქავე აეყუდა, კარსვე აეყუდა, ვიდრე კიდევ მოაწვებოდნენ, ვიდრე ვინმეს შემოსჭედავდნენ კიდევა და კიდევაცა, მიეყუდა და ცხვირსახოცი ამოიღო, პენსნე ჩამოიხსნა, გასწმინდა საგულდაგულოდა, გააპრიალა, მოირგო ცხვირზედა, მოირგო და მოიძრო მყისვე, დაბინდულიყო უარესადა, მომეტებულადაც გააპრიალა, ისევ მოირგო და ისევ მოიძრო, მყისვე მოიძრო, კიდევ უფრო დაბინდულიყო, ეგება თვალი დაბინდულიყო? რა ვუყოთ მერე, შუშასღა წმენდდა თავგამოდებითა, სწმენდდა

და სწმენდდა, ვინ თუ რას ამბობდა, არცთუ უსმენ-
და, გამოთიშულიყო ყველასა და ყველაფრისგანა.
და მერე, როცა გაიყვანეს ყველანი... თუმცა ჯერ
არა, რახან მერეა, მერეღა ითქვას, ითქვას რიგისა-
და, თანმიმდევრულადა, მაგრამ ვინ იცის, ვეღარ
დავუბრუნდე ანთუ ადგილი ვეღარ გამოვძებნო სა-
ამისოდა, – რახან სიტყვამ აქ მოიტანა, ალბათ აქ
არის ამისი ადგილი: ჰოდა ყველანი რო გაიყვანეს,
შიშველი მინდორი გადაატარეს, ბექობს მიაყენეს
და ჩაუჩურჩულეს, ჰაი და ჰა, დრო დაგდგომიათ,
თავს უშველეთო, ამას ვითომც არ გაუგონია, ფე-
ხიც არ გაუძრავს, სადაც ის უთხრეს, იქავ გაჩერდა,
პენსნე ჩამოიხსნა, შეწყვეტილი საქმე განაგრძო.
სხვები გაიქცნენ, მაშინვე მოსწყდნენ ადგილიდანა,
ანთუ გაფრინდნენ, კამარა შეჰკრეს და ეგრევე
დაცვივდნენ ფეხდასხეპილნი, გაისმა თუ არა დგა-
ფუნი თოფებისა. ეს ერთი დარჩა იმა მსროლელთა
თუ განწირულთა შორისა, უკეთუ მოჰყვა მსრო-
ლელთა შორისა, ვიღაცამ თოფიც თუ დააყრდნო
მხარზე, ეგრე თუ ისროლა; ამას ვითომც არ გაუგია,
ანთუ ეგებ არც გაუგია, ისე მოჩქარებითა სწმენ-
დდა პენსნესა, დაბინდულ პენსნესა, სწმენდდა და
ვერა, ვეღარა სწმენდდა და იდგა, ფეხს არა სდგამ-
და. გაიქეიო. კიდევ ჩასჩურჩულეს, ერთადაც ჩას-
ჩურჩულეს, ცალცალკედაცა, მეტი და მეტი იმედი
ჩაუსახეს გულშია, მაინც ვერ დასძრეს ადგილიდა-
ნა, მაშინ თვითონვე დაიხიეს უკან-უკანა, ყიჟინა
დასცეს აღტკინებისა, ყიჟინაც დასცეს და ტყვიაც
დაუშინეს, ყიჟინამ დაჰფარა ქუხილი თოფებისა. ის
ნელა ჩაიკეცა, ნელა, ნელა, ისევ ისე სათვალის
წმენდაშია.

სხვაგვარად შეხვდა ხვედრსა ქალბატონი ეფემიაი:

გორგოლაჭებიანი სავარძელი გააგორებინა აივანზედა. ჯერ გააპოხინა გორგოლაჭები, რბილადა სრიალებს, ასე სჯობიანო, ჰო გააგორებინა და დარჩა იქავე, აქ მირჩევნიანო, კავკასიონი კარგად მოსჩანს აქედანაო, დიდრუც კარგია. ლამაზად მოსჩქეფსო. დიდრუს დასცქეროდა ის აივანი, ძველი აივანი, ცოტა მორყეული, მოაჯირმორყეული, ბოძებმორყეული. ღამით კავკასიონიც აღარ მოსჩანდა, დიდრუ თუ მოსჩქეფდა, შიგნიდანაც გაიგონებდა, აივანი მაინც არ დასტოვა, იქა სჭამდა თუ იქავე სვამდა, იქავე იძინებდა, იქავე ამთავრებდა ბოლო ნაწილს კათარელთა ისტორიისა. გვერდით მოგრძო კეტი დაედო, მალმალეც დაჰხედავდა, თითქოს და რაო, შთაგონებაააო, შთაგონებაააო თუ რაღაც ამგვარიო, დაჰხედავდა და ამთავრებდა ისტორიასა. სახე ულიმოდა, ფიქრს თუ შეჰღიმოდა ან მოგონებებსა, ძიძას შეჰღიმოდა უფრო და უფრო მომეტებულადა, შეჰღიმოდა და მაშინაც შეჰღიმა, უჩვეულო შეშფოთება რო ამოიკითხა იმის სახეზედა, მანამდის თითქოს გაქვავებულ სახეზედა, – „უკვე?..“ შეჰკითხა, შეჰღიმა, შესცინა, თითქოს სიხარული რამ უნდა აუწყოსო. ოდნავ დაჰხარა თავი ძიძამა. „მოდიან?..“ მერე ამგვარად შეჰკითხა, კიდევ ღიმილითა, რაღა თქმა უნდა. ისევ დაჰხარა თავი ძიძამა, ისევ ოდნავა. სხვა რამ პასუხი აღარ უნდოდა, აღარც შეკითხვა იყო საჭიროო, ახლოვდებოდა, ახლოვდებოდა, ახლოვდებოდა ბრახუნი ჩექმებისა, ნალებიანი ჩექმებისა, ახლოვდებოდა და მოახლოვდა. ძიძა აეფარა, შავი თავშალი ჩამოიფხატა, დაღუნა თავი. რა განეზრახა, ძნელი სათქმელია. ეფემია გადასწვდა კეტსა,

გადასწვდა სახემოცქრიალებული, გადასწვდა და ისე მოიმარჯვა, მენავეები რო მოიმარჯვებენ ნიჩ-ბებსა, ნავი რო უნდა დასძრან ნაპირიდანა, ლამს რო უნდა გადააცილონ, ისე მოიმარჯვა, კედელს მიაბ-ჯინა და დააწვა ორივ ხელითა, ორივ ხელითა და მთელის ძალითა, დაანვა და დასძრა გაპოხილი გორ-გოლაჭები, დასძრა, მოსწყვიტა ადგილიდანა, მოს-წყვიტა, მიაწყვიტა მორყეულ მოაჯირსა, გაჰგლიჯა მოაჯირი, თან გადაიტანა... და ის იყო შემოიჭრნენ აივანზედაცა, ბრახუნითა და რახუნით შემოიჭრნენ. ძიძაც, გაფოფრილი, გადასავარდნს იყო, ოღონდ ეტყობოდა ვერც გაებედა, წყალი დგაფუნობდა, და-ეღო პირი. იმათ მიუსწრეს თითქოს რო დროზედაო, მიუსწრეს და გააბედინეს, გააბედინეს და მიეხმარ-ნენ და წიხლები ამოსცხეს და თან მიაყოლეს თავის ქალბატონსა... თან მიაყოლეს... აივანზე დარჩა უკა-ნასკნელი თავი კათარელთა ისტორიისა, უკანასკნე-ლი თავი და ერთადერთი ფურცელი, იმასაც ქარი დასტანებოდა, დაათრევდა ჯერ აივანზე, მერე ვინ უწყის თუ საით წაიღებდა.

ასე ელოდა, ასე შეხვდა ქალბატონი ეფემიაო.

გიორგი ოცხელი სხვაგვარად შეხვდა, ის არც ელოდა, არც დაიჯერა, როცა უბრძანეს, უნდა წა-მოგვყვეო. სადაო. აუხსნეს. მაინც ვერ გაიგო. კიდევ ჩაეკითხა. კიდევაც აუხსნეს. კიდევ ვერ გაიგო ანუ არ დაიჯერა, თორემ, ვითომ რა დიდი გაგება ამას უნდოდა?! არ დაიჯერა და კვლავაც ჩაეკითხა, მაშინ გაგულისდნენ ესენი. ოცხელიც გაგულისდა, მეო, ასეო, ისეო, ყველაფერი სოფელს შევნირეო. ამათ ხელი წაავლეს. იმან ასტეხა ერთი ვაი-უშველებელი, გამოიხედე სოფელოო, დაინახე თუ რა დღეშია შენი

ერთგული შვილიო. სოფელმა არ გამოიხედა. მაშინ ისევ ამან, გიორგიმ აუხსნა, თუ რა სიკეთე მიუძღვოდა სოფლის წინაშე. ისევ იმათ არ აცალეს: იქ წამოდი, იქ მოუყევიო. კეთილი და პატიოსანიო, წამოვალ და იქ გავარკვევო. ეს უკვე მუქარასა ჰგავდა. დამორჩილებას არა, ცხადია. დღესვე დავბრუნდებიო, მიუბრუნდა თავის ვაჟიშვილსა, მიუბრუნდა და ასე დასძინა, დასძინა ესეც მუქარითა, იმედითაცა, რაღა თქმა უნდა. აქ ოღონდ: მიუბრუნდა თავის ვაჟიშვილსაო, ითქვა უკვე და მიხვდებოდი, ვაჟიშვილი რო დაჰბრუნებოდა, დაჰბრუნებოდა დიდებული ვაჟკაცი, თვალმიმტაცი, ვისაც ეხილა, კიდევაც ენატრა, თვალი მომცა და მაცქერინაო. ამასთან ზრდილი, ზომიერი, განათლებული, დიდად საიმედო, ქვეყანა რო იამაყებდა, ერი რო იამაყებდა ისე საიმედოი, დაბრძენებული. მეტი რაღა ითქმის, – ისაა და დაბრუნებულიყო, შეხვედრის სურვილიც არ მოეკლა ჯერ მამაშვილსა, ჯერ პირველ შეკითხვებსაც არ განშორებოდნენ, ის აქაურსა, ეს იქაურსა, – ჰოდა, მოვალ და ისევ განვაგრძობთო, ეს იმედიც თუ გამოსჭვიოდა ომახიან დაპირებაში. ეგეც უნდა წამოვიდესო. რასა ბრძანებთო. რაც გაიგონეო. და ახლა ამისი ველარ გაიგო ამა სწავლულმა, განათლებულმა ადამიანმა, კაცობრიობის ისტორია რო იცოდა, ფილოსოფიისათვის რო გადამდგარიყო. რაღაცა გეშლებათო. უკაცრავად ბრძანდებოდეო, ჩვენ არაფერი გვეშლებაო. ჩემი შვილი გახლავთო, თითქმის ბავშვი გავისტუმრეო, ეს არის დაბრუნდაო. ნუ შენუხდები ახსნა-განმარტებისათვისაო. აუხსნელად რა იქნებაო. ჩვენ ჩვენი ვიცითო, შენი შენთვის შეინახეო. ეს როგორაო. როგორაო და იარეთო. ვივლითო, – დაი-

მუქრა ისევ ისე ომახიანადა, მაგრამ და რაო, განა თუ დიდხანს გაჰყოლია ომახი იგი, იმედი იგი, – აღარ გაჰყოლია, აღარ შერჩენია, თავი უბუცეს თუ არა თავლაშია, თვალი მოავლო თუ არა იქა მყოფთა, იქ შეგროვილთა, მხოლოდ ერთიღა ამოიგმინა, ვაიმე შვილოო, ამოიგმინა და მარჯვენა იმისი მიიხუტა გულზედა, მიიხუტა და როდიღა მოუცილებია, სხვა არც არაფერი წამოსცდენია ქვითინის გარდა.

ვაჟი ამშვიდებდა:

– შეხედულებებისათვის არავინ ისჯება განათლებულ ქვეყანაში. – ამბობდა და ამშვიდებდა ამასაცა, იმათაცა, ეჭვიანად რო აქიცინებდნენ თავსა; თვითონ ეჭვი არ ეკარებოდა, ღრმადა სჯეროდა თავისი ნათქვამი, უკვირდა ამათ რად არა სჯერათო.

ესეც ოცხელები.

კიდევ ვინ დაგვრჩა?

გიგა მაბკურელი გამოეშვათ საპატიმროდანა, გამოესტუმრებინათ თბილისიდანა, გამოეშვათ და მიეტანებინა თავის სახლამდისა, მიეტანებინა, ჰადაჰა ერთი საქცევიღა დარჩენილიყო, რცხალი, რცხალის ეკალი გაღაღანებულიყო. იქ, შინ თუ იყვნენ, გამოეხედათ, დაინახავდნენ, გამოექანებოდნენ და გაექანებოდა ესეცა, შინ თუ არ იყვნენ, მივიდოდა, დაელოდებოდა საჩეხშია, მაშინ აქედან დაინახავდნენ, აქედანვე გაექანებოდნენ, მამა მოსულაო, ვინ მიასწრებსო. მეუღლეს მუხლი მოეჭრებოდა, ჩაიჩოქებდა და თუ არ ჩაიჩოქებდა, ისევ გადაადგამდა ფეხსა, ისევ მოეჭრებოდა მუხლი, ისევ გასწევდა, ივლიდა, ივლიდა, შორ გზად ექცეოდა ერთი საქცევი. ეს წარმოისახა და წამოეწივნენ, გამობრუნდიო. ერთი მაინც შემეხედა შინაო. რა ბედენააო. მართლაც რა ბე-

დენა�о, მაგრამ რა ვიცი, მაინც კაცნი ვართ, ერთი მაინც შემეხედაო. გამობრუნდიო. კეთილი რჩევაა მე და ჩემმა ღმერთმა, ტყუილად უნდა ავანიოკო ცოლშვილიო. ბევრს ნუ ლაპარაკობო. ეგეც მართალიაო. გამობრუნდიო. აჰაა და გამოვბრუნვებულვარო. და გაბრუნდა კისერმოღრეჯილი, ეგება ვინმემ გამოიხედოს, ეგება რომელიმეს მოვკრა თვალიო.

პეტრე ვარაზნელი არ დანებებია, თავს იცავდა გააფთრებული, უტევდნენ და იგერიებდა, იგერიებდა, ვიდრე ეყოფოდა ტყვია-წამალი, ხოლო მერეო, ერთი ტყვია როლა შემორჩა, საფარიდან გამოვარდაო, გადაიღეღა გული და დასჭექა, მესროლეთო. აღარ ესროლეს, ნელ ნელა დაიძრნენ, ნელ ნელა მოერკალნენ. მიხვდა პეტრეი, ცოცხლად შეპყრობას მიპირებენო, მიხვდა და აღარც დაუყოვნებია, სასაში მიიცა მაუზერის ლულაო, ტვინმა აასხა სარქველიდანა, სისხლმა და ტვინმა.

დაგვრჩნენ კიდევა: არჯევნელები, იტრიელები.

ისე თუ მივყვებით, იმათ რო იარეს, არჯევნელების ამბავი უნდა ითქვას უწინა, ოლონდ ცოტა ხანს დავეხსნათ იმათა, ჯერ იტრიელების ამბავი გაიგე. იმათთანაც მივიდნენ, რაღა თქმა უნდა, იგივენი მივიდნენ, წინა ღამეს რო ეწვივნენ, ივახშმეს და შეისვენეს იმათს ეზოშია, – ეზოში, ეზოში, სასაფლაოსანი ჰო სხვანი გახლდნენ. მაშინ სამოყვროსავით მივიდნენ, პირდაპირ მიადგნენ კარიბჭესა, დაღუნეს თავი და შეიარეს. მერე სამტროდ მივიდნენ, ხოლო რახან სამტროდ მივიდნენ, შორს დადგნენ, ალყა დაარტყეს და შეუთვალეს, დაგვნებდითო. დავითმა ღრმა სარდაფში ჩაიყვანა ბავშვები და ქალები, ვაჟკაცებს უბრძანა, მომყევითო. მომყევითო და მიჰყვნენ, მიჰ-

ყვნენ და შევიდნენ კოშკშია. იქ, ძველი მოსახლენი რო არ იყვნენ იტრიელები, არც ციხე ჰქონდათ, სასახლე რო აიგეს, ცალი მხარიღა ამოუყვანეს კოშკივითა, საგვარეულო ციხის მოგონებაც გამოდიოდა, თავისებური ელფერიც დასდებოდა ახალ შენობასა. ოღონდაო, კოშკივით რო იყო, კოშკიც იყო და – სქელკედლებიანი, სათოფურებიანი. იარაღიც იქავე ენყო, სტუმართათვის სახილველადა, მომხვდურთათვის დასახვედრადა. ჰოდა კოშკიც ის გახლდათ, იარაღიც იქ ენყო და იქავე შელაგდნენ ესენიცა. იარაღი აისხითო, ბრძანა დავითმა, ბრძანა და აისხეს, ადგილიც მიუჩინა ყველასა, ლულებიც გაჰყვეს სათოფურებშია. როსტომმა არაო, ზურგი მიჰყუდა თავის სათოფურსა, თოფიც დაუშვა თავდაყირადა.

– მე ვნებდები, – ასე თქვა როსტომმა, – თუ ვინმეს გაპარვა გადაუწყვეტია, გაიპაროს, თუნდ ყველანი გადით, დაგიფარავთ.

– მე ვბრძანებ!.. – დაცხრა დავითი.

– მე არ ვბრძანებ, – დაატანა როსტომმა, – დაგიფარავთმეთქი, გადით, გააღნიეთ.

– რაღაისთვისა?! – გაჰკვირდა დავითი, – ცხოვრების ხელახლა წამოწყება რაღა დროსია ჩემთვისა?!

– ანღა ჩემთვისა?! – გაიკვირვა კახაბერმაცა.

– ანღა ჩემთვისა?! – დიმიტრიმაც დასძინა.

– წავიდნენ გიორგი და ბაქარი! – ახლა როსტომმა ბრძანა, ბრძანა და სათოფურში გაჰყო ლულაი.

– სადაც თქვენა... – გიორგიმ დაიწყო.

– ... მეც იქა! – დაასწრო ბაქარმა.

– წადით!.. – იყვირა დავითმა.

– ჩქარა, გაასწარით!.. – კბილებში გამოსცრა კახაბერმა.

– წადით, ბიჭებო, წადით, – შეევედრა დიმიტრი, – ერთ დღეს ჰო არ ამოვწყდებით ყველანი, წადით, ბიჭებო, წადით!..

აღარც რა უთქვამთ, მიუბრუნდნენ სათოფურებსა, ეს ორნი დარჩნენ პირისპირა – გიორგი და ბაქარი, ეს ორნიღა შეაცქერდნენ ერთიმეორესა, მერე მიეყუდნენ, ნიკაპი გადაჰკიდეს ერთმანეთის მხარზედა. უცნაურად უძგერდათ გული უცნაურადა და მძაფრადა, ოღონდ არც ერთი თავისას არა გრძნობდა, ეგონა, ძმის გული მიბაგუნებსო, ერთსაც ასე ეგონა, მეორესაცა, ეგონა ძმის გული მამხნევებსო, ერთსაც ასე ეგონა, მეორესაცა, ერთად ასწიეს თავი, ერთადაც მოავლეს თვალი ფარულ კარსა და ვიდრე დაიღუნებოდნენ, ვიდრე გაეტეოდნენ, სათოფურებთან აკრულ ბეჭებზედაც მოატარეს თვალი, დაეწურათ თვალი, ცხარე კურცხალი დასდინდათ თვალზედა. ხსნა აღარ იყო, გავიდნენ, შთაინთქნენ.

– არავინ შემოგაკვდეთ! – ბრძანა როსტომმა.

როსტომმა ბრძანა და როსტომმავე ისროლა პირველადა, აჰყვნენ სხვებიცა ხან მოხშირებითა, ხან ხამუშ-ხამუშა. ისმოდა საპასუხოცა, ისევე ხშირი, ისევე ისე ხამუშ-ხამუში. კარგა ხანს გასტანა, გამღწევი გააღწევდა, დანებდებოდა დამნებებელი, – დანებდნენ კიდევაცა, კარი გააღეს, გავიდნენ, დაჰყარეს იარაღი. მდევარი გაჰკიდეს გაქცეულებსა, ველარ გაუგეს ასავალ-დასავალი. ისინი შეჰყარეს გომურებში საფერიცვლოსი.

ეს იტრიელებიო.

და აი მივადექით არჯევნელებსა.

თუმცა მივუბრუნდები ფანიელებსა მაინცა, მაინცა და იმიტომა, ხანძარი რო მისცეს და ის რო არ

იკმარეს, არ იკმარეს. ხანძარმა გადაბუგა კარმიდამო თუ სარჩოსაბადებელი, საქონელი მაინც გამოასწრეს, თვითონაც გამოასწრეს ფანიელებმა, ცოცხლად გამოასწრეს, სულიერი არავინ დაღუპულა. და იმდენად არცა ნაღვლობდნენ, რახან გადავრჩით, აღარა გვიშავსო, თავსაც გავიტანთ, ცხოვრებას კიდევ მოვეწევითო, არა ნაღვლობდნენ, თავს ინუგეშებდნენ, იმედოვნებდნენ. ბედი თუ მსახვრალი სხვაგვარადა ფიქრობდა, ეგებ იცინოდა რო კიდევაცა, ეგებ რო თავიც არ დაენებებინა, ეგებ ელოდა, ცოტა მიწყნარდნენ, მიბინარდნენო. და მიბინარდნენ დაქანცულნი, ჯერ რო ერთად მოიყარეს თავი, ერთი კუთხე რო გადაურჩათ, ერთი ეზო რო გადაურჩათ, რო ალოკა ცეცხლმა და რო ვეღარ მოედო, ჩააქრეს როგორც იყო, აბორკეს როგორც იყო. იქ მოიყარეს თავი, იქ მიზიდეს ვისაცთუ თუ რა გადარჩა, ვინც თუ რა გადაარჩინა, იქ ჩადგეს აკვნები, იქ გაიშალეს, ლოგინი თუ ვეღარა, ანთუ ყველამ თუ ვეღარა, თივა მაინცა, გაიშალეს, მიწვნენ, მიეყარნენ, მიეცნენ ძილსა მკვდრულსა დაქანცულნი, გაწამებულნი, იმედითა ხვალინდელი დღისა, დღეც რო ახლოს იყო, რო უკვე ბრიალებდა ცისკრის ვარსკვლავი. ცისკრის ვარსკვლავიო, წინამორბედი განთიადისა. ესაა რო იმათ ვეღარ გაუთენდათ, ვეღარც კაცებსა, ვეღარც ქალებსა, ვეღარც მოხუცებსა, ვეღარც ბავშვებსა, აკვნის ბავშვებსაც რო ვეღარაო. კვნესაც ვერ მოასწრო ვეღარავინა, ვერა, ვეღარავინა: მკვდრულ ძილს მიეცნენო, და სიკვდილსაც ეგრევე შეეყარნენ: ეგრე მკვდრულ ძილში დაესხნენ თავსა ხანჯლებითა, ხმლებითა, სამთითებითა, ნაჯახებითა, კეტებითა თუ რითი აღარაო, ვისაც რა მოჰხვდა, დაესხნენ და

ასჩეხეს, აკუწეს, წამოაგეს სამთითებზედა ორსული ქალებიცა, აკვნიანი ბავშვებიცა; სარებზე ჩამოაგეს ორსული ქალები და მზე რო ამოვიდა ეგრე შეაგებეს, ეგრე შეაგებეს, გამოღვიძებაც რო ვერ მოასწრო ვერავინა. ანთუ მოასწრო, ვერც ვერა გაიგო, ისე მიეცა საუკუნო ძილსა. არავინ გადარჩენილა, არავინა, ფანიელთა აღარავინა. მერე მიკვირდა თუ იმათთაგან ვინმეს თუ სადმე გადავეყრებოდი. წასულები ვიყავითო. იქით აღარც მიგვიხედიაო. რაღა თქმა უნდა ვერ გადარჩებოდნენ, იქ რო ყოფილიყვნენ რაღა თქმა უნდა. გაზეთებში წერდნენ, რო აღშფოთებული გლეხობა დაესხა თავსაო, ვითომ რო სინანულსაც გამოსთქვამდნენ ის ახალი მოწესენი, ვითომ და უფრო ნიშნსაც მოუგებდნენ: მაშ რა ეგონათ რო აღაშფოთებდნენ გლეხობასაო. და აღარ იკითხავდა აღარავინა: თუ რითი უნდა აღეშფოთებინათ გლეხები ფანიელთა, თვითონაც რო აღარაფრით აღარ განირჩევოდნენ იმათგანა, – არცა ქონებითა, არცა წესითა ცხოვრებისა, რო მხოლოდღა ახსოვდათ, და ისიც კარგად აღარ ახსოვდათ, თავადიშვილები იყვნენ თუ აზნაურიშვილები ოდესღაცა, ოდესღაცა ჯერკიდევ ერეკლეს დრომდისა, ოდესღაცა, ახსოვდათ და ისიც რო კარგად აღარ ახსოვდათ. აღარავინა კითხულობდა, აღარავინ გაარჩევდა და ადვილად იბანდნენ ხელსა ახალი მოწესენი, ჟლეტდნენ და ადვილად იბანდნენ ხელსა: აღშფოთებული გლეხობაო. თუმცა ისიცაა: პოულობდნენ ასეთებსაცა, პოულობდნენ და აიყოლიებდნენ ღვთის პირიდან გადაცდენილებსა, პოულობდნენ და აიყოლიებდნენ.

იქაც არ ერია ამათგანი, ფანიელთაგანი, იტრიელების იმ ღამის სტუმრებში, სასაფლაოზე რო გადაე-

ყარა როსტომი, მოგზაურიცა რაღა თქმა უნდა, იქაც არ ერია და არც ერია არც ახალ მოწესეში არავინა, იმათგანი რაღა თქმა უნდა, არც არავინ გაჰყოლია მაისის მთავრობასა, გაქცეულ მთავრობასა, არც აქ აჰყოლიან იმათა, არც რო არასოდეს აღარ გარეულან აღარაფერში, გაირიყნენ დიდიხანია და მიწასღა ჩაჰ-ყურებდნენ, მიწასღა ალევდნენ ჯანსა და ღონესა, დიდიდიდი მასწავლებლები თუ გამოერეოდნენ, ბე-ითლები თუ გამოერეოდნენ, ფოსტისა თუ რკინიგზის მოხელენი თუ გამოერეოდნენ ფანიელთა შორისა, მაგრამ ეტყობა, რო ესეც თვალშისაცემი გამხდარი-ყო იმხანებშია. თვალშისაცემი გამხდარიყო ოდნავი ლაზათიცა, ზრდილობა, წესრიგი, პატიოსნება, თვალშისაცემი გამხდარიყო, თვალშისაცემი. და პა-ტიოსნებით მართლაც რო გამოირჩეოდნენ ფანიელე-ბი. და კმაროდა ყველაფრადა, კმაროდა რო დაემსა-ხურებინათ სასჯელის უმაღლესი ზომაი, კმაროდა, კმაროდა, მხოლოდ გაზეთებში არა წერდნენ ამასა: აღშფოთებული გლეხობაო, ამასა წერდნენ.

ოღონდ ის მაინცა: იმათშიც არ ერია ფანიელთა-განი, იმათში, რო წამოდგნენ სასაფლაოდანაო, – სხვებისანი ჰო ერივნენ, სხვები ჰო იყვნენ, და აღარც ისინი გადარჩენილან. უბრძოლველად არ დაუთმი-ათ, ოღონდ ეს ბრძოლა განწირულიყო, განწირული-ყო ყველაფერი, ბოროტი პარპაშებდა, პარპაშებდა, პარპაშებდა, იყო ზეიმი ბოროტებისა. თუმცა თავს დაესხნენ საპატიმროებსა, ყველას ვერა რაღა თქმა უნდა, მთლად საპატიმროდ რო ქცეულიყო ქართლი, მთლად საქართველო რო ქცეულიყო საპატიმროდა, რამდენიმეს მაინც დაესხნენ, გაანთავისუფლეს, ოღონდ ესაა, რო ვეღარსად შეაფარეს, ვეღარ უპატ-

რონეს, თვითონაც რო გასაქცევს იყვნენ, სხვა გზა რო აღარ დარჩენოდათ; გასაქცევს იყვნენო და გაიქცნენ, გადაცვივოდნენ ახალციხესა, იქიდან თურქეთს მისცემდნენ თავსა, იქიდან უკვე აღარ იცოდნენ, ბედი ვის საით თუ გასტყორცნიდა. ასე მიდიოდნენ, ასე გადადიოდნენ, ასე ინთქმეოდნენ. ამათ მაინც არ გაუმართლდათ. უყელეს და შიგნითვე შემორეკეს. უკან დაიხიეს, ბრძოლით დაიხიეს, ბორჯომამდის დაიხიეს ბრძოლითა. მერე თითქოს გაჰქრნენო. ოღონდ მცირე ხანსაო. სხვაგან რო ეძებდნენ, ისინი თურმე იქვე ჩარჩენილიყვნენ, იქვე, ბორჯომის ხეობაშიო. და იქვეც გასცეს. სოფელს არ ვიტყვი, ეგება რო სოფელი არც არაფერ შუაშია, ანთუ ვიტყვი, ისევე შერქმეულსა, როგორც რო აქამდისა, ანთუ აღარც ვიტყვი, რაღა მოხელეა, გასცეს და ეს არის: შეეხოცნენ თვითონაცა ეს ახალმოწესენი, ისინიც დაჰხოცეს, თვითონ ბევრნი იყვნენ, ისინი მცირენი, სძლიეს, დაჰხოცეს, დაჰყარეს გზის პირასა, არც დამარხოთო, ბრძანეს...

საპატიმროდან გამოქცეულნი:

ზოგი სად ჩაჰკლეს და ზოგი სადა, ის გამოქცეულნი, იმათ რო გაანთავისუფლეს, ჩაჰკლეს, ვისაც თუ სად წამოეწივნენ, ანთუ ვინ იცის თუ სხვებსაც არ წამოეწივნენ, – რომელი იკითხავდნენ თუ ვინა ხარო, რომელი რამეს გამოიძიებდნენ, არ მოუვიდოდათ თვალშია და კმაროდა, სდრუზავდნენ თოფსა და გააჭენებდნენ, დააგდებდნენ და გააჭენებდნენ, ახლა სხვას რო წამოსწეოდნენ, სხვასა თუ სხვებსა, რაც უფრო ბევრი, მითუკეთესიო, დააგდებდნენ, დაჰყრიდნენ და გააჭენებდნენ, გააჭენებდნენ, დაჭენაობდნენ, გამკითხველი რო აღარ იყო, სიბრალული რო აღარ იყო, კაცი რო ბურ-

ტყლადაც აღარა ჰღირდა. თითქოს რო აღარც აღარავინა კვდებოდა თავისი დღითა, აღარ აცდიდნენ, ღმერთსაც აღარ აცდიდნენ, სიკვდილი რო განეგო, ვეღარც რო სიცოცხლესა მფარველობდა ღმერთი. ერთ თორთელს მაინც მოესწრო თავისით სიკვდილი. რუკაზე ის სულ ბოლოს მონიშნულიყო, მოგზაურის რუკაზედა რაღა თქმა უნდა, ამ ჩვენი ბედკრული მოგზაურისა. ამათთვის ეს სულერთი გახლდა: ბოლო თუ თავი, სულერთი გახლდა. ის მაინც თავისი დღით გარდაცვლილიყო, ღრმა სიბერით გარდაცვლილიყო, დიდიხანია რო ვეღარ დამდგარიყო ფეხზედა, მეხსიერებაც რო წართმეოდა დიდიხანია, მაინც რო აღარ იყო ამქვეყნადა და ამიტომაც რო ვერ მოყოლილიყო ვერსადა და ვერაფერშია, ჯერ აქამდის ვერ მოყოლილიყო. და აი მოჰყვა, თავისი დღით რო გარდაცვლილიყო, თავისი წესითაც ასაფლავებდნენ, შინ რო ქელეხის სუფრა იშლებოდა მიაცილებდნენ უკანასკნელ განსასვენებლამდისა. მიასვენებდნენ. მიასვენებდნენ. მღვდელიც მიჰყვებოდა, დიაკვანიცა. მიასვენებდნენ და მიჰყვნენ ესენიცა, მიჰყვნენ გათხრილ საფლავამდისა. იქ ის ერთი რო ჩაასვენეს, კუბო რო ჩაუშვეს, სხვანიც მიახოცეს და მიაყოლეს ზედა, სხვანიცა, ყველანი ერთისიტყვითა, ყველა ვერ ჩაეტეოდა იმ ერთ სამარეშია რაღა თქმა უნდა. ესენი ამას არ ინაღვლებდნენ რაღა თქმა უნდა... ყრანტალებდა ყვავ-ყორანი, დამძიმებულიყო ყვავ-ყორანი, აფრენა რო აღარ შეეძლო... არ ინაღვლებდნენ რაღა თქმა უნდა...

და აი მივადექით არჯევნელებსა.

ისინიც არ გამორჩენიათ, რაღა თქმა უნდა. კარგა ხანია, გარს რო უვლიდნენ საარჯევნოსა, ამდენი გარსმოვლა აღარ იქნებოდა, უნდა აეღოთ, დროშა

გურანდუხტისა უნდა ჩამოეგდოთ საარჯევნოს ციხიდანა, უნდა აეღოთო და აიღეს ჯერ ხერგილი, აი ის ხერგილი შაქრო ცისკარიშვილმა რო გაიარა იმა ბედით სტუმრიანადა. მერეც გაიარა და გამოიარა იგივ ხერგილი ცისკარიშვილმა, აკი ამბობდა, ქალებიც უნდა გავიყვანოო, ამბობდა. კიდევაც გაიყვანა ნაზიბროლაცა, ელენეცა თავისი ქალიშვილებიანადა. გურანდუხტი არც აპირებდა საითმე წასვლასა, გულქანმაც ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ფეხს არ მოვიცვლი, სული აქ უნდა ამოვირთვა, ჩემი ბარძიმის ოთახშიო. აღარც შაქროს გამოუდვია თავი, აღარც სხვა ვინმე გამოჩენილა, და ჩარჩნენ ის ორნი, დედა და შვილი, ჩარჩნენ, ჩაიკარგნენ დიდი სასახლის დარბაზებშია. მოწყენილობისა თუ ეშინოდათ, სიმარტოვისა თუ ეშინოდათ, არც თუ დასცალდათ შიში ამდენი, ხერგილი აიღეს იმავე დღესა და საარჯევანო ციხეს გაუხსნეს ცეცხლი. ცეცხლი გაუხსნეს, ოღონდ ბევრიც ვერა დააკლეს, მხოლოდ დროშა აქციეს ძონძებადა. მოსჩანდა დროშა დაძონძილი, გურანდუხტის ოთახიდანა, ლოყებს იხოკდა გურანდუხტი. გულქანის ოთახიდან ის არ მოსჩანდა, არც ლოყებს იხოკდა, არც ყურებს იცობდა, თოფის ხმა არ გავიგონოო, მხოლოდ დროდადრო სპირტს დასუნამდა, თოფის წამლის სუნი რო გაერიდებინა. იქ სროლა ხშირდებოდა, ასპიტდებოდა, შეუვალობა თუ შეჰყროდა უძველეს ციხესა, უძველესსა და მოძველებულსა. თოფისთვის მაინც მიუვალიყო, თოფის ტყვია ვერას დააკლებდა. იერიშიც მარცხიანი გამოდგა, მოშიშვლებულიყო რიყე არჯევნულასი, ვერ გადაელახათ, ტყვიამფრქვევი ცელავდა ციხიდანა. მეორე მხრიდან ველობი გაშლილიყო, შიშველი ვე-

ლობი, რაღა თქმა უნდა, ტყვიამფრქვევი იქაცა ცელავდა. დაეხოცათ კიდეცა, დაეჭრათ კიდეცა, მძიმედაცა, მსუბუქადაცა, გაცხარდნენ კიდეცა, გამწარდნენ, გაეშვნენ, დაბორიალდნენ, ციხეს დაეხსნენ უცაბედადა, ციხეს დაეხსნენ და სასახლეს ეცნენ, დაიტაცეს დასატაცები, დალეწეს დასალეწი, მხოლოდ გურანდუხტს ვერ შეუვიდნენ, ვერ შეუვიდნენ ვერცა გულქანსა, აღარც თავი გამოუდვიათ, ვერ შეუვიდნენ და ცეცხლი შეუკეთეს ძველ სასახლესა. ავარდა ხანძარი, ალი ავარდა, მაღლა წასულიყო ზეცა აგვისტოსი, სულ მაღლა, მაღლა, იქამდის აღწევდა ალი. მაინც არსაით გამოჩენილა გურანდუხტი, არც მშველელი გამოუხმია, აღარც აღარავის აღარაფერი გაუგია იმისი... გულქანისა რა მოგახსენო!.. რაც არის, არის, უნდა მოგახსენო, ბევრისა ითქვა, ითქმის სხვებისაცა, გულქანი რაღა გამოსარჩენია, – ჰოდა ბოლომდისაც არ ჩარჩენილა ხანძარშია, ვეღარ გაუძლო თუ მოინდომა გადარჩენა ბარძიმის სურათისა, ეს სულერთია, გარეთ გამოვარდა სურათიანადა, გამოვარდა და გამოჰგლიჯეს სურათი იგი, გამოჰგლიჯეს და ზედ გადააფხრიწეს, მერე წამოუკეცეს ქვედატანი და – ღმერთმა ისევე აგიხდინოს ნატვრა ყოველგვარი სიკეთისა, თუ ვით იმას აუხდა წინასწარმეტყველებაი ლეკოსი, – წამოუხვეტეს ქვედატანი და ანახვეს, რაც არ ენახა.

დაფხრეწილი დროშა ფრიალებდა ციხეზე, სხვა არაფერი მოსჩანდა, არა ისმოდა რაი ციხიდანა.

ციხე მაინც ასაღები იყო, ასაღები იყო უკანასკნელი საყრდენი, ან რაღა საყრდენი, საყრდენი ვინ მისცა განწირულობასაო.

რაც უნდა ითქვას, ციხე მაინც ასაღები გახლდა.

XXIII

მაინც გაეცალნენ ციხესა...

ციხეში არავის უზეიმია გამარჯვებაი, არც ტყება-ვაება გაუმართავს არავისა, არც ხანძრისათვის მოურიდებია თვალი, თუმცა არც გადამდგარა საცქერლადა, იქ არც არავინ გახლდა, თვინიერ ერთისა, თვინიერ ბექასი. ერთი გახლდა ხერგილთანაცა, ძმაკაცი ბექასი, ხერგილი აიღეს, დაიკარგა იმისი კვალიცა, ბექამ ვერ გაიგო, შეიპყრეს თუ შეაკვდათ, ვერც გაიგო და არც ძალას იტანდა, თვითონაც დიდი დღე აღარ ეწერა, ფიქრიც ამაო იყო, ნიავს მოჰქონდა სუნი ნამწვრისა, სუნი ნამწვრისა მოსდებოდა ციხესა, თითქოს თვითონ ციხე იწვისო, თუნდა მართლაც იწვებოდესო, რაღა დღესაო, რაღა ხვალეო, ამასაც ჰო წაუკიდებენ ცეცხლსაო, – დღეს თუ არაო, ხვალ იქნებაო, მინებებოდა გარე დინებასა. ძილი უნდოდა, მიიძინებდა, არ ენაღვლებოდა, ემანდ ძილის დროს არ დამესხნენ თავსაო, სოფელში ჩასვლას თუ მოინდომებდა, ჩავიდოდა მაშინვე, არ იეჭვებდა, ემანდ მახე არ დამიგონო; ესროდნენ, ისროდა, აქეთაც დაედგა ტყვიამფრქვევი, იქითაცა, ბლომად ეყარა ხელყუმბარებიცა, თოფებიცა, ხმალხანჯლისა რა მოგახსენოთ, ისინიც ეყარა, ყველაფერს ვერ გამოიყენებდა ერთი კაცი, მაინც ეყარა, მაინც ეხროვა. არც ედარდებოდა, იქ თუ შერჩენილიყო, არც იმას ინაღვლებდა, თუ არ შერჩებოდა იქა, არც უხაროდა, თავდამსხმელებს რო შემოიფანტავდა, არც არად ჩააგდებდა თუ გაჰკოჭავდნენ, არც სიკვდილი შეა-

ნუხებდა, არც ის აფრთხობდა, ცოცხალი თუ გადარჩებოდა, მიჰყოლოდა ეგრე დინებასა, არცთუ დაეკრიფა გულხელი, გულხელდაკრეფილსაცა ჰგავდა.

ჰოდა გამარჯვება არავის უზეიმია ციხეში. მნუხრის ფერი მოსდებოდა ციხესა, მნუხრი ჩამოწოლილიყო, ჩამოდაბლებულიყო, ნამწვის სუნი მოსდებოდა ციხესა, გაგუდულიყო, გაყუმულიყო სუნი ნამწვისა, ხანძარი რო ჩანავლებულიყო; აალდებოდა ნახანძრალი დროდადრო, აქა-იქა აალდებოდა, გაჰყრიდა ნაპერწკალსა, გამოანათებდა, გამოპნკრიალდებოდა ფერებში მნუხრისა. ესეც არაფერი, ვითომც არაფერიო, მნუხრის ფერებმა ვიღაც რო მიჰგვარა, პნკიალში ვიღაც რო ამოიხაზა, ვითომც ისიც არაფერიო; არც მხნეობა შეჰმატებია, არცა სნყენია, სიმყუდროვე რად დამირღვიაო; ხოლო ის იდგა ლაბადმოსხმული, ჩამოფხატული ყაბალახითა, სახე არ უჩანდა რაღა თქმა უნდა, არც რა უჩანდა, იშმუშნებოდა, გადაიწევდა ლაბადის კალთებსა, გადაიწევდა და მოიტმასნიდა, თითქოს სიცხეს რო ინიავებსო, ანთუ აი და მეტყვის ვინა ხარო, ლაბადას მოვტყორცნიო, ყაბალახსაცაო. ეს მაინც არას ეკითხებოდა, არც გაკვირვებული მისჩერებოდა: დაუკაკუნეს და გაუღო კარი, უფიქრელადა, უგანზრახვოდა, გაუღო და არცთუ ადვილადა, რო ამოექოლა, ლოდები მიეყარა ზედა, –გადმოაგორა ლოდები იგი, როგორც რო იყო, გადმოაგორა, გაუგანა გამოსაძრომი, ის შემოვიდა და, სხვა რო არ მოჰყვა, ისევ მიაგორა, ლოდები ცხადია, ამოჰქოლა კარი ისევა. მერე წავიდა ზევზევით წავიდა, არც უთქვამს, მომყეო, არც მოუხედია, – ის ადიოდა, ეს მიჰ-

ყვებოდა; გავიდნენ ბანზედა, ჯერ ისევ რო მწუხრისა გახლდა, ეტყობოდა, რომ ღამეც ბნელი არ იქნებოდა, ძალიან ბნელი, ოღონდ რაც იყო თუ რაც იქნებოდა, თითქოს მაინც რო აფუებულიყო მიყრილი ნაბდები, მიყრილი იარაღი, გადაყუდებული ტყვიამფრქვევიცა; ქვევქვევითაც ეყარა იარაღი, რო ამოდიოდნენ, მაგრამ იქ ბნელოდა, ამან ჭრაქი არ გაიყოლია, ის მიჰყვებოდა ხმასა ფეხისასა, ანთუ ჩქამსა, ხელის ფათურით გასდევდა კედლებსა, – ჰოდა ასე გავიდნენ ბანზედა ეს ადვილადა რაღა თქმა უნდა, ის ძნელადა და დასცხა, ჩახურდა, მაინც ყაბალახი არ გადაუგდია, ლაბადაც არ გადაუგდია. ეს იქვე მიეგდო, დახროვილ ნაბადებზედა, ის იდგა, იდგა, იდგა და ელოდა, იგივეს ელოდა, იკითხოს, ვინა ხარო, ანთუ რა გნებავს, რით გემსახუროო. არაო, არ იკითხა, თმენაც დაილია, დაცურდა ლაბადა, ყაბალახი გადაფრიალდა...

– თეკლა!..

ამოსცდა თითქოს თავისთავადა, არც გაკვირვება ამოსტანებია, არცა სიხარული, – ძახითი ნიშანი მაინც დავუსვი, მევე დავუსვი, რადგან ვიცი რო არ მომეშვებიან, ვიღაცა უთუოდ ჩასჩრის და მერე ელდასავით დამეძგერება, სჯობს აქედანვე რო შევეჩვიო, – ამოსცდა ისე, უგერგილოდა.

– ჰო!..

შესძახა მოსულმა, შესძახა ამან გატაცებითა, დიახაც თეკლა ვარ, შენთან მოვედიო.

– თეკლა...

გაიმეორა დამხვდურმა ისევე, ანთუ უფრო მოდუნებითა.

– ჰო... ჰო... ჰო...

ეს დაეშურა, მიაყარა თითქოს ფართქალითა, ანთუ ფართქალითა, რაღა თითქოსაო.

– ჰოოო...

იმან გააგრძელა, ცოტა გააგრძელა, ცოტაც კვნესა ამოადევნა, თითქოსაო, ეს მართლაც თითქოსაო.

– მეტი არაფერი?!

– მეტი რაო?!

– მოვედი!.. მოვედი!..

– ჰო...

– მერე?!.

– ეეეხ!.. – ასწურა მხრები უაზროდა დამხვდურმა.

– ჰო არ დაიჭერი?..

– არა... ჰო... არა... ჰო, არა... არა, არა!..

– რა გემართება?..

– რა ვი... მოგესმოდა.

– მომესმოდა...

– ჰოდა...

არ მიუგია ამისი პასუხი, ქალსა ცხადია, იდგა ისევე, ასვეტილიყო მწუხრის ფერებში, თანდათანობით რო მუქდებოდა, და არცთუ მკვეთრად რო მუქდებოდა, იდგა და ჩაიდუდუნა ნაღვლიანადა:

– სხვაგვარად ვფიქრობდი...

– როგორ სხვაგვარადა?.. – წამოიძახა თითქოს დამხვდურმა.

– სხვანაირადა... – მერე ასე გაიმეორა, ნაღვლიანადა ისევ ისე, კიდევ უფრო რო მოემატებოდა, ქარიც მოსუსხავდა, ქარი მწუხრისა ციხის ბანზედა, ანთუ ქარიც არა ყოფილიყო, ის მოდუნება ჩაანელებდა, მოდუნებაი იქ დამხვდურისა რაღა თქმა უნდა. და მოიკრიბა ძალაი ისევა, არ აჰყვა ქარსა იმა

მწუხრისა, არ დაჰყვა არც იმ მოდუნებასა, – არ მომელოდი?!.. – ჩაეკითხა ისეთი ხმითა, ყველა ეტყოდა მოგელოდიო.

– რა ვი... – იმან ასე მიუგო.

– არც გაგეხარდა?! – ჩაეკითხა ისეთი ხმითა, ყველა მიუგებდა, გამეხარდაო.

– რა ვი... – მაინც ასე მიუგო.

– როგორ ვავბედე?! – ჩაეკითხა ისევ იმასა, თვითონაც რო ვერ მიუგებდა, იმანაც რო ვერა მიუგო:

– აბა... – მაინც პასუხი იყო.

– თუ მხედავ მაინცა?.. – ახლა ქალმა სიცილი მორთო.

– გხედავ... – დამხვდურმა ცოტა გაიღიმა, ცოტა ჩაიცინა თუ ჩაახველა.

– ნუთუ ის აღარა ვარ?!

– ისა ხარ...

– ნუთუ არ მოგწონდი?!

– მომწონდი...

– თანამგრძნობელი ნუთუ არ გინდა?!

– რა გიპასუხო?..

– გავბრუნდე?.. – და დაიხარა ქალი, ლაბადას დაეტანა, თავის ლაბადას, ყაბალახი თვალით მოძებნა იმა ფერებში, მწუხრის ფერებში რაღა თქმა უნდა, მოძებნა და, რო ვერ მოძებნა, ლაბადასაც უშვა ხელი ცივცხელადა. – გავბრუნდე?.. – მაინც გაიმეორა.

– არა... ჰო... ჰო... არა, ჰო...

– დავრჩე?! რა გინდა, დავრჩე თუ წავიდე?..

– აქ... აქ ისე ძნელია!..

– ვერ მივხვდებოდი?!.

– ბევრი ვერც გაიგებს.

– მეც ვერ გავიგებ?..

– რა ვი...
– თუ გავიგებ?!
– რა ვი...
– თუ გამეგება?..
– აქ ისე ძნელია!..
– ვიციმეთქი... ვიცი, ვიცი ვიცი!..
– ჰა!..
– ღმერთო დიდებულო, – აღმოხდა ქალსა და თვალები აღაპყრო, ეგრე დაიმუხლა ლაბადაზედა, – წუთისოფელი რად დაგვიმძიმე, ღმერთო დიდებულო, რად გამოგვწირე ძალა ვაუკაცური. რად დაგვიშრიტე ღონე შემართებისა?! დაგვიდგა ჟამი აღსასრულისა?!. მაშ მეც დამშრიტე!.. წამართვი ღონე მძულვარებისა, რისხვა წამართვი შურისგებისა, წარმიღე გონება, ჭკუა წარმიღე, გამომწელე და გამომფიტე, ვით აგერ ესა, ვაუკაცი როა და აღარც არის, ვით აგერ ესა!.. წარმიღე გული, ამომგლიჯე, აფთარს მიუგდე, რო აღარ ვიგრძნო, აღარ ვიხილო დალაჩრება თუ დაქელილობა, დამცირება, თუ უდრტვინველობა, შეგუება თუ განყალება; დამშრიტე მეცა თუ აღარაა აღშფოთება და მძვინვარება, სიძულვილი თუ აღარაა, კაცი კაცური თუ ვერ ვიხილე, აქაც თუ ვერა, დამშრიტე ღმერთო, სად მოგყავდი, დამშრიტე ღმერთო!. ძალნო ღვთიურნო, გეევედრებით, გამანადგუროთ, ამკუწ-დამკუწოთ, მომაღავოთ ნაკუწებადა, ან მტვრად მაქციოთ, მტვრადა, მტვრადა. მტვერი სჯობიან, წამიღებს ქარი, მომაღავებს ნაწილაკებადა, უხილავადა, შეუხებლადა, არაფრობადა; ძალნო ციურნო, აქ მოვსულვარ ჩემის ფეხითა, აქედან თქვენი მორჩილი ვარ, ისედაც თქვენი, გადამამზღვლიეთ აქედანვე, გადამაფრქვი-

ეთ, დამაზღერთეთ და დაცამლეწეთ, ძალნო ციურ-ნო, ღვთიურნო ძალნო!.. – და გაირინდა, თითქოს ხმას ისმენს ზეციურსაო, თითქოს მოესმა კიდევა-ცაო, თითქოს სწვდა ხელიცა ზეციურიო, სწვდა და აიტაცა თითქოსა, ისე გაიჭრა, ისე გავარდა, მიაწყდა ისე ციხის ქონგურებსა.

დამხვდურსაც ციური ხელი თუ მისწვდა, ისიც რო ისევე აიჭრა უცბადა, გზა უყელა, გადაელობა, ჯერ ის აეკრა ქონგურებსა, მერე ეს მიაწყდა, ზედ მი-ანყდა, დაუბრაგუნა მუშტები გულზედა, მუშტები დაუბრაგუნა, რაც ღონე ჰქონდა, ეგებ რაიმე შევას-მინოო:

– ნება ღვთისაა!.. – შესძახა ისე, ვითომ და რაო, რა უფლებით მეღობებიო.

– ეეე... რას ამბობ!.. – ასე ეურჩა, ღვთის დამოწ-მება არად ჩაუგდო.

– ჩამომეცალე!..

– კარგი, ერთი და!..

ეს კაცმა გაუქარვა თითქოსაო, ქალმა არაფერი აღარ წარმოსთქვა, ანთუ უეცრად შემოაბრუნა, იგი-ვე ხელმა თუ შემოაბრუნა, გამოიტაცა იგივე ხელმა, გამოატანა სხვა მხარისკენა, გამოადევნა კაციცა მა-შინვე, მყისვე, მეორე ხელმა იმავე ძალისა, თითქო-საო რაღა თქმა უნდა, გამოადევნა, უყელა და წინ აუ-ღობა:

– გამიშვი... – ქალმა სცადა, მხარი აექცია.

– გეყოფა – თითქოს და გაწყრომა მოინდომა კაცმაო.

– ეს შენ ერთი აფეთქება გგონია?!

– რაც უნდა მეგონოს...

– მაინც?!

– რაც უნდა...
– გამიშვი!
– ვერც ჰო გაექცევი, შენვე რას მიიწევ?!
– მეჩქარება...
– რა გეჩქარება?!
– როცა არა ჰღირს!..
– ჰღირდა ოდესმე?!

ეს კაცმა თქვა და ქალმა იკივლა, იკივლა გაბმითა, პასუხიც მოვიდა სადღაც შორიდანა, თითქოს მთებიდანა, უთუოდ მთებიდანა, ვინ უწყის თუ არ-ჯევნულას სათავიდანაცა, პასუხიც მოვიდა და არც პასუხსა ჰგავდა, თუმცა მიაყურადებდა გაფაციცებითა, ხელსაც ააფარებდა კაცსა ტუჩებზედა, არც ისუნთქოო, მაინც ვერაფერი გამოიტანა, ვერა რაი ვერ გამოარკვია, – და იკივლა კიდევა, ჟინიანადა უფრო, უფრო გაცხარებითა თუ გაახელა გაურკვევ-ლობამა, იკივლა და შეასკდა კივილი იგი კიდევ შეას-კდა, შეასკდა მეტადა, მეტისმეტადაცა, აისხლიტა მთებმა კივილი, აისხლიტა და ზეასტყორცნა, ზეცას დაანება პასუხი თითქოსაო და მართლაც თუ მოისმა პასუხი იქიდანა, თითქოს ზეცა დაბზრიალდაო, გაბ-მული ზრიალით დაემხო ციხესა:

– გესმის, მიხმობენ!.. –ქალმა გაიხარა.
– გიხმობენ არა და!..
– მიხმობენმეთქი...
– შენთვისა სცალიანთ!.. – გაუტრიზავა კაცმა.
– შენ არცა გჯერა?!
– არა ცხადია...
– ჩამომეცალე... – შეუტია ქალმა, ხელიც შეახო, – ძალა თუ გერჩის გადაეღობე სიავესა. ვნანობ, რო მოვედი, ასე არ მეგონა, იმიტომ მოვედი; ყველა რო

დანებდა, შენღა რო იდექი შეუდრეკლადა, ამიტომ მოვედი, ასე მეგონა და ამიტომ მოვედი; მოვედი და გიხილე რაი: მოტეხილი, მოდუნებული, ბედს მინდობილი, დამორჩილებული, ცხვრის ფარასავით რო დაილალეს და შერეკეს ფარეხებში, იგივე გიხილე; შენ თურმე მხოლოდ ჩამორჩენილხარ, კოჭლი ცხვარივით ჩამორჩენილხარ, საცა, მოგივლიან, გითავაზებენ შენცა ჩომბახსა, შეგაგდებენ იმავე ფარეხში; ვერა, ფარა ვერ მობრუნდება, კოჭლი ცხვარი რო წინ მოექცეს, ვერა, ვეღარა, ის ანდაზაა, ეს ნამდვილია, ვერ მობრუნდება და კოჭლი ცხვარიც ვერ გაუძღვება, ვერა, ვეღარა; ჩამომეცალე, ჩამომეცალე, ჩამომეცალეეე

ნეი უკანასკნელი, ანთუ ნატამალი, ნატამალი ძალ-ღონისაი.

– რა მეშველება?!. ჰა, ჰა, ჰა...

გაიცინა ქალმა, გაიცინა უცნაურადა, მძვინვა-რედაო თუ განწირულადა, გაიცინა და ქვითინი ამოჰყვა, გული ამოესკვნა, ამოუჯდა გული, მიე-ყუდა ვაჟკაცსა, მიეყუდა და აფრქვია ცრემლი; იდ-გა ისიცა, იდგა ცოცხალი რაღა თქმა უნდა, იდგა და ისმენდა თუ როგორ დასტიროდნენ, ვითარცა მკვდარსა; და იყო მწარე დატირებაი იგი, მწარეი უფრო, უფრო შემზარავი, ვიდრე დატირება მარ-თლაც და მკვდრისა. გაშრა ვაჟკაცი, თითქოს ძარ-ღვებში სისხლი დაუწყდა, თითქოს იქავე, თუნდაც ქონგურებზევე უნდა გადასვენებულიყო და გამო-ეტირათ, როგორც რო მართლაც მიცვალებული, და არა ისე, გათანგული ბრძოლისაგანა, მიტოებუ-ლი, მარტოეული, გათანგული სიმარტოვითაცა, – გაშრა, მკლავები ჩამოუცვივდა. მოსწყდა ქალიცა, ლამის ჩოქელა მიექცა ნაბადსა, მიექცა, დავარდა, ამოაყოლა მოთქმანი ქვითინსა: რახან რო ქალად გაჩენილიყო, რო უნდა დაჰყრდნობოდა უთუოდ ვიღაცასა, ხოლო საყრდენი რო გამწყვარიყო, ან თუ ამას თუ ვეღარ მიეგნო, დაბორიალებდა უთავ-ჟამოდა, ასე ძლიერი და ასე უსასოი, რამეთუ ვერ მიეგნო თავის ჯუფთისთვისა, ტყუპისცალისთვის ვერ მიეკვლია, თავისი ტყუპისა თუ შესატყუპისა, ვერ მირქმეოდა, ვერ შენივთებოდა, ვერ განეცადა აღვსებაი იგი, უიმისოდ რო არად ვარგოდა, არ იყო სრული რაღა თქმა უნდა; დაწყევლილიყო ნახევ-რობითა, ანთუ უნახევროდ დაწყევლილიყო, ამას მოსთქვამდა და იმას უხმობდა, იმედოვნებას ვინც

მოუტანდა, იმედოვნებას აღზევებისა, იმას უხ-
მობდა და მოსთქვამდა ამასაცა, ლამის ციხიდან
რო გადაიჩეხა, სულმოკლეობა სხვისიც რო სძულ-
და, აქ ასე უგუნურად რო დამორჩილდა... აქ ამი-
სათვის არა მოვსულვარო, – შენმა შემართებამ შე-
მასხა ფრთებიო, ეს ჰო გითხარი, თუ არ გითხარი,
აჰა მითქვამსო, იქ ეგრე მოსჩანდი ან მე მეგონა,
ანთუ რაც იყო, ისიცა მჯეროდა, გაასწორებდნენ
ციხეს მიწასთანა, შენც მიწასთან გაგასწორებ-
დნენ, გარდაეგებოდი უძეოდა, უთვისტომოდა, წა-
იშლებოდი, გაჰქრებოდი სამუდამოდა; ო, შენ არა
ხარ ღირსი ამისა!.. იქა ვფიქრობდი, იქ მეგონა...
შენ უნდა იცოცხლო, შენ უნდა მისცე დასაბამი
შენს სიცოცხლესა, ახალ სიცოცხლესა, სწორედაც
შენა, ასე ძლიერმა, შეუპოვარმა, შეუდრეკელმა, –
იქა ვფიქრობდი, იქ მეგონა, და გამოვეშურე,
ფრთები შევისხიო; მოსთქვამდა ქალი, სხვა შეხ-
ვედრას მოველოდიო, ქალის ამდაგვარ თავგან-
წირვას რო შეჰფერისო; მოსთქვამდა ქალი, იქა
ვფიქრობდი და აქ რაღა ვიფიქრო, მაინც რო შენა
ხარ თუ კიდევ ვინმეა, მარტო შენღა ხარ, რაცა ხარ
თუ როგორიც დამხვდი, მაინც შენა ხარ და შენც
აღარ იქნები... იქა ვფიქრობდი, მივიბარებდი შენს
სიცოცხლესა, ქორფა სიცოცხლესა, ნორჩ სიცოც-
ხლესა მივიბარებდიო; მოსთქვამდა ქალი, მოს-
თქვამდა ასე უჯუფთობასა და იბნეოდა მოთქმაი
იგი, ითქმებოდა უკვე სიბნელეში, გარდასულიყო
მწუხრის ფერები, ვარსკვლავნი კრთოდნენ გაუბე-
დავად.

და იყო მდუმარება, და გაიგონებოდა მოთქმაი
ციხისა, მოთქმაი ძალუმი და უსასოცა იმავე დროსა,

გაიგონებოდა კვნესაი ჩუმი მოუშუშებელი ჭრილობებისა. და კვნესა იგი ქალის ხმასა ჰგავს, ვაჟკაცს კვნესა არ შეჰფერისო; და მოსთქვამდა ციხე ქალის ხმაზედა, კვნესოდა ციხე ქალის ხმაზედა.

XXIV

მოსთქვამდა და იყუჩა. გამოეხსნენ ფიქრსა თუ წუხილსა, გამოეხსნენ და მიეცნენ ერთმანეთსა. ღამე იყო ბნელი. არჯევნულა ჰო დამშრალიყო, არა დუდუნებდა, არც რა დუდუნებდა, არც რა შრიალებდა, გატვრენილიყო ყველაფერი ციხესთან ერთადა, გატვრენილიყო, განაბულიყო. ასე არ გასტანდა რაღა თქმა უნდა, აფუსფუსდებოდნენ ციხის გარშემო; აფუსფუსდებოდნენ და აფუსფუსდნენ: ქვემეხები მიუყენეს ორივე მხრიდანა, რიყის მხრიდანაცა, მიუყენეს და ანიშნეს, დაგვნებდიო. ციხე მდუმარებდა ისევა, მდუმარებდა, ოღონდ იმა ნეტარებით აღარა, – ქალი გასულიყო, დაისს მოვიდა, აისს გასულიყო, გასულიყო დაჯერებული, დაეჯერებინა ვაჟკაციცა, სიკვდილი აღარ გიწერიაო. და მარტოდ შთენილიყო ვაჟკაცი, გარინდებულიყო, თითქოს აღარც აღარაფერი ელოდა. ციხე სდუმდა, გარემო არა, გარემოს აჰყვებოდა ციხეცა, ვერ განუდგებოდა, ვერ დააღწევდა თავსა. და იქუხა ციხის თავზედა, დაუშინეს ორივ მხრიდანა, დაუშინეს და ბუღი ადინეს, ჩაფშხვნეს ქონგურები, შელეწეს სათოფურები, ჩამოაქციეს კედლები, და აღიმართა ბორცვი ქვა-ღორღისა, ციხე აღარ იყო. მტვერიღა ადიოდა, ბორიაყი ადიოდა, მზე შებურვილიყო ბორიაყითა.

ვიდრე ქვემეხები ჰქუხდა, ურიამული ავარდა საფერიცვლოს თვალებიდანაცა, შეძოძგინდა თვალები, თითქოს უნდა გაიფატროსო. იქ ბრძოლა ეგონათ და ურიამული ამისგან იყო, შორით-შორს ისმოდა ქუხილი საარჯევნოდანა, შორით-შორს ეგონათ, ბრძოლა არისო. როსტომმა იცოდა, ნგრევა რო იყო, არ ასდევდა იმა ურიამულსა, არცთუ დაუშლიდა, დაე ეურიამულათ, დაე ეხუნტრუცათ, დაე რიღაცის იმედი ჰქონოდათ, გახარებულიყვნენ, რად წაერთმია სიხარული უკანასკნელი, თუმცა ამაო, მაინც სიხარული, მაინც შვება წუთიერი, – ვიდრე ქვემეხები ჰქუხდამეთქი, მერე დადუმდა საფერიცვლოცა, ისევ გაითანგა, უფროც გაითანგა, ვითომც და არცა ყოფილა შვებაი იგი წუთიერიო.

მაშინ გამოიხმეს როსტომი. გასული ენახათ და მიბრუნებული აღარა, გამოემშვიდობნენ, გამოაცილეს მშრალი ცრემლებითა.

ბოლით გატენილ ოთახში შეიყვანეს როსტომი, ბევრნი თუ იყვნენ მანამდის იქა, ერთიღა ელოდა: დაბრძანდიო, – იმ ერთმა უთხრა, არც მრისხანედა, არცთუ დიდი თავაზიანობითა, უბრალოდა, შინაურულადა. სამხედრო ფორმაში გამოწყობილიყო, ჩინის ნიშნები არ ეკეთა, ალბათ საგანგებოდ მოვლინებულაო, ივარაუდა როსტომმა, ივარაუდა და კიდევაც იცნო, გიმნაზიაში სწავლობდნენ ერთადა. დიდი მეგობრობა იქაც არ ეთქმოდათ, მერე დაშორდნენ ერთმანეთსა, იშვიათად თუ შეხვდებოდნენ, არც გაუკვირდებოდათ, არც გაიხარებდნენ, არც გული დასწყდებოდათ განშორებისასა.

– აქ სად მოჰყოლიხარ?! – ესეც უბრალოდ იკითხა.

– სულერთი არაა, თუ სად იქნებოდა?! – ისევე მიუგო როსტომმაცა.

– მეგონა, იმათ გაჰყვებოდი!..

– იმათ მთავრობაში არ შევსულვარ.

– არც ჩვენ მოგვკარებიხარ.

– არც თქვენა...

– საკვირველია.

– ვითომ რადაო?

– ეგ ეგრეა, ვინც იმათთან არ არის, ჩვენთან არის.

– „დაკარგულ სამოთხეშია" ეგრე, „კაენიდანაც" მაგონდება, ოღონდ ყოველთვის არ აირჩევა, ორი უკიდურესობიდან ერთ-ერთი.

– როცა ორიღაა?.. და ორივე რო უკიდურესობაა?!.

– შუალედი?.. შუალედი აღარ არის უკიდურესობათა შორისა?!..

– შუალედი ინდივიდია, ინდივიდუალიზმის დრო აღარ არის.

– ინდივიდი პიროვნებაა, პიროვნება ყოველთვის იქნება.

– მოიცა თუ კაცი ხარ!.. ჩვენ ახლა ვცხოვრობთ.

– მე ვხურავ ჩემს წიგნსა.

– და შეიძლება არც დახურო, თუ გადადგები გამარჯვებულის მხარესა, შეგიძლიან განაგრძო შენივე წიგნი. სიმართლე გამარჯვებულის მხარესაა და უნდა გადადგე გამარჯვებულის მხარესა, თუ გინდა რო სიმართლეს მისდიო.

– სიმართლემ არ იცის მხარეები, სიმართლე ერთია, ერთადერთია, განსაკუთრებულია, ოღონდ შეიძლება გამარჯვებულიც იყვეს მართალი, დამარ-

ცხებულიცა, შეიძლება ორივე ტყუოდეს, ერთიმეორეზე მეტადა ტყუოდეს, ერთიმეორესა სძლევდეს სიმართლის სახელითა და სიცრუეს აღმერთებდეს, სიმართლეს არქმევდეს სიცრუესა და სიმართლეს აპამპულებდეს. რა სიმართლეა, ერთმა დაჰკარგა თუ მეორემ დააკარგვინა?.. ორივ ერთია, სიავეა, რაოდენ აშკარაც უნდა იყოს, ამას სიმართლე არ დაერქმევა, სიაშკარავე უსათუოდ სიმართლე არ არის, ან სიავეა, ან სიმართლეა. არც სიდიდე აქვს სიმართლესა თუ სიავესა, ის ისაა, რაც არის, პატარაც დიდია, აბა, მაშ რაო, პატარა სიავე სად გაგონილა, პატარა ბოროტება, რა გამართლებაა, როცა რა მოჰყოლია...

– დისკუსიები გიყვარდა ხოლმე. რაღა დროს ეგ არის?!. წავიდა!.. მორჩა!..

– აღარ გამოვა, სადაც ძალაა, აღარ არის კამათის ადგილი.

– ძალას არც უნდა დაუპირისპირდე.

– მორჩილების თეორიაა.

– და შენი კოშკი წინააღმდეგობა გეგონა. – არა... ვისროდით ისე, თვალის ასახვევადა, უნდა გაეღწიათ ჩემს ძმებსა, ვისროდით, ვიდრე გააღწევდნენ, მხოლოდ ესაა.

– დაგვიძვრნენ ხელიდანა?!.

– ალბათა...

– სად წაგვივლენ?..

– ვინ უწყის, ქვეყანა დიდიაო.

– ჰო. ემატება დანაშაულსა.

– რომელ დანაშაულსა?

– გაიგებდი.

– „რუკა"? ჰა, ჰა, ჰა... ის საბაბია. ეგეთი გულუბრყვილო გეგმები ვის ექნებოდა?! ყმაწვილური მონა-

ხაზია, შემთხვევითი მონახაზია, გაზვიადებულია ავადმყოფური გონებისგანა. ცხადია. ადვილად აგიხსნით, ადვილად დაგარწმუნებთ, ბოდიშს მოგვიხდით გაუგებრობისათვისა და შიგ გაგვიშვებთ.

– ჰა, ჰა, ჰა... – გაიცინა მოვლინებულმაცა, – დაგვარწმუნებთ?

– ვერა, რა თქმა უნდა, მე მხოლოდ ჩემს ოცნებას გამოვთქვამ, ასე უნდა იყოს წესიერად რო იყოს, ასე არ არის და ფუჭი ოცნებაა. გაიცინეთ უფრო გულიანადა, მეოცნებენი სასაცილონი არიან.

– ჰა, ჰა, ჰა... მაინც ოდნავ გაიცინა მოვლინებულმა, – ასეთ მხილებას ვინ გაუშვებს ხელიდანა?! გამოიგონებდნენ, რო არა გამოჩენილიყო. თუმცა არა, ვინ გამოიგონებდა?! ვერა, ამას ვერავინ გამოიგონებდა, ვერავინა, ყოველშემთხვევაში, მე მაინც ვერ გამოვიგონებდი. ბედის წყალობაა, – სათუთად გადაშალა ჩანახაზები ახალგაზრდა კომპოზიტორისა, – ჰა, ჰა, ჰა... ბედის წყალობაა!..

– ვის ბედი სწყალობს, ვის დასცინის ბედი...

– ბედის მჭედელი ადამიანია. – მტკიცედ განაცხადა მოვლინებულმა.

– ლეკო თათაშელმაც გამოიჭედა ბედი, იმისა სახელით შევა ისტორიაში ჩვენი ამბავი, იმ ყმაწვილმაცა...

– ისტორიის იმედიცა გაქვს?!

– არა, ისე ვამბობ, თორემ და რაო, რის ისტორია, რა ისტორიაო, გამოაცხადებთ, ბანდა გავანადგურეთო და მოთავდება ამითი ყველაფერი. მაგრამ მაინც... მაინცა აქვს ისტორიას რაღაც უხილავი, რაღაც თავისი, საკუთარი, ვერავინ რო ვერ შეშლის.

– ისტორიას გამარჯვებული სწერსო... გითხარი?..

– ჰოდა ისტორია მალი-მალ იცვლება, გამარჯვებული მრავალია, ისტორია მაინც ერთია, იცვლება და მარად უცვლელია, ჰკლავდა და ჰკლავდნენ... ჰკლავდნენ და ჰკლავთ, მაგრამ მაინც ყველას ვერ მოჰკლავთ. ყველა რო მოჰკლათ, ვიღაზე უნდა იბატონოთ?!. ახლა... ჯერ შენა ჰკლავ, მერე შენ მოგკლავენ, იგივე მოელის შენს მკვლელსაცა, იმასაც იგივე, იგივ და იგივე დაიგრიხება ისტორიაცა ამის კვალდაკვალა, ამოტივტივდება ლეკო თათაშელიცა, არ გაიკვირვო, ვინ უწყის ბრუნვა წუთისოფლისა.

– მაინც დისკუსია გამოგვდის.

– უკანასკნელი მოწყალებაა.

– არა! – მოუჭრა მოვლენილმა მრავალმნიშვნელოვნადა, – დისკუსიები სიზარმაცეა ცხოვრებისა. სამაგისოდ არ მომიხმიხარ. ჩვენ ვცხოვრობთ. ჩვენი მიზანი ცხოვრებაა!.. ახლა მომისმინე, გორს უნდა წაგიყვანონ...

– გზაში გვეტყვიან, გაიქეცითო...

– დამაცადე!.. თუმცა ეგრე იყოს, ოღონდ გზას არ გაუდგე, აქვე მოეფარე თავლებსა, გამოგიყვანენ თუ არა, ჩაიკარგე სადმე სოფელშივე, გზას არ გაუდგე, აღარ მოხერხდება მერე...

– აღარ მოხერხდება...

– ჰოდა გირჩევ, სხვა არაღარი აღარ შემიძლიან.

– რადა ნუხდები?!

– რაც უნდა იყოს, ერთ მერხზე ვმსხდარვართ... მე შენი მშურდა. შენ ისე ადვილად გაგეგებოდა ყველაფერი, ისე ცოცხლად ითვისებდი ყველაფერსა!..

– და ახლა გიკვირს, ცხოვრებაში რო ვერ ვივარგე, მსოფლიო რო ეტრფის კაშკასა მზესა ინტერნაციონალისა, ხოლო მე მივტირი ისევ სამშობლოსა, განწირულსა და უბედურსა. და რას მიბრძანებ: ინტერნაციონალი ჰო არ წამოვიწყო, როცა რო გვეტყვიან, გაიქეცითო, ვითომდა რაო, თავს უშველეთო!..

– ახლა აკაკიც ჩვენთან იქნებოდა!..

– საწყალი აკაკი!.. ინტერნაციონალი რო გითარგმნათ?!. საწყალი!.. რატომ გაისარჯა, თქვენ ჰო მიგაქანებთ ენაი ერთი, რწმენაი ერთი ანუ ურწმუნოებაი ყველასი და ყველაფრისაო.

– დრო აღარ ითმენს!..

– დრო!.. ჰმ!.. ესეც რო დროა!..

– კმარა!..

– სათვალავში რო დაგაკლდება?! – ტუჩებში ჩაიღიმა როსტომმა.

– შენ შენსას ეწიე... – ცოტა არ იყოს, გაწყრა მოვლინებული.

– გმადლობთ!.. – წამოდგა როსტომი, – მართლაც საოცარი შემთხვევაა, საოცარი წყალობაა, ოღონდ, რო იცოდე, გაქცევა აქამდისაც მომიხერხდებოდა, უკეთესადაც მომიხერხდებოდა, დროცა მქონდა, საშუალებაცა, მხოლოდ გასაქცევი არა მქონდა არსაითა, არა მქონდა და არც მექნება, ცხადზე ცხადია. თავის დამალვა ადვილია, არაფერია, ადვილია, მაგრამ და რაო, რა ბედენაა გადამალვა ცოცხალი კაცისა, ცოცხლობრივ სიკვდილია და მეტი არაფერი, ნათქვამიცაა, რა მკვდარი და შინ მოუსვლელიო, კარგადაც არის ნათქვამი. ჩემი ადგილი შინ არის, ჩემი ადგილი ბრძოლაშია, ჩემი ად-

გილ-მამულისთვისა, ჩემი ერისთვის ბრძოლაშია ჩემი ადგილი, მხოლოდ ჩემი ერისთვისა, სხვამან თვითონ იცის თავისი ადგილი. და აი, მიმქრალა ღელვანი თუ ბრძოლანი, ქარი ჩამდგარა, ხალხი მოდრეკილა თუ დაზაფრულა ანთუ გონება აღრევია დიდებული დაპირებებითა. ჩემი ადგილი აღარ არის იმათ შორისა, ვეღარას ვუშველი, ვეღარაფერს გამოვაბრუნებ, არ მომეცემა არაფრის საშუალება, ახლა დაჯერებაც ადვილი აღარ არის. მკვდარია ერი, თავისთავადობისათვის თუ არა ზრუნავსო, მკვდარიაო, ნათქვამი არის, ძველი ნათქვამია, მე არ გამომიგონია და არც ჩაესვენება ჩემთან ერთადა. ჰოდა, რა გითხრა, – რაღა მოხელე ვარ ამ ვეება სასაფლაოზე? მესაფლავენი უჩემოდაც ბევრნი არიან, ჩემი ადგილი აქ აღარ არის და მაშ არც არსადაა, აღარცა ვცოცხლობ, არც არას ვამბობ აი, ამჟამადა, ამის გამგონე არავინ არის, მაშ არას ვამბობ, რაღა თქმა უნდა, ადრე ესმოდათ და მეც ვამბობდი, აღარცთუ ესმით და აღარც ვამბობ, გამოძახილილა მომესმის ნათქვამისა სასაფლაოზე. თუმცა რაო, სასწაულები ჩვენ არ გვწამდა, ჩვენვე დავამსხვრიეთ ყოველი რწმენა, არც დავიტოვეთ აღარაფერი, სული რო მოვითქვათ განწირულობის ჟამს მაინცა.

– ამაო სიტყვებია!..

– მევე აგიხსენი.

– მაინც ის აჯობებს, შენს თავს მიჰხედო.

– აგიხსენიმეთქი.

– მაშინაც კერპი ბიჭი იყავი.

– გაუსწორებულია კაცი.

– მე მაინც გირჩევ.

– მადლობა უკვე მოგახსენე.

თავდაჭერილი სიამაყითა თქვა როსტომმა, ისევე გავიდა, ოღონდ მერე დაერღვა ის სიამაყე თუ სიმტკიცეი, დაერღვა, შეერყა, აერდაერია, აეფუტკნა, შეძრწუნდა, შეძრწუნდა... შვილი იყო მღელვარე დროისა, ძიებებისა, გარდატეხისა, აზრი ვარვარებდა, გონება ინვოდა, ფიქრი სწვავდა გონებასა, ფიქრი მრავალგვარი, მრავალსახისა, ზოგჯერ საპირისპირო, ძნელად გადასაწყვეტი, ძნელად თავდასაღწევი, მაინც ასე არ გასჭირვებია, – ნებისყოფა თუ მოჰკლებოდა, რა იყო, ვერ გაეგო. მიმდგარიყო თუ მიეყენებინათ დიდი ცდუნების წინაშე, – ფიქრი აღარ იყო, ცდუნება გახლდა ულმობელი და უმრისხანესი: სულმა რო წამძლიოს!.. სულმა რო წამძლიოს!.. სულმა რო წამძლიოს!.. – აუტყდა და წამებად ექცა; ასეთი შიში თავისთავად არც გაუჩნდებოდა, ჩაანვეთეს და ალბათ განგებაო, უარესად რო გამწარებოდა ბოლო წუთები წუთისოფლისა, – ალბათაო და ნამდვილადაო, თან თითქოს ისეც გამოდიოდა, – სიკეთე არის გაუგონარი, ანთუ ზღაპრად გაგონილიო; გამოდიოდა და განა ასე არა ყოფილა, განა სხვა რა სახე მიუღია ცდუნებასა, სიკეთის გარდა?! სხვა არაფერი, ყოველთვის სიკეთედ გამოცხადებულა, ყოველთვის დამდნარა სიყვარულადა, სათნოებად გადმოფენილა და შემცდარა შეუმცდარი, ცოდვილა უცოდველი, წარწყმედილა წარუწყმედელი. თუ რა ყოფილა, აქ მაინც ვერ გასჭრის ძალი მაცდურისა, ვერ გასჭრის ხერხი ცდუნებისაო. ბოლო წუთამდის ასე იქნება, სხვა რამ ყოფილა ბოლო წუთიო, შემზარავი ყოფილა, სული შეუძრავს და გაჰყრია შეძრული სული

სიამაყესა თუ ნებისყოფასა, გაჰყრია და დამდაბ-
ლებულა. არარაობადაც აქ წარმოქმნილა, სიცოც-
ხლის ამაღლებაც ამას დარქმევია, აქ შებილწულა
სასახელოდ განვლილი ცხოვრებაცა. განვედ, მაც-
დურო!.. განვედ, ო, განვედ!.. ბევრსაც უთქვამს,
ასევე და უფრო მძაფრადაცა, ბოლო წუთი ვიდრე
დარეკდა, უთქვამს ყელშიაც წასტანებია მაცდუნე-
ბელსა, თითქოს მოუხრჩვია, გაუთანგია, ოღონდ
თვითონვე შეშინებულა, ვინ იცის, მართლა სიკე-
თეს ვახრჩობო, სიკეთედ მოსულა, ეგება მართლაც
სიკეთე არისო, შეშინებულა და აუშვია ლამის მომ-
ხრჩვალი უკეთურობაი; განვედ... განვედი!.. ამა
შიშსა თუ გაურკვევლობას მოუდუნებია ადამიანი,
ჩანელებულა მრისხანებაცა, ნებისყოფაც ჩანელე-
ბულა, არღარა დარჩენილა მორჩილების გარდა,
ხოლო ცდუნება მორჩილება ყოფილა, სხვა არაფე-
რი, მორჩილება ყოფილა. განვედ, მაცდურო, ჰოი,
განვედ!.. ძლიერი თუ გამოდგა შეძახილი იგი, ნის-
ლმა დაჰფარა სახება მოვლენილი სიკეთისა, დაჰ-
ფარა ნამითა, მალევე ისევე ამოიზიდა ნისლგადაყ-
რილი, მოკრიალებული, მიმზიდველი უფრო მეტა-
და, აღარც რა უთქვამს, სიტყვა არც უნდოდა, ესო-
დენ მომხიბლავ სახებასა, მხოლოდ უბეღა გადაიხ-
სნა, ჩაისვა უბეში მორჩილი სული, მიეფერა, მიუ-
ნანავა. იტვრინა ამანაცა, გაინაბა, მილულა თვა-
ლები; თვალები მილულა და მაინც იხილა, თუ რო-
გორ დაქანდა უფსკრულისკენა, დაქანდა საოცარი,
ჯერ გაუგონარი, სისწრაფითა, დაქანდა ეგრე შუ-
ბისწვერებივით წამომახულ კლდის ქიმთა შორისა,
არც გაიკაწრა, ისე დაქანდა; ისიც იხილა, ზევიდან
რო გადმოსცქეროდნენ გაკვირვებულნი, გაოგნე-

ბულნი ასეთი სწრაფიდაქანებითა, გადმოსცქეროდნენ ისე, სახე რო არავის უჩანდა, – თვალები იყო, მხოლოდ თვალები გადიდებული, გაფართოებული დაჭყეტილსაც იტყვიან, დაჭყეტილი განცვიფრებითა. ჰოი, განვედი, განვედ, მაცდურო!.. და აქ რაღაცამ გაუწივლა თავში, თითქოს სარქველი აეხვრიტაო, ლიბრი აიტანა შადრევანივითა, თვალის ლიბრიცა, გონებისაცა, გადაეწმინდა თვალიცა, გონებაცა: არც სად მოჩვენება სიკეთისა, არც სად უბეო მომხიბლავი, არც სად უფსკრული წამომახული ქიმებითა, არც სად განცვიფრებული თუ დაჭყეტილი თვალები, არა – დახრილი, სევდიანი თვალები, მაშ რაო: ისევ იქ იყო, საფერიცვლოს თავლაში, იქვე იყვნენ დანარჩენნიცა, ამის ბიძებიცა, დანარჩენნიცა დადუმებულნი, დაძმარებულნი. მოლანდებამ გადაიარა, თავის ქალა ისევე წიოდა, ნუმც მიყუჩდებოდა!.. თუ მიყუჩდებოდა, განმეორდებოდა მოლანდებაცა. ჰოი, განვედი!.. არა!.. ნუ მოიშორებ, ეჭვს ნუ მინებდები, ბედის სიმუხთლე სწორედ ეგაა, სიკეთე თუ ვერ გამოგირჩევია სიავისგანა, სიკეთეში ბოროტება თუ მოგლანდებია, სათნოობაში გულღრძოობა, გადარჩენაში დაღუპვას თუ ჰგონებ, ნუ მინებდები სიმუხთლეს ბედისა, განსჭვრიტე ჭეშმარიტი, იწამე გადარჩენა, გადარჩენა იწამე, გადარჩენა იწამე, გაჰფანტე აღრევანი გონებისანი, სულმოკლეობა მორჩილებისა, აღამაღლე სული უძველესი ხალხისა, სული უკვდავებისა, სული უკვდავებისა, აღამაღლე ენაი შენი, ენაი დიადი, ენაი ღმერთებისა, აღამაღლე, მაშ ვინ წარუძღვეს ერსა? მეე? შენა!.. მეე?! შენა... ჰა, ჰა, ჰა!.. ვინთუ წარუძღვეს ამა უბადრუკ თაობასა, გო-

ნიერება რო აღარა ჰყოფნის, აღარცა სიამაყე, აღარცა ძალა. სხვა თაობისათვის ვეღარც ვივარგებ, სიბერე მიწევს ან ვერც მოვესწრები, მე დავამთავრე ჩემი სიცოცხლე, მიცვალებულები აღარ იბრძვიან. განვედი, კმარა!.. დამიჯერე! არა, განვედი! დამიჯერე, სიცოცხლე აღარ განმეორდება, შენი სიცოცხლე აღარ იქნება, მარადიული შენთვის რა არის, – არაფერია მარადიული, არარაობაა მარადიული, ისა არის მხოლოდ რაცთუ შენია, შენი სიცოცხლე აღარ იქნება, აღარ იქნები, აღარ იქნები, ვიცი უშენოდაცა. ნუ მოისწრაფებ, გაუფრთხილდი, ეს ერთხელაა, აღარ იქნება, აღარ მოგეცემა მეორედა, მორჩა, გათავდა, გაუფრთხილდი, მიიღე იგი ბედის წყალობა, მიიღე იგი ბედის წყალობა!.. განვედ, მაცდურო, ჰოი, განვედი!..

და ბიძები შემოეხვივნენ, რა დაგემართაო, სხვებიც შემოეხვივნენ, ვერაფერს მიუგებდა, უხურდა თავი, უწიოდა თავი, ჭირისოფლი გადასდიოდა გულზედა, ბეჭებზედაც მიწანწკარებდა ჭირის ოფლი. ოფლი შეუშრეს, გულს მოეშვა, მწარედ გაიღიმა, ეს ოხერიო, ხელი ჩაიქნია. სხვებმაც ჩაიქნიეს ხელი, ამოიოხრეს ერთადაცა, სათითაოდაცა, მრავალი რამ ამოაყოლეს იმა ოხვრასა, მძიმე ვარამი ამოაყოლეს.

ის მაინც ისევე:

შენი ნებაა, მე ჩემი მითქვამს, დანარჩენი შენი ნებაა. ისევ აქა ხარ? დანარჩენი შენი ნებაამეთქი. დრო კიდევა გაქვს ბოლო წუთამდისა, ბოლო წუთი თავისას გაიტანს, მაშინ აზრი ვეღარ გაგიჭრის, ნებისყოფა აღარ გექნება, ვაჟკაცობა დაგეკარგება, დაჰკარგავ თავსა, ბრმა ინსტინქტსლა დამორჩილდები, მერე იმან იცის, თუ საით გადაგჩეხავს ან საით გაგიყ-

ვანს. ნუ მიხვალ იმა სიბრმავემდისა, მე დამიჯერე, ვიდრე აზრი გაქვს, მე დამიჯერე, ნუ მიხვალ იმა სიბრმავემდისა, მე დამიჯერე, ამოირჩიე უკეთესი, ამოირჩიე სიცოცხლისა, გადარჩენისა ამოირჩიე, გონიერება მხოლოდ ესაა, ამოირჩიე, ამოირჩიე! ამათ რაღას ერჩი, არჩევანი მიეცი ამათაცა. მე მეტი არ ძალმიძს... ბოლო წუთამდისა, ბოლო წუთამდისა...

მძიმე იყო ბოლო წუთამდისა, ბოლო წუთი არც თუ ისე საშინელი გამოდგა. სხვები უფრო შეფიქრიანდნენ: სად მიგყევართო, რა დროსიაო, დაღამებამდის გორს ვერ ჩავაღწევთ, ხოლო ღამე ბნელია და უნდობელიო. ის მზე ჩადიოდა, მწუხრამდის გააღწევდნენ, შუკებსა თუ ორღობეებსა, მერე შარაზე არ გავიდოდნენ, არსაით დაუხვდნენ, ატარებდნენ ეგრე პირდაპირა, აღმოსავლითა, ატარებდნენ ეგრე და ეგრე ვიდრე მოიღუნებოდა საფერიცვლოს მთაი. თუმცა ჰო, ე რანაირად გამოვიდა – თითქოს მაშინ მოიღუნებოდაო!.. არა, რა თქმა უნდა, მოღუნულიყო უხსოვარ დროიდანა, ჩამოჰფენოდა შიშველი კალთები სამი მხრიდანა, საყელო გადახსნილიყო ერთი მხრითა, იმ საყელურით შევიდოდნენ, იქვე ჩადგებოდა ბადრაგი, თავს უშველეთო, იქიდანვე შეუძახებდნენ და... ვინ გააღწევდა შიშველ კალთებსა, ნუღარ ვიკითხავთ. ის იქნებოდა ბოლოღა წუთი, თავს უშველეთო, რო დაიძახებდნენ, ის იქნებოდა, ისღა იქნებოდა. მანამდის დრო ჰქონდა. გამოჰყავდათ აჩქარებითა, ფიცხლად აგროვებდნენ, აგროვებდნენ ავი შეძახილებითა. ბადრაგი ბევრი გახლდა, პატიმარი მომეტებული, შუკები ვიწრო იყო, ვიწრო იყო ორღობეებიცა, ვიწროც იყო და მალიმალაც გადაიხსნებოდა, ან სხვა შუკაც დააღებდა

პირსა, ან ორლობეი, ანთუ საბძელი, ანთუ ქოხი, რაღაც ისეთი, საუცბათეოდ მისაფარებელი; მალიმალეც გადაიხსნებოდა, პირსაც დააღებდა და შესძახებდა, – ჭიტა!.. აქა ვარო. ეს იყო მწარე და თანაც ბოლოღა ფანდი მაცდურისაი. ჭიტა!.. ჭიტა!.. ყურიც დაიყრუა და თვალიც დაიბრმავა როსტომმა, ვითომცა ყოფილა, ვითომც არაო, მიდიოდა უბრადა, მდუმარედა, დაყოვნებითა, თუმცა აჩქარებდნენ, ყველა აყოვნებდა, ესეცა ყოვნდებოდა მხოლოდ ამიტომა, არ ეჩქარებოდა არავისა, გული არ მიუწევდა არავისა, იმათ ეყვირათ, რამდენიც უნდოდათ, ეყვირათ, ეღრიალათ, აღარსაით ეჩქარებოდა არავისა; ჰო, ეყვირათ იმათა, იმასაც გამოეჭყიტა საიდანაც მოინებებდა, გამოეჭყიტა, თვალი ჩაეკრა, ხელი დაექნია, ეს გაიცინებდა, ვითომდა რაო, ბერიკობანაა მარიამობის ერშიო... ვითომდა რაო... ვითომდა რაიო... ჭიტა!.. ჭიტა�ა!.. ჭიტაააააა!.. გამოანათებდა, ბრიალებდა, მზე არის თუ მზესუმზირაო, ხან თვალს მოსჭრიდა, მოულიბრავდა ხანაცა თვალსა, თვალთა რაღა თქმა უნდა. არც რო დაჰნათოდა, სხვებს რო არა, ამასაც არა, არც რო მზეიო, მზესუმზირაც არა ცხადია; თვალს რო მოსწვავდა, აერეოდა ფეხიცა მაშინვე, ვიღაც უკნიდან მიაწყდებოდა, გადაექელა წინაი ლამისა, აირეოდნენ, აჩოჩქოლდებოდნენ, აიმართებოდა კონდახებიცა, შეუძახებდნენ, შეუყვირებდნენ, წიხლიც მოჰხვდებოდა უკანაებსა. და ისევ ჭიტაო – ლამის ფეხებშიც აეხლართებოდა, მკლავსაც დასწევდა ის აბეზარი, ლამის უნდა აეთრევინოსო ანთუ აი და აითრიოსო თვითონვე იმანაო, ვერ რო გაიხმო, მობეზრდა და ბარემ თვითონვე აითრიოსო; ღამდებოდა რო თამამდებოდა მომეტებულა-

და. და გაბოცდა თვალი, ორივე თვალი, ერთბაშადაცა, ცალცალკედაცა: აქეთ?.. აქეთა?.. აქეთ თუ საითა?!. დროა თუ ადრეა?!. ეგება დაგვიანდა?!. გაბოცდა თვალი და გონებაც გაბოცდა, თვალი მართავს თუ ჭკუა მართავსო, ვეღარ გაიგებდი – არცრა მართავდა, ხორცი ჰყიოდა, ხორცი ჭყვიროდა, არც რო სულს არ ენება გაყრაი ხორცთანა, არა, არ ენება, ვერ დაიჭირავსო – ნათქვამია – მაგრამ არაო, არც ეჩქარებოდა –

– ბატონო... ბატონო... ბატონო როსტომ!.. – მუხლთ მოეკვეთა, აეფხოწიალა, მკლავს მაინც მჭიდროდ შემოტმასნა თითები, მკლავსა როსტომისა რაღა თქმა უნდა. მორჩა ამისია, სულისკვეთება გათავდა, მორჩა. ჭიტაااااااااა... აბწკიალდა ძეძვნარი ცოტაოდნავ დაშორებითა, წინ რო ჯვრები ჩარიგებულიყო, საფლავის ჯვრები, სასაფლაოის, მომწვანო ქვისა, ფერი დღისა ახსოვდა ცხადია. ახლა ჰო ღამდებოდა და სულაც უნდა დაღამებულიყო, სულა, სრულიადა – მე ვარ... მე ვარ... ვეღარ მიცანი?!.

– შენა?!.

– ჭიტااااااა!..

რომელი რომელია, ერთია თუ სხვადასხვა გახლავს, სასაფლაოს იქით ძეძვიანიდაა თუ აგერ მკლავიდანაც გაუვარდება?!.

– მე ვარ...

– მეეეეეეეეეე...

– აქ საიდან გაჩნდი?!.

– დაგვიჭირეს... ეკლესია დაწვითო. დაგვაბრალეს...

– ლეკოს ვერ ასცდი!..

– ვერა. ვერც ვუშველე. იქამდის ურტყა თავი ლოდსა, ვიდრე ზედ არ შეასხა ტვინი... მანამდის თავის ჩამოხრჩობა სცადა...

– თოკიც რო უშოვნია!..

– ნიფხვის ტოტებითა ცდილობდა...

– საცოდავი!!!.

– ვერ გადავაფიქრებინე!..

– ვის რაი ძალუძს ბედისწერასთანა?!. ყველა უმწეოა, უმწეო!..

ჭიტაო – დასჭექა იქვე ფეხქვეშა, დასჭექა, იქუხა, ირგვინაო, ესეც რო ითქვას, არც მომეტებული არ იქნება, არც შეუსაბამოი, ისე იმგვარად შეჩოჩქოლდნენ ის განწირული ადამიანები, ბადრაგიც ისე – თითქოს ისაა და ორივე მხარემ რო ეს გაიფიქრა: რასა ვჩადივართო, ესა, ესა, რასაც რო არასოდეს არა ფიქრობენ ერთნაირადა, ერთნაირადა და პირისპირა, მკვლელები და განწირულები, არც პირისპირა და არც ზურგთუკანა. ეს მაინც დასწვდა, რაც ფეხქვეშ მოედო – როსტომი – აიტაცა და შორს გადასტყორცნა, ხელებიც მოიფშვნიტა, კალთაც ჩაიბერტყა, კონდახიც მოჰხვდა – ჩქარაო, ჩქარაო, გაადგი ფეხიო. ისინი ჩქარობდნენ, ესენი არა...

შეაჩერეს გზაჯვარედინზე. შეაგროვეს, გარს მოეხვივნენ. იმედი აბწკრიალდა, დაჰხედეთ ერთი – კიდევ შერჩენოდა ნატამალი იმედისა განაცრებულ ხალხსა, ეჰა, მარჯვნივ თუ მოგვახვევინესო: მარჯვნივ ჰო გზა იდო გორისა – გაუყენებდნენ მართლაც გორის გზასა, მართლაო ვამბობ, თორემ გადატანით სხვა რამესა ნიშნავდა – სიკვდილსა ნიშნავდა, გზა-გზა დახვრეტასა ნიშნავდა, გორისაკენა და გორამდისა, იმ გზაზე იდგნენ, კიდევ ერთი ორღობე იდო, მერე ნაწვერლები, მოღუნულიც უკვე

მოსჩანდა... თუმცა ჰო, ითქვა, შეაჩერესო, შემოაგროვესო და გადაითვალეს, – ერთი გვაკლიაო, განაცხადეს, კიდევაც გადათვალეს, ნამდვილად ერთი გვაკლიაო, დაიდასტურეს. არა, – როსტომი იქვე იყო, მხოლოდ თვალი მიმოატარა, სხვებმაც შემოატარეს თვალი, ვერავინ ინიშნეს, ვერავინ იგულისხმეს, თითქოს იქვე იყვნენ ყველანი, თვალი მოატარეს მეთოფურებმაცა, არსაით გავარდნილან, არსაით უძებნიათ, ესენიც მაშინვე არ აუჩქარებიათ, დაელოდნენ: მოისმოდა ურმის ჭრიალი, მალეც გამოჩნდა, კოფოზე მეურმე შემომჯდარიყო, წერასატანილი, ურმულსა მღეროდა დაბალ ხმაზედა, ეგრეც მიატანა, დაბალ ხმაზედა... მიატანა და შესძახეს მაშინვე მეთოფურებმა, თუ უკაცრაოდ არ ვიყოთ ემაგ ურემს ჩამობრძანდიო; ჩამობრძანდიო და ჩამობრძანდა; ჩაუდექი ამათა შუაშიო, ჩაუდექიო და ჩაუდგა; ახლა გავნიოთო, ბრძანეს და გასწიეს, ისევ პირდაპირა, ფრიალო კალთების საყელურისკენა; ურემიც გამოჰყვა თუ გამოიყოლეს, ეს სულერთია რაღა თქმა უნდა, მოსდევდა ურემიცა უმეხრეოდა, ტაატით მოსდევდა, კამეჩები ება და მოსდევდა კამეჩის ნაბიჯითა, ოღონდ მალიმალ ააჩქარებდნენ, უთავაზებდნენ თოფის კონდახსა; გამოჰხედავდა მეურმეი და შეუტევდნენ თუ უთავაზებდნენ იმასაცა.

– სად მიხვალთ ხალხო?! – იკითხავდა მეურმეი, ანთუ იკითხა.

არავის მიუგია.

– სადა, ჰა?!. – ისევ იკითხა მეურმემა.

მაინც არავის დაუძრავს კრინტი და მდუმარებდა გარემოცა, მხოლოდ ნაბიჯების ხმა გაისმოდა, გაისმოდა მოთქმასავითა.

– მე რაღათა ჰა?!. – ვერ მოისვენა ისევ მეურმემა, ისევ მიიხედა, ისევ მოიხედა, ისევ შეუტიეს და ჩამოჰკიდა თავი, მიჰყვა იმ ნაბიჯებსა, აენყო, მიჰყვა.

ანთუ ჩვენ რაღადაო, ვიღაცამ მიუგო თუ არც თუ მიუგო, გზა თავდებოდა, იმათი გზაი: აგერ საყელური, აგერა ტაფობი და აგერ მთები შემორკალული. ვაიმე დედაო... და გათავდა წუთისოფელი. ურემი?.. კამეჩები გაჰყიდეს გორის ბაზარზე ურმიანადა რაღა თქმა უნდა. ფული?.. დაამღერეს წითელ დუქანში ახალ ბაღთანა.

გათენიის ხანს დარეკა ზარმა გიორგი ყანჩაველის კართანა, დარეკა გაბმითა ჟინიანადა, ისე თითქოს იმუქრებოდნენ, გააღეთ, თორემ შემოვამტვრევთო; გააღეს ცხადია, გააღეს კანკალითა, შიშის კანკალითა, აჩქარებითაცა, შიშიანი აჩქარებითა; გამოჩნდა ქალი, ძილგატეხილი, ძალგატეხილი, უსასოოი, ლამის არის რო წაიქცესო, გარეთაც ეგრეთვე უსასოოი მოჩვენება რამ მიმდგარიყო:

– მე... მე... – დაიკნავლა გარედან მიმდგარმა.

– შენა?!. – თითქოს მიუხვდა და თითქოს ვერცაო, ეს კარის გამღები.

– ნი... ნი... ნი... კუშა. – მიუგო როგორც იქნა.

– ღმერთო ჩემო!.. – თვალები დაჰხუჭა ქალმა, შეძოძგინდა.

– ბატონი გიორგი?.. – სული მოითქა იმა მოსულმა, რო არ მიუგავდა აღარაფერი იმა ნიკუშასა, აქედან რო გავიდა სამოგზაუროდა.

– წაიყვანეს. – მიუგო ქალმა.

– ჰა?!!!.

– წაიყვანეს. – იგივე მიუგო.

და შექანდა მოსული, დაეცა, დაეზღერთა დირესა, დაეცა მოგზაური არათუ პოლუსებისა, არათუ უდაბნოებისა, არათუ ოკეანეებისა, არათუ ჯუნგლებისა თუ ველური ქვეყნებისა, არა, – მოგზაური პატარა კუთხისა, უძველესი ცივილიზაციით რო იქადდა ყოველთვისა და არც გამორჩებოდა არაფერი ახალი, ავი იქნებოდა თუ კარგი იქნებოდა, არ გამორჩებოდი, მოგზაური იმა კუთხისა, მოიარა, მოვიდა და დაეცა დირესა თავისი მოძღვრისა, დაეცა უფრო განამებული, ვიდრე მკვლევარები პოლუსებისა თუ უდაბნოებისა, ოკეანეებისა თუ ჯუნგლებისაო.

XXV

და მაინც დიდ მოგზაურთა შორის არც ნიკუშა მოუხსენიებიათ, არცა ნიკოი, ლეკომ რო შეარქვა, არცა ესტატე ჩაჩანელი, როგორც რო ეწერა მოწმობაში დაბადებისა, არ მოუხსენებიათ არცერთნაირადა, სდუმს ენციკლოპედიები, სდუმს ცნობარები გეოგრაფოსთა, არც მონოგრაფიებშია სადმე ნახსენები, გაკვრითაც არა, არ არის ნახსენები; ვერ დავემდურებით ვერც ვერავისა, რო ხდება ასე, მიფუჩეჩდება მნიშვნელოვანი, გაზვიადდება უმნიშვნელო, წვრიმალი, უხეიროც გაზვიადდება, გაიბერება, გაიფუყება, ავა, ავა, ვინ უწყის სადამდისა; დრომ იცის ასეთი თამაში თუ ეშმაკობანი, დრომ იცის და დროსვე გადაჰყვება და მერე ვინ უწყის სულაც წაეყრება ფერფლი დავიწყებისა, ვითომცა ყოფილა, ვითომც არაო; ზოგნი მშვიდდებიან, რა ბედენაა თუ ვის როდის დაივიწყებენო, ოდესმე დედამიწაც აღარ იქნება და ან სახელგანთქმულ მოგ-

ზაურებსაც ველარავინ მოიგონებსო; იქნება თუ, თუ არ იქნება, მანამდე კიდევ დიდი დრო რჩება, ძალზე დიდი, ათეული თუ ასეული მილიარდი წლებიო, როგორც გვარწმუნებენ, და ეს მართლაც დიდი დრო გამოდის, მართლაც რო დიდი, ძალზე დიდი, განუზომლად დიდი, თუ გავიხსენებთ, რო ქრისტეს აქეთ ჯერ მილიონი დღეც არ გასულა, და გასაოცარი ისტორიანი ჩვენი თუ სხვათა, გმირულნი თუ საამაყონი, სახელოვანნი თუ სამარცხვინონი, ერთი მილიონი დღის ამბავნიც რო არა ყოფილან, – დიდი დრო რჩება რაღა თქმა უნდა და ნიკუშას სახელი რო განადიდონ ამიერიდანაცა, მოიხსენიონ სახელოვან მოგზაურადა, აღამაღლონ და სხვებს გაუტოლონ, – მაინც არ დააკლდება ბევრი არაფერი; თუ რამ დააკლდება, არც უნდა ინაღვლოს სულმა მისმა, რადგან სულაც დაივიწყებდნენ, უსათუოდ დაივიწყებდნენ, რო არ გადარჩენილიყო ჩამწერი აპარატი, – რა სიხარულით მიჰქონდა, რა იმედი ჰქონდა, ო, რა იმედი!.. არ დასცალდა და ვერ გამოიყენა და მაინც იმან გაუწია სამსახური, – ის გამოადგა, ის დარჩა ნიშნად მოგონებისა, სახსოვრად დარჩა; თუმცა ვაი ამ სამახსოვროსა!.. ისე არ შეჰხედავდნენ დიდედა-ძალუები, აღშფოთება რო არ მორეოდაო, ამან დაგვატეხა უბედურებაო... ჩვენ მაშინ პატარები გახლდით და ბევრი არაფერი გაგვეგებოდა, ოღონდ მივხვდებოდით იმდენს მაინცა, არაფერს რო არ გვეტყოდნენ თუ გამოვათრევდით თუ გავიხდიდით ჩვენს სათამაშოდა; გამოვათრიეთ და დავათრევდით, გორგოლაჭები შევუყენეთ, ხრიკას გამოვუბით, ვურტყით ლურსმნები, მივაბ-მოვაბით, რაღაც მივაკერეთ, რაღაცა მოვგლიჯეთ, აქეთ ჩავჭეჭყეთ, იქით ჩავამტვრიეთ, – შემოგვემსხვრა და შემოგვე-

ფატრა დაუნანებლადა; მაინც დაგვახსოვდა ის შავი ყუთი, ისევ ისე, ისევ კუთხეში, შავმუშამბაგადაფარებული, ისევ ისე, ვიდრე ავიგდებდით ისევ ისე, ჩაბნელებული იდუმალი სიავითა,

იდუმალებითა სიავისა,

შიშითა შემზარავითა,

რისხვითა გაუგონარითა,

აუხსნელითა,

ხოლო თუ მაშინ თუ როგორ აეხსნათ, მერეღა გავიგე, რო წამოვიზარდე, რო გავეცანი ამიერკავკასიის ცაკის სესიის მასალებსა: საქართველოს კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე – ამხ. ლ. ღოლობერიძე – წამდგარიყო საინფორმაციო მოხსენებითა, წამდგარიყო და მოახსენებდა: თვით პოლონეთშიო, შლიახტებით განთქმულ პოლონეთშიო, ეს უპასუხისმგებლო ფენა, შლიახტების ფენა თუ წოდება, მხოლოდ ოთხ პროცენტს თუ შეადგენდა მოსახლეობისაო, მხოლოდ ოთხსაო, და ესეც უკვირდა ქვეყნიერებასა, რადგან სხვაგან რო ნაკლებნი გახლდნენ, საგრძნობლად ნაკლებნიო; იმათი უკვირდათ და ჩვენი უფრო საკვირველი რამ არის, რო იცოდეთო, რო იცოდეთო: ჩვენთან, საქართველოში, ექვსი პროცენტი იყო თავადაზნაურობაო, ექვსი პროცენტიო, – სად ოთხი სად ექვსიო!.. და უნდა გაუწყოთო, საზეიმოდ უნდა გაუწყოთ: უკვე ერთ პროცენტზე დავიყვანეთ, ერთზე, ერთადერთზე, და შემდეგ სხდომაზე ბედნიერება მექნება მოგახსენოთ: ნოლი იქნებაო: 0-იო. ოოოოოოო, რა ყოჩაღები ხართო, – შეუძახიათ სომეხ ამხანაგებსა, ჩვენ ვერაო, ჩვენ ვერასოდეს ვერ შევძლებთ თქვენდენსაო. ووووووووو, ვერც ჩვენაო, – თავი გაუქნევიათ აზერბეი-

ჯანელ ამხანაგებსა, ჩვენც ვერ შევძლებთო, თქვენ სხვანი ხართო, სხვანი ხართო. და სხვანი ვართო, ცერებზე იწევდნენ ქართველი ამხანაგები, ჩვენთვის შეუძლებელი არაფერია, ჩვენ გადავლახავთ ყოველგვარ ზღუდესა, კაცობრიობას მივანიჭებთ ბედნიერებასაო. ცერებზე იწევდნენ, ცერებზე იწევდნენო, სხვა რაღა ითქვას... ალბათ ისა, რო თავადაზნაურობა აღარც რო აღარ იყო იმხანადა საქართველოში, მხოლოდ გვარები რო შემორჩენოდათ, ძველი გვარები, დაწრეტილი ისიცა, დაწრეტილი და გათანგული ნიადაგ ბრძოლაში მამულისათვისა.

ყელქცეული, 1967

ამ წიგნისათვისა

ნათქვამია:

წიგნსაც თავისი ბიოგრაფია აქვსო.

ამ წიგნსაც თავისი ბიოგრაფია აქვს. ჯერ იყო და დიდხანს ვერ გადამეწყვიტა თუ როგორ დამეწერა: დამეწერა ისე, რო არ მეფიქრა ამის გამოქვეყნებაზე თუ ისე დამეწერა, რო როგორმე გამომექვეყნებინა. „არ მეფიქრაო", აქ მაინც უფრო იმასა ნიშნავს, ოდესმე მაინც რო უნდა გამოქვეყნებულიყო, ოდესმე, ოღონდ ვინ უწყის თუ როდისა. ასე შორს გადადებაც არ მინდოდა, არც რო მჯეროდა თუ დავწერდი ისეთ ნაწარმოებსა, განუსაზღვრელად რო გაეძლო, არა მჯეროდა რაღა თქმა უნდა. ამიტომ უფრო ის გზა ავირჩიე: დამეწერა ისე იმგვარადა, როგორმე რო გამოქვეყნებულიყო, თუნდაც რო დაეჩეხათ, მთავარი მაინც, ძირითადი მაინც გადარჩენილიყო; მთავარი მაინცა: ტკივილებს რო გაახსენებს ჩვენს ხალხსა, ჩვენს საკუთარ ტკივილებსა, არა თუ საერთოსა თუ ზოგადსა, „ინტერნაციონალურსა", საითაც რო მიგვაქანებდა ძალადობაი მაშინდელი, არა ცხადია, მხოლოდ საკუთარ ტკივილებსა, ბედისწერასა საკუთარსა, ქართულ ტკივილებსა, თორემ დავიწყებას ეძლეოდა ყველაფერი, იღუპებოდა ყველაფერი, იღუპებოდა მცირე ხნით მოპოებული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განცდა, დამოუკი-

დებლობის წყურვილი იღუპებოდა, იღუპებოდა, მხოლოდ იმასღა რო ამტკიცებდნენ: თუ როგორ მოგვიტანეს არნახული ბედნიერება თუ როგორი სიხარულით მივეგებენით ამა მომტანთა ამ არნახული ბედნიერებისა. ამას შებრძოლება უნდოდა. ამას აშკარად ვერ მოახერხებდი. მხატვრული სიტყვა სწორედ აქ იყო გამოსადეგი. მაგრამ ამასაც ჰო ლაგამი ჰქონდა ამოდებული, ისეთივე ლაგამი, როგორიც რო ყველასა და ყველაფერსა, ხელოვნებასა ამ შემთხვევაში, ხელოვანთა ამ შემთხვევაში, მუსიკაშიც რო ბევრი ვერაფერი მოხერხებულიყო, ლიტერატურა ჰო მითუმეტეს რო ვერაფრით რო ვერ დააღწევდა თავსა. ვერ დააღწევდა. უნდა დაეღწია. უნდა დაეღწია. უნდა როგორმე ისე დამეწერა, გამოქვეყნებულიყო.

თანაც: უკვე უნდა დამეწერა.

„ბორიაყით“ იწყებოდა ჩემი რომანების სერია, 20-იანი წლებით იწყებოდა, და მოჰყვებოდა თანდათანობითა, რამდენსაც შევძლებდი, როდემდისაც ძალა მეყოფოდა. ეს ასე გახლდა წინასწარი განსაზღვრითა, წინასწარი მოფიქრებითა, ხოლო დანყებით მაინც „ტინის ხიდით“ დავიწყე, რადგან რო ჯერხნობით მოვერიდე ადრეულ წლებსა, იმიტომაც რო ხსენებაც რო არ შეიძლებოდა იმა წლებისა, თქმა რო არ შეიძლებოდა ისე, როგორც რო იყო, ხოლო სხვაგვარად თქმასა, ისე თქმასა, როგორც რო ბრძანებდნენ, უთქმელობა სჯობდა; იმიტომაც რო გაჩნდა ბზარები ამათს სანაქებო საკოლმეურნეო ცხოვრებაშია, ანთუ უფრო მკაფიოდ: გამოტყდნენ, გამოსთქვეს ზოგიერთი წინააღმდეგობანი, ვითომც რო გადმონაშთიო, ვითომც რო შეუთავსებელი ჩვე-

ნი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვისაო, ვითომ რასაც რო სოციალური საფუძველი არ გააჩნია სოციალისტურ საზოგადოებაშიო, მაგრამ მაინც, როგორც არ უნდა ეთქვათ, როგორც არ უნდა აეხსნათ, მაინც ხელსაყრელი გამოდგა, მაინც საშუალებად იქცა ზოგი რამ სიმართლის გამოხატვისა ლიტერატურაში. ამ საშუალებასაც გამოყენება უნდოდა, მოხერხებული გამოყენება უნდოდა, რადგან რო ფხიზლადა დარაჯობდნენ ნაფიცნი კრიტიკოსნი, ცერბერებზე უფრო ფხიზლადა, და ადვილად აგნებდნენ თვით იმასაცა, რაც რო გადაურჩებოდა რედაქტორებსა, ცენზურასაც რაც რო გადაურჩებოდა. ამათი შიში აღარცა მქონდა, ოღონდ რო წიგნი გამომეცა როგორმე, მაგრამ ვაი რო ველარ ვასწრებდი, ჟურნალში ბეჭვდის დროსავე ჩამიჭერდნენ ხოლმე, ნაწყვეტ-ნაწყვეტებშივე ჩამიჭერდნენ ხოლმე და წიგნის გამოცემას ველარ ვახერხებდი. ასე დაემართა „ბურუსსა“, „მეჩეჩსა“, „ცთომილებსა“, ოღონდ ეს მაინც სხვა თავგადასავალია, სხვა ბიოგრაფიებია, შესაძლოა რო პარალელური ბიოგრაფიებიცა, და სხვა დროსაც მოვჰყვები, ახლა რო მხოლოდ „ბორიაყი“ გავიდეს წინა. და ვამბობ: ბორიაყი რო უკვე უნდა დამეწერამეთქი და იმიტომაც უნდა დამეწერა, რამდენიმე რომანი რო უკვე გამოვაქვეყნე, როგორც რო იყო, წინააღმდეგობები მხვდებოდა თუ რაც იყო, ეს მაინც გარეგანი მოვლენები გახლდა, ხოლო შინაგანად სხვა რაღაც მაბრკოლებდა, სხვა რაღაც მბოჭავდა: სათაო რომანი სერიისა რო არ დაწერილიყო, რაც რო ჰხდებოდა ჩემს შემდგომ რომანებში, საწყისი იმისა ჯერ რო არ გამოხატულიყო, ჯერ რო არ განცხადებულიყო,

როგორც რო მხატვრული მოვლენაი რაღა თქმა უნდა, – ისა მბოჭავდა, ის მაბრკოლებდა, თითქოს მიშლიდა ხელსა, ანთუ მართლაც მიშლიდა ხელსა. თუმცა თითქმის ზეპირად ვიცოდი და ჩემთვის უკვე განცხადებულადაც ითქმოდა, მაგრამ ითქმოდა მაინც ითქმოდა გახლავთ, განხორციელებას არ უდრიდა ცხადია. და ისიც, რო თითქმის ზეპირად ვიცოდი, ისიც მაჩქარებდა. უნდა დამეწერა, უკვე უნდა დამენერა, თუნდაც რო ვერ გამოქვეყნებულიყო, თუმცა რო მაინც უნდა მეცადა, გამოქვეყნება უნდა მეცადა, და უნდა დამეწერა ისე, ისე, ისე იმგვარადა.

ახლა შეიძლება ითქვას...

ახლა ეს სიძნელე მოეხსნა მწერლობასა, რო არც უნდა ჰქონოდა, მოეხსნა, როგორც იქნა.

რაც უნდა იყოს, მე ამაში უკვე დახელოვნებულადა ვთვლიდი თავსა: თუმცა აგნებდნენ დაგეშილი კრიტიკოსები, მანამდე აგნებდნენ რედაქტორები, ცენზორებიცა რაღა თქმა უნდა, მაინც ვახერხებდი ზოგი რამ მეთქვა, მაშინ უთქმელი, ანთუ გამოუთქმელი, მეთქვა, გამომეხვია მხატვრულ სახეებში, სტილისტურ ხვეულებში, ხალხურ თქმებში, იგავურ გადაკვრებში, ქვეტექსტებში, ქვეტექსტების ქვეტექსტებშიცა, ვახერხებდი როგორც რო იყო, და „ბორიაყიც" ასევე უნდა დაწერილიყო რაღა თქმა უნდა. რედაქტორებიო, აქ რო ვახსენე, რედაქტორებიც იყვნენ და რედაქტორებიცა, – ზოგი რედაქტორის გაბედულებაცა მმატებდა სითამამესა, ვთქვათ, სიმონ ჩიქოვანისა: „ბურუსს" ვერც გამოვაქვეყნებდი თავის დროზედა უიმისოდა, „მეჩეჩსაც" ვერა, – „მნათობში" გამოქვეყნებასა ვგულისხმობ, – ვერც

*გამოვაქვეყნებდი რო გამოქვეყნდა ეს ორი ნაწარ-
მოები, არც იმას შეჰხვდა ჩემზე ნაკლები უსიამოვ-
ნებანი. ასეთ რედაქტორები ბევრნი არ იყვნენ რაღა
თქმა უნდა. სამაგიეროდ ბევრი ჰყოფდა ცხვირსა,
სწორედ რედაქტორის მოვალეობაში ჰყოფდა
ცხვირსა, და ერთხელ საქმე იქამდისაც მივიდა, კო-
რექტორებმაც რო გამცეს. ეს უკვე მეტისმეტი იყო,
მაგრამ იყო, ვაგლახ, რო იყო, და წარმოიდგინე თუ
რანი იქნებოდნენ სხვანი, უფრო ჩინოსანი თანამ-
შრომელნი რედაქციებისა თუ გამომცემლობებისა,
წარმოიდგინე, მე რო სიტყვა არ გამიგრძელდეს. და
მაინც უნდა დამეწერა „ბორიაყი" და მაინც ისე უნდა
დამეწერა, რო გამოქვეყნებულიყო თვით იმ პირო-
ბებში, მწერლობისათვის, ლიტერატურისათვის
ყოვლად აუტანელსა და გაუმართლებელ პირობებ-
შია; უნდა დამეწერა და დავწერე, ვიღონე ყველაფე-
რი, ერთი შეხედვით რო ვერც მიმხვდარიყვნენ თუ
რომელ ეპოქას შეეხებოდა ნაწარმოები, რომელ
წლებსა თუ უშუალოდ რომელი წლის რომელ მოვ-
ლენას გულისხმობდა, ვერ მიმხვდარიყვნენ და ჰგო-
ნებოდათ: განზოგადებული ხასიათისაა, ეპოქა არც
არის დაზუსტებულიო. უნდა ჰგონებოდათ ჩემი ვა-
რაუდითა, ერთი შეხედვითა და ღრმად ჩაკვირვების
გარეშე, ზოგჯერ რო ერთი შეხედვაც შთამბეჭდავია
და სიღრმეებში რო აღარ იძირებიან ხოლმე, თორემ
ისე თუ ჩაღრმავდებოდნენ, ბევრი რამ იყო თვალში-
საცემი, ვთქვათ: მეთერთმეტე კანტანტა თუ მე-
თერთმეტე სიმფონია, მაისის მთავრობა, დამოუკი-
დებლობის სიხარული, გაქცეული თუ გაძევებული
მთავრობა, გენუას კონფერენცია, პატრიარქის ნე-
რილი, კანის, ჰააგის, ლოზანოს, ლონდონის კონფე-*

რენციები, ლოიდ ჯორჯი, ბარტუ, მაკდონალდი, სხვანი და სხვანი, გადახვევანი და გადაკვრანი, – თუ ჩაუკვირდებოდნენ რაღა თქმა უნდა. მაგრამ მაშინ ეს ამბები აღარა ტრიალებდა, აღარა ბრუნავდა, აღარ ისმოდა, აღარც აღარავის ახსოვდა თუ ადრე იცოდა, ხოლო თუ არც იცოდა, აღარავის ამას აღარც ასწავლიდნენ, ვერც უნდა მიმხვდარიყვნენ ისე ადვილადა თუ არ ჩაულრმავდებოდნენ რაღა თქმა უნდა. ასე, რო არ აკლდა მინიშნებანიცა, ხოლო რომანი, როგორც რომანი, იკითხებოდა თითქოს რო დროისა და ეპოქის გარეშე, რო შეიძლებოდა რო ყოველთვის მომხდარიყო, ჩვენი საუკუნის დასაწყისშიცა, XIX საუკუნეშიცა, ყოველშემთხვევაში საბჭოთა წყობილებაში რო მაინც არაო, თითქოს რო არაო რაღა თქმა უნდა, ამ უაღრესად ჰუმანურსა და პროგრესულ წყობილებაში არაო ცხადია, როგორც რო უმტკიცებდნენ და როგორც რო სჯეროდათ, სჯეროდათ, სჯეროდათ, ჭკუას დაჰკარგავდი, ისე სჯეროდა ბევრსა, იმედი გადაგიწყდებოდა, ისე სჯეროდა. ესენი, წიგნის გამოცემა თუ ეხებოდათ, უფრო თამამნიც უნდა ყოფილიყვნენ რაღა თქმა უნდა, რახან რო სჯეროდათ, რახან რო სწამდათ, მაგრამ სავალალოდ, უფრო ეჭვიანნი, უფრო მხდალნი, უფრო მუხთალნი ბრძანდებოდნენ, უფრო მუხთალნი, ვერაგნი და დაუნდობელნი. რას იზამთ, ასე იყო, ხოლო თუ მხოლოდ იყო, ეგ კიდევ არაფერი, სამწუხაროდ რო... თუმცა „ბორიაყის“ ბიოგრაფიასა ვყვები და ეს მაინც უფრო წარსულისა გახლავთ, გადაიტანა, რაც რო უნდა გადაეტანა, დაინერა 1967 წელსა და 1984 წელს გამოიცა, ცალკე წიგნადაც არა, მეორე რომანთან ერთადა.

1967 და 1984

საკმაო მანძილია.

თუმცა და რაო, –

ეს ჩემთვის, ჩემი წიგნებისათვის, არცთუ იშვიათი რამ გახლდა, ოღონდ იმ განსხვავებითა, სხვა შემთხვევაში რო ანთუ ხელს ჩავიქნევდი, ანთუ დრო აღარა მქონდა, ანთუ დროს ვუცდიდი, ანთუ იმედი გადამიწყდებოდა, ამ შემთხვევაში აღარც აღარაფერს დავლოდებივარ, არც იმედი გადამიწყვეტია, არც ცდა არ დამიკლია, რო როგორმე გამომექვეყნებინა, უსათუოდ გამომექვეყნებინა „ბორიაყი", რადგან რო ვშიშობდი და აშკარაც იყო, რო ჩლუნგდებოდა ჩვენი ხალხი, ჩლუნგდებოდა და აირეოდა, აირეოდა და გაითქვიფებოდა, შეერწყმოდა თუ შეეზილებოდა, რასა თუ ვისა, – რაღა სათქმელია, შეეზილებოდა და აღარ ეხსომებოდა თუ ვინ იყო, რა იყო, რა გადაეტანა და რა უნდა ეღონა, რო არ გაქარწყლებულიყო იმ ტოტალურ, იმ პერმანენტულ ექსპანსიაში, 20-იან წლებში რო დაიწყო და აღარა თავდებოდა, აღარა თავდებოდა და არც გათავდებოდა, ვიდრე ჩვენ არ გაგვათავებდა. მკვდარია ერი თუ არ იბრძვის თავისუფლებისათვისამეთქი, – დავწერე და უნდა გამომექვეყნებინა. სხვა დანარჩენი რაც უნდა ჰგონებოდათ, თუნდაც რო ისტორიული ჰგონებოდათ რომანი, ეს მაინც ისტორია აღარ გახლდა, ამას მაინც მიმიხვდებოდნენ. თუმცა „ბორიაყის" პირველმა კრიტიკოსებმა ვერც ეს გაიგეს, ესეც უხვსიტყვაობასა, ენობრივ ნატურალიზმსა თუ ბუნდოვანებაში ჩამომართვეს და შესაძლოა, რო ბუნდოვანიც გახლდა იმათთვისა, როცა ერი რო განთავისუფლებული ეგონათ, გამოხსნილი ეგონათ, ანთუ ცნებაც

რო დაჰკარგოდათ ერისა და „თვისობრივად ახალი კონგლომერატის“ თეორია მართლაც თეორიად მიაჩნდათ, სარწმუნოებად გადაჰქცეოდათ მართლაცა, სარწმუნოებადა და გარდაუვალობადა „სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში“, შესაძლოა, შესაძლოა!.. ახლა მე იმათ არ ვედავები, თავის დროზედაც რო არ გამოვდავებივარ, თუმცა სიტყვა მისწრებს, ჯერ ჰო: ვცდილობდი, როგორმე რო გამომექვეყნებინამეთქი.

ვცდილობდი და ვცადე, „მნათობის“ რედაქციიდან დავიწყე...

1968 წელს ჩემი „ლანდები“ იბეჭდებოდა „მნათობში“, მოთავდა თუ არა, გადავეცი ახალი რომანი. შეიძლება ეს შეთამამებადაცა თქმულიყო: ერთი მოთავდა და მეორე გადავეცი, მაგრამ ვიცოდი, როგორც იტყვიან, პორთფელში რო სხვა რომანი არა ჰქონდა რედაქციასა, ამიტომ გადავეცი, თორემ ისიც ვიცოდი ჩემი რომანები რო არაფრად არ ეპიტნავებოდა ახალ რედაქტორსა, „ლანდების“ დაბეჭდვაც რო არ უნდოდა, მაგრამ რა ექნა, სხვა რომანი რო არ დაჰხვდა და ვერც რო ვერავის დააწერინა ისე სახელდახელოდა. და ისევ ამისი იმედი მქონდა, ამ გამოფხეკილი სარედაქციო პორთფელისა. სიმონ ჩიქოვანი აღარ იყო ამქვეყნადა, „მნათობიც“ ჩამოართვეს მანამდისა, ჩამოაცილეს სალიტერატურო ცხოვრებასა, ჩამოაცილეს, გული რო მოსდიოდათ, რო სადაც სიმონ ჩიქოვანი გაჩნდებოდა, მწერლობაც რო იქ იყრიდა თავსა, გული მოსდიოდათ და ჩამოაცილეს სამსახურებრივ სალიტერატურო საქმიანობასა, ვნახოთ ერთი ახლა თუ სადღა წამოგყვება მწერლობაო. შეუჩნდნენ ცეკას მაშინდელ პირველ

მდივანსა დაახლოებულნი პირნი თუ პირი, – ყოველ-შემთხვევაში ჯერ პირი და მერე პირნიცა, – შეუჩ-ნდნენ და მოახსნევინეს, ვითომ „მნათობში“ დაშვე-ბული შეცდომებისათვისა. ამასაც ავღნიშნავ და აქ იმიტომაც ავღნიშნავ, რო სირთულენი ჩვენს ლიტე-რატურაში პარტიული ხელმძღვანელობის ბრალი რო იყო, თქმა არ უნდა ცხადზე ცხადია, მაგრამ მდგომარეობას უფრო ართულებდა ქიშპი, შური, მა-ნია კარიერიზმისა, აღმატების ჟინი და ვნებაი დიქ-ტატორული ზოგიერთი პიროვნებისა მწერალთა კავშირის სათავეში თუ მოექცეოდა. ეს იყო, რაც იყო, შემზარავი და გამანადგურებელი ჩვენი ლიტე-რატურისა, ეს იყო, რაც იყო, დანარჩენს გაუძლებდა მწერლობაი, გაუძლებდა, გამოცდილიყო, გამობ-რძმედილიყო, გაუძლებდა, გადაიტანდა, მწერალთა კავშირი რო არა ყოფილიყო, მწერალთა კავშირი, რომელსაც მხოლოდ მსტოვრობის ფუნქცია დაჰკის-რებოდა, დასჯისათვის სათანადო მასალების მომ-ზადება, საზოგადოებრივი აზრის სათანადო მომზა-დების ფუნქცია დაჰკისრებოდა. მეტი არაფერი, მე-ტი არაფერი, „შემოქმედებითი ორგანიზაციაო“ რო ამბობდნენ, ისე დარქმეოდა, მოსაჩვენებლადა. შეიძ-ლებოდა რო ლმობიერი ვინმეც მოხვედრილიყო სა-თავეში, ხოლო სასტიკი თუ მოხვდებოდა და უფრო სასტიკნი რო მოჰხვდებოდნენ, – ღმერთო დაიფა-რე!.. ღმერთსაც რო აეღო ხელი, მფარველიც აღარ-საით მოსჩანდა. მაინც გადატრიალებანიც მოჰყვე-ბოდა ხოლმე, სასახლის გადატრიალებანი, მწერალ-თა კავშირის სასახლისა რაღა თქმა უნდა, და ერ-თერთ ასეთ გადატრიალებაში მოყოლილიყო ეს ახა-ლი რედაქტორიცა „მნათობისა“. მანამდის სხვა რე-

დაქტორობდა, სიმონის შემდგომა, იმას არ ვეხები ამ შემთხვევაში, მაგრამ მაინც მკაფიოდ გამოვყობ, ანთუ მკითხველი რო არ დაიბნეს, ანთუ ცუდად რო არ გამოიყენონ. „ბორიაყს“ სხვა დაჰხვდა, თითქოს რო გამორიყული სასახლის გადატრიალების შედეგადა, თითქოსაო რაღა თქმა უნდა, თორემ, სხვისა არ ვიცი, ოღონდ მე მაინც ასე მგონია, ჟურნალის რედაქტორობა უნდა სჯობდეს მწერალთა კავშირის მდივნობასა საქმიანი კაცისათვისა. ასეთ კაცადაც მიაჩნდათ. მე მაინც სწორედ რო ასე მომექცა, დიდხანსაც რო არ დაუყოვნებივარ, რო მიმახვედრა, რო ტყუილად მექნებოდა იმედი „ბორიაყის“ დაბეჭდვისა „მნათობშია“.

ამის მიხვედრა არც გამიჭირდებოდა და არც ის გამოირჩეოდა დიდი თავაზიანობითა, – ავიღე, წამოვიღე, თუმცა რო ისე დაცლილიყო ჟურნალი იმხანადა, რომანი ჰო არ გააჩნდათ, მოთხრობებიც აღარ მოეპოებოდათ, სიდუხჭირე დასდგომოდათ ისე იმგვარი. წერილებითა ჭედავდნენ ჟურნალსა, მხოლოდ წერილებითა, ისიც ვინ უწყის თუ როგორი რა წერილებითა, თუმცა ერთი რამ მაინც არ დამავიწყდება: თავსესხმოდნენ პავლე ინგოროყვასა, არ დამავიწყდება რაღა თქმა უნდა, თავსესხმოდნენ ამ ახალი რედაქტორის თაოსნობითა და თავგამოდებითა, ალბათ რო იმის საამებლადა, ვინც რო „მნათობში“ გაუჩინა ადგილი, ვინც რო მანამდე მწერალთა კავშირშიც მიიყვანა, მწერლები რო მომიგერიოსო. მაამებელი და საამებელი. ასე იყო, ასე ანყობილიყო. ასეცა მართავდნენ ლიტერატურასა. ასე გაირიყებოდა ადამიანი, ასე გაირიყებოდა მწერალი მწერლობიდანა, ასე ირღვეოდა სალიტერატურო პროცესები,

ასე ეწირებოდა უმართებულობასა და ჟინიანობასა, რო არა ვთქვა, რო უგნურობასამეთქი, – არა, არ უნდა ვთქვა, თვითონ მოვლენები როა საშინელი, არალიტერატურული, კმარა ამისი აღნიშვნაცა; მაგრამ ეტყობა, ძნელდება თავშეკავებაცა, უფრო იმიტომა, რო არაფერი არ იცვლება ამ მხრივა, რო ისევ იგივე ვნებები ბატონობს, რო ისევ იგივე არალიტერატურული დამოკიდებულებანი ართულებს სალიტერატურო ურთიერთობასა ჩვენშია, ართულებს, შლის, გზას აცდენს სწორსა და მართებულსა. რაც უნდა იყოს, მე არ ვაპირებდი, რო გავრიყულიყავი, კიდევ გზა მქონდა, რო არსებობდა მეორე ჟურნალიცა, ოლონდ ვინ უწყის თუ იქ კიდევ რამდენხანს დამაყოვნებდნენ, ანთუ ვინ უწყის თუ რა მოხდებოდა, ამიტომ ვარჩიე, მანამდე პროზაიკოსთა სექციის სხდომაზე წამეკითხა „ბორიაყი“.

წამეკითხა...

წამეკითხა თავიდან ბოლომდისა, წამეკითხა, თუ არ დაიბეჭდებოდა, ბოლოსდაბოლოსა, ამ სახით მაინც ჩაითვლებოდა გამოქვეყნებულადა.

წავიკითხე.

ორ დღესა ვკითხულობდი.

მომისმინეს. იმსჯელეს. ანგარიში გამოქვეყნდა „ლიტერატურული საქართველოს“ 1970 წლის თებერვლის 13-სა. ანგარიში გამოქვეყნდა და დაე რომანის გამოქვეყნებაც ესა ყოფილიყო თუ არც „ცისკარში“ გამიღიმებდა ბედი.

და ეჭვით მივდიოდი, ეჭვით მიმქონდა, ფეხი უკანა მრჩებოდა. განხილვამ დამაეჭვა უფრო მეტადა, თუმცა რო ყველამ მოიწონა, გარდა ერთისა, და იმან დამაეჭვა, სწორედ იმ ერთმა. იმან ყველაფერი

გაიგო თავიდან ბოლომდისა. გაიგეს სხვებმაცა, მაგრამ იყუჩეს. იმან არ იყუჩა. და რამდენი ისეთი შემხვდებოდა რედაქციასა თუ გამომცემლობაში, რამდენი ისეთი, ერთიც რო კმაროდა. იმან არ იყუჩა, ოლონდ ვითომ დამინდო კიდევაცა: ჩემი სიტყვა არ დაბეჭდოთ საგაზეთო ანგარიშშიო. განაცხადა. არც დაბეჭდილა. იდეურ მხარეს დაუკვირდითო, მოითხოვდა, იდეურად მცდარია თავიდან ბოლომდისაო, აცხადებდა და ამტკიცებდა. ცალკე რო დავრჩით, მებოდიშებოდა: მე ეგებ ჩამოვრჩი, მაგრამ რა ვქნა, მე ასე მჯერაო. თანაც მე ჰო მომსწრე ვარ იმ ამბებისაო. 20-იანი წლების კომკავშირელი ბრძანდებოდა. რამდენი ასეთიც იქნებოდა რედაქციასა თუ გამომცემლობაში, ადვილად რო წამიხდენდა საქმესა, რო მომებოდიშებოდა ადვილადაცა. რაც უნდა იყოს, „ცისკრის" მაშინდელი ხელმძღვანელობა მერე ტრაბახობდა, მერე და მერე: ჩვენოდენი გაბედულება არ გააჩნდა არავისა, არც ჩვენამდისა, არც ჩვენს შემდგომა ამ ჟურნალშიო. მე არ ვედავები, არც უკმაყოფილებას არ გამოვთქვამ, მე მხოლოდ „ბორიაყის" ბიოგრაფიასა ვყვები და ეს ბიოგრაფია ასე გრძელდება: მიმქონდა და მივიტანე, მივიტანე და დავტოვე, დავტოვე და გულდამშვიდებით ველოდებოდი თუ რა იქნებოდა, გულდამშვიდებითა, იმიტომაცა – იქ რო უფრო მეგობრები მეგულებოდნენ, ვიდრე მტრები, და იმიტომაცა – მე ჰო უკვე გამოქვეყნებულად მივიჩნევდიმეთქი. ველოდებოდი. ველოდებოდი. გაგრძელდა ლოდინი. დაგვიანდა პასუხი. დიდხანს ემზადებოდნენ სათანადო პასუხისათვისა. ბევრს წააკითხეს, ბევრსა, ბევრსა. ვეხუმრებოდი, რაღა დაბეჭდვა უნდამეთქი. მთავლიტსაც წა-

აკითხეს წინასწარა, წააკითხეს სხვებსაცა, კოლეგიის გარდა, ვისიცა სჯეროდათ თუ ვისაც რო უფლება ჰქონდა, პასუხი მოეთხოვა. ალბათ რო სიფრთხილის ბრალი იყო, ანთუ ალბათა, ანთუ რაღა თქმა უნდა, ასედაცა მგონია, ანთუ მინდა, რო ასე დავიჯერო, მინდა და მჯერა კიდევაცა, ოღონდ ერთი დიალოგი მაინც მაგონდება ხოლმე, დიალოგი ჩემსა და ერთ მაშინდელ, ასე ვთქვათ, პასუხისმგებელ ამხანაგს შორისა, მახსენდება და თითქმის ზეპირად მახსენდება:

პ. ამხანაგი: რას შვრება თქვენი რომანი?..

მე: „ცისკარშია"...

პ. ამხანაგი: რატომ არა ბეჭდავენ?

მე: ჯერ არ გადაუწყვეტიათ. კითხულობენ.

პ. ამხანაგი: როდემდის უნდა იკითხონ?

მე: თვითონ იციან...

პ. ამხანაგი: მე რად წამაკითხეს?.. – და აკოკოლავებულ საქაღალდეებიდან ჩემი რომანი გამოაძვრინა. გამიკვირდა. იქ მაინც აღარ მეგულებოდა. გამიკვირდა. ოღონდ მაინც არ შევიმჩნიე.

მე: ალბათ საჭიროდ მიიჩნიეს.

პ. ამხანაგი: რატომ?!.

მე: რა მოგახსენოთ...

პ. ამხანაგი: არ არიან კარგი ხალხი და იმიტომ!.. მე განგებ წამაკითხეს, ჩემგან უარს ელოდებიან და იმიტომ წამაკითხეს; მე რახან გებრძოდით, იმიტომ წამაკითხეს, ჰგონიათ, უარს ვიტყვი... არ ვიტყვი!..

მე: აგაშენოთ ღმერთმა!.. ან რატომ მებრძოდით?!.

პ. ამხანაგი: ახლა ის რაღა დროსია!.. მაშინ ისე იყო საჭირო... თანახმა ვარ, დაიბეჭდოს!..

მე: აგაშენოთ ღმერთმა!.. გამომტყუა ეს მეორედა.

პ. ამხანაგი: ოლონდ...

მე: ოლონდ?!.

პ. ამხანაგი: ბოლო თავები უნდა ამოიღოთ...

მე: რასა ბრძანებთ, უიმისოდ რაღა აზრი აქვს!..

პ. ამხანაგი: არა!.. არა!.. არა!.. არა!.. – ორივე ხელი გაატაატანა, – ჩემი აზრი ესაა და იქ თქვენ იცით!..

იქ აღარ გადავიდნენ ამ აზრსა, ოლონდ მანამდე: რო გამოვდიოდი, ესეც მომაყოლა, –

პ. ამხანაგი: რო იცოდეთ, მეც ვაპირებ მაგ წლებზე მუშაობას...

მე: რა ბრძანეთ?!. – ვერ დავფარე განცვიფრებაი.

პ. ამხანაგი: მეც ვაპირებ!.. – გაიმეორა ისე, რო თითქოს რო ნიშნიც მომიგოო.

ხოლო ის მაინც: იქ რო აღარ გადავიდნენ იმ აზრსა, არც გამოტეხილან თუ ვის ეყრდნობოდნენ, ბოლო თავები უნდა ამოიღოო, ამაზე შედგნენ ჯიუტადა, შედგნენ და აღარც გადავიდნენ. მანუგეშებდნენ კიდევაცა: მივაწერთ რო მთლიანად არ იბეჭდება, „საჟურნალო ვარიანტს" მივაწერთო. გამიძნელდა, დავთანხმებულიყა, გამიძნელდა, დავთანხმდი მაინცა; დავთანხმდი, თუმცა ღალატად მიმაჩნდა ავტორისა საკუთარი ნაწარმოებისადმი; ღალატადაც მიმაჩნდა და თავსაც ვიმართლებდი ჩემს თავთანაცა და ჩემივე ნაწარმოებთანაცა: სულ დაუბეჭდაობას, ნაწილისა და კარგა მოზრდილი ნაწილის დაბეჭდვა მაინცა სჯობიანმეთქი, და თანაც: თუ ჟურნალში არ დაიბეჭდებოდა, გამომცემლობა არც მიიღებდა ისე, ჰქონდათ ასეთი უკუღმართი წესიცა, ბევრ სხვა უკუღმართობასთან ერთადა. ჟურნალში დაბეჭვდას

აპრობაციას უწოდებდნენ, გამომცემლობა მერეღა მოჰკიდებდა ხელსა, აპრობაციის მერე, თუ არავინ ატყდებოდა, კრიტიკოსები თუ არ ატყდებოდნენ ერთისიტყვითა. სხვა გზა არც იყო. წესად დაედოთ. კანონად ექციათ, რასაც ინებებდნენ რო აქცევდნენ კანონადა, ვინც რო ინებებდა დასდებდა კანონადა, ქვეყანა რო უკანონობისა გახლდა... მოდით და ნუ დათანხმებოდი!.. მაგულადებდა აგრეთვე ისიცა, რო ნავიკითხე სახალხოდა, ესეც აპრობაციად რო ჩამეთვლებოდა, მთლიანად წავიკითხე მწერალთა კავშირში, ამას მოვიდებდი საბუთადა, გამომცემლობა თუ უთუოდ ჩაეჭიდებოდა საჟურნალო ვარიანტსა. დავთანხმდი ასე, დავთანხმდი და დაიბეჭდა ის ეგრეთნოდებული საჟურნალო ვარიანტი, – 19 თავი თანმიყოლებითა, ისე რო შიგნით ხელი არ ჩაუყვიათ. ესეც ვითომ კარგი რამ იყო, მაგრამ დასასრულის გარეშე სიმახვილე აკლდებოდა დასაწყისსაცა, შიგნით გაბნეულ მინიშნებებსაცა, ხასიათების სრულყოფასაცა, აზრი თუ მრწამსიც გაურკვეველი დარჩებოდა. დარჩა კიდევაცა. გამომცემლობის იმედიღა მრჩებოდა, სათუო იმედი, საეჭვო იმედი. იქ ეს იმედიც მალე გადამიწურეს: იმათაც 19 თავს მოჰკიდეს ხელი და შიგნი-შიგნითაც ჩატანტრეს ხელი: აქ ისეთი ადგილებია, საბჭოთა პერიოდს რო გვაგონებსო, ეს როგორ იქნება, მენშევიკების პერიოდით უნდა შესცვალოო. მირჩევდნენ. მარწმუნებდნენ. მოსამზადებელ გეგმაშიც შეჰქონდათ, მერე გადაჰქონდათ გეგმიდან გეგმაშია, რო არა ვთანხმდებოდი, რო უკვირდათ თუ რად არა ვთანხმდებოდი, – წიგნი გამოვიდოდა, რა უნდა მდომებოდა მეტი, უკვირდათ, უკვირდათ და ზოგიერთს კიდევაც ვეცო-

დებოდი, ასე გულუბრყვილო რო გავჩენილიყავი და ასე გულუბრყვილოდ რო დავრჩენილიყავი, ამ ცხოვრებისა რო ვერაფერი გამეგო.

ასე გასტანა 1970 წლიდან 1984 წლამდისა, – ეს თოთხმეტი წელი გამომცემლობაში ტრიალებდა „ბორიაყი". „ცისკარში" 1974 წელს დაიბეჭდა. წარდგენით ერთდროულად წარვუდგინე ჟურნალსაცა და გამომცემლობასაცა. ჟურნალში ეშველა როგორც რო იყო, გამომცემლობა თავისას მოითხოვდა.

ესეც მოსათხრობია რალა თქმა უნდა, ბიოგრაფია ბიოგრაფიაა: დაწერიდან გამოცემამდისა. ხოლო ამასთან და ამასობაში ისიცაა გასახსენებელი, რუსულად რო ითარგმნა „ბორიაყი" და ჩვენებურ რუსულ ჟურნალში რო დაიბეჭდა. მაშინ გურამ ასათიანი რედაქტორობდა ამ ჟურნალსა. აღტაცებულიყო რომანითა, ყველგან ამასა ლაპარაკობდა, მეც ასე მითხრა, წერილობითაც გამოსთქვა ასევე აზრი: აქამდის სად ვიყავითო, – თავის თავსაცა გულისხმობდა, სხვა კრიტიკოსებსაცა თავისი თაობისა, უფროსი კრიტიკოსებისაგან ჰო შერისხვა არ მაკლდა; აქამდის სად ვიყავითო და მეც ვეხუმრებოდი: რუსული თარგმანით უნდა გამცნობოდით დასავლეთის მწერალივითამეთქი. ოღონდ მთავარი აქ ეს არ არის, მთავარი ისაა, რუსულადაც რო 19 თავი დაიბეჭდა. ეს „19" მთავლიტისათვისა სჭირდებოდა რედაქციასა, ქართულად უკვე დაიბეჭდა და სწორედ „19" დაიბეჭდაო. ესეც კანონივით იდო: „19"-„19". სინამდვილეში ამ 19-სა და იმ 19-ს შორის დიდი განსხვავება გახლდა: რუსულად ბოლო თავებიც დაიბეჭდა, შიგნით შემცირდა შიგადაშიგა, ასე რო მკითხველმა მთლიანად მიიღო „ბორიაყი", – ქართულად იწყებდა და რუსუ-

ლად ამთავრებდა. ეს ბევრმა მითხრა. ეს ჩემი მიხ-ვედრა არ გახლავთ. სხვა რაღა ვთქვა, სხვა რა ახსნა თუ შენიშვნა დავურთო, თავისთავად რო ცხადია, რო ეს უბედურებაა და მეტი არაფერი. ეს უბედურება გა-მოვლო „ბორიაყმაცა", რო არ გამოევლო საკვირვე-ლი ის იქნებოდა. და საკვირველი ისიც არის, ქარ-თულზე ადრე რუსულად რო გამოიცა ეს რომანი, – 1983 წელს მოსკოვს გამოიცა, ჩვენი მოსკოველი მო-კალმის, მწერლის, ალექსანდრე ებანოიძის თავგამო-დებითა, თავგამოდებითა და დიდი პასუხისმგებლო-ბითა, მხოლოდ აქაური რუსული ჟურნალი რო ეჭირა ხელში და უმტკიცებდა გამომცემლობასა, ქართუ-ლად უკვე გამოიცა ცალკე წიგნადაო, უმტკიცებდა იმ იმედითა, დღედღეზე რო მოესწრებოდა, სიტყვა რო არ გაუმტყუნდებოდა, იმ იმედითა რაღა თქმა უნ-და; ხოლო აქ გადადიოდა გეგმიდან გეგმაში, მოსამ-ზადებელი გეგმიდან მოსამზადებელ გეგმაშია, მო-სამზადებელი რო არა ჰქონდა არაფერი, წერტილის შეცვლაც რო არ შეიძლებოდა, ანთუ რო არაფერზე არა თანხმდებოდა ავტორი. თუმცა იქ, მოსკოვის გა-მოცემაში, ანოტაციაში ჩასწერეს: ეს მოჰხდა 905 წლის რევოლუციის შემდეგაო. ჯანდაბას: 20-იანი წლებიც 905-ის შემდეგ არ იყო?.. და უამისოდაც, რუ-სი მკითხველისათვის ჩვენი საუკუნეებიც ერთი თვა-ლის გადავლებაა, ჩვენთვის ერთი დღეც საუკუნეა. აქ დათმობა არ იქნებოდა.

და გრძელდებოდა ასე:

ავტორი არა თმობდა, გამომცემლობაც არა თმობდა, – გეგმიდან გეგმაში რო გადაჰქონდა წიგ-ნი, ეს აღარა კმაროდა, ავტორი უნდა მოეცილებინა თავიდანა, როგორმე უნდა მოეცილებინა. გამომ-

ცემლობას ვამბობ, ოღონდ სახელწოდება ჯერ რო არ მითქვამს, უნდა ითქვას რაღა თქმა უნდა: ჯერ „მერანი“ გახლდა. და აი უცებ დამიტკბნენ „მერანში“, უცებ შეიცვალნენ, გაავებულნი როდიღა შემხვდნენ, მოკეთედ მექცნენ: საქმე გაგიჩარხეთო, ნაიღებ ამას „საბჭოთა საქართველოში“, წრევანდელ გეგმაშივე შეიტანენო. ეშმაკობდნენ რაღა თქმა უნდა, ოღონდ ისე რო, რო არა მცნობოდნენ, მოვტყუვდებოდი რაღა თქმა უნდა. მაინც ვიკითხე, როგორამეთქი. წიგნს გადავუცვლითო, იქიდან გეგმიური წიგნი გადმოვა ჩვენთანა, ჩვენ შენსას წარვუდგენთ და ჩასვამენ იმის ადგილასაო. ეშმაკობდნენ რაღა თქმა უნდა, ოღონდ მაინც რო აქ საქმე არ იძვროდა, ვნახოთ იქ თუ რა იქნებამეთქი. არაფერი განსხვავებული რაღა თქმა უნდა, აქ როგორც დაარიგეს თუ როგორი დასკვნებიც გაატანეს, – ისევ: ბოლო თავებს ვერ შევიტანთო, ისევ მენშევიკების პერიოდიო, ისევ იგივე ლათაიები, ოღონდ უფრო დამშვიდებითა, რო ეტყობოდათ რო დრო რო გაჰყავდათ, ამასობაში ანთუ ვიდრე რო შევიტყობდი, ანთუ თვითონვე რო გამომიტყდებოდნენ: ახალი დადგენილება რო მიეღოთ, – პირველი გამოცემები „მერანს“ უნდა გამოეცა, „საბჭოთა საქართველოს“ – მხოლოდ შემდგომი გამოცემები. და ის წიგნი „ბორიაყში“ რო გადაცვალეს („ბორიაყი“ ჰო მაინც არ გამოვაო), პირველად უნდა გამოსულიყო, გადაცვალეს ამიტომაცა, გადაიტანეს ამიტომაცა და გამოსცეს კიდევაცა საარაკო სისწრაფითა. თუ მოინდომებდნენ, ადვილი გახლდა, თუ მოინდომებდნენ, ხოლო მონდომებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა წიგნის ღირსებასა, არავითარი. და არც ვასახელებ წიგ-

ნის ავტორსა, გამომცემლობაში თუ ასეთი ზნისანი ბრძანდებოდნენ, ის რაღას დაგიდევდა ზნეობასა თუ ეთიკასა. თან როგორ მოჰქონდათ თავი, – თავდადებულებად მოჰქონდათ თავი, თავდადებულებადა ჩვენი ლიტერატურისათვისა, ჩვენი ქვეყნისათვისა. რაღა თქმა უნდა!.. რას იზამ, დრონი მეფობენო. ურიგო არ იქნება ამასაც თუ არ დავივიწყებ: „საბჭოთა მწერლის" დირექტორად ის გახლდა იმჟამადა, ვინც რო „ბორიაყი" გამოაპანღურა „მნათობიდანა".

წლები გადიოდა, მოძრაობდნენ ნომენკლატურული ამხანაგები.

ესეც ასეო –

გადავირბინე: ცდილობდნენ და მოიცილესმეთქი. მოიცილეს „მერანიდანა". ხოლო თუ როგორა ცდილობდნენ, როგორი რა ხერხებითა ცდილობდნენ, ყველას თუ არა, ერთ შემთხვევას მაინც აღვნიშნავ, – ყველა ალბათ ბევრიც იქნება, ალბათ რო უფრო მდაბლადაც გამოაჩენს ადამიანებსა და არადა ჰლირს გახსენება ბევრი ცუდი მაგალითისა, ზოგს რო მაინც რო გვერდს ვერ აუქცევ, ერთს მაინც რო ვერა... ხოლო ის ერთი ამგვარი გახლდათ:

ერთხელაც იყო, ეს ისევ „მერანში", მოვითხოვე, რო წერილობით დაესაბუთებინათ თავიანთი უარი. მანამდე ზეპირად მიცხადებდნენ, ზეპირად მიმტკიცებდნენ. ძალიან კარგიო, დათანხმდა დირექტორი მაშინვე, – ამასა და ამას გავუგ ზავნით სარეცენზიოდაო. თავი დაუქნია მთავარმა რედაქტორმა. მთავარი რედაქტორის მოადგილემაც დაუქნია თავი. ისინიც აქავე ბრძანდებოდნენ, ისინიც ისევე მეწინააღმდეგებოდნენ, ანთუ უფრო სწორი იქნება, –

ისინი მეწინააღმდეგებოდნენ, თორემ დირექტორს არც წაეკითხა ჩემი რომანი, არც რო არაფერსა კითხულობდა საერთოდა თავისი ლექსების გარდა, არც რო არაფრის გამოცემა არ უნდოდა თავისი დიდტანიანი ლექსების კრებულების გარდა, რუსულადაცა და ქართულადაცა, და სხვა მეტი რო არც არაფერი ეწყო იმჟამადა წიგნის მაღაზიებში, სხვა თუ გამოდიოდა, იყიდებოდა დროულადა, ის ეწყო, ეწყო და ეწყო. თავი დაუქნიეს ერთისიტყვითა. ხოლო რო ვამბობ: სარეცენზიოდ „ამასა და ამასაო", არ ვასახელებ რაღა თქმა უნდა, ლიტერატურისათვის რო არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა იმ პიროვნებასა, არავითარი, იმხანად საგამომცემლო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე რო ბრძანდებოდა, ალბათ ესენი რო ხშირად აწერინებდნენ ეგრეთწოდებულ შინაგან რეცენზიებსა, ფულს აკეთებინებდნენ, და ალბათ რო თავი რო გამოეჩინა, როგორც რო სასტიკ რეცენზენტსა. კეთილიმეთქი, დავთანხმდი მყისვე, რო არც დავფიქრებულვარ, ჩემთვის რო უკვე სულერთი გახლდათ, ვის თუ რას თუ დააწერინებდნენ. წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, – ის იყო და მეტი არაფერი. ხავსი ხავსია და რაღა გარჩევა უნდოდა, – დავთანხმდი ცხადია, მყისვე დავთანხმდი. დირექტორმა მაშინვე გადასთქვა. გადასთქვა მთავარმა რედაქტორმაცა. მოადგილემაცა. არაო. არაო. არაო. ამოიძახა სამივემ ერთადა, რო შეჰხედეს ერთმანეთსა, რო უცებ გაუგეს ერთმანეთსა, რო ტრაბახობდნენ კიდევაცა: ჩვენ თვალით ვუგებთ ერთმანეთსაო, რო ეგონათ ალბათა: რახან ასე უცებ დათანხმდა, მაშ ის ამისთვის სასურველი კაცი იქნებაო. არაო. არაო. არაო. გაი-

მეორა სამივემ ერთადა. ლავროსი კალანდაძეო, ბრძანა დირექტორმა. ლავროსიო. ლავროსიო. შესძახეს იმა ორთაცა. იყოსთქო, დავთანხმდი ისევ ისევე, ისევე მყისვე, ისევე დაუფიქრებლადა. თითქოს რო შეეჭვდნენ, შემომაჩერდნენ ისეთი თვალითა, მაინც არ გადასთქვეს, რო გადაავლეს თვალი ერთმანეთსაცა: ლავროსიო, დაბეჭდეს, დაამტკიცეს. დაამტკიცა დიდმა სამეულმა გამომცემლობისა. ლავროსიო და იხმეს ლავროსი. ისიც იქვე მუშაობდა, იმავე გამომცემლობაში, რუსულ განყოფილებაში.

ეს აღარ გადასთქვეს ერთისიტყვითა.

იმ პასუხისმგებელი ამხანაგისა არ იყოს, ლავროსი კალანდაძეც მიპირისპირდებოდა ჩემთვის მეტად მძიმე პერიოდშია, მიპირისპირდებოდა სიტყვითაცა და საქმითაცა. იტყოდი: აი კაცი, იშვიათი კაცი, ვისთვისაც მართლაც განუყოფელია სიტყვა და საქმეო. სიტყვით: გამოდიოდა თათბირებზე, სხდომებზე, კრებებზე, რაც რო ერქვა თუ სადაც რო მოასწრებდა, გამოდიოდა და ამტკიცებდა, რო არ შეიძლებოდა ისე წერა, როგორც მე ვწერდი, რო ეს იყო მცდარი მხატვრულადაცა და იდეურადაცა, განსაკუთრებით იდეურადა, ამტკიცებდა ფიცხლადა, მგზნებარედა, ცოტა ნერვიული კაცი რო გახლდა, ალბათ იმიტომაცა, სიტყვასაც რო ვერ შეუბრუნებდი, რო გაფიცხდებოდა უფრო, უარესსაც რო არ მოერიდებოდა. ამტკიცებდა და ამტკიცებდა. ამას რო ვამბობ, სიტყვასაც რო ვერ შეუბრუნებდიო, არ გეგონოს, ანთუ ვებმოდი პირში, ანთუ ვერიდებოდი, – არა, არც ვუსმენდი, იქ თუ მოვხვდებოდი ნაუცბათევადა თუ შემთხვევითა, უფრო – არც ვესწრებოდი

იმა კრებებსა თუ რაღაც იმგვარებსა, ვამბობ მხოლოდ იმის მიხედვითა თუ ვინმე რო გამომსარჩლებია, კიდევ უარესიც რო უთქვამს იმათ საპასუხოდა. მტერი თუ გამომესარჩლებოდა. ეს სიტყვითაო, საქმეც რო ითქვა, ახლა საქმითაო, უფრო საქმითა: წერდა წერილებსა და ამტკიცებდა იგივესა: მცდარ გზაზე დგასო, ეს მე ცხადია და ჩემნაირები, იქვე რო ნიმუშები მოჰქონდა სოციალისტური რეალიზმის ჭეშმარიტი მიმდევრების ნაწარმოებებიდანა, რო ანვითარებდა თეორიასაცა სოციალისტური რეალიზმისა, ანვითარებდამეთქი დიახაცა, ჩვეულებრივ კრიტიკოსობას რო არა კმარობდა, თეორეტიკოსობდა კიდევაცა, ენგელსს ეყრდნობოდა განსაკუთრებითა და როცა ახალგაზრდები ერთობოდნენ იმისი თეორიებითა, იმისი გამოსვლების იმიტაციითა, ასე იწყებდნენ: „ენგელსის აზრით მექისა და ხაჟომიას ბრძოლა... ენგელსის აზრით... ენგელსის აზრით..." იწყებდნენ და აგრძელებდნენ, ერთობოდნენ ერთისიტყვითა. ერთობოდნენ და გავერთობოდი მეცა, არც წავიკითხავდი იმის წერილებსა და ის იქნებოდა, ამითი მაინცღა აღარ შევიწუხებდი თავსა, მაგრამ ამასთან სხვაგვარადაცა საქმიანობდა აშკარადა და მოურიდლადა, ვაჟკაცური პირდაპირობითა, მუხანათს რო ვერ უწოდებდი, მაგრამ ჩემთვის რო კარგი არ ეთქმოდა რაღა თქმა უნდა. ეს როგორც პასუხისმგებელი მდივანი „მნათობისა". ეწინააღმდეგებოდა „ბურუსის" დაბეჭდვასა ჟურნალშია. სიმონი მთხოვდა: ჩაურთე რაიმ ციტატები პარტიის განსაკუთრებული როლის შესახება, ეგება ცოტა მოისვენოსო. მეც ჩავურთე: პარტია სძლევს ყოველგვარ წინააღმდეგობას, პარტია ყველაფერს

ასწორებსმეთქი... ჩავურთე ჟურნალის ანაწყობში, გამოცემებში აღარ შემიტანია რაღა თქმა უნდა. ხოლო იმჯერად მაინცა ბუზღუნებდა ლავროსი: აქ ამდენი უბედურებაა დახატული, გამოსწორება სადღა არისო... შემდეგ რომანში იქნებამეთქი, ვითომ ვპირდებოდი, არ მიჯერებდა რაღა თქმა უნდა. რომანი მაინც იბეჭდებოდა: ერთი, მეორე, მესამე... და ჩაწყდა ბენვის ხიდი მესამეზედა. ატყდა აურზაური, უარესი, ვიდრე პირველსა და მეორეზედა, დაბეჭვდაც რო აღარ დააცადეს, ცეკამ განიხილა, სტამბიდან გამოტანილი ანაწყობები ეჭირათ ხელში ცეკას ბიუროს სხდომაზედა. მერე ეს დაბრუნდა. დატრიალდა. ბობოქრებდა პარტიული კრება მწერალთა კავშირისა. გრგვინავდა მაშინდელი თავმჯდომარე, გრგვინავდა და უცებ ასეთი შეკითხვაც წამოსცდა, – ტრიბუნა რო უცნაურია, გატაცება რო იცის ტრიბუნამა, თავდავიწყება რო იცის, წამოსცდა ასეთ წინდახედულ კაცსაცა: „რისთვისა ხარ შენ იქ, ამხანაგო ლავროსი, რისთვის გაგგზავნეთ?!." წამოსცდამეთქი და წამოიჭრა ლავროსიცა ჩვეული სიფიცხითა: „რაო, არა გქონდათ სიგნალები თავის დროზე?!." ექნებოდათ რაღა თქმა უნდა, იცოდა თუ რისთვისაც გაგზავნეს, სიმონ ჩიქოვანი დანიშნეს თუ არა რედაქტორადა, ის თუ რისთვის დაუსვეს პასუხისმგებელ მდივნადა. იცოდა. დაუსვეს ორმაგი მნიშვნელობითა: კაბინეტიც რო ერთი მისცეს ორივესა, ერთ ოთახში დასხეს. ვერც ვერავის მიიღებდა უიმისოდა, ვერც ვერავის ვერაფერს ეტყოდა, არც რო სტოვებდა თავის სკამსა ლავროსი, დილიდან საღამომდის არა სტოვებდა, ერთგული იყო სამსახურისა, მართლა ერთგული, ბუნებით გახლდა საქმის

ერთგული. მოხსნეს თუ არა სიმონი, ვითომ ისიც დასაჯეს დაშვებული შეცდომებისათვისა, რედაქტორთან ერთად პასუხისმგებელი მდივანიც რო იზიარებდა, გაანთავისუფლეს, ოღონდ სამსახური უბოძეს მაშინვე, სიმონს რო აღარ მისცეს სამსახური, დატოვეს ისე, სარჩოს გარეშე, ლიტერატურის გარეშე, სარჩო რო ვითომ იმდენი არაფერიო, ლიტერატურის გარეშე რო გაუჭირდა, მეტად გაუჭირდა. ლავროსის უბოძესმეთქი სამსახური გამომცემლობაში და იქაც ის დამხვდა, თუმცა სათოფეზე არ ვეკარებოდი რუსულ განყოფილებასა, აქ მაინც მოიწვიეს: ამან გადასწყვიტოს „ბორიაყის" ბედიო. გადასწყვიტოსმეთქი, დავთანხმდი მყისვე და მაინც არ გადასთქვეს, რო იცოდნენ, რო არ შეცვლილიყო დამოკიდებულებაი ჩვენი, რო არც არაფერს გადასთქვამდა ლავროსი, თავისი სიტყვის კაცი რო იყო. მართალია დრონი იცვლებოდნენ: ის გახლდათ 50-იანი წლები, ეს უკვე – 70-იანი წლები დამდგარიყო. მაგრამ ამათ მაინც ვერაფერი ვერ გაეგოთ წუთისოფლისა, ამათა, ამ სამეულსა, რაც იყვნენ, იმადვე დარჩენილიყვნენ.

დაუძახეთო

და

დაუძახეს

და

მობრძანდა.

უთხრეს. ადვილად არ დათანხმებულა. ჯერ ის იკითხა, ავტორი თუ ინებებს ჩემს რეცენზენტობასაო. დაუდასტურეს. დავუდასტურე. მერე დაიჩივლა: ავადა ვარო, ადვილად ვეღარა ვკითხულობო. დაგიგვიანებთო. დაგვიგვიანებო, – ვეღარ დაჰფა-

რა სიხარული ვერცერთმა: რამდენი ხანიც გენებოსო. ავტორი რას იტყვისო, შეყოყმანდა ლავროსი. რამდენი ხანიც გენებოთმეთქი. მოისვენებდნენ ისინიცა, მეც მოვისვენებდი. დამღალა ჰო „ბორიაყმა", იმედიც ჰო გადამიწყდა, აღარც ჰო აზრი აღარა ჰქონდა ამ რეცენზიასა, ტყუილადღა ვიწამებდი თავსა, ტყუილადღა აღარ ვასვენებდი ამ თითქოსდა ყოველისმხრით შენუხებულ ადამიანებსა, სამეულსა გამომცემლობისა. ამათაც შვებით ამოისუნთქეს. მეც ჩავიქნიე ხელი. ორივე მხარეს ერთნაირად წარმოედგინა შედეგი: უარყოფით რეცენზიას მოიტანდა ლავროსი. მაგრამ მოჰხდა მოულოდნელი. ორიოდე დღის შემდეგ შემთხვევით შემხვდა დირექტორი „მერანისა", მე არც რო გამოლაპარაკებასაც არ ვაპირებდი, თვითონვე მომაძახა: ლავროსი გაგიჟებულაო, მომაძახა ისე, მართლაც შევწუხდი: რა დაემართამეთქი. მოსწონებიაო. რა მოსწონებიამეთქი. შენი რომანიო, ნახე რეცენზიაო, თუ გინდაო, ჩვენ მაინც არ ვეთანხმებითო. მეც აღარ მინახავს ის რეცენზიაი, შინ რო წერილი დამხვდა ლავროსისა: ამ წერილს რეცენზიის სახით ვურდგენ გამომცემლობასაო, მე ამ რომანის დაწერას ველოდებოდიო, მე ახლა შემიძლიან დამშვიდებული ვიყვე, თურმე არაფერი არ იკარგებაო. დაახლოებით ამ აზრით იყო წერილი შედგენილი. თვითონ წერილი რა მექნა არ ვიცი, ველარ მივაგენი ჩემს ქაღალდებშია და ამიტომაც გამოვთქვამ ასე მორიდებულადა, თორემ კარგად მახსოვს იქ ბევრი რამ ეწერა, საუკეთესოდ რო ახასიათებდა „ბორიაყსა", სიხარულს რო გამოსთქვამდა, მადლობას რო უძღვნიდა ავტორსა ასეთი რომანის დაწერისათვისა. ვნუხვარ,

რო ველარ მივაგენი. ალბათ წავაწყდები, როცა იქ-ნება. რეცენზია მაინც შერჩებოდა გამომცემლობა-სა, შავიც იქნება ლავროსი კალანდაძის არქივშია. რაც თუ იქნება, მთავარი მაინც აქ ის არის, მაინც საშველი რო არ დაადგა „ბორიაყის" გამოცემასა. დაიჯერეს, რო ლავროსი გაგიჟდაო, დაიჯერეს და არ ერწმუნენ იმის რეცენზიასა, აღარც აღარაფერს აღარ ეკითხებოდნენ და აღარც აღარაფერს აძლევ-დნენ სარეცენზიოდა. ეს გახლდათ შედეგი ამისა, მეტი რო ვერაფერი ვერ მოვიპოვეთ, ვერც რო ლავ-როსიმა და ვერც რო მე. მერე იყო, რო გაამწესეს „საბჭოთა საქართველოში" „ბორიაყი" რაღა თქმა უნდა.

თუმცა არა:

ჯერ ვითომ გამოცემა დააპირეს, – მთავლიტსაც ჰო გაუგ ზავნეს და მიუთითეს სათანადო ადგილები, ვინცობაა გამოეპაროსო, რედაქტორიც გამოჰყვეს, ნოდარ დუმბაძესა სთხოვეს რედაქტორობაი, იმ იმედითა, რო წინააღმდეგი წავიდოდა, რადგან რო უკვე მწერალთა კავშირის მდივნად დანიშნეს, წი-ნასწარმეტყველებდნენ შემდგომ აღმატებასა იმი-სასა და ამისათვის კარიერას არ გაიფუჭებსო. ნო-დარმა უყოყმანოდ მოაწერა ხელი, მხოლოდ ბოლო გვერდის ამოღება მთხოვა: ამიერკავკასიის ცაკის სხდომაზე როა ლაპარაკი. ამაზე აღარ ავხირებულ-ვარ. ეს არც მთავლიტს ეჭაშნიკებოდა. მაინც არ იქ-ნა, მაინც გაჯიქდა „მერანის" სამეული. დირექტორი რო შეიძლება დათანხმებულიყო კიდევაცა, მაინც პოეტს უძახდა თავის თავსა, ის ორი გაჯიქდა მე-ტისმეტადა, სამეულის ის ორი წევრი, ორი პროზაი-კოსი, გაჯიქდა და თავისი გაიტანა. ცოცხალი თა-

ვით ამას არ დავუშვებთო. არც დაუშვეს, ისე აღესრულნენ. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროთ!.. ანთუ ღმერთმა თვითონ იცის, ვინ როგორ მიიბაროს თუ ვის როგორ მოუაროს. ხოლო იმათ რაც შეეხებათ, როგორც შეეძლოთ, ისე იქცევოდნენ. დღეს ეგება რო ისინიც სხვაგვარნი ყოფილიყვნენ. დრო იყო ისეთი, ყველა რო ვერ გაუძლებდა, ანთუ: დრო იყო ისეთი, ყველაზე მდაბალი ვნებები რო ბატონდებოდა, ადამიანის ყველაზე ცუდი თვისებები რო ამოიფინებოდა სააშკარაოდა, უსირცხვილოდა და უსინდისოდა. ბევრი ბევრისაგან არ განირჩეოდა და არც რო საკვირველი გახლდათ, ისინიც რო უკეთურად იქცეოდნენ. არც ვასახელებ ამიტომაცა. მოვიხსენიებ თანამდებობებითა, ოფიციალური უფლებებით მოვიხსენიებ, სხვანიც რო ისევე ასრულებდნენ, თუმცა რო ზოგი ცოტა უკეთესადაცა, ცოტა მოხერხებულადაცა, ოღონდ ეს ცოტა საკმარისი არ გახლდა. მაინც სანატრელნი იყვნენ ასეთი ადამიანები. რაც იყო, ლავროსი მაინც დავასახელე თავისი სახელითა, თავისი გვარითა, რადგან ის უცებ შეიცვალა ჩემს თვალშია, უცებ წარმოსდგა თავისი ნამდვილი სახითა, ხოლო მანამდე თუ რასაც აკეთებდა, მხოლოდ ნიღაბი გახლდა, იძულებითი და მტანჯველი, მტანჯველი და იძულებითი ნიღაბი, ისეთი დღეები გადაეტანა 37-ში, ისეთი ძრწოლა გამოევლო. თვით ბერიას გამოეძახნა დაკითხვაზე. იმის თვალებს რო იგონებდა, რეტი ესხმოდა. დაწერა. გამოაქვეყნა კიდევაცა ბოლო ხანებშია. ოღონდ ნაწერი მაინც ნაწერია, მოყოლა კიდევ სხვა რაიმ გახლავს, იგივე განცდა რო ცოცხლდება. ერთხელ მეც მომიყვა და თვალთ აუჭრელდა. დატორტმანდა. რაფას

მოეჭიდა. ფანჯარასთან ვიდექით. მეც ხელი შევაშველე. მოსდევდა ის შიში, მოსდევდა, მოჰყიოდა. იმათ არაფერი, იმ სამეულსა, სიკეთის მეტი არაფერი არ მიეღოთ ამ ცხოვრებისაგანა და უფრთხილდებოდნენ ბოძებულ სიკეთესა, უფრთხილდებოდნენ.

და ეგონათ, რო „ბორიაყი" ემუქრებოდა იმათს სიკეთესა: მოგვხსნიანო, შფოთავდნენ, ჰოდა ჰო აიღეს და გაუბოძეს სხვა გამომცემლობასა. აქ ჰო მზაკვრობაც ერია და ისიცა რო, არც რო ისინი აიტკივებდნენ აუტკივარ თავსა; მტკიცებითა თუ მოთხოვნით ჰო ისინიც იგივეს ამტკიცებდნენ თუ იგივეს მოითხოვდნენ, ხოლო მერე ჰო ისიც გაირკვა, – ჩემთვისა, თორემ იმათთვის ჰო გარკვეულ იყო მანამდისაცა, – პირველი გამოცემის უფლება რო ჩამორთმეოდათ, გაირკვა და იქიდანაც ავიკარი გუდანაბადი. ადვილი სათქმელია!.. ამ ორ გამომცემლობას შორისა ტრიალებდა ჩვენი წიგნები, სხვა გასაქანი რო აღარ იყო. „ნაკადულს" არ შეეფერებოდა „ბორიაყი". „ნაკადულში" ჩემი სოფლის ეტიუდები იბეჭდებოდა, ამითიღა ვითქვამდი სულსა. ამასობაში „მერანში" უფროსობა შეიცვალა და ჩემთვის სასიკეთოდ შეიცვალა: ხელგაშლით შემეგებნენ, ყოველგვარი დახმარება აღმითქვეს, მწვანე შუქი გექნება ამიერიდანაო, დამარწმუნეს. არცთუ ადვილად ვერწმუნებოდი რაღა თქმა უნდა, მაგრამ მდგომარეობა მაინც შეიცვალა, მაინც კმაყოფილება თუ დამშვიდება მმართებდა, მაინც სიამოვნებით მივდიოდი, სიამოვნებითვე რო მეგებებოდნენ, მაგრამ სიამოვნება სიამოვნებადა რჩებოდა, აღთქმა აღთქმადა, არ იცვლებოდა არაფერი, არსებითად არ იცვლებოდა.

წინააღმდეგობა აღარ მეჩხირებოდა, მაგრამ თანხმობაც გადაულახავი აღმოჩნდა, გადაულახავიცა და გამაღიზიანებელიცა. უკვე ის წინააღმდეგობა მერჩივნა. მედავებოდნენ, ვედავებოდი, მზაკვრობდნენ, გული მომდიოდა, ახლა რაღაო: მეფერებოდნენ და ამაზე მომდიოდა გული. ეს უფრო ძნელი ასატანი გამოდგა. ამიტომაც იყო რო ვეუბნებოდი: აქ ჩემი მტრები ისხდნენ და მეტს ვერაფერს მაკლებდნენ, გარდა იმისა, რო ჩემს წიგნებს არა სცემდნენ-მეთქი, ახლა ჩემი მეგობრები ჩასხედით და მეტს ვერაფერს მიკეთებთ, გარდა იმისა, რო ჩემს წიგნებს არა სცემთმეთქი. მებოდიშებოდნენ, თავსიმართლებდნენ, მოიდებდნენ ათასგვარ მიზეზსა, – ქაღალდი მოგვაკლესო, გეგმა ვერ შევასრულეთო, სტამბები გვღალატობენო, მოიდებდნენ ათასგვარ მიზეზსა, მართალიც რო იყო და არც იყო მართალი, სხვების წიგნები რო გამოდიოდა დაუბრკოლებლადა, მე მებოდიშებოდნენ, მიყვავებდნენ, არ იშურებდნენ კეთილ სიტყვასა, ასე განსაჯე, რო ქებასაც რო არ იშურებდნენ, სხვებს რო მოხიბლავდა, ისეთ ქებასა, მაგრამ ვაგლახ რო აღარაფერს აღარა ჰქონდა ფასი ჩემს თვალში, აღარც ქებასა, აღარც ძაგებასა, ვაგლახ!..

ის ხელმძღვანელობაც შეიცვალა გამომცემლობაში. თითქოს რო საშველიც დაადგა „ბორიაყსა". ოღონდ აქ ერთი კურიოზიც მოჰხდა და ურიგო არ იქნება, ისიც რო აღვნიშნო, როგორც ბიოგრაფია „ბორიაყისა", როგორც დამახასიათებელი ნიშანი ჩვენი საგამომცემლო საქმიანობისა. აქ არც ცენზურა არაფერ შუაშია, არც შიში ზემდგომი ორგანოებისა, არც პრინციპულობა თუ უპრინციპობა

გამომცემლობის მესვეურებისა, არც შური თუ რაღაც ამგვარები, მხოლოდ კურიოზია და დამახასიათებელი კურიოზი, ანთუ დამადასტურებელი იმისა თუ რა შეიძლება გადაჰხდეს ერთ წიგნსა, რა მეორესა, ერთდაიმავე გზაზედა, ერთდაიმავე გამომცემლობაში. ერთი ჰო უკვე მოგახსენეთ: „ბორიაყში“ გადაცვალესმეთქი და ის ჰო გამოვიდა იმავე წელსა, უკვე აღარც ახსოვდათ თუ როდის გამოვიდა, არც რო ის ახსოვდათ, გამოვიდა თუ არა, ანთუ არსებობდა თუ არა ასეთი წიგნი, და აი კიდევ გამოტყვრა სხვაცა... გამოვიდა წიგნი, რო არავის არ გაეგონა, რო არცერთ გეგმაში არა ყოფილა, ისეთი წიგნი, უცებ გამოვიდა. უცებ გამოვიდა და აღშფოთდნენ მწერლები, ის მწერლები, რომელთა წიგნებს არცთუ ებრძოდნენ ასე „ბორიაყივითა“, შეჰქონდათ გეგმაში, ძირითად გეგმაში, და გადაჰქონდათ გეგმიდან გეგმაში, რო ვერ ასრულებდნენ გეგმებსა ცხადია, ოღონდ გადაჰქონდათ სწორედ ისინი, ისევ ისინი და ისევ ისინი, და აი აღშფოთდნენ, ასტეხეს ხმაური, გაასაჩივრეს, ჩარიეს ზემდგომი ორგანოები. ეცნენ საგამომცემლო კომიტეტსა. იქ ხელი დაიბანეს, ჩვენ არაფერი არ ვიცითო. გამომცემლობა ვეღარ დაიბანდა ხელსა, – წიგნი გამოვიდა. გამომცემლობას სხვაგვარად უნდა გაემართლებინა თავი, თუმცა რო გამომცემლობა არა ტყუოდა. გადაწყდა ზეპირი შეთანხმებითა: გამომცემლობის დირექტორს დაურეკა გამომცემლობათა კომიტეტის თავმჯდომარემა და წიგნი გამოვიდა თავბრუდამხვევი სისწრაფითა, როგორც დაადგინეს – 18 დღეშიო, გონს მოსვლა რო ვერავინ მოასწრო. მერეღა მოვიდნენ გონსა, წიგნი რო გამო-

ვიდა. გამომცემლობამ ისღა მოახერხა, უკანა რიცხვით რო ჩასვა საწარმოო გეგმაშია, ოღონდ გეგმიდანაც ჰო უნდა ამოეღო სხვა რომელიმე წიგნი?.. უნდა ამოეღო!.. და ამოიღო „ბორიაყი". თაბახების რაოდენობაც ემთხვეოდაო, მიხსნიდა დირექტორი, და თანაც შენ რო გამიგებ, სხვა ისე ვინ გამიგებსო, მიბრძანეს და უარი დაარტყესო, სხვა ველარაფერი ველარ ვიღონეო. მეც რაღა მრჩებოდა, – უნდა მწყენოდა და უნდა გამეგო კიდევაცა, ჩვენ იმდენი ხნისა და ისეთი კეთილი ურთიერთობა გვქონდა, უნდა გამეგო. ამასთან კიდევაც მანუგეშებდა, ჩაიაროს ამ ამბავმაო, შენს წიგნს ბრძანებით გამოვცემო. გამეგონა ასეთი წესიცა: წიგნები რო გამოდიოდა ბრძანებითა, გამოდიოდა და გამოდიოდა, იყვნენ ასეთი პრივილეგირებული მწერლებიცა, ოღონდ დაეწერათ, გეგმა არ უნდოდათ, ლოდინი არ უნდოდათ, რეცენზიებსაც მიუძღვნიდნენ კრიტიკოსები დაბეჭვდამდისა. იყო ასეთი ბედნიერი წიგნები, ეს წიგნიც რო ბედნიერი გამოდგა – 18 დღეშიო. თუმცა ჰო: ბრძანებით გამოვცემო, მერმისამდის აღარ დაგაყოვნებო. მაგრამ დაყოვნდა. დაყოვნდა. ბრძანება დაიწერა. კომიტეტში გაიგზავნა დასამტკიცებლადა, საგამომცემლო კომიტეტშია რაღა თქმა უნდა, ოღონდ... კომიტეტის თავმჯდომარედ ის კაცი შეეგება „ბორიაყსა", ის კაცი, ვინც რო „მნათობში" რედაქტორად დაჰხვდა. სასეიროა არა!.. დახვდა და უარჰყო, ალბათ რო სამართლიანი შენიშვნითა: გეგმები ვერ შეგისრულებიათ, რა დროს ბრძანებით გამოცემაა, – ალბათ რო სამართლიანი შენიშვნითამეთქი, იქვე და იმავე წუთს სხვა ბრძანებითი გამოცემებისათვის რო არ მოეწერა ხელი.

მაინც გამოვიდა „ბორიაყი“, როგორც იქნა გამოვიდა. იგივე დირექტორმა დაბეჭდა, აკინძვით სხვა დირექტორის ხელში აიკინძა. დრო გადიოდა. ყველაფერი იცვლებოდა: დირექტორები იცვლებოდნენ, კომიტეტის თავმჯდომარეებიცა, შეხედულებებიც იცვლებოდა, ცენზურაც იცვლებოდა, თამამდებოდა სალიტერატურო სარბიელიცა, ბედი არ იცვლებოდა „ბორიაყისა“, ბოლოს ესეც რო შეიცვალა, უცვლელი რო არაფერი არ არის ამ ქვეყნადაო.

მაინც გამოვიდა.

ეს მეორე გამოცემად ჩაითვლება, მაგრამ ცალკე წიგნად მაინც პირველად გამოდის.

3 ნოემბერი, 1989

მინაწერი:

ეს მეორე გამოცემად ჩაითვლებაო – ვერა, მაინც ვერ გაუჭრა ბედმა. ახლა მარტის 31-ია 2006 წლისა. და ისევ პირვანდელი გამოცემა მიჭირავს ხელშია...

„თქვენ გმირი მოგხიბლავდათ“...

ოთარ ჩხეიძის რომანის „ბორიაყის“ მიხედვით

ცენტრალური რუსული პრესა „გარდაქმნის“ მერე არა მარტო თავის დროზე რეპრესირებულ, გადასახლებულ და გარდაცვლილ მწერალთა დაუბეჭდავი ნაწარმოებებით აივსო, არამედ ცოცხალ, ამჟამად მოღვაწე არაერთი მწერლის ნაწარმოებებმაც იხილა დღის სინათლე. აღმოჩნდა, რომ საარქივო პორთფელები თუ იატაკქვეშა უჯრები სავსე ყოფილა მრავალი საინტერესო მოთხრობით, რომანით, პოემით, რომელთა მხატვრული ღირებულება, ბუნებრივია, მეტნაკლები ესთეტიური მნიშვნელობით ხასიათდება, მაგრამ ეს მწერლები პრობლემატიკის, აქტუალობის, დროის სატკივრის თვალსაზრისით წლების განმავლობაში ჯიუტად იღვწოდნენ და მუშაობდნენ, უძრაობის რთულ პერიოდში, ისევე როგორც რეპრესიების საბედისწერო წლებში, ფარ-ხმალს არ ყრიდნენ, ხელიდან არ უშვებდნენ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველ საკუთარ უმთავრეს იარაღს – მხატვრულ სიტყვას.

ამ მხრივ ქართულ ლიტერატურულ სამყაროში აშკარად განიცდება უკმარისობის გრძნობა. და ეს მაშინ, როცა ფაქტიურად მოიხსნა სახელმწიფო ცენზურა, აზრისა და შემოქმედებითი პროცესის ეს უპირველესი და უმძლავრესი მუხრუჭი. აღმოჩნდა, რომ დროის განცდით დაღდასმული, ძლიერი და მნიშვნელოვანი გამოუქვეყნებელი ნაწარმოები თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, არც გვქონია. ეს იმითაც აიხსნება, რომ ქართველ მწერალ-რედაქტორთა საუკეთესო (მცირე) ნაწილი საკუთარი მოქალაქეობრივი გამბედაობითა და პირადი რისკით ასეთი ნაწარმოებების დასტამბვას ბედავდა და არ უშინდებოდა.

მე არ ვიცი, როგორ განვითარდება „გარდაქმნის" შემდგომი პერიოდი, რით დასრულდება იგი, ამ პროგნოზირების უფლება იქნება იმის გამოც არა მაქვს, რომ საკმაოდ სკეპტიკურად ვარ ყოველივე იმისადმი განწყობილი, რაც საკავშირო მასშტაბით ხდება. დიდი ანგარიშით ეს „გარდაქმნა", პირადად ჩემთვის, „პოლიტიკური სპექტაკლის", გრანდიოზული პოლიტიკური სპექტაკლის ხელწერით აფროა შესრულებული, ვიდრე ჭეშმარიტი, რადიკალური ცვლილებების, გარდაქმნებისა და იმპერიის მსხვრევის სურვილით, მაგრამ რითაც უნდა დამთავრდეს, მოცემულ ეტაპზე ქართული ლიტერატურისათვის იქნებ იმიტომაც ღირდეს იგი, რომ ამ წლებს, ამ ეპოქალურ ქარიშხლებს როგორღაც გამოვტაცეთ, ხელიდან გამოვგლიჯეთ გრიგოლ რობაქიძის ფენომენი. მომავალ თაობებს, ისე როგორც დღევანდელ მკითხველს, საშუალება მივეცით არა მხოლოდ „გველის პერანგი" წაეკითხა ათეული წლების მერე ხელახლა, არამედ სრულიად უცნობ ესსეებს, გამოკვლევებსა და რომანს

(„ჩაკლული სული“) გასცნობოდა. ბედნიერებაა, რომ არა მხოლოდ პრობლემატიკის, არამედ ოსტატობის თვალსაზრისითაც მომავალი ლიტერატორები აღმოჩენებისა და შეგირდობის სასიამოვნო წლებს გაივლიან ამ დიდი მხატვრისა და მოაზროვნის წყალობით.

თვით ბედისწერის თვალსაზრისითაც სავალალო და სიმპტომატური ფაქტია, რომ გრიგოლ რობაქიძის რომანი „ჩაკლული სული“ ქართულ ენაზე კი არა, გერმანულ ენაზე მოგვეპოვება და დღესდღეობით მხოლოდ ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებული თარგმანის მეშვეობით ვეცნობით მას. სწორედ გერმანულის წყალობით იმდროინდელი ევროპული საზოგადოება თავის დროზე რომანით „ჩაკლული სული“ ეზიარა იმ რთულსა და უმძიმეს წლებს, იმ აბსურდულ, გამოუვალ ყოფასა და სიმძიმეს, ეჭვითა და უნდობლობით გაჟღენთილ იმ პოლიტიკურ ატმოსფეროს, რომელშიც ეს სამოთხისდარი ქვეყანა – საქართველო იყო ჩათრეული...

მინიმუმამდე იყო დაყვანილი ის სიტუაციები, საშუალებები და პროცესები, რომლებშიც ადამიანი თავის საუკეთესო თვისებათა ჩვენებასა და გამჟღავნებას შეძლებდა. სამაგიეროდ, ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ ადამიანს თავისი ამაღლებული, კეთილშობილური სახე დაეკარგა და პიროვნება არარაობად ქცეულიყო. იყო პერიოდი, როცა ათასნაირ დაჯგუფებებს, საზოგადოებებსა თუ პარტიებს შორის სულ უფრო და უფრო სატანური სისწრაფით ძალღონეს იკრებდა ბოლშევიკური პარტია, სულ უფრო მეტი უდანაშაულო ადამიანის სისხლი იღვრებოდა. ეს გააფთრებული წლები სიკეთისა და ბოროტების მარადიული ბრძოლის კიდევ ერთი კატასტრო-

ფული პოლიტიკური ეტაპი იყო, რომელშიც ისე როგორც არასდროს, ეროვნული ცნობიერება მეთოდურად, შემდეგ კი აშკარა თავდასხმებით, ფანტასმაგორიული, კოშმარული მეხთატეხებით ისრისებოდა. „ჩაკლულ სულში", – გერმანულ ენაზე შემორჩენილ ამ უაღრესად ქართულ რომანში (სათაურშივეა გახსნილი რომანის არსი), სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა წარმოებდა ეგრეთ წოდებულ ბოლშევიკურ კოსმოპოლიტიზმსა და ჯანსაღ ეროვნულ ცნობიერებას შორის. სწორედ იმის გამო, რომ მიზნის მისაღწევად და საკუთარი პლატფორმის განსამტკიცებლად ბოლშევიზმი ნებისმიერ საშუალებას ამართლებდა და ანტიჰუმანურ, ანტიადამიანურ მეთოდებს იყენებდა, ამ მეთოდებისა და ცნობიერების მსხვერპლი მრავალი ღირსეული პიროვნება ხდებოდა. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ეროვნული ცნობიერების პარალიზებასა და დეგრადირებას, ეროვნული სულის მოშთობას, მის სრულ გაქრობასა და გაუჩინარებას. რობაქიძე, მისი მწერლური და ადამიანური ბედისწერა მომავალში მრავალ მკვლევარს მისცემს დაფიქრებისა და აღმოჩენების საშუალებას. რობაქიძის ფენომენი, ისევე როგორც მთლიანად მისი პიროვნული და მხატვრული სამყარო, ცალკე უზარმაზარი თემაა...

დღევანდელი არქივებიდან, ქრონიკებიდან, პრესიდან უკვე უამრავი რამ გაირკვა. უამრავ სავალალო და თავზარდამცემ საიდუმლოს აეხადა ფარდა. წლობით ტაბუდადებული უამრავი თემა წარმოჩინდა... გაირკვა და ირკვევა, რომ შემოქმედმა ადამიანმა ამ დოკუმენტების საშუალებით, ამიერიდან შესაძლოა, გამუდმებით კვებოს თავისი მხატვრული წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარი. დარწმუნებულიც ვარ,

რომ მომავალი თაობა არაერთ ღირებულ მნიშვნელოვან მხატვრულ დოკუმენტს შექმნის ამ მძიმე წლების შესახებ. მაგრამ ეს მომავლის საქმეა.

ამჯერად კი ჩვენს სინამდვილეში, ჩვენს ლიტერატურულ სამყაროში არსებობს უაღრესად საყურადღებო, მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები, უაღრესად მართალი და მძაფრი რომანი, რომელიც ეკუთვნის დღეს მოქმედ მწერლებს შორის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულს, ოთარ ჩხეიძეს. ეს რომანია „ბორიაყი" (რომელიც, თუ არ ვცდები, დაახლოებით ოცი წლის წინათაა დაწერილი და რომლის მიხედვითაც რეჟისორმა, გიორგი შენგელაიამ შესანიშნავი ფილმი „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა" გადაიღო. ქართულ კინემატოგრაფიაში იგი ერთადერთი ფილმია, რომელშიც რეპრესიის წლების შედეგად მოგვრილი შიში უაღრესად ფიზიკურადაა განცდილი და ამ გრძნობის, სულიერი და ემოციური სფეროს დათრგუნვისა და ტერორიზების შედეგად მოგვრილი განცდები ვიზუალურად, ფანტასტიკურადაა მიღწეული და გადმოცემული. მე არ ვგულისხმობ და საგანგებოდ არ ვასახელებ თენგიზ აბულაძის ფილმს „მონანიებას", რომელიც, პირადად ჩემთვის, სხვა კუთხით უფროა მნიშვნელოვანი და საინტერესო, ვინემ შიშის, როგორც თავისუფლების უძველესი და მარადიული ჯალათის, წარმოჩენის თვალსაზრისით... გიორგი შენგელაიას ფილმში ნებისმიერი კადრი, ნებისმიერი სახლი, ნებისმიერი ეზო-კარმიდამო, თვით ჰაერიც კი ამ დამთრგუნავი, ყოვლისმომცველი და შეურაცხმყოფელი შიშითაა აღსავსე და დამუხტული).

შორს ვდგავარ იმ აზრისაგან, თითქოს ადამიანის, პიროვნების წარმოჩენას შემოქმედებაში, კერძოდ

ლიტერატურაში, უსათუოდ ეპოქალური ძვრები, ექსტრემალური სიტუაციები, მოულოდნელი კოლიზიები და ა.შ. მსგავსი „ხელშემწყობი" მომენტები განაპირობებენ.

ნებისმიერ დიდ ლიტერატურაში, რაზედაც უნდა წერდეს მწერალი, სოციალური გარემო, ეპოქა თავისთავად, ბუნებრივად და ძალდაუტანებლად წარმოჩინდება. თვით ასკეტების მიერ დატოვებულ დოკუმენტებში, საცა სულიერი ცხოვრება მხოლოდ მაღალ მატერიებზე ფიქრსა და ზრუნვაში მიედინება, საცა თითქმის გამოხურულია ამქვეყნიური ყოფისა და ცხოვრების მძიმე კარი, ჟამიდან ჟამზე მაინც გაჟონავს ხოლმე ეპოქის სული, ყოველ შემთხვევაში – იმ მიზეზების მცირე და ფერმკრთალი ანარეკლი, რომლის გამოც პიროვნება უარს ამბობს ამქვეყნიურ ცხოვრებაზე და საბოლოოდ მიდის ჩვენგან. რადგან ასკეტებად არ იბადებიან, ასკეტობამდე მიდიან. ასევეა მწერლობაც, შემოქმედებაც, რომელიც ერთსა და იმავე დროს რაღაც დოზით ამ ასკეტობასაც, ამქვეყნიური ცხოვრებისაგან განრიდებასაც გულისხმობს და იმ შეჭირვებებისადა სიმძიმეების საკუთარ თავზე გადატანასაც, რომლითაც ესა თუ ის ხალხი ცხოვრობს ამა თუ იმ სოციალურ, პოლიტიკურ, ისტორიულ მონაკვეთსა და პირობებში. ეს ბუნებრივია, რადგან ნებისმიერი დიდი მწერალი თავისი ეპოქის ღვიძლი შვილიცაა. რაც უნდა წინასწარჭვრეტის, ღრმა ინტუიციისა და მსოფლმხედველობის მწერალთან გვქონდეს საქმე, რომელიც ხშირად მოვლენებს წინ უსწრებს და ეპოქას უკან ჩამოიტოვებს ხოლმე, ის მაინც თავისი ეპოქის შვილი, თავისი დროის პირმშო და პროდუქტია, მეტიც, თავისი თაობის სულისკვეთების წარმომ-

ჩენი და მატარებელია. ეს ტრივიალური ჭეშმარიტებაა და ამაზე სიტყვის გაგრძელება ალბათ აღარ ღირს.

მაგრამ ერთი კი აშკარაა, ისე როგორც მდორე, მშვიდი, კონფორმიზმით აღსავსე დღეები წიაღში ჩაფლულ ადამიანში ხდება მოულოდნელი ცვლილებები, როდესაც ეს ადამიანი ექსტრემალურ, მძიმე სიტუაციაში მოხვედრისას ლაკმუსივით გამჟღავნდება და საკუთარ თავს საკუთარ პერსონას სრულიად მოულოდნელ ხარისხებში აღმოაჩენს, ასევეა ეპოქალური ძვრები, ისტორიული გარდატეხები, სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, ეკოლოგიური კატასტროფები, ეთნოკრიზისული მომენტები და ბრძოლები. ყოველივე ეს, ერთად აღებული,და კიდევ უამრავი თვალით ხილული თუ უხილავი პროცესი და მოვლენა უფრო თვალსაჩინოდ გამოხატავს ერის ხასიათს, ერის თვისებებს, პოტენციას, მის ღირსებებსა თუ ჩრდილოვან მხარეებს.

ბუნებრივია, ეს ერები, ეს ხალხები, საზოგადოებები, ესა თუ ის დაჯგუფებები ადამიანებისაგან შედგება და სწორედ ხსენებული, ჩამოთვლილი პროცესები იძლევა იმის საშუალებას, რომ ადამიანებში პიროვნებები აღმოვაჩინოთ. სწორედ ამ დროს გამოიკვეთება ასე ცხადად და თვალსაჩინოდ პიროვნების მსოფლმხედველობა, ტემპერამენტი, პასივობისა თუ აქტივობის, სიყვარულისა თუ სიძულვილის, რწმენისა და იმედის უნარი, კრიტიციზმი, გონიერება, დიპლომატია და ა.შ.

პიროვნული კრედოს, პიროვნული ინტერესებისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ოთარ ჩხეიძის თვალსაჩინო რომანი „ბორიაყი“, რომელშიც ქართული ხასიათი სწორედ პიროვ-

ნებათა შემწეობითაა ნაჩვენები. ამ ხასიათის მრავალფეროვნება, სიღრმე და ტრაგიზმი სწორედ პიროვნებათა მიერაა გაცხადებული. რომანში, თითოეული ადამიანის მორალურ-ეთიკური და ზნეობრივი სტატუსი, ეროვნული და, საერთოდ, პიროვნული მრწამსი, სწორედ მწვავე სოციალ-პოლიტიკური ვითარების გამუქებისა და გამწვავების ფონზე გამოიხატება...

ესაა ისტორია შემოქმედებითი ინტელიგენციის წრიდან გამოსული კაცისა, ახალგაზრდა კომპოზიტორისა, რომელსაც საბედისწერო ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებაში უწევს თავისი მიზნისა და იდეის განხორციელებისათვის საჭირო მოღვაწეობა.

ნიკუშა ჩაჩანიძე, ახალგაზრდა კომპოზიტორი, ცხოვრობს და იღვნის მხოლოდ და მხოლოდ როგორც ხელოვანი, მიუხედავად იმისა, რომ პრინციპში მისი მიზანი – რადაც უნდა დაუჯდეს ქართლში მოგზაურობის დროს ჩაწეროს და შეაგროვოს უნიკალური ხალხური სიმღერები, – თავისი არსით, მართლაც, ეროვნული, პატრიოტულია. თუმცა თავად ამ საქმიანობას არ უყურებს მაინცდამაინც როგორ პატრიოტი, როგორც მოქალაქე. იგი ამასაც უფრო ხელოვნების სიყვარულით აკეთებს.

ამიტომაა, რომ თითქმის მთელი რომანის მანძილზე იგი როგორც პიროვნება, დროის კონტექსტიდან აბსოლუტურად ამოვარდნილია, აბსოლუტურად სხვა განზომილებაში ცხოვრობს, ეს განზომილება კი სხვა არაფერია, თუ არა ხელოვნება, თუ არა მუსიკა, მუსიკის დრო და მუსიკის სივრცე. მუსიკა, მუსიკა და სხვა არაფერი...

ამიტომაა, რომ ნიკუშა ჩაჩანიძე ვერც თავისი მოამაგე პედაგოგის გაფრთხილებას აღიქვამს მთელი

სერიოზულობით, მძიმე და ჟამია ეგ საქმე მომავლისათვის გადავდოთო. იგი, მთელი ამ მოგზაურობის დროს, თითქმის არაფერს აქცევს ყურადღებას, – არც გარემოს, არც ბაზრებში მოზიბზიბე ხალხს, არც გზადაგზა მაღლობ ადგილებზე წამომართულ ციხეებსა თუ სალოცავებს:

„ელოდა და მიეშურებოდა, ისე რიგად მიეშურებოდა, არც დამახსოვრებია სადგური გორისა, არც ის დახსომებია, თუ ვისა ჰკითხა, ეტლი სად იქნებაო. არც ისა, ეტლამდის ვინ მიაცილა, თუ ვინ ჩაუჯდა სადგურიდან გორის ციხემდისა. ასე გასინჯეთ, ციხეც როდი დახსომებია, ან არც თუ შეუხედავს, ან ისე გადაუცურებია თვალი, ბაზარზედაცა, ხალხზედაცა, ერთი სიტყვით, ყველასა და ყველაფერზედაცა, არც თუ უხილავს, არც რა დახსომებია, ისე მიეშურებოდა, ისეთი რამ ამოეჭრა გულში...“

„... ითმენდა მაინცა, ითმენდა და წამოსცდებოდა კრძალვითა, გაუბედავად. მხოლოდ კითხვად თუ წამოსცდებოდა, ვერ აჩქარდებიან ცოტა მეტადაო, – ასე კითხვად წამოსცდებოდა და კითხვითვე მოუგებდა მეეტლეცა: თუ გაგიგია, რასა ფასობდა ჩანახი ქერი ამ კვირია ბაზარზედაო. მიუგებდა და დაუწრუპუნებდა, აქეთაცაო, იქითაცაო, ცხენები ყურს მაინც არ შეიბერტყავდნენ. ამისი რა გითხრა, რო არ გაეგო, ჩანახი ქერი თუ რა ღირდა ბაზარზედაო. არც გაეგო და ვერც გაიგებდ, მხოლოდ სიმღერის ფასი იცოდა, ღირსება იცოდა, სიდიადე იცოდა მელოდიისა. ბაზრისა, არა, არაფერი იცოდა, არაფერი გაეგებოდა, ვერც მიუგებდა და უნდა ეჩაქჩაქა, ეჩაქჩაქა რახან ვერაფერს მიუგებდა. აბა, მაშ რაო, შეეკითხებოდა კიდეც თუ წამოსცდებოდა, შეეკითხებოდა მეეტლეცა აგ-

რეთვე, ბევრად უარესსაც შეეკითხებოდა, ვერც ვერას მიუგებდა ეს ჩემი მგზავრი, არცთუ ცხენები აუჩქარდებოდნენ..."

ეს არის შემოქმედი ადამიანის პიროვნული ტრაგედია, რომელიც ისტორიული უკუღმართობის გამო ვერ აღწევს თავის მიზანს, სანუკვარ ოცნებას – შეკრიბოს და გადაამუშაოს ხალხური სიმღერები.

ახალგაზრდა კომპოზიტორის მაგალითზე, მისი ცხოვრებისა და ინტერესების სფეროს ანალიზისას განსაკუთრებით ნიშანდობლივი ხდება ერთი მომენტი:

ადამიანი, ხელოვანი იქნება ის თუ არახელოვანი, ძნელად ეგუება ფაქტს, რომ მისმა ცხოვრებამ უაზროდ, უმიზნოდ ჩაიაროს, პირიქით, ნებისმიერი ჩვენგანი ცდილობს, ცხოვრებას აზრი მიანიჭოს და ამ აზრის მინიჭება, ხშირ შემთხვევაში იდეალის ძიებით, იდეალის დასახვით ხდება. სწორედ იდეალის მეშვეობით იმუხტება ადამიანის ცხოვრების აზრი, სწორედ იდეალის მეშვეობით ედება მის არსებობას ფასი.

ნიკუშა ის პიროვნებაა, რომელსაც არასოდეს ხმამაღლა არ განუცხადებია თავისი არსისა და დანიშნულების შესახებ ეროვნულობის, პატრიოტულობის კონტექსტში. მისი მიზანი, სხვა არაფერია, თუ არა ახალგაზრდა ხელოვანის მოქალაქეობრივი და მამულიშვილური მისია – შეკრიბოს და შეაგროვოს ქართული ხალხური სიმღერები, გადაარჩინოს, შთამომავლობას შემოუნახოს ქართული ხალხური გენიის მარგალიტები, მაგრამ ეს დიდი და მაღალი ანგარიშით, ასე, ამ თვალსაწიერიდან ჩვენ, გარეშე ადამიანები ვუყურებთ მის ღვაწლს. ის ადამიანები, რომლებმაც ვიცით ამგვარი შრომის ნამდვილი ფასი. ამიტომ

ახალგაზრდა კომპოზიტორის საქციელს, ძნელბედობის ჟამს იმოგზაუროს ქართლში და შეაგროვოს ხალხური სიმღერები, ჩვენ ნამდვილ გმირობად, პიროვნულ ძლიერებად აღვიქვამთ. თუ ყურადღებით გავადევნებთ თვალს ამ ხასიათს, პერსონაჟისათვის დამახასიათებელ სხვადასხვა თვისებებს, მისი ბუნების ნიუანსებს, დავინახავთ, რომ ოთარ ჩხეიძემ მათი შემწეობით სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ, სოციალურ, ზნეობრივ, ეთიკურ-მორალურ მომენტებს მიაქცია ყურადღება და მოგზაურობის, ესე იგი, ქმედების არეალში, არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანი დასკვნები გამოიტანა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლებოდა მომხდარიყო.

ნიკუშა ჩაჩანიძის მაგალითზე ავტორმა გვიჩვენა, რომ არსებობს ადამიანური მისია. უფრო სწორედ, ადამიანური ბუნება-ხასიათი, რომელსაც ამა თუ იმ მისიის გარეშე ყოფნა ერთი წამითაც არ შეუძლია და რომლის შესრულებაშიც ეს ადამიანი თავისი ამქვეყნად ყოფნის გამართლებას ხედავს... კერძოდ, ნიკუშა ჩაჩანიძე – ესაა ხელოვანი, რომელიც ისეა შეპყრობილი საკუთარი მიკროსამყაროთი, საკუთარი შემოქმედებითი მიზნით, ხელოვნებას იმდენად ეკუთვნის იგი მთელი თავისი არსებით, რომ ხშირად მისი პიროვნული მისწრაფებები არათუ ვერ „ყლერენ" უნისონში დროის პრობლემებთან, არამედ ეწინააღმდეგებიან კიდეც მას. ნიკუშა ჩაჩანიძის პიროვნული ცხოვრება სოციალურ-პოლიტიკური, ისტორიული ყოფის დინების პარალელურად კი არ მიედინება, დინების საწინააღმდეგოდ მიემართება და ხშირად, როცა გარე სამყარო თავის მოსახლეობით რაღაც დიდ იდეას (ამ შემთხვევაში, თავისუფლების მოპოვების იდეას) ჰყავს

შეპყრობილი, ნიკუშა ჩაჩანიძისთვის თვით ეს იდეაც თავისუფლებისა, სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი ერის შემოქმედების შეგროვება, დაცვა, გადარჩენა და მოვლა-პატრონობა.

ამიტომ შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ რომანის დასაწყისში სწორედ მოგზაურობაზეა მწერლის აქცენტი გადატანილი და იგი თბილი ირონიით ცდილობს გლობალური, ზოგადსაკაცობრიო მოგზაურობებისა და აღმოჩენების ფონზე ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობის მიზნის წარმოჩენას:

„მოგზაურობა ბევრგვარი ყოფილა, ბევრგვარი ყოფილან მოგზაურნიცა, მოგზაურობას ბევრი რამ მოჰყოლია, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიც მოჰყოლია ჟინსა მოგზაურობისა. კოსმოსში გაჭრაც მოჰყოლია ამავე ჟინსა – მოგზაურობა ყოფილა ყველაფერი, ყველაფერი მოგზაურობა ყოფილა.

ნიკუშას ამბავიც მოგზაურობაა, აი, ეს ამბავი, ახლა რომ მოგითხრობთ, ძველიცაა, თუმცა ისე ძველიც არაა, დიდ აღმოჩენებთან რომ მოიხსენიებოდეს, ვთქვათ, კოლუმბთან თუ ვასკო დაგამასთანა, არა, ისე ძველიც არაა, თანაც იმდენიც არ გაეგებოდა, მოგზაურობა რომ დაჰყოლოდა ბედადა. არა, არ გაეგებოდა თუ არ იცოდა, კოლუმბმა იცოდა, ვასკო დაგამამაც იცოდა, ჯემს კუკმაცა, ამან არ იცოდა, არც ის უწყოდა, თუ რა ყაიდის მოგზაურობა გამოვიდოდა, მწუხარე სახის რაინდი, თუ ისე უბრალოდ სენტიმენტალური მოგზაური –არა, არ უწყოდა, არ გაეგებოდა, თუ ვის რას გადაჰკიდებდა ახირებაი მისი, თუ სურვილი, სულერთია. ვის რას გადაჰკიდებოდა, ეს არ გაეგებოდა. არ უწყოდა, არ უწყოდა, ბევრი რამ არ უწყოდა, ბევრი რამ არ იცოდა, მუსიკა იცოდა, იცოდა და

უყვარდა, კმაროდა ტვირთად ერთი კაცისა (ხაზი ჩვენია – მ.ჯ.). მუსიკა იცოდა და ხალხური სიმღერების შეკრება განეზრახა შიდა ქართლში. ეს იყო მხოლოდა, განეზრახა და აღძრულიყო, ხოლო თუ რა გამოვიდოდა აქედანა, სწორედ რომ მოგზაურობა გამოვიდოდა, ან როგორი რა მოგზაურობა გამოვიდოდა, არც ეფიქრა, არც უფიქრია, არც წაჰკამათებია არავისა, ამაზე არ წაჰკამათებია, თორემ ისე, იცოცხლეთ, საკამათოც ბლომად გამოუჩნდა, სადავიდარაბოც, თავბედიც იწყევლა, გაჩენისა თუ ნათლობის დღეცა, ისიც გაახსენდა, გვიანლა არის თითზე კბენანიო. თუმცა არა, „თითზე კბენანი" არ მოაგონდებოდა, მხოლოდა „გვიანლა არის, გვიანლა არის".

რომანში „ბორიაყი" უაღრესად მნიშვნელოვანი სიმბოლოა რუკა, რომელიც გიორგი ყანჩაველმა შეადგინა თბილისში და თავის ერთგულ მოწაფეს, ნიკუშა ჩაჩანიძეს გადასცა. რუკაზე შემოხაზული და აღნიშნულია ის პუნქტები და წერტილები (შიდა ქართლისა), ის ოჯახები, რომლებიც ამ კუთხის კეთილშობილ, ჯანსაღ, ინტელიგენტურ ძალებს წარმოადგენენ. ხოლო წარჩინებული გვარებისა და ღირსების მქონე ადამიანებმა, გეგმის მიხედვით, ნიკუშა ჩაჩანიძეს დახმარება უნდა გაუწიონ და საშუალება მისცენ ახალგაზრდა კომპოზიტორს, რათა მან საქართველოს ამ მხარეში ქართული ხალხური სიმღერები შეკრიბოს...

რუკაზე აღნიშნული წერტილები – ესაა ქართლის ის ძირძველი ოჯახები, რომლებმაც დღემდე შეურყვნელად მოიტანეს თავიანთი საგვარეულო თუ ეროვნული ტრადიციები, ადათ-წესები, სტუმარ-მასპინძლობის, ურთიერთნდობისა და პატივისცემის ქრისტიანული მორალი...

შემთხვევით არ შეუდგენია თავისი ახიარებული მონაფისათვის, ნიკუშა ჩაჩანიძისათვის სახელგანთქმულ კომპოზიტორსა და პედაგოგს, გიორგი ყანჩაველს ხსენებული რუკა.

გიორგიმ კარგად უწყოდა, რომ ამ გაპარტახებულ, ამღვრეულ ურთიერთმტრობისა და საყოველთაო შიშის ჟამს ყველა ადამიანის ნდობა არ შეიძლებოდა. საბედისწერო გამოდგა რუკის არსებობა. საბედისწერო, რადგან მისი აღმოჩენით ბოლშევიკებმა (მართალია, ამ სახელით ეს პიროვნებები რომანში არ მოიხსენიებიან, მაგრამ ვივარაუდოთ, რომ ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ მაშინდელი ცენზურაა) „საშიში დამნაშავე" და „შეთქმულება" აღმოაჩინეს. ნიკუშა ჩაჩანიძის სახით მათ იდეოლოგიური, კლასობრივი მტერი დაინახეს და როგორც ერთ-ერთი უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ფიგურა, მტრის ბანაკიდან, ასე აღიქვეს მისი საქმიანობა. ასე და ამრიგად, სოციალურ-პოლიტიკური ავბედობის გამო ახალგაზრდა კომპოზიტორის კეთილშობილური და უვნებელი მიზანი ბოროტ განზრახვად მიიჩნიეს, ხოლო მისი მოგზაურობის უმთავრეს მისიად რუკაზე აღნიშნული წარჩინებული გვარების წარმომადგენლებთან საიდუმლო მოლაპარაკება და აჯანყების მოწყობა ჩათვალეს.

და ყოველივე ეს იმ დროისათვის ბუნებრივიცაა, რადგან მსგავსი ფიქრი და ვარაუდი მათი შესაძლებლობების, ინტერესებისა და, რაც მთავარია, ეპოქით განპირობებული მოვლენების გამო უფრო ბუნებრივად აღიქმებოდა, ვინემ იმის დაჯერება, რომ საყოველთაო შიშისა და ტერორის, ურთიერთანგარიშსწორებისა და მტრობის, გამცემლობისა და გააფთრებუ-

ლი ბრძოლების ჟამს გამოჩნდებოდა ვინმე „შერეკილი“ ნიკუშა ჩაჩანიძის სახით, რომელიც ხეთერელების, ოცხელების, კათარელებისა და სხვა ძველი გვარების სოფლებსა და სახლებს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ აღნიშნავდა რუკაზე, რომ ადვილად გადასულიყო ერთი სოფლიდან მეორეში, და ეს უვნებელი მისია – სიმღერების ჩაწერა და შეგროვება – შეესრულებინა.

ამ მოგზაურობით, რომელიც ფაქტიურად რუკაზე აღნიშნული პუნქტების დაცვით წარმოებს, შესანიშნავადაა წარმოჩენილი მწერლის მიერ ძველი გვარების, ოჯახების მთელი შინაარსი, მათი ყოფა, მათი არსი, ცხოვრებისეული კრედო, მიზეზები, მიზნები და ხშირ შემთხვევაში ინდივიდუალური, პიროვნული კონცეფციები და შესაძლებლობები.

თავისთავად ერის ყოფაში, სულში, ცნობიერებაში, შემოქმედებით პოტენციალში არსებობს და იგულისხმება გენიალური სიმღერები ისევე, როგორც ვაზის კულტი, ვენახის კულტი... საგალობლები, მაგრამ ისევე, როგორც ეს ვენახი, როგორც ეს ღვინო, ერთი შეხედვით, მომლოდინე, შეუსმელად უნდა ინახავდეს ასწლოვან თუ ათასწლოვან ქვევრებსა და ჭურჭლებში თავის სიმაგრეს, – ფერს, სურნელსა თუ არომატს, ასევე სიმღერაც თავის მღვიმეებში, – ადამიანთა მეხსიერებაში – მუსიკალურ ხსოვნაში უნდა იყოს შენახული, დაუნჯებული და სიმღერის ჟამს ელოდეს...

მაგრამ არსებობს პიროვნება, ადამიანი, ამ შემთხვევაში, ნიკუშა ჩაჩანიძის სახით, რომელსაც ღრმად აქვს გაცნობიერებული ყოველივეს წარმავლობა ამ ქვეყნად. ამიტომ ეშურება იგი, ამიტომ აღარ ენდობა ხსოვნას, ამიტომ ცდილობს, რაც შეიძლება

დროულად ჩაინეროს და შეაგროვოს ერის სანუჯე, რადგან ცხოვრება თავისი ტემპით, თავისი წესით და რიგით მიდის... მით უფრო არეულობის ჟამს – იმდენად ცვდება, ღარიბდება, ითრგუნება და ფერმკრთალდება ხსოვნა, იმდენად გლობალური მოუცლელობაა, რომ ნაკადულისა არ იყოს, გვალვის დროს დმშრალი და გამქრალი ნაკადულისა, კოკისპირული, ტროპიკული წვიმების დროს ამღვრეული და გამჭირვალებადაკარგული სიმღერაც იმღვრევა, ფორიაქდება, ჰკარგავს თავდაპირველ ტემპსა და სიმშვიდეს, ითქვიფება, იშლება, ლღვება და იფანტება გარესამყაროში...

თუ როგორ იცვლება გადაგვარებისაკენ ყველაფერი, შთამბეჭდავადაა ნაჩვენები ოთარ ჩხეიძის რომანში „ბორიაყი". განსაკუთრებით მძაფრია ძაღლებისაგან შეშინებული ნიკუშა ჩაჩანიძის სცენა, საცა მწერალი სევდიანად აღნიშნავს, რომ რაინდული სული მხოლოდ ძაღლებსღა შერჩათო:

„ძაღლებიც დაყუნცდნენ, და ელოდნენ აფოფრილი, აძაგრულნი, მოზიდულნი. ნაქცეულს არ დააცხრბოდნენ. არა, შერჩენოდათ ეს წესი, ეს სული რაინდული: ყველა შეცვლილიყო, გადასხვაფერებულიყო, ესენი არა, კვლავაც ფეხზემდგომს შეეჭიდებოდნენ, ჩამოეხსნებოდნენ ჩაფერხილსა, ღირსეულად ჩამოეხსნებოდნენ, ღირსეულადვე დაელოდებოდნენ, სული მოითქვას, ძალა მოიცეს, დაცემულთან ბრძოლა რა ვაჟკაცობაა..."

ნიკუშა ჩაჩანიძის სახით ავტორი გვიხატავს შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელს, რომელსაც არც პოლიტიკური, არც ცხოვრებისეული გამოცდილება, არც გამჭრიახობა და უნარი არ ჰყოფ-

ნის საამისოდ, რომ როგორმე მიხვდეს და ალღო აუ-ღოს მოცემულ სიტუაციას, როგორმე მოახერხოს თვალი მიადევნოს ისტორიულ რეალობას, როგორმე (დროებით) გადაუხვიოს დასახულ მიზანს. იგი იმდე-ნად ჰყავს სახელის გათქმის იდეას შეპყრობილი, რომ აბსოლუტურად ბრმად მოქმედებს, უგნურად იქცევა.

„ჯერ მხოლოდ გიორგი ყანჩაველმა და ორიოდე სხვამ თუ იცოდა ამისი ერთ-ერთი მუსიკალური ნა-წარმოები, თუ რაღაც დიდი რამ განზრახვის ნაწყვე-ტი, მაგრამ ეს არაფერი, ჯერ გიორგი ყანჩაველის თა-მადობაც, ქომაგობაც ეყოფოდა, ხოლო მერე, ამ მოგ-ზაურობის მოთავების შემდეგ, თვითონ იცოდა, რო-გორ გაითქვამდა სახელსა, ბარე ერთსა და ორს გა-უთქვამს სახელი, ბარე ერთსა და ორს გამოსდგომია ხალხური მუსიკალური საუნჯე, ამასაც შეეწევა, ამა-საც გამოადგება, გამოიყვანს დიდ ასპარეზზედა. შეს-ტრფის ამ იმედსა, ელოლიავება, ოღონდ არ გაამ-ხელს, ჯერ არ გაამხელს, თვითონ გიორგისთვისაც არ გაუმხელია. ჯერ მხოლოდ მოტრფიალეა უბადლო ხალხური სიმღერებისა, შემგროვებელია, მეტი არა-ფერი, მოტრფიალეა და შემგროვებელი. პატარა რა-მეა? არა, რა სათქმელია, დიდი რამეა, მაგრამ სხვა, ფარული მიზანი რომ უდევს გულში, იმასთან უაღრე-სი მოკრძალებაა“.

ახალგაზრდა კომპოზიტორის მდგომარეობიდან გამოყვანასა და რეალობასთან დაბრუნებას ამაოდ ცდილობს ელიზბარ ხეთერელი და სტუმრის შენიშ-ვნაზე, ნუ მაშინებთო, მშვიდად, აუღელვებლად უპა-სუხებს:

„– არ გაშინებთ, მხოლოდ გიხსნით, – თვალიც აა-რიდა, ხმასაც დაუწია ელიზბარმა, – როგორც გენე-

ბოთ, მინდა მხოლოდ იცოდეთ, რო მეჯუდის გაღმა-გამოღმა, გაღმა-გამოღმა პატარა ლიახვისა, დაღმა თუ ასე, მთებში შეყოლებამდე სოფელი არ არის, ალბათ ოჯახი არ მოიძებნება, სიკეთე რომ არ გამენიოს, უსასყიდლოდა, დაუზარლადა, უანგაროდა, ჩემის წამლითა და მაინც ეზოს გავცდები თუ არა, სათვალე უნდა ჩამოვიხსნა, თორემ ვილაც უკეთური ტყვიით დამიხვრეტს თვალებსა.

– ეს უბრალო შიშად როდილა მეჩვენება, ეს უკვე ავადმყოფობას ჰგავს, – საჩქაროდ დაატანა სტუმარმა, – მომიტევეთ ასე აშკარად რომ მოგმართავთ, მაგრამ თქვენ ისე დაჟინებით მინერგავთ შიშსა, თუ არ შეგებრძოლეთ, დამიმორჩილებთ.

– ეცადეთ თქვენსასა, – კიდევ უფრო დუნედა თქვა ელიზბარმა, – ოღონდ ერთი რამ მაინც გამიგონეთ, მოიხსენით ეგ შავი ბაბთა, თეთრ საყელოს რო გიმშვენებთ, მოიხსენით, თორემ გაუპირდაპირებენ თოფის ლულასა".

თავისთავდა ის ფაქტი, რომ ნიკუშა ჩაჩანიძეს მეგზურობას უწევს ლეკო თათაშელი, პირადად ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, სიმბოლურ ხასიათს იძენს. ეს არის ძლიერი ვნებითა და მხატვრული ხერხებით გამოძერწილი უაღრესად საინტერესო ტიპი-ხასიათი არა მხოლოდ ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ, მთელს თანამედროვე ქართულ პროზაში.

თუ ლეკო თათაშელის გარეგნობას, მის ფიზიონომიას ასე თუ ისე შესაძლოა ანალოგი დაეძებნოს ჩვენს ლიტერატურაში, მხატვრობაში და ა.შ. ხასიათის, ტიპაჟის თვალსაზრისით, პიროვნული თვისებებითა და მონაცემებით იგი აშკარად გამოკვეთილი და

ორიგინალური გმირია ქართულ რომანისტიკაში, თავისი დარდიმანდობით, თავისი ფორიაქითა და შფოთით. ოთარ ჩხეიძის ეს გმირი რაღაცით ჩამოჰგავს დავით კლდიაშვილის კირილე მიმინაშვილს. კირილე მიმინაშვილივით ლეკო თათაშელსაც გააჩნია რაღაცნაირი იშვიათი უნარი, თავისი გავლენის ქვეშ მოიქციოს და დაიმორჩილოს ადამიანები, მით უფრო, თუ ეს ადამიანი პირველად ხვდება მას. იქნებ უამრავ სხვა რამესთან ერთად ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ „ბორიაყში" ფანტასმაგორიული სისწრაფითა და გატაცებით ხდება ახალგაზრდა კომპოზიტორთან გაცნობა, მასთან დაახლოება, მისი მიზნების „ამოცნობა" და გადაწყვეტილება, – ეს „ეროვნული მიზანი", რადაც არ უნდა დაუჯდეს, აუცილებლად განახორციელოს.

ნებისმიერი ადამიანი ეძებს პიროვნული თვითდამკვიდრების გზებს ცხოვრებაში. ბუნებრივია, არ ვგულისხმობ იმ ენერგიულ, მექანიკურ მასას ადამიანებისას, რომელთა ცხოვრებისეული კრედო და ამოცანა მხოლოდ ყოფიერების სფეროსაა მიჯაჭვული და ერთადერთ საზრუნავს ხორციელი სიამოვნებები და მათი დაკმაყოფილების გრძნობა წარმოადგენს.

მე მოგახსენებთ იმ ადამიანთა რიგზე, რომელთა პიროვნული თვითდამკვიდრების გზა ხშირად შეცდომებით, შეცოდებებით, მღელვარებითაა სავსე, მაგრამ მიზანი ერთი და იგივეა – რადაც უნდა დაუჯდეთ პიროვნებებად დარჩნენ გარშემო მყოფ ადამიანთა ცნობიერებაში, ხსოვნაში.

ლეკო თათაშელი ამ თვალსაზრისით უაღრესად რთული, მრავალმხრივი და ეგზალტირებული კაცია. თავისი თავდაპირველი ადამიანური არსით (როგორც ამას რომანის ფინალი დაგვიდასტურებს) იგი სიკე-

თესთან უფრო ახლოა, ვიდრე ბოროტებასთან, ფუქსავატობასთან, თუნდაც დარდიმანდობასთან... მაგრამ ლეკოს პიროვნება მთლიანად ამპარტავნების, განდიდების მანიის ტყვეობაშია ჩავარდნილი და საკმაოდ არასიმპათიურ, გამაღიზიანებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა ერთიცაა – რომანის მსვლელობის მანძილზე ჩვენ დავინახავთ, რომ ტრაბახი, ბაქიაობა, უხეშობა და ზოგჯერ სარკაზმამდე მისული მისი საქციელები უფრო მისივე არასრულფასოვნების ქვეშეცნეული განცდიდან მოდის და არა საკუთარ თავზე მაღალი წარმოდგენებიდან. მისი ამგვარი საქციელი უფრო თავდაცვაა, ნიღაბია. თავდაცვა იმისაგან, რომ სხვებს არ დაემსგავსოს, სხვებში არ აითქვიფოს, სხვებივით შიშისა და მოვლენების მონად არ იქცეს.

მთელი რომანის მანძილზე იგი უხიაგი, ავყია, პატივმოყვარე ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, მისი გამუდმებული შეძახილი-შეხსენებები, რომ იგი ლეკო თათაშელია, სხვა არაფერია, თუ არა არასრულფასოვნების კომპლექსით გამოწვეული ადამიანური უმწეობის გამოხატულება. მთელი ამ ხანგრძლივი ფორიაქის, სტუმრობის, სოფლიდან სოფელში, გვარიდან გვარში, ოჯახიდან ოჯახში გადასვლებისას მისგან მოდის რაღაც უცნაური პანიკური განცდა, რომელიც თავბრუს ახვევს და სასოწარკვეთაში აგდებს ახალგაზრდა კომპოზიტორს. ასევე მასპინძლებსაც საიმისოდ განაწყობს, რომ როგორმე სწრაფად თავიდან მოიცილონ ეს ფორიაქა, ხმაურიანი დაუპატიჟებელი სტუმარი. რომანის საყოველთაო შიშისა და სიჩუმის ატმოსფეროში მისი ხმაური ის უცნაური დისონანსია, რომელიც ავბედით მუხტსა და ემოციას დაატარებს.

ლეკო თათაშელი ერთგვარი კრებითი სახეა თავისი გურმანობით, სმა-ჭამის მოყვარეობით და დათრობის შემდგომ 4-5 დღიანი საღათას ძილით ლუარსაბ თათქარიძისა და კირილე მიმინაშვილისა; ამ უკანასკნელთან მას განსაკუთრებით ანათესავებს ძველი, დიდგვაროვანი ოჯახებისადმი ირონიული დამოკიდებულება.

მაგრამ მათგან განსხვავებით მთელი მისი პანიკურობა, დროსთან გაჯიბრება, ხიფათიანობა, როგორც რომანის ფინალში ირკვევა, იმითაა ნაკვები და დაღდასმული, რომ ლეკო გამუდმებით გრძნობს რაღაც უფრო მნიშვნელოვანისა და მაღალი მიზნისათვის არსებობის პრიორიტეტს, ვინემ ეს კარი-კარ წანწალი და დროსტარებაა, ანუ დროის გაყვანის მისეული ტაქტიკა ამ არეულ, სახიფათო პირობებში.

ლეკო თათაშელის პიროვნული არსი მთლიანად იხსნება „მოგზაურობის" იმ საბედისწერო ეტაპზე, როცა თავგამოდებული დევნის შემდეგ კვლავ „დაიბრუნებს" თავის სტუმარს. თავქუდმოგლეჯილი სირბილის შედეგად დაეწევა და ხელში ჩაიგდებს ცისკარიშვილის მიერ წართმეულ ნიკუშა ჩაჩანიძეს.

და ფერისცვალების დღესასწაულზე, სადაც ნიკუშა ჩაჩანიძე ლეკოსთან ერთად კვლავ დიდი იმედით მიემგზავრება, რომ აქ მაინც შეისრულებს გულის წადილს, აქ მაინც განახორციელებს სანუკვარ მიზანს და რელიგიურ დღესასწაულზე მაინც შესძლებს სიმღერების ჩაწერას, ქართული ტაძრის თაღებქვეშ მაინც მოისმენს სხვაგან დათრგუნულ საგალობლებს. სამწუხაროდ, მრევლის მაგიერ ტაძარში ნამდვილი ჯარი დახვდებათ (შევნიშნავთ, რომ აქ აშკარად ბოლშევიკთა, წითელარმიელთა ჯარი იგულისხმება):

„შუა გაპობილიყო ხალხი კარიბჭიდან ტაძრის კარამდისა, ანუ ტაძრის კარიდან კარიბჭემდისა, გაპობილიყო ჯარი, რო იტყვიან ხოლმე, ხალხი მოჯარდაო. ისე არ იფიქროთ, ნამდვილი ჯარი-მეთქი, ჯარი შემოსული, გზა მიეცათ მრევლისთვისა, მღვდლებიც მოსდევდნენ მრევლსა. თავში წაეშინა ხელები მრევლსა, მღვდლებსაცა: შავოსანი ქალებიც მოჰყვებოდნენ, ლოყებს იხოკდნენ ისინი ან თავშლის ყურებს იფარებდნენ თვალებზედა, ყურებშიც იცობდნენ თავშლის ყურებსა, ხმა რო არ გაეგონათ, არ მოესმინა სიცილი, ხარხარი, არც ბრახუნი დოლისა, არც საზეიმო შემაღლებანი სასულე საკრავებისა. უნდოდათ თუ არა, ესმოდათ თუ არა, სულერთია გამოიარეს საზეიმო სვლითა, თავშიცემითა, ლოყებისხოკვითა, არც ამათ შეჰხედეს, არა შესჩივლეს, არა შეჰხარეს. ჩაუარეს, წავიდნენ უხმო მოთქმითა, გულდათუთქული ვაებითა, გათანგული ვალალითა...“

სწორედ ამ საბედისწერო ტაძარში მოხდება წითლების მიერ რუკის საბოლოო „გამომჟღავნება“ და თავდაპირველად წმინდად შემოქმედებითი მიზნებისათვის ჩაფიქრებული ეს უვნებელი ქაღალდი ქართლში ხელახლა დატრიალებული სისხლიანი რეპრესიების კიდევ ერთ და უმთავრეს მიზეზად იქცევა. ბოლშევიკები რუკის წყალობით ხელში ჩაიგდებენ ელიზბარ ხეთერელის, ეფემია კათარელის, გიორგი ოცხელის, გიგა ბაკურელის, პეტრე ვარაზნელისა და სხვათა ოჯახებს...

სწორედ ფინალში წარმოჩინდება შესანიშნავად ლეკო თათაშელის პიროვნება, რომელიც განსაცდელის ჟამს თვითონ მოინდომებს დაიბრალოს რუკის შედგენაც და შეთქმულებაც. ოღონდ არა იმიტომ, რა-

დაც უნდა დაუჯდეს, ახალგაზრდა კომპოზიტორი გადაარჩინოს, არამედ იმიტომ, ხალხის ხსოვნაში გმირის ადგილი დაიმკვიდროს, თუნდაც სიკვდილის ფასად მოიპოვოს დიდი სახელი...

მთელი თავისი შესაძლებლობებით, გონებით, სულით, სხეულით – ესაა ძალდატანება მოწინააღმდეგე ბანაკზე. იგი ცდილობს მხოლოდ მტრად კი არ მოაჩვენოს თავი, არამედ გმირადაც. ლეკო თათაშელის ეს ძალდატანება ხალხზეც, ხალხის მეხსიერებაზეც ვრცელდება. მან არ იცის ერთი უბრალო, მარტივი ჭეშმარიტება, რომ ყველაფრის თამაში შეიძლება ამ ქვეყნად, მაგრამ არა ეროვნული გმირისა. რომ ამ შემთხვევაში, ეს თამაში იქნება კიდეც ხვდებოდეს მიზანს, იქნება კიდეც წარმოაჩენდეს გმირობისათვის საჭირო მთელ რიგ თვისებებსა და ნიუანსებს, მაგრამ ლეკო თათაშელის პიროვნული თვითდამკვიდრების მომაკვდინებელ, საბოლოო მცდელობაშიც ანგარების მძლავრი იმპულსი ფეთქავს, რადგან ლეკო თათაშელს გმირობა ტიტული ჰგონია, წოდება ჰგონია, რადგან იგი გმირობას საკუთარი თავისთვის უფრო სჩადის, საკუთარი ხსოვნისა და სახელის უკვდავსაყოფად და არა სხვისთვის, არა მეორე ადამიანისათვის, არა თავისი ხალხისათვის, თავისი სამშობლოსათვის... აი, ამიტომაა ეს მცდელობა იმთავითვე განწირული, რადგან ყველაფრის თამაშს გაპატიებს შენივე ხალხი, მაგრამ ეროვნული გმირის თამაშს, არასოდეს; რადგან გმირობაც ადამიანის ბუნებასთან ერთად განგების ძალით აღესრულება და არა, საკუთარ ბუნებასა და განგებაზე ძალდატანებით.

შიშის მდუმარე ხმაურითაა მთელი რომანი გაჟღენთილი.

შიში, როგორც საშიში და კატასტროფული სიჩქარით მოძრავი ბაცილა, ისე გადადის ქართლის სოფლებში, ოჯახებში, გვარებში, ციხეებში...

შიში – თავისუფლების მარად ძველი და მარად ახალი ჯალათი, რომელსაც ჰქონია გამარჯვებები, დამარცხებები, მაგრამ რომელიც დიდი აღზევების დროსაც კი ვერაფერს უხერხებდა თავის მდაბიო წარმომავლობას.

შიში – რეალობის ბოროტი ალქიმიკოსი, რომელიც არბევს ჯადოსნური ზაფხულის მცხუნვარე დღეებს, რომელიც ამთავრებს ადამიანების საუკეთესო ვნებებისა და ემოციების თავისუფალ დინებას, რომელიც ამუხრუჭებს სიხარულს, სიყვარულს, ურთიერთნდობასა და პატივისცემას.

შიში – რომელიც ეჭვიანი გაბოროტებით სინათლეშიც ბნელ ძალას ხედავს... ისე, როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ადამიანები შეეწირებიან შიშის შედეგად წარმოქმნილ ეჭვებს და რეპრესიებს, ოთარ ჩხეიძის ამ რომანშიც საუკეთესო პოტენციის მქონე ადამიანები უვიცი ბნელი ძალების მსხვერპლნი ხდებიან.

გარდა სიუჟეტური ქარგისა, შიშის შედეგად შებოჭილი სამყარო უჩვეულო, პანიკური დინამიზმითაა გადმოცემული „ბორიაყში" და ყოველივე ეს ღრმა შინაარსთან ერთად იმ უჩვეულო სტილისტიკითა და ხელწერითაცაა მიღწეული, რასაც ოთარ ჩხეიძის სტილი, ოთარ ჩხეიძის ხელწერა ჰქვია...

ის მდიდარი, უაღრესად ქართული და დარბაისლური ხასიათები, ის ძლიერი მხატვრული ტიპაჟები, ის დაუვიწყარი პეიზაჟები და გარემო, რითაც დასახლებულია ოთარ ჩხეიძის მხატვრული სამყარო, ამ

შემთხვევაში კი რომანი „ბორიაყი", სწორედ მწერლისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მხატვრული სტილითაც და წერის უაღრესად თავისებური მანერის წყალობითაც იბეჭდება ჩვენს მეხსიერებაში.

შემთხვევით არ ვახსენე სიტყვა დარბაისლურობა. ოთარ ჩხეიძის პროზაში, განსაკუთრებით კი მის დიალოგებში, სიტყვის მეშვეობით არაჩვეულებრივი სიღრმისეული განზომილებებით წარმოჩინდება რაღაც უაღრესად შორეული, ტრადიციული და ძველი, ძველი, არა არქაული, სამუზეუმო ექსპონატად ქცეული, არამედ როგორც მარად მომქმედი, მარად ცოცხალი, მარად არსებული, ოთარ ჩხეიძის დიალოგები ღრმად ქართული სიდინჯით ხასიათდება...

როდესაც ვლაპარაკობთ პიროვნების კონცეფციაზე რომანში „ბორიაყი", საგანგებო ყურადღებით ქალ-პერსონაჟებს უნდა მოვეკიდოთ... ქალი, როგორც პიროვნება, ამ რომანში განსაკუთრებული სიმძლავრით წარმოჩინდება. მწერალი რომანში ქალს გაიაზრებს, როგორ ეროვნული მუხტის, ეროვნული ენერგიის ეროვნული სულისკვეთებისა და მისწრაფებების მქონე პიროვნებას. მეტიც, რომანში ქალ-პერსონაჟთა მიერ მამაკაცური ენერგიის, მამაკაცური ცხოვრების მიღება და აღიარება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუკი კაცთა მოსვლა და ცხოვრება ამ ქვეყნად, საკუთარი სამშობლოს, საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლით ხასიათდება და განისაზღვრება.

ეს მომენტი, თავდაპირველად მოულოდნელად, მინიშნების სახით რომანის იმ მონაკვეთში წარმოჩინდება, როდესაც შუაღამისას სანთლით ხელში ელიზბარის მეუღლე ნიკუშა ჩაჩანიძის საწოლს, როგორც

გმირის სანოლს, ისე უახლოვდება. იგი სწორედ ამ რწმენით გამოინვევს ახალგაზრდა კაცს საუბარში. ამ რწმენით შეპყრობილს, ისევე როგორც მრავალს რომანში, არ სჯერა საყოველთაო შიშიანობის დროს ნიკუშა ჩაჩანიძის ისეთი გულუბრყვილო მისია, როგორიც ხალხური სიმღერების შეგროვებაა:

„მჯერა, რომ სხვა რამ გამოქმედებთ, სხვა რამ ნამდვილი, ჭეშმარიტი, დიადი, სიმღერებს არ უნდა აეყოლებინეთ, არა, ახლა საამისო დრო არ არის, არა, სიმღერებს არ უნდა აეყოლებინეთ.

არა... არა... – მხოლოდ სიმღერებსა...

თვალები იყო წრფელი, განათებული შინაგანი სიწმინდითა და სიმართლითა, თვალები იყო წრფელი, გმირული არა, გმირისა არ იყო ის თვალები, არც არაფერს მალავდა, ვერც დამალავდა, მეტიც არაფერი შეეძლო.

ჰა, ჰა, ჰა... ჩაიცინა ქალმა, ჩუმად, თითქმის გაუგონრადა, ჩაიცინა ჩუმად და მნარედა, თავისთვის ჩაიცინა. სხვამ არც არავინ იცოდა, თუ რად შემოსულიყო, არც არავინ უთვალთვალებდა, ამასაც თურმე არაფერი გაეგებოდა, ვერც ამ სიცილს მიუხვდებოდა, ნაღვლიან სიცილსა, ვერ მიუხვდებოდა, თუ რა ძალა მოეკრიბა, სანთელი რო აეღო და შემოეღო კარი. აენთო და შემოეღო, რადგან ყურმოკრულ სიტყვებს დაერწმუნებინა, მოვიდა გმირიო. გმირს ელოდა, გმირი უნდოდა, სწყუროდა გმირი, იცოდა, თვითონაც რო აუცილებელი იყო გმირისათვისა, თვითონაცა, სწორედ ასეთი – ლამაზი დაუმცხრალი, გატაცებული, გამტაცებელი დამპყრობელი და აღმგზნები ძლიერი სულისა, ისეთისა არა, ელიზბარი რო ბრძანდებოდა, არც ასეთისა არა, ასეთისა მით უფრო არა, ჭეშმარი-

ტი სულისა, თავგანწირულისა. ეს რად ეგონა? რა ბავშვური სახეა?! ბავშვი აღარაა, რა თქმა უნდა, არც ყმაწვილია. იმ ასაკისაა, გმირი რომ უნდა იყოს, მაგრამ ვაგლახ! ეს რად ეგონა?! ხმა აქვს თავისებური, მკვეთრი, თანაც იდუმალი, რაღაც ფარულით და შიშით აღსავსე? სიტყვებიც ასეთი გამოსდიოდა, იდუმალი, ფარული, შიშით აღსავსე, ეს რად ეგონა?! ჰა, ჰა, ჰა... გააგრძელა ქალმა, ხელი დაუშვა მოწყვეტითა, დააქნია, შეათამაშა სანთლის ალზედა, თითქოს რაღაც უამური თუ უწმინდური მოეცხო, უნდა მოიწვას, მოიშოროს".

როგორც კი ქალი დარწმუნდება, რომ მას შეთქმულ გმირთან კი არა აქვს საქმე, არამედ ჩვეულებრივ ადამიანთან, იგი ერთბაშად ცივდება. ერთ წამში აბსოლუტურად ქრება მსხვერპლშენირვის ბადალი ლტოლვა და ინტერესი ქალისა კაცისადმი.

თავდაპირველად მხოლოდ მინიშნებით წარმოჩენილი ეს ხასიათი მთელი სისავსითა და სისრულით, მთელი ძლევამოსილებით გამოჩნდება რომანში.

მსგავსი სულისკვეთების, მსგავსი რწმენისა და იდეის მატარებელია ნებისმიერი ქალი: პერსონაჟი ამ რომანისა, დაწყებული უხუცესი გურანდუხტითა და დამთავრებული ჯერ მთლად ნორჩი ირინეთი.

ახალგაზრდა კომპოზიტორს თითოეულთან მოუწევს წამიერი თუ უფრო ხანგრძლივი ურთიერთობა და ვერასოდეს მიხვდება, ვერასოდეს აღმოაჩენს და ვერ შეაფასებს ამ ქალებში სწორედ ამ ღირსებას, – თავისუფლებისადმი გამუდმებული და სანუკვარი ლტოლვის წყურვილს.

მეტად ნიშანდობლივი, საგულისხმო საუბარი გაიმართება ნიკუშა ჩაჩანიძესა და ირინეს შორის იმ

დროს, როდესაც ირინე თავისი კუთხის ერთ-ერთ უძველეს ციხე-სიმაგრეს იხატავს რვეულში. ეს დიალოგი ნიშანდობლივია იმითაც, რომ მხოლოდ ირინესთან მიმართებაში შესძლო (ნაწილობრივ) ახალგაზრდა კომპოზიტორმა თავისი სისუსტის წარმოჩენა. სისუსტისა, რაღა თქმა უნდა, სხვისი, გარეშე ადამიანის თვალსაწიერიდან, თორემ ამის გამო იგი სულაც არ ითრგუნება, როგორც ადამიანი და როგორც პიროვნება:

„მხოლოდ ერთი სურვილი დამმუფლებია, როგორმე ჩავაღწიო თბილისში, ჩემს მასწავლებელს დავაყრდნო თავი მხარზედა და ამოვიკვნესო ღრმადა, ამოვაყოლო ქვითინი, ქვითინი გულამომჯდარისა. ეს სისუსტეა, ვიცი, ამას არ უნდა გეუბნებოდეთ, რაიმე უნდა მოვიგონო, გმირული უნდა ვთქვა, უნდა მოგხიბლოთ ზღაპრული ამბებითა, მე უნდა ვიყვე გმირი იმა ზღაპრებისა. თუმცა ახლაც ზღაპრებში გავიხლართე, მაგრამ რახან ვერ დამიგლეჯია ეს ხლართები, გმირიც არა ვარ. თქვენ გმირი მოგხიბლავთ, ყველას ხილავს გმირი (ხაზი ჩემია – მ.ჯ.). ვაგლახ, რო გარდასულა დრო გმირობისა.

„დრო ყოველთვისაა, ოღონდ გმირები აღარ არიან ყოველთვისა. ნუ მეტყვით, რო სადღაც წამიკითხავს..." – ასეთია ირინეს პასუხი.

გურანდუხტის სახლში ქალების მთელი გალერეაა მოცემული, რაც ერთგვარი მეტაფორაცაა უმამაკაცოდ დარჩენილი ამ დიდი საგვარეულო ოჯახისა, რომელსაც ბედისწერამ, განგებამ არგუნა, ფიზიკურადაც ასე დაშლილიყო, გაღარიბებულიყო, დაქცეულიყო. თუმცა უნდა ითქვას, რომ უკაცოდ დარჩენილ ამ ძირძველ, საგმირო საქმეებითა და სიდიადით სავსე

ოჯახში, რაღაც რიტუალური მოწიწების გრძნობითა და მორწმუნის სიჯიუტით ინარჩუნებენ ღირსების გრძნობას, კდემამოსილებას, რითაც ქალთა სახეები ოთარ ჩხეიძის რომანში ერთგვარად კიდეც ჩრდილავენ და ჯაბნიან მამაკაცთა ტიპაჟებს.

ამ ქალებში გაცილებით სიცოცხლისუნარიანად, ღრმად და ძლიერად მარხია საკუთარი სამშობლოს არა მხოლოდ სიყვარული, არამედ ამ სიყვარულისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის წადილიცა და უნარიც.

სწორედ ამ კონტექსტში, – სამშობლოსთან, თავისუფლებასთან მიმართებაში წარმოჩნდებიან ადამიანები ყველაზე საინტერესოდ და სრულყოფილად „ბორიაყში". მათი ცხოვრება, მათი ვნებები, განცდები და ემოციები მწერალს სწორედ ამ რაკურსით აინტერესებს და ამიტომ ადამიანური არსის, ამქვეყნად ყოფნისა და მისიის განსაზღვრისას ოთარ ჩხეიძე თავის მხატვრულ პერსონაჟებს, თავის მხატვრულ გმირებს უწყობს ყველაზე დიდ გამოცდას.

ამიტომაა, რომ საქართველოს ერთ-ერთი რთული პერიოდის, მისი ისტორიის მონაკვეთის ერთ-ერთ მძიმე არეალში მოხვედრილი ეს პიროვნებები არა მხოლოდ ინტერესით იკითხებიან, არამედ მთელი თავიანთი ადამიანური არსითა და ცხოვრებით დღესაც უაღრესად აქტუალურნი არიან.

მაკა ჯოხაძე

1990 წ.